K 31 981
ყ



საქართველოს ისტორია ტრპონიმიაში

I

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია

საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში

(საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი)

ტომი პირველი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2010

ეროვნული ბიბლიოთეკა

UDC(უაკ)91.014(479.22)+94(479.22)
ს-323

„საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“ წარმოადგენს XIX და XX საუკუნეებში ქართველ მეცნიერთა მიერ გამოცემულ ისტორიულ დოკუმენტთა კრებულებიდან ამონაწერ ისტორიულ ტოპონიმთა სრულ კორპუსს: ტოპონიმები ამოწერილია შესაბამისი კონტექსტით და დალაგებულია ქრონოლოგიურად, რაც იძლევა ცალკეული გეოგრაფიული პუნქტის (სოფლის, მონასტრის, ციხე-სიმაგრის და ა.შ.) ისტორიული ევოლუციის სურათს. ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

შემდგენლები: **ჭდ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი**

რედაქტორი: **დავით მუსხელიშვილი**

რეცენზენტები: **ზ. ალექსიძე, ნ. ხაზარაძე**

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი
რუსთაველის ფონდი
Rustaveli Foundation
for Georgian Studies, Humanities and Social Sciences

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (NC-**07-1340-1-100**). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) (Grant NC-**07-1340-1-100**). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ანა რუაძე, მარიამ ბუტიკაშვილი**

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-035-5
ISBN 978-9941-17-044-7

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

K 31,981/4

ადგილის სახელების ანუ ტოპონიმიის უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის საყოველთაოდ არის ცნობილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული დარგის ფუძემდებელი, აკად. ნ. ბერძენიშვილი ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნის „ძრავალ კუთხეში ეს სახელები გამქრალა მოსახლეობის ამოწყვეტის გამო, ტოპონიმიკური ტრადიციაც გაწყვეტილა, და ქვეყანა დამუნჯებულა, სხვაგან კიდევ ახალი და უცხო სახელები გაჩენილა, მაგრამ ისიც კი, რასაც ჩვენამდე ძველი დროიდან მოუღწევია, ამოურწყველი მასალაა, - მეტყველი და უტყუარი. სატომო სახელები, ტომთა განსახლება, დასახლების სახეობა, მოსახლეობის შრომა-მეურნეობა, მისი რელიგიური ცხოვრება, ომი თუ გართობა და სხვა მრავალი სახე წარსული ცხოვრებისა ცხოვლადაა არეკლილი ამ თავისებურ წიგნში და ელის წამკითხველს“.

მართლაც, ტოპონიმიის და კერძოდ ისტორიული ტოპონიმიის შეკრებას, გამოქვეყნებასა და ანალიზს სრულიად ახლებურად შეეძლება საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის წარმოწენა.

პირველ რიგში, ისტორიული დოკუმენტებიდან ამოკრებილი ეს ზღვა მასალა, სისტემატიზებული ქრონოლოგიურად და რეგიონების მიხედვით, შესაძლებლობას მოგვცემს შედგენილი იქნას საქართველოს დეტალური ისტორიული რუკები სხვადასხვა ეპოქის მიხედვით, რომლებზედაც დოკუმენტურად იქნება დასაბუთებული ქვეყნის დასახლებული პუნქტების (ქალაქების და სოფლების) წარმოქმნის, არსებობის და რიგ შემთხვევაში გაქრობის ქრონოლუგიური მიჯნები.

გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება საქართველოს და კერძოდ ქართლის ტერიტორიაზე უძველეს ისტორიულ ეპოქებში მცხოვრები ქართული თუ არაქართული ტომების ადგილსამყოფელის ლოკალიზაცია, იმ ძველად არსებული ტომებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ქართველი ხალხის ეთნოგენეზში, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ტოპონიმიკური რელიქტების სახით არიან შემორჩენილი. მართლაც, უკვე დღესვე შეიძლება მათი არსებობის დასაბუთება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისეთი ხორონიმების საშუალებით, როგორიცაა: ბაზალეთი, ჭართალი, თრიალეთი, არგვეთი, წობენი, გოგარანი და სხვა. ცხადია, ასეთი ონომასტიკა ოდესღაც არსებულ ბაზალთა, ჭართალთა, თრიალთა თუ თრერთა, მარგველთა, გოგართა, და სხვათა შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, რომელთაც სწორედ ეთნოგენეზის ათასწლოვან პროცესში განიცადეს ასიმილაცია.

ტოპონიმთა გარკვეული ფორმები, კერძოდ, მათი ჯგუფების გარკვეული სუფიქსაცია (მაგალითად, -ავ-ი და -ევ-ი, ან -თა და -ნი ან -ის-ი და

ა.შ. სუფიქსიანი) მოგვცემს რუკაზე დატანის შედეგად ცალკეულ ტომთა განსახლების სურათს, ხოლო მთელი რიგი ოიკონიმებისა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ ქართლის მთისა და ბარის ზონაში გვხვდება (მაგალითად ოკამი და რეხი ჯავახეთში; ოკამი და რეხი შიდა ქართლში და სხვა) ანდა წარმომავლობის -ელ სუფიქსით წარმოებული ოიკონიმები (მაგალითად ახატანი მდ. არაგვის ხეობაში და ახატ-ელ-ი კახეთში) უტყუარ სურათს მოგვცემენ მოსახლეობის მიგრაციისა ერთი რეგიონიდან მეორეში, კერძოდ მთიდან ბარში.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ფეოდალური გვარების წარმომავლობა: ფავლენიშვილების ფავნისიდან, ტბელებისა ტბეთიდან, კორინთლებისა კორინთიდან, მანაბლებისა ანაბეთიდან, მგდეურებისა გდეულან, წირქვალელებისა წირქვალიდან, მახატლისძეებისა ახატანიდან. ეს უკანასკნელნი თუმცა კი ქართლელი აზნაურები არიან წარმოშობით, მაგრამ XI-XII საუკუნეებში კახელი ერისთავები არიან და, შესაძლებელია, შიდამიგრაციული პროცესების მოწმეებად გამოგვადგნენ უკვე ადრეული შუა საუკუნეებისათვის.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ისტორიული ტოპონიმიკის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ ახლებურად დაისვას ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემა, არამედ კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ის ისტორიულ-დემოგრაფიული პირობები, რომელშიც ხორციელდებოდა ეს დიდი პროცესი.

კიდევ მეტი, ისტორიული ტოპონიმიის შესწავლა და ანალიზი, კერძოდ, ისეთი ოიკონიმების გამოვლენა, როგორიცაა, მაგალითად, მისაქციელი, ყელქცეული, კლდეკარი, ნახიდური, ტინისხიდი, ხიდისთავი და სხვა, ახალ რეალიებს იძლევა ტომთა და რეგიონთა შორის გზებისა და საკომუნიკაციო არხების დადგენის თვალსაზრისით, ხოლო რიგი ტოპონიმებისა მაგალითად, სარკინე, გომი და სხვა, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და მეტალურგიის ინტენსიურ განვითარებაზე მიუთითებს, ცხადად გვიჩვენებს იმ ეკონომიკურ საფუძველს, რაც განაპირობებდა ტომთა და რეგიონთა შორის, კერძოდ, მთისა და ბარის მოსახლეობის მჭიდრო ურთიერთობას.

ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ნაწილია იმისა, რაც ისტორიული ტოპონიმიის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია გაშუქდეს ქართველი ხალხის ეთნიკურ-დემოგრაფიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის ადდგენის თვალსაზრისით. ყველაფერი ეს სრულიად ახლებურად გააშუქებს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესს.

გეოგრაფიული სახელწოდებანი შემთხვევით არ წარმოიქმნება, მათ ქმნის საზოგადოება და ამდენად მათი ერთობლიობა ანუ გარკვეული ტერიტორიის ტოპონიმია ყოველთვის უტყუარად აირეკლავს მისი შემქმნელი საზოგადოების არა მხოლოდ ეთნიკურ სახეს, არამედ სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს და კულტურულ-პოლიტიკური ვითარების სურათსაც. ამდენად, ტოპონიმიკა, თუმცა კი ლინგვისტიკის დარგია, მაგრამ ამავე დროს ისტორიული მეცნიერების უაღრესად მნიშვნელოვანი დამხმარე დისციპლინაც გახლავთ, რომლის მეცნიერულად კორექტული გამოყენება ფრიად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარების პროცესის რიგი ფუნდამენტური პრობლემების გაშუქებისა და გადაწყვეტისათვის.

ტოპონიმიკა, როგორც მეცნიერება, ფაქტობრივად, ახალი ფენომენია და ჩვენს სინამდვილეში დაახლოებით ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტს მოითვლის. ამ არც თუ დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ საქართველოს ტოპონიმიის აღნუსხვის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ შეკრებილია ქვეყნის ცალკეული რეგიონების, მაგალითად, აჭარის, გურიის, ჭანეთის, სამცხის, შავშეთ-იმერხევის, ერწო-თიანეთის, ქსნის, ლიახვის, არაგვის ხეობების, ლეჩხუმის და რაჭის გეოგრაფიული ნომენკლატურა, 1969 წელს თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა საქართველოს ტოპონიმიკური კვლევის ლაბორატორია, რომელმაც უზარმაზარი საშუშაო ჩაატარა ამ მიმართულებით, გამოსცა ტოპონიმიკურ გამოკვლევათა ორი ტომი; გამოცემულია „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (გ. ბედოშვილი, 2002) და სხვა და სხვა.

ამგვარად, თუმცა კი დიდძალი მასალაა დაგროვებული საქართველოს თანამედროვე ტოპონიმიის, ასე ვთქვათ, გლობალური შეკრების თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენთვის, როგორც ისტორიკოსებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ტოპონიმიას, შემორჩენილს ისტორიულ წყაროებში, მატიანეებში თუ ისტორიულ საბუთებში. სწორედ ამან განაპირობა ჩვენს მიერ შერჩეული პროექტი - „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“ – რომელიც დაფინანსდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის (რუსთაველის ფონდი) გრანტით.

აქაც ჩვენ ცარიელ ადგილზე არ მოგვიხდა მუშაობის დაწყება. ცალკეული გამოკვლევების გარდა ამ მიმართულებით, რომლებიც ქვეყნდებოდა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდანვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ახლად ჩამოყალიბებული ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების სპეციალურ კრებულებში, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის პუბლიკაცია – „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის“, წიგნი I, თბ. 1964, რომელიც გამომცემლების, აკად. ზ. ალექსიძისა და პროფ. შ. ბურჯანაძის სიტყვით, მიზნად ისახავდა ზემოხსენებული ინსტიტუტის ფონდებში დაცული ისტორიული დოკუმენტებიდან პირთა და გეოგრაფიული სახელების შესახებ მასა-

ლის ამოწერას, მეცნიერულ დამუშავებასა და გამოსაქვეყნებლად მომზადებას, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც.

ჩვენი პროექტი გულისხმობს დღემდე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული ისტორიული საბუთებიდან ამოკრებილი შუა საუკუნეების საქართველოს ტოპონიმიის სრულ კორპუსს, რომლის ქრონოლოგიური მიჯნები მოიცავს IX–XVIII საუკუნეებს, XIX-ს–ის დასაწყისის ზოგიერთი დოკუმენტის ჩათვლით. პროექტის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული ტოპონიმი ამოწერილია საბუთებიდან უცვლელად, იმ კონტექსტით, როგორც იგი წარმოდგენილია ორიგინალში, ტოპონიმის (სოფლის, ქალაქის, მიწის ნაკვეთის და ა.შ.) შესახებ შემცველი ინფორმაციით: ვის ეკუთვნის ესა თუ ის ობიექტი (სამეფოა, საეკლესიოა, სათავადოა, სააზნაუროა, ყმა-გლეხისაა თუ მოქალაქის კუთვნილია და ა.შ.); როგორია მისი სოციალური სტატუსი (მკვიდრია, ნასყიდია, შეწირულია და ა.შ.). ან ვინ ხდება მისი მესაკუთრე (იყიდება, შეიწირება, წყალობად გაიცემა და ა.შ.). ასე რომ მკითხველისათვის, ფაქტობრივად, საჭირო აღარ იქნება იმ ძველი გამოცემისადმი მიბრუნება, სადაც ესა თუ ის საბუთი პირველად იყო გამოქვეყნებული.

ჩვენ მიერ დამუშავდა XIX-XX საუკუნეებში გამოქვეყნებული საისტორიო საბუთების ყველა კრებული (დ. ფურცელაძის, ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ს. კაკაბაძის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ი. დოლიძის, შ. ბურჯანაძის, მ. ბერძნიშვილის, ვ. სილოგავას, ნ. შოშიაშვილის და სხვათა პუბლიკაციები), აგრეთვე, პერიოდულ გამოცემებში („ძველი საქართველო", „საისტორიო მოამბე", „საისტორიო კრებული" და სხვ.) და ცალკე დაბეჭდილი დოკუმენტები. დაწვრილებითი სია შემოკლებათა განმარტებებშია წარმოდგენილი.

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ საბუთებში საქართველოს ტოპონიმიის ამსახველი ზღვა მასალაა შემონახული, რომლის აღრიცხვა, ფიქსაცია და ქრონოლოგიურად დალაგება უაღრესად შრომატევადი და რთული საქმეა.

ისტორიული ტოპონიმიის წინამდებარე კორპუსის შექმნაზე მუშაობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მალევე შეწყდა. მუშაობა განახლდა მიმდინარე საუკუნის პირველივე წლებიდან, თუმცა განათლებისა და მეცნიერების დარგში გატარებული ე. წ. „რეფორმის" შედეგად, რამაც ზემოხსენებული ინსტიტუტის სრული „რეორგანიზაცია" განაპირობა, 2006 წელს კვლავ შეჩერდა. მიუხედავად ამისა, ამ დროისათვის შეგროვებული იქნა დიდძალი მასალა, რომელიც სათანადო ბარათებზე ამოწერილი, კარტოთეკის სახით ინახებოდა განყოფილების არქივში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2007 წელს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის („რუსთაველის ფონდის“) მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოს ისტორიული ტოპონიმიის კორპუსზე მუშაობის კვლავ განახლება და მისი დასრულება. უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვან შეფერხებებს ამ დროსაც ჰქონდა ადგილი. ჯერ ერთი, გაირკვა, რომ ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის „რეორგანიზაციის“ დროს დაკარგულია კარტოთეკის ნაწილი, რის გამოც საჭირო გახდა დანაკლისი მასალის ხელახალი მოძიება, რაც ფრიად რთული საქმე იყო. გარდა ამისა, 2008 წელს უდროოდ გარდაიცვალა საგრანტო პროექტის ერთერთი ძირითადი შემსრულებელი, პროფ. დ. ბერძენიშვილი, რომელიც შემდგომში შეცვალა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. სურგულაძემ.

მიუხედავად ამ სირთულეებისა პროექტზე მუშაობა დასრულებულ იქნა.

მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიული ტოპონიმიის კორპუსის შემდგენლებს გარდა, მასალის მოძიებასა და დამუშავებაში წინა წლებში ინტენსიურად მონაწილეობდნენ ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების აწ გარდაცვლილი თანამშრომლები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯ. გვასალია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ცინცაძე და თ. ტატიშვილი.

მადლობა უნდა გადავუხადოთ პროექტის შესრულებაში მონაწილე ლაბორანტებს - ლ. ეძგვერაძეს და ც. კიღურაძეს - რომელთაც ძირითად შემსრულებლებთან ერთად, დიდი სამუშაო გასწიეს ინსტიტუტში დატოვებული კარტოთეკის დაკარგული ასოების ტოპონიმთა ხელახლა მოძიების პროცესში და კომპიუტერში აწყობილი ტექსტების კორექტირების დროს; ოპერატორებს ა. რუაძეს და მ. ბუტიკაშვილს - ფრიად რთული ტექსტების კომპიუტერში გადატანის მძიმე საქმის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის კომისიის სწავლულ მდივანს ლ. ყახახიშვილს პროექტის კომპიუტერული ვერსიის კორექტირებისათვის.

რამოდენიმე სიტყვით წინამდებარე გამოცემის შესახებ.

საქართველოს ისტორიული ტოპონიმიის კორპუსის შედგენისას ჩვენ ხელმძღვანელობდით შემდეგი წესით:

1. ტოპონიმები დალაგებულია ანბანის მიხედვით ქრონოლოგიურ რიგზე. ტოპონიმს გვერდზე მიეწერება საბუთის თარიღი.

2. თუკი უეჭველია ტოპონიმის გეოგრაფიული ლოკალიზაცია, მას გვერდზე მიეწერება ის მხარე თუ კუთხე (ქართლი, იმერეთი, არაგვის ხეობა...), რომელშიც იგი იგულისხმება.

3. თუ ტოპონიმის ლოკალიზაცია ვერ ხერხდება ან მისი ლოკალიზაცია პირობითია მას ვარსკვლავი უზის.

4. თუკი ტექსტებში ერთი და იგივე ტოპონიმი სხვადასხვა ვარიანტული ფორმით გვხვდება (მაგ.: აგუდანეთი და აგვდანეთი), ძირითად ფორმად გამოგვაქვს ის, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება ტექსტში. ძირითად ფორმას გვერდზე მიეწერება შტრიხებით გამოყოფილი ვარიანტული ფორმები თვით ტექსტში დედნისეული ფორმებია შენარჩუნებული.

5. თუ ტექსტში ორი ან მეტი ტოპონიმია, როგორც წესი, ტექსტი გამოგვაქვს პირველ ტოპონიმზე, დანარჩენი ტოპონიმები თავის რიგზეა განლაგებული მითითებით (იხ.=„იხილე“) პირველ ტოპონიმზე.

6. საბუთის ტექსტის პუბლიკაცია, როგორც წესი, ხდება უკანასკნელი (უახლესი) გამოცემის მიხედვით.

7. რიგ შემთხვევაში (თუკი კონტექსტიდან ეს ნათლად არ იკვეთება) ტექსტის თავში სწორკუთხა ფრჩხილებში მითითებულია საბუთის სუბიექტი ან სუბიექტები (გამცემი და მიმღები...) ან საბუთის რაობა (მაგ.: [სამთავნელის ეპარქიის სოფელთა ნუსხა]...).

8. ქარაგმები, როგორც წესი, ტექსტში გახსნილია.

9. თუ სხვა გამოცემებში განსხვავებულია საბუთის თარიღი ან ტოპონიმის წაკითხვა, როგორც წესი, განსხვავება ნაჩვენებია შენიშვნებში.

10. აშკარად შეცდომით დაწერილი ტოპონიმი ტექსტში აღდგენილია.

11. ისეთი, ასე ვთქვათ, ზოგადი ხასიათის გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: საქართველო, ქართლი, კახეთი, სამეგრელო და სხვა, ან ტფილისი (იგივე „ქალაქი“), გორი, თელავი და სხვა მისთანანი, იმ შემთხვევაში გამოგვაქვს ტექსტის თავში, თუ რაიმე მნიშვნელოვან ისტორიულ კონტექსტს უკავშირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაზურას მიწა. ქართლი

აბაზურას მიწა 1736 – ... ავიღე მე, თურქაძემა და თამაზამ ... ჯომარდისა და ივანესაგან, რვა მარჩილი ახალი თეთრი. ამის გირაოდ მოგეცით ჩვენი **აბაზურას მიწა** და აღდგომელას **ნავენახობი**, ერთის წლით (მსეი, II გვ. 26).

აბალია – იხ. **აბელია**

აბანევი – იხ. **ავნევი**

აბანო. კახეთი

აბანო 1795 – იხ. **ვანთა**

აბანო 1797 – იხ. **ვანთა**

აბანო. ქვემო ქართლი

აბანო 1651 – სახლისუხუცესი ბარათაშვილი ყაფლან და მათი განაყოფი იოთამის შვილები ... **აბანოსა** და **ტანძიას** ზედათ მიწებზედ იცილებოდეს... ის მიწები ჩვენცა [როსტომ მეფემ] სამკვიდროდ და საბოლოოდ იოთამის შვილებისათვის გვიბოძებია (ქსძ, IV, გვ. 91).

აბანო 1670 – [განჩინება შაჰნავაზ მეფისა]: ...საუპატიოთ გაუჩინეთ ბატონს ყაფლანს [ბარათაშვილს] და მის შვილებს ვირშელიშვილის პაპუნასა და შანშეს მამულისაგან: სოფელი **აბანო** თავისის მსახლობელის გლეხითა, მიწა-წყალითა... სოფელი **სენების თოფრაყალა**, გოშპარიშვილის კერძს გარდაისად, მისის გლეხითა მიწა-წყლითა... და ნასოფლარი **ბაღჩალარი** ყოვლის მისის მიწა-წყლითა... (ქსძ, IV, გვ. 125-126).

აბანო 1729 – იხ. **ცხნარი**

აბანო 1774 – იხ. **ჩარგამაშენი**

აბანო. შიდა ქართლი

აბანო 1401-1415 – იხ. **ულუმბა**

აბანო 1579 – იხ. **მცხეთა**

აბანო XVII ს. დამდ. – იხ. **ნული**

აბანო 1615 – [წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა დავით ბაგრატიონ-დავითაშვილისადმი]: რისაცა მამულის და ყმისა მჭონებელი იყავითა ანუ ვაჭრისა და ანუ აზნაურის შუილისა ... ყუელა უკლებლად შენთუის და შუილთა თქუენთუის გუიბოძებია... და **აბანო**, რა რიგაცა უწინ ჰქონებოდეს, ისრევე თქვენთათუის გუიბოძებია... (სს, II, გვ. 228).

აბანო 1615-1619 – იხ. **ტკოცა**

აბანო 1634 – იხ. **ბროწლეთი**

აბანო 1636 – იხ. **ხოვლე**

აბანო XVII ს. II ნახ. – იხ. **სატივე**.

აბანო 1716-1724 – [განჩინება ელისბარ და კოსტანტილე დავითიშვილების გაყრის საქმეზე]: ... **აბანოს** სასახლე როგორც ბატონის განაჩენში ეწერა,

ისე კოსტანტილესთვინ დაგვინებებია. და იმისი ზომა სასახლის ადგილსთ ელისბარ ზოგი იქივ **აბანოს** ნაკოშკარი და ცოტა რამ ადგილი მოიზომა; და სხვა **თიხრევს** ზარდიაშვილის ნასახლარი და ნაფუზარი მოიზომა. და **ნულის** სასახლე ბატონის განაჩენში გასაყოფლად ეწერათ: კოშკი ორისავ ძმის საწილოთ დავდევით... ზვრები შევაფარდეთ და **აბანოს ზვარი** და **ქინძთის ზვარი** ელისბარს დარჩა და **ნულის ზვარი** – კოსტანტილესა. და **ღვერთული ზვარი** შუა გავყავით... (ქსძ, IV, გვ. 306-307).

აბანო 1717 – ...ფიცი და პირი მოგეცით ჩვენს განაყოფს ფარემუზიშვილს როინს ... ჩვენ, ჯავახიშვილმა გოშარ... მამულს გედავებოდი და [მეფის ბრძანებით ედიშერ ციციშვილმა] ... ყველა ჩვენი საქმე რიგიანათ გასინჯა... და შენც დამანებე **აბანოს**: გაგელაშვილი აბრამა ... და ... კიდევ იმისი განაყოფები... (ქსძ, IV, გვ. 274).

აბანო 1718 – [ვენახის გაცვლის წიგნი მანგლელი ეპისკოპოსის იოანეს და ფარემუზ ჯავახიშვილისა]: ძველითაგან სვიმონ მეფისა ... და მეორედ ჭელახლა შახნავაზ მეფისაგან **მანგლისისა ღმრთისმშობლისათვინ** საადაპოთ შეწირული ზვარი **აბანოს** გაგიცვალეთ **ქვენადრის** ხახიაშვილის მახარას ვენაჭზედა და მოგეცით ჩვენის მონასტრის ზვარი თავის წყლითა, **აბანურის წყლით** უნდა ირწყვოდეს, ისე შესწირვია... ვინცა და რამანცა **მანგლისისა** მეპატრონემ ამისად შლად ჭელყოს, რისხვამცა თვით ღმერთი დაუსაბამო... ამისნი მოწამენი... სრულ ერთობილნი ჩვენის მონასტრის **მანგლისისა ღმრთისმშობლის** ყმანი... (სს, II, გვ. 306).

აბანო 1721 – [ნასყიდობის წიგნი ნიკოლოზ ჯავახიშვილისა ოთარ რატიშვილისადმი]: ... **აბანოს** კოკისასშვილი გიორგი, **ხოვლეს** ბითაძე ბეჟანა, კიდევ **ხოვლეს** ფაზიაშვილი ბასილა, იქვა **ხოვლეს** კაკანაშვილი შერმაზანა ... ესენი რისაც მამულის მჭონებელნი არიან თქვენთვის ნასყიდათ მომიცია... (სს, II, გვ. 314).

აბანო 1723 – იხ. **ხანდაკი**

აბანო 1734 – იხ. **ნაბახტევი**

აბანო 1737 – იხ. **ხოვლე**

აბანო 1728-1750 – ... მე, ბედიაშვილმა პაპუნამა ... შენ, ზუბიაშვილს სეხნიასა ... მოგყიდე შვილი ჩემი პატარაცი... ამისი მოწამე ბერი ოქრუაძე, გივი ბასილაძე, ბეჟია სებისკვერაძე, სულ ერთპირათ **აბანოელნი**... (დსხი, I, გვ. 227).

აბანო 1744-1760 – ... მე, ამირეჯიბმა ... სვიმონ, გიგოლაშვილმა ...იმა ... თქვენ **აბანოულებს**: კოკაოლაშვილს ძაღლუას ... სებისკვერაძეს პავლეს ... დავით წერეთელი დაგასხით და სოფლეურათ აგყარეთ ცოლშვილით და გაგყიდეთ... (სს, II, გვ. 485).

აბანო 1750 – [პირობის წიგნის ბაგრატიონ-დავითაშვილებისა]: ... გაყრა მოგვიხდა, მამული სულ გავყავით ბარათით... მოგეცით ჩვენი ბარათში ნარგები გოგია ტატიშვილი... კიდევ **აბანოს** კვესაძე ივანე... და კიდევ **ნულს** დემეტრაშვილის მამულის, რისაც მჭონებელია ისიცივ მოგვიცემია... (სს, II, გვ. 483).

აბანო 1750 – იხ. თორმანეული

აბანო 1798 – ... ჩვენ, მდივანბეგებმა მოვისმინეთ საჩივარი დავითისშვილის ზაალისა და რამაზიშვილის შანშე მილახვრისა... შანშემ პირველის მეფის ერეკლეს წიგნი მოიტანა ... რომ ... ლევანს [რამაზიშვილს] მიეცით რიკაძე დათუნა თავის მამულითაო, აბანოს ქვათავრაშვილი ბერუკა... ჩვენ ეს წიგნი რომ გავშინჯეთ ... ასე განვსაჯეთ: ... სამი წილი სადავითისშვილოს მამულისა თვალ-დამწვარის [დავითის] შვილებს ... უნდა ჰქონდესთ და მეოთხედი ამ სადავითისშვილოს მამულისა – რამაზიშვილებს... (სს, III, გვ. 180-181).

აბანო XVIII ს. – იხ. ახალციხე

აბანო XVIII ს. – იხ. ნული.

აბანოები. თბილისი

აბანოები 1645 – იხ. ქართლი

აბანოეთი. რაჭა

აბანოეთი 1757 – ... ჩვენ, ბატონმან აბაშიძის ქალმან დარიჯან ... შემოგწირეთ [ნათლისმცემელს] აბანოეთს გლეხი პატარიძე ძიძის შვილი მისის ყოფიანად... (მსკი, 31, გვ. 178).

აბანოეთი 1794 – იხ. ბოგოული

აბანოს ვეძა. კახეთი

აბანოს ვეძა 1746-1749 – იხ. გრემი

აბანოს ვეძის გორი. კახეთი

აბანოს ვეძის გორი 1746-1749 – იხ. გრემი

აბანოს კარი. თბილისი

აბანოს კარი 1784-1790 – იხ. ქალაქი

აბანოს ხიდი. თბილისი

აბანოს ხიდი 1795 – [მოხსენება იოსებ ყორღანაშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ...დოშამის ხევებისა რომ გიბძანებიათ ჯავახიშვილებისათვის, არ მოვიდა... დღეს-ხვალობით მოველით. აბანოს ხიდსაც ვმუშაობთ... ჩემის ძმის-წულის... ძალიან ავათმყოფობა მამივიდა და იქ გორს წავიდა... (სს, III, გვ. 361).

აბანოური. შიდა ქართლი

აბანოური 1702 – იხ. ზაკეი

აბანურის წყალი. შიდა ქართლი

აბანურის წყალი 1718 – იხ. აბანო

აბარაში კალო. შიდა ქართლი

აბარაში კალო 1412 (1482) – იხ. კავთისხევი

აბრამიშვილის ნაზურევი. ქვემო ქართლი

აბრამიშვილის ნაზურევი 1654 – იხ. ნავიდური

აბაშიძისოული მამული. იმერეთი

აბაშიძისული მამული 1770 – იხ. ჭალა

აბეთი. შიდა ქართლი

აბეთი 1433 – იხ. კოდისწყარო

აბელია // აბალია. ქვემო ქართლი

აბელია 1580 – იხ. სამღერეთი

აბელია 1612-1659 – იხ. ხოფისი

აბელია 1653 – ესე... წიგნი მოგართვით ... ჩუენ, გოგიბაშვილი ყაფიჩიბაშმა დონმაზ ... თქვენ, ბარათაშვილს ... ოთარს... მას ჟამსა, ოდეს ჰელმწიფეთაგან ნაწყალობევი და ნაჯილდოები, ამოვარდნილის საკაძის ზურაბისა და თამაზის სამკვიდრო ... სოფელი აბელია ჩვენ გვჭონდა, და თქვენზედ სამხროდ და მარჯვედ იყო, და ვანქს თქვენი სამკვიდრო ... მამული მიწა და წყალი სომხითს ჩვენზე ახლო იყო, და ერთმანერთის ნება-მყოფლობით ... აბელია ... თქვენ დაგიდევით და გაგიცვალეთ ვანქს რისაც მჭონებელი იყუენით... (სს, I, 1899, გვ. 381-382).

აბელია 1714 – იესე გერმანოზისშვილი და მისი ძმის წულები დათუნა და პაატა აბელიას [ცილობდნენ]... (სს, I, 1899, გვ. 349).

აბელია 1731 – ... ჩვენ, გერმანოზიშვილის დათუნას შვილმა პაპუამ ... თქვენ, ორბელისშვილს ... ქაიხოსროს ... მოგყიდეთ აბელიას კახიშვილი ზურაბა თავის მამულ-დედულითა... (დსხი, I, გვ. 233).

აბელია 1732 – ... ჩვენ, გერმანოზიშვილმა ლუარსაბ ... თქვენ, ყაფლანიშვილის რევაზის ქალს, მარიამს ... მოგყიდე აბელიას შამაშვილის მამული ბუზიარით... (სს, I, 1920, გვ. 87).

აბელია 1733 – ... ჩვენ, გერმანოზიშვილმა ლუარსაბ ... თქვენ, გოსტაშაბისშვილს ქაიხოსროს ... მოგყიდეთ აბელიას ძაბანაშვილი ძაბა და დათუა თავისის მამულითა... (სს, I, 1899, გვ. 453).

აბელია 1735 ... ჩვენ, გერმანოზიშვილმან გერმანოზ ... თქვენ, ყაფლანიშვილის რევაზის ქალს მარიამს ... მოგყიდეთ აბელიას ჩემი ბარათში გამოყოლილი ზაზაშვილი გრიქოლა თავისის მამულით... (სს, I, 1899, გვ. 454).

აბელია 1738 – ... მე, გერმანოზისშვილმა ოთარ ... თქვენ, გოსტაშაბისშვილს ქაიხოსროს ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო ბარათის ყმა აბელიას დარბაისელი ერაჲტას-შვილი, იქივ ჭიხუას'შვილის მამული (დსხი, I, გვ. 274).

აბელია 1756 – იხ. პირმიწეთი

აბელია 1756 – იხ. ცხეკეი

აბელის სოფელი. ქვემო ქართლი

აბელის სოფელი 1612-1659 – იხ. გუდარეხის მონასტერი

აბისი. შიდა ქართლი

აბისი 1633 – [სიგელი თეიმურაზ I-სა ზაქარია ავალიშვილისადმი]: ... მას ჟამსა ოდეს ქართლს ყეენი მოგუიჴდა და ვეღარ დაუდგებით და გარდავედით ლიხთ-იმერით [თქვენც თან გვახლდით]... თქუენისა ერთგულობისა ... სანაცულოდ, გიბოძეთ ისივ თქუენი სამკუიდროდ მეფეთაგან მოცემული

სოფელი **სომანეთი** და **აბისი** ... და შენის მამიდაშვილის ფავნელიშვილის იოთამის კერძი მამული ... მისის სამართლიანითა და გაღმა **ჰერედვითა**. და რაცა ვის რამ მისის მოხდომილის მამულისაგან ჰქონოდეს ... ყოვლითურთ თქუენთჳს გუიბოძებია... (სს, III, გვ. 542).

აბისი 1768 – იხ. **ზემო ქართლი**

აბისი 1778 – ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჭირი მოსცეს ... საყვარელიძე შოშიას... მე თქუენის ბძანებით თორმეტი დღე **აბისს** გახლდი. მისული გოგია ნამორაძე **ტბეთს** და ჩემის მიწების ღალა აუღია... წყალობას ვითხოვთ, სამართალში გვალაპარაკოთ... (ქსძ, VII, გვ. 420).

აბისი 1779 – იხ. **ზემო ქართლი**

აბისი 1779 – იხ. **სურამი**

აბისი 1783 – იხ. **ზემო ქართლი**

აბისი 1789 – [არზა იესე მურვანიშვილისა ერეკლე II-სადმი]: ... ჩემი საჩივარი **აბისსაც** მოგახსენე, მაჭავარიანისა და ჩემი საჩივარი... მაჭავარიანი სუფრიდამ ადგა და წავიდა. გამობრუნდა და **სურამს** მოგვიხდა... (ქსძ, VIII, გვ. 32).

აბისი 1793 – [არზა იუსტინე მროველისა ვახტანგს ბატონიშვილისადმი]: ხარებაშვილს გიორგი მღვდელს **აბისი** სოფელი მივაბარე სანახევროთ... და თორმეტი მინალთუნი თეთრი უშოვია და ოცდაოთხი კოდი პური. ახლა არას იძლევება. და რადგან თქვენი ყმა იყო, ჩვენგან ძალა არ დაიტანებოდა... მე **იმერეთს** გახლდი და ცოლ-შვილით აყრილიყო და **შინდისს** გხლებოდა და ეს თეთრი და პურიც მაშინ წაეღო (ქსძ, VIII, გვ. 196-197).

აბისი XVIII ს. – იხ. **ახალციხე**

აბისი XVIII ს. მიწ. – იხ. **ნიქოზი**

აბისის ჭალა. შიდა ქართლი

აბისის ჭალა 1789 – [იოანე მუხრანბატონი იოსებ მიშკარბაშს]: ...თქვენი წიგნი მომივიდა, რაც მოგეწერა ვიუწყეთ... აქაურს ამბავს იკითხავ: აქავ, **აბისის ჭალაში** ვდგევართ და დავით ნამფარს მოველით, და ღმით ერთს კვირაზე ჩვენც დავბრუნდებით (სს, III, გვ. 53).

აბლევი – იხ. **ამლივი**

აბოწმინდა. შიდა ქართლი

აბოწმინდა 1712 – იხ. **ურბნისი**

აბოწმინდა 1724-1744 – იხ. **ძარწემი**

აბრამეთი. ქვემო ქართლი

აბრამეთი 1633 – იხ. **ზემო ოძისი**

აბრამეთი 1736 – ... მე, უსუბეგისშვილმა ქაიხოსრომ თქვენ, გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს ... ჩემი სამკვიდრო მამული მოგყიდე **აბრამეთს**... (სს, I, 1920, გვ. 89).

აბრამეთი 1738 – ... მე, გერმანოზისაშვილმა ლუარსაბ თქვენ, გოსტაშაბისშვილსა ამილდამბარსა ... მოგყიდეთ ჩემის ყმის გელიტაშვილისა ნასყიდი მიწა, **აბრამეთის** ბოლოს **ალგეთის პირს**, გზას ქვეით დიდი მიწა, გზის

ზევით გრძელი მიწა თავისის სამძღვრით, საწყლისპიროთი, საწისქვილოთი... ერთი საკომლო მარაბდას მოგცე, თუ ეს დამიჩხუბდეს... (სს, I, 1899, გვ. 454-455).

აბუთკარი. შიდა ქართლი

აბუთკარი 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

აბუთკარი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

აბულაშენი. ქვემო ქართლი

აბულაშენი 1628 – [დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი]: ... აბულაშენის ნაოხრს ნასოფლარს წყალობას დაგვეჯენით... გიბოძეთ ნასოფლარი აბულაშენი მისისა ... სამართლიანის სამძღურითა... (სს, II, გვ. 122).

აბულახტარის მამული // აბულახტარისძეთა მამული. შიდა ქართლი

აბულახტარის მამული 1427/1428 – ... ჩუმნ ... მეფისა ალექსანდრესაგან... კათალიკოზი თეოდორე გუჯაჯა და დავანებე ... ამას აქათ აბულახტარის მამული სრულიად ეკლესიითა, სასაფლაოთაი... წირს გორგელისძე დათუა... მკუიდრად სამამულოდ... (ქრონ, II, გვ. 230).

აბულახტარის მამული 1433 – ... მე ... (მოლარეთ-უხუცესმან) ზევდგინიძემა თაყამა ... შევწირე ... (მცხეთას) და კათალიკოზს თეოდორეს მეფეთაგან წყალობად მკვდრად ბოძებული ქუეში ნასოფლარი, პირველ აბულახტარისძეთა მამული ყოფილა მკვდრი... აგარის ნათესავთა ჭელით ... ოჭერ ქმნილი [ყოფილა]... მეფეთა სამკჳდროდ მე მიბოძეს და თქუენ ... მოგაჴსენე... ცოლისა სიძულვილი შემოვიდა ჩემსა ბუნებასა და დავაგდე და სხუაი ცოლი შევირთე და კარბს ორნი გლეხნი მოგაჴსენენ და კანონი თქუენ და მცხეთამან მიიგდეთ და მას უკანით ასი კარბულნი, ორნი გლეხნი დამიხსენით და აბულახტარისძეთა მამული ქუეში მთხოეთ და ... მომიჴსენებია... (ქრონ, II, გვ. 240).

აბულმუჭი. ქვემო ქართლი

აბულმუჭი 1727 – იხ. ახალშენი

აბხაზეთი – იხ. აფხაზეთი

აბჯარეული ზეარი. ჯავახეთი

აბჯარეული ზეარი XIII ს. – იხ. ვანისქვაბები

აგარა. იმერეთი

აგარა 1492 – იხ. სახადი

აგარა. კლარჯეთი

აგარა 1392 – იხ. ტფილისი

აგარა. რაჭა

1071-1080 – იხ. ზნაკვა

აგარა. ტაო

აგარა 1392 – იხ. ტფილისი

აგარა. შიდა ქართლი

აგარა 1170 – იხ. სხალტბა

აგარა 1211-1212 – [ლაშა-გიორგის სიგელი შიომღვიმისადმი]: ... მოგუაჭსენა ქრისტეს გამორჩეულმან სასომან ... წმიდამან მამამთავარმან იოვანე ქართლისა მთავარებისკოპოსმან, **უდაბნოსა მღუიმისა** სოფლისა **აგარისა** საქმე... ჩუენ ვისმინეთ მოჭსენებაი და ჰაჯაი მისი იოვანე ქართლისა მთავარებისკოპოსისაი და გაგუიშუია ზროხისა შებმაი, რომელი ხედა ედვა უდაბნოისა მღუიმისა სოფელსა **აგარასა**, რაიცა **მღუიმისაი** არს საკუირაოისა გლეხითურთ... აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი საგამგეოისა ჩუენისა მოურავთა **მუხნარისა ციხისთავთა**, მეზროხეთა და ყოველთა საქმის-მოქმედთა... დაამტკიცეთ... (ქისკ, I გვ. 110).

აგარა 1230-1235 – [დაწერილი დემეტრე წირკნელისა საბასადმი]: ... აწ თქუენდა მოგუიცემია მკუიდრად მამულად სახლი და პური უკუდავი და **აგარას** ორი ვენაჯი მიწიანი, **სხალტბას** ვენაჯი და მიწანი და წყლისპირს ვახნი, კითხეითა და ნება-დართვითა სრულად **მღუიმისა** კრებულთაითა ... **ბორცვის ჯურის** ... თუ ... **ალგეთი** გაკაცრიელდეს, ამავე საქმითა შენ გაქონდეს, ვენაჯი და მიწანი, რომელიცა **სხალტბას** არიან, ყუელანი; **აგარას**: **გოგოური** – გუთანი ერთი, **ბულახური** – გუთანი ერთი ... **მესხურისა მიწისაგან** – გუთანი ორი, ამას რანიცა მიწისა მეტნი იყოს **აგარას**, თუ ჩემისა გუარისა კაცი არ იყოს **მღუიმეს** ... და რაიცა **რუეთს** ნასყიდნი არიან, იგინიცა გამზრდელისა ჩემისა და ჩემგან მოგებული ყუელაი საბოლოოდ ამა ეკლესიისათუის მიგუიცია. აწ გიბედნიეროს ღმერთმან ერთგულობასა შინა ჩვენსა ... [და] არა შეგეცვალოს ჩემ დემეტრე წირკნელისაგან... (ქისკ, I, გვ. 112-113).

აგარა 1392 – იხ. ტფილისი

აგარა 1447 – იხ. მცხეთა

აგარა 1529-1530 – იხ. ვეძისი

აგარა 1559 – იხ. სხალდიდი

აგარა 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

აგარა 1747-1749 – იხ. ძამის ციხე

აგარა. ჯავახეთი

აგარა XV ს. – იხ. ვანისქვაბები

აგუდანეთი // აგვდანეთი. ქვემო ქართლი

აგუდანეტი 1626 – ... [მეფემან] სუიმონ ... თქუენ ... ბარათაშვილს ამილდაბარის შვილს ყაფარ-ბეგს ... გიბოძეთ თქუენივ ნაქონი **აგუიდანეთი**[1] მისის სამართლიანის სამზღვრითა... (ქსის, გვ. 55-56).

აგუდანეთი 1634 – იხ. დიდგორი

[1] სპარსულ ვარიანტში დაკონკრეტებულია: „საბარათიანოს სოფელი აგუდანეთი“.

აგუდანეთი 1641 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან როსტომ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშუილს გოსტაშაბიშვილს პაპუანას... მჭედელი მგელია დიდს შიმშილობაში აგუდანეთს ყმად დაგსახლებოდა, შეგუნახა ... თქუსმეტი წელიწადი... ჩუენცა ... საბოლოოთ თქუენთვის გვიბოძებია (დსსი, I, გვ. 26).

აგუდანეთი 1713 – [გოსტაშაბისშვილი თამაზ სოსიტაშვილს ასლანს]: ...მოგეცით ჩვენის ბარათში გამოყოლილის მამულებიდან აგვდანეთს სოლომას ნაჭონი სახლკარი, შენ რომ სასახლე გიდგს, ისი უმამულოდ, იქივ ერთი კომლი გელიტაშვილი გიორგი თავის მამულით და წინა ნაფუზრის ნახევრით... (სს, I, 1920, გვ. 130).

აგუდანეთი 1713 – იხ. ღოლოვნა

აგუდანეთი 1732 – იხ. პატიმანი

აგუდანეთი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ადლითი – იხ. იდლეთი

ადმაში. შიდა ქართლი (?)

ადმაში 1786 – ყარა-ისაულბაში ლუარსაბ გწერ, იასაულო გურგენი პოპიაშვილო! მერმე ფარსადან ოსიტაშვილს ოქმი აქვს ჩემზედ, მისი ყმა ლოლაძე ადმაშელი პეტრე რომ არის მარტყოფსა, ახლავ მიდი, თავისი კაცი მიაბარე, თავდები გამოართვი... (სს, I, 1920, გვ. 102).

ადო. ხევი

ადო 1439 – იხ. ხევი

ავაზანი. იმერეთი

ავაზანი 1515-1535 – იხ. კაცხი

ავაზანი. ქვემო ქართლი

ავაზანი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ავაზანი 1633 – იხ. ზემო ოძისი

ავაზანი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ავაზანი. შიდა ქართლი

ავაზანი 1754 – იხ. დიღომი

ავაზანი 1756 – იხ. ორჭოშანი

ავაზანი 1759 – იხ. ძევერა

ავაზნის გზა. შიდა ქართლი

ავაზნის გზა 1716 – ... მე, პარკაძემ პეტრემა ... შენ, დათუნას მღდელსა ... ავაზნის გზის მიწა მოგეცით ზევით გორამდინ, ქვემოთ კიდევ გორაკამდინ, ხეითი გვერდი სუხიტაშვილის მიწის მიდგამამდე, ქვემოთი გვერდი ძამუკაშვილის მიწის მიდგამდი... არის ამისი მოწამე ... ჴელიერთპირ შაშვებელნი (დსსი, I, გვ. 173).

ავაზნის წყარო. ქვემო ქართლი

ავაზნის წყარო 1662 – იხ. აკაურთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავანათი.[2] ქვემო ქართლი (?)

ავანათი XVIII ს. შუა წწ. – იხ. გარეჯვარი

ავანხევი. ქვემო ქართლი

ავანხევი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ავანჯუკი. ქვემო ქართლი.

ავანჯუკი – იხ. წრაუთი XVII ს. II ნახ

ავანჯუკი 1707 – იხ. წრაუთი

ავგაროზული მამული. შიდა ქართლი

ავგაროზული მამული 1669 – ... ესე წიგნი გაკადრეთ ... **რკონისა** ღმრთისმშობელსა ჩუენ, ჯავახისშვილმან პატრონმან ქაიხოსრო... სვიმონ მღუდელის რაც **ავგაროზული მამული** ჰქონდა, ის მამული, მასზედ მსახლობელის კაცით, ჩუენთა მამა-პაპათაგან შემოწირული იყო... აგრეეც ჩუენცა შემოგვიწირავს მღვდელი დავით, მისის **ავგაროზულის მამულითა**... (ქისკ, I, გვ. 159).

ავდარა. ქვემო ქართლი

ავდარა 1657 – იხ. ტაშირი

ავენისი. ხევი

ავენისი 1781 – იხ. პავლეური

ავენისი 1800 – იხ. ბრაჭულთკარი

ავკეთი. შიდა ქართლი

ავკეთი 1463 – ... ჩუენ, მეფეთა მეფემან გიორგი ... მიუბოძეთ [ჯავახიშვილებს] მათივე მკუიდრი სოფელი **ავკეთი** და **იის-ციხე** მათითა მზღურითა... არა ეთხოებოდეს ... არასთანა შემოსაწირი და სათხოვარი ... არა **გორული** და **ატენური**... (ქსძ, II, გვ. 133-134).

ავკეთი 1643 – იხ. არაგვი

ავკეთი 1664-1673 – იხ. წყნეთი

ავკეთი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ავკეთი XVIII ს. – ხეჭაბუკ! მირაზალის მუმეზის კეთილათ სახსენებელო ბატონო... ციცისშვილისაგან რომ **ავკეთი** გიყიდია, მანდ ყადიმი **ურბნელის** მამული არის, ეგ მამული ამაზე არაბაბოჯიმი გვიქნია, შენ ხელი არა გაქვს, გიცისშვილის და შოშიაშვილის მამული არის და ან სხვა სულ **ურბნელზე** არის არაბაბოჯიმი, რაც მანდ **ურბნელს** ქონია ბატონო (სს, I, 1899, გვ. 333).

ავკეთი 1780 – იხ. დოესი

ავლაბარი // ჰავლაბარი // ალვაბარი. თბილისი

ავლაბარი 1392 – იხ. ტფილისი

ავლაბარი 1654 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... გიბოძეთ თქუენ ... სასახლის თავილდარს ყაიბულასა ... **ალვაბარში** ... ზალიკაშვილი ამოანა ... ყოვლითურ რისაც მამულის მქონებელი იყოს... (ქსის, გვ. 246).

---

[2] ვანათი?

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლაბარი 1654 – [წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ხოჯა ბეჰბუთასადმი]: ... **ქალაქის** სასაფლაო რომ არის **ალვაბრისაკენ მახათას** ქვეშეთ, იქ თქუენის მამა-პაპათა და ჩამომავალთ ნაქონს მკუიდრს სასაფლაოზედ საყდრის აშენების დასტურის დაცემას დაგვიაჯენით. ჩვენცა ... ნება დაგრთევით და [თქვენც] საყდარი ააშენეთ ... და **ხევიდამე** წყალი გამოიტანეთ... [გარდა ამისა] გიბოძეთ წყალი მისის სათავითა. იმას გარეთად მეორე წყალი **მახათას** ძირიდამე გამოიტანეთ. იმ ბაღის სამძღვარი თქუენის სასაფლაოს მიდგომამდის, ზედათი მხარი ორისავე წყლისა სათავემდისინ: ერთის მხარით **ხევამდისინ** და **ქალაქის შარის** მიდგმამდის და **ხატის მღრთების** სალოცავამდი. ესები უკლებრად ... თქუენთუის ... გვიბოძებია... (ქსის, გვ. 244).

ავლაბარი 1673-1682 – იხ. **წოდორეთი**

ავლაბარი 1681 – იხ. **წოდორეთი**

ავლაბარი 1683 – ... ჩვენ, ტოტოათ ბაინდურას შვილმა ბეროამ ... თქვენ, **ქალაქის** მოვრავსა ... **ავლაბარში** ... მოგყიდეთ ერთი თავა სახლი ... [და] ერთი სათონე... არის ამისი სამზღვარი: ერთი გუერდი ხატიას სახლებს მოკიდებით, ერთი გუერდი დარჩიას ნაოხარს სახლებს მოკიდებითა და ორი გუერდი ორღობე და შარა არის (დთი, I, გვ. 40-41).

ავლაბარი 1683 – იხ. **წოდორეთი**

ავლაბარი 1693 – ... ჩვენ, ჭიჭაშვილა ბერმა და ჩემმა შვილმა შერმაზან, თქვენ მდივანს გივს... მოგყიდეთ ჩვენი თავი... და თქვენ **ავლაბარში** თქვენი ნასყიდით სახლ-კარი გვიბოძეთ... არის ამისი... მოწამე: **ავლაბრის** სარდარი... (დთი, I, გვ. 51).

ავლაბარი 1701 – იხ. **ქალაქი**

ავლაბარი 1706 – ... [რამაზა **ტფილელ** მიტროპოლიტს] შემოგეხვეწე ... და თქუენ ... [ვალისგან] დამიხსენით ცოლშვილითა და **ავლაბარში** დამასახლეთ... უწინაც ერეკლეს მეფის დროს **აღისტვეიდამ** მოველ და თქვენს საყდარს ვეყმე და ახლაც ... არას კაცს ჩემთან ჭელი არა აქვს... (ის, V, გვ. 8).

ავლაბარი 1707 – იხ. **მეღვრეე**

ავლაბარი 1710 – ... მე, სოღროანთ მარქარაშვილმა ოჰანამ შენ, ჩემს ძმისწულს ფარსადანს და შვილსა შენსა ოსეფას ... მოგყიდე **ავლაბარში** რაც ჩემი კერძი სახლის ალაგი არის, თუ დუქნის ალაგი არის, მისის სამძღურით... (დთი, I, გვ. 83).

ავლაბარი 1712 – იხ. **ურბნისი**

ავლაბარი 1713 ახლო – ... ჩვენ, ჭიჭაშვილა ბერმა და ჩემა შვილმა შერმაზან, თქვენ მდივანს გივს... მოგყიდეთ ჩვენი თავი... და თქვენც **ავლაბარში** თქვენი ნასყიდით სახლ-კარი გვიბოძეთ... არის ამისი... მოწამე... **ავლაბრის** სასადარი მათიაშვილი ოტია... (დსსი, გვ. 156).

ავლაბარი 1722 – ... ჩვენ, **ავლაბრელი** მახარას შვილმან დემეტრემან ... თქვენ, წინამძღვარს ონოფრეს ... ჩვენი თავი მოგყიდეთ... (ის, V, გვ. 35).

ავლაბარი 1723 – [ვახტანგ VI-ის მიერ ყმების წყალობის წიგნი მეითრიშვილებისადმი]: ... თქვენი მამის ნაქონი სამკვიდრო თქვენთვისვე გვიბოძებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქს ჩერქეზის-შვილი ოქრომჭედელი ზურაბა თავის სახლ-კარითა და ქონებითა, **ავლაბარში** ასლამაზა კანკურაშვილი და მისი ძმა ბეჟუა... (დსხი, I, გვ. 200).

ავლაბარი 1732 – [ოქმი ისაყ ფაშისა ქალაქის მელიქ აშხარბეგისადმი]: ... მერმე რაც ნუსხა მიგვეცეს ამ ზაზა გარაჟანიძისათვის ასაყრელ გლეხებისა და **ქალაქსა** და **ავლაბარში** და **გარეთუბანს** იყვნენ, სულ ყველანი ... აყარეთ და ამ ზაზას მიაბარეთ, რომ **ავჭალის ციხეში** მიასხან და იქ დაასახლონ (დთი, I, 158-159).

ავლაბარი 1737 – იხ. **უჯარმა**

ავლაბარი 1768 – ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მისცეს **ავლაბრელ** ნასრანი შვილს მახარეს შვილს დათუნას. **ქალაქს** რომ ყიზილბაში შემოადგა, ურუმებმა კარები დაკლიტეს. მამაჩემიც მაშინ აქ, **კახეთში** წამოვიდა... (ქსძ, VII, გვ. 141).

ავლაბარი 1769 – ... ჩვენ, ჩითახათ ჩითახას შვილებმა ... თქვენ, **ჰავლაბრის** მამასახლისის შვილს **მეტეხის** დეკანოზს იესეს ... მოგყიდეთ ჩვენი მამა-პაპათ ჰალალი თეთრით ნასყიდი ორი დუქანი და ნახევარი, რომ არის ეს დუქნები: ერთი დუქანი დიდ ხარაზხანაში ასას ასლანანთ საფარას შვილი პაპასაგან ნასყიდი და ერთი დუქანიც **სიონის ჭუჩის** პირში გორელი კაჭკაჭანთ ერანასშვილი ალიხანასაგან ნასყიდი... (დთი, I, გვ. 329)

ავლაბარი XVIII ს. II ნახ. – **ავლაბრელმა** იასემ უჩივლა **წედელს** ხალიასშვილს გაბრიელას... (სამდ, გვ. 53).

ავლაბარი 1777 – ... ესე თავის შემოწირულობის წიგნი მოგართვი შენ ... **ტფილისის სიონთა ღვთის მშობელსა** და ... ტფილელ მიტროპოლიტს მიხაილეს მე, **ავლაბრელმა** კენჩხაძის შვილმა გურგენამ... ასე რომ მე დავიკარგე ლეკში ... და შენმან მადლმან იმ ტყვეობიდამ განმათავისუფლა. მოველ **ქალაქს** ... და შენს დიდებულს ტაძარს ჩემი თავი მოვართვი... (ის, V, გვ. 91).

ავლაბარი 1779 – იხ. **წყნეთი**

ავლაბარი 1781 – ... ბატონისშვილმან გიორგიმ ... **ქსნისა, თიანეთისა, ალჯაყალისა** და **ლორე-ფამბაკის** მპყრობელ-მჭონებელმან ... გიბოძეთ შენ ... მაყაშვილს სვიმონს ... **ჰავლაბარში** ვინცა-ვინ **ლორელები** ჩვენი ყმანი სახლობენ ... იმათი მოურაობა... და ამას გარდა, იქავ **ქალაქში** კიდევ ვინცა-ვინ **ლორელი** აზნაურშვილები არიან და რამდენიც კომლნი ჩვენი საბატონიშვილო თათრები სახლობენ, ამათი მოურაობაც შენთვის ... გვიბოძებია... [დამტკიცება]: ჩვენ ... ირაკლი მეორე, მეფე ყოვლისა **ზემოისა საქართველოსა**, ამ ... სიგელს ვამტკიცებთ... (სს, II, გვ. 550-551).

ავლაბარი 1781-1782 – იხ. **ქალაქი**

ავლაბარი 1782 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი **გორელს** დათუნაშვილს გიორგის მოსცეს... გევედრებით: რადგან თქვენნი ყმანი გახლავართ, **ავლაბარში** ერთი სადუქნე და ერთი სახლის ადგილი გვებოძოს... (ქსძ, VII, გვ. 542).

ავლაბარი 1784-1795 – იხ. **ახმეტა**

ავლაბარი 1786 – იხ. **ნათლუღი**

ავლაბარი 1788 – იხ. კუკია

ავლაბარი 1791 – იხ. დიდომი

ავლაბარი 1796 – [დარეჯან დედოფალი პოლკოვნიკ სირხნევს]: რომელნიც ავლაბარში ჩვენი ყმანი სახლობენ ... ადა-მაჰმად-ხანისაგან წამხდარნი არიან... სანამ ჩვენ მოვიდოდეთ ... ეგ ჩვენი ყმანი თქვენთვის მოგვიბარებია... (სს, III, გვ. 250).

ავლაბარი 1796 – იხ. ახპატი

ავლაბარი 1798 – იხ. წინწყარო

ავლაბარი 1800 – იხ. ბრეთი

ავლაბრის ბაღი. თბილისი

ავლაბრის ბაღი 1749 – იხ. ციხის მეიდანი

ავლაბრის სასახლე. თბილისი

ავლაბრის სასახლე 1791 – იხ. ტფილისი

ავლაბრის საყდარი. თბილისი

ავლაბრის საყდარი 1749 – იხ. ციხის მეიდანი

ავლაბრის ციხე. თბილისი

ავლაბრის ციხე 1781-1782 – იხ. ქალაქი

ავლაბრის ჭალა. თბილისი

ავლაბრის ჭალა 1392 – იხ. ტფილისი

ავლევი. შიდა ქართლი

ავლევი 1787 – იხ. ავნევი

ავლევი 1792 – [განჩინება ერეკლე II-ისა]: ამირეჯიბები გაყრაზე ლაპარაკობდნენ... ავლევის სასახლის ზვარიც სამად უნდა გაიყონ... (ქსძ, V, გვ. 578).

ავლევი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ავნევი // ავნები // აბანევი. შიდა ქართლი

ავნევი 1750 – ...ჩვენ, ფალევანდისშვილმა ზაალ ... თქვენ ... ამილახორისშვილს იესეს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ბარათის კაცი და მამული ავნევს... (დსხი, I, გვ. 345).

ავნევი 1754 – ფალავანდისშვილი ვახტანგ და თეიმურაზ სახლისკაცობაში გაიყარნენ... ავნევის ზვარი შიოშის შვილის კერძი ნასყიდი დარჩა თეიმურაზს. თერეგვენს რომე ზვარი არის ნასყიდი, ის ვახტანგს დარჩა... სასახლისათვინ ბადალათა ორბელაძის მიწა და ბიძინას სასახლის ადგილი ჩვენი წილი ორბელაძის სამოსახლო და კალათის მინდვრის ხოდაბუნი – ესენი ვახტანგს დანებდა (ქსძ, IV, გვ. 426-427).

ავნევი 1754 – იხ. დიდომი

ავნევი 1771 – იხ. ტინის ხიდი

ავნევი 1776 – იხ. ავლაბარი.

ავნევი 1780 – იხ. სამაჩაბლო

ავნევი 1782 – მის სიძაღლის ბრძანებით გიორგი მინბაში თარხანი და საამის შვილი ეშიკხში **ავნევს** მივედით. ამილახვარ იესე მდივანბეგს სიქოურაშვილი უჩიოდა: **ვარდანს** სასახლე ნასყიდი აქვს, ამილახვარი არ მანებებსო... ამილახვარმა ერთი სიგელი წამოაყენა, ესრეთ ეწერა: მოგყიდე ჩემი სასახლე **ავნევს** წინ მეიდნითა და ჭალითა წილიმდის წყლითა და წისქვილითა, მეიდნის პირი დიდს ნერგებამდის და ნერგებს გასწვრივ ქვემო სასახლის პირი, უკან მიწა და ჭალა ფონემდინ ეწერა (ქსძ, V, გვ. 189).

ავნევი 1787 – ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს დავითისშვილს ელისბარს! მერე ტატისშვილი იოთამ რომ მოგახსენებთ ... ჩემი ბიძასშვილი გალახა და მოკვდაო, ეგ იოთამ ჩემთან გახლდა, მაგან მოიყვანა ჩემთან, მაგანვე წამოიყვანა... **აბანევს** გამოიარა... **დავანს** გამოიარა... **მმშივალეთს** თავის სახლში მოიყვანა... იმ ღამეს **დირბს** გახლდათ... რომელმა მომაკვდავმა მოიარა ხუთი სოფელი? იქიდამ მეორე დღეს **მეჯვრისხევს** გავიდა... (სს, II, გვ. 497-498).

ავნევი 1787 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... ზაალ მხეილაძის ქვრივს ჯავარას მოსცეს... [ჩემი] ერთი მუახლის შვილები – კვირია და იმისი ძმები ამილახვართან მივიდნენ და **ავნევს** დადგნენ; მეორე მოახლე თავისის ქმრითა და შვილებითა – ხარაზიშვილი ბერი **ავლევს** დადგა... [გთხოვთ, ის ყმები ამოყაროთ] (ქსძ, VII, გვ. 736-737).

ავნევი 1792 – [არზა ამილახვრის ქალის მაიასი ერეკლე II-ისადმი]: თქვენგან სამართლით განსჯილის განაჩენით ბოძებული **ავნევი** ჩემმა დედამ მე მომცა აღსარულის ჟამს; და მანამ ცოცხალი ვარ, ვალი დამდვა: მიცვალებულთ მოხსენების დღეებში წირვას ნუ დამაკლებო... (ქსძ, VIII, გვ. 152).

ავნევი 1792 – [არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა]: **ავნევს** მამულები მაქვს სამკვიდრო და ნასყიდობა ჩემი სახლისკაცისაგან, ნასყიდ მამულში მკვლენ, არ მანებებენ. ნასყიდობის წიგნებიც ხელში მიჭირავს, თქვენი ოქმებიც მაქვს, მაინც არა მეშველა რა (ქსძ, VIII, გვ. 177).

ავნევი 1792 – ... ფალავანდიშვილი ერეკლე ასე ჩიოდა: **ავნებს** ჩემი ნასყიდი და უსყიდი მამულები ამ შანშეს [ერისთვისშვილს] უჭირავს და არ მანებებს, სამართალი მაღირსეთო... წმინდი გიორგის **გერს თვის** კარზე მივახი [მოწმეები და ვაფიცე]... ჩვენ **აბაზს** დეკანოზი და მღვდელი ამისი დამსწრენი ვართ (ქსძ, V, გვ. 583-585).

ავნევი 1793 – [არზა ამილახვრის ქალის მაიასი ერეკლე II-სთან]: **ავნევს** ჩემის დედის ნასყიდნი რომ მებოძა, ერეკლე ფალავანდიშვილმა უსამართლოთ მედავა და მოსავალი მოიტაცა... (ქსძ, VIII, გვ. 214).

ავნევი 1794 – იხ. **დირბი**

ავნევი 1797 – ... ერისთავის შვილის შანშესი და იაკობ ფალავანდიშვილის საქმისა და მამულების მორიგება ... [იულონ ბატონიშვილმა] მე, დიმიტრი დიასამიძე მიმბაშს, მიბძანა. მოვედი ამათთან **ავნევს**... სანშეს იაკობ ედავებოდა სავენახე მიწებსა (ქსძ, VII, გვ. 41).

ავნევი 1799 – იხ. **ბერშოეთი**

ავნევი 1799 – იხ. სადავითისშვილო

ავნევი XVIII ს. მიწ.– იხ. სურამი

ავნჯუკი – იხ. ავანჯუკი

ავჭალა // ჰავჭალა // ავჯალა. კახეთი

ავჭალა 1392 – იხ. ტფილისი

ავჭალა 1579 – იხ. მცხეთა

ავჭალა 1580-იანი – ჯანდიერისშვილებმა ... წიგნი მოგახსენეთ თქუენ – [გურამიშვილებს], ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენსა და თუქუნ შუა ბევრი რამ სარჩელი იყო გლდნისა და ავჭალის წყლის საქმეზედა... მოგეცით ლომსაურთ რუ და დაგანებეთ. ასრე რომ, წყალცოტაობა იყოს – ცოტაობით არ დააკლდეს ავჭალას წყალი და დიდი იყოს – დიდობით (ქსძ, VI, გვ. 606).

ავჭალა 1682 – იხ. დიდუბე

ავჭალა 1722 – იხ. მარტყოფი

ავჭალა 1732 – იხ. ავლაბარი

ავჭალა 1753 – იხ. ერთაწმინდა

ავჭალა 1756 – ავჭალელმან სომეხმან მიტიჩამ ძევერელს კაცს ხუთი კოდი პური უჩივლა (სამდ, გვ. 33).

ავჭალა 1769 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ავჭალელს მათ ყმას ტერ-ყაზარას შვილს გიორგის. თიანეთს ხიზნად გახლდით, თქვენის ბრძანებით გვახელით ავჭალას. გივი სუფრაჯის ქვრივი მეუბნება: თუ ჩემს კედლათ არ დასდგები, აქ არა დაგაყენებო... [ერეკლე II-ის ოქმი]: როგორც ყოფილხარ ... ისე იყავ ამ გურამისშვილს ზაალთან (ქსძ, VII, გვ. 149).

ავჭალა XVIII ს. შუახ. – იხ. გარეჯვარი

ავჭალა 1772 – იხ. თუშეთი

ავჭალა 1777-იანი – იხ. არაგვი

ავჭალა 1779 – დმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს გურამიშვილს ზაალს. ყიზილბაშობას თრიალეთიდამ ტერ-ყაზარა ჰავჭალას მამაჩემს მოსვლია, ყოფილა ჰავჭალას; არბაბობას ჰავჭალელები რომ აყრილან, ის ტერტერაც ჰავჭალელთ თან მიჰყოლია; მასუკან არბაბობა რომ გარდავარდა და ჰავჭალელები თავიანთ ალაგს მოსულან, ის ტერტერაც თან მოჰყოლია. ბოკოწინის გალავანს რომ აკეთებდნენ, იმ ხანათ ჰავჭალელნი საგურამოს მივიდნენ. ის ტერტერაც ჰავჭალელებთან საგურამოს მისულა. იქიდამ რომ ჩამოსულან ჰავჭალას, ისევ თან ჩამოჰყოლია. რომ კიდევ წახდა ავჭალა, ის ტერტერაც ავჭალელებთან თიანეთს მივიდა, რომ იმ ტერტერას შვილი მამაჩემს მსახურათ ხლებია. ტერტერა თიანეთს მოკვდა. ამას წინათ ავჭალა რომ კიდევ აშენდა, იმ ტერტერას შვილმა თქუენ არზა მოგართოთ: გურამისშვილი ყმად მეჭიდებაო.. თუ გამომართმევთ, ნება თქუენია (ქსძ, VII, გვ. 430).

ავჭალა 1779 – იხ. დიღომი

ავჭალა 1780 – იხ. **გულგული**

ავჭალა 1781 – ... ავიღე მე, **ავჭალელმა** ვარდანანთ ზურაბას შვილმა ივანემ თქვენ, გორჯასპი მდივნის შვილი მდივნის მანუჩარისაგან რვა თუმანი ქალაქის თეთრი... მე, **ციხის დიდის** ეკლესიის დეკანოზი ... ტერ არაქელამ ... მოწამეც ვარ ამისი (მსეი, II გვ. 55).

ავჭალა 1781 – იხ. **ჭივჭურის მიწა**

ავჭალა 1783 – ... ჩვენ, მდივანბეგი თეიმურაზ, ყორიასაულბაში ზაალ და ბოქაულთხუცესი პაპუა ამოვედით **ავჭალას** გურამიანთ სადაოზედ... ასე გავშველეთ: ... **მტკვრის** პირისაკენ რომ ფარეხები არის, ზაალს თავისი წილი უნდა დაანებონ და თავეთ წილში გააკეთონ ფარეხი (ქსძ, V, გვ. 220).

ავჭალა 1784 – იხ. **კურწიკამი**

ავჭალა 1797 – ღმერთმან საქართველოს პატრიარქის ანტონის ჭირი მოსცეს ზაალ გურამიშვილს, **ავჭალას** რომ გიახელით, მაშინ ჩემს განაყოფებს საბა დეკანოზი ჰყვანდათ მღუდელთ და ჩემს მღდელს ჩემი წილი კაცი ეჭირა სამწყსოდ და ზემო **ავჭალა**. [კათოლიკოს ანტონ II-ის ოქმი]: გიორგი მღუდელმან ამ ზაალის სახლობას და ამის საქმოს უმღუდელოს და ტატიშვილმა იოანე მღუდელმან სხუათ **ქუემო ავჭალას** მყოფთ უმღუდელოს (ქსძ, VIII, გვ. 411-412).

ავჭალა 1798 ახლო – იხ. **მარაბდა**

ავჭალა 1800 – [მსაჯულთა განჩინება]: ... **ავჭალას** სოფელს გარდა ამ მდგომარეს ქამში გურამიანთ სხვას თავეთს სოფლებში შენობა არსადა ჰქონდათ ... და ეს სამართალი მიეცით: რადგანც ზაალ [გურამიშვილი] უფროსის კაცის შვილია და გურამიანთ მამულის მონახევრე და ახლა **ავჭალის** სოფელს იყოფენ, უფროსს საუფროსო საქართველოს სამართლის ძალით არ დაეჭირვის. **ავჭალის** მამული უნდა გაიზომოს და რამდენის დღის მიწაც დადგეს, ათზედ ერთი საუფროსოდ ზაალს უნდა მიეცეს... (ქსძ, VI, გვ. 173).

ავჭალა 1800 Заал Гурамишвили жаловлся нам, что рыбопромишленники ему за ловлю рыбы в **Куре** не платят... Заал еще прежде говорил жителям **Авчал** ... чтобы заплатил галлу, а потом устроил-бы забойку. Заал – прибережный владелец... с забоев ... в **Куре**, Заал должен получать половину дохода... (ГКГ, გვ. 77).

ავჭალა 1800 – იხ. **ნული**

ავჭალის ციხე. კახეთი

ავჭალის ციხე 1732 – იხ. **ავლაბარი**

აზალდური მამული. შიდა ქართლი

აზალდური მამული 1780 – იხ. **არაგვის საერისთაო**

აზამბური. კახეთი

აზამბური 1553 – ჩუენ ... მეფემან პატრონმან ლეონ ... ესე ... სიგელი გკადრეთ ... თქუენ ... არქიმანდრიტ ნინოწმინდელსა ზაქარიას... **აზამბურის** ღალა შემოგუიწირავს წმიდისა ნინო მოციქულის საყდრისათუს ასრე და

ამა წესითა, რომე რასაც საყდრის ყმა **აზამბურშიგა** მოჴნევდეს, მისი ღვ-
ლა ... საჩუენოდ არა ვსთხოვოთ... (ის, III, გვ. 63-64).

აზი. კახეთი

აზი 1579 – იხ. მცხეთა

აზი 1751 – იხ. ჯაჭვი

აზიკი // აზიკვი // აზიკუნი. ქვემო ქართლი

აზიკი 1523 – იხ. მძოვრეთი

აზიკი 1591 – იხ. ამლივი

აზიკი 1654 – იხ. თრიალეთის პირი

აზიკი 1713 – იხ. გუნანეთი

აზიკი 1713 – იხ. ღოლოვნა

აზიკი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

აზმა სოფელი. ქვემო ქართლი

აზმა XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ათენაგუენის მონასტერი. ქვემო ქართლი

ათენაგუენის მონასტერი 1338 – იხ. კოჟორი

ათორმეტნი უდაბნონი – იხ. უდაბნო

აიბაში. ქვემო ქართლი

აიბაში 1792 – იხ. ბალიჭი

აიდარბეგი. ქვემო ქართლი

აიდარბეგი 1703 – იხ. ტაშირი

აიდარბეგი 1703-1711 – იხ. ტაშირი

აივაზალუ // ეივაზლუ // ეივაზლო // ეივაზალო. ქვემო ქართლი

აივაზალუ 1774 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს **აივაზალუში** მსახლოებელსა... მოეგხსენებათ, იქიურს რუზე რა ჭირნახული გავწიევთ. შულავრელთ წყალი მოიტანეს და ჩვენს რუში ჩაუშვეს, ღვარისა ქვიშითა და მიწით აავსეს. ორი ხიდი იდვა, რომ იმით საქონელი ზედა გადიოდა, ისიც დააქციეს... მოსავალი მოურწყავი დაგვრჩა. ამ წყალობას ვითხოვთ: ... წამხდარი რუ .. და ხიდები ... იმათვე გააკეთონ (ქსძ, VII, გვ. 247-247).

აივაზალუ 1780 – იხ. ბორჩალო

აითარნე. აფხაზეთი

აითარნე 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

აკანათერი // აკანათერა // აკანათელი. ქვემო ქართლი

აკანათერი 1641 – ჩუენ, მეფეთა-მეფემან ... როსტომ ... თქუენ ... ზურაბის ძმისწულთა ყაფარასა ... გიბოძეთ **აკანათერა**, თქუენი სამართლიანი სამკუ-იდრო მამული, ვასაკას სოფელი თქუენი კერძი სამართლიანი მამული; **ყუ-ზანას ნასოფლარი... ხორის სოფელში** თქუენი საკერძო მისი მამულითა; ვანქს რისაც მამულის მოწყალე იყო გლახითა და ყოვლის ფერითა, ზემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლნის ჩუენი წყალობა და მელიქისაგან მოსყიდული გლეხით ასლამაზა, ვენახი, მიწა, წყალი და კიდევ ნასყიდი წისქუილი, **ახალშენი; ჭუმო ბოლნისს** სურათაშვილი ველია და **შუაბოლნისს** დურია მისის სამართლიანის მამულითა... თქუენი კერძი ნაოხარი **აკრავაშენიც** თქუენთვის გუიბოძებია... **სომხითისა** ტარულანო და მელიქნო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ... (ქსს, გვ. 158).

აკანათელი 1702 – იხ. **ხანძორკერტი**

აკარიანის მთა – იხ. **აკრიანის მთა**

აკაურთა // აკურთა. ქვემო ქართლი

აკაურთა 1537-1538 – იხ. **დმანისის ციხე**

აკაურთა 1662 – [განჩინება ბარათაშვილთა მამულის საქმეზე]: ... **აკურთიდამე** რომ **საქალაქე შარა** გამოვა, **ავაზნის წყაროს** ძირს გამოიველის და **დისუელის** პირს მოადგების, გზას ქუეითი იოთამიშვილებისა არის და გზას ზედათი აბაშიანთი (ქსძ, IV, გვ. 121).

აკაურთა 1778 – ღმერთმან მართლმსაჯულთ მდივანბეგთ ჭირი მოსცეს დოლენჯიშვილს იოანეს... როსტომ მეფის ჩიგნი ასე აცხადებს: დოლენჯიშვილებს გიბოძეთ ამოწყვეტილის ბარათაშვილის მელქისედეკისა და ჩუენის მოღალატის რევაზის კერძო **აკაურთაო**. და იმ დღით აქამდე მეფეებს არ შეუცვლიათ... **აკაურთა** თავეთი წილი დოლენჯიშვილის დარჩა (ქსძ, V, გვ. 61-63).

აკეთი. გურია

აკეთი 1657-1660 – ... ჩუენ, ჭელმწიფემან დადიანმან პატრონმან ვამეც ... შემოგწირეთ ... ბიჭვინტისა ღმრთის-მშობელსა **გურიას** საწინამძღურო მაცხოვარი **აკეთისა**. მას ჯამსა, ოდეს დიმიტრი ბერად იყო და მერმე გურიელად დავსვით; და ბერობის დაგდების საკანონოდ შემოგწირეთ... (ქსძ, III, გვ. 535).

აკეთი 1657-1660 – ... ესე წიგნი და სიგელი მოგართვით თქუენ ... ბიჭვინტისა ღმრთისმშობელისა ზედამჯდომარესა აფხაზეთისა კათალიკოზსა პატრონს ზაქარიას, ჩუენ პატრონმან გურიელმან სვიმონ და პატრონმან დიმიტრი გურიელმან ასრე და ამა პირსა ზედან, რომე: ... ალექსანდრე მეფემან შეგვიწყალა და გურიელობა გვიბოძა და ბერად აღთქმული ვიყავით და შენდობა გთხოვეთ და გუიბოძეთ და მისდა საკანონოთ მოგართვით **აკეთის** საწინამძღრო მისის მამულითა, შესავლითა და გასავლითა... (ქსძ, III, გვ. 536).

აკეთი 1657-1660 – იხ. **ღეჯის ტყე**

აკეთი 1713 – ... ჩუენ, ჭელმწიფემან გურიელმან პატრონმან გიორგი ... ვიგულისმოდგინეთ შეწირვად შესაწირავისა ამის ... ბიჭვინტისა ღთისმშობელო... **აკეთს** ართმელაძეს მამუკას ... მამული რაც არის კუამლი კაცებით ... შენთვის შემოგუიწირავს... **აკეთს** სახახლე და მისი მოჯალაბე... **ასკანას** მარანი ერთი კარგი... ამას გარეთ **აკეთს** ორი განაყოფები კუამლები ჯოჯიკა გიორგი და იოვანე მათის ცოლშვილით ... **ლანჩხუთს** დავითაი ცინცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ყოვლისფერით ... შეიწირე დედოფალო ღთისმშობელო ბიჭვინტისაო, ნაცვლად მოგვაგე მადლი და მეოხება შენი ... ამის მოწამენი არიან ... **აკეთს** უხუცესი მამუკა და ტატუა, ღოღაბერიძე დათუნა, ნაკაშიძე ბეჟან... (დსსს, II, გვ. 108-109).

აკეთი 1780 – [შეწირულების განახლების წიგნი გიორგი გურიელისა]: ...ძველთაგან ჩვენი სახლისკაცს **აკეთის** საყდრის საწინამძღვრო ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვინ შეეწირა. მერმეთ ბატონი კათალიკოზი მაქსიმე მობრძანდა ჩვენთან და **აკეთის** შეწირულობის სიგელი გვიჩვენა... და ჩვენც სიგელი დაგვიმტკიცებია, როგორითაც პირველ ყოფილა ისე (ქსძ, VI, გვ. 724).

აკნვალი. არაგვის ხეობა

აკნვალი 1774 – [მორიგე ლაშქრის ნუსხა]: ... **აკნვალიდამ** ბოგანო **ლაუშელი** პაპვიაური ხახიაშვილი... ბოგანო **ჩინთელი** ავთანდილ კობიაშვილის ყმა მანგიაური... ხიზანი სულხან ხიმშიაშვილის ყმა **ძაგნაკორელი** ბიბიაშვილი... ხიზანი **სამცხეთო კარსნელი** ბერიკას-შვილი... **არანისიდამ** ზანდუკელი ზურაბის-შვილი მამუკას ყმა მოძმერაძე... ხიზანი გერმანოზის-შვილი პაპუას ყმა **გუდარეხელი** რამნაძე... აზნაურშვილის გიორგის ყმა თეთრაული... სახასო **მაღაროელი** სინჯის-შვილი ედიშერ... ზურაბ სუფრაჯის ყმა **ლიყურული** ქიტუას-შვილი ღარიბა... **ხანდოელი** ზურაბის-შვილის მამუკას ყმა ზარიძე... (სეიძ, II, გვ. 118-120).

აკოფას სოფელი. ქვემო ქართლი

აკოფას სოფელი 1657 – იხ. **ტაშირი**

აკრავაშენი. ქვემო ქართლი.

აკრავაშენი 1765 – იოთამის შვილს რევაზ უზბაშს **ლორელები** ალიხანაშვილს ... ედავებოდნენ. ჩვენ, ბატონიშვილმა გიორგიმ ამათი საჩივარი მოვისმინეთ. **ლორის** ქალანთარი და მელიქი ვალაპარაკეთ. მოწმეებით სარწმუნო შევიქენით, რომ ეს ალიხანაშვილი ... იოთამიშვილებისა ყოფილიყო, **ტაშირზე აკრავაშენს** ნასახლები (ქსძ, IV, გვ. 514).

აკრიანის მთა. კახეთი

აკრიანის მთა. 1722 – იხ. **მარტყოფი**

აკრისი. ქვემო ქართლი

აკრისი 1756 – იხ. **ცხეკვი**

აკუნი. ქვემო ქართლი

აკუნი 1741 – იხ. **ქვეში**

აკურა // ახურა. კახეთი

აკურა 1597 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე ... წიგნი და გუჯარი ... მოგახსენეთ თქუენ ... **წმინდას ნინოს**... ჩვენი უხუცესი და, პატრონი ქეთევან ... თავისის მამულისაგან ექსორია ყვეს... მივეცი მონასტერი მეტოქი და სახიზარი თქუენი და **უდაბნოსა გარეშჯისა** და დავაყენეთ მონასტერსა მას შინა **აკურისასა** და დავანებეთ, რაცა მისი შესავალი იყო ამა წესით: ვითა სადამდის ცოცხალ იყოს ... პატრონი ქეთევან, მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდეს ასრე რომე, რაც წინამძღუარსა იქი მდგომსა ჰქონებოდეს და ეჭამოს, ისი ჩვენმან დამან იკმაროს და ჭამოს... რარიგათაც ამას წინათ ყოფილიყოს, **ნინოწმინდის** სამწყსო და მეტოქი იყოს და სახიზარი დიდის **უდაბნოსა**... სხუა ბედნიერის პატრონის მეფის ლეონისაგან ასრე გაჩენილიყო, რომე **წინა-უკანას საგარეჯოს** გამოსაღები ნახევარი **მცხეთისათჳს** შეწირული იყო და ნახევარი **უდაბნოსა გარეშჯასა**[3] (წმსი, I, გვ. 4-5).

აკურა 1708 – ... ჴემწიფემან პატრონმან იმამყულიხან ... დაგიმტკიცეთ **ტაძარსა უდაბნოსა** და **საფლავსა წმინდისა დავითისასა** ... ბატონის ლევანისა და ბატონის ალექსანდრესაგან შეწირული ... სოფელი **აკურა**... ჯამთა ვითარებისაგან უბატონობაში ოხია ყორჩიანთ ჴელი მოეკიდათ და თავისით დაეჭირათ. და ბატონი პაპა ჩვენი მეფე თეიმურაზ რომ **იმერეთს** ბძანებულიყო, იქ მოეხსენებინა და ერთი წიგნი ყალატათ გამოერთმეჳნა. და ერთი ამ სოფლის წიგნი ჩვენც ყალატათ თარხანმა გამოგვართუა. და ... გავსინჯეთ მეფის ბატონის ლევანისა და მეფის ბატონის ალექსანდრესი და მეფის პატრონის ... ნაზარალიხანის [სიგელ-გუჯრები]... იმაშიც ასე ქჳრა, რომე: რომელიც ჩვენი შვილი და შვილიშვილი **კახეთს** ბატონათ დაჯდეთ, **წმინდას დავითს** თავისი სამკვიდროს მამული **აკურა** ისევ მიეცით... და ჩვენც ისევ ... დაუმტკიცეთ სოფელი **აკურა**... **ნინოწმინდის სამწყსო** და მეტოქი იყოს და სახიზარი **დიდის უდაბნოსი**... და ჩვენც ასე გაუორხნეთ და უაზტეთ, როგორადაც ძველად ... ყოფილიყენენ მამულნი და ყმანი **წმიდის დავითისანი**... (წმსი, I, გვ. 7-8).

აკურა 1711 – ჯანდიერიშვილები, ვაჩნაძენი და **ახურელნი** საჴნავს მიწებზე შეცილდნენ... ალაგები ვნახეთ და გავსინჯეთ. გუჯარი იყო ძველი წმინდის დავითისა, ბოლოს სამზღვარი სწორედ გამოჩნდა. **აკურის** ჴევი რომ მღვრევეს ჴევს შეეყრების, ჩავლით **ალაზნამდის**, **აკურელთ** დარჩა. ზემოთ, **აკურას ჴევს** გაღმა, სოფლის პირდაპირ, ორი ახო გაეტეხათ **ახურელთ**, ზემო – **უზუნაური** და ქვემო – **ნარბილი**. ამაზე შეცილდნენ... **უზუნაური** ახო **ახურელთ** დავანებეთ და დარჩა; და **ნარბილის ახო** ჯანდიერიანთ და ვაჩნაძეთ დარჩა. ამ ორს ახოს **საჴუნდრის ღელე** გაყოფს (ქსძ, IV, გვ. 236-237).

აკურა 1710-იანი – იხ. **დავითგარეჯა**

აკურა 1722 – ... მეფე იმამყულიხან რომ **აკურა** თქჳენ [წინამძღვარ ონოფრეს] მოგცათ, მაშინ ისინი [ვაიწა და იოსებ მღვდელი] იქ ესახლნენ და მე [თარხან ასლანს] მომცა სამართალში ბატონმან ასაყრელად, ახლა თქჳენც დამანებეთ და ... წავასხი (ქკმეის, გვ. 82).

აკურა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. **თვალი**

აკურა 1733 – იხ. **ვანთა**

აკურა 1748 – ... დედოფალი თამარ მოგახსენებ ... ბატონო ნეკრესელო იოანე!... **აკურის** საქმეზე წიგნი მოგეწერათ და ... ბატონმა მაშინვე ასე უბ-

[3] ბოლო წინდადება „სხუა ... გარეშჯასა“ კაკაბაძისეულ გამოცემაში არ გეხვდება. ციტირებულია თ. ჟორდანიას გამოცემის მიხედვით (ქრონ, II, გვ. 430).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძანა: ჩემი საქმე არ არისო, ნინოწმინდელისა და ნეკრესლის საქმეაო... (ქმეის, გვ. 97).

აკურა 1771 ახლო – [ბრძანება იმპმუული-ხანისა]: მდივანბეგი პაატა და დავით გარეჯის – წინამძღვარი ონოფრე აკურას კაცებზე ცილობენ და რაც ამ სიაში ეწეროს, იმაზედაც და რაც ამის გარდაის სალაპარაკო რამ იყოს, იმაზედაც შეიყარნენ ეპისკოპოზთაგან ბატონი ალავერდელი, სამებელი და ნინოწმინდელი. დარბაისელი ჭისჯის მოურავი და ენისელთ მოურავი, სახლთხუცესი. სამართალი ქნან... (ქმეის, გვ. 44-45).

აკურა 1780 – იხ. დავითგარეჯა

აკურა 1786 – ახურელნი და ჯანდიერიან-ვაჩნაძიანი მამულსა და სამზღვარზედ დაობდენ. ახურელთ კახ ეფისკოპოზ-დარბაისელთ განაჩენი აქვსთ, რომ ... გაურჩევიაო ახურის ბოლო, უზუნაურის ახო და ნარბილი.... ის გუჯარი ჭელთ დაიჭირონ და შეიარონ და დაიფიცონ. და იპოონ მიწის ჭიდი და დაიფიცონ; შეიარონ და იპოონ მუკტრულა და დაიფიცონ. და ავიდნენ ჩერქეზთამდე და დაიფიცონ. თუ ასე იფიცეს ახურელთ, რომ ახურის მხრისაკენ რასაც ვიფიცავთ ჩვენი არისო, დარჩება ახურელთ. იასაულო, ველისციხის მოურაო სვიმონ და ალამდარბაშო ქაიხოსრო, ეს ასე გაარიგეე (ქსძ, V, გვ. 334).

აკურა 1786 – იხ. ვანთა

აკურა 1787 – დავითგარეჯის წინამძღვარი თომა რომ უჩივისთ თავისის თავის უპატიოდ ლანძღვასა და აგრევე აკურის ქეეხა რომ ჩივის, ბატონის წინ ხაალმან მუშტი შემომკრაო პირშიაო და სისხლით პირი ამევსოო, ამისი პასუხიც უნდა გასცენ სამართლით ჯანდიერისშვილებმან (ქსძ, V, გვ. 357).

აკურა 1795 – იხ. ვანთა

აკურა 1797 – იხ. ვანთა

აკურა 1798 – ... თქვენ მაღალღირსებას, წმინდის დავითგარეჯის მონასტრის არხიმანდრიტს თეოდოსის, მე, ბასილისშვილმან მღვდელმა დავით ... ჩემის შვილებით თავი შემოგწირე და თქვენც ... მამული მიბოძეთ და დამასახლეთ ახურას... (ქმეის, გვ. 167-168).

აკურა 1798 – იხ. ვანთა

აკურთა – იხ. აკაურთა

აკურის ბოლო. კახეთი

აკურის ბოლო 1786 – იხ. აკურა

აკურის ბოლო 1792 – ღმერთმან ... საქართველოს მეფის ჭირი მოსცეს ... დავით გარეჯის მონასტრის წინამძღუარს ... არხიმანდრიტს იოაკიმს... მოეხსენება მათს სიმაღლეს კალაურელთაგან რამთენი ძვირი შეგვამთხვივეს მონასტრის მამულისათვის ახურას ბოლოს საჴნავზე. ახლა კიდეც მონასტრის მთაში ღორი უდგათ ... და ... საბალახეს არ გვაძლევენ... (ქსძ, VIII, გვ. 146).

აკურის ბოლო 1797 – ჩვენი [ერეკლე II-ის] ბრძანება არის [იასაულებისადმი]: მერმე, ასურის ბოლოს, ალაზანში გამოღმა პირზედ, ვინც თარფი გააკეთოს, რადგან წმინდის დავით გარეჯის მამული არის, წინამძღვრის თე-

ოდოსის შეკითხვით უნდა ჩაუდგას... და თუ გაღმით პირზედ ჩაუდგამს ვინმე, ის საჭვენო მამული იქნება და ჭვენის ბრძანებით უნდა ჩაიდგას (ქმეის, გვ. 166).

აკურისი. ქვემო ქართლი

აკურისი 1543 – იხ. **სხალნარი**

აკურისი 1591 – იხ. **ამლივი**

აკურისი XVI-XVII სს.[4] – ვიყიდე მე, ბატონმა ამილღამბარ ... ბატონის ბეგაშვილის ასლამაზისაგან, **აკურის** რაც მისი საკერძო მამული იყო (მსეი, III, გვ. 151).

აკურისი 1633 – **ზემო ოძისი**

აკურისი 1644 – [გაჩინება როსტომ მეფისა]: ... თურქისტანიშვილს თქვენი[5] სამკუიდრო მამული ეულობით ეშოვნა; და მის შვილთა **აკურისს** ორი საგლეხო მამული ... ქაიხოსროსა და ... ფალავანხოსროს ყმისათვის და გოსტაშაბისშვილის ყმისათვის მიეყიდა. და ჩვენ ... ასრე გავარიგეთ, რომე: რაც იმ თქვენის მამულების სამუქფო მამული თქვენთვის დაედვა და ხელთ გეჭირათ, ის ისრევ თურქისტანისშვილთ დავანებეთ. და თქვენი მამული **აკურისს** ისრევ თქვენ დაგანებეთ... (ქსძ, IV, გვ. 84)

აკურისი 1654 – ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ჩუენ, მეფეთა-მეფემან ... როსტომ შენ, ბარათაშვილის პაპუანასა ყმას **აკურელს** ამბალაშვილს ზურაბასა... ბარათაშვილის საჩინოს თურქისტანიშვილი ბაგრატ ცუდუბრალოდ დაუბალთავს ... და **აკურის** თქუენისავ მეზობლის საჩინოსა და თაჟაინთ საკერძოდამე **გამრეკელური მამული** თუქრისტანიშვილის ბაგრატისათვის ებოძა, და მას უკან ბაგრატისშვილებს თქვენთჳს მოეყიდა ერთი ვენაჯი და შვიდის დღის მიწა და სახლკარი... ჩუენც ისრევ გჳბოძებია, ამისთჳს რომე ნასყიდობა არ მოშლებოდა... (სს, I, 1920, გვ. 113).

აკურისი 1657 – [ხაზანას ბიძაშვილი შემოაკედა, დაიჭირეს და სიკედილს უპირებდნენ]: ბატონი ქათალიკოზი ... და სულად **საქართველოს** ეფისკოპოზნი ... შუა შემოვიდნენ და აღარ მომკლეს, და ჩემი კერძი მამული და დედული მკუდრისთვის სააღაპოდ დადუეს... არიან ამისნი ბრჭენი ... და გარდამწყუტელნი: ... სრულიად **აკურელნი** ... [და] **ელფიელნი**... სუთანს კერძს მამულს გარეთ ყველა დავანებე ჩემი კერძი მითა და ბარითა. არის ამისი მოწამე ... **ახალდაბელი** მღვდელი ზოსიმე, ერთობით **ბალიანი, სალორელი** ორბელა... (სს, I, 1920, გვ. 114).

აკურისი 1692-1703 – იხ. **მარაბდა**

აკურისი 1701 – იხ. **აკურისხევი**

აკურისი 1702 – ჩვენ ... საქართველოს ჯანიშინმან ... ვახტანგ ... ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ყორღანაშვილს ავდროზანიშვილსა ასტას... ერთ კომლს **აკურის** ... გერმანოზიშვილი გუგუნა და იასე შემოგეცი-

---

[4] XVII ს. I მესამედი (პალ, I, გვ. 395, 489).

[5] ადრესატი არ ჩანს.

ლებოდათ და ძალათ წაერთმიენათ და დაეჭირათ... დავთრები ვანაწვნე, სამკვიდრო შენი ყოფილიყო, ბატონს მამა ჩვენსაც წყალობა ექნა, ჩვენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენი სამკვიდრო გლეხი **აკურის** მედიაშვილი შიო ... მისი სამართლიანი მამულითა და მიწა-წყლითა... (სს, I, 1899, გვ. 441-442).

აკურისი 1713 – იხ. **გუნანეთი**

აკურისი 1713 – იხ. **ღოლოვნა**

აკურისი 1720 – ... მე, ფალანხოსროსშვილმა ... დემეტრემ თქვენ, იოთამისშვილს ... გიცს ... მოგყიდეთ **აკურის** ჩვენი წილი მამული და ზედ მახლობელი გლეხი... (დსსი, I, გვ. 186).

აკურისი 1727 – იხ. **ეგრისი**

აკურისი 1736 – ... ჩვენ, გერმანოზისშვილებმა ... შენ, გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ყმა და მამული **აკურისს** მედიაშვილი მისის განაყოფით... (დსსი, I, გვ. 259).

აკურისი 1743 – ... ჩვენ, გოშტაშაბიშვილმან დავით ... თქუენ ... ბატონიშვილს ... ანუკას ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო **აკურის** ჩვენი ყმანი მედიაშვილი ოქრია თავისის მამულითა... (სს, I, 1920, გვ. 92).

აკურისი XVIII ს. I ნახ. – იხ. **ბეთანია**

აკურისი 1756 – იხ. **ცხეკვი**

აკურისხევი // აკურისჴევი. კახეთი

აკურისხევი 1711 – იხ. **აკურა**

აკურისხევი. ქვემო ქართლი

აკურისხევი 1701 – ... ჩვენ, კორხმახასშვილმა კახაბერმა ... შენ, ჩემს ბიძაშვილს ასიტასა და ყმასა შენსა მედიასშვილს შიოს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მამული **აკურის ხევზედ, აკურის** ჩემის ყმის ხიზანას კერძი წისქვილი, და გვერდის მიწის ძამნაშვილის ვენახის გარდაის, სხვა ხელ შეუალად თქვენთვის მამიცია... არის ამისი მოწამე ... იქითვე **აკურის** ამბალაშვილი იასე... ამ ნასყიდობის უნდა მიეცეს ასიტას მიწის ღალის ნახევარი და ვენახის კულუხი მთლივა, იმისთვის რომ ასიტამ ამის ფასად თავისი სასახლის ადგილი **ენაგეთს** კახაბერს მისცა... (სს, I, 1920, გვ. 124-125).

ალავანი – იხ. **ალაკანი**

ალავარი // ჰალავარი // ჰალავაბარი. ქვემო ქართლი

ალავარი 1701 – ... მეფეთ-მეფემან ... ნაზარალიხან ... მამულის წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ... მამად ბაღირ-ბეგს... **ალავარსა** და შიგ მსახლობელ ელსა და **ალავრის რუს** და მიწა-წყალს და იქაურს გამოსავალს დაგვაჯენით. ჩვენც ... გიბოძეთ **ალავარი** და შიგ მსახლობელი ელი, რაც იყოს თავისი რუთი... **ზემო ხანარხის** სათავიდამ ჭონდეს... (ქსს, გვ. 401-402).

ალავარი 1771 – ღმერთმან ბეგნიერის ჭელმწიფის ჭირი მოსცეს **ჰალავარელს** ხალილას ჰაჯი ჩალაბისშვილს. ორ-სამ წელიწადს აქეთ **ჰალავარი** რომ თაღრღათ ჩავარდა, ჩვენ სამნი ძმანი ჩავცივდით ჰუსეინბეგლოში... როდესაც თქვენი მოწყალება **ჰალავაბარზედ** მოვიდა, ჩვენც დავაპირეთ ჩვენს

მკუიდრს მამულში მოსვლა. დაგვიჩირა თამაზ-ყული-ბეგმა, ერთი ხარი წაგვართო, თქვენ არ გაგიშვებ იქაო. აწ ამას გევედროებით, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძოთ, ჩვენ ჩვენს ალაგს გიახლოთ... (ქსძ, VII, გვ. 190).

ალავარი 1798 – იხ. ბაიდარი

ალავერდაული ვენახი. ქვემო ქართლი

ალავერდაული ვენახი 1656 – ... ჩვენ გოსტაშაბიშვილმან პაპუნამან გიბოძეთ ალავერდული ვენახი ყმასა რამაზსა და პაპუნასა... (სს, I, 1920, გვ. 66).

ალავერდი. კახეთი

ალავერდი 1566 – იხ. ჟინვანისპირული მამული.

ალავერდი 1578 – ... [ალექსანდრე მეფემ] შევწირეთ **ალავერდს** წმიდასა გიორგის კირაულისძენი... **კონდოლს** მათის სასახლითა, ყმითა და **ღობისტყის** სასაფლაოთა, მათით სამართლიანითა ველითა, ვენაჯითა... აგრევე სფადლიანთათ ჯანოსა და რიინისეული ყმები და მამული, **კისისჭვეით** სომეხნი მათით სამართლიანითა მამულითა, რაცა ამას წინათ დანებებული საჭნავი და სხუა მამულები ჰქონებოდეს... კიდევე სფადლიანთათ გურაზისეული სასახლე, ზუარი და გლეხნი... საცხურედ **მთა სახლიანი** და მისი თავი, კიდევე **არბუჭით**[6] კაცნი კუამლი ჩუიდმეტი მათით სამართლიანით მამულითა, აგრეგე იქივე **არბუჭს** სასახლე და ზუარი, აგრეგე **ღანუჭს ამაზის უბნით**[7] კაცი კუამლი ოცი, მათით სამართლიანით მამულითა, აგრეგე **კემურით** მოსულნი, მათით სამართლიანით მამულითა... (ის, III, გვ. 73).

ალავერდი 1612 – ... ჩვენ ... მეფემან პატრონმან თეიმურაზ ... ესე მტკიცე ... ჭელითწერილი მოლგახსენეთ თქუენ ... საყდარსა **ალავერდს** და ... ამბა ალავერდელ მთავარებისკოპოზსა... (ქსძ, II, გვ. 211).

ალავერდი 1612 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... თეიმურაზ ... [წმ. გიორგის] ტაძარსა ... და სამარხოსა ჩუენსა **ალავერდსა** ... შემოგწირე **კაკლეთათ** კუამლი კაცი... **თასმალო... მუშაანთათ**[8] კუამლი კაცი... **კისისხვეით** კუამლი ... მათითა მთითა, ბარითა... არა ეთხოვებოდესდა არა აბრეშემი... (სმ, I, 925, გვ. 148-150).

ალავერდი 1651-1660 – ... ესე ... წიგნი ... გიბოძეთ ჩუენ დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ თქუენ ავალისშვილს **ალავერდელს** პატრონს არსენს ... ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ... რაც **წმიდას გიორგის ალავერდის** მამული თქუენ ბატონის თეიმურაზისაგან მოგბარებოდეს, იმისგან არც ერთი კუამლი კაცი არ მოგიშალოთ... (სს, III, გვ. 548).

ალავერდი 1670 – ... ჩვენ ... **ალავერდის** წმიდის გიორგის საყდრის საჭეთმპყრობელ-მჭონებელმან ... ანბა ალავერდელმა პატრონმა გრიგოლ ესე ... სიგელი ... გიბოძეთ თქვენ, ბოდბელსა კოზმანიშვილსა ბატონსა კირილეს... ასრე რომე: მოიყვანე თქვენი რძალი და **ალავერდს** წმიდის გიორგის საყ-

---

[6] **არბუდვით** (ქრონ, II, გვ. 417).

[7] თ. ჟორდანიას გამოცემაში ღანუხი და ამაზის უბანი დამოუკიდებელი გეოგრაფიული პუნქტებია (ქრონ, II, გვ. 417).

[8] შუშაანში (ქრონ, II, 439).

დარს შემოსწირეს... გიბოძეთ **ჯორჯელში** ყოვლად წმიდის საყდარი შიგნით ... ბჭითურთ, სასაფლაოთი ყოვლის კაცის შემოუცილებლად... გარეთ **ჯორჯელთა** არის და იმაზე ჭელს ნუ ჰყოფ... ამას გარდაის გიბოძეთ **ჯორჯელში**... ამას გარდაის **აწყვერს** თუნიშვილის ნასახლები მისის საწნახლითა... რაც **ოყიოში** ბეითალმანი მამული იყოს, თქვენთუის გვიბოძებია მიწითა, ნავენახებითა... (ქსძ, III, გვ. 566).

ალავერდი 1678 – ჩუენ ... მეფემან ხელმწიფემან ერეკლემ ... მოგახსენეთ სამარხოსა ჩუენსა **ალავერდს** და შემოგწირე ჩუენი ბოქაულთუხუცესი ზალიშვილი გორჯახპ სულ ყოვლის მისი ყმითა, მამულითა ... რისაც მამულის და ან ალაგის მქონებელი ან მამა, ან პაპა ყოფილიყოს და ან თვითონ იყოს ... (**კაკაბეთი, იკარო, კონდოლს** ზერები, **კისისხევს** ყმები, **გავაზს** ყმა, **ენისელში**)... თარხნად ... არ მოუშალოს... **გომბორის** მოურაობა... (ქრონ, II, გვ. 492-493).

ალავერდი 1707 – იხ. **სამება**

ალავერდი 1722 – იხ. **მარტყოფი**

ალავერდი 1724 – ... **საქართველოს** მპყრობელის მეფის ერეკლეს ასულმან და **კახეთის** მპყრობელთა ორთა მეფეთა დამან ... მარიამ ყოფილმან და აწ მაკრინამ [შეწირულობის წიგნი მივართვი ალავერდის წმ. გორგის]... მეუღლე ჩემი, ძმისწული ამის სანატრელისა ამბა **ალავერდელის** ნიკოლოზის, **კახეთის** სალთხუცესი ედიშერ ... ლეკთა მიერ წყობასა შინა აღსრულდა... **კახეთის** მპყრობელსა ძმასა ჩემსა მეფეს დავითს ... შეურდი და ... მან ... მიბოძა ტაძარი წმიდისა მღვდელთმოძღვრისა ნიკოლოზისა **ალავერდს**... და ... კნინი ძღვენი მიუძღვანე **უტოს** ერთი საკვამლო ბულულაშვილის ნასახლები მამული ორად გაყოფილი ორის ვენაჭით ... რომელ ძმისა ჩემისა **კახეთის** მპყრობლის მეფის დავითის მიერ მზითვად მომებოძნეს. ძველადგანვე თვისი სახასო ყოფილიყვნეს და ჯამთა ვითარებისაგან ოდეს **კახეთი** ... უბატონოდ დაშთომილიყო, მას ჯამსა გილდაშვილს დაეპყრა მიფარვით. და რაჟამს დაიპყრა კახეთი მეფემ დავით ... გილდაშვილს მას გამოუღო მამული იგი... (ის, V, გვ. 40-43).

ალავერდი 1724 – იხ. **მარილისი**

ალავერდი 1740 – იხ. **ყარაღაჯის ციხე**

ალავერდი 1741 – იხ. **ნეკრესი**

ალავერდი 1743 – იხ. **ჭისყი**

ალავერდი 1756 – ... ალავერდელმან ნიკოლოზ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ ... ჩვენს აზნაურშვილს მეჯინიბეთხუცის შვილს გიორგის... ასე რომე: **ალავერდში** რაც ჩალთუქი გაკეთდეს, იმისი მეღალობა შენთვის მოიცია, ღალას შენ აიღებდე (ქსძ, III, გვ. 840).

ალავერდი 1756 – იხ. **ალვანი 1756**

ალავერდი 1785 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს ... მამუჩიშვილს იოვანეს... თქვენგან ორი ობოლი ბიჭი მებოძა. ამ ზამთარ რომ აქ გახლდით, მაშინ ორნივ ძმანი გაქცეულიყვნენ და **ალავერდს** მისულიყვნენ.

ორჯელ გიახელ ალავერდსა და არ დამანებეს... ამ მოწყალებას ვითხოვ ... რომ ის ბიჭები დამანებონ (ქსძ, VII, გვ. 660).

ალავერდი 1789 – იხ. ოჟიო

ალავერდი 1795 – იხ. აწყური

ალავერდი 1797 – იხ. ყანდაურა.

ალავერდი 1798 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ქაიხოსრო ჩიკოიძეს და ზაალს... ერთი [ყმა] ჩვენგან მიბარებულია ბარამ რუსიშვილსა... ერთი მღუდელი კიდევ თითონ არის წამოსული, უწინ ალავერდს გახლდათ და ახლა ფშაველში გახლავსთ; მკვიდრი ჩვენი ყმანი გახლავან... (ქსძ, VIII, გვ. 475).

ალავერდი 1798 – იხ. ფშავი.

ალავერდი 1800 – იხ. მარილისი

ალავერდი. ქვემო ქართლი

ალავერდი 1771 – იხ. არაგვი

ალავერდლის ეპარხია. კახეთი

ალავერდლის ეპარხია 1788 – იხ. ახმეტა

ალავრის // ჰალავრის არხი. ქვემო ქართლი

ალავრის არხი 1788 – [წერილი ვახტანგ ბატონიშვილისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... **ქვსამანელთ** სადმე **ჰალავრის არხისათვის** თქვენთვის თავი უწყენიათ და აქ მირზა მისაელამ დიდის ვედრებით დამევედრა თქვენთან შუამავლობასა. წყალობას ვითხოვ, რომ მაგათ ერთი სხვა გზა მისცეთ, რომ მირზა გურგინას ობლებს ეგ არხი არ წაერთვას, მოგეხსენება, რომ ამათი და მაგ ელის საცხოვრებელი ეგ არხი არის... (სს, III, გვ. 35).

ალავრის რუ. ქვემო ქართლი

ალავრის რუ 1701 – იხ. ალავარი

ალაზანი, მდინარე

ალაზანი 1579 – იხ. ბარაუნი

ალაზანი 1579 – იხ. მცხეთა

ალაზანი 1720 – იხ. კალაური

ალაზანი 1722 – იხ. მარტყოფი

ალაზანი 1756 – იხ. ალვანი

ალაზანი 1764 – იხ. ფშავი

ალაზანი 1766 – იხ. კოლაგი

ალაზანი 1768 – ჩვენ ... ორთავ სრულიად **საქართველოს** და **ყაზახ-ბორჩალოს** მპყრობელ-მქონებელმან ... მეფემან ... ირაკლიმ ... საჯილდაო წიგნი გიბოძეთ შენ ... ვაჩნაძეს ბებურისშვილს პაპას... **აგრიზედ** რომ დავმარცხდით და გამოვბრუნდით ერთს უფროს ადგილს **ალაზნის წყალში** შემოეცვივდით ... და ღმერთს გარდა იმ დღეს შენ გვიხსენ სიკვდილისაგან... მასუკან ხუნძახის მებატონე მუცალი ... [და] აჯიჩალაბის შვილი და ჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელნი და ის ძირობის კაცნი ყუარელის ციხეს შემოადგნენ, ციხეს რომ საქმე გაუჭირეს... იმ დროს შენ და სოლომონ მდივნის შვილი ... [და] ყიზიყიდამ ას სამი კაცი და კახეთიდამ და ქართლიდამ ოთხმოც-და-ჩვიდმეტი გლეხი კაცით ... და მრავლის ტყვია-წამლით მიგაშველეთ... ხმალდახმა ... შეხვედით... ოცდამესამეს დღეს [მტრები] ... წავიდნენ... ამ ყვარელში ციხის შესვლის და ასე გარჯისათვის გიბოძეთ თქვენივე ნაყმევი კარდანეხს მარტას-შვილი ჯერანა ... და საჯილდაოდ სარვანი სამოურაოდ გვიბოძებია... (სს, I, 1920, გვ. 13-15).

ალაზანი 1785 – იხ. ბელაქანი

ალაზანი 1785 – იხ. მარილისი

ალაზანი 1787 – იხ. უტო

ალაზანი 1787 – იხ. ყახახი

ალაზანი 1788 – იხ. ვეჯინი

ალაზანი 1790 – იხ. ახალშენი

ალაზანი 1795 – იხ. აწყური

ალაზანი 1797 – იხ. აკურის ბოლო

ალაზანი 1797 – იხ. ნაფარეული

ალათუბანი. ჯავახეთი

ალათუბანი 1747-1749 – იხ. ძამის ხეობა

ალაიანი // ალიანი. შიდა ქართლი

ალაიანი 1392 – იხ. ტფილისი

ალაიანი 1760 – ... მე, ბადასშვილმა ივანემა ... თქუენ ... გედევანინათ ... სარდალს შიოშს ... მოგყიდე ჩემი ალალი სამკვიდრო მამული ალიანი... ძველთაგან ჩემი იყო და ძალაებით წართმეული მქონდა ბერძნისაგან... რაც [თქვენი დახმარებით] ბერძნისგან მამული ... გამოვიტანე, ნახევარი ხომ თქვენი იყო, ნახევარიც მოგყიდე. შენი მთლივ ალაიანი, არავინ იყოს შენი მცილე... ამ ალანის საძღვარი ზენაქრივ მეღვრეკისის სამძღვრამდინ, ქვენაქრივ ბრწეთამდინ, თავს დიცის სამძღვრამდინ შარამდინ, ქვეით ბროწლეთის სამძღვრამდინ... არის ამისი მოწამე ... გორელი ხითარანთ ... ზურაბა ... (სს, I, 1899, გვ. 268-269).

ალაკანი // ალაკა // ალავანი. კახეთი

ალაკანი 1700 – იხ. კაკაბეთი

ალაკანი 1797 – იხ. ყანდაურა

ალასტანი. ჯავახეთი

ალასტანი 1392 – იხ. ტფილისი

ალასტანი 1433 – იხ. ლორე

ალაფების ბანი. თბილისი

ალაფების ბანი XVIIIს. I ნახ. – იხ. ქვემო უბანი

ალაქორი 1787 – იხ. ქალაქი

ალაჭინი // ალაჭანი. კახეთი

ალაჭინი 1170 – იხ. სხალტბა

ალაჭანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ალგეთი (ალგეთის ქვეყანა). ქვემო ქართლი

ალგეთი 1230-1235 – იხ. აგარა

ალგეთი, მდინარე.

ალგეთი 1552 – იხ. ახოტა

ალგეთი 1600 – იხ. გუდარეხი

ალგეთი 1612-1659 – იხ. გუდარეხის მონასტერი

ალგეთი 1659 – იხ. ღოლოვნა

ალგეთი 1661 – ... ჩვენ, ბუჟღულაშვილმა ბერუკამ ... თქუენ, ბატონს პაპუნას [გოსტაშაბიშვილს] ... მოგყიდეთ ჩუენი მამული **ალგეთზედ** თქვენს წისქვილთან ჭალა ალგეთსა და წისქვილის რუს შუა, ზედათ საკირემდისინ და ქვეშეთ წისქვილის გარდასაგდებამდისინ... (დსსი, I, გვ. 39).

ალგეთი 1682 – ... ესე წიგნი მოგართვით ჩუენ, შანთიძეებმა ... თქუენ ... თბილელ მთავარეფისკოპოზსა იოსებს. ასრე, რომე: **ალგეთის** პირზე **ხეკორძის** ბოლოს **სასალტიას მიწა** გუეჭირა ჩუენა. თქუენ წამოგვედავენით და ... თქუენი მკუიდრი მამული თქუენვე დაგანებეთ... (ქსძ, IV, გვ. 147-148).

ალგეთი 1688 – ესე წიგნი მოგართვი მე, მიქალაძემ გიორგიმ თქუენ, გოსტაშაბისშვილს პაპუნასა ... და მამულის საქმეზედ გავრიგდით... დურმიშხანს **ალგეთზე** რომ წისქვილი ეჭირა, ის წისქვილი მისის გარეშემოთი დაგვინებებია სადამდი ამ ქვეყანას ვიყოთ, ამ წისქვილის სანაცვლოდ თქუენს ქალის ნასყიდი ნახევარი ზვარი მოგვეცით. არის ამისი მოწამე ... აგრეა **წინ-წყაროს** მამასახლისი... (სს, I, 1920, გვ. 73-74).

ალგეთი 1689 – ... ჩვენ, ქაეთარისშვილმა გუგუნამა ... თქვენ, მეჯინიბეთ ხუცისაშვილს იასეს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდო **ალგეთის** პირს ვენაჯი, ქვეითი **ალგეთის** პირამდი, ... ზეით **საქალაქო თავს** რომ შარა გარდაუვლის, ავიღევით ფასი სრული... (სს, I, 1899, გვ. 389).

ალგეთი 1699 – იხ. მანგლისი

ალგეთი 1705 – იხ. ახოტა

ალგეთი 1713 – იხ. დაღა

ალგეთი 1724 – იხ. ანდრია

ალგეთი 1738 – იხ. აბრამეთი

ალგეთი 1746 – იხ. ფარცხისი

ალგეთი 1753 – ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა ... მამამთავარმან ... ანტონიმ ესე ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ... ოქუაანთ ბეჟუაშვილს დანელას... [თქვენი] ბიძაშვილი არუთინას ძე ალექსი ... უშვილოდ გარდაიცვალა ... [და] იმისი მამული ჩვენთვის დავიჭირეთ... ვისმინეთ აჯა ... თქვენი და გიბოძეთ

ალექსას წილი მამული... და **ალგეთზედ** ნაოხრის წისქვილისა, ნაბაღვარისა და ნავენახარისა და **ენაგეთს** სახნავის მიწებისა... (ქსძ, III, გვ. 831).

ალგეთი 1768 – იხ. **ღორის თავი**

ალგეთი 1781 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მონა მუდალნოს მურსაყულ-აღას... კიდევ მოგეხსენებათ, რა ამაგი გამიწევია, თორმეტი ნოვით **ხრამის** სახნავი ამიყვანია, **ალგეთის** გამოღმამდისინ, იქ დაგვითესავთ ჩათლუქი, პური, ქერი და ბამბა... (ქსძ, VII, გვ. 518-519).

ალგეთი 1784 – იხ. **ენაგეთი**

ალგეთი 1789 – იხ. **ქოთიში.**

ალგეთის პირი (ალგეთის ქვეყანა). ქვემო ქართლი

ალგეთის პირი 1583 – იხ. **მოლავი**

ალევი. შიდა ქართლი

ალევი 1465 – იხ. **ობისი.**

ალევი 1669 – იხ. **წილკანი**

ალევი 1774 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთავო)**

ალევი 1781 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთავო)**

ალევი 1781 – იხ. **ისროლისხევი**

ალევი 1789 – იხ. **დანბარაული ვენახი**

ალვანი // ალონი. კახეთი

ალვანი 1535 – იხ. **სამცხე**

ალვანი 1693 – იხ. **კაკაბეთი**

ალვანი 1737 – ჩვენ ... მეფემ ალექსანდრემ ... ესე ... წიგნი ... გიბოძეთ შენ ... პანკისელს სუხიაშვილს დათუნას... თქუენის მოურავის ნაცვლობას და შენის მოჭნულის **ალონში** ღალის გამოურთმელობას გვიაჯენით და კურთხეულ მამა ჩვენსაც წიგნი ებოძებინა, რომ **ალონში** არას დროს ღალა არ გამოგერთოსო თქუენის ნაჯნავისა... (დსხი, I, გვ. 399).

ალვანი 1756 – **ალონი** პეტრიასშვილებისათვის რომ მოუჭრიათ და **ოთხთვალზე დაუდვიათ** ... [და] გაუსამზღურავთ, ეს არის. **ნათლისმცემელს** უკან რომ ყელი გადავა და დასავლეთისაკენ რომ კაცი წავა, ნაგები პატარა ძველი აგებული გორი არის, იმაზედ გაივლის და **პანკელთ ნაკალოვარი** რომ არის და ძველი ნატბეევები და **ჩალიანთ ნასხლევის გორის** ძირზე რუი რომ მობრუნდების **მგვრგვალის ჭალისაკენ** სერ-სერ გავლით **ხვარბალის ყელამდინ**, იქიდამაც გაველით გორ-გორ **წინუბნის ყელამდინ**, ეს მიჯნა იმანყულიხანის დროს არის გარიგებული. ჩუენ ახლა იმ იმანყულიხანის წიგნზე ეს მოუმატეთ: **სანაღარის** გვერდზე **ბახტრიონისაკენ** რომ პატარა გორი წაბია და ნარუვალიც არის ... იმ ... პატარას წაკიდებულის გორიდამ იმ უწინდელს მიჯნაზე რაც მეტი მიწა დარჩება, ახლა ჩვენ ის უბოძეთ პეტრიასშვილებს... მიჯნა ... **ჩალიანთ სხლის გორს** უნდა დადგეს, მიჯნაზე დანაგებს **პატარა გორს** უნდა შემოეყაროს... ნათლისმცემლის უკან რომ ყელი გადავა, ცოტა ზევით მთისაკენ მიწევით, რომელზედაც

ჩვენ ჩაგვიმოჯნავს, ალავერდლის მიჯნამდინ **საფიჩხოვნოთ, საარგოთ** და **სამაღრანოთ** დარჩება იმ სოფლებისაკენ. და რაც იმას ქვეით ჩაიტანს საალონო არის. **ალავერდის** მიჯნა, ჩვენი მიჯნა ჯვარჭეველი არის. რაც **ალავერდის** მამული იქ არის, უნდა გაარჩიოს. საბაზიერო რომ მეფეს ჰერაკლეს უბოძებია დუმიშხანისათვის, ვინცავინ ჩვენნი ყმანი არიან ფშაველნი და ალავერდლის ყმა იორდანეს შვილი, ისინი რომ ამბობენ, ზვით ნარუალი რომ არის ... და ნაგუბარი ... შარადამ მოკიდებული **ტახტის გორის** ზემოდამ აქეთი გორა რომ აბია, იმაზე მიადგება... ზურაბის სიტყვა ეს იყო: **საგრემოს შარამდინ** უბოძებიათ ჩემთვისაო ... [მაგრამ] არც წიგნი აქვს... ყარალასშვილისათვის, ბაბადიშისა და საგინასშვილისათვის ჩვენი სახასო რომელია და იმათი რომელია **იულთისა** და **ართანისა**, ჯერ არ გარჩეულა. ქ. **ნაფარეულისა** ასე არის: ბაბადიშს რაც იმანყულიხანის წიგნი აქვს ... ის არის იმისი, რომ **მშვილის ნახტომამდინ** და **საგრემოს შარამდინ** უწერიათ. იმას ზევით იმისი არის... გრემისაკენ რაც **მოუცადის გორის** ძირი გაიტანს, **მთავარანგელოსს** უკან წვერზე რომ ციხე არის, ისე ჩამოსწვრივ ჩვენი სასახლის მაედნის პირი რომ აიტანს შაზანაშვილის მიწის გვერდისაკენ შავლით, სწორედ მთისაკენ ნაქცევი ნასაყდრალი არის... უნდა ... გაიაროს თათარასშვილის სახლის ღობესთან და ისე სწორეთ გავლით უნდა რაც ენისელთ მოურავს უყიდნია, იმას გასწვრივ **ინწობას** გავლით, სადაც **საბუღისაკენ** და **საყვარელოს გზისაკენ საგრემო** მიჯნა არის, რომ **ენისელთ** მოურავმა და **ენისლელებმა** კარგად იციან **ჩელთის** პირამდინ ჩასწვრივ **ჩელთი-ჩელთი ალაზნამდინ** – ეს ჩვენი სახასო არის... და რაც **სამთავარანგელოსო** და კარისა ღმრთისმშობლის მიწები დარჩება, იმას ჩვენ ვიპოვით. **შილდის** ბოლოს რომ ჩვენი სახასო მამულები არის, ამბობენ პაატაშვილებს დაუყიდნიათო... [ის მიწები] ისევ სახასოთ უნდა დაიდოს... ხახუტაშვილი და მანასასშვილი, **ნაიონჯარი** და **საჯოგე** რომ არის, ამბობენ: სახასო არისო და ენისელთ მოურავს საქმე არა აქვსო. ენისელთ მოურავმა უნდა გაარჩიოს... თათარასშვილის **მთავარანგელოსის** ყორული რომ არის, ნოდარისშვილი [იჩემებს]. იმანაც უნდა გაარჩიოს, ან არადა, სახასო იქნება. **ჭიდის ყურისაკენ** ამბობენ: მთავარანგელოსის შეწირული ყოფილა. იმას ჩვენ მოვიკითხავთ და ისევ მთავარანგელოსს უნდა დანებდეს... ზაალ ბაზიერთუხუცესს ასე უამბვიეთ: ... მამულები ... უნდა ... ჩამოჯნოთ... თქვენთვის იქიდამ სარგო რომ გაგვიჩენია **ალონს** გარდა, ეს არის... **ლოპოტას** გაღმა **გრემისაკენ** რაც საბალახე ავიდეს, პეტრიასშვილებს საქმე ნუ აქვსთ. რაც იმას ზევით **ალონამდინ** ჩვენი მამული დარჩება, თუ რამ საბალახე ... ავიდოდეს, იმას შენდ და პეტრიასშვილები შუა უნდა გაიყოფდით (ქსძ, IV, გვ. 450-453).

ალვანი 1770 – იხ. თუშეთი

ალი // ჰალი. სამცხე[9]

ალი XIII ს. – [პირობის წიგნი ბოცოსა და ბეშქენისადმი]: ...ესე აწ რაღცა წესი დასდევ რაღც **ჰალს** მყოფმან ათანასე და ჩემმან ძმამან ზოსიმე ბაი-

[9] ალის საბუთების დათარიღება ემყარება, ძირითადად, ჰალ, I-II.

ასშვილთა ერთიც საქმე შეეოშოთ და არა ვყოთ, ესე ოცი თეთრი ვზღოთ... (სსიმ, II, გვ. 29).

ალი XIII ს. I ნახ. – იხ. **ზემო ხანახნი**

ალი XIII ს. II ნახ. – [წესდება ალის მონასტრისა] ... რომელმანც მონაზუნმან პალს მყუფმან ჰასე რომელიც ... დააკლოს, უცი თეთრი საპატიჟუდ გამოიღოს... **ვალე ნაუჭრებოლი** რაგორაც გამიჩენია [ბოცოს], ჰაგრე იქნებოდეს... მე, ბოცოს გამიჩენია ესე ... **ალესი**... ორთავეით **საწავეთა** გამოიღონ ოცი თეთრი. **ყორანტადამ** მოიღებდენ... **ჭალესთჳს** სამასი თეთრი ხედამცეს დადებოდეს ჰალისა მთავარმოწამისა (სსიმ, II, გვ. 28-29).

ალი XIII ს. II ნახ. – იხ. **ვალე ნაოჭრები**

ალი XIII ს. II ნახ. – იხ. **ქვემო ტიკანნი**

ალი XIV ს. II ნახ. – არის **ალს** შემოსაღებელი **საკირელთა** საფურბერწე თეთრი. ორმოც-ორმოცი თეთრი ორთავე ილარონისშვილთა შემოიღონ, კირიასშვილმან შემოიღოს ოცი თეთრი (სსიმ, II, გვ. 43-44).

ალი XIV ს. II ნახ. – იხ. **საკირე**

ალი XIV ს. II ნახ. – იხ. **ფარნუხი**

ალი XIV-XV სს. მიჯნა – ... მეოხებითა ... აწყურისა, ვარძიისა ... ოშორისა ... [და] **მერისა** წმიდისა ღმრთისაშობელისათა, წმიდისა გიორგი **ალისა მთავარმოწამისათა** ... მე, პატრონმან ბოცო და მე, ბოცოს ძმან შალვა ... შემოგწირეთ **ალისა** მონასტერსა: **საკირეს** ვეფხას შვილი ... და **მწირეს** ჭიტალისძე... (სსიმ, II, გვ. 47-48).

ალი XIV-XV სს. – იხ. **ყველი**

ალი XIV-XV სს. – იხ. **წინუბანი**

ალი XV ს. – მას დღესა აღაპი **ალისა მთავარმოწამისა** სადღეგრძელოდა უჩინეს ალს. დაესხნეს და შემოგუებნეს მესხნი; გააქცინეს და ჩუენი მესისხლე ჭელთ დაგორჩა ჩუენთა ლაშქართა (სსიმ, II, გვ. 43).

ალი XV ს. II ნახ. – იხ. **თრიალეთი**

ალი. შიდა ქართლი

ალი 1401-1415 – იხ. **ულუმბა**

ალი 1577 – [დედოფალ ნესტან-დარეჯანის ბრძანება]: ... **ალის** მოურაო, ციხისთაო და მებაჟენო და სხვანო მოსაქმენო! ვინც **სუეტის-ცხოველის** ყმანი მოჭალაქენი მოვიდნენ მანდა, ნურას ბაჟსა სთხოვთ და ნურცა სალამათს. **სუეტის-ცხოველისთჳის** შეგვიწირავს (ქრონ, II, გვ. 416).

ალი 1615-1619 – იხ. **ტკოცა**

ალი 1636-1680 – იხ. **ქალაქი**

ალი 1709 – იხ. **იმერეთი**

ალი 1719 – ... კაცთაგან ამისი მოწამე ... **ალის** მამასახლისი ბეჟანიშვილი ბაინდურ... (დსსი, I, გვ. 181).

ალი 1734 – იხ. **ნაბახტევი**

ალი 1745 – ...ჩვენი ბძანება არის, **სურამელებო** და **ალელებო**! თქვენი ძრუ-რაობა ნიკოლოზ აბაშიძისათვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია... (დსსი, I, გვ. 325).

ალი 1755 – იხ. ახალციხე

ალი 1756 – ლაშხმა ნიკოლოზმა **ალელს ჩიხორელს** თეთრი რვა ფლური უხივლა (სამდ, გვ. 34).

ალი 1756 – იხ. ზემო ქართლი

ალი 1766 – იხ. წაღვლი

ალი 1768 – იხ. ზემო ქართლი

ალი 1778 – იხ. ოხომირა

ალი 1782 – [ხარჯის ნუსხა თუმანიშვილებისა]: ... ერთი მინალთ. და ათი შაური ბარათით **ალელს** გიორგის... ხუთმეტი მინალთ. ... ბარათით **ახალ-ქალაქელს** ფარემუზას მისცემია... რვა მინალთ. ... ბარათით **ახალციხელს** ღუგაზას მისცემია... ექვსი თუმანი ბარათით **ციხის საყდრის** სამუშაოთ... (მსეი, III, გვ. 191-201).

ალი 1787 – იხ. საამილახვრო

ალი 1789 – იხ. საამილახვრო

ალი 1796 – იხ. არადეთი

ალი 1798 – ღმერთმან ხელმწიფის ჭირი ერთობით ბეგთაბეგაშვილებს მოგვცეს... სამი-ოთხი წელიწადი არის, რომ **ალს** ჩვენს მამულში ხვნა და თესვა არის. აქამდინ ღალა არ გვითხოვნია. და ახლა ამ მოწყალებას ვით-ხოვთ, რომ სამართლიანის ოქმით **ალიდამაც** და ან სხვაგან, სადაც ჩვენი მამულები იყოს, სამართლიანი ღალა მოგვეცეს (ქსძ, VIII, გვ. 479).

ალი 1798 – იხ. ფცა

ალი 1799 – ... ჭელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... ვეზირიშვილი გიორგი-საგან. ექვსი კომლი კაცის გამოსაღები მეწერება. აქედამ ... ორი კომლი ... **ალსა** დგანან და ერთი კომლი სადაღაშვილი ნონია **სურამს** დგას... (ქსძ, VIII, გვ. 517).

ალი 1799 – ... ჭელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... როსტევანაშვილი ივა-ნესი... გოგია ნასყიდობის წიგნსა მთხოვდა, რადგანც დედოფლის ყმა ვი-ყავი ... ოქმი მიბოძა – **ალს** დადექო. იქიდამ [გოგიამ?] იასაულით **იმერეთს** გადაგვკარგა, **საქართველოში** არ დაგაყენებო. რვა თვეა **იმერეთს** გახლა-ვარ ხიზნითა (ქსძ, VIII, გვ. 536).

ალი 1799 – იხ. თელავი

ალი 1800 – ღმერთმან ბატონისშვილის დავითის ჭირი მოსცეს ნასახჩიბა-შის ნაიბს გიორგის... ჩემი კაცი ... **ალსა** დგას; ოთხჯერ ბატონიშვილმა იულონმა ოქმი მამცა და აბაშიძემ არ დამანება... (ქსძ, VIII, გვ. 625).

ალი XVIII ს. მიწ. – იხ. **სურამი**

ალი. ჭარ-ბელაქანი (აღმოსავლეთ კახეთი)

ალი 1769 – იხ. ახალციხის ქვეყანა

ალიაბათი. საინგილო (აღმოსავლეთი კახეთი)
ალიაბათი 1710 – იხ. კაწარეთი
ალიბარი. იმერეთი
ალიბარი 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი
ალის ვანი. არტაანი
ალის ვანი. XIII ს. I ნახ. – იხ. ზემო ხანახნი
ალისიმერეთი. იმერეთი
ალისიმერეთი 1773 – იხ. ქუთაისი
ალისმერე. იმერეთი
ალისმერე 1578 – იხ. ქუთაისი
ალისუბანი. იმერთი
ალისუბანი 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი
ალისუბანი 1578 – იხ. ქუთაისი
ალისუბანი 1664 – იხ. ქუთაისი
ალისუბანი 1750 – იხ. არგვეთი
ალისუბანი 1772 – ეს უდეობის წიგნი მოგართვით თქვენ, ბატონს კათოლიკოს გენაოელ ბატონიშვილს იოსებს ჩვენ ალისუბანს მოსახლემ ჩიკვაიძემ შოშიტამ ... ამა პირსაზე რომ ქორიაშვილისსეული მიწა ადგილი ნაყიდი გვქონდა და რათაც ღირდა იმ მიწა ადგილის ფასი გვიბოძეთ... (დსსს, II, გვ. 46).
ალისუბანი 1776 – იხ. გელათი
ალის ციხე. შიდა ქართლი
ალის ციხე 1756 – ექიმ ოსეფას კაცმან ალის ციხესთან გაცრცვა უჩიელა ქართველებს (სამდ, გვ. 37).
ალის ციხე 1766 – იხ. წაღვლი
ალის წყალი. შიდა ქართლი
ალის წყალი 1683 – ... ჩუენ, ბატონისშვილმა ... ლევან ... თქუენ ... რუსაშვილს იესეს ... გიბოძეთ ალის წყალს ზეით ჭევისთაობა... (ქსძ, VI, გვ. 678-679).
ალის წყალი 1772 – იხ. მუხრანი
ალის ხეობა. შიდა ქართლი
ალის ხეობა 1747-1749 – იხ. ძამის ციხე
ალის ხეობა 1794 – იხ. ატენი
ალისჭევი. კახეთი
ალისჭევი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი
ალმანია. ქვემო ქართლი
ალმანია 1789 – იხ. გუდარეხი
ალმასიანი. ხევი

ალმასიანი 1792 – ღმერთმან ბატონიშვილი ეახტანგის ჭირი **ალმასიანში** მსახლობელს აბაშვილს ასას მოსცეს ... თქვენის ბძანებით დავდეგ და სოფელიც ავაშენე, რომ ეხლა რვა კომლი კაცი გახლავს. ამას მოგახსენებთ, ვინც მთას გადმოვა, ყველა ჩვენი შემაწუხებელი გახლავთ. ... ახლა ამასაც მოგახსენებთ. ეს ამთენი ქარავანი სულ ჩვენ სოფელში დგება, თივა გვეხარჯება და ცეცხლი და ერთს საბალნეს კი არავინ გვანებებს. ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ მეც წილი დამედოს, რომ მეც ვიცხოვრო... [ეახტანგ ბატონიშვილის ბრძანება]: მერე **ალმასიანი** ჩვენ ავაშენეთ და ეს კაცნიც ჩვენ დავასახლეთ ... და რომელიც ქარავანი ამ სოფელში დადგება, ამათ ბარგს ამათაც უნდა წააღებინებდეთ, რაც ერგებოდესთ ამათაც წილს უნდა მისცემდეთ (ქსძ, VIII, გვ. 180-181).

ალმატი // ლეტი. კახეთი

ალმატი 1712 – იხ. ჭანდრისხევი

ალმატი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ალმატი 1746-1749 – იხ. გრემი

ალმატი 1758 – იხ. საბუე

ალმატის მთა. კახეთი

ალმატის მთა 1712 – იხ. ჭანდრისხევი

ალონი – იხ. ალვანი

ალყუმრუ. ქვემო ქართლი

ალყუმრუ XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ამაზის უბანი. კახეთი

ამაზის უბანი 1578 – იხ. ალავერდი

ამართული ქვა. კახეთი

ამართული ქვა 1579 – იხ. მცხეთა

ამართული ქვა. იმერეთი

ამართული ქვა 1751 – იხ. გოლათუბანი

ამაღლება. იმერეთი

ამაღლება 1733 – იხ. ბარისთავი

ამბრაული. კახეთი

ამბრაული 1688-1703 – [ერეკლე I-ის განჩინება]: ...ბელ იჩივლა: **ამბრაულის** ნახევარი წილში მე მერგო და ნახევარი წინამძღვრიშვილებს და ზაქარიას ერგო და წინამძღვარმა თავისი წილი მეოთხედი **ამბრაულის** მეოთხედი **ვენახი** ჩემის წილის **უტიურის მიწების** სანაცვლოდ მე დამანებაო და ახლა ისრევე იმას უჭირავსო.... აბელსა და მის ძმებს დარჩა წინამძღვრის წილი მეოთხედი **ამბრაული ვენახი**... აბელ კიდევ იჩივლა: ბიძაჩემმა მოსემ თავისი წილი **უტიურის მიწა** მოგვყიდაო... მიწა აბელს დარჩა... (ქსძ, IV, გვ. 201-202).

ამბრაული ვენახი – იხ. **ამბრაული**

ამბროლაური // ამრალაული. რაჭა

ამბროლაური 1696-1742 – იხ. ბარისთავი

ამბროლაური 1732 ახლო – იხ. ბარისთავი

ამზა სოფელი. ქვემო ქართლი

ამზა სოფელი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ამზაჩიმანი. ქვემო ქართლი

ამზაჩიმანი 1784 – [მირზა გურგინას წერილი ერეკლე II-ისადმი]: На сих 4 днях естли не изволите приехать в **Амзачимане**,[10] то уйдет крепость [ერევნის ციხე] из рук наших...(მიტსვგ, I, გვ. 201).

ამზეურაშარა. კახეთი

ამზეურაშარა 1776 – იხ. მერე

ამირთკარი. მთიულეთი

ამირთკარი 1781 – იხ. წკერე

ამლივი // ამლევი //აბლივი. ქვემო ქართლი

ამლივი 1523 – იხ. ენაგეთი

ამლივი 1591 – ჩუენ, ... მეფეთ-მეფემან სვიმონ ... გიბოძეთ თქუენ, ... ბარათას-შვილს იოვანეს და ამილღაბარს ... სოფელი **აბლივი** კუამლი ხუთი, **ტბისს** – კუამლი ერთი, **თაკვს** – კუამლი ერთი, **ვაკეს** – კუამლი ერთი, **დუალთას** –კუამლი სამი, **ერწოს** – კუამლი ორი, **მერეს** – კუამლი ერთი, **ფუტრევს** –კუამლი სამი, **წინვენახს** – კუამლი ერთი, **ელფიას** – კუამლი ორი, **აკურისს** – კუამლი ერთი, **ანდრიათ** – კუამლი ერთი, **ერტისს** – კუამლი ერთი, **ახალშენს აზიკვს** – კუამლი ორი, ნასოფლარი **ერდონი**, ნასოფლარი **თეგანი**,[11] ნასოფლარი **დიაკონნი**, ნასოფლარი **მარიამნი**, ნასოფლარი **კოზრი**, ნასოფლარი **ღვალოვნა**, ნასოფლარი **მზვარეთი**, ნასოფლარი **ქოთიში**, და ნასოფლარი **უკანა შავნი**; **კვესეთს** ნაოხარი ერთი **დიდებას** – საგლეხო ერთი, **ტურისუბანს** – საგლეხო ერთი, ესე ყოველივე მისითა შენითა და ოხერითა... (ქსის, გვ. 41).

ამლივი 1628 – ... ჩვენ, მეფემან პატრონმა სუიმონ ... თქუენ, იოანესშვილს გოსტაშაბს ... გიბოძეთ თქუენისავე ბიძაშვილის ყაფარბეგის ნაქონი [მამული] ... ამლივს ... ერდოს [და] ვაკეს... (სს, I, 1899, გვ. 411).

ამლივი 1636-1703 – იხ. ზემო ნასკირალა

ამლივი 1658 – იხ. ენაგეთი

ამლივი 1713 – იხ. გუნანეთი

ამლივი 1713 – იხ. ღოლოვნა

ამლივი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ამოჭრილი კლდე. ქვემო ქართლი

---

[10] წერილის რუსი მთარგმნელი, კვარტირმაისტერი მარკოვი, ასეთ შენიშვნას ურთავს: „Вамзачимане, деревня за горами казахскими на границе Грузии" (მიტსვგ, I, გვ. 202).

[11] ეგანი (სს, I, 1899).

ამოჭრილი კლდე 1756 – იხ. წინვენახი
ამტანი. კახეთი
ამტანი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნი
ამტანი 1722 – იხ. მარტყოფი
ამუჭი. ქვემო ქართლი
ამუჭი 1392 – იხ. ტფილისი
ამუჭი 1425 – იხ. ლორე
ამუჭი 1435 – იხ. ლორე
ანაგა. კახეთი
ანაგა 1768 – იხ. ჩალაუბანი
ანაგა 1770 – იხ. ჩალაუბანი
ანაგა 1775 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ზაალისშვილს ნინიას მოსცეს. ამას წინათ ანაგას რამაზასშვილმა ივანემ რომ იჩივლა, მაშინ იმისი თქვენგან წყალობა დაგვემართა და არ აიყარა... **ქოდალოდამ** ასე გაიპარა ცხვრით, ღორით და ძროხით, რომ ერთის ურმის პურისა და ერთის ურმის თივის მეტი არა დარჩა რა... დავთმობ (ქსძ, VII, გვ. 271-272).
ანაგა 1775 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს **ანაგურს** შიოშვილი თამაზას ნასყიდს ივანეს... [თავადები მედავებიან] ჩემი ყმა ხარო. ამდონი თქვენი წყალობა იყოს, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ, თქვენს **ქიზიყს** მობძანებამდინ სამნივ დამეხსნან. ნურც ერთი ნუ ამყრიან **ანაგიდამ**... (ქსძ, VII, გვ. 290).
ანაგა 1777 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს **ანაგურს** დეკანოზის შვილს ზაზას. **ანაგის მთაში** წისქვილის ალაგები დაიჭირეს, ვარამაშვილმა ბეჟანმა ორი საწიქვილო დაიჭირა და ჩვენ ოთხმა კომლმა ერთი საწისქვილო დავიჭირეთ და ვარამაშვილი ჩვენც გვართმევს (ქსძ, VII, გვ. 368).
ანაგა 1786 – ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს ... ბებურიშვილს ბებურს... ერთი პატარა ბიჭი გავზარდე ... [ახლა] **ანაგას** თქვენთან ავთანდილ მელიქიშვილი მედავა (ქსძ, VII, გვ. 681).
ანაგა 1799 – იხ. თეძამი
ანაგა 1800 – იხ. ქიზიყი
ანაკერტი. შავშეთი
ანაკერტი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი
ანაკლია // ანაკრია. სამეგრელო
ანაკლია 1616-1639 – იხ. ხაუჟელი
ანაკლია 1628 – იხ. ღალიძგა
ანაკლია 1661-1680 – იხ. ოდიში
ანანური. არაგვის ხეობა
ანანური 1628 – იხ. ბოდორნა

ანანური 1643 – იხ. ტირძნისი

ანანური 1669 – იხ. წილკანი

ანანური 1746 – ... კახეთის არაგვის მპყრობელ-მჭონებელმან მეფეთ-მეფემან ... ერეკლემ [სამწყსოს განახლების სიგელი ვუბოძე ქრისტეფორე წილკნელს]... ანანურს ზევით არაგვის ერისთავს მთის ადგილებში აღარ შეეშვათ წირკნელი და რჯულზედაც მიდრეკილ იყუნენ... ვითარცა ძველთაგან თქუენი ყოფილიყო ... ჩუენც ჴელახლა წყალობა გიყავით თქუენი სამწყსო: მთიულეთი, ჴევი, გუდამაყარი, ჭანდო, ჭართალი. ამათ სახუცოს ერისთავები სადმე იღებდენ... ჩუენ ახლა თქუენი მონასტრის წილკნისა ღმრთისმშობლისა დიდისა ეკლესიისა მჯდომარეს წილკნელს შეგვიწირავს, რაც რომე მთის ალაგებიდამ სახუცო ეჯვას და გამოვიდოდეს... (ქსძ, II, გვ. 396-397).

ანანური 1770 – იხ. ტფილისი

ანანური 1772 – იხ. ეგრისი

ანანური 1777 – [ლეონ ბატონიშვილის ბრძანება]: ანანურის იჯარადარო! ამ არზის მომრთმევს შვიდი მინალთუნი მოეც წლევანდელის ჩვენის იჯარის ანგარიშიდამ და რომ მოსცე, ყაბზი მოაწერინე (ქსძ, VII, გვ. 373).

ანანური 1778 – [ლეონ ბატონიშვილის ბრძანება]: ანანურის სამღებროს იჯარადარო! ამ ჩემს ნათლულს გიორგის ერთი თუმანი მოეც (ქსძ, VII, გვ. 417-418).

ანანური 1779 – ღმერთმან ... ხემწიფის ძის ბატონისშვილის გიორგის ჭირი მოსცეს ... მუხრანის ბატონისშვილს იოვანეს... ახლაგორელს კიკოლასშვილს წისქვილი მივეცით. და ის წისქვილი ანანურს უბრუნავს... [გთხოვთ] ამ წისქვილების ოქმი მიბოძოთ ანანურის დეკანოზხუედ, რომ ჩემი იყოს... (ქსძ, VII, გვ. 427-428).

ანანური 1780 – ... ყარახანაშვილმა სულხანამ [ლევან ბატონიშვილისგან] ანანურის სამღებრო იჯარით აიღო ოცდათორმეტ თუმნათ... (მსეი, II, გვ. 242).

ანანური 1780 – იხ. არაგვის საერისთაო

ანანური 1781 – იხ. პავლეური

ანანური 1782 – იხ. არაგვის საერისთაო

ანანური 1793 – [არზა ნიკოლოზ აფხაზისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი]: ჩემი კაცი გახლდათ თქუენს საფარველს ქუეშე ანანურს. ის კაცი თქუენი ჭირის სანაცვლო გამხდარა, ქვრივი და ობოლი დარჩენია. წყალობას ვითხოვ ... ქვრივი და ობოლი ამიყაროს (ქსძ, VIII, გვ. 243).

ანანური 1793-1795 – იხ. საყაფლანისშვილო

ანანური 1794 – იხ. ქალაქი

ანანური 1797 ახლო – იხ. მარტყოფი

ანანური XVIII ს. II ნახ. – იხ. კისისხევი

ანანურის ციხე. არაგვის ხეობა

ანანურის ციხე 1791 – იხ. ტფილისი

ანანურს ზევითი. არაგვის ხეობა

ანანურს ზევითი 1669 – იხ. წილკანი

ანარიას ღელე. ოდიში

ანარიას ღელე 1616-1621 – იხ. ცაიში

ანგრევანი. ქვემო ქართლი

ანგრევანი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ანგროინი. შიდა ქართლი

ანგროინი 1259 – ... მე აბულეთისძემან ძაგანმან ... შევსწირე წმიდასა მამასა შიოს ... სოფელი **ანგროინი** ჩემგან ნასყიდი, რომელი ჩემსა ბიძის ძესა გიორგის ძესა ივანეს გაეყიდა და მე ზევე უკმოვიყიდე ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა... არცა რაი სათაროი გამოსაღებელი ზედა უც ჩემისა სახლისაი **ანგროვნელთა** ... და არცა – რაი **თეძამისა** პატრონთა ჭელი შეუვიდოდეს მათ ზედა, და სასეფოი **თეძამისა** პატრონთაი არაი ზედა ზდებია... და მიუყენინით მიწანი: ერთი გუთანი – ვენაჴის ბოლოსა, **თრიალელი**; ორი გუთანი ნავენაჴები, **თევდორული – თხოთის აგარას**, და ორი გუთანი – **სარბიელთა** და **ანგროინს** – ერთი გლეხი... და **ანგროვნისა** საქმე და სამართალი, რაიცა შეჴვდეს მღუიმეს, მოძღურისა და მოურავთაგან დაიურვებოდეს... (ქისკ, I, გვ. 139-141).

ანდარია. ქართლი

ანდარია 1777 – [ხელწერილი გოგია თუმანიშვილისა მოქალაქე ზეინალასადმი]: ... მე ლეკებმა დამატყევევეს **ქართლში** და **ანდარიას** მიმიყვანეს და შენ **ანდარიას** ... დამიხსენი ნაღდ რუსის მანეთზედა... ამა ... გარდა, კიდევ რაც **ანდარიიდამა ქალაქამდინ** დახარჯო ჩემზედა, ისიც ... მოგცე... ოცდაათის თუმნის გირაოთ მამიცია **ქალაქს** ჩემი საჯინიბო ... და ჩემი ყმა როსტომას შვილი ხოსროვა **ახალდაბელი** და ფახირასშვილის სახლები თავის მარნით და ბაღით **გორს**... (დსეი, გვ. 69).

ანდრეათი. სამეგრელო

ანდრეათი 1700-1712 – იხ. ნაპარკავი

ანდრია // ანდრიათი. ქვემო ქართლი

ანდრია 1591 – იხ. ამლივი

ანდრია 1638-1703 – იხ. ზემო ნასკირალა

ანდრია 1675-1682 – იხ. ზესი

ანდრია 1676 – იხ. ტბისი

ანდრია 1692-1703 – იხ. მარაბდა

ანდრია 1705 – იხ. ვარსიმაშვილის ვენაჴი

ანდრია 1712 – ... ჩვენ, სოლაღაშვილმან ... გიორგიმ ... შენ, **ანდრიელს** ვარდიგულასშვილს ევენეზას ... მოგყიდე ... **ტაბახმელელი** სალუასშვილი... არის ამისი მოწამე ... ჩემი ყმა **გუდელელი** შაალისშვილი პაპა... **ღოუბანს** ქრისტესიასშვილი ბეჟან... (დსსი, I, გვ. 151).

ანდრია 1713 – იხ. გუნანეთი

ანდრია 1713 – იხ. ღოლოვნა

ანდრია 1724 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... იესე ... წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ნამანგლელევიშვილს როსტომს და გუგუნას... ცოტას ხანს ნაძალადევად გამოგრთმეოდათ [მამული], ამისათვის ... გიბოძეთ [გაუერლის ბეძის] ამოვარდნილის ქაიხოსროს მამული **საღირაშენს** ნეგულაშვილები... **ანდრიას** დონდარაშვილები... **ბეთენიას** ამინა... **ალგეთზედ** ზვარი და ხოდაბუნი მისი ნაქონი... (სს, I, 1899, გვ. 495-496).

ანდრია 1728 – ... თქვენ, ყაფლანიშვილს [დემეტრეს] მე ბარათაშვილმა ... დემეტრემ ... მოგყიდე ... ჩემი სამკვიდრო გლეხი **ანდრიას** ქიტესასშვილი ... თავისის მამულით... არის ... სულ **ხრამის ხეობა** ამისი მოწამე... (დსხი, I, გვ. 224).

ანდრია 1750 – ... ჩვენ, ასლანიშვილებმა იოანემ ... თქვენ, გოსტაშაბისვილის თამაზის ასულს, ქსნის ერისთვის ... შანსეს მეუღლეს ... ანახანუმს ... მოგყიდე ... **ანდრიას** იაგულასშვილის ბერიასი და ნიკოლოზას მამული თავისის შესავლითა... (სს, I, 1920, გვ. 142).

ანდრია XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ანდრია 1756 – იხ. ცხეკვი

ანდრია 1771 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ბარამისშვილს იოანეს... **ანდრიიდამ** გარდმომიყვანია [ყმა, მაგრამ გაიქცა]... ახლა რომ **ქარწლეში** ბანდებოდით, ვიჩივლეთ და იასაული მიბოძეთ; იასაულმა მოგახსენათ: ყულარაღასმა გააქცივა და **ოსეთში** დამალაო... [ერეკლე II-ის ოქმი]: ჩვენ ერისთავსაც და ყულარაღასსაც ამის მიცემა შეუთვალეთ, [მაგრამ] არ მოეცათ... [ამიტომ] ქსნის ერისთვის ყმა საცა **კახეთში** ამ ივანემ იპოვოს, ორი კომლი კაცი უნდა მოეცეს (ქსძ, VII, გვ. 186-187).

ანდრია 1793-1795 – იხ. საყაფლანისშვილო

ანდრიას გორა. შიდა ქართლი (?)

ანდრიას გორა 1703 – იხ. საჭე

ანდრულალი. ქვემო ქართლი

ანდრულალი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ანელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ანეში // ანუში. კახეთი

ანეში XII ს. მიწ. – იხ. რაბჯნი

ანეში 1392 – იხ. ტფილისი

ანეში 1570 – ჩუენ, ... ალექსანდრემ და სუმეონ პანკრატოვანმან ... წიგნი და სიგელი ... მოგაჭსენეთ თქუენ, ... დედა ქალაქისა **მცხეთისა** კათოლიკე ეკლესიასა... მას ჟამსა, ოდეს **ანეშს** ოდიშელიძენი გლეხნი პირველთა მეფეთაგან და ერისთავთაგან თქუენთჳს შემოწირულნი ყოფილიყუნეს და ჟამთა ვითარებისაგან ... მოშლოდეს პატიოსანსა ტაძარსა თქუენსა, ვინათგან მთიულნი ... კაცნი იყუნეს... ჩუენ ახლად ვიგულსმოდგინეთ და ... საქდარი **ანეშისა** და დაბა მოგაჭსენეთ და **წირდალს** ... ორი კუამლი გლეხ-

ნი... დაიწერა ... ჭელითა ქვათაჭვეისა წინამძღურისა მღდელ-მონაზონისა ფილიპესითა... (სს, I, 1899, გვ. 246-248).

ანეში 1579 – იხ. მცხეთა

ანეშის მონასტერი. კახეთი

ანეშის მონასტერი 1447 – იხ. მცხეთა

ანთოკი // ანთუკი. კახეთი

ანთოკი 1392 – იხ. ტფილისი

ანთოკი 1622 – [გლეხები სიგელს აძლევენ კათოლიკოს ქრისტეფორეს]: ასრე რომე თქუენ **ანთოკს** დაგუასახლეთ და ჩუენ ეს საფიცარი მოგართვით: ჩუენს სიცოცხლეში ჩუენი თავი **სუეტს ცხოველს** არ გამოვსწიროთ და არცაღა სხუაგან სადმედა წავიდეთ... (ქრონ, II, გვ. 444).

ანთოკი 1627 – ... **ქართლის** კათალიკოზმან პატრონმამ ზაქარია ესე წიგნი მოგართვით თქუენ, ალმატალის შვილსა დავითს: ... მოხველ და ჭელმწიფის ბატონის თეიმურაზის ნებადართულობითა **სვეტს ცხოველს** ეყმევ და ანთოკს დასახლდით. და წელიწადში **სვეტს ცხოველს** ოთხს საპალნეს ღვინოს და სამს საპალნე პურს მოართმევდე (ქსძ, III, გვ. 488).

ანთოკი 1791 – იხ. გიორგიწმინდა

ანრაწმიდული. შიდა ქართლი

ანრაწმიდული XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

ანტიოქია. შიდა ქართლი

ანტიოქია 1687 – იხ. მცხეთა

ანტონაური ვენახი. შიდა ქართლი

ანტონაური ვენახი 1665 – იხ. კასპი

ანტონის ქარვასლა. თბილისი

ანტონის ქარვასლა 1749 – იხ. ციხის მეიდანი

ანტრაფი. კახეთი

ანტრაფი 1773 – იხ. ჩობახური

ანტრაფის მთა. ქვემო ქართლი

ანტრაფის მთა 1707 – იხ. უზნარიანი

ანტრაფლის ვენახი. კახეთი

ანტრაფლის ვენახი 1782 – იხ. კონდოლი

ანტყა. იმერეთი

ანტყა 1773 – იხ. ქუთაისი

ანუში – იხ. ანეში

ანჩა. კლარჯეთი

ანჩა 1293-1300 – [აღაპი] მანდატურთუხუცესის ბექახი და მისის მეუღლის მარინასი. იოანე რკინის კარელი. მათი აღაპი **ანჩას საათაბაგოსა** (ქრონ, II, გვ. 170).

ანჩელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ანჩისხატი. თბილისი

ანჩისხატი 1730 – იხ. დმანისი

ანჩისხატი 1756 – იხ. დმანისი

ანჯელი. სამეგრელო

ანჯელი 1714 – იხ. საჭყონდიდლო

ანჯელი 1760 – იხ. საჭყონდიდლო

აპორეთი. იმერეთი

აპორეთი 1660 ახლო – იხ. ნოღა

არაგვი // არაგუი, მდინარე, ხეობა

არაგვი 1392 – იხ. ტფილისი

არაგვი 1438 – იხ. მცხეთა

არაგვი 1643 – [წყალობის წიგნი როსტომ მეფისა პაატა ჯავახიშვილისადმი]: ... არაგუის ერისთავი ზაალ და ციციშვილი ნოდარ უკუგუიდგნეს, **კახს** ბატონს ესაქმნეს, შეიყარნეს და **არაგუზედ** მიგუებება გაბედეს და **კახი** ბატონი უნდოდათ **ქართლში** შემოეყვანათ და გაეხატონებინათ. ნოდარ მოსულიყო და ... **ხოვლეს** თქუენს მამულში ჩამომხდარიყვნეს და თქუენთანაც საქმობა დაეწყოთ რომ ... შემოგვეყარენითო. აწე ჩუენ **ქალაქიდამე** შინას ყმის ჯარით წამოვედით, თქუენ წინ მოგუეგებენით მგუიძღუით. გაგუემარჯგა და შევარცხუინეთ... აწე ... მოკითხული გიყავით და **იის ცხე** და **ავეთი** თავად თქუენი სამკუიდრო მამული იყო და მერმე საჯილდაოდ გიბოძეთ ამ ორსავე სოფლის ნახევარი ყოვლითურთ ... სამართლიანის ... სამძღვრითა (ქსს, გვ. 173).

არაგვი 1648 – იხ. ქართლი

არაგვი 1669 – იხ. წილკანი

არაგვი 1687 – იხ. მცხეთა

არაგვი 1722 – იხ. მარტყოფი

არაგვი 1766 – [მეფე ერეკლეს ბრძანება ყულარაღას გიორგისადმი]: ... ვინცა-ვინ თავადიშვილი აზნაურშვილი და გლეხი ... დაგაკლდეს ... **არაგვსა, ქსნისა, საამილახვაროსი** თუ ჩვენის დროშისა, თქვენ კაცს გაუგზავნიდეთ, რამდენიც კაცი გაკლდებათ იმთენს ხარს ისინი გამოართმევენ... ამ ორს წყალზე ზემო **ქართლში** და ჩვენის დროშის სასარდლოზე დაკლებული კაცი ამ წესით უნდა დაირბეოდეს... (ქსძ, II, გვ. 416).

არაგვი 1770 – იხ. ტფილისი

არაგვი 1771 – ღმერთმან ... ბატონისშვილის [გიორგის] ჭირი მოსცეს სალთხუცესს გრიგოლს... **არაგვი** რომ დავიჭირეთ, იქიდამ ერთი **ბორჩალოელი** თათარი ავჯარე მამადა ორის ვაჟითა და ერთის ქალით. იმისი უფროსი შვილი და თვითან **ახმეტას** მესახლა და ლეკმა წაასხა. მერმეს წელიწადს ისევ მოვიდა ის მამადა... [აქ დარჩენილი მისი უმცროსი ვაჟიც] ძალით მე გამიუარშივდა, რომ ბატონისშვილს ყმა ვარ **ბორჩალოელიო**. აიყარნენ და

ალავერდს ქაფანაქჩის ჩავიდნენ... ვითხოვ ... ამ ბიჭის წყალობა მიყოთ... (ქსძ, VII, გვ. 194).

არაგვი 1772 – იხ. თიანეთი

არაგვი 1776 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: რომელნიც **არაგუზედ** დადებულნი ოსები ხართ ყველამ გაიგონეთ: თქვენი სიავკაცე **ქართლში** დიაღ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთ (მიიტსბგ, I, გვ. 40).

არაგვი 1779 – იხ. კიკეთი

არაგვი 1781 – იხ. კახეთი

არაგვი 1782 – იხ. არაგვის საერისთაო

არაგვი 1784 – ... გლახა მილახვარ ჭილაევმა ... ჩემგან[12] თეთრი ისესხა... მოცემას აღმითქომდა და უფროსი ერთა თავის მამულში იქნებოდა არაგვზე... მაგრამ არ მამცა... (მსეი, II, გვ. 63-64).

არაგვი 1784 – იხ. კურწიკამი

არაგვი 1786 – ნიკოლოზ აფხაზოვი ასე ჩიოდა: ეს ჩემი მკვიდრი ყმა არაგვზე იდგაო, რომ მამაჩემს თავის სიცოცხლეში მსახურებდაო. ახლა მე რომ მოველ, თავს ადარ მიდებსო, სამართალი მაღირსეთო (ქსძ, V, გვ. 335).

არაგვი 1787 – იხ. ბახტრიონი

არაგვი 1791 – იხ. ტფილისი

არაგვი 1799 – იხ. მუხრანი

არაგვი – იხ. არაგვის საერისთაო

არაგვი – იხ. არაგვის სამოურავო

არაგვისპირი // არაგვისპირნი. არაგვის ხეობა

არაგვისპირი 1669 – იხ. წილკანი

არაგვისპირი 1722 – იხ. სარუსთველო

არაგვისპირი 1781 – იხ. პაელეური

არაგვისპირი 1782 – იხ. არაგვის საერისთაო

არაგვისპირი XVIII ს. II ნახ.[13] – ესე წიგნი მოგეცით ჩუენ, ერისთვის-შვილმან ... ავთანდილ თქუენ, დავითიშვილს ბატონს ელისბარს: ასე რომე ურიები მომივიდნენ, **არაგვის პირს** მესახლენ... ვალიც ემართა და შვილიც **იმერეთს** დაგირაუებული ყუანდა... ჩუენც ... გაჩუქეთ ... [ორი კომლი] მათის შვილებითა (დსსი, I, გვ. 129).

არაგვის საერისთაო // საერისთო. ქართლი

არაგვის საერისთაო 1746 – იხ. ანანური

არაგვის საერისთაო 1747 – იხ. კახეთი

არაგვის საერისთაო 1764 – იხ. ბოდორნა

არაგვის საერისთაო 1768 – იხ. ქსნის საერისთაო

---

[12] მსესხებლის ვინაობა საბუთიდან არ ჩანს.

[13] XVII-XVIII ს.თა მიჯნა (ჰალ, II, გვ. 29, 139).

არაგვის საერისთაო 1774 – იხ. **ქალაქი**

არაგვის საერისთაო 1775 – იხ. **ქართლი**

არაგვის საერისთაო 1776 – ბატონისშვილი **არაგვის საერისთაოს** მპყრობელი ლეონ გიბძანებ სახლთუხუცესო ფარემუზ... რომელი კაცი ამ სიაში სახელდობრივ სწერია, **ანანურთა** ღვთისმშობლის შეწირულნი არიან, ამათთან ნურა კაცს საქმე ნუ გაქვსთ (გუჯრ, 88).

არაგვის საერისთაო 1776 – ღმერთმან ... ხელწმიფის ჭირი მომცეს ყარაგოზისშვილს ადამს... მამაჩემი რომ ჭირის სანაცვლო გაგიხდათ, **არაგვის** აზნაურშვილებმა ჩემზედ შური იძიეს... უნდათ, რომ ბატონისშვილის ვახტანგის წყალობა [სამი საკომლო მამული] მომიშალონ... (ქსძ, VII, გვ. 352).

აწყური 1414-1426 – ... ესე წიგნი გაკადრე ... ქართლისა ქათალიკოზსა მიქაელს გერასიმე მაწყვერელმა]... **მცხეთას** ... მაკურთხეთ ... [და ჩვენც] არც პატრიარქი მოვიხსენოთ ანტიოქიისა ... [და] არც **ვარძიის** დიაკონი ვაკურთხოთ... და თუ ეს ასრე არ გავათაოთ წუენ და შემდგომად წუენსა სხუათა **აწყურისა** ებისკოპოზთა და საყდრიშვილთა ... ეკლესიისგან განვეყენოთ... **საფარის** სამწყსო, თუინიერ შენისა ბრძანებისაგან კიდე, არა ვაკურთხო... (ქსძ, III, 183-184).

აწყური 1516 – იხ. **მცხეთა**

აწყური XVI ს. დას. – ... დოროთეოს პატრიარქი [ანტიოქიისა] ... მოგიმცნობ... ებრძანა [მზეჭაბუკს] **აწყურისა** ღმრთისმშობლისა საქმენი პირველნიცა და ... აწცა წარუვლენიან კაცნი სოფელს გუერდის და ჩუენიცა ეპისკოპოზი ყოფილიყო მათ წინაშე, სახელით გრიგოლ ებისკოპოზი ბოლოზნისა... და [მაწყვერელს] მივათუალეთ ყოვლი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი, რათა ებისკოპოზნი მისგან ეკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებათა ჰმორჩილობდენ... (ქსძ, III, გვ. 241).

აწყური XVI ს. დას. – იხ. **ყვიბისი**

---

[19] 1505-1515 წწ (სსიმ, I, გვ. 28-29).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწყური 1541 – შენ ... დიდებულსა **აწყურისა** ღმრთისმშობელისა ... მე პატრონმან თამარმან ... დაგიდევით **წნისს** შოთასშვილები მათითა მამულითა... ამას გარეთ შემოვსწირეთ **ახალციხეს** ნაიბაშვილი მერაბა... (ქრონ, II, გვ. 385).

აწყური 1575 – იხ. **წნისი**

აწყური 1638 – იხ. **მცხეთა**

აწყური 1645 – იხ. **ღოღეთი**

აწყური 1659 – იხ. **რველი**

აწყური 1772 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს **შილდურს** საკათალიკოზოს ჩეკურის დარჩიას ქვრივსა. შარშან პატრონი მომიკვდა და მაზლიც **აწყვერს** დამეკარგა (ქსძ, VII, გვ. 220-221).

აწყური 1776 – [არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ფალავანდისშვილს ერეკლეს. ამას წინათ ჩემი აზნაურშვილი შაბელიქისშვილი შემოგხვეწნიყოთ – ბატონისშვილს ელისაბედს მზითევში გამატანეო... შაბელიქისშვილი ხომ მზითევში გაატანეთ, ასე გარდმოვიდა და **აწყვერს** ჭირის სანაცვლოთ გაგიხდათ და იმისი შვილი **კარბს** საბატონისშვილოს მამულზედ დადგა.... (ქსძ, VII, გვ. 351).

აწყური 1780 – იხ. **სამაჩაბლო**

აწყვერი 1784-1790 – იხ. **ქალაქი**

აწყური 1794 – ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს ავალიშვილის ედიას შვილს პეტრეს... მამაჩემი თქვენს წინ **აწყურს** მომკვდარა ... და მასუკან სხვათა კარზედ გავიზარდე... (ქსძ, VIII, გვ. 279).

აწყურის ციხე. სამცხე

აწყურის ციხე 1619 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... სვიმონ ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ, თქუენ ტატიშვილს **მანგლელ** მთავარეპისკოპოზს ათანასეს და ძმასა თქუენსა თამაზს... **აწყურის ციხის** იარიში შალიკაშვილის მასტანას შვილი თამაზ მოკლეს და თქვენს მეტი პატრონი აღარა დარჩარა... და **სხლითს** რაც იმათი ბოგანოები იყო ფალავანდიშვილის ვარდანის მამულში, ავჰყარეთ და თქუენ გიბოძეთ სამკუიდროდ და საბოლოოდ, რომე ამასთან ჴელი არავის ჰქონდეს, არც ფალავანდიშვილს, არც მესხს, არცავის ქართველსა და არას კაცსა არა... (ქსძ, II, გვ. 212, 213).

აჭარა. იმერეთი

აჭარა 1550-1570 – იხ. **რომანაული პარტახტი**

აჭარა

აჭარა XVI ს. დას. – იხ. **ყვიბისი**

აჭარა 1638 – იხ. **მცხეთა**

აჭარა 1783 – [ერეკლე II-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი]: ... ახალციხის ფაშა ჩემი მეგობარი არის... ერთი თავის ქვეყანა არ ემორჩილებოდა, რომელსაც **აჭარა** ჰქვიან. ამას უწინ მე ჩემის ყმის თათრის ჯარი მთხოვა იმაზე მოსახმარებლად და ვათხოვე... (МПТСВГ, I, გვ. 82).

აჭარა 1789 – იხ. **სურამი**

აჭარა 1792 – [მეფე ერეკლე II სწერს მიშკარბაშ იოსებს]: ... შენი წიგნები მოგვივიდა, და რაც მოგეწერათ, ყველა შევიტყევით. **აჭარის** ამბავიც შევიტყევით. აზრუმის ფაშის გამოცვლაცა ვცანით და მდივან აფენდის **რომ ვარიანელი** ტყვე ჰყავს ... ესეები ყველა წვრილად ვიუწყეთ... ჩვენს ძმას ისაყ-ფაშასაც მოახსენე ჩვენ მაგივრად, რომ თუ მაგ ტყვეს ეშველა რამე, მაგისი სადღეგრძელო იქნება... აქაური ჯარის ამბავს იკითხავ, თათარი და ლეკი ათასამდინ კაცი წამოვიდა **შორაგალს** და **ფაშბაკს** გარდა, და ისინიც წამოვლენ... ეცადე, რომ ჩვენი ძმა ქაიაბეგ ტფილის მობრძანდეს... (სს, III, გვ. 61-62).

აჭარული მამული 1500-1516 – იხ. **ზარზმა**

აჭი. გურია

აჭი 1614 – შემოგწირე მე ... გურიელმან ... სვიმონ ... წმიდასა გიორგის აჭისასა [ხუთი კომლი]... აწ ამ ხუთს კვამლს კაცს გარედ შემოგვწირავს **აჭს** ტყე და წყალი **უნაგირას აქათ სანისლოს ქვას შეკვეთს**, იქიდადმან **ტყემავარის ჯვარს წითლობამდი. წითლობი ნაცხავატევის სერს** რომ ჩამოსდევს, **ნაბადაისა სერს** აქეთი – ეს სალორფინედ შეგვიწირავს. როდესაც საყდარი გარდიჭედებოდეს ჭყიმარტით და **ნაბადათ** გარდიჭედებოდეს. **ნაბადა** დაღმა **ნადირაულს** ჩამოჰკუეთს, **ნადირაულიდადმან მდევის კარს** ამოღმა – ეს ხელშეუალად წმიდის გიორგისათვის შეგვიწირავს... რადგან შემოქმედლის სამწყსო არის და ეს **აჭის საყდარი** მის ხელთ ქვეშ არის, რომელიც შემოქმედელმა მოინდომოს წინამძღვარი, მან დაისვას... (ქსძ, VI, გვ. 662-663).

აჭი 1660 – ... წმიდაო გიორგი **აჭისაო**, გევედრები მე, გურიელი ქაიხოსრო. მას ჯამსა, ოდეს თქვენს საყდარს სიმაგრეშიდ ვიყავით, გამოგვიზახა დადიანმან ვამეხმა თავს დასასხმელი დიდი ლაშქარი იმერელნი, ოდიშარი, შარვაშიძე; ჩვენი სპატიო კაცებიც თან ახლდენ, მოგვიხდენ და **შუა გურია** დაარბიეს... შიგ თქვენს ტაძარშიდ შევიკაზმეთ, მოვედით **ოზურგეთს**; სასახლეში დამაგრდენ ისინი; დავესხით თავსა... მეორეს დღეს ციხე-დარბაზი ვეიღეთ... მოვედით თქვენს წინაშე გამარჯვებულნი ძალითა და შეწევნითა შენითა, შემოგწირეთ ერთი კუამლი კაცი ... მაკვნეთს... **შემოქმედს** ჯიჯავაძის ჯაჭვი, ხრმალი და ლახტი შემოგვიწირავს. შეიწირე კანონიერი ესე შესაწირავი, დაგვიმკვიდრე **გურია** და აღზარდენ ძენნი ჩვენნი გიორგი ბატონისშვილი... სხვა ამის დავთრები ძველს ჩვენს ნათესავთაგან **შემოქ**მედს შეწირული არის. ტყე და წყალი როგორც შეწირულია, ჩვენ ისე გაგვიახლებია... (ქსძ, VI, გვ. 667).

აჭვისთავი. გურია

აჭვისთავი 1664-1677 – ჩუენ, ჭელმწიფემან გურიელმან, პატრონმან გიორგი, შენ, თაუგდირიძესა ბოქაულთუხუცესსა მირზაბეგს ... მოგეცით ... **აჭვისთაუს** პატიაი კეჭაყმაძე... (გსიდ, გვ. 156).

ახალგორი. შიდა ქართლი

ახალგორი XVI ს. – ... **იკორთას** შემოგწირეთ ჩვენ, ერისთავმან ელიზბარ და ჩემთა ბიძაშვილთა... გორასა ესახლე და აიყარე, მოხვეულ **ახალგორსა**. დასახლდი და მამული მთხოვე, მოგეც ერთი საკომო მისითა ვენახითა... ხუთი ლიტრა ზეთი **გარულსა** მამულსა ზედა გედვა კურთხეულისა ჩემისა ბიძაშვილისა შალვასთვინ... (ქრონ, II, გვ. 23).

ახალგორი 1669 – იხ. **წილკანი**.

ახალგორი 1670 – ეს წიგნი მოგეცი მე პაპუნამ ... შენ, მდივანს ზურაბს ... ასე და ამა პირსა ზედა, **ახალ-გორელთ, ხელთუბნელთ, ხარისელთ** ვალი მემართა ორმოცი მარჩილი, შიმშილობაში დამიხსენ და მოვალებას მამარჩინე (სს, III, გვ. 563).

ახალგორი 1703 – იხ. **კაბენი**

ახალგორი 1717-1719 – იხ. **ბოლეთი**

ახალგორი 1726 – ... ჩვენ, რატიშვილმა ზაზამ თქვენ, ქსნის ერისთავს ბატონს შანშეს ... მოგყიდეთ **ახალგორს** უმარილოშვილი ნასყიდა, ბაინდურა, სარქისა და მანუჩარა თავისის სახლით, კარით... (დსხი, I, გვ. 222).

ახალგორი 1764 – იხ. **ბერნელა**

ახალგორი 1770 – იხ. **ტფილისი**

ახალგორი 1771 – ... ფიცი მოგეცით ჩვენ ... ერისთავმა დავით და ძმამან ჩემმან იესე ჩვენს ბიძაშვილს ყულარაღას გიორგის... გაყრა დავიწყეთ. ბატონმა და მოსამართლეებმა ... საუფროსო ... მე მიბოძეს... საუმცროსოთ შენ გიბოძეს **ახალგორის** სასახლე გარეშემო რაც გალავანი აქვია, იმ გალავანს შიგნით რაც რომ დაყვება ... შენთვის დაგვინებებია საუფლისწულოთ: ... ლიახვი ფურცლაძის საკელო რაც არის, ოსი და ქართველი გაღმა და გამოღმა, ხადურის ედიშერის კარს გარდა იმ კლდის ზეითი თავს **ქნოღომდის ფოტრისა**, რაც ჩვენი სახასო არის; **გვედისი**, რაც ჩვენი სახასო არის, საყდრის ყმებს გარდა. **დვალილა(?)**. სულ მთლივ, **ვაკეში მარანა** აზნაური და გლეხი სულ მთლივ ... **ქრცხინვალს** გრიგოლა და პაპისაშვილები ... შენი იყოს... **ქიწნისისა** და **კარალეთის** პურისა და კულუხის გამოსავლის მესამედი, აგრევე **არცევისა** კულუხის მესამედი, **დუდეთის** ზვარი რუს ზეითი, ღმერთმან თუ ინებოს და ქვეყნის მშვიდობით **ატენს** ზვარი გაკეთდეს, იმ ზვრისა და **უფლისციხის** გამოსავლის მესამედი რაც ედვას, ესენი ჩემის მოვლისაგან თვენს მოკვლეს მიეცემოდეს... (მსკი, 33, გვ. 130-132).

ახალგორი 1774 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთაო)**

ახალგორი 1778 – იხ. **ქსანი**

ახალგორი 1778 – იხ. **ჭურთა**

ახალგორი 1779 – იხ. **ანანური**

ახალგორი 1781 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთაო)**

ახალგორი 1782 – ... ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ... არჯევან ფიცხელაურს!... **ახალგორის** მოურავი გახლავარ. რაც **ახალგორი** დაარსებულა, რაც თქვენგან **ახალგორელთ** შეუწერება, ხალხიდამ ათიხავი ჩემია და მამასახლისისა... (ქსძ, VII, გვ. 554).

ახალგორი 1784 – ... მე ... თქჳთუმანმა ფიცხელაურმა, შენ **ახალ-გორის** მოურავს არჯევან ფიცხელაურს ... მოგჳიდე ჩემი ალალი ... შენი კოშკის გვერდზე სახლ-კარათ ნარგები მიწა: იქით ჰევამდინ, აქეთ გზამდინა... (სს, II, გვ. 472).

ახალგორი 1785 ახლო – იხ. **ქარელი**

ახალგორი 1788 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი ხითარასშვილს ზურაბს მოსცეს... ჩვენი და ჩვენი ყმის [ვარდუაშვილების] სამართალი მოგახსენეთ **ახალგორს**, ოქმი გვებოძა: აქა ჩემს სამართალში მოდითო. თქვენთან სამართალში არ მამყენენ, **ქვახრელ** გავიდნენ, ახლა ხუთი-ექვსი თვე არის თავკაცათ სამნი მამა-შვილი ადგნენ, ხინნი გორს გაუშვეს და თელავს ჩავიდნენ (ქსძ, VII, გვ. 778-779).

ახალგორი 1788 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი **შიოღვმევის** ეკლესიის ყმას ვარდუაშვილის ბერუას შვილს იაკოფს მოსცეს... თავი ვაწყინე ბატონს: თქვენს შვილს გიორგიზე ოქმი მიბოძა; **ახალგორს** ბრძანდებოდა... მანდ შენთან ალაპარაკე და ჭეშმარიტი სამართალი მიეცო. არც იმის სამართალში რომ ვედარ მოვრჩი, ავიყარე და **თელავს** წავედი და იქიდამ ვემსახურებოდი ეკლესიას ... ოქმებიც მამირთმევია და მოწმობაც, სამართალი მაღირსეთ (ქსძ, VII, გვ. 792-793).

ახალგორი 1790 – ... ბატონიშვილმა გიორგიმ ... მპყრობელ-მქონებელმან **ქსნისა**, თიანეთისა და **აღჯაყალისა** და **ლორე-ფანბაკისამან** ... წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ფიცხელაურის არჯევან სალთხუცის ჯალაბს მარინეს... **ახალგორს** ჩვენის ყმის ტონუაშვილის ნაქონს ბეითალმანს ნავენახობს დაგვეჯჯე... შეგიწყნარეთ და გიბოძეთ **ახალგორს** ... ბეითალმანი ნავენახობი... ამას გარდა ეს წყალობაც გიყავით, რომ იმ შენს ნასყიდს ვენახს **დამბარაულს** საჩვენო კულუხი ედვა და ის კულუხიც ამოგიკვეთეთ... (სს, II, გვ. 461-462).

ახალგორი 1790 – იხ. **ჯავახეთი**

ახალგორი 1792 – იხ. **ლამისყანა**

ახალგორი 1794 – იხ. **ქვაბთახევი**

ახალდაბა. იმერეთი

ახალდაბა 1685 – ... ჩვენ ... მეფეთ მეფემან ბატონმან ალექსანდრემ ... თქუენ ... ჩრდილოსა და აფხაზეთის კათალიკოზს ნემსაძეს ... დავითს ... მოგართვით ერთი კვამლი კაცი **ახალდაბას** ... და მეორე გლეხი **ხრესილზედ**... (დსსს, I, გვ. 80).

ახალდაბა 1778 – იხ. **ოხომირა**

ახალდაბა. კახეთი

ახალდაბა XII ს. მიწ. – იხ. **რაბუნი**

ახალდაბა 1579 – იხ. **მცხეთა**

ახალდაბა 1657 – იხ. **აკურა**

ახალდაბა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. **თვალი**

ახალდაბა 1753 – იხ. **ახალშენი**

ახალდაბა 1786 – [არზა საგინაშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ... შევიტყე, რომ **ხოდაშნელთათვის** ოქმი გიბოძებიათ... მომიჯნავე მომიჯნავსა, მოგხსენებიათ, რომ საბალახეს ვერ გამოართმევსო. ეგენი ჩემი მემიჯნავენი არ არიან. ჯერ გახლავს **ახალდაბა, ხველიანდო**, იალდო, **საკევრე, ვაშლოვანი, აშროშანი, ნაფეტვარა** – ეს სოფლები ჩვენსა და **ხოდაშენს** შუა არის. და რამთენიმე სოფელი არის, რომ დასავლეთის კერძო იქით ძევს: **ნაშალთველი, პატარა ტყემლიანა, დიდი ტყემლიანა, ნასახლარი, ახაშანი,** ივალა, ბადანი, **ხაჩირი**, ბაკანი, **დიდსახადში** ნასოფლარი **ჩრდილში, მეკვდური**, ფახანი, **შუბლა**. [ოქმში]: მდივანო დავით... თუ ... ამ სიით ეს სოფლები რომ დაუწერია, ამათს მამულსა და **ხოდაშენს** შუა არის, როგორიღა მემიჯნავენი იქნებიან **ხოდაშნელნი** ამათი... (ქსძ, VII, გვ. 704-705).

ახალდაბა. კლარჯეთი

ახალდაბა 1392 – იხ. ტფილისი

ახალდაბა. ქვემო ქართლი

ახალდაბა 1633 – იხ. ზემო ოძისი

ახალდაბა 1640-1641 – იხ. გორუნჯუკი

ახალდაბა 1691 – იხ. ქალაქი

ახალდაბა 1699 – იხ. მანგლისი

ახალდაბა 1786 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს თამაზა თურქისტანიშვილის ქვრივსა და ობლებს. ოთხი-ხუთი თაობა მეტი არის ჩვენი პაპის პაპები აყრილან, არცარა მამის ჩვენისათვის უთქვამსთ ამ ჩემს სახლის კაცებსა. ახლა მე მძლავრებით მერევიან, ნახევარი **ახალდაბა** ჩემია და იმას მეცილებიან... (ქსძ, VII, გვ. 713-714).

ახალდაბა 1800 – მღვდელი იოსებ [თურქისტანიშვილი] **ახალდაბას** ოთხს საკომლოს ჩიოდა... [ფრანგისტან თურქისტანიშვილმა წარმოადგინა შაჰნავაზის სიგელი], რომელშიაც ესრეთ ეწერა: „ჩვენ ოდეს იყალთოს ცოტას ჯარით ვიდექით და ბატონიშვილი ერეკლე თავს დაგვესხა მთიურის ჯარით და შენ, თამაზა კარგა გაისარჯე იქა და ამის სანაცვლოდ წყალობად ორი კომლი **ახალდაბას** ქექებურაშვილის წილი ყაზანა პაპიაშვილი და ირემაშვილი მოგეცითო...“ კვალად მღვდელმანვე მოიტანა შაჰნავაზ მეფისაგან წერილი ... „შეგიწყალეთ და შენი ნაქონი მამული **ახალდაბას** ისევ გიბოძეთო.“... ფრანგისტანმა მოიტანა მეფის გიორგის წიგნი, რომ „გოდერძი ქექებურაშვილი ჩუენის რისხვით მოიკლა და **ახალდაბას** იმის ნაქონი [ყმები] შენ მოგეცითო“. მღვდელი იოსებ მიუგებდა: მართალია, მეფემ გიორგიმ წამართვა და შენ გიბოძა, მაგრამ ... მეფე ერეკლემ ... ისევ მიბოძაო... შემდგომად ამისა ერთი წიგნი ჰქონდა მეფის ვახტანგისა ... თურქისტანიშვილს ბეციას, რომელშიც ეწერა რომ: ქექებურაშვილის მამული რომ ებოძებინა მეფეს გიორგის, ის ისევ ჩამოგართვით და ამის სამაგიეროთ ამოწყვეტილის თაყაშვილის უსუფბეგის მამული გიბოძეთო. და

მას აქეთ რაც სომხითში იოსების მამა-პაპათ ნაქონი მამული არის, დღეს-საც იოსებს უჭირავს... (ქსძ, VI, გვ. 232-233).

ახალდაბა // აჭალდაბა. შიდა ქართლი

ახალდაბა 1392 – იხ. ტფილისი

ახალდაბა 1401-1415 – იხ. ულუმბა

ახალდაბა XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

ახალდაბა 1574 – იხ. ყურისუბანი

ახალდაბა 1591 – იხ. დიღომი

ახალდაბა 1615-1619 – იხ. ტკოცა

ახალდაბა 1633 – ... ჩუენ, ჴელმწიფემა ... პატრონმან როსტომ თქუენ ... ფარეშოუხუცეს ჯავახიშვილს პაატასა ... გიბოძეთ **ახალდაბის** მოურაობა ყოელის მისის სამართლიანის საქმითა, რარიგადც ამას წინათ სხუათ მოურავს ჰქონებოდეს... სურამის ციხისთაო, მოურაო თქუენც ასრე გაუთავეთ... (ქსის, გვ. 104-105).

ახალდაბა 1634 – იხ. ზედა ახალდაბა

ახალდაბა 1636 – იხ. გორი

ახალდაბა 1653-1658 – იხ. ხელთუბანი

ახალდაბა 1660 – იხ. ქალაქი

ახალდაბა 1669 – იხ. წილკანი

ახალდაბა 1703 – [სამოურაოს გარიგების წიგნი]: **ახალდაბას** სძეს სამოურაო გასამყრელო ქართუელსა და ურიაზედ საბატონოს გარდა მოურავისა შეძლების გვარათ, რაც ხელი გამოუიდეს, მოართვან (იდსეშ, გვ. 164).

ახალდაბა 1703-1712 – [ვახტანგ VI-ის ოქმი]: მერმე თუმანიშვილი ფირან და მანუჩარ რომ გაყრილიყვნენ, **ახალდაბას** გოგებაშვილი თამაზას შვილები ფირანს რგებოდა და ბარათიცა ქონდა ... და ... ის გლეხი ისეე ფირანს დარჩა (დსსი, I, გვ. 123).

ახალდაბა 1709 – იხ. იმერეთი

ახალდაბა 1712 – იხ. ურბნისი

ახალდაბა 1725-1729 – ...თუმანისშვილს ფირანს თავისი ძმა მანუჩარ ერთს კომლს კაცს **ახალდაბას** გოგებასშვილს ეცილებოდა... (დსსი, I, გვ, 219).

ახალდაბა 1736 ჩვენი – [ზაზა ერისთავის] ბრძანება არის **ახალდაბელნო**! მერმე ელისბარა დავითიშვილს საამრად გიბოძეთ, და როგორადაც ძველადგან გარიგებული ყოფილიყოს, იმავე წესით მოურაობა ელისბარისათვის გვიბოძებია (სს, II, გვ. 478).

ახალდაბა 1736 – იხ. ქსნის ხეობა

ახალდაბა 1738 – იხ. რუისი

ახალდაბა XVIII ს. I ნახ. – ... ეს [ვალის გარდაწყვეტილობის] წიგნი მოგეცი მე, ასლან ავალიშვილმა შენ, გოჩიასშვილსა გიორგის... არის ამისი მოწამე **ახალდაბის** მინბაში ალია... (მსეი, II, გვ. 32).

ახალდაბა XVIII ს. II მეოთხ. – ავიღე მე, თუმანისშვილის მანუჩარის შვილმა გორჯასპიმ ... ერთი თუმანი ახალი თეთრი... ყაბულიც მაქვს. ჩემის ურმითა და ხარით ჩამოგიტანო **ახალდაბიდამ** პური (დსეი, გვ. 53).

ახალდაბა XVIII ს. შუაწლ. – იხ. **გარეჯვარი**

ახალდაბა 1762 – ღმერთმან ... ჭელმწიფის ჭირი ... მოსცეს ... თუმანიანთ პაპუას ყმას **ახალდაბელს** ბერიკაშვილს გლახას... მაშინ **ქართლი კახეთს** გადმოცვივდა, თქვენს კალთას შეეხიზნა, ერთი მღდელი მამა მყვანდა, **კონღოლს** გიახლათ, ოთარ მდივანმა ხელი დაადვა და ... რასაც შოულობდა [მამაჩემი], სულ ხელიდამ ართმევდა... ერთი თუმანი დამრჩა ... და გაბაშვილის ყმას **თხინვალელს** წიქარაშვილს სარგებლით მივეცი; და თქვენის ჰოქმით თუმანიშვილმა პაპოამ წამამოყვანა **ხელთუბანს** და თეთრი იქ [კახეთში] დამრჩა... (ქსძ, VII, გვ. 59-60).

ახალდაბა 1767 – ღმერთმან ... ჭელმწიფის ჭირი **ცხინვანელს** მურადაშვილს ბეჟანს მოსცეს. არუთინა მამასახლისი რომ გახლავს, ის მურადაშვილობას მოგახსენებს... ახლა თავის მამისა და ბიძისაც იმას უჭირავს მამული და ჩვენიც... წინაზე **ახალდაბას** რომ ბრძანდებოდი ... ერთი ოქმი გვაბოძეთ არუთინა მამასახლისზე... სამართალი გვაღირსეთ ... [რომ] გემსახუროთ და დავრჩეთ ... **იორზე**. [მეფის ოქმი]: ... როცა ... ჩვენ **ქართლში** მოვიდეთ, ეს [მურადაშვილი] ... და მამასახლისი ... ჩვენს სამართალში ალაპარაკე (ქსძ, VII, გვ. 118-119).

ახალდაბა 1772 – იხ. **ხეობა**

ახალდაბა 1774 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთავო)**

ახალდაბა 1774-1783 – იხ. **ვარიანი**

ახალდაბა 1776 – ავიღე მე, ყარან-ბეჟანისშვილმა გიორგიმ შენ ... იოსებ მდივნისგან ოთხი თუმანი... მოგაროვი ... გირაოთ აჭალდაბას ჩემი ყმის დათას ვენახი და სამი დღის ნაფუზარი ამავ ვენახის ბოლოს... მე, **ჭელთუბნის** მღდელს ტერ მოსესას დამიწერია... (მსეი, II, გვ. 48-49).

ახალდაბა 1777 – იხ. **ანდარია**

ახალდაბა 1779 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს **კავთისხეველს** შაყულაშვილს თეკლორეს. ჩვენ ცალქალამნიძეებისაგან ნასყიდნი ვყოფილვართ და ჩვენს ნასყიდს მამულზედ ვმდგარვართ და ცალქალამნიძეებს ჩვენის მამულით ჩვენთვის ისევ თავი დაუხსნევინებია... ახლა ცალქალამნიძე კიკოლა და საბა ... მეჯიდებიან... ოქმი მიბოძეთ, ჩემთან ჭელი არა ჰქონდესთ. თქვენს ყმად გახლდე **ახალდაბას** (ქსძ, VII, გვ. 453-454).

ახალდაბა 1781 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთავო)**

ახალდაბა 1783 – [არზა გიორგი თუმანშვილისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი]: **ახალდაბას** ერთი კომლი გლეხი კაცი ჩემი ყმა ამოვარდა და ... იმის მკვიდრი **ფირბებაული**[20] ნაქონი მიწა, ხუთის დღისა მიწა, ჩემმა განაყოფმა კაცუამ წამართვა და სჯამს (ქსძ, VII, გვ. 586).

[20] ფირბეშაული (სს, III, გვ. 514).

ახალდაბა 1784 – იხ. ზემო ქართლი

ახალდაბა 1785 – [თუმანიშვილების არზა მეფისადმი]: როდესაც თქვენი წყალობა **ახალდაბა** მოგვცემია, დიაღ, დიდი ხნის ამბავია. ახლა გარსევანიშვილები ... მოგვპარვენ და მოგვტაცებენ ხოლმე... ორასი კოდი პური მეტი მოგვტაცა შარშან და წლეულ... (ქსძ, VII, გვ. 665).

ახალდაბა 1787 – იხ. ზემო ქართლი

ახალდაბა 1788 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი ... თუმანიშვილს გოგიას მოსცეს... ჩემა განაყოფმა კაციამ **ახალდაბას** მიწები წამართვა და თქვენ არზა მოგართვით... და **ახალდაბელების** მუჯალამაც ... ასე მოგახსენეს, რომ: ოსმალობას აქეთ სულ ამ გოგიას პაპას და მამას უჭირამსო... (ქსძ, VII, გვ. 780-781).

ახალდაბა 1789 – იხ. ხელთუბანი

ახალდაბა 1791 – [არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა გიორგი ბატონიშვილისადმი] ... **ახალდაბას** მობძანდა ბატონი; თავათ მე მოვიყვანე [ფალავანდიშვილების ნაყმევი კაცი], ვიჩიელე და იქაც გავამტყუნე... ისევ ბატონყმობაზე შემრიგა იოსებ მდივანმა, სულ ერთობით ფალავანდიენთ (ქსძ, VIII, გვ. 131).

ახალდაბა 1792 – იხ. რეხა

ახალდაბა 1795 ახლო – იხ. ერედვი

ახალდაბა 1793-1795 – იხ. საყაფლანიშვილო

ახალდაბა XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ახალდაბა XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

ახალდაბა 1800 – იხ. სურამი

ახალდაბა 1800 – ... მე, ნიკოლოზ [თუმანიშვილი] ვსწერ ამას, ჩემი ვალი არის: **ახალდაბელის** ჯამაგირი მმართებს... ერთი სიგელიც **რეხელ** ფიფინაშვილს ნასყიდი მიწის... **გორს** პეტრე ხითარაშვილი რომ არის, იმისი მმართებს... (დსეი, გვ. 137-139).

ახალდაბა 1784 – [არზა მანუჩარ სულთნისშვილსა მეფისადმი]: ჩემი ნასყიდი კაცი მახარეშვილი პეტრე **ახალდაბას** არის. ერთი ოქმის წყალობა გვიყავით, აჭყარო და თქვენგან სახელდარქმეულს ჩემს სოფელში დავაყენო... (ქსძ, VII, გვ. 624-625).

ახალდაბა 1790 – [არზა გოგიასი ერეკლე II-ისადმი] ... **ახალდაბას** ერთი კომლი ღარიბი გლეხი მყავს და იმის სახლიდამ ერთი მე მახლდა აქამდისინ... მოხელეებს უბძანეთ, დავთრიდამ ამოუშვან (ქსძ, VIII, გვ. 65).

ახალდაბის ციხე. შიდა ქართლი

ახალდაბის ციხე 1793-1795 – იხ. საყაფლანიშვილო

ახალკალო. კახეთი

ახალკალო XII ს. მიწ. – იხ. რაბუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალკალო 1517 – ... თქუენ, (მცხეთას) და ... კათალიკოზს ბასილის ჩუენ, ჭავჭავასძეთა როშნიას შვილთა ... შემოგწირეთ ... **ახალკალოს** ჩუენნი მკუდრნი ყმანი ლურსას ძენი ... და ახმეტას ვენაჭი... (ქრონ, II, გვ. 334).

ახალკალო 1722 – იხ. მარტყოფი

ახალსაყდარი. შიდა ქართლი

ახალსაყდარი 1790 – იხ. გორი

ახალსაყდრის შარა. შიდა ქართლი

ახალსაყდრის შარა 1789 – იხ. ოხპნჯანაანთ შარა

ახალსოფელი. იმერეთი

ახალსოფელი 1578 – იხ. ქუთაისი

ახალსოფელი 1766 ახლოს – ... მეფეთ-მეფემან სოლომონ ... შემოგწირეთ ესე შესაწირავი: **ახალ სოფელი** ძველად ჩუენთა მამაპაპათაგან **ქუთათისისა** მღთისმშობლისათვის შეეწირათ და შემდგომად მძვინარის აგარის ნაშობს დაეპყრათ **ქუთაისი** და შენი მამული რომელიც იყო, ოხერ და განბნეულ ქმნილ იყო... მძლე ვექმენ აგარანთა და თვინიერ **ქუთათისისა** რაც სოფლები ქონდათ ... ჴელად ვიგდეთ. ეს **ახალ სოფელი** თათარს ეჭირა... აღარ დავანებე და შენ, **ქუთათისისა** მღთისმშობელს შემოწირეთ სოფლობით, რაც ძველად **ქუთათისისა** მღთისმშობლის ყოფილა... ასე რომ რომელიც სამკვიდრო ყმა **საქუთათლო**[21] სახლობს, ის ჴელშეუალათ და რომელიც ჩემი სახასო კაცი ესახლოს, კაცი ჩემი იყოს... ქუთათელ მიტროპოლიტს ... მოგაბარეთ ეს **ახალ სოფელიც** და სხვა, რაც ჩვენს საბრძანებელშიდ **საქუთათლო მამული** იყოს... (რეფ, გვ. 10).

ახალსოფელი 1773 – იხ. ქუთაისი

ახალსოფელი 1781 – იხ. საწირე

ახალსოფელი. კახეთი

ახალსოფელი 1693 – იხ. შიბლიანი

ახალსოფელი 1791 – იხ. ბეჟანბაღი

ახალსოფელი. რაჭა

ახალსოფელი 1732 – იხ. ბარისთავი

ახალსოფელი 1733 – იხ. ბარისთავი

ახალსოფელი. შიდა ქართლი

ახალსოფელი 1664-1673 – იხ. წყნეთი

ახალსოფელი 1669 – იხ. წილკანი

ახალსოფელი 1722 – ... ჩვენ, მეფემან პატრონმან შანავაზ, თქვენ წერეთელს ქაიხოსროს ... გიბოძეთ **სურამის ჭალის** ბოლოს **ახალ-სოფელი** თვისის სამძღურითა, ტყითა და საწყლისპიროთი; როგორაც თავიდგან ბეჭ-

[21] საქუთათლო ჩამატებულია. სარგის კაკაბაძე

თაბუს გაესამძღროს და სამნები ჩაესხას, იმ სამძღურით ... გვიბოძებია (იდ, I, გვ. 54).

ახალსოფელი 1723 – იხ. ზემო მხარი

ახალსოფელი 1723-1724 – იხ. სურამი

ახალსოფელი 1750 – [თეიმურაზ II-ის ბრძანება]: ვისაც ამ კაცია ფავნელისშვილის მამული გეჭიროსთ, ან **ქცხილვანს**, ან **ზღუდერს**, და ან **ახალსოფელს**: უწინდელი ბატონების სიგლეხეც ჰქონდა, ამისათვის წყალობა გვიქნია, დედოფალმაც უბოძა ამას თავისი მამული. უნდა დანებდეს, თორემ დიდად გვეწყინება (სს, III, გვ. 159).

ახალსოფელი 1756 – ხითარასშვილმან აღამ **ახალსოფლის** ნაცვალს შიოს და იმის ძმებს ხუთი კოდი პური უჩივლა (სამდ, გვ. 36).

ახალსოფელი 1756 – [მორიგების წიგნი ამილახვართა სახლიკაცობის საქმეზე]: ... ამირახორიშვილს დიმიტრის და დავითს საუფლისწულოთ დავანებეთ **ახალსოფელი** და **შეისულანი** თავისის სამძღვრითა, მთითა და ბარითა (ქსძ, IV, გვ. 449)

ახალსოფელი 1766 – იხ. გორი

ახალსოფელი 1770 – იხ. გრაკალი

ახალსოფელი 1782 – ერთობით **ახალსოფლელნი** და ერთობით **კვარხითელნი** სოფლის სარწყავს წყლის რუზედ ლაპარაკობდნენ. ამათ ძველთაგან ორი რუ ჰქონიათ – ერთი **მეშვე რუ** და მეორე **ზედღულეთის რუ**... ჩვენ, ბატონისშვილმან ვახტანგ ... ასე გაუმართლეთ, რომ: ამ ... ორს რუში რაც წყალი შემოვიდეს, იქივ **კვარხითის** თავს სწორეთ შუა უნდა გაიყოფდეთ (ქსძ, V, გვ. 191-192).

ახალსოფელი 1788 – ღმერთმან ... მეფის ძის იულონის ჭირი მოსცეს სოლომონ აბაზაძეს. მერმე თქვენს წყალობას **ახალსოფელს** ვიდექ. მომიხდა გვერდწითელი დათუა გუთანზე... (ქსძ, VII, გვ. 779-780).

ახალსოფელი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

ახალსოფელი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ახალუბანი. კახეთი

ახალუბანი 1505 – იხ. ოროტა

ახალუბანი 1579 – იხ. მცხეთა

ახალუბანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ახალუბანი. ტაო

ახალუბანი 1392 – იხ. ტფილისი

ახალუბანი. ქართლი

ახალუბანი 1392 – იხ. ტფილისი

ახალუბანი. შიდა ქართლი

ახალუბანი 1470 – იხ. ლარგვისი

ახალუბანი 1514 – იხ. წილკანი

ახალუბანი 1669 – იხ. წილკანი

ახალუბანი 1766 – იხ. ქიწნისი

ახალუბანი 1771 – იხ. ხიდისთავი

ახალუბანი 1778 – იხ. მეჯვრისხევი

ახალუბანი 1781 – იხ. პავლეური

ახალუბანი 1795 ახლო – იხ. გორი

ახალუბანი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ახალქალაქი. კახეთი

ახალქალაქი 1793 – [არზა ზაქარია მაყაშვილისა]: ... ერთი ყმა გაგვექცა პეტრე ლაჩაჩაშვილი გაღმა მხარს, ახალქალაქს თურმე დგას, ჩვენ კი არ დაგვანებებს სოფელი... [ერეკლე II-ის ოქმი]: მდივანო დავით! ზაქარია მაყაშვილი ... რომ ჩივის და მემკვიდრე კაცი აჰყრია და ნაქალაქარში მისულა, აუყრევინე და თავისავ მამულზე დაუსახლე (ქსძ, V, გვ. 198-199).

ახალქალაქი 1793 – [არზა იოანე ხუთასისთავის მეუღლის მარიამისა]: ... დედაჩემს თავის ძმისაგან ერთი ბიჭი ყუანდა მიცემული, ქაიხოსრო ენისელთ მოურავის შვილმა არ დაანება [და] ... აყარა... დარჩა ასე ის კაცი, დაკარგულია, ცოლშვილი ახალქალაქს დამდგარა... ამისი წყალობა მაღირსეთ ... კალაურის მოურავს ... მაყაშვილს ებძანოს, რომ ამათ აყარონ (ქსძ, VIII, გვ. 236).

ახალქალაქი 1794 – იხ. გრემი

ახალქალაქი 1797 – [არზა იოანე ბებურიშვილის ქვრივის მარიამისა გიორგი XII-ისადმი]: ... ერთი ბიჭი ყვანდა დედაჩემს თავისი ძმისაგან მოცემული... ქაიხოსრო ენისელთ მოურავის შვილმა არ დაგვანება... იქიდამ [ყმა] ახალქალაქს დადგა. ბატონის დისწულმა აღარ დამანება... [მეფის ოქმი]: ჩვენი ბძანება არის კალაურის მოურაო ომან! ... ახლა შენ უნდა მიხვიდე თარსაგალავანში და ის თავისი კაცი უნდა აუყარო და მისცე (ქსძ, VIII, გვ. 423-424).

ახალქალაქი 1799 – ხელმწიფის ძის ბაგრატის წინაშე მოსახსენებელი თუშთ მოურავის დის მარიამისაგან... ალაზანს გამოყვანილი [ყმა] გრიგოლ ენისელთ მოურავის შვილი და დათუა მაყაშვილი დაყრივნენ ... [და] გამაბრუნე... იმ კაცმა დაიწყო სიარული ახალქალაქს მივიდა... [ერეკლე მეფემ] ოქმი მიბოძა: ბატონის დისწულო, ამას თავის ყმა მიეცესო. ეს მიპასუხა: ახალქალაქი იულონ ბატონისშვილის არისო, იმისი ოქმი მამიტანეო... [იოლონ ბატონიშვილმა] ოქმი მიბოძა – მიეცო... გეყედრებით, ნუღარ მამიშლით. აქ გახლავსთ კალაურის მოურავი, აჰყაროს (ქსძ, VIII, გვ. 531-532).

ახალქალაქი. ქვემო ქართლი

ახალქალაქი 1392 – იხ. ტფილისი

ახალქალაქი 1546 – [საკათალიკოსო გამოსაღების წიგნი]: ... გამოიღებს **ახალქალაქელი** თავი კაცი ორნი მოყალნენი: ერთს ფურბერწსა და ერთს ცხუარსა...[22] ნადვალევს დღიურზედ ღალა სამი კოდი... (დსსი, I, გვ. 6).

ახალქალაქი 1676 – იხ. **ვანქი**

ახალქალაქი 1716 – ... ჩვენ, ბატონისშვილმან სვიმონ თქვენ, გერმანოზიშვილს იესეს ... ვითაც ძველთაგანც თქვენი სამოურაო ყოფილიყო ... ახლა ... გიბოძეთ ... ჩვენის **ახალქალაქის** მოურაობა... (სს, I, 1899, გვ. 494).

ახალქალაქი 1717-1719 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... მილახორბაშს თამაზს მოსცეს... თქვენი წყალობა მამაჩემს **ახალქალაქი** და **ტამალია** სამოურაოდ ეჭირათ. თქვნც მოგხსენებათ, თუ რა ხანია ის სოფლები იმათ უჭირავს და ახლა წაურთმევიათ სადმე (ქსძ, VII, გვ. 13-14).

ახალქალაქი 1717-1724 – [წერილი ვახტანგ VI-ისა შაჰნავაზისადმი]: ... მერმე ამ გერმანოზის შვილებისათვის თავის სახელოს წყალობა აქაც უყავით **ახალ-ქალაქისა** და **ტამლიასი** და მანდაც ოთარს უბოძეთ, ნამსახური არიან (სს, I, 1899, გვ. 351).

ახალქალაქი 1718 – იხ. **გუდალეთი**

ახალქალაქი. შიდა ქართლი

ახალქალაქი 1663 – ესე წიგნი მოგეც მე, ყანდურალამან ... თქვენ, ... მოურავისშვილს ... თარხანს გიორგის... მე მოვჱლ **ახალქალაქს** და თქვენ გეყმე და ჩემი ცოლ-შვილი **ახალციხეს** არის და თუ ჩამოვიყვანე ... **ქართლში** ... თქვენს უკეთესი ბატონი ნუ მინდოდეს... (დსსი, I, გვ. 40).

ახალქალაქი 1709 – ჩვენ, ბატონმა მოურავმა ... მოგეცით შენ, ჩემს შვილს ბაადურს ... ორი კუამლი კაცი ... ჩვენი ნაშოვნი, ბატონის გასამყრელოთ აღებული, **ახალქალაქს** მამასახლისის-შვილი ელიზბარა და **ახალშენს** ოთიაშვილი ზაქარია... (დსსი, I, გვ. 139).

ახალქალაქი 1713-1738 – ... ჩვენ, დიდის მოურავის ძის ძემა დავით ... შენ, ნაზარაშვილს ბეჟანას ... მოგყიდეთ ჩვენის სამკვიდროს ყმის ... დაბაღიშვილის მიწა **ახალქალაქს**... (დსსი, I, გვ. 160).

ახალქალაქი 1716 – იხ. **ახაშენი**

ახალქალაქი 1718 – იხ. **ზენადრისი**

ახალქალაქი 1722 – იხ. **ერთაწმინდა**

ახალქალაქი 1724 – იხ. **ყარაღაჯი**

ახალქალაქი 1724 – იხ. **ჭვიროსი**

ახალქალაქი 1741-1747 – [თარხნიშვილების ყმათა გამოსავლის ნუსხა]: ... მამაცამა და ბეჟანამ **ახალქალაქის** მამულის ღალითა პური და ქერი ხარვარი ორი, ლიტრა სამოცდა-ათი... **ერთაწმინდამ** აყრილის კაცის მამულმა

---

[22] ეს უკანასკნელი ფრაზა სხვა ხელითაა და ი. დოლიძისეულ პუბლიკაციაში არ გვხვდება (– იხ. ქსძ, III, გვ. 260).

ხარვარი ერთი, ლიტრა ოცი... **ეზატ-გუნალეთს** აყრილმა მამულმა ხარვარნახევარი... (დსსი, I, გვ. 301).

ახალქალაქი XVIII ს. I ნახ. – ... ერთი თუმანი წვერიანიშვილს მართებს **ახალქალაქს**... სამი თუმანი **სურამს** ჩვენს ურიებსა მართებს თამასუქებით **ქრცხილვანური** ჩვენის ურიების თამასუქები მამცეს, იმათ აღარა მართებთ რა... (დსეი, გვ. 54).

ახალქალაქი 1766 – იხ. **გორი**

ახალქალაქი 1778 – ... ბეცია გედევანისშვილსა ... და გაბრიელს სარდალსა გასაყოფი გვყვანდა ორი კომლი კაცი... რომელიც მე მერგო, ის კაცი **ახალქალაქს** ბერს თარხნისშვილთან არის. მამით, პაპით მემკვიდრე ჩვენი ყმა არის გოროვნელი... ამ მოწყალებას ვითხოვთ ... იასაულის წყალობა მიყოთ, ჩემი ყმა ამიყაროს და მომაბაროს (ქსძ, VII, გვ. 421-422).[23]

ახალქალაქი 1788 – ... ბატონისშვილის გიორგისათვის მოეხსენებინა პეტრე გედევანისშვილს ბეციას: ჩვენ და გაბრიელ სარდალი რომ გავიყარენით, ... რომელიც მე მერგო [ყმა], ეს **გოროვნელი** ... ქქვსშაურა ... **ახალქალაქს** ბერის თარხნიშვილის კედლათ დგასო... [თარახნიშვილმა იმოწმა]: ბატონის ოქმი იყო ... მჭედელმა ... შეჰფიცოსო, რომ ექვსშაურა **სამცხეთოო** არ იყოსო... ამ ოქმის ბრძანებით ... **მეტეხს** მივიდნენ მჭედელი [თარხნიშვილის ყმა] და შოშია [თუხარლის ყმა]. მოლარეთუხუცესს გამოეყარა, არ დაგაფიცებო. მერმე **ქალაქს** მორჩილაძე მიიყვანა მჭედელმა: ფიცი ... დამაფიცეო... (ქსძ, V, გვ. 196-197).

ახალქალაქი 1793 – [არზა სულხან თაქთაქიშვილისა]: ერთი ხაბაზი ... ამეყარა, **ახალქალაქს** სოლომან თარხნიშვილის კედლად დადგა (ქსძ, VIII, გვ. 211).

ახალქალაქი 1793 – იხ. **ოძისი**

ახალქალაქი 1796 – ესე შართლამის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, თარხნისშვილმა ... სოლომონ ... მღებრებს გასპარასა და შაქარას... დედოფლის ბრძანებით **ახალქალაქის** სამღებრო ჩვენ გვებოძა და ჩვენ თქვნთვის გვიბოძებია წელიწადში თორმეტ თუმნათ... ორს წელიწადს თქვენს ხელში უნდა იყოს... (ქსძ, VIII, გვ. 931).

ახალქალაქი 1796 – მამებარა მე, მილახვარს ყორღანაშვილს იოსებს, შენ, **ახალქალაქის** სამღებროს იჯარადარი გასპარასაგან და შაქარასაგან, ამ წლის იჯარა თორმეტი თუმანი... (მსეი, II, გვ. 249).

ახალქალაქი 1798 – [არზა სოლომონ თარხნიშვილისა გიორგი XII-ისადმი]: თქვენი უმაღლესობა **ქალაქს** რომ ბძანდებოდა და იმ სნეულობის მიზეზით რომ ავიყარენით, იმჟამად ხუთიოდ კომლი განჯელი სომეხი იმ ჩემის სომხების სოფლისაგანი იქ **ახალქალაქს** მოვიდნენ... ახლა ბატონს დედოფალს იასაულები გაუსევია, აყარეთ და **ქოლაგირში** მიიყვანეთო. თუ დავა

[23] მსგავსი შინაარსისაა ბეცია გედევანიშვილის 1782 წლის არზაც.

აქვს ვისმე, თქვენი უმაღლესობა უნდა მართმეედეს, ოსეფას იასაულს ჩემს ყმაში რა ხელი აქვს... (ქსძ, VIII, გვ. 503-504).[24]

ახალქალაქი 1799 – იხ. თეძამი

ახალქალაქი 1800 – საქართველოს დედოფლის დარეჯანის წინაშე მოხსენება თარხნიშვილი სოლომონ. ამას წინად თქვენის სიმაღლისაგან **ახალქალაქის** სამღებრო მე მებოძა... [მერე] თქვენთვის დაიჭირეთ. ახლა გავიგონეთ, რომ **ახალქალაქის** სამღებრო თქვენი შვილიშვილის – ჩემის რძლის სოფიოსათვის გიბოძებიათ... ამას გეუედრებით, რომ მეც ნება მიბოძოთ, რომ ჩემს **თელეთგორში** სამღებრო გავაკეთო... [დედოფლის ოქმი]: **თელათგორში** სამღებროს გაკეთების ნება მოგვიცია და იმის შემოსავალი შენთვის გვიბოძებია. ასე რომ, თუ **ახალქალაქის** სამღებროს ... სოფიოს გამოვართმევთ, შენც **თელათგორის** სამღებრო უნდა მოშალო (ქსძ, VIII, გვ. 673-674).

ახალქალაქი. ჯავახეთი

ახალქალაქი 1392 – იხ. ტფილისი

ახალქალაქი 1784 – იხ. ახალციხე

ახალქალაქი 1785 – იხ. ბელაქანი

ახალქალაქი 1785 – იხ. თამარაშენი

ახალქალაქი 1788 – იხ. მადანი

ახალქალაქი 1696 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან ... ნაზარალიხან ... ესე ... წიგნი ... გიბოძეთ თქვენ, ... **ახალქალაქელსა** ... შვილს გიქუას... მას ჟამსა, ოდეს ჩვენ ბედნიერის ყეენის **ციხეში** შევედით **ქალაქს**, შენც თან გვახლდი და ... ჩვენც ... გათარხნეთ... (სს, II, გვ. 435).

ახალქალაქი 1797 – იხ. სურამის ციხე

ახალქალაქის წყალი. შიდა ქართლი

ახალქალაქის წყალი 1796 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი თაქლა ქალბალი ოღლი ქაზუმს მოსცეს. ამ აყრილობის ჟამში **ახალქალაქის წყალზედ** რომ მივედით, დამიხვდა თარხნიშვილი თავის კაცებით, ერთი მემცხვარე მომიკლეს... გიახლათ მამაჩემი **თელავს** და [სამართალი გთხოვათ]... (ქსძ, VIII, გვ. 360).

ახალშენი // ახალშენნი // ახაშანი // ახშანი // ახაშენი. კახეთი

ახალშენი 1392 – იხ. ტფილისი

ახალშენი 1464-1476 – თქუენ ... დედაქალაქო ... საყდარო **მცხეთისაო** ... მე ... მეფეთა-მეფემან გიორგი ... შემოგწირეთ და მოგაკსენეთ **კახეთს ახალშენთა** ხერხაულისძეთა ჯავშანისი და გოგას სახლი და მამული... (ის, III, გვ. 39).

ახალშენი 1503 – იხ. მცხეთა

ახალშენი 1527-1532 – იხ. გარეჯა

ახალშენი 1532 – იხ. მცხეთა

---

[24] მსგავსი შინაარსისაა 1799 წლის არზაც (ქსძ, VIII, გვ. 513).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალშენი 1579 – იხ. **მცხეთა**

ახალშენი 1654 – იხ. **საგარეჯო**

ახალშენი 1710-1713[25] – [წერილი დომენტი კათალიკოზის ნიკოლოზ ალავერდელისადმი]: ... **ახალშენს** ერთს საგლეხოს მიწობლიძე თავის სამკვიდროებით ლაპარაკობდა და მანდ სამებელს სამართალი ექნა და **ახალშენელთათვის** ფიცი დაედგა და **ახალშენელთ** სახასოდ გამოეფიცათ. ახლა მიწობლიძეები მოვიდნენ და იმ თავის სამკვიდროს მამულის წყალობა გვთხოვეს, და უბოძეს... ახლა ასე გავიგონეთ, რომე ბატონს სწყენოდეს იმ საგლეხოს მიცემა მიწობლიძისა. თქვენც მოგეხსენება, თუ ჯიმითი და **ახალშენი** როგორ სახასოდ შემოწერილი არის. ჩვენ ეგ როგორ გვეგონა, მიწობლიძის წყალობა ბატონს ეწყინებოდა... (ქუწ, გვ. 39).

ახალშენი 1712 – იხ. **პატარძეული**

ახალშენი 1722 – იხ. **მარტყოფი**

ახალშენი 1722 – იხ. **სარუსთველო**

ახალშენი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. **თვალი**

ახალშენი 1753 – ჩუენ, ... **საქართველოს** დიდმან მწყემსთ-მთავარმან ... პატრონმან ანტონიმ ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქვენ, **სვეტიცხოვლისა** მკვიდრსა ... ჩვენსა აზნაურიშვილს გიჯიყრელს ქაიხოსროს... ჩვენს სახასოს სოფელის **კახეთს ახალშენის** თქვენს სამოურაოში რაც ღორის საბალახე აიღებოდა ამისი მესამედი თქვენ მოგეცემოდათ... რადგან **ახალშენს** სოფელში მეკომური გლეხნი გყვანდათ და მთასა და ადგილში წილი გედვათ, ჩუენის სარგოს ღორის საბალახისა ნახევარი მოგეცემოდესთ; და მესამედზედ კი ჭელი აგადებინეთ... (ქსძ, III, გვ. 836).

ახალშენი 1753 – ბაბადიში გიორგი საგინაშვილს მამუკას **ახშანს** ჩიტაშვილის მამულზე ელაპარაკებოდა და **ახალდაბას** ზურაბას ნაოკარზე და მთის მესამედზედ... და ბაბადიშმა გიორგიმ ერთი წიგნი გამოაჩინა: გაღმა **იულთა** ორი წილი საგინაშვილისა ყოფილიყო და მესამედი ბაბადიშისა... ბაბადიში გიორგი და საგინაშვილი მამუკა ასე შეჯარიგეთ... გამოღმა ჩიტაშვილის მამულზე, **ახალდაბას** ზურაბის ნაოკარზე ბაბადიშმა გიორგიმ ჭელი აიღო ... და გაღმა ... ნახევარი... **იულთა** დარჩა მამუკას ნებადართვითა... (ქსძ, IV, გვ. 422-423).

ახალშენი 1770 – იხ. **ოქიო**

ახალშენი 1772 – [რუსიანთ არზა ერეკლე II-ისადმი]: **ახაშენს** აქათ რომ ჩვენი მამულები **ხოდაშნელთ** უბძანეთ უფროს კაცთა, თქვენს სახასოთ რაც ჩვენი მამული მოგვაბარონ, და მდივანმა გაგვირჩიოს და სამართალი გვიყოს... [მეფის ოქმი]: მდივანი ოთარ და **ხოდაშნელებო**! მერმე ყორჩიბაშიანთ რუსიან რომე ამბობენ, რომე **არაშენდას** რომ ვენახები არის, ჩვენი არისო, თუ საბუთიანი სიტყვა არავის ქონდეს, თავისი მამული დაანებონ... (ქსძ, VII, გვ. 208).

---

[25] 1739-1741 (ქსძ, III, გვ. 760).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალშენი 1786 – იხ. ახალდაბა

ახალშენი 1787 – იხ. ველისციხე

ახალშენი 1790 – [განჩინება ერეკლე II-ისა]: **ველისციხელნი** და **ახაშელნი** რომ მამულზედ დაობდნენ ... ასე გავარიგეთ: ... ორს მიჯნას შუა რაც მამული არის, შუა უნდა გაიყოს, სწორედ ლარზე უნდა გაიმიჯნოს თავის გასადევრათ **ალაზნამდის**, მიხვევ-მოხვევა არ იქნება... როდესაც ჩვენ მოვიცლით, ჩვენ მოვალთ **ახაშნისა, ზეგამისა, ველისციხისა, მუკუზნისა** და **ურიათუბნის** მიჯნებს თვით ჩვენის თვალით ვნახავთ ... და სამართალსაც მაშინ გარდავწყვეტთ. მაგრამ **ზეგამს** თავისი ბოლო უნდა უპოვნოთ... **ურიათუბანს** ზევით თელავამდის რაც სოფლები არის, თავ-თავისი ბოლო გარჩეული აქვსთ. და **ურიათუბანს** ქვეით გუჯაანამდის რაც სოფლები არის, დვთით როდესაც მოვიცლით, თავ-თავისი ბოლო სამართალი უნდა გაურჩიოთ. ახლა საბოლოოდ ამათი სამართალი ამისთვის არ გარდავწყვეტეთ, რომ იქით **ჩუმლაყის** მხარეს **ახაშნელთ** მიჯნა უნდა გავსინჯოთ და სამართალს მაშინ გარდავწყვეტთ... **ზეგამის** ბოლო **ველისციხეს** და **ახაშენს** შუა უნდა უპოვნოთ და გაურჩიოთ... (ქსძ, V, გვ. 511-512).[26]

ახალშენი 1796 – იხ. ვარდისუბანი

ახალშენი. სვანეთი

ახალშენი XV ს. – იხ. გულიდა

ახალშენი // ახაშენი. ქვემო ქართლი

ახალშენი 1392 – იხ. ტფილისი

ახალშენი 1479 – იხ. ვეჟინი

ახალშენი 1523 – იხ. მძოვრეთი

ახალშენი 1543 – იხ. ხხალნარი

ახალშენი 1580 – იხ. სამღერეთი

ახალშენი 1591 – იხ. ამლივი

ახალშენი 1629 – ჩუენ, მეფემან პატრონმან სუიმონ ... გიბოძეთ თქუენ, იოვანეშვილს გოშთაშაბს[27] ... თქუენისავ ბიძაშვილის ყაფარ-ბეგის [მამული] ... **ახალშენს** ალავერდაშვილი, **თაკუს** – ამირაშვილი, და დვალთას – თეგაძე, მათის მამულითა და დედულითა... (ქსის, გვ. 78).

ახალშენი 1638 – იხ. ცოვრეთი

ახალშენი 1641 – იხ. აკანათერა

ახალშენი 1643 – იხ. სამღერეთი

ახალშენი 1658 – იხ. შულავერი

ახალშენი 1688 – იხ. ბუჟღულეთი

---

[26] ველისციხელთა და ახალციხელთა სადაო მიწების შუაზე გაყოფაზე ლაპარაკია 1791 წლის განჩინებაშიც (ქსძ, V, გვ. 547).

[27] სპარსულ ტექსტშია: „საბარათიანოს ბეღნიერი აზნაურის გოშთაშაბისადმი...“ (ქსის, გვ. 79).

ახალშენი 1697 – იხ. თრიალეთი

ახალშენი 1698–1699 – იხ. ბუჟღულეთი

ახალშენი 1701 – იხ. ენაგეთი

ახალშენი 1710 – იხ. ენაგეთი

ახაშენი 1713 – იხ. ღოლოენა

ახალშენი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

ახალშენი 1720 – იხ. ნიაწარი

ახალშენი 1725-1735 – იხ. ვერხვნალა

ახალშენი 1727 – ... ჩვენ, რევისშვილმა პაატამ ... თქვენ, დიდს ორბელისძეს ... ერასტის ... გირაოთ ჩემი კერძი **ახალშენი** მოგეცით ოთხი კვამლი ზედ მსახლობელი... ამოვარდნილის ბიძის ჩვენის ბეჟანის კერძიც თქვენ მოგყიდეთ, რაც დღეს **ახალშენს**, ან **მაღნარსა, ჯალდამისა** და **მუსეფირის** სამზღვრებს შუა რაც ჩემი მამული იყო, ყოვლის მისის სამართლიანის საზღვრებითა **აბულმუჭის** საზღვრამდინ... ამას გარდა ჩვენი სახასო ორი ვენახი, ხოდაბუნები ... ჩვენი წისქვილი თავისის რუთი და საწყლისპიროთი, სხვა თუ რამ **ახალშენს** არის ჩემი და ბიძის ჩემის ბეჟანის კერძის ... ყველა თქვენ მოგყიდეთ (სს, II, გვ. 335-336).

ახალშენი 1741 – დოლენჯიშვილი ვახტანგ ლასურს **ახალშენს** ვენაკს ეძავებოდა. შენ რომ ტფილელს მიგყიდეო, **ახალშენის** ვენაკი არც შენი სამკვიდრო იყოო და არც გამოგვიტანებიაო (ის, V, გვ, 60).

ახალშენი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ახალშენი 1751 – ... მე, ქავთარის შვილის სულხანის შვილმა ნიკოლოზ ... შენ, სიონთა ღმრთისმშობლის დეკანოზის შვილს ... იესეს ... მოგყიდე **ახალშენს** ჩემის განაყოფის ამოვარდნილის ზაზას მამული, ბატონისაგან ჩვენთვის ნაწყალობევი ... ამა მიწებითა: **ხატის ღთაებას** რომ მიადგება ზეითის გვერდის **ხამი მიწა**... არხა ახლა რომ ყანათ არის, იმის ზეით საქცევში **ახაშნის** მჭარეს არხა... ორის დღის მიწა **სოლთაშის არხას** მიწასთან, ერთი თქვენია, ერთი შერანაშვილისა. აქეთ ღელე ბოსლებთან რომ ამოვა, **ეშვის წყაროს** რომ მოადგება... ხოდაბუნი, **წინწყაროს გზას** რომ მოადგება, ქვემო შარიდამ **ახაშნური გზა** რომ შემოივლის **წინწყაროს გზამდის**. არხები, წვრილი არხები **მშრალს ჭევში**... ხოდაბუნების თავში **ძეძვნარი** რაც ჩვენი მიწა იყო, ნახევარი თქვენთვის მოგვიყიდნია, ნახევარი შერანისშვილისა არის... **მარადუბულს შარასთან** იმ ბერის მიწის საქცევში სამის დღის მიწა... **ხოჯიას წყაროსთან** ქოჩარას ნახნავი საქცევი რომ გარდავა, მშრალი ჭევი და ამ **ხოჯას წყაროსაკენ** საქცევი გარდავა თავისის სანაპიროთი. დიდს შარას რომ მოადგება, იმას ზევით **სამაჩურს** სამძღვრამდის საერთო არის... **მარილობის ჭევში** ერთის დღის არხა. **მლაშობში** ლამიდამ რომ გავალთ, იმ **მლაშობში სალებისაკენ** სამის დღის მიწა. **წყაროს თავში** აქათ **ახაშნის** მხარეს, **ლამის წყაროს** ზედ რომ წადგება, ერთის დღის მიწა. **დახაპალაში** ერთის დღის მიწა... **გუდა წაგომეიდა მიწაში** ერთის დღის მიწა. ორის დღის მიწა **კალერში კლდის პირში**, თამა-

ზაშვილმა რომ გაყიდა, მღვსიაშვილმა რომ იყიდა... ამოვედით **საურმეში** ტყე და ტყეს რომ **ისპოას მიწა** მიადგება, ორის დღის მიწა, **ნიგვზის მიწა**. **ახაშნურის** ურმის გზა რომ შემოივლის, იმისს დარგზე სოფლის პირდაპირ ერთის დღის მიწა... **ხაროს მიწის** ნახევარი... იმის ზევით **ენაგური გზა** რომე წავა, ის შარა, ის საძოვარი... **სომეხიანთ ბანთ** უკან სამის დღის მიწა. **ორბელაშვილის ნაფუძარს** ბოლოს ორის დღის მიწა... **ბაღნა** თავისის ნაფუძრითა, თავისის ბოლოთი **ორბელის შვილის მიწამდის, სამაჩური ბილიკი** რომე გავა იქამდის. ბოჭოლაურში თავ ჩაღმა მიწა თავისის **სასთაურათი**. **ლამის ხევს** გაღმა **ენაგეთის** მხარეს ორი არხა, **ენაგეთის არხა** თავისი სანაპიროთი. **პაპის გორში დიარანთ ვენახს** რომ გავხედავთ, სამის დღის მიწა... კალო-საბძელი თავისის შესავლითა და გასავლითა ძველს ნასოფლარში **არგეთზედ**[28]. სამის დღის მიწა **ჭაბუკიანთ გზაზედ მარაბდული შარა** რომე გაივლის, ნახევარი ზეით, ნახევარი ქვეით დარჩება. **სამანქვეთიდან** რომ კაცი მივა, **ბაგრანეთს** რომ მიადგება, უწინ იმ ვენახებს მიადგება... (სმ, II, 1924, გვ. 178-180).

ახალშენი 1755 – იხ. **ზერტი**

ახალშენი XVIII ს. – იხ. **დმანისი**

ახალშენი // ახაშენი. შიდა ქართლი

ახალშენი 1454 – იხ. **ცხირეთის გვერდი**

ახალშენი 1504-1516 – იხ. **მცხეთა**

ახალშენი 1620 – იხ. **ნოსტე**

ახალშენი 1709 – იხ. **ახალქალაქი**

ახალშენი 1716 – ... ჩვენ, გეთარსანასშვილმა ზაალ ... მოგყიდეთ ჩვენი ... სამკვიდრო ახაშენს გლეხი და საკომლო ... თქვენ, ბატონის ჩემის მოურავის შვილისშვილს ... სოლომონს... არის ამისი მოწამე ... კარგარეთელი ბერი, ... **ახალქალაქის** მოურავი ოთარი, ... **ახაშენს** ოთიასშვილი ოთია... **ნოსტეს ჯანჯალა გიორგი მე, ქვათაჭვეის კანდელაკ** ივანეს დამიწერია... (დსსი, I, გვ. 171).

ახალშენი 1722 – ... მე, მუსხელაშვილმა გორჯასპიმ ... თქვენ ... ციციშვილს ზაზას ... მოგყიდე ჩემი ბარათში გამოყოლილი **ახალშენს** ახაშვილი ყარახანა... (დსსი, I, გვ. 196).

ახალშენი 1779 – იხ. **თრიალეთი**

ახალშენი 1789 – იხ. **გორი**

ახალშენი 1789 – იხ. **ოხპჯანაანთ შარა**

ახალშენი 1796 – იხ. **კავთისხევი**

ახალშენი. ჯავახეთი

ახალშენი XIII-XIV სს. – იხ. **ვანისქვაბები**

ახალშენი 1393 – იხ. **როტაშაული მამული**

---

[28] ალგეთზედ?

ახალშნური მინდორი. ქვემო ქართლი

ახალშნური მინდორი 1701 – იხ. ენაგეთი

ახალციხე. სამცხე

ახალციხე 1541 – იხ. აწყური

ახალციხე 1575 – იხ. წნისი

ახალციხე 1638 – იხ. მცხეთა

ახალციხე 1661 – [ფიცის წიგნი ამირეჯიბნი კათალიკოზს დომენტისადმი]: თუ ჩუმნ ან ჩუმნის მამულის, ან მოსული ... გავყიდოთ და ან ტყუს სყიდვაში გავერივნეთ და **ახალციხეს** რომ კაცი გავყიდეთ, თუ კიდეც არ დავიხსნათ ... ვიყნეთ შემცოდე ... ღვთისა და თქუმნი... (ქრონ, II, გვ. 478-479).

ახალციხე 1663 – იხ. **ახალქალაქი**

ახალციხე 1704 – იხ. ჯალდამი

ახალციხე 1713 – უკანბერიძეს ოთარს თავისის ყმის შვილი ... ნადირა **ახალციხეს** გაეყიდნა. და ჩვენ, ბატონის შვილმა კათალიკოზმა დომენტი დავიხსენით და ... პაპუნა დოქიძეს ... უბოძეთ... (ქსძ, III, გვ. 694-695).[29]

ახალციხე 1742-1769 – იხ. ძიროანი

ახალციხე 1744 – ... ესე ... ნასყიდობის წიგნი ... დაგიწერეთ ჩვენ, გოსთიბელმან ღვინიასშვილმან იესემ და შოშიტამ ... თქვენ, თარხნიშვილს დავითს... ლეკისაგან დავტყვევდით და **ახლციხეს** მოგვიყვანეს და დაგვყიდეს... ჩვენ ორივე ძმანი დაგვიხსენ და ჩვენც ჩვენი თავი ნასყიდობით მოგართვით... არის ამისი მოწამე ... **ახალციხის** შუბაში ბასტამაშვილი გასპარა... (დსხი, I, გვ. 322).

ახალციხე 1747 – იხ. არაკალი

ახალციხე 1749 – [თეიმურაზ II-ის მიწერილობა რევაზ სარდლისადმი]: ბაგრატის შვილები ლუარსაბ და ქაიხოსრო ... **ახალციხეს** წასულან სადმე, თქვენ კაცი გაუგზავნეთ, ხათრიჯამი გახადეთ, მოიყვანეთ... (ქეწ, გვ. 86).

ახალციხე 1751 – [წიგნი ანტონ კათალიკოსისა მურვანისა და ბააკასადმი]: ეს **სურამელი** ურია ხოსიაშვილი სვიმონა და ამისი ძმები ავის დროსაგან აყრილიყვნენ ხარჯისა და გამოსაღებისაგან და **ახალციხეს** ყოფილიყვნენ. ახლა ესენი ჩვენი წიგნითა და სიტყვით უნდა ავყაროთ და გადმოვიყვანოთ (ქსძ, III, გვ. 818).

ახალციხე 1755 – [არზა უცნობი პირისა თეიმურაზ II-ისადმი]: ... Церетели родственника моего, взятого в плен в **Имеретию**, уже продал... Теперь прошу ... дать приказание **Алисскому** мамасахлису, чтобы он дозволил мне поступить с ... врагом ... как я пожелаю. Пленный родственник мой в **Ахалцихе**... (ГКГ, გვ. 13).

ახალციხე 1768 – Я, Реваз Амилахвапи, даю сию грамоту тебе, переселенцу из **Ахалциха**, Аветику, в том, что ... пока ты будешь жить в **Карталинии**, не можешь

---

[29] იგივე ფაქტი აღნიშნულია უკანბერიძისა და დოლაქიძის 1715 წლის ნასყიდობის წიგნში (დსხი, I, გვ. 158).

переселиться на чужое место. Если ты захочешь возвратиться ... в **Ахалцих**, то я ... при переезде до **ущелья** (Боржомскаго?) помогу быками и арбою (ГКГ, გვ. 20).

ახალციხე 1768 – იხ. ქალაქი

ახალციხე 1769 – იხ. დუშეთი

ახალციხე 1770 – [ერეკლე II-ის წერილი მოურავოვისადმი]: კვალად თქუენს ბრწყინვალებას ახალციხიდამ ჩვენთან მოსულის ოსმალის ვითარება ეკითხა... ჩვენს ყარსს ჯარით ყოფნაში ახალციხის ფაშას სამი თავისი უფროსი კაცნი გამოუგზავნია... ის გამოგზავნილი კაცნი ჩვენს ქალაქ ტფილისს რომ მოსულიყვნენ, აქედამ შეურაცხებით და უპატიოთ გაეყარათ... (მრსუი, III/1, გვ. 520).

ახალციხე 1770 – იხ. სურამი

ახალციხე 1770 – იხ. ქალაქი

ახალციხე 1770 – იხ. ცხინვალი

ახალციხე 1771 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ახალციხეს რომ მივიდოდით, იმ ხანად დავხარჯეთ პური ხარვარი თხუთმეტი, ახლა დავხარჯეთ პური და ქერი ხარვარი შვიდნახევარი. ეს თბილელის საქონელი არის. ჩვენ უნდა მივცეთ ამისი თანხა (მსეი, III, გვ. 61).

ახალციხე 1772 – იხ. მეჯვრისხევი

ახალციხე 1773 – იხ. გორი

ახალციხე 1774 – იხ. გორი

ახალციხე 1775 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს ამილახვრის მიკედლებულს მეჩითე თამაზას. მე მკუიდრად იმერელი ვარ. მამაჩემს ათი წლისა გაუსყიდნივარ ახალციხეს თათარზედ, თათარისაგანც ერთმა ფრანგმა დამიხსნა და თავის სარწმუნოებაზედ ფრანგათ გამზარდა. მერე ბაზატი მიყო, ქართლში ჩამოველ და ქრცხნვალს ფრანგი ქალი შევირთე. მაგრამ იმ ჟამად პატრები ექსორიანნი იყუნენ და სომხის ტერტერამ დამწერა ჯვარი. მას აქეთ გორსა ვდგევარ და ფრანგის სარწმუნოებაზედ ვიმყოფები (ქსძ, VII, გვ. 305-306).

ახალციხე 1775 – იხ. ოსიაური

ახალციხე 1776 – [ერეკლე II-ის ოქმი]: რიგი და მართებულიც ასე არის ... რომ აყრილი კაცი და დაკარგული დაღისტნიდამ, შუშიდამ, ერევნიდამ, ახალციხიდამ, ჯავახეთიდამ თუ იმერეთიდამ ვინც მოიყვანს, იმისი იქნება... (ქსძ, VII, გვ. 346).

ახალციხე 1776 – იხ. დამბლუტი

ახალციხე 1778 – [არზა პაატა იმერლისა გიორგი ბატონიშვილისადმი]: ... იმერეთს აზნაურისშვილის ყმა ვიყავ, ახალციხეს გამყიდა, თავი დავიხსენ... აქათ ... მოვეტანე სურამს. მურვანიშვილმა მითხრა, ჩემთან იყავ... იქიდამ არბოს ჩამოველ. მირზაშვილმა ... ამყარა ... და ისევ ჩემს უწინდელს ბატონს მიმცა (ქსძ, VII, გვ. 413).

ახალციხე XVIII ს. – [უცნობი პირის საჩივარი]: ნეტარ ხსენებულმა ბატონმან ფაშას რომ პური გაუგზავნა **ახალციხეს**, იმ წელიწადს ფასობდა კოდი ა (ცუ... ზაალ მახვილაძემ ... ჩემი კაცი ოსაძე მოკვდა **აბის**, ამის პური დახარჯა... **აბანოდამ** ჩემის კოკოლაშვილის დარბაზი და ბოსელი დაქცია, ჩამოიტანა. **აბის** დღესაც საბძლად უდგას და სხვა ხეებათ მოიხმარა... **ტკოციდამ** დაქცია, ჩამოიტანა ოსაძის დარბაზი, ბოსელი, საცხვარე და სათონე მუხის გული... **ტკოცას** ერთის საკირის ქვა მოვათხრევინეთ, – **კოშკს** ვაპირებდით. მამაჩემი მოკვდა, – მოვიშალენით. ეს ქვა **მოხის** ჩაზიდა, იქ დასწვა და იქ მოახმარა... მარნები დათხარა და ქვევრები გამოზიდა **აბანოდამ** და **ტკოციდამ**... **ფცის** საყდრის ტრაპეზი გაიტანა და თავის საყდარში დადგა (სეიძ, II, გვ. 172-173).

ახალციხე 1782 – [არზა ზაალ ყაფლანისშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... შარშან რომ **ჭისიყში** გახლდით, იქ არზა მოგართვი... ახლა მე რომ **ახალციხეს** დასტური მიბოძეთ და გამისტუმრეთ, ზაზა გოსტაშაბისშვილს თქვენთვის არზა მოურთმევია და [დალას შემცილებია] (ქსძ, VII, გვ. 571-572).

ახალციხე 1784 – [ერეკლე II-ის წერილი ბურნაშოვისადმი]: ... სულეიმანფაშა **ახალციხიდამ** გამოსულაო ორი ათასის კაცით და **ახალქალაქს** მოსულაო (მიტსგ, I, გვ. 201).

ახალციხე 1783 – იხ. **ერევნის მთები**

ახალციხე 1783 – იხ. **სტეფანწმინდა**

ახალციხე 1784 – იხ. **ბამბაკი**

ახალციხე 1785 – იხ. **ბელაქანი**

ახალციხე 1784-1790 – იხ. **ქალაქი**

ახალციხე 1786 – [ერეკლე II-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი]: ... **ახალციხიდამ** შერიგების საქმეზე მოსულნი ელჩნი რომ არ მოგვეშვნენ და დაჟინებით ითხოვეს ჩვენგან [აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებული რუსის ჯარის] რიცხვის მიწერა, ამისთვის ჩვენ ... სამი ათასად გამოვაცხადეთ (მიტსგ, II, გვ. 68).

ახალციხე 1786 – იხ. **რეხა**

ახალციხე 1787 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ფავლენიშვილს თეიმურაზს... ჩვენმა სახლისკაცმა ბიძინას მამამ, კიკვილაშვილი ორნივ და-ძმანი **ახალციხეს** ბარბარ თათარს მიყიდა... ოსმალოს რომ **ქართლი** ეჭირა, მაშინ კიკვილაშვილი თავის აღას აქა ჰყოლოდა, **გორის ციხიდამ** ყიზილბაშებს ოსმალოები რომ გაერეკა, ის კიკვილაშვილი ავათმყოფი **გორს** დარჩენილიყო, მამაჩემს იორამს ... შინ მოეყვანა და ... მოერჩინა... მამიჩემისათვინ ეთქვა: ცოლ-შვილი **ახალციხესა** მყავ... [მამაჩემმა] კაცები გაგზავნა და ცოლ-შვილით დაიპარეს... (ქსძ, VII, გვ. 731).

ახალციხე 1787 – [ერეკლე II-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი]: ... [სულეიმან-ფაშას] **ახალციხე** აქვს გაკეთებული დაღისტნელების სახლად... და ასე გვესმის, რომ ომარ-ხანი და სხვანი დაღისტნის უფროსი კაცნი **კახეთზე**

მოვიდნენ და იბერიმ-შუშის-ხანი და სხვანი ადრიბეჟანის ხანები და ზემო ხსენებული ფაშები **თბილისზე** (ΜΠΤCΒΓ, II, გვ. 94).

ახალციხე 1787 – იხ. **ყაზახი**

ახალციხე 1788 – [ერეკლე II-ის წერილი გრ. პოტიომკინისადმი]: ... ჩვენი ორი თავადი **ახალციხეს** იმყოფებოდნენ [და რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისთანავე ისინი] **ახალციხიდამ** ... დავიბარეთ... ომარ-ხან სწერს დაღისტნის ხალხს: ... მე ... ადრიბეჟანის ხანებით **თბილისზე** მივალო, თქვენ **ჭარელები** ზოგის დაღისტნის კაცით **კახეთზე** მიდითო და სულეიმან ფაშა **ქართლზე** მოვაო (ΜΠΤCΒΓ, II, გვ. 109-110).

ახალციხე 1788 – [წერილი იოანე მუხრანბატონისა იოსებ მოშკარბაშისადმი]: ... **ახალციხიდამ** მირზა მისეილა, იოსებ და თაყა მოვიდნენ, შერიგებისა ... ამბავი მოიტანეს... თქვენს წასვლას უკან **ყაზახელთ** კაცნი მოვიდნენ... გუშინ რომ შაბათი იყო, **თაუზიდამ** აყრილა ბატონიშვილი და **ძაგამზედ** ჩაბძანებულა (სს, III, გვ. 48).

ახალციხე 1788 – იხ. **ახალციხის მხარე**

ახალციხე 1789 – [მოხსენება ბესარიონ გაბაშვილისა გრიგოლ პოტიომკინისადმი]: **ახალციხეს** დასვათ რუსეთის კონსული, რათა არღარა შეიძლოს ოთამანის კარმან ... მტერობა ... ქვეყანასა ჩვენსა. **ბათუმს – გურიას** ნავთსაყუდელზედ და **ფოთს – ოდიშს** ნავთსაყუდელზედ სიტყვა ითქვას... [თუ ოსმალები არ დათმობენ] იმ ორს ადგილსაც რუსეთის კონსული დასვათ, რათა დააყენოთ ჩვენის ქვეყნების ტყვის გაყიდვა იმ ადგილებში და ეგრეთვე სავაჭრო რუსეთის ნავები მოვიდოდნენ ამ ... ნავთსაყუდელზედ. **აფხაზეთი** დაიდვას თავისუფლად, რომელნიც ოსმალოს ჭმელით დაპყრობილნი არიან, და ნება მიეცესთ მათ ... მალე აღირჩევენ ქრისტეანობას და ... საფარველსა ქვეშე რუსეთისასა შემოვლენ... ამ **აფხაზეთის** ნავთსაყუდლებზედაც რუსეთის ნავებმა ივაჭრონ, რომლითაცა თქვენ მალე ნახათ სარგებელსა არა მცირესა. უკეთუ უმაღლესმან კარმან რესეთისამან დასდვას ახლათ მფარველობა **იმერეთზედ**, ის უმჯობესი იქნება... **იმერეთის** ძალით ადვილად წაერთმევის [თურქეთს] ... **ბათუმიც** და **ფოთიც** (ისპს, გვ. 14-15).

ახალციხე 1789 – იხ. **კოდა**

ახალციხე 1791 – იხ. **ჭიზიჟი**

ახალციხე 1791 – იხ. **სიღნაღი**

ახალციხე 1796 – იხ. **აღბაბალუ**

ახალციხე 1797 – იხ. **სურამის ციხე**

ახალციხე 1798 – [ხარჯის ნუსხა]: ... ხუთი თუმანი ... **ახალციხიდამ** მოსულს პატრს ბანოვენთურას საჩუქრად [მიეცა] (მსეი, I, გვ. 159).

ახალციხე 1798 – იხ. **გორი**

ახალციხე. შიდა ქართლი

ახალციხე 1392 – იხ. **ტფილისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალციხე XV ს. ბოლო მეოთხ. – ... შეიპყრა ათაბაგმან გიორგი მეფე და გარდმოვიდა მეფე ბაგრატ... ჩემის მამულის გულისათუის ... ბაგრატ მეფისა ყმა შეიქნა ... ბატონი დავით... **ახალციხე** მამისა ბიძაჩემსა ჰქონდა, **წიწამური მცხეთისათუის** შეწირული იყო, **ღურო** ჯანდიერიშეილსა ჰქონდა. ასრე წამირთმევია, არას ბატონისათუის ჩოქი არ მიქნია. თუ ამას იტყუან, თუ: ბაგრატ მეფემან მოგუცა მამულიო, სადამდისი იმავე ჩემგან ნაშობების მამულიდაღმა – **წიწამურიდაღმა** ასი კოკა ღუინო არ მივეცით, მანამდის **გორის** მოურაობა არ გუიბოძა. ასრე არა გუაქუს რა ბაგრატ მეფისაგან. აწ ამაშიგა მოვიდეს თათარნი და მეფესა ბაგრატს ასრე ებძანა ჩემის ძმის ამილახორისათუის: „**გორს** შემიდეგო“. **გორს** ისი აღარ შეგაყენეთ და ჩემი ძმა სულმამა შეგაყენეთ... (ფუმს, გვ. 43-44).

ახალციხე XV ს. ბოლო მეოთხ. – იხ. სხვილოსი

ახალციხე 1618 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ბაგრატ ... კათოლიკე ეკლესიასა **სუეტსა ცხოველსა** ... შემოგწირე ... სოფელი **ახალციხე**, მისის მემკუიდრის კაცითა და მამულითა. რაცა დეკანოზს კაცები დაუსახლებია ... ისრევე დეკანოზისათუის გუიბოძებია (ის, IV, გვ. 10).

ახალციხე 1653-1658 – იხ. ხელთუბანი

ახალციხე 1682 – იხ. შიომღვიმე

ახალციხე 1777-იანი წლები – იხ. არაგვი

ახალციხე 1782 – იხ. ალი

ახალციხე 1795 ახლო – იხ. ადაიანი

ახალციხე. ხევი

ახალციხე 1439 – იხ. ხევი

ახალციხე 1781 – იხ. წკერე

გარეთუბანი 1751 – ... ჩვენ, ... მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ ... თქვენ ... მეწინავეს სარდარს დიდებულს თავადს ორბელიანს რუსთაველსა ... გიბოძეთ **გარეთუბანს, მეიდნის** პირზედ, ჩვენი სახასო სასახლის ადგილი, რაც დღეს გალავანი აქვია, შიგ გალავანში, თაღისისის საყინულითა. ერთი გვერდი **მტკვრის რიყის** მიდგმამდის, მეორე გვერდი **მეიდნის** მიდგმამდის, ბოლო რაც დღეს კედელი არის გადავლებული, ისე გადასწვრივ **მტკვრის** მიდგმამდის და თავი **მტკვრისაკენ, მოგლეჯილს ფლატესთან** რომ ლურჯი კლდე არის და გალავანი მიადგამს, იქამდის (დთი, I, გვ. 227-228).

გარეთუბანი 1758 – [თეიმურაზ II-ის ოქმი]: ... **გარეთუბანს** ყაიბულას ნაქონი ბაღი, რაც უსეინბეგს წილში რგებოდეს, გიორგის შვილის ტეტიასთვის უსეინბეგს მიუბარებია და ჩვენც აგრევ გვიბძანებია, ამ ტეტიას ებაროს (ქსძ, VII, გვ. 39).

გარეთუბანი 1759 – ... მე, მანგოანთ ოჰანას შვილმა პოღოსამა ... თქვენ, უღტაპნიანთ ავეტიქას შვილ პაპასა ... მოგყიდე ჩემი მამისევული – **გარეთუბანსა** ერთი დუქანი, თავისის შიგნით ერთის ოთახითა... არის ამისი მოწამე ... ქალაქის მელიქი საჰაკა... (დთი, I, გვ. 285).

გარეთუბანი 1764 – იხ. **გორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთუბანი 1765 – ... ასლანბეგანთ გიორგის ქვრივს ... დავით ერისთავისაგან სახლის ალაგი წართმეული გვქონდა და **გარეთუბანსაც** ჩვენის სახლების შესწერივ ლომა გავიყავით... [ერეკლე II-ის ოქმი]: პატრონს მამაჩვენს არ მოხსენებოდა, თუ ამ სახლებს პატრონი კიდევ ჰყოლებოდა ვინმე და ერისთვისათვის ებოძათ. ახლა ... ეს სახლები ისევ ამ ... ქვრივისა ... წყალობა გვიქნია. (ქსძ, VII, გვ. 88-89).

გარეთუბანი 1767 – იხ. **ციხის მეიდნის უბანი**

გარეთუბანი 1767 – იხ. **ზემო ცოცხალაანთ უბანი**

გარეთუბანი 1768 – მე, ზირკინაანთ მიღდისი საკას შვილი გასპარას ქვრივმა ანამ, ესე წიგნი მოგეცი თქვენ, **ციხის დიდის ეკლესიის** დეკანოზს ტერ-მელქისეთას. ასე რომ ჩემი ქალი ხანუმა შენს შვილს არაქელა დიაკონს მივათხოვე... რაც თავის მამისეული და პაპისეული ყმა არის აქა, თუ სხვაგან, და **გარეთუბანს** სახლების ალაგი ... ზითვათ გამოვატანე... ამას გარდა, ჩემს მამამთილს მიღდისი საკას **ქაშვეთის** იქიდამ თავიანთვის სასფლავო ეკლესია რომ აუშენებია, გარეშემო ბაღების ადგილებით და წყლით და სამზღვრით, ამ ჩემის ქალისა არის (დთი, I, გვ. 312).

გარეთუბანი 1777 – იხ. **საყაფლანისშვილო**

გარეთუბანი 1779 – [არზა გაბაშვილებისა ერეკლე II-ისადმი]: **წინწყაროელმა** ტერ-არაქელამ ზირკინანთ ქალი შეირთო. ზირკინანთ **გარეთუბანში** ერთი სომხის საყდარი აქვსთ აშენებული... საყდარს ეს ტერტერა ჩემუ-ლობს... მონასტრის გვერდზედ ჩვენს მამულში წყალი გამოდის და იმ წყალს ეს ... ტერტერა გვედავება... [მეფის ოქმი]: ეშიკაღაბაშო დიმიტრი! მერე ზირკინაშვილის საყდარში რომ წყალი დის, იმ წყალზე ჭელი ამარ-თე, ჩვენის სარჭრისათვის ზავთი ქმენ (ქსძ, VII, გვ. 429).

გარეთუბანი 1781-1782 – იხ. **ქალაქი**

გარეთუბანი 1784 – იხ. **ქალაქი**

გარეთუბანი 1784 – იხ. **ღოლოვნა**

გარეთუბანი 1785 – იხ. **ქალაქი**

გარეთუბანი 1786 – **გარეთუბანს** სახლის ადგილზედ უჩიოდა ყაფლანის-შვილი ზაალ ჯაღათანთ ოსეფას ქალს... ზაალ ეპასუხებოდა: სანთელუას სახლის წინ რომ გიწერია [საზღვარი], **მტკვრისაკენ** ნიშნავსო. ეს ჩემი სახლის ადგილი სანთელუას სახლის გვერდიაო... ამას გარდა ზაალს მოჰ-ქონდა მოწმობა ... რომ ამ სადაოს ადგილში ზაალის მამა-პაპათ სასახლე იყო (ქსძ, V, გვ. 338-339).

გარეთუბანი 1787 – ღმერთმან ... ჭელმწიფის ჭირი მოსცეს ... პაპა მუშრი-ბის დედას... **გარეთუბანს** ... ჩემის პაპის ნაჭირნახულევი ხარაბა ეკლესიის ადგილი იყო დაქცეული... [ჩემმა შვილმა] ის საყდარიც ააშენა და გერეშე-მო კლდე იყო, ისიც გააკაფინა და გალავანი შემოავლო და გალავანში სახლები გააკეთებინა ... და იქ ჩვენი ყმა დააყენა... და ამაში **ვანქს** შესწირა, რომ **ვანქის** თემი შეიქნა ის ეკლესიაა... ახლა ... ტერ-ყაზარა ... იმ საყ-დრის კედლის დაქცევას და მომატებას აპირობს... (ქსძ, VII, გვ. 738-739).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთუბანი 1787 – ავიღეთ ჩვენ, პენტილანთ გიორგის შვილებმა ... **ვანქის** ტერ-პეტრუსასაგან ქქვსი თუმანი **ქალაქის** ზარაფხანის რიჯი თეთრი... მიგეცით ... გირაოთ ჩვენი სახლკარი **გარეთუბნისა**... ესე სავადი გადმოვწერე, **სურბნიშნის ეკლესიის** კრებული ტერასატურ (მსეი, II, გვ. 73-74).

გარეთუბანი 1787 – ... მდივანბეგს გაბაშვილი ზაზას ყმის ბარაჩაშვილი დათუასი და გოგიას ... გაყრაში [მოსამართლემ] დავისწარ **დიღმელი** ჟამუტაშვილი გარსევანა, **წყნეთელი** თამაზა... ამათ თავიანთ ძმობაში ... აქვთ: ... **გარეთუბანში** სახლები, **ოქროყანას** ბზე, კიდევ **გარეთუბანს** ბზე... (ქსძ, V, გვ. 351-353).

გარეთუბანი 1787 – იხ. **ქალაქი**

გარეთუბანი 1787 – იხ. **ოქროყანა**

გარეთუბანი 1789 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ... მკერვალი დარჩიას ობოლს დანელასა... მამისა და პაპისა ჩვენისგან **გარეთუბანში** ნასყიდი და უსყიდი სასახლის ალაგი მაქვს. იმ მიწას ამ წინა ხანებშიც ვინც ხნავდა, ღალასაც მე ვიღებდი. ახლა სხვა სხნავს და იმის ღალას მზეჭაბუკ მდივანბეგი იღებს. ეს მესამე წელიწადია, მე არ მამცემია რა, და ორის წლის ღალასაც ეს იღებს და ახლა მამულსაც მეცილება და მართმევს. შენი ყმის ობოლი გახლავარ, სამართალი მადირსე (ქსძ, VII, გვ. 822).

გარეთუბანი 1791 – იხ. **დიღომი**

გარეთუბანი 1792 – [არზა გიორგი ნასახჩიბაშისა ანტონ კათალიკოსისადმი]: თქვენი ყმა ლაზარე ოქრომჭედლისშვილი პაპელ **გარეთუბანს** ადგილს მედავება... ღვთის წინაშე სამართალი მომცენ (ქსძ, V, გვ. 575).

გარეთუბანი XVIII ს. მიწ. – [დავთარი დუქნის ქირებისა]: ... ჩს (ექვსი აბაზი) **გარეთუბნის** ქარხნის დუქანი ბათილია, არ ამიღია...[65] (მსეი, III, გვ. 327).

გარეთუბნის ბაღები. თბილისი

გარეთუბნის ბაღები 1784 – იხ. **დირსიჭალა**

გარეთუბნის ბაღები 1784-1790 – იხ. **ქალაქი**

გარეყანთ უბანი. შიდა ქართლი

გარეყანთ უბანი XVII ს. – იხ. **ციხისძირი**

გარეყანული ვენახი. შიდა ქართლი

გარეყანული ვენახი 1513 – იხ. **სამთავისი**

გარეშემო. შიდა ქართლი

გარეშემო 1766 – იხ. **ცხრაზმა**

გარეშემო 1781 – იხ. **ისროლისხევი**

გარეშემო 1781 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთაო)**

გარეჯა // გარესჯა // გარეშჯა // გარესჯის მონასტერი // მრავალმთა // მრავალმთის უდაბნო // სამნივე უდაბნონი // უდაბნონი გარესჯისანი // უდაბნო. კახეთი

---

[65] სუბიექტი დოკუმენტიდან არ ჩანს.

გარეჯა 1247-1250 – იხ. გავაზელნი

გარეჯა 1260 – იხ. ხოვლე

გარეჯა 1424 – იხ. მცხეთა

გარეჯა 1428 – იხ. საგარეჯო

გარეჯა 1438 – იხ. მცხეთა

გარეჯა 1479 – ... მეფემან ალექსანდრე ... ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ორნივე **უდაბნონი გარეჯისანი – დავითის საფლავისა მრავალთისა** და დოღორქისანი, თქუენ წმიდასა საყდარსა დედაქალაქსა მცხეთასა ... **გარეჯისა** სახლი მისითა შესავლითა, მამულებითა, სოფლებითა, შენითა და უშენითა ... შეგუიწირავს... (ქრონ, II, გვ. 300).

გარეჯა 1500-1502 – [მეფემან ალექსანდრე] ესე წიგნი მოგაჴსენეთ თქუმნ, ქათალიკოზს ეფრემს... **გარესჯის** სახლი ჩუმნს შვილსა ჰქონდა... და **მცხეთას** მისი არა დააკლდეს და **უდაბნოსა** მისი არა დააკლდეს და რაცა მცხეთის **მამული** არის საჩუმნოშიგა, ისიც თქუმნთვის მოგუჴსენებია უკლებად (ქრონ, II, გვ. 316).

გარეჯა 1503 – იხ. მცხეთა

გარეჯა 1527-1532 – [ბრძანება ლევან კახთა მეფისა]: ... პატრონსა ქართლისა მთავარეპისკოპოზსა მალაქიას ასრეთ მოაჴსენეთ: **მცხეთისა საყდრისა** და კათალიკოზისა ... რაც ჩუენისა შვილისა ჴელთ იყო და ანუ ვისმე ქონდა, ყუელა უკლებად მივაბარეთ ... და **გარეჯისა უდაბნონი** საყდარს მოვაჴსენეთ... ჩუენი ჴელი არა შეგა ლაშქრობისა და ნადირობისა და მალისა მეტი... ამას გარეთ რანიცა **მცხეთას** მონასტერნი არიან აქეთ და მანდით, იგიც მოიკლონ: **ჯუარისა მონასტერი** მისითა შესავლითა, **მეტეხთ მონასტერი** მისითა შესავლითა, **ქადაგის მონასტერი** მისითა საჴელოთა და შესავლითა, **სარკისა** და **ვირშისა მონასტერი** მისითა შესავლითა; და რაც პაპისა ჩუენისა სამწირველო არის აქეთ, იმას ჩუენ მოვიკლებთ... **ქადაგის** საქმე აქაც გაუტყდით, ჩუენი მინდობილი არის და ... **მცხეთით** არ გამოვიჭუან... და რაცა ჩუენგან **მცხეთის საყდრის** საჴელო აბარია, არცა იმას წაუღებთ. როგორც **მცხეთისა საყდარი** არ მოიშლების, აგრევე **ქადაგისა**, მონასტერსა და საჴელოსა არ მოუშლი. სოფელი **ახალშენი** შემოწირული არის, ასრე რომე საყდარსა ემსახუროს... (ქრონ, II, გვ. 369-370).

გარეჯა 1532 – იხ. მცხეთა

გარეჯა 1571 – იხ. ბედიყარი

გარეჯა 1582 – იხ. წინაგარეჯო

გარეჯა 1585 – იხ. ვეძისხევი

გარეჯა 1597 – იხ. აკურა

გარეჯა 1648 – იხ. ქართლი

გარეჯა 1660 – იხ. მცხეთა

გარეჯა 1690-1694 – ... ესე წიგნი დაუდევით ჩვენ, სულ ერთობილთ: **გარეჯელთ**, გიორგიწმინდელთა, თვალელთა, **ბერთუბნელთა** ჩვენსა სალოცავს

წმინდა ნინოს და ჩვენს მაკურთხეველს ნინოწმინდელს არსენს... **როშე** ბატონის ნინოწმინდელისა აზად კაცსა ჭარიც გვერთმეოდა, მეგუთნე **რომ** მოკვდის, და დრამაც. ახლა ... ბატონს ნინოწმინდელს ... შავეხვეწენით ... წყალობა გვიყო და ამოგვიკეთა და ცხენზედ და იარაღზედ პასუხი არა გვაქვს. ვინც მართალი კაცი მოკუდის, ცხენი შეკაზმული უნდა მივართვათ. არის ცხენის გამომღები: **გიორგიწმინდას** მარინდაშვილები... კანჯარაშვილი **თვალზედ**, გაღმა ეთიბერაშვილი... გამოღმა გოგიტაშვილები... **ბრლაბრელები** სულ. **ბერთუბანს** სიბოშვილები... გუთანაშვილები **ენაგელები**... წირწალაშვილი **პატარძეულს**... არის ამისი მოწამე ... **წმინდის დავითის** წინამძღვარი ონოფრე, ... ნიკოლოზ **ერედელი**... (სეიძ, II, გვ. 38-39)

გარეჯა 1699 – წინამძღვარს მაჭუტაძე ონოფრეს და ერთობილ [**გარესჯის**] კრებულთ მეფე ნაზარალიხანი უნიშნავს წლითი-წლად **ქართლის** შემოსავლიდამ ასს კოდს ჰურს, ათს საპალნე ღვინოს და სხვ (ქრონ, II, გვ. 518).

გარეჯა 1701 – [შეწირულობის წიგნი ნიკოლოზ სამებელისა გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლისადმი]: ... ვინათგან მაქვნდა სურვილი, რათა ტაძრისა თქვენისა უდაბნოს გარესჯას მრავალმთისა მონასტერსა ძუელთა ჭელმწიფეთა ... შეწირული არ მოშლოდა რა ... რაედენიცა ეპოვეთ და ანუ გვაუწყა ვინმე, ისეც შემოგწირეთ ... და ჩუენ ჭელი ავიღეთით. და ვისაც ჩუენის საყდრის ჭმას ეჭირა, მათაც ჭელი ავაღებინეთ... (ქსძ, III, გვ. 631).

გარეჯა 1708 – იხ. **აკურა**

გარეჯა 1709 – იხ. **საგარეჯო**

გარეჯა 1710 – იხ. **კაწარეთი**

გარეჯა 1719 – იხ. **თრიალეთი**

გარეჯა 1748 – .... **გარესჯისა** მთასა უღაღსა დამკვიდრებულო ... მამაო წმიდაო დავით! ჩვენ ... **დიდის ოდიშისა, სვან-თაკვერისა** მპყრობელ-მჭონებელმან, დადიანმან პატრონმან ოტიამ ... შემოგწირეთ მცირე რაჲთმე შესაწირავი წლითი-წლად სამარადისოდ ათი ლიტრა სანთელი... თქუენ... წმიდანო მამანო, რომელნი ხართ **გარესჯისა უდაბნოსა წმიდის დავითის საფლავსა** მდგომარენი, ესე ჩვენ მიერ შესაწირი ყოველწელ მოიხსენენით... [ბეჭედი მხედრული წარწერით]: მიჰირავს **სვანი** და **ზღვანი შავნი, ოდიშლეჩხუმ**-მპყრობ ვარ, დადიანი ოტია (იდ, I, გვ. 154-155).

გარეჯა 1750-1768 – ... მოწევნულსა **გარეჯად**, მამასა მამათასა წმინდასა დავითს! ჩვენ ... **ლიხთ-იმერთა** სარდალმან და მპყრობელმან **რაჭისამან**, ერისთავმა როსტომ ... შემოგწირეთ ... კნინი ესე შესაწირავი: ჩვენის ჯოგის ცხენის კვიცის ათისთავი; რაოდენიცა აღიზარდოს, **წმინდის დავითის უდაბნოს** მამასა და მის კრებულსა ... მოგერთმეოდესთ... თქვენ ... მელავრენო მამანო, რომელნი მდგომარე ხართ **გარეჯას**, ეს ჩვენი შესაწირი დაუჯლებლად მოგერთმეოდეთ... (იდ, I, გვ. 116).

გარეჯა 1761 – იხ. **თვალი**

გარეჯა 1791 – იხ. **გიორგიწმინდა**

გარეჯა 1797 – იხ. **ქალაქი**

გარეჯა 1799 – ... ჭელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... **გარეჯელთაგან** დავითგარეჯის ყმებისათვის ოქმი გიბოძებიათ: არც რუსის ცხენი დაიბან, არც თივა მისცენ და არც ჩვენ მოგვდგნენ... [გიორგი XII-ის ოქმიდ: ერთობით **გარეჯელნო**! ... მეფეს თეიმურაზს აქეთ მონასტრის ყმანი თქვენთან ერთად არა ყოფილან გამოსაღებში... (ქსძ, VIII, გვ. 591).

გარეჯვარი // **გარეჯვარი** // **გარეჯჯარი. შიდა ქართლი**

გარეჯვარი 1348 – იხ. **ქართლი**

გარეჯვარი 1637 – ამილახორმა იოთამ ... გიბოძეთ გულანბეგაშვილს ასლანას ... გერეჯვარს თუხარლის გიორგის მამულიო... (ქსძ, V, გვ. 252).

გარეჯვარი 1653-1658 – იხ. **ხელთუბანი**

გარეჯვარი 1678 – იხ. **მარანა**

გარეჯვარი 1688 – იხ. **დოესი**

გარეჯვარი 1711 – იხ. **ოქუანთეული მიწა**

გარეჯვარი 1716 – ... მეფეს ბაქარს მე, ამილახორმა ავთანდილ ... მოგარეთით ნაზარაშვილი დავითა ... და თქვენ მისად სანაცვლოდ გეიბოძეთ **ქალაქს** თქვენი ყმა ვაჭარი კომლი ორი... რაც **გარეჯვარს** ნაზარაშვილებს ნასყიდი მიწები აქვსთ, ისივ თან გამოჰყვეს... არცარა სამოურაოთღა ჩვენ ნაზარაშვილებთან საქმე გვაქვს... (ქსძ, V, გვ. 252).

გარეჯვარი 1716-1724 – იხ. **ხევთუბანი**

გარეჯვარი 1738 – იხ. **რუისი**

გარეჯვარი 1762 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს თუმანისშვილს ბეჟანს... შარშან მდივანბეგებთან ვიჩივლე, **გარეჯვარს** თუშისშვილს ჩემი ყმის ორგან მიწა ეჭირა, არ დამანება, ტყვილათ დაიფიცა (ქსძ, VII, გვ. 64-65).

გარეჯვარი 1773 – მე, საგინაშვილი ბეჟან ... აველ **გარეჯვარს**, ირემაშვილმა მოწმეები ვერ იშოვნა, როგორც ბატონს ამილახვარს ზემო განაჩენში ებძანა; და მიწას ხელი ავმართე და თუმანიანთ გიორგის შვილს ზურაბს ... დარჩა [სადაო მიწები]. (ქსძ, VII, გვ. 228).

გარეჯვარი 1774-1783 – იხ. **ვარიანი.**

გარეჯვარი XVIII ს. **შუაწლ.** – [ლიახურის ხეობის მცხოვრებთა ადწერის დავრის ნაწყვეტი]: **გარეჯვარს** თუმნია... გორჯასპი მდივნის ყმა... ედიშერ მდივნის ყმა... ოთარ მდივნის ყმა... პატარკაცის ყმა... გიორგის ყმა... იასეს შვილის პაპუას ყმა... აქავ **გარეჯვარს** მთავარეპისკოპოზის ყმა... თუმანიშვილის გიორგის ყმა **ბერდიკელი** დავითაშვილი... მისკარბაშის ყმა **წყნეთელი** ... მამუკა ხიზანი... სარდლის რევაზის ყმა **ღუნბნელი** მამულა ხიზანი... მანგლელის ყმა **ქვენადრისელი** ჭყოპიაშვილი ... ხიზანი... ციცის შვილის გივის ყმა **ქვენაფლაველი** მურადას შვილი ... ხიზანი... **იქით გარეჯვარს**: ედიშერ მდივნის ყმა... ამისივ ყმა **ჩრდილის უბნელი** სათას შვილი კაცია უმამულო; ოთარ მდივნის ყმის მამულზე დგას **წყნეთელი** ასიტას შვილი... ბეღელას შვილი დავითის ყმა... აქავ **გარეჯვარს** გიორგის შვილი გიორგი ამილახვრის აზნაური... ამათი ყმა ჯავახი ბერი... ქარუმიძე ავთანდილ ამილახვრის აზნაური... ამისივე ყმა **წაქარელი** მარქარა... რევაზ სარდლის ყმა

... ილაგდაგელი ოანეზ ხიზანი; მდივანბეგის იოვანეს ყმა **ტაშირელი** არუთინას შვილი ისაია ხიზანი; ტატია ყაფლანის შვილის ყმა **წნენელი** თამაზა ხიზაი... **სამცხეთო ატენელი** დვალია შვილი პაპა ხიზანი... **გორელი** ჯაშნაშვილის ყმა გოგებას შვილი დავითა ხიზანი... გარაყანიძის ყმა **ავჭალელი** ავბუწაშვილი გელია ხიზანი... გურამიშვილის გივის ყმა **ავჭალელი** ჩიქელი შვილი დიაკვანი ხიზანი; **ყაზახელი** ბადალა ხიზანი; შანშიაშვილის გივეს ყმა **სახუნდრელი** არუთინა ხიზანი... **გორის ახალდაბას**: ედიშერ მდივნის ყმა... ოთარ მდივნის ყმა... გოჯასპი მდივნის ყმა... პატარაკაცის ყმა... იესეს შვილის პაპუას ყმა... ბეჟან თუმანიშვილის ყმა... მისკარბაშის ყმა **წყნეთელი** პაპა, ხიზანი ... **არაშენდელი სამცხეთო** კოპაძე იესე მეკომლე... **ხელთუბანს** თუმნიანთი: გორჯასპი მდივნის ყმა ... **ბერდიკელი** ელიზბარა... ედიშერ მდივნის ყმა ... **ჩდილისუბნელი** ბერუა... ოთარ მდივნის ყმა ... **რუისელი** სვანაძე... პატარკაცის ყმა ... **ატენელი** გიორგას შვილი... ამისივ ყმა ... ლეკვია **რეხელი**... გიორგი თუმანიშვილის ყმა... იესეს შვილი პაპუას ყმა ... **ვანქელი** ელიკას შვილი... ამისვე ციციშვილი გლახასაგან გირაოთ უჭირამს ჭაბუაშვილი... თუმანიშვილის ელისბარის შვილის პაპუას ყმა ... **ბერბუკელი** გიგაური... მარტიროზის შვილი ფარსადან **ხელთუბანს** დგას... **სვერნელი ქვათახევის** წინამძღვრის ყმა ბერუაშვილი ბერუა... შატბერაშვილის გარსევანის ყმა... აქავ **ხელთუბანს** ამილახვრის შვილის ნიკოლოზას ყმას ... მამული უყიდნია... ამილახორის შვილის დათუას საუფლისწულო **ზედდულელი** თათრიშვილი ზურაბა ხიზანი ... **ლორელი** ათუა სახასო ხიზანი... **ყაზახელი** დავითაშვილი ... ხიზანი; დისელი საკაშილი ათაბეგა სულეიმანის თაბუნია ხიზანი; სადედოფლო **წინწყაროელი** გიქუა ხიზანი; **ატენელი** ხეჩიკაშვილი ნაზარა ხიზანი; კარის წინამძღვრის ყმა **ხუცისსოფლელი** მჭედლის შვილი მამაჯანა ხიზანი; საბატონოშვილო **თრიალელი** ბაბულაშვილი გელია ხიზანი... **სამღვრელი** ასრათა ხიზანი; საქათალიკოზო **კვინტობელი** დემეტრე ხიზანი... **სამცხეთო დარბაზელი** ამირაშვილი ამირჯანა ხიზანი; ქარსიძის ყმა **უფლისციხელი** გაბინაშვილი ელიზბარა ხიზანი; **საქვათახეო** ბასიაშვილი ბერუა ხიზანი... ორბელიანის სარდლის რევაზის ყმა **ღობენელი** ჯანგელაშვილი თამაზა ხიზანი; ამისივ ყმა **ვარბაგარელი** ჯილავდარაშვილი პეტროზა ხიზანი; ამისივ ყმა **საკარელი** ზებერუას შვილი თამაზა ხიზანი; მდივანბეგის იოანეს ყმა **ურუტელი** ავაქაშვილი ხაზარა ხიზანი... ამისივე ყმა **დელცნუტელი** აჯია არუთინა ხიზანი; კიდევ **დელცნუდელი** ელიზბარაშვილი ალიხანა ხიზანი; ამისივ ყმა **შუშალელი** ფანაოსაშვილი არაქელა ხიზანი... ჩაჩიკაშვილი კაციას ყმა **ვანელი** ძამუკაშვილი დემეტრე; ზურაბიძის შვილის ყმა ... **ახპატელი** ბაღდასარაშვილი ოჰანეზა ხიზანი... ამისივ ყმა **ირაგელი** ზურაბას შვილი ნაზარა ხიზანი... იარალიშვილის ყმა **სავანელი** მღებრიშვილი თამაზა ხიზანი; **უფლისციხელი** ერისთვის ყმა გოგია ხიზანი... ამილახვრის ყმა **წრიალელი** თევდორა ხიზანი; სათბილელო **ღოლოვნელი** მახარა ხიზანი; კიდევ სათბილელო **ლილოელი** კბილაშვილი რამაზა ხიზანი; მროვლის ყმა **რუისელი** ლომკაცა ... ხიზანი... იოთამის შვილის ყმა **გულეური** პეტროზაშვილი მელქუა ხიზანი... გივი ციციშვილის ყმა **ქვენაფლაველი** წიკლანიშვილი ღითისა ხი-

ზანი... ყორყანაშვილი გაბრიელის ყმა **ენაგელი** მამულაშვილი ზურაბა ხი-
ზანი... თუშმალისშვილის იოსების ყმა ... **კარსავარელი** მურადაშვილი ვარ-
თანა ხიზანი... ამისივ ყმა **ნადდვალათელი** ხუდავერდას შვილი სარქისა
ხიზანი... იაგულაშვილი ხალის ყმა **ხოხმელელი** ხეჩიკაშვილის ღარიბას
ობლები... იაგულაშვილის გივის ყმა **ავანათელი** ვართანას შვილი ... ხიზა-
ნი... იაგულაშვილის შიოშის ყმა **ხორისოფლელი** სარქისაშვილი არუთინა
ხიზანი; ბოქაულის ყმა **ტლავლერი** სარუხანა ხიზანი; გილაქიშვილის ყმა
ნახიდურელი მირიანაშვილის ლამაზა ხიზანი; შანშიაშვილის კაცურას ყმა
ბარანელი კირაკოზაშვილი სარქისა ხიზანი; მუსხალას შვილის დათუნას
ყმა **საბატელი** ტერმინასა ხიზანი; რატიშვილის ბეჟანის ყმა **ხანდაგელი**
ფარსულაშვილი პატარკაცი ხიზანი; შანშიაშვილი გივის ყმა **სახუნდრელი**
თამაზაშვილი სულია ხიზანი; **გორელი** თუთუნაშვილის ყმა ჭრელა თამაზა
ხიზანი... მოქალაქე ამირას შვილის სტეფანეს ყმა **ღოუბნელი** გელიას შვი-
ლი გელი ხიზანი... **კირბალს** მთავარეპისკოპოზის ყმა ანანიაშვილი ზურაბ
აზნაური... **ქვენტკოცელი** დათაშვილი გიორგი ხიზანი... (სეიძ, I, გვ. 248-255).

გარეჯვარი 1784 – მისის უმაღლესობისათვის არზა მიერთმიათ გიოგაშვი-
ლებს: **გარეჯვარს** რაც მამული გვქონდა, თქვენის ბძანებით ... უსტა იასეს
შვილს ბეჟანას მიაბარესო... უსტა იასეს შვილმა ასე უჩივლა წერილით: ...
მუფე ბაქარს ამილახორიანთათვის ორი კომლი მოქალაქე თავეთის მამუ-
ლით უბოძებია, და ის პაპაჩემი თავის მამულით, რომელიც ან ამილახო-
რიანთაგან მიცემული ჰქონია და ან **გარეჯვარს** თავისი ნასყიდობა ჰქონია,
გამოუცვლიაო. პაპაჩემი რომ იქიდამ აყრილა და **ქალაქს** დაუსახლებიათ,
პაპაჩემს იმ თავის მამულსა და ნასყიდობაზედ მაჩაბლის შემომწყრალი
მეტრეველი ყმად მოსვლია... მერმე ოსმალო მოვიდა და ... მამულის ჭელის
მოკიდება ვეღარ შეეიძელითო, მიიყვანეს ამილახორიანთ და გიოგაშვილე-
ბი დაასახლესო... მერმე ყიზილბაში მოვიდა და **ზემო ქართლში** მუდამ ჯარი
იდგა და არეულობა იყო. როსცა ღმერთმან მეფენი მოსცა **საქართველოსა**, ...
ვედავენითო... ამასაც ჩიოდა უსტა იასეს შვილი: ჩვენ რომ მაგათ ვყმობი-
ვართ, უწინვე **გარეჯვარს** ნასყიდობა გვქონებია და მაგათ ... **გარეჯვარს თუ-
ხარჭლის მამული** უბოძებიათ და მისთვის ვყმობივართო. (ქსძ, V, გვ. 251-252).

გარეჯვარი 1784 – ... იასაულო ივანე და მურავ! თქვენ უნდა მიხვიდეთ და **გა-
რეჯვარს** და ... თუ ბეჟანამ ... სარწმუნო მოწამე იშოოს და ... იმოწმონ,
რომ ესა და ეს მამული და ვენახი ბეჟანასიაო, ან ნასყიდი და ან ამილახ-
ვრის მიცემული **თუხარჭლის მამული**, ... ჭელი აუმართე და ბეჟანის მოაბა-
რე. (ქსძ, V, გვ. 257).

გარეჯვარი 1787 – ავიღე მე, თუმანისშვილმა ნიკოლოზმა, შენ, თუთუნაშ-
ვილის დავითისაგან, ექვსი თუმანი ქალაქის ზარაფხანის აბაზი... ამის გა-
რაოთ მამიცია ... **გარეჯვარს** ლელუაშვილისაგან მოყიდული ნავენაკობი,
ტერმოსესანთო რომ ვენაკი გამოვართვი **რუისს**, ის ვენაკი და სიგელიც ...
გირაოთ მამიცია... (მსეი, II, გვ. 74).

გარეჯვარი 1797 – ღმერთმან ... ჭელმწიფის ჭირი ... სპაფაქს იესეს მოს-
ცეს... ამას წინათ წლებში თავი გაწყინეთ ჩვენგან წართმეული **გარეჯვრის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულებზე... თქვენის სიმაღლისაგან ოქმი გვებოძა ამილახვარს იესეზე – და ამათს სახლისკაცებზე. ესენი ... სამართალში მელაპარაკნენ ... და ... [საღვთო მიწები] სამართლით მე მომეცა (ქსძ, VIII, გვ. 436).

გარეჯვარი XVIII ს. მიწ. – იხ. ფრანგის ჭუბა

გარეჯვარი 1800 – [არზა ივანე მუნჯისშვილისა თეიმურაზ ბატონიშვილისადმი]: ... **გარეჯვარს** მამა-პაპის ნასყიდობა მამული გვაქვს კალო-სახლკარის ადგილი. ქარუმიძე გლახა და ბეციამ აღამამათხანს უკან კალოები გაყცვალეთ სოფლის პირითა (ქსძ, VIII, გვ. 649).

გარეჯვარის გზა. შიდა ქართლი

გარეჯვარის გზა 1651 – იხ. **ბიბლიანთ უბანი**

გარეჯის ნათლისმცემელი – იხ. **ნათლისმცემლის მონასტერი**

გარეჯუარი – იხ. **გარეჯვარი**

გარისი. ქვემო ქართლი

გარისი 1699 – იხ. **მანგლისი**

გარისი 1656 – ... ბარათას აზნაურისშვილის ბლორძელის მამუკასა და მათ ძმათ სასამართლოდ და **გარის** პარუნ სარქისაშვილების საქმეზედ დავსხედით... სარქისაშვილები და **გარისელნი** მიწაზედ ესარჩლებოდეს... ეს მიწები საგარისო ყოფილაო და **ორთაშუისა** არ არისო... მოვიჴმეთ [მოწმენი] ... და ... ფიცი თქუეს: კამყოლოს საკაძეს ... ჰქონდა **ორთაშუა** და ცლობა არ გაგუიგონია **გარისელთგანო**... პარუნ სარქისა შვილებსა და **გარისელთა** ... მოფიცრად ... გარეშემოს მეზობელი ეშოვნა და **ზემო გარისელი** მემკვიდრე შეგდებული კაცი... მაგრამ ... ვედარ დაიფიცეს... დარჩა ბარათას აზნაურიშვილთა, და **ორთაშუელთა**... ალაგიც და მიწაც **ორთაშუის** არის და გლეხიც თავისი დაუსახლებია. დარჩა მამუკა ბლორძელსა... (ქსძ, IV, გვ. 100-101).

გარისი 1668 – ... ჩვენ, აბაშისშვილმა ლუარსაბ ... თქუენ, ტუსიშვილს ნინოწმინდელს საბას ... ჩემი მემკვიდრე ყმა ... **გარისელი** ასრათასშვილები ... მანდ შენს ეკლესიაში მოსულნი **ნინოწმინდას** ... აღარ გამოვსწორე და მოგყიდდაიწერა ჴელითა ანჩიხატის დეკანოზის გიორგისათა... (ის, V, გვ. 78).

გარისი 1671 – იხ. **ორთაშუა**

გარიყულა. ქართლი

გარიყულა 1740 – ... მე, გრიგოლ ჯვარაშვილმა შენ, პეტრეს შეშაბერიძეს ... მოგყიდე **გარიყულასთან** ლარის მიწა ორღობეს აქეთ საქვენაქროთ... მე, რამაზ თარხნისშვილი ვამტკიცებ სიგელს ამას. ამისი კულუხი ... **წმინდის** ... **ევსტატის** ეკლესიისათვის შემიწირავს... (დსსი, I, გვ. 291).

გარმუდეთი. შიდა ქართლი

გარმუდეთი 1783 – იხ. **ბობნავი**

გარული მამული. შიდა ქართლი

გარული მამული XVI ს. – იხ. **ახალგორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარყლოა.[66] ქვემო ქართლი

გარყლოა 1740 – იხ. მამისდაბა

გარძელი – იხ. გრძელა

გარწემი. შიდა ქართლი

გარწემი 1795 – იხ. სვერი

გატეხილი საყდარი. ქვემო ქართლი

გატეხილი საყდარი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

გატეხილი საყდარი 1707 – იხ. წრაუთი

გატეხილი საყდარი 1746 – იხ. ქვემო ვარდისუბანი

გატეხილი ხიდი. ქვემო ქართლი

გატეხილი ხიდი 1787 – [წერილი ერეკლე II-ისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... დღეს რომ შაბათი იყო, ჩვენ აქ, გატეხილ **ხიდთან**, მოვედით. ხვალ აქედან ავიყრებით, ... ზეგ უთუოდ ... მანდ მოვალთ. მაგრამ საკლავი არა გვყავს და კარგა ჯარი გვახლავს... უნდა ... საკლავის თადარიკი გვინახოთ. ზეგ რომ ორშაბათია, საკლავი არც ჩვენის ქარხნისათვინა გვყავს და არც ჯარისათვის... (სს, III, გვ. 43-44).

გატეხილი ხიდი 1797 – [წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა სადიყ-ბეგ იქდიგარაშვილისადმი]: Предки наши пожаловали вам ... **Гатехили-хиди**... У вас были ... грамоты ... Назаралихана, ... Имамкулихана ... и ... царя Теймураза. Когда Ага-Магомед-хан сжег **Тифлис** ... ты был с нами, ... а сыновья твои ... сопровождали нас в **Арагви**... Во внимание ... преданной службы твоей ... жалуем тебе **гатехилихидских** жителей в крестьянство (ГКГ, გვ. 66-67).

გატეხილი ხიდი 1799 – იხ. ბაიდარი

გაუგონარი. კახეთი

გაუგონარი 1747 – იხ. დოდოს მონასტერი

გაუგონარი 1782 – იხ. დავითგარეჯა

გაუგონარი 1788-1800 – იხ. დოდოს მონასტერი

გაურახი. კახეთი

გაურახი 1764 – [ოქმი ერეკლე II-ისა]: ... ჩვენი ბრძანება არის, ნაცვლიშვილო ზაალ! სანატრელის მამისჩემისაგან მაქვს ნაბრძანები: ჩვენის ქალისათვის მზითევში არც ზაალ მიგვიცია და არც **გაურახიო**. რადგან ჩვენმა დამ გვთხოვა, **გაურახს** ნუ ჩამომართმევთო, ამისთვის ... მანამ ჩვენი და ცოცხალი ბძანდება, უნდა ემსახურო. **გაურახისა** და **ვაშლოვანის** მოურაობაც შენთვის გვიბოძებია საშვილისშვილოთ, არ მოგეშალოს; და ჩვენს დას უკან **გაურახიც** სახასო არის... (ქსძ, VII, გვ. 76-77).

გაურარხი. ქვემო ქართლი

---

[66] უნდა იყოს გარყლოპი, იგივე გარყლუპი // ღარღლუპი (ვახუშტი ბატონიშვილი, იოანე ბაგრატიონი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაურარხი 1791 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... საამისშვილს ზაალს მოსცეს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სამკვიდრო მამული **გაურარხი** რას ძალითა და უსამართლობით გვერთმევა... თქვენგან განაჩენი გვებოძა, ასე რომ ეშიკაღასბაშ დემეტრეს ... უნდა ... ფიცს უკან ... **გაურარხი** დარჩომოდა. მაგრამ ერთი თავი წყალი რასაც მიწას ეყოფა, ის მიწა და წყალი იალაღებითა ჩემთვის უნდა მოეცა... ვერც შემოგვფიცა და არც მამულს გვანებებსო... ოთხოით კომლი თათარი მყავს, თავის სამკვიდრო მამულზედ იღგნენ; ახლა იქ მისულა თამაზ და იმ მამულს მართმევს... სამასი წელი წადია, ის მამული ჩემი თათრებისაა... (ქსძ, VIII, გვ. 102).

გაღმა დიეში. ჯავახეთი

გაღმა დიეში 1392 – იხ. **ტფილისი**

გაღმა კლდე. იმერეთი

გაღმა კლდე 1756 – იხ. გოლათუბანი

გაღმა მხარი // გაღმა-მჭარი // გაღმა მხარე // გაღმა

გაღმა მხარი. კახეთი

გაღმა მხარი 1721 – იხ. გავაზი

გაღმა მხარი 1723 – იხ. კახეთი

გაღმა მხარი 1735 – ... ნასყიდობის წიგნი ... მოგართვით ჩვენ, გივიშვილმა ბერმა ... თქვენ, ბატონს ამილახორს გივსა... ლეკებისაგან დატყვევდი, წამიყვანეს, გაღმა მჭარში ტყეეთ ვიყავი და თქვენ ... დამიხსენით... კიდევ ჩემი ძმა იყო დატყვევებული. მამაჩემმა ის დაიხსნა და **კახეთს** სეფაშვილის ბერისაგან ვალი აეღო... (დსსი, I, გვ. 243).

გაღმა მხარი 1744-1762 – იხ. **კახეთი**

გაღმა მხარი 1757 – საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის იოსების – სახლთხუცესო გიორგი! მერე მდი **კახეთს**, სადაც **სვეტისცხოვლისა** და ჩვენი ყმანი იყვნენ **გაღმა მჭარსა** თუ **გამოღმა, პირიქით** და **პირაქეთ** სოფლებში ... რაც ... ბეგარა ედვასთ: ჰური, ღვინო ... თუ აბრეშუმი ... კარგად მოკითხე ჩვენს მოჭელეებს და მოურავებს, ... ყვალა კარგად აიღე და **მცხეთას** მოიტანე...(ქსძ, III, გვ. 840).

გაღმა მხარი 1769 – [ერეკლე II-ის ბრძანება]: ... ბატონს ნეკრესელს ... **ენისელთ** მოურავს იასეს, ნოდარისშვილებს, რუსიშვილებს, ჭავჭავაძეს, მელქისაძეგს და სულერთობილთ **გაღმა მხრის** მოხელეთ ... ეუწყოსთ: [მოსდევს ბრძანების ტექსტი]... ბატონო ნეკრესელო და მოურაო იასე, **გრემიდამ** მოკიდებული, ჩაველით **გავაზამდის** სოფლის მოხელეთ, დიდსა და პატარას სულ აცოდინეთ ეს აზრები... (ქსძ, II, გვ. 417-418).

გაღმა მხარი 1769 – [განჩინება გრიგოლ ბახუტაშვილისა და მამუჩიანთ მამულის საქმეზე]: მდივანბეგი ბეჟან **გაღმა მხარში** იყო ნაკლების კაცის სარბევლად. ჩვენ, მდივანბეგი ოტია და მდივანი დავით, ჩავედით **წინანდალს**, მამუჩიანთას ჩამოვხდით; **წინანდლელი** სოფლის კაცნი ... ამას ეპასუხებოდნენ [მღვდელ ბახუტაშვილს]: **წინანდლის** თავს **ხოდაშნის** მხარეს რომ ქედია, იქამდის ჩვენია, ამის მეტი ჩვენ მთა არ გუაქვსო; იმ ქედსა და

კლდის ქვევით შაფერდებით რომ ჭალა არის, რიყემდის შენიაო, საბალახეო იმაში აგიღიაო, მამულიც ის არის შენიო, ჩვენ უბრალოთ გვეშფოთებიო... გარდასწყდა ამათი დავა: ქედს ქვევით მცირე ვაკე წინანდლისაკენ მამუჩიანთ დარჩა და კლდეს ქვევით შეფერდებული ჭალა ვაკე ამ ბახუტანთ დარჩა (ქსძ, V, გვ. 438-439).

გაღმა მხარი 1785 – ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფემან ირაკლი მეორემან ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ... **ენისელთ** მოურავის შვილს გრიგოლსა... **გაღმა მხარში** შენ ასე უნდა გარიგებდე რომელიც სახელდობ დაგვიწერია. **გაღმა მხარს** როდესაც ჯარს დაუძახებდეთ, შენ უნდა დაუძახებდე... **გაღმა მხარის** კაცთ სამართალს [მდივანბეგთან] ერთად უნდა მისცემდეთ. **გაღმა მხრის** მთის ყარაულებს, რომლისაც სოფლებიდამ გამოსაყვანი იქნებოდეს, შენ გამოიყვანდე და თავ-თავის საყარაულოზედ დაასუნებდე... **ყვარელიდამ** მოკიდებული **გრემამდის** ამ ყარაულებს შენ უნდა გარიგებდე... თუშებსა და **გაღმა მხრის** კაცთა თუ რომ ერთმანეთში დავა და სასამართლო ექნებოდეს, თუშთ მოურავი და შენ ერთად შეიყრებოდეთ და ორნივ სამართალს ერთად მისცემდეთ... დიდოებისა ასე გვიბრძანებია არა თუ მოხელობით შეცილო ვისმე დიდობს, მაგრამ **გაღმა მხარში** რომელიც სადაო და სალაპარაკო საქმე ექნებოდეს და სასამართლო **გაღმა მხრის** სოფლის კაცთან ... ყოველივე შენ უნდა არიგო სასამართლოზედ... აგრეევე კაპუჭელთ როდესაც შერიგებულნი ვიყვნეთ რაც იმათი საქმე იქნებოდეს და **გაღმა მხარში გავაზიდამ** მოკიდებული **გრემამდის** ამ სოფლებში ვიზედაც დავა ჰქონდესთ ... ამათ სამართალს მისცემდე... რომელიც რომ **ანწუხელთ გავაზელს** კაცთან სადაო საქმე ექნებოდეს, თავეთი მოურავი გაურიგებდეს და თუ **გავაზის** მოურავი შეგატყობინებდეს, ორნივ ერთად შეიყრებოდეთ და ისე გაურიგებდეთ და თუ **გავაზს** გარდა **ანწუხელს** კაცს სხვას გაღმა მხრის სოფლის კაცთან დავა რომ ექნებოდესთ, ამას შენ გაურიგებდე... ყოველად სამღვდელო ნეკრესელი დოსითეოზ როდესაც **გაღმა მხარში** იმყოფებოდეს, იმასთან მიხვიდოდე და იმისის შეკითხვით ამ საქმეებს ისე გაარიგებდე... ამ საქმეების გასარიგებლად ... მოგვიცია ... სამი კაცი: ერთი **ყვარელიდამ**, ერთი **შილდიდამ** და ერთი **საბუიდამ**... თუშნი და ხევსურნი რომ შეიყრებიან ხოლმე და მანდეთ სამეკობროთ წამოვლენ, ჩვენ შემორიგებულთ ანწუხელთ და დიდოებს თუ სხვას თემის კაცთ დახოცენ ხოლმე. ამათი შეყრილობა რომ შეიტყო, ... შენ მანდ **გაღმა მხრის** კაცთ შემოიყრიდე ამ გვარად, მეკობრეს კაცთ ავად მოეპყრობოდე, იარაღებს აყრიდე და ასე უიარაღოთ გაყრიდე (МПТСВГ, II, გვ. 46-48).

გაღმა მხარი 1788-1811 – იხ. **საქართველო**

გაღმა მხარი 1793 – იხ. **ახალქალაქი**

გაღმა მხარი. ქართლი

გაღმა მხარი 1719 – იხ. **საციციანო**

გაღმა მხარი 1735-1747 – გოგიას აღებული თეთრი დადგა ამილახვარიანთ და **გაღმა მხრის** გარდა... კიდო გოგიაზე არის **ოსიაურის** პურისა და თეთ-

რისა... [ზურგზე:] ბროწლეთის წიგნები და ბარათები მალუჯათისა... (სვიმ, II, გვ. 89).

გაღმა მხარი 1772 – იხ. მუხრანი

გაღმა მხარი 1788-1811 – იხ. საქართველო

გაღმა მხარი 1791 – იხ. გორი

გაღმა მხარი 1791 – იხ. იმერეთი

გაღმა მხარი 1800 – [მღვდელი დიმიტრი ჯომარდიძე სთხოვს დავით ბატონიშვილს, დაუბრუნონ ყმის შვილი, რომელიც ციცოშვილის კაცმა წაიყვანა და გაასომხა:] ... ის კაცი წმინდის გიორგის მნათეც გახლავთ, არც ხატი აყენებს და მოელმა გაღმა მხარმა იცის, რომ ჩემი ყმა გახლავთ... (ქსძ, VIII, გვ. 630-631).

გაღმართი. იმერეთი

გაღმართი 1776 – იხ. ბარი

გაღმა ოსიაური. შიდა ქართლი

გაღმა ოსიაური 1793 – იხ. ოსიაური

გაღმა სანადირო. კახეთი

გაღმა სანადირო 1796 – იხ. ვარდისუბანი

გაღმა ტამალანი. სამცხე (?)

გაღმა ტამალანი. XIV ს. – ... გაღმა ტამალანი მოგეცით ჩუენ, [ალის] მონასტერმა სრულობით ... შენ, გაბადის ძესა ყალიასა და შენთა შვილთა... (სსიმ, II, გვ. 34).

გაღმა ქართლი.

გაღმა ქართლი 1778 – [არზა გიორგი ციცოშვილისა ერეკლე II-ისადმი:] ... ეს ... ჩუენი მემკვიდრე ყმა ... კემხუტაშვილი მამაჩემს უკან მოსდევდა, ციხის კართან რომ მივიდა, უკანდამ თოფი ჰკრა და მოკლა მამაჩემი. მასუკან გავარდა, ხან ოსებში იყო, ხან გაღმა ქართლში, ჩვენს მამულში ვერ გაიკიდა... (ქსძ, VII, გვ. 392).

გაღმა ქართლი 1784 – იხ. სატივე

გაღმა ხორგა. ოდიში

გაღმა ხორგა 1696-1742 – იხ. ხობი

გაღმა ხოჩი.[67] ლეჩხუმი

გაღმა ხოჩი 1610 – ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... გიორგი ... თქუენ, ცაგერელს ... სერაპიონს ... გიბოძეთ გაღმა ხოჩს არჩუაძისეული მამული... (სგდ, გვ. 9).

გაღმა ჰერედვი. შიდა ქართლი

გაღმა ჰერედვი 1633 – იხ. აბისი

გაძბულთკარი. შიდა ქართლი

---

[67] გაღმა ლიჩი (პალ, I, გვ. 252).

გაბზულთკარი XVII ს. – ... მოგაყიდე მე, პაპუნიმ მარკოზიშვილმა ჩემი ალალი ნასყიდი მამული – ჭალისა ვენაკი გაბზულთა კრას[68] მიწა შენა, მახარებლის შვილისა დემეტრეს... (ყს, გვ. 65).

გაწყვეტილა // გაწყუეტილა // გაწყუეტელა. კახეთი

გაწყვეტილა 1492-1499 – იხ. ჯიმითი

გაწყვეტილა 1579 – იხ. მცხეთა

გაწყვეტილის გზა. კახეთი

გაწყვეტილის გზა 1787 – იხ. უტო

გაწყვეტილის ჩიხი. კახეთი

გაწყვეტილის ჩიხი 1789 – იხ. მარიამჯვარი

გაჭრილი კლდე. ქვემო ქართლი

გაჭრილი კლდე 1756 – იხ. კრწანისი

გაჭრილი კლდე. იმერეთი

გაჭრილი კლდე 1776-1784 – იხ. საბანელა

გაჯნიჭევი // გიჯნიჭევი // გოჯანჭევი. კახეთი

გაჯნიჭევი 1712 – იხ. ჭანდრისხევი

გაჯნიჭევი 1746-1749 – იხ. გრემი

გდეისი. იმერეთი

გდეისი 1711 – იხ. ქვიშხეთი

გდუვი. შიდა ქართლი

გდუვი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

გეგუთი. იმერეთი

გეგუთი 1503 – იხ. რაჭა

გეგუთი 1578 – იხ. ქუთაისი

გეგუთი 1616-1621 – იხ. საგენათლო

გეგუთი 1616-1639 – იხ. ხაუქელი

გეგუთი 1644 – იხ. ქუთაისი

გეგუთი 1639-1657 – ... მე, იაშვილმან ქაიხოსრო ... კათალიკოზს პატრონს მაქსიმეს ... მოგართვით ერთი მოსახლე გლეხი **გეგუთს** – მამუკაი ფხაკაძე მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ალაგითა... (დსსს, I, გვ. 59).

გეგუთი 1650 წ. ახლო – იხ. მანდიკორი

გეგუთი 1680 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემ ბატონმა ბაგრატ ... თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს ... გიბოძეთ ... ერთი გლეხი **გეგუთს** – მამუკა თვალიაშვილი მისის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა, ალაგითა... (დსსი, I, გვ. 435).

[68] ე.ი. კარსა (ყს, I, გვ. 65).

გეგუთი 1696-1706 – ... ჩვენ ... იაშვილმან ქაიხოსრო ... შეგვიწირავს... ახლისა იერუსალიმისა ბიჭვინტისა ღმთისმშობელისათვის გეგუთს ... დედისაჭ ლუკა ... მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ჭურმარნითა... (დსსს, I, გვ. 96).

გეგუთი 1706 – იხ. ხორგა

გეგუთი 1712 – იხ. ხორგა

გეგუთი 1733 – იხ. ბარისთავი

გეგუთი 1773 – იხ. ქუთაისი

გეგუთი 1776 – იხ. ბარი

გეგუთი 1787 – იხ. სვერი

გეგუთი 1789-1811 – ... იაშვილი როსტომ და მესხი იოვანე გავაბჭვეთ. იოვანემ უჩივლა: დავით მეფემ გეგუთს მამის ჩემის ნაქონი სასახლე და ექვსი კვამლი კაცი მიბოძა... შენ წიგნი ... გიბოძა, მოურავი ხარ და თავისი მამისსეული მამული და გლეხები მიეციო... შენ ... არ დამანებე ... ვენახი და პური წამიხდინე... იაშვილმა უჩივლა: ბოქაული მომგვარე, შაქარა ლაღაძე პატრიქეთს ჩემი კაცი დამიკავე... იოვანემ უპასუხა: ფარცანაყანევს ბატონმა მეფემ ლაღაძეები მამაჩემს უბოძა და შაქარა ლაღაძე იმათი სახლისკაცი იყო, პატრიქეთს ესახლა და ისეც მეფემ მიბოძა... (ქსძ, VI, გვ. 442-444).

გეზერეთი. შიდა ქართლი

გეზერეთი 1774 – იხ. ქსანი

გეთსიმანია // გესიმანია // გეთსამანია // გესამანია // გენასამანი // სგენასმანი

გეთსიმანია. იმერეთი

გეთსიმანია 1744 – იხ. ვერტყვილა

გეთსიმანია. შიდა ქართლი

გეთსიმანია XV-XVI – იხ. კაბენი

გეთსიმანია XVI[69] – ... ჩუენ, რატისშვილმან იოანე ... ერისთავის ერასტისაგან მამული და სასახლე ვიყიდე, სახლ-კარი და ჭურ-მარანი იშხანსშვილის დავითისეული და ვენაჭი ენდრონიკასეული და... ორი საქულბაქე შევწირე და მოვაჭსენე გესამანისა ღმრთისმშობელსა... (ყს, გვ. 66-67).

გეთსიმანია XVI – იხ. კაბენი

გეთსიმანია 1617 – იხ. გერი

გეთსიმანია 1669 – იხ. წილკანი

გეთსიმანია 1705 – ... მე, რატიშვილმა ზურაბ შემოგწირე გესამანისა ღმრთისმშობელს ჩემი მკვიდრი ყმანი კაბენს მოსახლენი... (ყს, გვ. 71).

გეთსიმანია 1726 – ჩვენ, ... მუხრანის ბატონის ... ძემან ბატონიშვილმა მამუკამ, რაგვარადაც კურთხეულის მამა ჩვენს ეს გლეხი თავისის გამოსაღებითა შეჰწირა, ჩვენც ისე ჩვენის ყმის რატიშვილების სასაფლაოს გესამანის მღთისმშობელისათვის შეგვიწირავს... (ყს, გვ. 71).

---

[69] XVI ს. I ნახ. (პალ, II, გვ. 467-468).

გეთსიმანია XVII-XVIII[70] – ... ესე წიგნი მოგაჭსენეთ ჩუენ, რატისშვილმან სუფედავლე ... ყოელადწმიდა ღმრთისმშობელსა **გეხსამანისასა**, ასე რომე შემოგწირეთ მიწაჲ ასათურის ნაცვალი ასანას ჭევს გამოღმათ [გზას] ქუშეთი... (ყს, გგ. 67).

გელა სოფელი. ქვემო ქართლი

გელა სოფელი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

გელათი // გენათი // გაენათი // გეენათი. იმერეთი

გელათი 1187 – იხ. არგვეთი

გელათი 1251 – [სასისხლო სიგელი ვახტანგ დავით ნარინის ძისა]: მოვიდეს ჩუენსა წინაშე ... ნიქაბაძენი **გელათისა** წინამდეგნი და ყმანი და გუეაჯნეს ... რათამცა სასისხლოთა წიგნითა შეგუეწყალნეს... გაუჩინეთ ოთხმოცი ათასი თეთრი ძუელი ცხუმური... (სძ, II, 1924, გვ. 5).

გელათი 1260-1267 – იხ. კვახჭირი

გელათი 1281-1282 – იხ. შეუბანი

გელათი 1408 – იხ. კურსები

გელათი 1433 – იხ. სამწე

გელათი 1452 – იხ. სკანდა

გელათი 1464 – იხ. მღვიმე

გელათი 1486-1488 – იხ. ქართლი

გელათი 1495 – ... ჩუენ, ... მეფეთა მეფემან ალექსანდრე ... შევსწირეთ ... მეორესა იერუსალიმსა, მონასტერს **გელათს** ... ჟორჟოლაძის დავითის ნაჭონები მამული გლეხები... ამას გარეთ ... აქავე **ჭულს** ჟორჟოლაძის დავითის ნაჭონები კიდევ შემოგვიწირავს... (ქრონ, II, გვ. 311).

გელათი XV ს. – იხ. კვაშხიეთი

გელათი 1505-1519 – იხ. მთხლარა

გელათი 1509 – იხ. ნობარევი

გელათი 1519 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან ბაგრატ ... გიბოძეთ თქუენ, ... ფანჩულიძესა იოხს ... **გელათს** სენაკი, ტრაპეზისა გუერც, საბოსტნე ტრაპეზისა ქეშე, სათიბი და სავენაჯე... (ქრონ, II, გვ. 344).

გელათი 1519 – ... ჩუენ... მეფემან ბაგრატ ... ვიგულსმოდგინეთ და **გელათის** არსა შორის აღმართებულსა საყდარსა ... შევწირეთ ... **ვურევს**[71] ჭალაგანიძე კუამლი ხუთი... **მანდიკორს** გაბადაძე... **პოლევის ტყის** ქათამაძე კუამლი ერთი... **სასვიმონეთის შარას** აქეთ საჭმელად მივეცით **ჭიშურას საგოდოგნო შარა** რომ წაყვება, **მრავალწყარო** ზეითი **სვიმონეთის მზიურასას**

[70] XVI ს. (პალ, IV, გვ. 58).

[71] ჭურევი?

მიადგამს... **ჭიშურას** გაღმა სათევზე ღრუდო შეგვიწირავს, **ჭალასთავი** სოფელი ... (ქრონ, II, გვ. 336-340).[72]

გელათი 1519 – იხ. **ბალახვანი**

გელათი 1519 – იხ. **რავახმელა**

გელათი 1525-1550 – იხ. **ბიჭვინტა**

გელათი 1529 – ... ჩუენ ... აფხაზეთისა კათალიკოს პატრიარქმან მალაქიონ, ესე გუჯარი ... მოგაჴსენეთ თქუენ, წმიდა საყდარსა **გელათისა** და ... **გენათელ** ეპისკოპოსს ... მელქისჴედეკს. მას ჟამსა, ოდეს ... მეფეთ-მეფემან ბაგრატ მოგუახსენა და დაგუაჯერა, რაითამცაჲ **გენათი** საყდრად და საეპისკოპოსოდ შეგუმჭმნა ... [ჩვენც] დავსვით **გეენათს** კაცი უადრესი ანგელოზთა და გაუხინეთ ... სამწყსონი და საკურთხი **რეონსა** და **ქუთათის ქალაქ**სა ზედათ, **ყვირილას** გამოღმა და ვიდრე **კაცხის** ზღუარამდის და **ხრეთის** აქეთ, **რაჭის მთამდის; ოკრიბა**, სრულად **ქუთათის ქალაქ**სა შიგან, გაღმა და გამოღმა, და ანუ დაბანი და სოფელნი იყვნენ ... ყოველნივე შეუცვალებელ აქუნდეს მღვდლთმთავარ-ეპისკოპოსსა **გენათისასა**, პირქელადცა სხუათა ეპისკოპოსთაგან უმეტესი იყო და, აწცა, ისივე პირველი საწირავი გაუჩინეთ, ასი თეთრი მიერთმოდეს... (დსსს, I, გვ. 10-11).

გელათი 1545 – [შეწირულების წიგნი ბაგრატ მეფისა]: ... **გაენათისა** ღმრთისმშობელო ... შეიწირე ... ესე ძღვენი... ვიგულსხმოდგინეთ და ჭელუაჲთ საყდრისა და **მონასტრისა წმიდისა გიორგისა** მეორედ აღშენებად. პირველ ... სადეღოფლო ყოფილიყო, აღარავინ ესაფლავებოდა და მოშლილიყო, და აწ ჩვენდა სამარხოდ და საძვალედ შევქმენით... შევამკეთით ... მამულითა... რაცა ნიჟარაძისეული გლეხნი არის და ან მჭეცაძისეული გლეხნი **სამოქალაქოს**, რაცა სამეფო ჴელი შეჳა, არა მოგვიშლია რა... აგრეჳე ... ციხისთჳისეული გლეხნი ჴელშეუვალად; და აგრეჳე **ნავენახეჲი** შეგვიწირავს ჴელშეუვალად... აგრეჳე ვქენით მოკითხული და წმიდის გიორგის საყდარსა ძველად შეწირული მამული ჟამთა ვითარებისაგან მოშლილიყო და დაკარგულიყო, და რასაცა ოდენ მოვესწრენით, და შევიტყეთ ვითა, ისიც შემოუკრიბეთ... არის გლეხი ზღუდეს გარეთ... **ოხომირას** გლეხნი ვირისალაძენი ოთხნი... **ჯონიას** შემხაძე[73] კვამლი ათი. არის **ნაბოსლევს** კოზოლაძე კვამლი ორი, **კურსებს**... შემოგწირეთ ჩვენგან ნასყიდი იმავე ნიჟარაძისეული **მაღლაკს** გლეხნი ოთხი კვამლი [და] ... **ნამაშევს** ჭოლაძე მამუაი... ესე ნიჟარაძისეული ნასყიდი გლეხნი: **ფარსმანაყანევს, ქუტირს** და **ნამაშევს** ვიყიდეთ მათითა მამულითა... შემოგწირეთ **ფარსმანაყანევს** მარდალაშვილები... ესე გლეხნი მარდალაშვილები ჭილაძესა ზითვად მართებს მხეციძის ცოლისათვის და ჩვენ მისგან ვიყიდეთ... ამას გარეთ იმავ მხეციძისაგან ვიყიდე მე სამკვიდრო მამული: **მესხეთს** გლეხნი კვამლი სა-

---

[72] ეს დოკუმენტი წარმოადგენს ბაგრატ მეფის 1545 წლის შეწირულების წიგნის (– იხ. **გელათი 1545**) ვარიანტს. მოგვყავს ის ფრაგმენტი, რომელიც არ გვხვდება ქსძ, II.

[73] ჯონია მემნაძე (ქრონ, II, გვ. 337).

მი... **ფარსმანაყანევს** ... კვამლი რვა... ჭოლევს[74] ... კვამლი ერთი. **რიონს** მამრიკისშვილი ნაცვალი და მისი განაყოფნი ... და **ზემო ჭუტირს** ... კვამლი ორი. ეს გლეხნი ღოღაბერიძის ციხისთვის მკვიდრი მამული იყო და ... ჩვენ ნაშვილობით მოგვეცა... **ნავენახევი** პირველადცა საყდრისა ყოფილიყო და ჯამთა ვითარებისაგან ... დოღაბერიძესა დაეჭირა, და სააზნაურიშვილოდ შექმნილიყო. და ამას უკანის ჯამთა აშლილობისაგან მხეციძესა ეშოვნა; და მერმე მხეციძესა ... საუპატიოდ გამოვართვით, და ... შემოვსწირეთ... **ნავენახევი**[75] ძველად ორი ფუზე ყოფილიყო და ცოტა ადგილი ჰქონდა, და **სასვიმანეთოს შარას**[76] აქად ვერ გარდმოვიდოდეს... აწ, ესე ჩვენგან ბრძანებული ... დაჯერებით დაუმტკიცეთ, ... ყოველნო ერისთავნო, **ქუთათისისა** ციხისთავო-ციხისთავნო, და **ლიხთ-ამერისა** და **ლიხთ-იმერისა** ციხისთავნო... დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან და დიდმან საყდარმან და მონასტერმან **გენათისამან** (ქსძ, II, გვ. 183-190).

გელათი 1545 – იხ. **გოდოგანი**

გელათი 1548 – იხ. **ონჭორა**

გელათი 1569 – იხ. **ჩუნეში**

გელათი 1573 – [სიგლის ფრაგმენტი]: ... მონაზონმა გერმანემ, მისმა მწირველმან ხარჯოს, როგორც უნდოდეს, ისრე... აგრეთვე **გელათის** სახლი საყუარელიძე, ის ადგილი და იმის ქვეშეთ გალავანსა და იმას შუა ბოსტანი ... შეგაწირავს... (ქრონ, II, გვ. 414).

გელათი 1573 – იხ. **ციხია**

გელათი 1586 – ... [ესე წიგნი] გაკადრეთ და მოგაჭვნენეთ ... ლორთქიფანიძე ქქჭაოზ, და ქრთამიც მოგუართუი და უბოძეთ **გელათის** დასავლეთის კარსა სასფლაო და ცოლი ჩუენ ულუხან, იქ დავმარხეთ... (ქრონ, II, გვ. 425).

გელათი 1586 – იხ. **ჩხარი**

გელათი XVI – იხ. **კვაშხიეთი**

გელათი 1637-1657 – [შეწირულების წიგნი ყიფიანისა ზაქარია გენათელისადმი]: მე ერთი უშვილო კაცი ვიყავ, ... ჩემი კერძი ცხრა თავი თქვენ მოგართვი და **გელათს** შეუსწირე, ასრე რომე ჩვენ **ნასაყდრს** აქით მოგართვით, მაგრა თუ სხვა ყიფიანი ვინმე შამოგეცილოს, გაჰყავით სამართლიანის საქმით და ჩვენი კერძი ... **გელათს** ქონდეს. თავად ეპისკოპოზი იყაუ ჩვენი და მერმე სადამდის ეს ადგილი არ შეგავაწირვინეთ, მადამდის ... შენდობის წიგნი არ მოგვეცით... (დსსს, I, გვ. 57).

გელათი 1644 – იხ. **ქუთაისი**

გელათი 1650 ახლო – იხ. **მანდიკორი**

გელათი 1660 ახლო – იხ. **ნოდა**

გელათი 1664 – იხ. **მაჭუტოური**

---

[74] ჯოლევმს (ქრონ, II, გვ. 340).

[75] ვენაჭები (ქრონ, II, გვ. 338).

[76] სასვიმონეთის შარას (ქრონ, II, გვ. 338).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელათი 1673-1696 – [აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოს მეკობრული აღწერის დავთარი]: არს გელათს თავს სადედოფლო საყდარი წმიდის გიორგის მეტოქად მისით შემავლითა რვა კვალი კაცი, **სორმონს** ორი, **რიონს** ორი, **ჭოლევს** ... ერთი, **ნაბოსლევს** რვა, **ბუეთს** ექვსი. **საწირეთს** მეფის ჭალი შევა. არის **ბარს** სასახლე გამაოთული მისის ეკლესიითა ოცდარვა კუამლი კაცი ბაკასეული სასახლე. არის **ჩხარს** თორმეტი კუამლი ... და სასახლე... არის **ოფჩას** ცხრა კუამლი... სამეფო მისი არის და სხვა ბატონის კათალიკოზის არის. არის **ნავენახევს** სასახლე და თექვსმეტი კვამლი... არის **ქუთათის სოფიაწმიდა სასახლე** აზნაურისშვილიანათ ექვსი კუამლი... არის **ჯიმაშტაროს** სასახლე და თერთმეტი კუამლი... **ბაკისუბანს** არის ექვსი კუამლი... არის **მესხეთს** ექვსი კუამლი ... ხელშეუვალად... არის **ქვემო მესხეთს** ხუთი კუამლი... მეფის ხელი შეუა. არის **ფარცანაყანევს** თხუთმეტი კუამლი... არის **მანთხოჯს** სასახლე კარის ეკლესიითა, ორმოცდაათი კუამლი... არის **ხონს** თერთმეტი კუამლი კაცი... არის **ჯიქთუბანს** და **ჭანგას** ათი კუამლი კაცი ... და სასახლე; ექვსი კუამლი კაცი ნიჟარაძეს აქუს. არის **ქოცნაც** საღობი და ორი პარტახტი. არის ნემსაძისეული **ხოშტიბელა** სასახლე თორმეტი კუამლის კაცით. ხუთი კუამლი ... **ოხომირას**, თორმეტი კუამლი ... **საჩხეურს**, ორი კუამლი ... **მანდიკორს**. არის **ჩუნეშს** ათი პარტახტი. (ქსძ, III, გვ. 613-614).

გელათი 1678 – იხ. **ყოფიანისოული მიწა**

გელათი 1700 ახლო – იხ. **ოკრიბა**

გელათი 1712 – იხ. **ხორგა**

გელათი 1730 – ... წყალობითა ღვთისათა მეფეთ-მეფემან ... ალექსანდრე ... დავიპყარ **ლიხთ იმერეთისა სამეფო** უნაკლულოდ... წარვიღე ცხედარი სასურველისა ჩემისა [მარიამ დედოფლისა] მეფეთა სასაფლაოსა **გელათს**... შევწირეთ შინაგან საყდარსა და ადგილი და ყმანი... **ჭუტორს** კცია თევდორაძეს ოცი მენახევრე ღვინო... (დსსს, I, გვ. 119-123).

გელათი 1731 – ... კათალიკოზის ბატონის გრიგოლის წინამძღარმა, **გელათის** წმინდის გიორგის ზედამდგომელმა გაბრიელ, თათრითგან დავიხსენი მოსახლე კაცი გიორგი ხანთაძე და შენთვის შემომწირავს ... **ბიჭვინტისა** ღთისმშობელო, და შენი მონასტრის **გელათის** წმიდის გიორგისათვს შემოგიწირავს გიორგი ხანთაძე ცოლშვილითა, სახლ-კარითა, ჭურმამულითა... (დსსს, I, გვ. 126).

გელათი 1733 – იხ. **ბარისთავი**

გელათი 1740-1750 – ... მე ალექსანდრე ... დავიპყარ **ლიხთ იმერეთისა სამეფო** უნაკლულოდ... მეუღლე ჩემი ... დედოფალი მარიამ [გარდაიცვალა]... წარვიღე ცხედარი ... მეფეთა სასაფლაოსა **გელათს**... შევწირეთ ... ადგილნი და ყმანი ... ვძელთაგანვე შეწირულნი: **ართგვეთს** სოფელსა **მძორეთისას** ვარდოსანიძე ლეკეია... **პატრიკეთს** სოფელსა ჰდ ჩვენი სასახლე და ამას თანა გლეხნი... ამას გარდა შეგვიწირავს **ჩხარს** გამრეკელაშვილი... კვალად **ჭუტორს** შეგვიწირავს კაცია თევდორაძე... ამას გარდა შეწირული არის, როგორც ძველი დავთარი აცხადებს, **გოდოგნს** გაბრიჭიძე ხახუტ-

მხიარული... ამას გარდა **ქუთათისს** ორი ხულის ქირა არის შეწირული... (დსსს, I, გვ. 158-161).

გელათი 1750 – იხ. **არგვეთი**

გელათი 1755 – [სიგელი სოლომონ I-ისა გელათის ტაძრისადმი]: მეფესა დავითს... აღმაშენებელ წოდებულსა ... დაღეშენა ტაძარი ესე **გენეთლისა**... [ა] მოსვენებაითა ... ჰატსახე ჰახულისა და ვარძიის მღთისმშობელისა ფრიად ფრიადითა სამკაულითა მოსილი... და შემდგომად ამისა, ოდეს ვისმე ღმრთის მოძულესა ... **ქუთათისის ციხე** ჰქონდა ეგდო ... მას ჟამსა საყდრისა ამის შემავალნი ქალაქნი და დაბანი მოკლებულ იყნენ დიდის ოხრობით... და თვით სამეუფო ტაძარი სამკაულთაგან დაკლებულ ქმნილიყო... ჩვენ ... პატრომან **ლიპ-იმერეთისამან** ... მეფეთ-მეფემან სოლომონ ... ვიგულსმოდგინეთ ტაძრისა ამის განთავისუფლება... ასე დავამტკიცეთ რომ არც ჩემგან და არც შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთაგან ამ **გელათის** შემავალს არც აზნაურის შვილის ყმასა და არც გლეხს მისის საკუთარი სახლო ყმა [არშიაზე ჩამატებულია სხვა ხელით: **ოკრიბაშიდდა**] სადაც იყოს არსად ჩვენგან ... არასოდეს საურის გარდასახადი ჰარაჯა არ ეთხოვებოდეს... კაცთაგან ამისი მოწამე... აფხაზეთისა კათალიკოზი ბესარიონ... პირველ გენათელ წოდებული, ყოვლად სამღვდელო **ჭყონდიდის** მიტროპოლიტი გაბრიელ... ცაგერელ მიტროპოლიტი... გრიგოლ, ქუთაისელად წოდებული მაქსიმე, მთავარ ეპისკოპოსი **ხოპის ტარ**[77] წოდებული ნიკოლოზ... მე... წმინდის **მოწამენის სამარხოს** ყოვლად წმიდის ტაძრის იმღვიმენოსმან ... ღოღაბერიძემ ... აღვწერე სიგელი ესე... (დსსს, II, გვ. 4-6).

გელათი 1758 – ... **გელათი** რომ ლეკმა დასწვა ... მოვიდენ ჟორჟოლაძის კაცები და **გელათი** გატეხეს და ტყვია მოიპარეს... გაიბჭვენ კათალიკოზი იოსებ და ბერუკა ჟორჟოლაძე... (ქრონ, III, გვ. 261).

გელათი 1767 – იხ. **იმერეთი**

გელათი 1774 – იხ. **ლაფეთი**

გელათი 1776 – რათგან გელათს დიაკვნად ვეკურთხე, მღდლად ვეკურთხე და მღვდელთ-მთავართ, რაც რამე მიღვწია, ყოველივე **გელათისათვის** მინდოდა და კიდეც შემიწირავს ... **ალისუბანი, თხილთაწყარო,** ღიბრაძეები დავიხსენი ... და შემიწირავს ჭუმბურიძენი ... ყველა **მუხურას**; კიდევ **ოკრიბას** გვენეტაძენი; **რაჭას კვაშხითი** და **საწულიკიძო**, დიად, მრავლით ჟამიდამ დაკარგული ამოვიყვანე; რომელიც ჩვენს დავთარში ეწერა **ჯვარისას** და **კვაშხეთის** გლეხები და მამულ-ადგილები ყველა ამოვიღე; **ჩუნეში** და **უძლური** ორივე საფიცრით გაცემული იყო და ამოვიყვანე სრულებით ჩემი სარჯველით. **რიონს** სულაქველისძენი ... ამოვიყვანე; **კორიშს** გლეხები ამოვიყვანე. ... გაღმა **საერისთოში** ორი გლეხი ჯანელიძეები ამოვიყვანე; **ქუტხრს** საკანდელაკო კაცები ... საგელათოთ გავხადე ისევე. ამას გარდა ვაჭრები ორი ურია ... **ქუთაისიდამ** გამოვიყვანე... და **გელათს** შევწირე...

---

[77] **ხოპის ტარ** ალბათ **ხობის ტაძარ**-ს გულისხმობს.

ონს ხახამი ქონას შვილი ... **საგელათო** ამოვიყვანე და **გელათს შევწირე** ჭუთაისიდამ გამოყვანილი დავითელა სომეხი ელისბარაშვილი ... მესხისა და ავალიანისაგან დავიხსენი. ...პეტრია გორდეზას ძმა სიმონგულაშვილი **ჩხარის ნამოსახლი და კიდევ სიმონგულაშვილი** ბერუას შვილები – ესენი **საყდრის** იყვნენ და **ახალციხიდამ** მოვიყვანე... (ქსძ, III, გვ. 906-908).

გელათი 1776-1784 – იხ. საბანელას ხიდი

გელათი 1778 – საკათოლიკოსო წიგნები **გელათს** წმიდის გიორგის ეკლესიისა ესენი არიან: ... ერთი კოლოფით ძველი დავთრები არის რიცხვით ოცდათორმეტი მეფეების და სხუათა **იმერეთის** თავადთა და აზნაურთაგან შეწირულობის. ორმოცდაერთი – დადიანის და სხუათა **ოდიშის** თავადთა და აზნაურთაგან. თოთხმეტი – გურიელის და **გურიის** თავადთა და აზნაურთაგან... (დსსს, II, გვ. 68-69).

გელათი 1778 – იხ. **ოხომირა**

გელათი 1781 – იხ. მანდიკორი

გელათი 1782 – ... **გენათისა** ღმრთისმშობელო ... მე, ... მეფემან სოლომონ ... შემოქწირე ... **ძეგრსა** სოფელსა მოსახლე გლეხი ბინთოკა ლადაძე... კუალად ერთი მოსახლე კუტალაძე **კითოჯს** სახლობს... **სიმონეთს** სულამანიძე... საჭიჭინაძეო **ძეგრის** და სხვა რომელიც ხატის მიწა ადგილი შეწირული ყოფილიყო. და ან ხატის გლეხი მათგანი რომელიმე საჭიჭინაძეო იყო და ჭიჭინაძეს უბოძეთ, და რომელიცა **გენათისა** ღმრთისმშობლისა შეწირული იყო, კუალად მასვე შევსწირე... კუალად მაჭუტაძესი **გენათის** ღმრთისმშობლის შეწირული ყოფილიყო პირველ და უსამართლოდ დაეპყრათ საკანდელებს და ესე ყოველნი ამოვიყვანეთ და ... ეკლესიასა შენსა ... შევსწირე... შემოგვიწირავს ... **ჩხარს** სოფელს ფანჩურიძე ხუცესი... (ქრონ, III, გვ. 377-378).

გელათი 1783 – იხ. **სოხასტერი**

გელათი 1784 – იხ. ნაბოსლევი

გელათი 1787 – იხ. **ოკრიბა**

გელათი 1787 – იხ. **ონი**

გელათი 1787 – იხ. **სვანეთი**

გელათი 1789 – ... მე ... იმერთა მეფეთ-მეფე სოლომონ ... შევსწირე წმიდასა შენსა ეკლესიას **გელათს** მთავარს საყდარს სამი მოსახლე ურია კოკიასშვილები და ერთი მოსახლე სომეხი ანდრია მიქელასშვილი. ამ ვაჭრებს დავადევით ბეგარათ... ღვაწლი მრავალი აქვს დადებული ქვეყანასა ამას ჩვენსა სახელოვანსა მას მეფესა [სოლომონ I-ს] და მრავალი ქვეყანა და ვაჭარნი ხრმლითა თვისითა შეუკრებია... (იქსეშ, გვ. 195-197).

გელათი 1791 – იხ. **სიმონეთი**

გელათი 1793 – გიორგიტა ნუცუბიძე ბატონის მეფის სოლომონის ბრძანებით **გელათს** წმინდის მოციქულის ანდრიას ეგვტერს შეეწირა და ჩვენ, მისმა წინამძღვარმა ნიკოლაოზ, ბატონის მეფის სოლომონის ბრძანებით,

პატიქეთი[78] უშვილო კაცის სულობაზედ დავასახლეთ და იმ ადგილს სრული ბეგარა ემართა... (დსსს, I, გვ. 123-124).

გელათი 1795 – იხ. სამიქაო

გელათი 1800 – იხ. თხილთა წყარო

გელათი XVIII-XIX სს. მიჯნა – კათოლიკოსი მაქსიმე და გენათელი ეფთვიმი გელათის გალავანშიდ მიწას დეობდენ, მაცხოვრის კარისა და კათალიკოსის პალატს შუა რომ ადგილი არის. კათალიკოსმა ბძანა: წმინდის გიორგის საყდრის არისო და საკათალიკოზოო. გენათელმა თქვა: ჩემის საყდრის მიწა არისო... რაც საგენათლო არ იყოს, ის მიწა საკათალიკოსო არ ყოფილიყოს (ქსძ, VI, გვ. 269).

გელასფელი. ქვემო ქართლი

გელასოფელი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

გელდიგილანი. ქვემო ქართლი

გელდიგილანი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

გელდიგილანი 1707 – იხ. წრაუთი

გელდიგილანი 1718 – იხ. საორბელისშვილო

გელიას ციხე. კახეთი

გელიას ციხე 1784 – ღმერთმან ... ჴემწიფის ჭირი მოსცეს მარტყოფელ ბეჟანისშვილის ჯალაბს... სინჯიკაშვილი ბასილა მამულს მართმევს... თქვენი ჭა მისირს გახლავს და მე დედაკაცობით მბრიყობს... თქვენი ნაბოძები ლაზარე ნაცვლის მამული რა დასაქცევი იყო, რომ ქვევრები ამოყარა და გელიას ციხესთან ჩამოიტანა... (ქსძ, VII, გვ. 621-622).

გენანეთი. ქვემო ქართლი

გენანეთი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

გენასმანი – იხ. გეთსიმანია

გენაფერი. შიდა ქართლი

გენაფერი 1669 – იხ. წილკანი

გენდუში. ლეჩხუმი

გენდუში 1758-1765 – იხ. საირმე

გენდუში 1766 – იხ. საირმე

გერასიმიძისეული მამული. შიდა ქართლი

გერასიმიძისეული მამული 1459 – იხ. ვირშისთავი

გერგეტაული ციხე. ხევი

გერგეტაული ციხე 1392 – იხ. ტფილისი

გერგეტი. ხევი

გერგეტი 1392 – იხ. ტფილისი

---

[78] უნდა იყოს პატრიქეთი (დსსს, I, გვ. 124).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერგეტი 1439 – იხ. ხევი

გერგეტი 1466-1478 – ჩუენ, ... მეფეთა-მეფემან ბაგრატ ესე ... სიგელი ... გიბოძეთ თქუენ, გერგეტელთა საყდრი შვილთა, წმიდისა სამებისა მოსამსახურეთ... თუ ვისმე თქუენგანი კაცი შეაკუდეს, სამ სისხლად აზღუევინეთ (სმ, II, 1924, გვ. 48).

გერგეტი XVI ს. – ჩვენ ... კათალიკოზმან ... ესე რჯული და მცნებაჲ დაგიგდე თქვენ, გერგეტელ საყდრის შვილთა (ქსძ, III, გვ. 351).

გერგეტი 1723 – ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ერისთავმან თეიმურაზ ... თქვენ, გერგეტეველთ, ასე რომე წმიდის სამების ყმანი იყვენით და ხართ და ... რაჲ ნაბადი გედვათ ჩვენი ბეგარა და იმითაც ჩვენგნით თარხანი შეიქენით ... (ქრონ, III, გვ. 91).

გერგეტი 1733 – იხ. ხევი

გერგეტი 1765 – იხ. ქვაბი

გერგეტი 1779 – იხ. სტეფანწმინდა

გერგეტი 1781 – იხ. წკერე

გერგეტი 1789 – იხ. ხევი

გერეთი. შიდა ქართლი

გერეთი XVII – იხ. ციხისძირი

გერი. შიდა ქართლი

გერი 1617 – ესე წიგნი მონახსენე სუეტსა ცხოველსა მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ... ასრე რომ ჩუენი სამკვიდრო გერი და გერისთავი სუეტისცხოველისათვის შეეწირა მეფეთა, კიდევე არბო, სგენასმანი სუეტის ცხოველისა იყო და ეს ჩუენ დავიჭირეთ და ამისად სამუქმოდ ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკუიდრო კვამლი სამი ბექნიაშვილი ირემა... (ქრონ, II, გვ. 441-442).

გერისთავი. შიდა ქართლი

გერისთავი 1617 – იხ. გერი

გერისთავი 1766 – იხ. გორი

გერისთავი 1792 – იხ. ავნევი

გესამანია – იხ. გეთსიმანია

გეტის წყალი. ქვემო ქართლი

გეტის წყალი 1741 – იხ. კენჭიყარას სერი

გვაზაური. იმერეთი

გვაზაური XVII ს. – იხ. სენაკი

გვაზაური 1733 – იხ. ბარისთავი

გვაზაური 1766 – იხ. ბარი

გვარეთი. ქვემო ქართლი

გვარეთი 1523 – იხ. მძოვრეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარეთი 1689 – იხ. კრეფა

გვედისი. შიდა ქართლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთო, ვიპოვნეთ მეფის ალექსანდრესაგან გაახლებული ჩვენის **ჟატისა** და თქვენის **ტაძრებისა** და კიდემ სხვისა... (ქკმეის, გვ. 46).

დავითგარეჯა 1711 ახლო [ბრძანება კონსტანტინე მეფისა]: ... კარის ჩვენის მოჭელებს, სახლთუხუცეს მდივნებს, **საგარეჯოს მოურავს**, ნაცვალს, ასე უამბეთ, რომე ... **წმიდის დავითის** ... ყმა ჩვენის ჭელით, დიაღ, ყოვლისფრით გათავისუფლებული და ახატნიც ყოფილან. და ახლა ... სარჯული დაგიწყიათ; და დღეის იქით ნურასფერში ამათზე ჭელი ნუ გაქვსთ... (ქკმეის, 1903, გვ. 47).

დავითგარეჯა 1722 – იხ. **ვანთა**

დავითგარეჯა 1722 – [ბრძანება იმამყული-ხანისა მოხელისადმი]: ... **დავითგარეჯის** წინამძღვარს ონოფრეს ასე უამბე... ამ ჭერემელის დომენტისათვის ყორჩიბაშის'შვილის ყმას, ყულაშვილებს, მამული რომ მიუყიდნია, ეგ მამული შენთვინ მოგვიბარებია.... რადგან ესეც მანდ შენს უდაბნოშია, ეს მამულიც შენ გებარებოდეს... (ქკმეის, გვ. 78).

დავითგარეჯა 1723 – კახეთის მპყრობელმანა... კოსტანტინემ... დაგიმტკიცეთ მონასტერსა და **საფლავსა წმინდის დავითისასა**, რაგვარად ძველიდგანაც... შემოწირულობის გუჯარი ქონდათ... (წმსი, I, გვ. 9-10).

დავითგარეჯა 1725 – [ბრძანება მეფე თეიმურაზისა]: ... საგარეჯოს მოურავს ირემას ასე უანბევით, ამ **წმინდის დავითის** ყმასთვინ ნოქარი არც ჩვენ შაგვიწერია...ნურც თქვენ გაურევთ ნოქარში... (ქკმეის, 1903, გვ. 89).

დავითგარეჯა 1733 – იხ. **ვანთა**

დავითგარეჯა 1751 – ... **დავითგარეჯის** სასახლე იყო ქალაქში და იმაში ისახებეგ ბატონი'შვილი ნაიბი იდგა. ის ვეღარ გამოეყვანეს სასახლიდამე და იმის სამუქმოდ ბატონმა სტამბაში სასახლე გიბოძა [იოვანე ნეკრესელს]. იქ მე [ზურაბ ნახუცრის'შვილს] სახლი ამეშენებინა და ხარჯი მექნა. იმ სახლების ხარჯზე გელაპარაკე ... [და] გავრიგდით... (დთი, I, გვ. 230).

დავითგარეჯა 1746 – ... ესე წიგნი მოგართვით ... ნეკრესელ მიტროპოლიტს და **დავით გარეჯის** მამას იოვანეს, ჩვენ ლომიაშვილებმა... უწინ ჩვენი მამანი ბატონს ჩვენს წინამძღვარს ონოფრეს დაეხსნა, **წმინდისა დავითისათვის** შეეწირა... ახლა თქვენ დაგეხსენით და ჩვენი ვალი თქვენ გარდასწყვიტეთ მეორედთ... არის ამისი მოწამე ... ალავერდელი ნიკოლოზ, **ქიზიყის** მოურავი თამაზ, **ენისელთ** მოურავი დავით, ნინოწმინდელი საბა, სამეგრელო იოვანე... (დსეი, გვ. 43-44).

დავითგარეჯა 1751 – იხ. **ბოდბე**

დავითგარეჯა 1753 – იხ. **ქარახპური**

დავითგარეჯა 1753 – [წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა და ანტონ I-ისა]: ... ბოდბელ მიტროპოლიტს იოანეს ... გებოძა ჩვენ მიერ ბოდბლობაზედ **მრავალმთის გარესჯის წმიდის დავითის მონასტერი** საწინამძღვრო... შემდგომნი თქვენნი არვეთმთავარნი **დავით გარესჯისანი** მიტრითურთ არქიმანდრიტად ჭელდასმულ იქმნებოდენ... (ქსძ, III, გვ. 835).

დავითგარეჯა 1760 – იხ. **ნათლისმცემლის უდაბნო**

დავითგარეჯა 1761 – იხ. **თვალი**

დავითგარეჯა 1771 – იხ. **ბერთუბანი**

დავითგარეჯა 1771 ახლო – იხ. **აკურა**

დავითგარეჯა 1772 – იხ. **საგარეჯო**

დავითგარეჯა 1773 – იხ. **ჩობახური**

დავითგარეჯა 1773 – [წიგნი ერეკლე II-ისა]: ... **დავითგარეჯის** არქიმანდრიტ გერმანეს ხელს მთხვევნა მოხსენდეს. მერმე, შენი წიგნი მოგვივიდა და ... მაგ მონასტრის საქმეზე ნინოწმინდელიც აქ გახლავს და **საგარეჯოს** მოურავიც დავიბარეთ. ღმერთით, რაც ამ ზამთრობით გაეწყობა ან გაკეთდება, ... მუშას ... გავაკეთებინებთ.... მე მაგ მონასტერს არ დავსცლი და არც უკაცოთ გაუშვეფ... (ქკმეის, გვ. 119).

დავითგარეჯა 1778 – იხ. **ბალბიანი**

დავითგარეჯა 1778 – იხ. **დოდოს მონასტერი**

დავითგარეჯა 1779 – იხ. **დოდოს მონასტერი**

დავითგარეჯა 1780 ახლო – ... მე, იესემ და ძმამა ჩემმან ბერმან, ... თავისშემოწირულობის წიგნი მოგართვით თქვენ, წმიდის **დავითგარეჯის** მონასტრის არხიმანდრიტს გერმანეს... მამა-პაპა ჩვენი **კახეთში** წასულიყვნენ, აჭა-იქ ცხოვრებდენ და ჩვენ ობლები დავრჩით და **წმიდის დავითის** საფარველს ქვეშ მოვედით ჩვენი თავი შევსწირეთ... აქ **აკურის** მამულის ყალობა მიყავით და ჩვენც, რომელიც სამსახური იყოს, ისე ვემსახურნეთ... (ქკმეის, გვ. 127).

დავითგარეჯა 1781 – [არზა დავითგარეჯის წინამძღვრისა იოანე აბაშიძის ოქმით] ... **დავითგარეჯის** პური რომ არის **ქოდალს** ათი კოდი, ის მოართვი (ქსძ, VII, გვ. 521).

დავითგარეჯა 1781 მისის სიმაღლისათვის მოკვსენებინა **მრავალმთის გარესჯის წმიდის დავითის მონასტრის** წინამძღვარს თომას: ნაკლულაშვილს მღვდელს ვასილს მონასტრის ნასყიდი მამული უჭირსო... ნაკლულაშვილს ... წიგნები ქონდა ... ელენე დედოფლის – ... ერთი დღე აღაპი დაედგა, ... **დავითგარესჯის უდაბნოს** უნდა აღსრულებულიყო... მერმე სხვა წიგნი წარმოადგინა ამ ბასილი მღვდელმან, ასე ეწერა: ესე წიგნი მოგეც მე ბოდბელ მიტროპოლიტმა **დავითგარესჯის** მამამ იოანე ნაკლულაშვილს, ასე რომ: შენის მამის მამული რომ ჩვენ მოგვყიდე, **ლასურაულს** უკან რომ მიწა არის, ახლა ვაზი ჩაგეყარა, ... შენი არისო... ქორონიკონს ულთ. სამართლით ეს ნასყიდი მამული წმიდის **დავითის მონასტერს** დარჩა ნასყიდათ და **ლასურაულს** უკან რომ მიწა ყოფილა, მიწა მონასტრის მამულია და ნამუშევარი ნაკლულაშვილისა... [ერეკლე II-ის ბრძანება]: წინამძღვარმაც ასე გამოაცხადა ჩვენს წინაშე, რომ: **საგარეჯოში** ჩვენს სახასო ყმას და **უდაბნოს** ყმას ერთმანერთში მამულის ყიდვა არ დაეშლებოდესთ. და ჩვენც ამისთვის ვიყაბულეთ... (ქსძ, V, გვ. 164-166).

დავითგარეჯა 1781 – იხ. **ერეკლეს ციხე**

დავითგარეჯა 1781-1782 – იხ. **ქალაქი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითგარეჯა 1782 – იხ. კონდოლი

დავითგარეჯა 1782 – მე, არხიმანდრიტს თეოდოსის მისმა სიმაღლემა და მისმა უწმიდესობამა დავითგარესჯის და დიდის მონასტრის წინამძღვრობა რომ მიბოძეს, მოველ და დიდის მონასტრის სახასო მიწა ... დავაწერინე. მონასტრის მიწა ბერო ნაზრევში... მონასტრის ხობადუნი აკრიანში; ხოდაბუნი გაუგონარი; ქვიანის ბოლოს მონასტრის მიწა; კიდე მონასტრის მიწა ქვიანში... – მონასტრის მიწა ზერის ბოლოს... (ქკმეის, გვ. 146).

დავითგარეჯა 1786 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1787 – იხ. აკურა

დავითგარეჯა 1789 – იხ. ჩობახური

დავითგარეჯა 1791 – ღმერთმან ... მეფის ჭირი მოსცეს ... დავითგარეჯის მონასტრის ... წინამძღვარს იოაკიმს... მონასტრის ახლო რომ მივა კაცი, ერთი გზა ქვემოთ გველეშაპის ჴვრისაკენ შავა მონასტერში და ერთი ზევიდან გადაუვლის. იქ რომ მოსულიყვნენ [ლეკნი], ორათ გაყოფილიყვნენ მისაპარავათ... ამ დროს მე ქისიყს გახლდი ... ჯორის სალვაწად... (ქსძ, VIII, გვ. 119-120).

დავითგარეჯა 1791 – იხ. საგარეჯო

დავითგარეჯა 1793 – იხ. დიდის მონასტერი

დავითგარეჯა 1794 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1795 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1797 – იხ. ახურის ბოლო

დავითგარეჯა 1797 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1798 – იხ. აკურა

დავითგარეჯა 1799 – იხ. გარეჯა

დავითგარეჯა 1799 – იხ. ჩობახური

დავითგარეჯა 1800 – იხ. საგარეჯო

დავლთას სოფელი[93]. ქვემო ქართლი

დავლთას სოფელი 1780 – ... მე, ზაზუნაშვილმა ბარათამ შენ, გოსტაშაბიშვილს ... ერასტის ... მოგყიდე ჩემს ბარათში ნარგები დავლთას სოფელს კოზმანაშვილის ბერუას მამული, რომელიც მამა-პაპათ ჰქონიათ (სს, I, 1920, გვ. 149).

დავლიანაული მამული. იმერეთი (?)

დავლიანაული მამული XVII ს. – იხ. იფლენა

დათეფა. კახეთი

დათეფა 1789 – იხ. მარიამჯვარი

დათვის ბოლო. იმერეთი

დათვისბოლო 1684 – იხ. კაცხი

---

[93] დვალთა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვის გველეთი. ხევი

დათვის გველეთი 1794 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ერთობლივ გიგაურებს... ყმაც თქვენი ვარ და მამულიც თქვენია, მაგრამ იმ თავითვე **დათვის გველეთი** და **წინაკარი** ჩვენი არის, მაგრამ ზურაბ ერისთავმა ჩვენ რომ აგვყარა, ის მამულიც იქავ გაოხრდა. ერთი ობოლი დაგვრჩა, ფშაშში გაიზარდა... იმ თავით ამ თავამდინ ამ ობოლთან გაუჭრელნი გახლავართ, მამულიც, ხატიც–ყველა საერთო გვაქვს... (ქსძ, VIII, გვ. 292-293).

დაკიდებულა. იმერეთი

დაკიდებულა 1691 – [წყალობის წიგნი პაატა აბაშიძისა მამუკა ორჯონიკიძისადმი] .. საწყლისპიროს წყალობას შემოგვეხვეწენით, და ... გიბოძეთ ჭალისთავს წყალი, საოჩხე და საფიჩხულე, თავს სავანლის მიდგმამდი, ბოლოს შარა რომ ჩამოვა, იმის სწორათ **დაკიდებულამდი** (სს, II, გვ. 160).

დაკონი. შიდა ქართლი (?)

დაკონი 1392 – იხ. ტფილისი

დალანი იხ. დოლანი

დალეკარა. სვანეთი

დალეკარა XIV ს. II ნახ. – იხ. ლაჰილი

დალი (?). ქვემო ქართლი

დალი 1707 – იხ. მეღრევი

დალიყულიჯანი – იხ. დელუყულიჯანის სოფელი

დამბლუტი. ქვემო ქართლი

დამბლუტი 1776 – ღმერთმან ... ჭელმწიფის ჭირი მოსცეს **დამბლუტელს** ყაფლანისშვილს მზეჭაბუკის ყმას ავაქასშვილს გიორგის... მე **კახეთში** ხიზნად გახლავარ, ბატონი ჩემი კი არა მყრის, რომ მანდიდამ მემსახურო. ახლა მელიქის შვილი ავთანდილ მყრის... ბიძა მაგისი ერთი გათათრებული ყოფილა **ახალციხეს** მყოფი, მოსულა და [ჩემი ოჯახი] **ახალციხეს** წაუყვანივართ.... [ფაშას] დაუხსნივართ და გამოუშვივართ... გარდმოსულა მამაჩემი ავაქა და პაპუნა ყაფლანისშვილთან მოსულა ყმათა. მას დღეს აქეთ იმისნი ვყოფილვართ და იმათ ნასყიდს სოფელში ვმდგარვართ **დამბლუტსა**... (ქსძ, VII, გვ. 339).

დამპალა. კახეთი

დამპალა 1579 – იხ. მცხეთა

დამპალა. შიდა ქართლი

დამპალა 1547 – ... ჩუენ, სანასარამან ... თქუენ, ეციკასა ... მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული მიწა **დამპალათ**, ფშნის პირსა, ბოლო შარამდისინ, თავი ამირას გოზალბეგათ მიწის ბოლოს... (ქსძ, VIII, გვ. 825).

დამპალა 1565 – იხ. კავთისხევი

დამპალა 1669 – იხ. წილკანი

დამპალა 1711 – იხ. ოქუანთეული მიწა

დამპალა 1745 – იხ. მუხრანი

დამპალა XVIII ს. შუაწლ. – იხ. ქვემო ბაგა

დამპალა 1768 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... მუხრანის ბატონიშვილის იოანეს... თქვენ იასაულად ამირინდო [მუხრანბატონი] გვიბოძეთ, დამპალაში მიწები გაგვიცვალა. ცამეტი წელიწადია, რომ მე მიჭირავს. ახლა მუხრანის ბატონს წაურთმევია და თქვენი ბრძანებაც იყო, მიწები გაჟვეს... არც წლევანდელი ღალა, არც რომ თქვენი ბძანება და ოქმი იყო, არა მამეცა რა... [გთხოვთ] ერთი ოქმი ათა მამულაშვილზე, კვარხელზე არუთინაზე, სულ მუხრანაზე, ყულ პაპაზე, სარკინელს ალექსაზე მიბოძოთ; რაც რომ თქვენგან წყალობა წილი მამცემოდეს ის ამათ მაძლიონ... (ქსძ, VII, გვ. 142-143).

დამპალა 1789 – იხ. ოხპნჯანაანთ შარა

დამპალა 1796 – [ოქმი ერეკლე II-ისა გიორგი ნაზარბეგისშვილის არზაზე]: ... როჭიკაშვილო ნაზირო გლახავ! ... ამის მეურმეს რომ ქალაქის აყრის დროს, ერთის დამპალელის მეურმისათვის ამის საქონელი მიუბარებია და ეხლა ის დამპალელი კაცი აღარ აძლევს სადმე, შენ უნდა ახლავ ამის მეურმე დამპალას წაიყვანო... (ქსძ, VIII, გვ. 367).

დამპალეთი. შიდა ქართლი

დამპალეთი 1712 – იხ. ურბნისი

დამპალისწყალი. კახეთი

დამპალისწყალი 1579 – იხ. მცხეთა

დამპალწყარო. ქვემო ქართლი

დამპალწყარო 1669 – იხ. მაწევნური ხევი

დამჩხერელა. შიდა ქართლი

დამჩხერელა 1730 – ... ჩვენ, ბუნიათისშვილმა ნიკოლოოზ ... თქვენ, ბატონს აბაშიძეს ვახუშტის ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო და ნასისხლი დამჩხერელა: ქვეით ბრბონის სამძღვრის მიდგმამდის, ზეით ბორჯომის მიდგმამდის, ზეით ზეწნარას წვერამდინ... არის ამისი მოწამე: ... ბრბონელი მცხვედაძე სეხნია... ახალციხელი მღვდელი თევდორე, ახალციხელი ბეზირგანი პაპა, თქვენი აზნაურიშვილი სალთხუცესი სავანელი ზაქარია... (იდ. I, გვ. 58).

დამღალუს წყალი. ქვემო ქართლი

დამღალუს წყალი 1717 – იხ. ოფრეთი

დამცვივანა. იმერეთი

დამცვივანა 1644 – იხ. ქუთაისი

დამწვარკოშკი. შიდა ქართლი

დამწვარკოშკი 1774 – იხ. ღართისკარი

დანათაფა. ქვემო ქართლი (?)

დანათაფა 1787 – [წერილი გიორგი ბატონიშვილისა მიშკარბაშ იოსებთან] ... ეგ ელი აყარე, დანათაფასთან ჩამოიყვანე და დააყენე; ვერცავინ წინ დაგხვდება და ვერცა ვინ უკან მოგეწევა. ნუ გეშინიან, ჩვენ აქ ვდგავართ ჯარით, და გუშინ **ქალაქის** მოურავი და ამილახვარი მოვიდნენ ჩვენთან ხუთასის ცხენიანის კაცით და დღეს კიდევ **ქიზიყის** მოურავი არის ორი ათასის კაცით მოსასვლელი... (სს, III, გვ. 31).

დანდალო. აჭარა

დანდალო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

დაოთი. კახეთი

დაოთი 1170 – იხ. სხალტბა

დაოთი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნი

დაოთი 1189-1200 – ... ესე დაწერილი ... დაგიწერეთ ... ჩუენ, **მღუმისა** ლავრისა ყოველმან კრებულმან ... თქუენ, ტოხაისძეთა... სამწორველოჲ გბოძებოდა სიგლითა მკუედრად კურიკე კახთა მეფისაგან და ჩუენცა მოგეცით ... სამამულოდ და მკუდრად, ამად, რომე თქუენისა გუარისა მოძღუარი ყოფილ-იყო კურიკე კახთა მეფისაჲ, ბასილი ტოხაისძე და მას მისითა მოძღურობითა შემოეწირვინა წმიდისა შიოჲსთჳს, რჩეთი, მთათა შინა დაოთი და ბართა შინა **რუეთი**. და გაეჩინა მისისა სულისა სამლოცველად ერთი ფუძე გლეხი **დაოთს** – ვაჭშამაისძე და **რუეთს** – უშიშარაისძეს ებოძა სამამულოდ მიწა... და გჩონდეს ჩუენგანცა შეუვალად... (ქისკ, I, გვ. 83).

დაოთი XV-XVI სს. – იხ. ახატანი

დაოთი 1781 – იხ. პავლეური

დარბაზი // დარბასი. ქვემო ქართლი

დარბაზი 1392 – იხ. ტფილისი

დარბაზი 1632-1658 – იხ. ფიტარეთი

დარბაზი 1645 – იხ. სომხითი

დარბაზი 1646-1658 – იხ. ჭრეში

დარბაზი 1651-1652 – იხ. ქალაქი

დარბაზი XVII ს-ის II ნახ. – იხ. წრაუთი.

დარბაზი 1687 – იხ. მცხეთა

დარბაზი 1707 – იხ. მეღრეკი

დარბაზი 1720 წ. ახლო – იხ. თრიალეთი

დარბაზი 1721 – იხ. ბოლნისის ხევი

დარბაზი 1738 – იხ. აბელია

დარბაზი 1785 – [არზა პაპა ელიარაშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ...ღმერთმან დედოფლის ჭირი ელიარაშვილ პაპას მოსცეს... არზა მოგარ-თვით ჩემი ნავენახარის ბარობაზედ... სომხეთში მრავალ კაცს წიგნები არა აქვსთ, ზოგი ოსმალოსაგან წამხდარა და ზოგი ლეკისაგან და წიგნები დაკარგულა... ის მამული სახასო არ ყოფილა, **დარბაზის** მამული ყოფილა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზელებისაგან ნასყიდი... [მოწმეთა მინაწერებიდან]: „...მოწამე ვარ, ელიარაშვილს იასეს **ბოლნის ჭული დარბაზის** მამულში თუმანიშვილის ყმისაგან ჰქონდა ვენახი...მოწამე ვარ, **შვა ბოლნისის** მამული არ არის და **დარბაზის** არის, თუმანიანთ ყმისაგან ნასყიდი არის ... მოწამე ვარ: ელიარაშვილის იასეს **ბოლნის ჭული დარბაზის** მამულში თუმანიშვილის ყმისაგან ვენახი ჰქონდა... (ქსძ, III, გვ. 662-663).

დარბაზი // დარბასი. შიდა ქართლი

დარბაზი 1626 – [წყალობის წიგნი სვიმონ II-ისა თაყა თუმანიშვილისადმი] ... მას ჯამსა, როდის ქართველთ ... ყეენს უორგულეს, ... ჩუენ **ქალაქს** ციხეშიგ გვიახლენით და ... მისად ჯილდოდ ... გიბოძეთ **დარბაზი** სამკუიდროდ ... მისის შესავალ-გასავლითა, მთითა და ბარითა და წყალითა და წისქუილითა და ველითა და ვენაჯითა, საჭავითა და სათიბითა... (ქსის, გვ. 53)[94].

დარბაზი 1653-1658 – იხ. **ხელთუბანი**

დარბაზი 1719 – ... ესე წიგნი მოგეც მე ... შატბერაშვილმან გასპარამა ... შენ, თუმანიშვილს ზაალსა. ასე რომე, **დარბაზელი** თქვენი ყმის, გოგიაშვილი დათოასაგან ჭალის პირს ცოტაოდენი მიწა ვიყიდე, ჩვენს ვენახს შეერთევ. ჩემის ნება-წადილობით კულუხი დავიდევ, რომე წელიწადში ერთი ბატონის ტაბილი კულუხი მოგაბარო ყოველს სთველზე... (დსსი, I, გვ. 182).

დარბაზი 1750 – იხ. **თორმანეული**

დარბაზი 1780 – ... საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან ... ანტონი ... წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურშვილთ თაზიშვილებს... რადგან მისმა სიმაღლემ ჩვენმა ძმამ ინება სვიმონის [თაზისვილის] სამცხეთოში შემოყვანა და საჭელოს ბოძება, ჩვენცა ... გიბოძეთ ჩვენის სოფლის **დარბაზის** მოურაობა, რადგან ის სოფელი ვერანა არის, უნდა გაისარჯოთ და ააშენოთ... (ქსძ, III, გვ. 934-935).

დარბაზი 1798 ახლო – იხ. **მარაბდა**

დარბასჭალა. ქვემო ქართლი

დარბასჭალა 1537-1538 – იხ. **დმანისის ციხე**

დარიელას ციხე. ხევი

დარიელას ციხე 1780 – [წერილი ერეკლე II-ისა მოზდოკის კომენდატისადმი]: ... რომელიც **ოსეთის გზის** საქმეზე თადარიგი გებძანათ ... ჩვენც მოგვეწონა... **დარიელას ციხე**, რომელიც ჩვენის ქვეყნისა და **ოსეთის** საზღვარი არის, რომ ამ ადგილიდამ **ჩიმი** რვა ვერსი თუ იქნება. ჩვენ ამ ხსენებულს ციხეში რამდენსამე ჯარს დავაყენებთ. როცა მანდედამ ქარავანი წამოვიდეს, რომ თქვენ იმას ჯარი გამოატანოთ. ისინი **ჩიმს** აქეთ ოთხს ვერსზე მოჰყვნენ, ამ **დარიელას ციხეში** მდგომნი ჩვენი ჯარისკაცები, ოთხს ვერსზე ესენი მოეგებებიან და იქ იმ ჩვენს კაცთ მოაბარონ ხოლმე და აგრევე აქედამ, როცა ქარავანი წამომსვლელი შეიქმნება, **ხევს** რომ გი-

---

94 ... **სომხითს** დამოკიდებული სოფელი პატარა **დარბაზი**... (ქსის, გვ. 55).

ახლებიან, თქვენ კაცს გაახლებენ. მანდედამ თქვენ რომ ჯარი უბოძოთ, ისინი **ჩიმს** აქეთ ოთხს ვერსზე მოვიდნენ ხოლმე. აქედამ ზემოხსენებულს ციხეში მდგომნი ჩვენი ჯარისკაცნი გამოჰყვებიან და თქვენს ჯარს მოაბარებენ... ჩიმს თქვენი გარნიზონი მუდმათ რომ იდგეს, დიდად გვემჯობინება... ცარევიჩის ბაქარის შვილი ალექსანდრე ... **იმერეთში** მოვიდა და იქ ბევრს რუსეთის უკადრისს სიტყვებს ლაპარაკობს სადმე... (МПТСВГ, I, გვ. 48).

დარუბანდი. ქვემო ქართლი

დარუბანდი 1792 – იხ. ირაგა

დარჩელი. სამეგრელო. ოდიში

დარჩელი 1616-1621 – იხ. საგენათლო

დარჩელი 1616-1621 – იხ. ცაიში

დარჩიას წყარო. იმერეთი

დარჩიას წყარო 1797 – იხ. საზანო

დარჩიეთი. კახეთი

დარჩიეთი 1757 – იხ. კონდოლი

დარჩიეთი 1775 – იხ. ფხოველი

დარჩიელი – იხ. დარჩელი

დასტუბანდი. ქვემო ქართლი

დასტუბანდი 1623 – იხ. ვარაპეტის სოფელი

დასწყარო. შიდა ქართლი

დასწყარო XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

დაქცეული საყდრის შარა. შიდა ქართლი

დაქცეული საყდრის შარა 1790 – იხ. გორი

დაფაქუთა. იმერეთი (?)

დაფაქუთა 1455-1510 – იხ. ველეფა

დაღა // დაღეთი. ქვემო ქართლი

დაღა 1704 – ...ჩვენ, ქვემო ციცისშვილმან მანუჩარ ... მოგეცით თქვენ, თუმანისშვილს გივს ... ჩვენი ყმა დაღელი ხურო ოსია წატურასშვილი თავისის ცოლ-შვილითა... (დსსი, I, გვ. 126).

დაღა 1713 – ... მე, დეესპაზ, თქვენ, მდივანბეგის ქალსა ბატონსა გუჩასა ... მოგყიდე დაღაზედ ჩემის ყმისა თამაზაშვილის კერძი მიწა ალგეთის პირამდის... (სს, I, 1920, გვ. 79-80).

დაღარულა. შიდა ქართლი

დაღარულა 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

დაღისტნის მთა 1783 – იხ. ბელაქანი

დახაპალა. ქვემო ქართლი

დახაპალა 1751 – იხ. ახალშენი

დახატულა. შავშეთი

დახატულა XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

დბაგი. ქვემო ქართლი (?)

დბაგი 1724 – ხუნასშვილს ერტიშვილს პეტრეს მიუყიდია გოსტაშაბისშვილის ამილღაბარისთვის ... დბაგს ადგილი... (სს, I, 1899, გვ. 89).

დბონა. შიდა ქართლი

დბონა 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

დგვრისი // დაგვრისი. შიდა ქართლი

დგვრისი 1712 – იხ. ურბნისი

დგვრისი 1772 – იხ. ხეობა

დგვრისი 1777 – იხ. კუსირეთი

დგვრისი 1781 – იხ. ცხინვალი

დგვრისი 1784 – პეტრე და ივანე ჩიოდნენ: დაგვრისელი მეკარვისშვილები ვართ და გოგნიაშვილები ... ყმობით ... გვეჭიდებიან. ჩვენ ... ვართ ... ფაჟლენისშვილის ბერისა ... ყმანიო... [განჩინება]: ამ პეტრესა და ივანეს მამას ძველთაგანვე უვლია, ხან ამილახორის მამულში კარბს მდგარა, ხან კათალიკოსის ყმობა უთქვამს... გოგნიაშვილს ... ლაჩინას ჩვენგან ოქმი აუღია, აუყრია ... და საღალურში დაუსახლებია... გოგნიაშვილებიც ... ამას ამბობდნენ: როდესაც მამაჩვენი მეფის ვახტანგის დროს ... კახეთიდამ აყრილა და ქართლს გადასულა, ამათი მამა ... მსახურათ თან ხლებიაო... (ქსძ, V, გვ. 259-260).

დგვრისი 1785 – იხ. ქემერტი

დგვრისი 1795 ახლო – იხ. ერედვი

დგვრისი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

დგიმი. შიდა ქართლი

დგიმიXV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

დეგოთი // დეგოთისთავი. შიდა ქართლი

დეგოთი 1796 – იხ. რუისი

დედაჯანი. კახეთი

დედაჯანი 1758 – იხ. საბუე

დედისფერული. კახეთი

დედისფერული 1785 – იხ. მარილისი

დედოფლის რუ. შიდა ქართლი (?)

დედოფლის რუ 1692 – ... მე, ფიფინაშვილებმა ზაქარიემა ... თქვენ, ბერძნიშვილს არდაშელს ... მოგყიდეთ ჩვენი ... ნასყიდი მიწა დედოფლის რუ ზე, მიწა შლაპიშვილისეული... არის ამისი მოწამე ... შინდისის მოურავი ... და სულ ერთობით შინდელნი... ესე მიწა ზეით თავს ნერგითა, რუთა ბოლომდი გვერდი კახიშვილის მიწის მიდგამდი (დსსი, I, გვ. 90-91).

დედოფლის წისქვილნი. კახეთი

დედოფლის წისქვილნი 1579 – იხ. მცხეთა
დედოფლისწყარო // დედოფლისწყარი. კახეთი
დედოფლისწყარო 1740 – იხ. ყარაღაჯის ციხე
დედოფლისწყარო 1785 – იხ. ბელაქანი
დევბოინუ. ბასიანი
დევბოინუ XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი
დევდარაული. კახეთი
დევდარაული XVIII ს. დას. – იხ. ვანთა
დევდარაული 1710 – იხ. ვანთა
დევდარაული 1795 – იხ. ვანთა
დევთნასახლარი. კახეთი
დევთნასახლარი 1579 – იხ. მცხეთა
დევთნასახლარი 1654 – იხ. საგარეჯო
დევთნასახლარი 1654 – იხ. წინსაგარეჯო
დევიაჭედი. შიდა ქართლი
დევიაჭედი 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე
დევნაანთკარი. კახეთი
დევნაანთკარი 1722 – იხ. მარტყოფი
დელცუტი // დელიცუტი. ქვემო ქართლი
დელცუტი 1768 – მდივანბეგმა იოვანემ იჩივლა: ჩემი ყმა დელიცუტელი აბაზა ... ქსნის ერისთვის დავითის მამულში ხიზნათ დგანან და ერისთავი დავით აღარ მანებებსო... მოწმეებმა ასე იმოწმეს: მღებარი ავაქა დელიცუტში მოსახლეთ გვინახავს და ხარჯსაც იმ სოფელზე აძლევდაო. და ზაალა მამასახლისმა ბოლნისისამა ესეც იმოწმა: მეჯვრისხევს რომ იდგა, მდივანბეგის კაცმა მალიც გამოართვაო. ჩვენ ბახუტა არღუთაშვილი სამართალში მოვაყვანინეთ, იმან ასე თქვა: ჯერ მეფე ვახტანგ ისპაანს არ წაბძანებულიყო, მღებარი ავაქა ჩემის მამულიდამ აიყარა და ლუარსაბ სარდალს დელიცუტს დაუსახლდაო. მამაჩემმა ... ლუარსაბ სარდალს დაანებაო... ყიზილბაზობაში ავაქა მღებარი ქალაქს ჩამოსულიყოო, დელიცუტის მალუჯაათს იმასა სთხოვდნენ... (ქსძ, IV, გვ. 571-572)
დელცუტი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი
დელუყულიჯანის სოფელი // დალიყულიჯანი. ქვემო ქართლი
დელუყულიჯანის სოფელი 1657 – იხ. ტაშირი
დელუყულიჯანის სოფელი 1707 – იხ. წრაუტი
დემეტრაული მამული. შიდა ქართლი
დემეტრაული მამული 1653-1658 – იხ. ხელთუბანი
დემურაანი. კახეთი
დემურაანი 1645 – იხ. ქოდელაანი

დემურაანი 1662 – იხ. სუხნანი

დემურჩასალი. კახეთი

დემურჩასალი 1681 – იხ. კაკაბეთი

დენთა 1789-1810 – იხ. ჩიხა

დერუცული პარტახტი. იმერეთი

დერუცული პარტახტი 1259-1293 – იხ. მაღლაკი

დერჩი. ლეჩხუმი

დერჩი1207-1208 – იხ. ბანჯა

დეუბანი. კახეთი

დეუბანი 1691 – იხ. თორღა

დედარალა // დედარა // დედრალა სოფელი[95]. ქვემო ქართლი

დედარალა 1766 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს როჭიკაშვილის ქვრივსა... თქვენის მამის ნაწყალობევი დედრალა სოფელი რომ თქვენც გვიბოძეთ, ერთი ჩემი კაცი ტერტერასთან მისულა, მე ყაზახელი ვარო, ყაზახელებთან დამწერეო, ამ მიზეზით ის კაცი თავისთავს მართმევს... [განჩინება]: ყაზახელმა ყულიხანმან ... აღიარა ... რომ მეფის ვახტანგის ბატონობაში მოსლან და დედარას სახლებულა... [ყიზილბაშობის შემდეგ] აყრილა, ცოტას ხანს ყაზახში ყოფილა... სამართლით გლახას დარჩა... დედარრელ თავის მეზობლებთან უნდა იყოს... (ქსძ, VII, გვ. 111-112).

დვალაური მამაული. შიდა ქართლი

დვალაური მამაული 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე

დვალეთი

დვალეთი 1503 – იხ. რაჭა

დვალეთი 1659 – იხ. რველი

დვალეთი 1660-1662 – იხ. ძიმითი

დვალეთის მთა 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

დვალთა // დუალთა. ქვემო ქართლი

დვალთა 1523 – იხ. მძოვრეთი

დვალთა 1591 – იხ. ამლივი

დვალთა 1629 – იხ. ახალშენი

დვალთა 1633 – იხ. ზემო ოძისი

დვალთა 1636 – ... ჩუენ, მეფემან ... როსტომ, შენ დვალთელს სანოძეს ხუციასა ... ამოგიკუეთეთ საბოლოოდ კოდის პური... (ქსის, გვ. 125).

დვალთა 1713 – იხ. გუნანეთი

დვალთა 1713 – იხ. ღოლოვნა

დვალთა XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

---

[95] დაღარი?

დვალთა 1780 – ... მე, ზაზუნაშვილმა ბარათამ, შენ, გოსტაშაბიშვილს უსბაშს ... მოგყიდე ჩემს ბარათში ნარგები დვალთას სოფელს კოზანაშვილის ბერუას მამული... რომელიც ძველთაგან საბარათაშვილოს ერთ გლეხ კაცს მამული ჰქონიათ, იმტელის მამულით მომიცია... (სს, I, 1920, გვ. 148-149).

დვალიეთი. შიდა ქართლი

დვალიეთი XV ს. I ნახ. – იხ. **სამთავისი**

დვალილა. შიდა ქართლი

დვალილა 1771 – იხ. **ახალგორი**

დვალიშვილისეული ნაფუძარი. შიდა ქართლი

დვალიშვილისეული ნაფუძარი 1720 – იხ. **გოსტიბე**

დვალური. შიდა ქართლი

დვალური XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. **ქსანი**

დვანი // დავანი. შიდა ქართლი

დვანი 1630-1661 – ... დიასამიძე კაცია იორამს **დვანს ჩაკიდულაში** ხოდაბუნსა და **ნათლისმცემელისა ტყესა** და საბუდარსა ეცილებოდა. და მოკითხული ვქენით და ... დიასამიძეს ხელი არა ჰქონდა... (ქსძ, IV, გვ. 120)

დვანი 1632-1658 ერთი **დვანელი** მემკვიდრე კაცი **დვანიდამ** აყრილიყო ბელაშვილი ბადუჩა, ამილახორის ყმას მახანაშვილს მისულოდა და ცოტა რამ ხანი იქ დაეყო. და ამ ბელაშვილის ბადუჩას მამული ოქრომჭედელს იორამს ჰქონდა. მახანაშვილი და იორამ იმ კაცზედ შესარჩლდენ... [ყმა-მამული] სამართალმაც იორამს დაანარჩომა... (ქსძ, IV, გვ. 113-114)

დვანი 1646-1655 – იხ. **რხვითი**

დვანი 1736-1744 – იხ. **მოხისი**

დვანი 1763 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... დეკანოზს ნიკოლოზს მოსცეს. ხერხეულიძემ და ფალავანდისშვილმა **დვანს** ჩემი კაცი დაიჭირეს და დავით ფალავანდისშვილს მიყიდეს... მოკითხული ქენით და ... სამართალი გვაღირსეთ... (ქსძ, VII, გვ. 70).

დვანი 1772 – ღმერთმან ... ხემწიფის ... ჭირი მოსცეს ... **დვანელს** ოქრომჭედლისშვილს შერმაზანს... ჩვენი თავი ჩვენის მამულით პაპუნა ფავლენისშვილისათვინ გებოძებინათ. **გორს** გიახელით შარშან, გვალაპარაკეთ, ... და ჩვენი თავი ისევ წაართვით, მაგრამ ჩვენი მამულები ისევ იმათ უჭირამთ ხუთი საკომლო... ჩვენი ზვარი და ხოდაბუნი შობას დღეს დაგვიჭირეს... სულ მთელს **ცხინვალელთ** იციან, ნეტარხსენებულის ხემწიფების ნაბოძები იყო... შარშან რაც პური მოვიდა, ისიც იმან წამართვა... სამართალი მაღირსეთ, რომ ჩვენი მამული დამნებდეს და იმას ჩვენთან ხელი აღარა ქონდეს. [ერეკლე II-ის ოქმი] ბატონო ამილახვარო! ეს ოქრომჭედლისშვილები ... ძველათაც სადედოფლო სახასო იყო და ისევ სახასოთ დავდეთ... რაც ამათი ყმა და მამული იყოს, რაც ფავლენიშვილებს ეჭიროთ, ახლავ ... მოაბარე (ქსძ, VII, გვ. 211).

დვანი 1779 – იხ. **ქვემო ხვითი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვანი 1781 – ღმერთმან ... დედოფალთ-დედოფლის ჭირი მოსცეს ფალვენიშვილს თეიმურაზსა და იორამსა. ურიათყოფილის შვილს აბიათარს თქვენთვის ... **დვანს** დულურის საკვამლო უთხოვნია ბეითალმობითა... დულური ჩვენი მკვიდრი ყმა არის, ვახტანგ მეფე **კუდაროს** რომ აკეთებდა, თავდებზე კვამლობით კაცნი მოეკრიფათ, ჩვენი მამა-პაპათ ის დულური მისცეს. მამული ისევ ჩვენვე გვეჭირა, როდესაც **კუდაროს** შენობა მოიშალა, ის დულური ისავ ჩვენს ყმათ დადგა... ამ წყალობას ვითხოვთ ... ის ჩემი მამული მევე დამანებოს... (ქსძ, VII, გვ. 498-499).

დვანი 1781 – ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჭირი დვანელის ოქრომჭედლი'შვილის ქვრივსა ... მოსცეს. **ქართლის** სარდალი ბძანებდით, ჩვენის ყმისა და მამულის ამბავი სიყრმითაგან თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. შარშან მერგებოდა ორმოცი კოდი ბარა და თათუზამ წამართვა... იმას იმ ქვეყანას ერთი კვამლი ... ნოზაძე ... [და] ერთი წეკია ყვანდა. ახლა შალიკას'შვილის მამული უშოვია... ნახევარი **დვანი** ჩემია; და თავისი მძლავრობით შიგ აღარ მაროვინებს... ერთი ოქმის წყალობა **ცხილვანის** მამასახლისსა და ერთს თქვენს აზნაურშვილზე გვიბოძეთ, რომ შარშანდელი და წრევანდელი ბარაც გამომირთვან და ჩემი მამულიც მოსწრებულს კაცს გააჩევინონ (ქსძ, VII, გვ. 511-512).

დვანი 1784 – [ოქმი დარეჯან დედოფლისა]: ... ეშიკაღადბაშო ... ახლავ ერთი იასაული გაატანე [ოქრომჭედლი'შვილს], რომ ის მღვდელიც დაისწრას, რაც ამის მამულები იყოს **დვანს**, ყველა გარჩევით დაატაროს და უჩვენოს (ქსძ, VII, გვ. 616).

დვანი 1786 – ღმერთმან ... დედოფალთ-დედოფლის ჭირი მოსცეს ფალვენიშვილს იასეს... მოგეხსენებათ **დვანი** რამდენი ხანია ვერანაც იყო... ერისთვის ყმამა ტრანკაშვილმა ჩვენი ნაზვრევიც დაიჭირა და სხვა მიწებია... რომელსაც [მიწებზე] ჭეშმარიტი შესაწყნარებელი ნასყიდობის წიგნი ჰქონდეს, ის ღმერთმან მოახმაროს. და რომელიც ჩვენი მამული ნაპარავითა და ძალით ეჭიროს ... ის ... დაგვანებოს (ქსძ, VII, გვ. 689-690).

დვანი1787 – იხ. **ავნევი**

დვანი 1792 – [არზა დავით ოქრომჭედლი'შვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... აბითარის შვილს მოუხსენებია, **დვანს** მამული მაქვს ნასყიდიო და არ მანებებსო, თუ ნასყიდი აქვს, ნასყიდობის წიგნი წამოაყენოს... (ქსძ, VIII, გვ. 164).

დვანი 1794 – იხ. **დირბი**

დვანი 1796 – იხ. **დირბი**

დვანი 1799 – [არზა რევაზ ფავლენიშვილისა გიორგი XII-ისადმი]: ... ოქრომჭედლი'შვილი **დვანს** მიწას მედავება, იმას აქ მემკვიდრე კაცი უსახლობს და მე კი არა. ოქმი მიბოძეთ ერისთვის'შვილს შანშეზედ, რომ ჩემი მამული მე დამნებდეს (ქსძ, VIII, გვ. 554).

დვანის გზა 1796 – იხ. **დირბი**

დიაკონის ქუა. ქვემო ქართლი

დიაკონის ქუა 1657 – იხ. **ტაშირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაკონნი. ქვემო ქართლი

დიაკონნი 1591 – იხ. ამლივი

დიაღარა. ქვემო ქართლი

დიაღარა 1784 – იხ. ზემო წერაქვი

დიბი. შიდა ქართლი

დიბი 1754 – იხ. დიღომი

დიდ გორა // დიდი გორა. კახეთი

დიდ გორა 1447 – იხ. მცხეთა

დიდ გორა 1579 – იხ. მცხეთა

დიდგორი. ქვემო ქართლი

დიდგორი 1392 – იხ. ტფილისი

დიდგორი 1551 – ... მეფისა დავითისა ძემან ... რამაზ ... თქუენ ... ქალაქს სიონთა ღმრთისმშობელსა ... გკადრეთ ... მცირე ესე შემოსაწირავი **დიდგორზედ** სოფელი **ფიცხისი** მათის მთითა, ბარითა... ჴელშეუალად თქუენთჳს მოგუეხსენებია. ასრე რომე, მოუჴდეს ყაზახნი და ააოჴრეს. და მოკითხული ვქენით და თქუენს სოფელზედ სამჴრად იყო და თქუენთჳის შემოგუიწირავს (ის, III, გვ. 62).

დიდგორი 1559 – იხ. სხალდიდი

დიდგორი 1634 – იხ. ზემო შავნი

დიდგორი 1634 – ... ჩუენ, მეფემან ... როსტომ ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშჳილს გოსტაშაბს... მკუიდრად და მამულად **დიდგორის** ძირს სოფელი აგუდანეთი თქუენი ყოფილიყო. ჩუენც ... შეგიწყალეთ... (ქსის, გვ. 108).

დიდგორი 1635 – იხ. ენაგეთი

დიდგორის შარა. ქვემო ქართლი

დიდგორის შარა 1635 – იხ. ენაგეთი

დიდება. ქვემო ქართლი

დიდება 1558 – იხ. მუხანი

დიდება 1591 – იხ. ამლივი

დიდება 1713 – იხ. გუნანეთი

დიდება 1713 – იხ. ღოლოვნა

დიდება 1749 – ... ესე წიგნი ... მოგეც ჩვენ, ქსნის ერისთჳის ... შანშეს მეუღლემ, ბატონმა ანახანუმ, თქუენ, ჩემს ძმას პაპუნას... ასე რომე **დიდებას** და ღოლოვნას თქუენგან გასყიდული მამული იყო, რომ სხვას ეყიდა, ზოგი სხვა ვიყიდე. ეს მამული, რაც ჩემი ნასყიდი იყო, სულ თქუენთჳის უკლებლივ მომიცემია... (სს, I, 1899, გვ. 98).

დიდება XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

დიდებანთკარი. არაგვის ხეობა

დიდებანთკარი 1800 – იხ. ბრაჭულთკარი

დიდველი. შიდა ქართლი

დიდველი 1195-1196 – იხ. სხალტბა

დიდი ბაბია. ქვემო ქართლი

დიდი ბაბია 1543 – იხ. სხალნარი

დიდი გარეჯვარი. შიდა ქართლი

დიდი გარეჯვარი 1772 – იხ. ხეობა

დიდი გარეჯვარი 1795 – იხ. აღაიანი

დიდი გარეჯვარი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

დიდი გომარეთი. ქვემო ქართლი

დიდი გომარეთი 1763 – იხ. დიდი ეგრისი

დიდი გორა. შიდა ქართლი

დიდი გორა 1527-1558 – იხ. მუხრანი

დიდი დმანისი. ქვემო ქართლი

დიდი დმანისი 1586 – იხ. ჩინჩხორი

დიდი ეგრისი. ქვემო ქართლი

დიდი ეგრისი 1763 – ... დიდი ეგრისის სამზღვარი არის აღმოსავლეთით რევაშნის თავს გაყოლებით ქვები ჩაყრილი ვიდრე პატარა გომარეთის და ეგრისის მიჯნა ქვებ-ჩაყრილიადმდე; დასავლეთისაკენ ციხე-ქვაბიდამ საქალაქო გზა რომ წამოვა, გაღმითკენ იოსების ხევი რომ არის, ის არის; ჩრდილოს მხარეს დიდი გომარეთისაკენ ქვა-კაცნი ჩაყრილნი რომ არიან; სამხრეთ მდინარე ზვირთაკეტა. ეს სამზღვრები მეფის როსტომის ბრძანებით ლარაძეებს ფიცით გაუტანიათ და მას აქეთ ასე სჭერიათ... (სს, I, 1899, გვ. 289-290).

დიდი ეგრისი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

დიდი ეგრისი 1792 – იხ. ირაგა

დიდი ვანათი. შიდა ქართლი

დიდი ვანათი 1772 – იხ. მუხრანი

დიდი ვარდოვანა // დიდი ვარდუანა. შიდა ქართლი

დიდი ვარდოვანა 1751 – [მდივან ედიშერის წერილი თავის ძმისწულ კაცია-ასადმი]: ... დიდი ვარდუანას ნახევარი მეფემ პატრონმა თეიმურაზ ბეჟანს უბოძა, ჩადით, ღვთის წინაშე, შუაზედ გაიყავით... ნახევარი ბეჟანს დაანებეთ და ნახევარი ჩვენთვინ და მიშკარბაშისთვინ დადეეთ. მასუკან შენ და ელიკაშვილმან შუაზედ გაიყავით. თუმანიშვილები დაისწარ და ღვთის წინაშე სწორედ გაყავით. ერთი ესეც: ზეთანზედ ჩივის ბეჟან, და ბატონის ოქმიც აიღო. ჩვენი და ოთარ მდივნის წილი ჯიმშიტათვინ ხუთის დღის უნდა იყოს, იმდონი ჩვენთვინ და ოთარ მდივნისთვინს მოზომეთ და, სხვა თუ მეტი იყოს, მაგისი იქნება... (ქეწ, გვ. 93).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ვარდოვანა 1755 – მდივანს ოთარს ბიძის ამისის ზაქარიას შვილებ… ზოგის … მამულის წილის დაუდებლობაზე ელაპარაკებოდენ… შატბერაშვილის მოსყიდულს დიდს ვარდოვანას ხოდაბუნზედაც ილაპარაკეს. ზაქარიას შვილებმა თავისი მამის ნუსხა წამოაყენეს, ნუსხაში ეწერა: ვარდოვანა პაპის ჩვენის მამის ბირთველისა და მდივნის გიორგის ნასყიდი იყო და ამის ძმის ბეჟანისაო. ბეჟან და პაპაჩვენი გიორგი მდივანი რომ გაყრილა, ეს ხოდაბუნი გასაყოფი დარჩაო… შატბერაშვილისაგან მოსყიდულის დიდი ვარდოვანას ხოდაბუნის ნახევარი ბეჟან თავილდარს დავანებეთ, სამართლით ეს ხოდაბუნი შუა უნდა გაუყონ (ქსძ, IV, გვ. 444-445).

დიდი კლდე. ქვემო ქართლი

დიდი კლდე 1653 – იხ. ბედენი

დიდი ლიახვი, მდინარე

დიდი ლიახვი 1716-1724 – იხ. ხევსუბანი

დიდი ლიახვი 1772 – იხ. მუხრანი

დიდი ლილო. კახეთი

დიდი ლილო 1714 – იხ. კოდა

დიდი ოდიში

დიდი ოდიში 1660-1662 – იხ. ძიმითი

დიდი ოდიში 1748 – იხ. გარეჯა

დიდი ორტანი. კოლა

დიდი ორტანი 1031-1033 – იხ. მცხეთა

დიდი რუ. ქვემო ქართლი

დიდი რუ 1703 – იხ. თელისწყარო

დიდა სათიბე ჭალა. სამცხე (?)

დიდა სათიბე ჭალა XV ს. II ნახ. – იხ. საწავე

დიდი სხლობანი. შავშეთი

დიდი სხლობანი 1031-1033 – იხ. მცხეთა

დიდი ტყემლიანა. კახეთი

დიდი ტყემლიანა 1786 – იხ. ახალდაბა

დიდი ურცევანი. ქვემო ქართლი

დიდი ურცევანი 1627 – … ჯაჰან-ბაბუ … გიბოძეთ თქუენ … ბარათაშვილს ავთანდილს … თქვენთ მამა-პაპათა … საბარათაშვილოგა ნასოფლარი დიდი ურცევანი მისის სამართლიანის სამძღვრითა… (ქსის, გვ. 73).

დიდი ფონი. იმერეთი

დიდი ფონი 1779 – იხ. მჟოლის წყარო

დიდი ქარელი. შიდა ქართლი

დიდი ქარელი 1748 – [პაპუნას შვილი] დემეტრე ელაპარაკებოდა [ედიშერის შვილს] ქალანთარს დიდ ქარელში ლალიმასშვილს მიწა-წყალსა. ლა-

ლიმას შვილის მიწა ან ნაფუზვარი ან ნასყიდი ან უსყიდი ... სულ დემეტრეს ... მივაბარეთ... ქალანთარი ამას ჩიეოდა, რომ: ... ერთი კი მიჭირამსო ძოვრეთსაო, ექვსი კომლი კი არ მიჭირამსო... ამას გარდა ... შუა უნდა გავიყოთო დღესს და ხვედურეთს... (ქსძ, IV, გვ. 372-373)

დიდი შარა. იმერეთი

დიდი შარა 1727 – იხ. ჯოყოეთი

დიდი წერაქვი. ქვემო ქართლი

დიდი წერაქვი 1642 – იხ. ცოვრეთი

დიდი წლეპი. ქვემო ქართლი

დიდი წლეპი 1441 – იხ. ნაქურდევი

დიდი ჯიხაიში. იმერეთი

დიდი ჯიხაიში 1782 – ... აფხაზ-იმერთა მეფეთ-მეფემან ... სოლომონ ... განვიხილე გუჯარი მონასტრისა თქუენისა [ხონის საყდრის] და ... ამოვიყვანეთ [ერისკაცთაგან მიტაცებული ყმა-მამული] და ისევ თქუენს წმიდას მონასტერს ... მიუძღვანეთ... პირველად გლეხი **დიდ ჯიხაიშს** სანაძე მახარებელი ნახიდა... კონტოეთს მოსახლე კიკალისშვილი ძღინკიელა... **კუხს** მოსახლე ვაჭარაძე მახარებელა... ივანდიდს მოსახლე გარდავაძე კოტინელა... ჯიხაიშს მახარებელი ხუცესი ყუფარაძე... **ხონს** ერთი მოსახლე სანაძე კოჩობელა... **ფრიდონიანს ჯიხაიშს** მოსახლე სანაძე დავითელა და დედულია; ჯიქთუბანს მოსახლე შაქარა მამფორიას შვილები... ერთი მოსახლე **ბაკისუბანს** ბახუტელა სალდაძე... კუალად შემოგწირეთ პარტახი ერთი **ხონს ყლატიგისშვილისსული ადგილი**... მეორე პარტახი **წაწულიკიძეობიდ**, ჩიტი ღულაშვილისსული ეზო... ესენიც ხელშეულად მოგვიძღენია... [არშიაზე: ამ სიგელიდ რომ ვაჭარაძეები სწერია, ლევან დოღაბერიძე და მისი ძმები დაედევენ ეკლესიას და მთავარეფისკოპოსს და ის გლეხები იმათ დაიკავეს და მერთ ... თავისის ნებით ... ეკლესიას დაანებეს... **მათხოჯი** თქუენის მღვდელთმთავრის სამწყსო ყოფილიყო... პირველ აღწერილისა მსგავსად თქუენის ეკლესიის მღვდელთმთავრის მესჯულით და ჯვარით იმწყსებოდეს ქვეყანა იგი **მათხოჯისა**... (დსსს, II, გვ. 74-75).

დიდკარი. იმერეთი

დიდკარი 1513 – იხ. ქუთაისი

დიდკარი. შიდა ქართლი

დიდკარი 1516-1535 – ... ჩუენ ... ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან ბასილი ესე წყალობის ... სიგელი მოგიბოძეთ თქუენ ... მცხეთის საყდრისაშვილთა ... თევდოსს, ძეთა თათარასა... მას ჟამსა, როდეს ... კათალიკოზს დოროთეოზს თქუენთუის **დიდკართა** ორი დღის მიწა წაეღო ... და საბადჩავედ და სანაცლოსა ისიცა დაგპირებოდა. აწე ჩუენ ... ამოგიკუითეთ დალა, რასაცა ანუ **მუხრანს** ჰქნევდე, და ანუ **ნაქულბაქევთა**, მისი დალა არ გეთხოვებოდეს... (ქსძ, III, გვ. 256-257).

დიდკლდე. ჯავახეთი

დიდკლდე XIV-XV სს. – იხ. ვანისქვაბები

დიდსახადი. კახეთი

დიდსახადი 1786 – იხ. ახალდაბა

დიდუბე. შიდა ქართლი

დიდუბე 1682 – [საადაპო წიგნი გიორგი XI-ისა]: ... დავდევით აღაპი იმავ მამის ჩვენის აშენებულს სოფელს დიდუბეს რუ გამოიღო ავჭალიდამ და აღაშენა სოფელი და უნაყოფო მიწა ნაყოფიერ ყო... ჩვენცა ესე ... აღაპი განუწესეთ ... ერთობილნი დიდუბელნი ყოველს სვეტის-ცხოვლობა დღეს ... მიიტანდეს მცხეთას პურს [და სხვა შესაწირავს]... აღაპს ... მცხეთას მღრდელთა და მონაზონთ და გლახაკთ სახლთუხუცესი გაურიგებდეს... (დსსი, I, გვ. 72).

დიდუბე 1740 – იხ. ყარაღაჯის ციხე

დიდუბე 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

დიდუბის ხერთვისი. კლარჯეთი

დიდუბის ხერთვისი 1054-1072 – იხ. ქუთაისი

დიდუნალი. კახეთი

დიდუნალი 1505 – იხ. ოროტა

დიის ველი – იხ. დისველი

დილამაშენი // დილმაშენი. ქვემო ქართლი

დილამაშენი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

დილამაშენი1707 – იხ. წრაუთი

დილდარის ტახტი. ქვემო ქართლი

დილდარის ტახტი 1706 – იხ. ყუდრო

დილენჯაური. შიდა ქართლი

დილენჯაური 1711 – იხ. ჭალისუბანი

დილიკაული. იმერეთი

დილიკაული1789 – იხ. ბოსლევი

დიმი. იმერეთი

დიმი 1583 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ლევან ... გიბოძეთ შენ ... დაღანიძეს გიორგის ... დიმს კაკაბაძე სვიმონ ... და საბურაული ორი პარტახტი... (იდ, I, გვ. 19-20).

დირბი. შიდა ქართლი

დირბი 1635 – ... მეფემან როსტომ ... გიბოძეთ თქვენ ... დავითიშვილს დავითსა ... დირბის მოურაობა... (სს, II, გვ. 232-233).

დირბი 1650 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ... იელუსარიმის შეწირულობის ძუელნი სიგელნი გავსინჯეთ, ვითაც ძუელთაგან ... მეფეთაგან ... დირბის ქუეყანა გათარხნებულიყო... და ჩუენცა ვათარხნეთ სოფელი დირბი... ყოველისაგანვე გვიაზატებია ქვეყანა დირბი, ასრე რომე ექუსი ათასი თეთრი საელუსარემოდ გამოიღონ... (დსსი, I, გვ. 34-35).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირბი 1689– იხ. **ხუტუნაური მამული**

დირბი 1756 – იხ. **ზემო ქართლი**

დირბი 1756 – გორელმან გასპარამ და აბრამამ **დირბელს** გეგასშვილს [...] თოთხმეტი კოდი პური უჩივლა... (სამდ, გვ. 36).

დირბი 1764 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი ... დეკანოზს ნიკოლოზს მოსცეს. ქრისტეს საფლავისათვის რომ **დირბი** შეუწირავსო თქვენს მამა-პაპათა, მეც მიუბარებივარ **ჯვარისმამისთვინ**. რადგან აზნაურშვილი ვიყავ და ყმის პატრონი, **ჯვარისმამის** სახლხუცობა ხელმწიფეთ უბოძებია... ორი თუ სამი გლეხი მყავს, თქვენს დავთარში ცალკე სწერიან... (ქსძ, VII, გვ. 81-82).

დირბი 1767 – იხ. **მეღვრეკისი**

დირბი 1772 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ზურაბ ციმაკურიძეს. მოგეხსენებათ **დირბს** არას გლეხს კაცს პურის ღალა არა სძევს... ჩემის ვენახიდამ ათისთავს მივართმევ. თქვენი წყალობა ორი კომლი კაცი მყავს და რაც იმ ჩემის კაცებისაგან ღვინო მერგება, ნახევარს მივართმევ... (ქსძ, *VII, გვ. 226).*

დირბი 1772 – იხ. **ხეობა**

დირბი 1773 – ... ყოველად სამღვდელო მროველი გერმანე უჩიოდა ნიქოზელს **დირბის** საქმეზე. ჩვენ ასე გავარჩიეთ: რომელიც საეფისკოპოზო საქმე არის ან მოხსენება ან დრამა ან სახუცო და ან საკანონო და ან ვისაც საწირავი აძევს, ამაშინ ნიქოზელს საქმე არა აქვს რა, მროველისა არის. და ნიქოზელი რადგანაც **ჯვარის** მამა არის, რომელიც ჯორცეელი და საბატონყმო საქმე არის, ეს ნიქოზლისა არის. ამაში მროველს საქმე არა აქვს რა... (ქსძ, IV, გვ. 659).

დირბი 1780 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ყავარდლის ქერივნ... შარშან გორს რომ ბრძანდებოდით, ჩემის სიგლახაკისა და უსარჩოობის გზის მიცემა გეგვედრე ჩემის საქმროს მამულიდამ და ყმიდამ. თქვენ ... ოქმით კაცი მიბოძეთ, რომ იმას უნდა შევენახე, რადგან თქვენი განწესებული სარჩოს მოცემა კი ვერ შეიძლო ფავლენისშვილმა... არც ამ კაცისაგან იქმნა ჩემი შენახვა, ამიტომ რო ოქავ გახლავსთ და იმის სამსახურს ვერ გადარჩომია, და არ შეიძლება იმისაგან, რომ ორთაV, გვმსახუროს... [ერეკლეს ბრძანება მდივანბეგ იასესადმი]: ეს კაცი ახლავ აუყრევინე და ამ ყავარდლის ცოლს მოაბარე, **დირბს** დააყენოს და იქიდამ ამას ემსახუროს... (ქსძ, VII, გვ. 462-463).

დირბი 1784 – იხ. **ზემო ქართლი**

დირბი 1787 – იხ. **ზემო ქართლი**

დირბი 1787 – იხ. **საამილახვრო**

დირბი 1787 ახლო – იხ. **მეღვრეკისი**

დირბი 1788 – ღმერთმან ... მეფის ძის გიორგის ჭირი **ცხინვალელ ტერ-მელიქსადგს ტერ-მელიქსადგს** მოსცეს. ჯვრისმამამ ანტონმა წელიწადშიდ თორმეტ თუმნად **დირბის** გამოსავალი მომცა... არც შარშან მოვიდა ტკბილის მოსავალი და არც წრეულ... თქვენს სიმაღლეს პურის მოღალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა კიდევ **ჯვრის** მამას კაცისათვის გებოძებინა. რადგან სოფელი მე იჯვარით მეჭირა, მეღალე სხვისა რათ უნდა ყოფილიყო, მეღალე მე გახლავარ... (ქსძ, VII, გვ. 785).

დირბი 1789 – იხ. **ატოცი**

დირბი 1789 – იხ. **კახეთი**

დირბი 1789 – იხ. **გორი**

დირბი 1790 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს **დირბელი** ქრისტეს საფლავის ყმას ხაქარიასა... თქვენს უმაღლესობასაც მოეხსენება, რომ ქრისტეს საფლავის ყმასა ბაჟი არსად არ გამოერთმევა ... მაგრამ **იმერეთში** ბაჟს ყოვლის ალაგს იღებენ და გზაზედ გაგვრჯიან... (ქსძ, VIII, გვ. 58).

დირბი 1794 – ღმერთმან ... პატრიარხის ჭირი ფარეშთხუცეს თეიმურაზს მოსცეს... ხელმწიფე მამის თქვენის ოქმი მაქვს: ... გიორგი აბაშიძე, ერეკლე ფალავანდისშვილი, **დირბის** მოურავი მაქსიმე, თუმანიშვილი ნიკოლოზ – ამაო **დირბიდამ**, **ძვიმლეთიდამ** და **ავნევიდამ** მცოდნე კაცნი უნდა მოიყვანონ, ერთი ეფისკოპოზიცა ... და **დვანში** ვისიც მამულია ... გააოჩიონ... (ქსძ, VIII, გვ. 291).

დირბი 1795 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... ჯვარის მამას ათანასს... **დირბს** ვაპირებ წასვლას და იქიდამ ... **იმერეთს** გადასვლას. და ამაზედ თქვენს ბრძანებას ველით... ერთი ოქმიც უნდა გვიწყალობოთ – საცა გავიაროთ სასმელ-საჭმლით დაგვიხვდნენ... (ქსძ, VIII, გვ. 322).

დირბი 1796 – ...დირბელებსა და ფალვენისშვილს თეიმურაზს, ფარეშთუხუცესსა, ჩხუბი მოსლოდათ, ყანაზედ ცილობდნენ **დირბელები** და **დვანელები**... იასაული იყო, ავალისშვილიც თან წაეიყვანეთ, მივედით და ფარეშთხუცესმა, რომელიც სირონი გვაჩვენა, ამას ქვეით **დირბულიაო** და ამას ზეით **დვანურიაო**, ის სირონი ვნახეთ, მაგრამ ვერ იყო სოფლურს რიგზე მიჯნები. ჩვენ აგვატარა თეიმურაზმა **ნაქალაქევსა** და ასრე ვნახეთ: რამდენიმე სამოსახლო **დირბელებსა დვანისაკენ** დარჩომილიყო, ამაზე დირბელები **ყელქცეულის** გვერდიდან წამოგვიძღნენ თავიანთ სირონზედა... გაგვიძღვა ეს სირონი, რომელიც სერი წადგება **ღომელსა** და **გუფთას** შუა. სერზედა ერთი მიჯნა იქ იჯდა; ამის პირდაპირ რომ ეძახიან **ტახტსა**, ერთი მიჯნა კიდევ იქ იჯდა... ამ მიჯნის პირდაპირ რომ წაგედით, ერთი მიჯნაც შუა ჭალაში იჯდა; კიდევ **ფრონეს** რომ გაგედით, პირდაპირ ერთი მიჯნაც კიდევ იქ იჯდა; გაღმა ბეგზედა გაგვიძღვნენ. ამას ზევითა, რომელიც **დვანის გზა** არის, ერთი დიდი კლდე იქ იჯდა; იქიდამ კიდევ გაგვიძღვნენ ამ გზას ზეითა; რომელიც გზა **ძველეთის** ტყის თავში გადასვლია, ერთი დიდი კლდე კიდევ იქ იჯდა... **დირბელები**, რომელიცა არიან მოსახლენი, დღეს ცოცხალნი გახლავან, ასე მოგახსენებენ: ჩვენ დავიფიცამთო, რომ ეს ეს მიწა არც **დვანური** იყოსო და ჩვენც აქ ვსახლებურვართო.... **დვანში** ერთი **იკორთის** წინამძღვრის კაცმა ერთი ნასყიდობის წიგნი წამოაყენა, რომ **გუფთაში** რამდენიმე დღის მიზა მიეყიდნა **დირბელს** კაცსა, რომ **დირბელი** სირონ-ქვეით გაეყიდნა; და იმ ნასყიდობის წიგნში დირბული მემკვიდრე კაცი არ ეწერა მოწმათა; და ამ პასუხს აძლევდნენ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურდულად არის გასყიდული ეს მიწაო, თორემ **ელუსარემისა** მიწა არ გაიყიდებაო. თუ სწორე იყოს, თავისი მეზობლები რატომ მოწმათ არ გიწერიათო... (ქსძ, V, გვ. 674-675).

დირბი 1797 ღმერთმან ბატონისშვილის იულონის ჭირი მოსცეს **ჯვარის მამას** ათანასეს, **დირბი** წმინდა საფლავის შეწირული არის და ყოვლის სათხოვარისაგან აზატი გახლავან ძველითგანვე... ახლა ორი თუმანი შეშის ფასათ წაურთმევიათ ... და **ალის** სამუშაოთ კიდევ სხვა ურმები დაუწერიათ... (ქსძ, VIII, გვ. 456).

დირბი 1797 – იხ. გორი

დირბი 1798 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი **დირბიდამ** ქრისტეს საფლავის ყმის ნახუცრიშვილის იოსებისა... მამის თქვენის ბძანებით მთელი **დირბის** მოხუცებულთ კაცებში ნიქოზელს მოწმობა ფიცით უკითხავთ და ყოველს სულს დაუმტკიცებიათ, რომ ჩვენ ქრისტეს საფლავის ყმანი ვყოფილვართ... (ქსძ, VIII, გვ. 496).

დირბი 1798 – იხ. ღოღეთი

დირბი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

დირბი 1799 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ბენედიქტისაგან: თქვენის ბძანებით **დირბს** მეჩითეები გახლიან, იმათი საბეჭდავიც **გორს** იჯარადარს ეძლევა; და **ცხინვალის** იჯარადარიც ემუქრება – მეც წაგართმევო, ორის მიცემა ხომ არ იქნება. გევედრებით, ოქმი გვიბოძოთ, იმ **ცხინვალის** იჯარადარს საქმე არ ჰქონდეს (ქსძ, VIII, გვ. 553).

დირბი XVIII ს. – [დირბში პურისა და ქერის მოსავლის ანგარიშის ბარათი]: არის **დირბული** მოსავალი პურისა კოდი ექვსას სამოცდარვა... მონასტრისთვის დარჩა პური კოდი ასსამოცდათურამეტი... ჯვრის მამას ერგო კოდი ასი... ჯვრის მონასტრისათვის მივაბარეთ კოდი ასსამოცდარვა... (სეიძ, II, გვ. 173).

დირბის ქვეყანა. შიდა ქართლი

დირბის ქვეყანა 1650 – იხ. დირბი

დირბის წყალი. შიდა ქართლი

დირბის წყალი 1772 – იხ. მუხრანი

დირისჭალა. თბილისი

დირისჭალა 1784-1790 – იხ. ქალაქი

დირსი. ქვემო ქართლი (?)

დირსი 1425 – იხ. ლორე

დისარღი. ქვემო ქართლი

დისარღი 1392 – იხ. ტფილისი

დისევი. შიდა ქართლი

დისევი 1392 – იხ. ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისევი 1516 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან დავით ... შემოგწირეთ სოფელი დისევი თქუენ, სუეტსა ცხოველსა და ქათალიკოსს დიროთეოსს (ქრონ, II, გვ. 334).

დისევი 1559– იხ. სხალდიდი

დისევი 1698 – იხ. არაშენდა

დისევი 1736-1744 – იხ. მოხისი

დისევი 1747 – ... კათალიკოზ-პატრიარქმან ... ანტონი, ესე ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... გედეონისშვილს პეტრეს... მაღალაშვილს ფირანს თავის ბიძაშვილი მოეკლა და ნიკოლოზს კათალიკოზს იმისათვის ჭმა და მამული წაერთმიჳა საკუნოდ... [ჩვენ] ვისმინეთ აჯა ... თქვენი და მოგიბოძეთ დისევის მოურაობა... (ქსძ, III, გვ. 794-795).

დისევი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

დისევი 1770 – იხ. გომი

დისევი 1787 – იხ. წინარეხი

დისევი 1789 – საქართველოს კათალიკოს-პატრიარხმან ... ანტონი ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... გედეონისშვილს სარდალს იოანეს... ნეტარხსენებულის ბიძის ჩუენის კათალიკოსის ანტონის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი და სიგელი ბეჭდით დამტკიცებული გჳონდათ ამ დისევის მოურაობისა. და ჩუენც ... დაგიმტკიცეთ ... დისევის მოურაობა... (ქსძ, III, 980-981).

დისევი 1795 – იხ. გორი

დისველი // დისუელი. ქართლი

დისველი 1447-1459 – იხ. ყორანთა

დისველი 1527-1558 – იხ. ყორანთა

დისველი 1662 – იხ. აკაურთა.

დისველი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

დისველი 1736 – იხ. სატრედო

დიღმაშენი. ქვემო ქართლი

დიღმაშენი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

დიღმელაური მამული. შიდა ქართლი

დიღმელაური მამული 1524 – იხ. მოხისი

დიღმის კარი. თბილისი

დიღმის კარი 1784-1790 – იხ. ქალაქი

დიღმის კარი 1794 – .. ვარისი [დიმიტრი ხიმშიაშვილი] ჩიოდა: დიღმის კართან სახასო ლელუკაშვილს დუქნები ჰქონებოდა... ახლა ქვრივს-ობოლს ბეჟან ძალით ართმევს[დუქნებს]... (ქსძ, V, გვ. 644).

დიღმის შარა. თბილისი

დიღმის შარა 1758 – იხ. ვერე

დიღმის წყალი. შიდა ქართლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღმის წყალი 1391 – იხ. ქვათახევი

დიღომი // დიღუამი // დიღვამი. შიდა ქართლი

დიღომი 1392 – იხ. ტფილისი

დიღომი 1447 – იხ. მცხეთა

დიღომი 1466 – ... მე ... მეფეთ-მეფემან ბაგრატ ... ვიწყე ძიებად, რათამცა ... მემსახურა ჩუენისა საპატრიარქოსა საყდრისა დედაქალაქისა **მცხეთისა** და ... შევსწირეთ ... ძუელითგან მკუიდრნი **დიღუამს** გლეხნი ესაბერი მზეოსძე და გაგელისშვილი რასაცა მჭონებელნი ყოფილან, მით ყუელათა ... ჴელ-შეუვალად შემოგუიწირავს... (გბმ, გვ. 3).

დიღომი 1493 თქუენ, ქათალიკოზს აბრაჰამს, ჩუენ, ბარათაშვილთა ... საუპატიოდ დაგიდევით **ქალაქს** იაგანაშვილი დავითა **დიღუამს** ნასყიდითა ვეხახითა... (ქრონ, II, გვ. 310).

დიღომი 1505-1525 – ... [წმიდაო გიორგი] დაიცევ **ქვეყანა** ესე **დიღომი**... მე, ... მდღელმან ფილიპე, ესე წიგნი დავდევ მას ჯამსა შინა, როდესაც ჴელმწიფემა მეფემა ბატონმა დავით მომიყვანა და დამასახლა ქვეყანასა ამას, მომცა წმიდის გიორგის დეკანოზობა... აწე, რაც ჩემის კოდაკითა საორმოცეთა მამული ამიღია, პირველათ **ყაფყური**, ნასყიდი ქორქელთა... ის **ხუცური** მახარებელმა მომცა ცოლის საორმოცეთა და თავის საორმოცეთა, **ნებერელი** – თეთრაძემა, ოდეს მეზვრე მოკლა, მაშინ საორმოცეთ მომცა... შიმშილობა იყო ისეთი, დედამა შვილი შეჭამა, ერთი ლიტრა ფუტკი ოცდაათ თანგათ იყო. ბერს **საფურცლეს** ფუტკი ედვა, იქიდაღმა ისრე იყო და, მერმე საორმოცეც ჩვენა მოგვცა... (სს, II, გვ. 45).

დიღომი 1525 – ... მეფისა დავითის სახლისუხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სოლაღაშვილმან ივანე ... **დიღუამს** ლომისშვილისაგან ვენაკი ვიყიდე მისითა წყლითა და წყაროთა და საგუბრითა. იმავე ლომისშვილს ვენაკსა ზედმოკიდებით ერთსა მჯარსა წმიდის გიორგის ვენაკი უც და იგი ვენაკი **მღუიმისათუის** შემომიწირავს... (ის, III, გვ. 57-58).

დიღომი 1527 – ბაინდურ ერისთავი **მცხეთის** საყდარს სწირავს **დიღუამში** მისგან ნასყიდ თავაქალასეულ ვენახს (ქრონ, II, გვ. 371).

დიღომი 1542 – იხ. მცხეთა

დიღომი 1559 – იხ. მცხეთა

დიღომი 1559 – იხ. სხალდიდი

დიღომი 1582 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან სვიმონ ... გიბოძეთ თქუენ, დიღმელს ერემასძესა – წმიდის გიორგის დეკანოზს – ნათანელს ... ჟეშოელს [თარხნობა]... აწე, გიბძანებთ **დიღმის** ტარულნო, მელიქნო და სხუანნო კარისა ჩუენისაგან წარვლენილნო... თქვენცა ასრე გაუთავეთ (ქსს, გვ. 15).

დიღომი 1590 – ჩუენ, მეფეთ-მეფემან სუიმეონ ... გიბძანებთ, ერთობილნო **დიღომსა** ზედათნო, **მტკუარ-გამოღმართნო** ვიდრე **ჭევამდე**... მერმე, თქუენ და მეკობრისმძებნელად ჯავახიშვილი გოშფარ და ლარასძე ყარაიგო გ-

მოუგზავნია... ვისცა **გორის ციხის** აღებას წინათ რომ მოეპაროს, ის სამეუღლად აზღვევინონ... (ქსძ, II, გვ. 204)[96].

დიღომი 1637 – [თარხნობის ბოძების წიგნი როსტომ მეფისა დეკანოზ ათანასესადმი]: „...აწე გიბძანებთ კარისა წუენისა ვაქილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, დიღმისა მოურავნო და მოჭელენო... თქუენცა ასრე გაუთავეთ (სს, II, გვ. 32).

დიღომი 1641 – იხ. **ცხორებაული სასახლე**

დიღომი 1683 – იხ. **წოდორეთი**

დიღომი 1696 – იხ. **მცხეთა**

დიღომი 1697 – ... თქუენ ... ქართლისა კათალიკოზს ... იოვანეს, ჩუენ, ფანასკერტელმან-ციციშვილმან ... ფარსადან ... მოგყიდეთ ზანდარაშვილი მღდელი დავით... არიან ამისნი მოწამენი ... **მცხეთის** დეკანოზი, ზაქარია კანდელაკი... ჩუენ, მოურავი **დიღმისა**, ბატონისშვილი იასე მოწამე ვართ (ის, IV, გვ. 71-72).

დიღომი 1720 წ. ახლო – იხ. **თრიალეთი**

დიღომი 1725 – ... ყოვლისა საქართველოსა თუთმპყრობელმან ... პატრონმან ვახტანგ ... ლასურისშვილს გიორგის ... გიბოძეთ **დიღვამს** შენის ბიძაშვილების მელქიზასდა შავერდის ნაქონი მამული სახლით-კარით... ამასდა გარდა გვიბოძებია თრელში გიორგობულა მიწა... (დსსი, I, გვ. 218).

დიღომი 1742 – ესე გადაწყვეტილების წიგნი მოგეცით ჩუენ, **დიღმელებმა**, შენ, **პატარძეველს** უსუფაშვილს, ჩუენ შენი ნათესავი კაცი ფოთოლაშვილი, ივანე შემოგვედავა და სისხლი დაგვედვა... პასუხი გაგვეც ჩუენი და სისხლი გარდაგიწყვიტე... სადაო არ გქონდეს... (ქმეის, გვ. 94).

დიღომი 1746 – ესე წიგნი მოგართვით ჩუენ, დავით ნაზირმა, თქვენ, ბატონს ნინოწმინდელს საბას... ბატონის ბძანებით იასაულათ ვიყავით **დიღმელის** კაცების ასაყრელათ. სხვა კაცები სრულ ავყარეთ, რაც თქუენს სამწყსოში იყო და ერთი კაცი დარჩა, რომ ვახტანგ მეფის დროს გამოსული იყო... ვერცავის სხვას აეყარა, სხვა ნინოწმინდელებისათვის ვერავის გამოერთმიევა... ჩუენც ამიტომ ვერ ავყარეთ, თქვენვე დაგრჩათ... (ის, V, გვ. 65).

დიღომი 1753 – [ერეკლე II-ის წერილი ანტონ I-ისადმი]: თქვენი ძმა ირაკლი ჭელს გაკოცებ. მარტის I, ჩღნგ, **დიღომს**, სამეუფოსა (ქეწ, გვ. 97).

დიღომი 1754 – ამილახორი ამირინდო და ამისი ბიძაშვილები ... მამულზედ ელაპარაკებოდნენ... ჩუენ ... ასე გავარიგეთ [ყმა-მამული] ... **დიღვამს** ... **რეხზედ** ... **მეჯვრისხევს** ... **კასპს** ... **კარბს** ... [და] **თელეთს**... **სვიმონანს სოფელი, შაისულანი, ზეედულეთი** დემეტრეს საუფლისწულო იყო და საერთოთ დაიდვა. ამილახორს ამირინდოს უწინ საუფლისწულოთ **მახარაღაჯი** იმის მაგიერ **ახრისი**–ეს ორივ საერთოთ დაიდვა. რევაზს საუფლისწულოთ ეჭირა

---

[96] საბუთის სპარსულ ვერსიაშია: „... ჩავაბარეთ [ჯავახიშვილს და ლარაძეს] ... დიღმის ზემოდან, ვიდრე **ახალდაბის** თავამდე **მტკვრის** აქეთა მხარეს... (ქსის, გვ. 40).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჭაშენი, **ავაზანი**, ვენახი ედვა **კასპს**,–ესები საერთოდ დაიდვა. თეიმურაზს საუფლისწულოთ ეჭირა **ბეშოეთი** და **ნუგზარას სოფელი**, ესენიც საერთოდ დაიდვა... **გორს** [ყმა-მაული] საერთო არის. **ძევერას** [მამულებ], ერთი ახალშენი ბაგა რაც საბარამისშვილის სახნავი მამული იყოს, ერთი საწისქვილო, სამი ქვევრი, ორი ხოდაბუნი–ეს მამულები და კაცები გივისა და იმის მძების ნასყიდი არის. რაც **ძევერას** მოსახლე კაცნი არიან, ეს მამულები ... საერთოთ უნდა დაიდვას... **დიბას** ნასყიდი მამული და ვენახი საერთო არის... **ქვემო სობისს** თაორისშვილის მამულის წიგნი ნასყიდობისა მოიტანოს; ვისგანაც ეყიდნოს, თუ იმ კაცს თვალთ უჩნდეს, ფასი იმანვე უნდა მისცეს... **ბეშოეთს** გიგაური დემეტრესი არის და ამის მამული საერთო არის. **ფხვენისს** გალავანი ბატონისაგანაც ასე ბძანება იყო, რომ ნახევარი დემეტრესი და დათუასი არის და ნახევარი სულ ყველა ამილახორის შვილებისა არის... **თლენავი** საერთო არის... პაპუას შვილი **რუისს** არის; რაც იმან წილი გაიტანოს, ვისთანაც სახლის კაცათ არის, თითონაც და მამულიც საერთო არის... ცინცილაშვილი და ნონიაშვილი ივსეს ყავს **ავნევს**, საერთო არის, თავის მამულზედ უნდა მივიდნენ... **ატენს** ... **ბეშოეთს** ... **ზემოსობისს სობისს** [ყმა-მამული] საერთო არის. **გრაკალს** ან **დოესს** ან **ქვახვრელს** რაც საამილახორო კაცი იყოს ან ქართველი ან სომეხი, ყველა უნდა აყაროს და თავთავის მამულზედ მივიდნენ ... **ფასკუნჯს** რაც ხატის მამული ეჭიროს, ისევ ხატისა არის და კაცი თეიმურაზისა არის ... (ქსძ, IV, გვ. 432-436).

დიღომი 1755 – იხ. **ზარტი**

დიღომი 1757 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... **ბეთანიის** დეკანოზს დავითს... **დიღომს** ერთი ნაზვრევი და ერთი მარინადაშვილის შეწირული მიწა არის, **ბეთანიის** შეწირულია. იმისი ღალა აქამდინ სულ უძლეველია თავრობასაც და ქართველობასაც. შარშან და წელს არ მოუციათ... ბატონო, **ბეთანიის** შეწირული ზვარი იყო, ახლა ნაზვრევია (ქსძ, VII, გვ. 36).

დიღომი 1764 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... **დიღმის** მამასახლისო დავითავ და ერთობით **დიღმელებო**! მერმე, **დიღმელი** თქვენი მეზობელი გეგეულის-შვილი გიორგი ლეკისაგან დატყვევებულა, ერთს ჩვენს შერიგებულს ლეკს დაუხსნია, **ქალაქში** მოუყვანია ... [და] სხვას დაუხსნია ... და გაუშვია... არას **დიღმის** მოხელეს და არას **დიღმელს** კაცს ამასთან ხელი არავისა გაქვსთ. აქ **ქალაქში** არის, ჩემის შვილის, ლევანის ხელდებულია... (სს, III, გვ. 363-364).

დიღომი 1765 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... **დიღმელს** მათ ყმას, ზაზიასშვილს კალატოზას პაპუნასა. მუსხელისშვილი დათუნა მედავება, ჩემი ყმა ხარო... თქუენი წყალობა იყოს–**დიღმის** მამასახლისსა და სულ დიღმელები აქ გახლიან და მოკითხული ქნათ... (ქსძ, VII, გვ. 98).

დიღომი 1774 – იხ. **ვარაზისჯვარი**

დიღომი 1778 – მისის უწმიდესობის დიკასტრია გიბრძანებს შენ, იასაულო დავით: ... ვინცავინ არიან, რომ **დიღმის** წმიდის გიორგის ეკლესიის მამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები უჭირავს, ამათ ყველაყას უნდა რომ ღალა გამოართვა და ამ პაველ მღვდელს მოსცეთ. (ქსძ, III, გვ. 922).

დიღმი 1778 – იხ. საბეგაანო

დიღმი 1779 – ღმერთმან ყოვლისა საქართველოს პატრიარქის ჭირი **დიღმელს** აბრამ მღვდელს მომცეს... ხუცაო ვეკურთხე და ... **თელავს** ღმრთაების საყდარში გახლდი; და ჩემთვის კარგათ ვცხოვრობდი... მე ეს შეძლება არა მაქვს, რომ ერისკაცულათ კიდეც ვხნა და ვთესო და კიდეც ვიხუცო და სოფელს მოუარო... [ანტონ I-ის ოქმი]: **დიღმის** მამასახლისო გაბრიელ და ერთობით დიღმელებო... თქვენ ერთი დღე უნდა უხნათ და ერთი დღე უმკოთ [აბრამ მღვდელს]... თითონ თქვენმა მახლობელმა სოფელმა **ავჭალამაც** და თქვენც ამ საქმო უნდა გააძლებინოთ... (ქსძ, VII, გვ. 443-444).

დიღმი 1780 – **თრიალეთელი კოხაჯელი** ზეიგიძე ხუცისშვილი ბასილა ჩიოდა: ექვსის წლისა დავიკარგე, ყირიმში გამყიდეს... [იქიდან] **საქართველოსაკენ** წამოველი ... [და] **დიღმს** მოველო და ბატონის ყმათ დავდეგ და იოანე [დოლენჯაშვილი] აღარ მეშვება, ჩემი ყმა ხარო (ქსძ, V, გვ. 106-107).

დიღმი 1781 – იხ. **ერეკლეს ციხე**

დიღვამი 1784 – იხ. **გავაზი**

დიღმი 1787 – ღმერთმან ... პატრიაქის ... ჭირი მოსცეს თქვენს ... ხანდარასშვილს აბრამას, **დიღმელს**... შარშან რომე **დიღმი** აიყარა, იმ ხანაში თეთრაძის მამასახლისის დავითის შვილი, სოსება მამულს ყიდდა, სხუაზე ყიდდა, არც მეზობელი იყო, არც იმ ქვეყნისა იყო... ავდექ და მე ვიყიდე... ახლა ის ჩემი ნასყიდი მამული ბატონისშვილს სხვისთვის უბოძებია... (ქსძ, VII, გვ. 724-725).

დიღმი 1788 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს იასე მდივნის ობლებს... ბატონმა **დიღმს** ოციოდ დღის მიწა გვიბოძა. მანამდისინ ბატონი **დიღმს** გიბოძებდათ, ვინცავინ იმ ჩვენს მიწებს მოხნამდნენ, ღალას ვართმევდით და ახლა რომ თქვენ გაქვსთ, უთქვენოთ ვერავისთვის გამოგვირთმევია. ერთი ოქმი გვიბოძეთ, რომ ვინცავინ ეს მიწები მოხნან, ღალა მოგვცენ... (ქსძ, VII, გვ. 754).

დიღმი 1788 – ღმერთმან მათის უწმინდესობის დიკასტერიის ჭირი მოსცეს **დიღმელთ** ხუცებს–აბრამს და პაველს... ამას წინათ მისმა უწმინდესობამ პატრიარხმა და დიკასტერიამ **დიღმელებზე** წიგნები გვიბოძეს, რომ როგორც სხვა სოფლებშია მღვდლის პატივი და სამღოცველო – თითო კოდი პური კომლზე, ეგრეთ განგვაწესა... (ქსძ, V, გვ. 426-427).

დიღმი 1790 – [არ'ხა პეტრე მღვდლისა ალექსანდრე ბატონიშვილისადმი]: .. ეხლა რომ კალოს უკან ღალის პური შესწერდა **დიღმს**, მეც მთხოვდენ. **მარტყოფს** თქვენს ძმასთან მიველ, ოქმი მიბოძა, მაგრამ არ შეიწყნარეს... ჩემი ორმო აუგლეჯიათ და სამი კოდი პური ამოუღიათ... (ქსძ, VIII, გვ. 79-80).

დიღმი 1791 – [ქერის მოსავლისა და ბზის ნასყიდობის ნუსხა უცნობი პირისა]: ... ამ წელს რაც ქერი მოვიდა: **დიღმიდან** ... **წალასწურიდამ** ... **ნავ-**

თლულიდამ ... სონღალუხიდამ... მარაბდის ღალისა კოდი ქარი... ამბარში-დამ ... გარეთუბნიდამ ... კუკიიდამ ... ავლაბრიდამ ... ოქროყანიდამ ... ირაკლის ციხიდამ (მსეი, III, გვ. 241-242).

დიღომი 1792 – [არზა მეღვინე წესიარას ქვრივისა ერეკლე II-ისადმი]: ... დიღომში თქვენი წყალობა მამული მაქვს. იმ ჩემის მამულის ღალა მუდამ მე მამცემია, ახლაც იმას გევედრები ... ოქმი მიბოძოთ, ის ჩემი მამული არავინ მოხნას... (ქსძ, VIII, გვ. 162).

დიღომი 1797 [პრძანება გიორგი XII-ისა სარდალ იოანე ორბელიანისადმი]: ... არაგვიდამ და ქსნიდამ ჯარი მოვა ამ ქალაქში–ათასი კაცი. შვიდასი კაცი მოქალაქეთ და გარეშე კაცთ უნდა შეინახონ და ულუფა აძლიონ და სამასი კაცის ერთის თვის სურსათი, დიღმიდან მოკიდებული, რაც ახლოს სომხითის სოფლები იყოს ერეკლეს ციხით, ამათ უნდა შეაწეროთ და გაარიგოთ... გოსტაშაბისშვილო დათუავ და დავითელავ! მერე როგორც ერეკლეს ციხიდამ მოკიდებული ამ ქალაქის პირის სოფლებს რით სარდალ სახლხუცისაგან შეწერილი არის ჯარის სურსათი, ახლაევე ასრე უნდა გაარიგოთ და მოიტანოთ და ჯარს მისცეთ... (სს, I, 1920, გვ. 164).

დიღომი 1798 – მეფის გიორგის ჭირი მოსცეს აზნაურ ხიმშიაშვილს დიმიტრისა... ჩემო ხელმწიფევ, გვიბოძეთ ჩვენი სამკვიდრო სოფელი დიღომი... ჩვენს დღეში, რაც საქართველო დაარსებულა, ერდგულების მეტი არაფერი დანაშაულობა არა გვაქვს რა თქვენზედა. [გიორგი XII-ის ოქმი]: რადგან ამდენს ხანს ჩვენს ხელთ ყოფილა უმიზეზოთ თქვენი სამკვიდრო ყმა და მამული დიღომი, ახლაც მე უნდა დამითმოთ, ამისთვის რომ ამის ფარდი სამაგიეროთ სხვას უმეტესსა და უკეთეს სოფელს გიბოძებ და გიწყალობებ ქართლშია ... და ან აქავ, ქალაქში, თათრის მეიდანზედ ახალი დუქნებისას გიბოძებთ (ქსძ, VIII, გვ. 506-507).

დიღომი 1799 – [არზა გენებაშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ... რადაც მამული გვებადა დიღომს, ერთი ჩვენი განაყარი კაცი გახლამს იქავ დიღომს, იმ ჩემს მამულს ის სჯამს... ერთის ოქმის წყალობა დაგვმართოს დიღმის მამასახლის გაბრიელზედ ... რომ სამართლიანის გზით მოიკითხოს... (ქსძ, VIII, გვ. 571).

დიყვი. შიდა ქართლი

დიყვი 1720 წ. ახლო – იხ. თრიალეთი

დიყვი 1760 – იხ. ალაიანი

დიცი // დიცა. შიდა ქართლი

დიცი 1725 – იხ. წაკულთა

დიცი 1771 – იხ. მეჯვრიხევი

დიცი1772 – იხ. მუხრანი

დიცი 1772 – იხ. ხეობა

დიცი1774 – იხ. ერგნეთი

დიცი1786 – იხ. ქვათახევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიცი 1789 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს ფალვანდიშვილს ზურაბს. ღრაფი რომ გადმოვიდა პირველათ, ერთი ფალავანდიშვილის გიორგის გაყიდული კაცი იმათ გადმოყვა, **დიცს** დადგა; თქვენ რომ **ქართლი** ააწერინეთ, პირველ მორიგობაში არცარა შემიტყვია... ძაღინას რომ მიველ, იქ მოვიდა ის კაცი... ეხლა ბატონი რომ წაბძანდა ასანურზე, მე იქ დავიბარე, თან უნდა წამოყოლოდა... (ქსძ, VII, გვ. 807-808).

დიცი1795 – იხ. **სვერი**

დიცი1795 ახლო– იხ. **ერედვი**

დიციXVIII ს. მიწ. – იხ. **სურამი**

დიცური რუ. შიდა ქართლი

დიცური რუ 1652– იხ. **ქორდი**

დლანი. ქვემო ქართლი

დლანი 1447 – იხ. **მცხეთა**

დმანისი. ქვემო ქართლი

დმანისი 1241 – იხ. **ორომაშენი**

დმანისი 1543 – იხ. **სხალნარი**

დმანისი 1586 – იხ. **ჩინჩხორი**

დმანისი 1636 – იხ. **საბარათაშვილო**

დმანისი 1689 – იხ. **სარკინეთი**

დმანისი 1698 – ... ჩვენ, ყარჩიხაშვილმა ზურაბ ... **დმანისისა** მღთისმშობელსა და ბატონს დმანელს ელისეს ... ჩვენი მემკვიდრე ყმა გალუსტაშვილი ნაზარა ... მათის ... მამულითა მოგართვით ... ვალში... **ფიტარეთისა** ღვთისმშობლის წინამძღვარს იობს, დამიწერია და მოწამეცა ვარ... (დსეი, გვ. 25-26).

დმანისი 1730 – ... ესე წიგნი მოგართვით მე, ორბელიანმა გორჯასპიშვილმა ბატონმა ქაიხოსრომ, თქვენ ... სალთხუცესს ელისბარს და ვახტანგს. ასე რომე, **დმანისს** სასახლე **ნარიყალა** და **ნაციხვარი** ... პაპათქვენს ორბელს ძმებისაგან წილში რგებოდა და სახლიც აეშენებინა... მასუკან, ერეკლე მეფის ჟამში, ბიძაჩემს პაპუას იქ ცოტა რამ შენობა ექნა. მერმე ბიძათქვენმა, მდივანბეგ ერასტიმ, ლაპარაკი დაგვიწყო და გვთხოვა... ადგილი მისი იყო, მივართვით, და ... ჩვენის შენობის ფასს დაგვპირდა... ახლა თქვენ ... იმ შენობის ფასი უკლებლად მოგვეცით... არიან ამის მოწამენი ... ტფილელი მიტროპოლიტი ბატონი იოსებ, დმანელი ელისე, **ფიტარეთის** წინამძღვარი იობ, სიონის დეკანოზი გაბრიელ და მე, ანჩისხატის დეკანოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი... (სს, II, გვ. 356).

დმანისი 1732 – იხ. **ფიტარეთი**

დმანისი 1736 – იხ. **შუა ბოლნისი**

დმანისი 1736 – იხ. **სატრედო**

დმანისი 1746 – იხ. **ზემო ვარდისუბანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმანისი 1746 – იხ. **ქვემო ვარდისუბანი**

დმანისი 1756 – ... ჩვენ, ყარაბუდახისშვილმა შიოშ ... თქუენ ... ტუსის-შვილს შიოშს ... მოგყიდე ჩემი მკვიდრი და ბარათში გამოყოლილი ყმა, **დმანისელი** ბადრიაშვილი გიორგი... დაიწერა სიგელი ესე **ტფილურთა** მოქალაქე-ქმნილის, ჯელოანი მხატვრის, გრიგოლი მღუდელის ძისა, ანჩისხატის დეკანოსის ალექსისათა... (ის, V, გვ. 74-75).

დმანისი 1779 – იხ. **ტამალა**

დმანისი 1793-1795 – იხ. **საყაფლანისშვილო**

დმანისი XVIII ს. – გაყიდა დათუნამან და პაატამან **დმანისს** ერთი საკომლო თუთხმეტ თუმნად, **ახალშენს** გაყიდა ორი საკომლო თორმეტ თუმნათ, ტბისს ერთი საკომლო სამ თუმნათ, ენაგეთს ერთი საკომლო სამ თუმნათ, მარაბდას ორმოცდაათ თუმნათ (მსეი, III, გვ. 346).

დმანისის საეპისკოპოსო. ქვემო ქართლი

დმანისის საეპისკოპოსო 1770 – იხ. **ქიზიყი**

დმანისის ციხე // დმანის ციხე // დმნის ციხე. ქვემო ქართლი

დმანისის ციხე 1537-1538 – [ბარათაშვილების გაყრის წიგნი]: ... მიხუდა იოთამს: **დმანისის ციხეში** სასაფლაოდ **დმანისთა ღმრთისმშობლის** ნახევარი და კარისბჯე ... [მოსდევს დმანისში მცხოვრებ ყმათა ვრცელი ჩამონათვალი]; **დმანისის** ნახევარი და სახუცესო; საბაჟოს ნახევარი და სახუცესო. მოხუდა იოთამს **მანაკერტს** სახუცესოდ სასახლე [და ყმა-მამული]... მოხუდა იოთამს საუხუცესო **აკურთას** [ყმა-მამული]; მოხუდა იოთამს საუხუცესო **ფიტარეთს** [ყმა-მამული]... **თავსაყდრის** ნახევარი ზეითი მხარი, გარეთ **–ორმოცთ ეკლესია;** მოხუდა იოთამს **გომარეთს** [ყმა-მამული]... **ლიპარიტ-**სამა მისის მთითა და ჭალითა. მიხუდა იოთამს **საქიშანს** [ყმათა ჩამონათვალი]... მიხუდა იოთამს **ანგრევანს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **ჩიჩხაურს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **დიდმაშენს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **მუტავისს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს საუხუცესოდ **კარშაგარს** [ყმათა ჩამონათვალი]; **კარშაგირს** ნახევარი და საუხუცესომიხუდა იოთამს **ქვაბევანს** საუხუცესოდ [ყმა-მამული]... **ქვაბევანის** ნახევარი და საუხუცესო დღეს რისაც მამულის მქონებელი არის. მიხუდა იოთამს **ვანთას** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **შაქოგოზს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **მარაბდას** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **უკანაგორს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **ქუემო თაგუთი** [ყმა-მამული]... **ხული** მისის მთითა და ველითა; **ლორაშენი** მისის მთითა და ველითა; **ყაესკეტი** მისის მთითა და ველითა. **ფარაჯქის** ნახევარი, **მალამხსუდის** ნახევარი; **გელდიგიანანის** ნახევარი; **აღუმარე** მისის ციხითა, მისის მთითა და ველითა; **ყარაშის** ნახევარი; **ქედის** ეკლესიის ნახევარი; **იაღლუზი** მისის მთითა და ველითა; **სულგედიანის** ნახევარი; **გელას სოფლის** ნახევარი; **ქეთილაშენის** ნახევარი; **ხანბოძოორის** ნახევარი; **ჩირგმეშენის** ნახევარი; **ქერანდენის** ნახევარი. **კოტჩაწეგღეცის** ნახევარი; **ქერანდენის** ნახევარი მისის მთითა და ველითა; **ყამიშის** სოფლის ნახევარი; სულად **ლოქის მთის** ნახევარი და საუხუცესო. მიხუდა იოთამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯას [ყმა-მამული]... **ყადრუყელის** ნახევარი; **ავანხევი** მისის მთითა და ველითა; **ყარაქილისას** ნახევარი; **გოგაღჩელის** ნახევარი; **ქვემო ოროზმნის** ნახევარი; **ზემო ოროზმნის** ნახევარი; **უზემაფირამადის** სოფელი მისის მთითა და ველითა; **შავსაყდარი** მისის მთითა და ველითა; **ტანძია** მისის მთითა და ველითა; **წითელი ეკლესია** მისის მთითა და ველითა; **ბოსლების** ნახევარი; **ანდრულალი ლუკენის** საყდრამდის, იქიდამ **სამაგარისა კოხ საყდრამდის**; **სამაგარა** მისის მთითა და ველითა; **ქვემო შინდლარა** მისის მთითა და ველითა; **თეერის** ნახევარი; **ხატის სოფლის** ნახევარი; **ტნუსის** ნახევარი; **ტამალა** მისის მთითა და ველითა; **საკარისის** ნახევარი; მიხუდა იოთამს **გულეულს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **ჯანახიანში** [ყმა-მამული]... **ჯანაზიანის** ნახევარი და საუხუცესო; მიხუდა იოთამს **რატევანს** [ყმა-მამული]... **რატევანი** მისის მთითა და ველითა და ყოველთა შესავლითა; მიხუდა იოთამს **იფნობს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **მირტაშენს** [ყმა-მამული]... **მიტიჩაური** მამული, საბაჟო და მისი შესავალი. მიხუდა იოთამს **ბალახაურს** [ყმა-მამული]... **ბალახაურის** ნახევარი და სახუცესო. მიხუდა იოთამს **მუგუთს** [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს **გუდარეხის** ნახევარი და საუხუცესო. მიხუდა იოთამს **ცოვრეთს** საუხუცესოდ [ყმა-მამული]... **ცხოვრეთის** ნახევარი და საუხუცესო. მიხუდა იოთამს **კრეფას** [ყმა-მამული]... **კრეფა** მისის მთითა და ველითა, **ჩალის ციხითა** და ჭაობითა. მიხუდა იოთამს **ავაზანს** საუხუცესოდ [ყმა-მამული]... **კაჟინაური** მამული, ფაცრის ნახევარი, **ავაზნის** ნახევარი და საუხუცესო. მიხუდა იოთამს **დარბასჭალას** [ყმა-მამული]... **დარბასჭალა**, ნახევარი და საუხუცესო. **ჩანასჭალის** ნახევარი; **სულუტის** ნახევარი; **ლევისუბნის** ნახევარი. **ყაზანარასშვილის** სოფლის ნახევარი; **წნორის** ნახევარი; მიხუდა იოთამს **საკირის** სოფლის ნახევარი და საუხუცესო **კრცხილას** ნახევარი. **წარუთის** ნახევარი და საუხუცესო... **მუგუთს** [ყმა-მამული]... **მირტაშენს** [ყმა-მამული]... მიხუდა მამაცას ნასოფლარი **ირდასუბანი** მისი ველითა, ჭალითა და ყოველითა შესავლითა; მიხუდა ჯანიაშვილს როსტევანს **ქვემო აბანოს** [ყმა-მამული]... **ქვემო აბანო**, მისის მთითა და ჭალითა წმიდის მარინეს საყდრამდისინ და მისითა ყოველითა შესავლითა. მიხუდა ჯანიაშვილსა როსტევანს **გულეულთ** დღეს რისაც მამულის მქონებელი არის [ყმა-მამული]... **სომხითს ბოძორას სოფელი**, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, მიხუდა იოთამს... (ქსძ, IV, გვ. 14-33).

დმანისის ციხე 1746 – იხ. **წრაუთი**

დმანისის ციხე 1749 – იხ. **საორბელიშვილო**

დმანისის ციხე 1793-1795 – იხ. **საყაფლანისშვილო**

დმანისის // დმანის ხევი // ჰევი // ხეობა. ქვემო ქართლი

დმანისისხევი 1586 – იხ. **ჩინჩხორი**

დმანისისხევი 1620 – [ორბელიანთა შემოსავლის ნუსხა]: ... ამ წელიწადს **ბარის** სათვიმო სოსცდა. მოვიდა მათის საოქმოში პური კოდი ორასორმოცდაათი... ამას გარდა, **ბარის ქვეყანას ბარდის, ტაშირსა** და **ლაქს**[97]

[97] ლოქს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაის, მარტო **დმანის ჭევში** გუთანზე მოკრიფა პური და ქერი თორმეტი ათასი; ტაშირის და ბარისა სახლთხუცესს კითხეთ, რა მოვიდა ჩვენი მოსავალი ტაშირისა... (ქრონ, II, გვ. 444).

დმანისისხევი 1633 – იხ. **ზემო ოძისი**

დმანისისხევი 1749 – იხ. **საორბელიშვილო**

დმანისისხევი 1793-1795 – იხ. **საყაფლანისშვილო**

დოდოს მონასტერი // დოდო // დოდოსრჭა. კახეთი

დოდოს მონასტერი 1392 – იხ. **ტფილისი**

დოდოს მონასტერი 1443 – იხ. **თოლეჯი**

დოდოს მონასტერი 1479 – იხ. **გარეჯა**

დოდოს მონასტერი 1704-1714 – იხ. **კაკაბეთი**

დოდოს მონასტერი 1708 – იხ. **მცხეთა**

დოდოს მონასტერი 1709 – იხ. **საგარეჯო**

დოდოს მონასტერი 1711 – იხ. **საგარეჯო**

დოდოს მონასტერი 1711 ახლო – იხ. **დავითგარეჯა**

დოდოს მონასტერი 1747 – დოდოს მონასტრის მამული – სახნავი მიწა: **ბერა ნაცხვრევში**[98]... **დოდოს მონასტრის** ხოდაბუნი **ლაპრიანში**... კიდევ ხოდაბუნი **გაუგონარი**... **ქვიანის** ბოლოს მიწა... **დოდოს ზვრის** ბოლოს სახნავი მიწა, თავს ზვრის ბოლოს რომ გზა გარდაივლის, იქიდამ ... ზევით და ქვევით ორივ მონასტრისა არის... მონასტრის მიწა: **პანველაშვილის**[99] **ვენაჭის** ბოლოს რომ გზა გაივლის... (ქსძ, III, გვ. 795-796).

დოდოს მონასტერი 1749 – იხ. **ლაკრა**

დოდოს მონასტერი 1750 – ... ჩვენ, ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ-მჭონებელმან პატრონმან თეიმურაზ ... თქვენ ... საქართველოს **მრავალმთის გარეჯის დოდოს მონასტერს** ეკლესიასა ... შემოგწირეთ სასახლის ადგილი სიონს აქათ, **ნათლიმცემლიან დავითგარეჯელთ** სასახლემდის და აქათ, წყლის ჩასავლის გზამდის, ზემო **შარის ქუჩის** მიდგამდის და ქუემო **ბაღის წყლამდისინ, დავითგარეჯელთ** გზა ამ თქუენს სახლში გაივლის. ამ გზას ვერ დაუჭერთ და გზა ზევით და ქუევით დოდოს წინამძღვარმა, როგორც უნდა, სასახლე ააშენოს, რომ როიცა ქალაქს ჩამოვიდოდნენ, სადგომი საძებრათ არ ექნებოდესთ (დთი, I, გვ. 219-220).

დოდოს მონასტერი 1750 – ... [მჭედლიძემ ნასყიდა] ... **ქალაქს** ჩამოვედით ... [და] ჩვენის ნება-ჭადილითა ეს თავშეწირულობის წიგნი მოგეცით თქვენ, წმინდის **დოდოს** წინამძღვარს სვიმონს... სახლის ალაგი თქვენ მოგვეცით – ბატონს რომ მონასტრისათვის სახლის ალაგი შეეწირა **მტკვრის** პირსა, დავითგარეჯიანთ სასახლესთანა... (ქკმეის, გვ. 102).

---

[98] ბერანაცხვრევში (სეიძ, II, გვ. 91).

[99] პანკელაშვილის (სეიძ, II, გვ. 92).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდოს მონასტერი 1752 – იხ. **მაშრანი**

დოდოს მონასტერი 1759 – იხ. **ზიარი**

დოდოს მონასტერი 1760 – იხ. **ნათლისმცემლის მონასტერი**

დოდოს მონასტერი 1763 – იხ. **ზიარი**

დოდოს მონასტერი 1777 – იხ. **ზიარი**

დოდოს მონასტერი 1778 – ჩვენ ... ნინოწმინდელ მიტროპოლიტმან საბა ესე ... წიგნი მოგვცით თქვენ ... არხიმანდრიტსა ... **დავით-გარესჯის მონასტრის** ... გერმანეს... **დოდოს მონასტერი** ... აღოვრდა და უმკვიდრო იქმნა და წინამძღუარი მისი სვიმეონ და კრებულნიცა მისნი მისითა სამკაულითა და მამულითა და ყმათა **დავითგარეჯის მონასტერში** შეხუედით. ზენონის შემდგომად **ნათლისმცემლის მონასტრის** წინამძღურობა სვიმეონს მიეცა. და მოინდომა იმან, რათა **დოდოს მონასტრის** სამკაული, მამული და ყმა თან შეეტანა **ნათლისმცემლის მონასტერში**. ესე ჩუენ წინააღმდგომად აღვუიჩნდა და არ შევატანიეთ... ვინაითგან მწყემსად ვარ დადგინებულ **ნინოწმინდისა** ეკლესიასა ზედა და ათორმეტთა მათ უდაბნოთა მონასტერთა ზედა ... ჩუენ დავიჭირეთ **დოდოს მონასტრის** დაშთომილი სამკაული, ყმა და მამული და მაშინვე **დავითგარესჯის მონასტრის** წინამძღუარს მივაბარეთ... **ნათლისმცემლის მონასტერს** ამის მაგიერ ჩუნის ეკლესიის საკუთარი ყმა და მამული მივართვით... აწ, ვინაითგან ღირსება შენი თჳით მას მონასტერსა შინა **დოდოსსა** არს აღზრდილ და ... მისრულ იყავ წინაშე მისისა უწმიდესობისა ... და შუამდგომელად აღგებრათ წინაშე ... **ყოვლისა საქართუელოჲსა** მეფისა ირაკლი მეორისად, რათა თქუენვე მოგაბარებდათ **დოდოს მონასტრის** სამკაული, ყმა და მამული, და მათ ბრძანეს ჩემდა მოწართ ამისი აღსრულება – მეცა [აღვასრულე] (ქკმეის, გვ. 122-125).

დოდოს მონასტერი 1779 – ჩვენ, მეფემან ... ირაკლი მეორემან ... დავსწერეთ ბრძანება ესე შენდა მიმართ ... ნინოწმინდელ მიტროპოლიტო უფალო საბა: ვინაოგან ძუელთა გუჯრებთა შინა ეკლესიისა შენისათა მეფეთა წინაპართა ჩვენთა მიერ ბოძებულთა ესრეთ წერილ იყო, ვითარმედ, **დოდოსრქის მონასტერი** ყოვლად სამღვდელოს ნინოწმინდელისათჳს მიგვებარებიაო, სხვას ჭელი არავისა აქუსო... ოდეს ... უმკვიდრო იქმნა და დაიცალა **მონასტერი დოდოსი**, მისი მამული და ყმა და სამკაული ყოველივე თქუენ მოგებარათ... [შემდეგ] მივაბარეთ **დავითგარეჯის** მონასტრის არქიმანდრიტს გერმანეს ... **დოდოს მონასტრის** ყმა და მამული. გარნა ბრძანებითა და განწუესებით ამით, ოდეს კუალად აღემართოს და აღშენდეს **მონასტერი დოდოსი**... (ქსძ, II, გვ. 448-449).

დოდოს მონასტერი 1782 – იხ. **დავითგარეჯა**

დოდოს მონასტერი 1789 ახლო – ... მიგვებარებია ჩვენ, ნეკრესელს, **დოდოს** საქონელი წინამძღვრის ნიკოლოზისათჳს... (ქკმეის, გვ. 156).

დოდოს მონასტერი 1790-იანი წწ. – [ყანების ნუსხა]: დალბაშვილის უდგა **დოდოს** მიწაში ზვრის ბოლოს ყანა ორის დღისა, კიდევ **ნასამარხოვალში** ერთის დღისა, კიდევ ხრამის თავში ხოდაბუნში ორის დღისა. ომანას **ნა-**

სამარხოვალში ორის დღისა. ბეციას **ქვიანის ბოლოში** ორის დღისა. **გორხანისაკენ** ერთის დღისა. იმ ხოდაბუნში ერთის დღისა აბრამ მღუდელს. ვართანას ხოდაბუნში ერთის დღისა. პეტრე მჭედლიშვილს **გაუგონარში** ორის დღისა. ქაიხოსროს-შვილს ხრამის თავს ხოდაბუნში ერთის დღისა. ლეჭყამპაიშვილს **გორხანისაკენ** ხოდაბუნში ორის დღისა... (სვიძ, II, გვ. 158).

დოდოს მონასტერი 1793 – [არზა წინამძღვარ თეოდოსისა ერეკლე II-ისადმი]: ... თუ არ იქნება [დოდოსრქის] აშენება, გევედრებით, **დავითგარესჯას** არ ჩამოერთოს ეს **დოდოს** მამული; დია საქმე გაჭირვებული აქვს დღეს მონასტერს... [ოქმი]: **დავით გარესჯის** წინამძღვარს თეოდოსის ასე უამბეთ. მერე, როგორც ამ არზით გითხოვია, წმინდის **დოდოს** შემოსავალი არ ჩამომირთმევია, სრულებით შენ უნდა მიიღო (ქსძ, VIII, გვ. 246).

დოესი // დუესი // დოეზი // დუეზი. შიდა ქართლი

დოესი 1664-1673 – იხ. **წყნეთი**

დოესი 1688 – იხ. **გარეჯვარი**

დოესი 1690 – ... ჩუენ, ციცისშვილმან ... ფარსადან ... თქუენ მაღალაძეთ ... მოგეცით ჩუენი მემკვიდრე **დოესი** ხუდუაშვილი როსტომა... (დსეი, გვ. 18-19).

დოესი 1695 – ... მე, ტერტერასშვილმა პაპუამა ... თქვენ, ჯავახისშვილს ფარემუზს ... მოგყიდე ჩემი ალალი ... მიწა **დოესის** თავს **ნამგალა**, ქვეით ციცოშვილის მიწის **ნამგალამდი** და ზეით გზამდი... (სს, II, გვ. 113).

დოესი 1701-1703 – იხ. **მძორეთი**

დოესი 1720 – იხ. **ჭვირო**

დოესი 1744 – ... მე, თუმანიანთ ელიზბარის შვილმა პაპუამა, თქვენ, **დუეზის** მამასახლის ტატისშვილს რევაზს ... მოგყიდე ჩვენი ... მამა-პაპაპათაგან ნასყიდი ონანაანთ ბერუას შვილი გიორგი... (დსსი, I, გვ. 319).

დოესი 1748 – იხ. **დიდი ქარელი**

დოესი 1754 – იხ. **დიღომი**

დოესი 1771 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... ციცისშვილს პაატას. **დოესი** რომ გაყიდეს ჩემმა სახლისკაცებმა, არ უკითხავთ ... ჩემთვინა. თქვენი წყალობა მოვიდა ... და ჩვენი მამული **დოესი** ისევ ... დაგვასხნევინეთ. ალექსანდრე სარდალმა რომ დაიხსნა **დოესი**, მე რაც შემამხვდებოდა ჩემი წილი – მეოთხედის ნახევარი დავიხსენ... რაც რამ მოსავალი მოვა **დოესში**, მერვედს მაძლევს ყოველთვინ... ამას ვევედრები მათს სიმაღლეს ... მერვედი ციხე და მამული გამიყოს, ჩემი წილი მამცეს (ქსძ, VII, გვ. 173).

დოესი 1771 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს სარდალს ალექსანდრეს... წინაზედ რომ ჩემი სახლისკაცები **დოესზედ** მიჩიოდენ – **დოესი** ჩვენი წილი დაგვახსნევინოსო, თქვენი განაჩენი აქვთ – დაახსნევინეთ. ახლა ამ წყალობას ვითხოვ: ერთის ოქმის წყალობა მიყავით ერთ-ერთს ჯავახისშვილზედა, **დოესს** რომ თქვენი ნასყიდი სახასო კაცნი არიან თათანასშვილი და ტურაშვილები, ის მამული გაგვირჩიონ... (ქსძ, VII, გვ. 189).

დოესი 1774 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს სარდალს ალექსანდრეს... ამდენი ხანია, ჩემმა სახლისკაცებმა იჩივლეს: **დოესს** არ გვახნევინებსო. მუდამ ველაპარაკები დახსნას. ახლა თქვენც გეყედრები: რაც გამსლოდეს, მამცენ; მამულში რაც წილი სდებოდესთ, დაიჭირონ... (ქსძ, VII, გვ. 260).

დოესი 1780 – ციცისშვილის ბატონის სარდალ ქალაქის მოურავისა და იმის სახლისკაცების გარიგებაში დავსხედით [მდივანბეგები]... **დოესი** ციხით საერთო იქნება. კლიმიაშვილის ბეითალმანი საერთოდ დაიდვა, **იისციხე**, ავკეთი ჯავახიშვილთან ათთუმანნახევრად გირაოთ ყოფილა და ალექსანდრე სარდალს დაუხსნია; ეს თეთრი საძმო უნდა გამოიღონ და მოურავს მიერთვას... **ციხიაზე** რომ ლაპარაკობენ, მოურავი ამას ბძანებს: ორმოც თუმნათ ფარსადანმა და იმის სახლისკაცებმა ბატონიშვილს ელენეს დაუგირავესო... **წრომი** საერთოთ დაიდვა... **ოსარო** როცა გააკეთონ, ერთი კაცი მოურავისა დადგეს, ერთი კაცი გოგიასი, ერთი კაცი ივანესი და პაატასი, და ერთი კაცი კიკოლასი... **გუჯარეთსა** და **სკრაზე** რომ ლაპარაკობენ ... მათს უმაღლესობას ... სამართალი რაც ებძანოსთ, იმაზე დადგნენ (ქსძ, V, გვ. 116-118).

დოესი 1781 ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს ოქრომჭედლიშვილს დათუას... მე და ფალავანისშვილი ბიძინა **დოესს** მიწებზედა ვდაობდით... განაჩენი დაგვიწერეს ... მოწმეები **ცხინვალს** უნდა მივიდენონ... ოქმის წყალობას ვითხოვთ ავთანდილ სამარადისშვილზე, ის მოწმეები **ცხინვალს** მოასხას (ქსძ, VII, გვ. 527-528).

დოესი 1792 – იხ. **ხიდისთავი**

დოესი 1795 ახლო – იხ. **ქვახვრელი**

დოესი 1796 – იხ. **ქარელი**

დოესი 1798 – ... თამასუქი ჰქონდა გიორგი ციცისშვილს ნიკოლოზისა და ამილღაბარისაგან აღებული ათის თუმნისა ... [და] გირაოთ **დოესი** ეწერა... (ქსძ, VI, გვ. 65).

დოესი 1800 – [არზა ნიკოლოზ ციციშვილისა გიორგი XII-ისადმი]: ... აქ **დოესს** აუკლიათ ჩემი კაცები და იქ იასაულები უდგანათ... საქონელი ჩაურეკათ, **გორს** ჰყიდიან (ქსძ, VIII, გვ. 676).

დოესი 1800 – იხ. **საციციანო**

დოესი 1800 – იხ. **ქარელი**

დოესის ციხე. შიდა ქართლი

დოესის ციხე 1800 – იხ. **ქარელი**

დოიანის ხოდაბუნი. კახეთი

დოიანის ხოდაბუნი 1781 – იხ. **ჭივჭურის მიწა**

დოლაანი // დოლანი. ქვემო ქართლი

დოლანი 1552 – იხ. **ახოტა**

დოლანი 1657 – იხ. ახოტა

დოლანი 1705 – იხ. ახოტა

დოლი. სვანეთი

დოლი XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

დოლიკაანთ მამული. ქვემო ქართლი (?)

დოლიკანთ მამული 1784 – იხ. სანაინი

დოლისყანა. კლარჯეთი

დოლისყანა. X ს.-XI ს. დას. – ესე [წიგნი] მე დავწერე, სტეფანე დოლისყანელმან (კს, გვ. 25).

დოლისყანა 1392 – იხ. ტფილისი

დონოური. იმერეთი

დონოური 1724-1735 – იხ. ბერთაული ყანა

დორეთკარი // დორეულთკარი. შიდა ქართლი

დორეთკარი 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

დორეთკარი 1781 – იხ. ისროლისხევი

დორეთკარი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

დორიეთი. შიდა ქართლი

დორიეთი 1785 ახლო – იხ. ქარელი

დრე. შიდა ქართლი

დრე 1581 – იხ. ქალაქის პირი

დრე 1796 – იხ. გოგისოფელი

დრილი[100]. შიდა ქართლი

დრილი 1774 – იხ. საქაშეთი

დსარის გზა. კახეთი

დსარის გზა XVIII ს. – იხ. ღურო

დუბის ვენაჯი. ქართლი

დუბის ვენაჯი 1592 – ... თქუენ, ტფილელ მთავარეპისკოპოსსა ბარნაბას, ჩუენ, ბაიდრისშვილმან თანდრიამან ... მოგყიდე **დუბის ვენაჯი** ჴევის რუს ქუეშე ჴევამდის, მისისა ხილნარითა... და თქუენ **სიონისა** ღმრთისმშობელსა შესწირეთ... ბატონისა ჩუენისა საამის შეკითხვით მოგუიყიდია... ამისნი მოწამენი ... არიან დეკანოზი **მამიჯვარისა** ... [და] მამამთავარი ხატისა და სრულიად **ტბელნი**... (ის, III, გვ. 83-84).

დუდაური. კახეთი

დუდაური 1513 – იხ. ხოდაშენი

დუდეთი. შიდა ქართლი

---

[100] ბრილი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუდეთი 1771 – იხ. ახალგორი

დულუზაური ნასახლარი. ქვემო ქართლი

დულუზაური ნასახლარი 1789 – იხ. გუდარეხი

დუმასუბანი. კახეთი

დუმასუბანი 1438 – იხ. მცხეთა

დუმასუბანი 1579 – იხ. მცხეთა

დუმასური. კახეთი

დუმასური XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

დუმაცხო. შიდა ქართლი

დუმაცხო 1401-1415 – იხ. ულუმბა

დუმაცხო 1796 – იხ. გორი

დუმთა. იმერეთი

დუმთა 1789-1810 – იხ. ჩიხა

დურნუკი. ქვემო ქართლი

დურნუკი 1635 – იხ. ენაგეთი

დურნუკი 1705 – იხ. ვარსიმაშვილის ვენაჭი

დურნუკი 1710 – ... მე, მდივან შერმანდინ წაველ და სრულად სახასო სოფლების სამძღვრები, რომელიც გარეშემო სოფლების შუა სამანი დაედვათ და ერთმანეთის შეჯერებით ეჭირათ, ყველა იმის ალაგებით და სამძღვრებით დაეწერე. აგრევე **დურნუკს** მოველ, იმ გრძლივ სამძღვარი სრულ დავწერე: ზევით **დურნუკისა** და **ცხეკვის** სამძღვარი, **წინწყაროს** ბოლოს **მყრალას წყაროს** ზევით ბატონის ხოდაბუნის ბოლოს საქცევი, იმის გასწორ გორაზედ რომ გავა, იმის ჩასწორ **მლაშეთ ხევის** თავი რაც ჩაიტანს, წყარო და **ალეთამდინ** ზევით **ცხეკისა** არის. და ქვეითი მხარე **დურნუკისა** არის. მაშინ ასრე დამაწერინეს. მაგრამ ახლა კიდევ **დურნუკელნი** შესცილოდენ, ამ სამძღვარს გადასულიყვნენ და ზევით ერთს ტანს მიწას ეცილებოდენ... და რადგან მიწა [საამოშვილს] ქაიხოსროს ეჭირა და ისინი ეცილებოდნენ, ფიცი ქაიხოსროსი იყო... თუ წააყენოს საამის შვილებმა ორი თავისი ყმა **ენაგელი** მემკვიდრე ... [და] იფიცოს, რომ: იმ საძღვარს ზევით **ცხეკვისა** იყოს და **დურნუკელთ** ხელი არა ჰქონდეს, დარჩეს საამის შვილებსა (ქსძ, IV, გვ. 229).

დურნუკი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

დურნუკი 1784 – იხ. კურწიკამი

დურნუკი 1788 – იხ. მადანი

დურნუკი 1791 – იხ. შინდისი

დურჩი. მურღული

დურჩი XII ს. – იხ. ირემეთი

დურჩი 1266-1280 – ... დაგიწერე დაწერილი ესე თქუენ, ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა **კორიდეთისასა** მე, ჟანმან ჩიასძემან... პატრონისა ჩემისა, ამირსპასაჰლისა წყალობითა მქონდა **დურჩსა** მამული ორთავე მეფეთაგან: თუით დავით მეფეთა-მეფისაგან და ბერძენთა მეფისა გიორგისაგან... დამიწუ-ეს ღობიერთ ესე **კორიდეთი**. მას ჟამსა, ოდეს ოთხთავი წაიღეს და ეკლესია გატეხეს, მე ჟანმან-ვე მოვჰკიდე ჴელი და ამავ ეკლესიასა დავდევ (კს, 42).

დუს რუ. შიდა ქართლი

დუს რუ 1800 – იხ. **ქარელი**

დუშეთი. შიდა ქართლი

დუშეთი 1669 – იხ. **წილკანი**

დუშეთი 1693 – ჩვენ, ერისთავმან ... გიორგიმ ... თქვენ ... კობიასშვილს ელისბარს ... გიბოძეთ **დუშეთს** გორზამისშვილი თანდილა ... ველით, ვენა-ჴით, მთითა, ბარითა... (დსსი, I, გვ. 91).

დუშეთი 1752 – იხ. **თელავი**

დუშეთი 1759 – Правитель Арагвского ущелья, царевич Ватанг, приказал Лазарю Кобиашвили собирать ежегодно в **Душете** установленную пошлину за привозимые и вывозимые предметы торговли... (ГКГ, გვ. 16).

დუშეთი 1769 – [ერეკლე II-ის წერილი ტოტლებენისადმი]: ... ჯარის გარ-დმოსაყვანათ **დუშეთს** წასულა რომ მოგიწერია, მოგუწონს. ექვსასი კაცი რომ გეთხოვნათ გზის გასაკეთებლად და ასი მარხილი, ჩვენც ქაიხოსრო **არაგვის** მოურავისათვის და კნიაზ ერისთვის ძმის – იესესათვის გვიბძანე-ბია, რომ კაცი მოგართვან... რომელიც რომ ოსმალის ჯარისა **ახალციხი-დამ** მოსასვლელი გზა არის ... იმ გზაზედ სამი ჩვენი უფროსი კაცი ჯა-რით გაგვიგზავნია და **სურამისაკენ** დავაყენეთ, რომ მტერმა ვერ გამოია-როს (მრსუი, III/1, გვ. 492).

დუშეთი 1769 – იხ. **ტფილისი**

დუშეთი 1771 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს ჩოლოყაშვილს გრი-გოლს... **დუშეთს** ჩემ მაგიერათ ეჩივლა ერთს დედაკაცს – შვილს მარ-თმევს და ყმათ იჭერსო. იმისი საქმე ასეა ... გივი **ხანი** რომ **ქალაქში** იჯდა ... იმისი ქმარი შიო **ქალაქს** ... მეპურე ყოფილიყო... იმ ხანში ჩემი კაცები ჩამოსულან ... **ქალაქს** ქარავანში... [შიო და მისი ოჯახი] ოთხი სული **ახმე-ტას** ჩემმა კაცმა მოიყვანა... (ქსძ, VII, გვ. 183).

დუშეთი 1776 – იხ. **ყვავილი**

დუშეთი 1781 – იხ. **პავლეური**

დუშეთი 1782 – იხ. **არაგვის საერისთო**

დუშეთი 1783 – [ერეკლე II-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი] ... გზის გაკე-თებაზედ დიდად გულსმოდგინენი ვართ და გზაზედ ოთხს ალაგს **დუშე-თამდის** ბატალიონებისათვის პურის თადარიქი გაგვიმზადებია (МПТСВГ, I, გვ. 98).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუშეთი 1783 ... შევიყარენით ამხანაკათ ჩვენ, **ქალაქის** მოსახლე ტერ ასატურასშვილი არაქელამ და **დუშეთს** მოსახლე აზიზასშვილი აკოფამ. არის არაქელას მხრივ სამოცდათხუთმეტი თუმანი და არის აკოფას მხრივ ორმოცდაათი თუმანი... (ქსძ, VIII, გვ. 911).

დუშეთი 1783 – იხ. **ყაზბეგი**

დუშეთი 1784 – იხ. **კურწიკამი**

დუშეთი 1784 – იხ. **ტფილისი**

დუშეთი 1794 – იხ. **ფოთი**

დუშეთი 1794 – იხ. **ქალაქი**

დუშეთი 1795 – [ნუსხა თუმანიშვილების დაკარგული ქონებისა]: ... ამ წელს, რაც **დუშეთს** წიწუასშვილის სახლში ჩვენი საქონელი დაიკარგა, თვითეულად ამას ქვეით სწერია... (მსეი, III, გვ. 255).

დუშეთი 1795 – [წერილი შიოშ თუმანიშვილისა ალალო ყორღანაშვილისადმი]: ... ახლა რომ **დუშეთს** ჩვენს დაკარგულს საქონელს ვეძებდით, მაშინ ვისაც აქ მოჰქონდა, მითამ მოქალაქეთ ეხმარებოდა... რუსის მოსვლის ამბავი თქვენც მოხსენებული გექნებათ და ხვალ-ზეგ **თელავით** ჰარაქათს ვაპირებთ... ან **ქისიყს**, ან **ქალაქის** მხარეს მოგვიხდება წასვლა... (სს, III, გვ. 392-393).

დუშეთი 1795 – [წერილი დარეჯან დედოფლისა იოსებ ყორღანაშვილისადმი]: ... ჩვენ **დუშეთიდამ** რომ წამოვედით, ორი კვირა **თიანეთს** დავდეგით და მერე წამოვედით და ახლა **თელავს** ვიმყოფებით... (სს, III, გვ. 294).

დუშეთი 1795 – იხ. **შულავერი**

დუშეთი 1795 ახლოს – [ნივთების სია თუმანიშვილებისა]: ... **ქალაქიდამ** რომ ავიყარენით, რაც ან თან წამოვიღეთ, ან იქ დაგვრჩა, დავსწერეთ... რაც რომ ქალაქიდამ **დუშეთს** გავგზავნეთ, იქ დაგვეკარგა და ვიპოვეთ... ამას ქვეით დაწერილი საქონელიც **დუშეთს** მოსულს საქონელს აკლია... (მსეი, III, გვ. 264-271).

დუშეთი 1796 – Царевич Вахтанг пишет Мтиулетскому мураву Кобиеву, что он хотел армянина Папуа ... переселить в **Душет**... (ГКГ, გვ. 62).

დუშეთი 1797 – [ალმასხან ბატონიშვილის წერილი დარეჯან დედოფლისადმი]: ... **დუშეთის** მახლობელს ადგილებში ყვავილი იყო და იმისის ეჭვისაგან ვეღარ გამოვიდოდი... (სს, III, გვ. 230).

დუშეთი 1797 – [ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი დარეჯან დედოფლისადმი]: ... რომელიც **დუშეთში** სომხები არიან, ისინი რუსეთისაკენ იწევენ და **ქართლსაც** მძიმეთ ირჯებიან... თუ მაინდამ მკვახე პასუხი მოუვათ, სირბილით ჩამოვლენ, მეც ჩემს გარჯას და ცდას არ დავაკლებ... ყაზახნიც გიახლნენ, ასე მოგახსენებს: ... ომარ-ხან და ჰაჯი-აჰმად-ხან ჯოგათაო **ტკურისა** და **ალაზნის** შესაყარში არიან და იბრეიმ-ხანს იქ მოელიანო... მთელი **ყაზახის** აღალარები არიან, სულ აქ გახლავან და თუ მის უმაღ-

ლესობას ამათთან საქმე ქონდეს და ან დასარიგებელი – ებძანოს... (ხსს, III, გვ. 228).

დუშეთი 1798 – ღმერთმან ბატონისშვილის ვახტანგის ჭირი მანუჩარ მდივანს მამცეს. ჭრელასშვილი გიორგი თავისის მიცემულის თამასუქით ცხრამეტს მინალთუნს რომ არის მოსაცემს, ამაზედ შარშანს წინ თქვენ რომ **დუშეთს** გახლდი, იმის შვილს უჩივლე და თქვენგან გვალაპარაკეთ... (ქსძ, VIII, გვ. 455).

დუშეთი 1798 ახლო – [ანგარიშის ნუსხა მანუჩარ თუმანიშვილისა]: ... აღამამად-ხანის გამოისათ ქალაქიდამ რომ ავიყარენით, მაშინ ჩვენი საპალნეები **დუშეთს** აიკლეს... **ზემო ციხის კარიდამ** ჩემის ტივის ხეებიდამ ორი ხე ოქუასშვილმა ზურაბამ ისესხა... მეფეს ერეკლეს დანახარჯი ჰქონდა, რომ იმისი ერთიანი ბარათი ერევანზე მიბოძა. მაშინ ერევნიდამ არ მომეცა, ბარათი ისევ მივართვი და უნდა მებოძოს ... **თელეთელმა** სარაჯმა კაკალამ უნდა მამცეს ... 7 მინალთუნნახევარი... (მსეი, II, გვ. 136-138).

დუშეთი 1798 ახლო – იხ. მარაბდა

დუშეთი 1799 – მეფის ძის იოვანეს ჭირი აბაშიძის იოვანეს ქვრივსა და ობოლს მომცეს... **ქალაქი** რომ იყრებოდა ... აღამამათხან რომ მოვიდა, მაშინ მოლოზანს თავის მამიდას ეთქვა ... აბაშიძისათვის: „ოღონდა აქედამ გამიყვანეო, რაც ვალი ჩემი შენზედ არისო, სულ მიპატივებიაო". მაშინვე ... **დუშეთს** გაეგზავნა [მამიდა]... მათის უმაღლესობის მამითქვენის ოქმი თქვენ გბოძებიათ: აბაშიძის თამასუქიც ქვრივსა და ობოლს გამოურთვიო და ან ყელქცეულისაო და მოეცო... (ქსძ, VIII, გვ. 561).

დუშეთი 1799 – იხ. მთიულეთი

დუშეთი XVIII ს. II ნახ. – იხ. კისისხევი

დუშეთი XVIII ს. მიწ. – **დუშეთიდამ** ჩვენის [ეგნატე თუმანიშვილის] ნაპოვნისა რაც მოვიდა, და ხელმეორედ მეშის ზანდუკში ჩავაწყე... (მსეი, III, გვ. 323).

დუშეთი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. თელათგორი

დღნორისა. იმერეთი

დღნორისა 1760 ახლო – იხ. ნოღა

ებნისი. შიდა ქართლი

ებნისი 1669 – იხ. წილკანი

ებნისი 1781 – იხ. პავლეური

ებუდი. სვანეთი

ებუდი XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

ებუდი XIV ს. – იხ. ლალვერი

ებჟას ვენახი. ქვემო ქართლი

ებჟას ვენახი 1729 – ... ჩვენ, მამშენმა დოლენჯიმ ... შენ, იობს ... ხიზანიშვილის წილი კერძი **ებჟასი ვენახის** ნახევარი მოგეცით ... ნასყიდობით... ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, როგორც სხვას მენასყიდეს ქონია **ებჟას ვენახი**. შენთვინ ხელშეუალათ მოგვიცემია **ბოლნისი** და ნაზარაშვილის მიწა ბანს უკან... (სს, II, გვ. 349).

ეგრენთალა // ეგდეთალას[101]. ქვემო ქართლი

ეგრენთალა 1756 – იხ. ცხეკვი

ეგრისი

ეგრისი 1717 – [ბეჟან დადიანი და შოშიტა ერისთავი პირობის წიგნს აძლევენ გრიგოლ კათალიკოზს, რომ ტყვის სყიდვაში აღარ გაერევიან]: ... ვინც ეს წიგნი ჩვენ მოგვიშალოს, რაც თქვენს **მიჯიეტის** დავთარში წმინდანი სწერიან, ისიმც რისხავს და აღესრულების მასზედა... [წარწერები ბეჭდებზე]: „დადიანობით მიჭმობენ, **ეგრის** მპყრობელად, ბეჟან, ჩრიზ"; „შონა და მსახური ჯვარისა, მპყრობელი **რაჭისა**, ერისთავი შოშიტა" (დსსს, II, გვ. 173-174).

ეგრისი. ქვემო ქართლი

ეგრისი 1687 – ... ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, დიასამიძემ დიასამ ... თქვენ, ლარაძე ზურაბს... თქვენის [უშვილო] ძმის ასიტას წილი **ეგრისი** ხელმწიფემ ჩვენ გვიბოძა სამამულეთ... უშვილოს წილი სახელმწიფო არის და ჩვენ გვიბოძა. ჩვენც უმხროდ ვიყვენით, ერთი შორი ალაგისიო იყო... და თქვენი სამკვიდრო **ეგრისი** თქვენვე მოგყიდეთ... (სს, I, 1899, გვ. 288-289).

ეგრისი 1727 – ... მე ... ლარაძე შიოშისშვილმან ზურაბ ... შენ, ჩემს ბიძაშვილთ ლარაძე პაატაშვილებს ... მოგყიდე **ეგრისს** ჩემი სამკვიდრო მამული, ბარათში გამოტანილი ჩემი წილი მამული, მემკვიდრე და ზედ მსახლობელი [ყმები]... არიან ამისი ... მოწამენი ... **ფიტარეთის** დეკანოზი ნიკოლაოზ... **ეგრისს**–მღვდელი ლაზარე... **გომარეთს** მღდელი ოქროპირი... **აკურისს** – ჭანგურიძე ივანა, **ნიაწარს**–საგინაშვილი დათუნა, **ურცევანს**–ღონიაშვილი დაობ ... **ზეულისტანს**–ბაცაშვილი გიორგი... **ოფრაყალას**–ოსიაშვილი ოსიყმე, **ვარდისუბანს** – ხუციშვილი მახარა, **პატარა ეგრისს**–კაცია, **რეგა-**

[101] ალბათ, იგივეა რაც **ერგენთალა**.

შენს–ლომიაშვილი ებალა, სხალნარს–ბასილაშვილი ლამაზა, ნაქალაქ-ქევს–მღვდელი ბასილი, ქციას – დეკანოზი მახარებელი ... მე სიონის დეკანოზისშვილს იოსეს დამიწერია და მოწამეცა ვარ... (სს, I, 1899, გვ. 291-292).

ეგრისი 1749 – [ოქმი ანახანუმ დედოფლისა]: ... გერმანოზისშვილო ოთარო! მერმე ორსავ **ეგრისებში**, ჩამძვრალას და **ქციას ჭანდარს** ჩვენს სახასოში ვისაცა ჭირნახული ედგას–პური თუ ქერი, ფეტვი თუ რამ ფერი, ყველაზე სამართლიანის საქმით დალა აიღეც საჩვენოთ (დსსი, I, გვ. 343).

ეგრისი 1763 – იხ. დიდი ეგრისი

ეგრისი 1772 – ორბელიანი სარდარი დავით უჩიოდა მირზაშვილებს დავითს და ნიკოლაოზს: ჩემი ნასყიდი **ეგრისს** ნასახლები გლეხები ... ლეკის შიშისაგან პაპაჩემმა ქაიხოსრო სარდალმა, **ხანჯან რომ ქართლში** ხანად იჯდა და **ჯავახეთს** გარდაიყვანა. და ნიშანს ამას ამბობდენ ის გლეხნიცა: **ანანური** რომ ლეკისაგან დაიწვა და მისი ხალხი დატყვევდა, ჩვენ ისევ **ეგრისს** ვიღეგით და მერმე წავედითო, **ჯავახეთს** ცოტა ხანი ვიყავით, მერმე ... მეფის თეიმურაზისა და დედოფლის თამარის მეფობაში გარდმოვედით ცოტას ხანს აბაშიძეებთან და ვიყავით; მერმე **შინდისს** მოვედითო; და ამ გარდმოსვლის ჟამს მირზაშვილებიც ემოწმებოდენ... [განაჩენი]: **ანანურის** წახდენის ქრონიკონი იყო უკზ, [ხოლო] ... დედოფლის თამარის **ქართლში** დედოფლობის ქრონიკონი იყო ულგ... ამ კაცთ **ჯავახეთს** ამ ანგარიშით რომ ექვსი წლის მეტი არ დაეყოთ ... სარდარს დავითს დარჩა... (ქსძ, IV, გვ. 637-638)

ეგრისი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

ეგურისპირი. ოდიში

ეგურისპირი 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

ეგღეთალა – იხ. ეგრენთალა

ედენ. სვანეთი

ედენ 1503 – იხ. რაჭა

ევჟეტი. კახეთი

ევჟეტი 1579 – იხ. მცხეთა

ევსტატეწმიდა იხ. ერთაწმინდა

ეზატ-გუდალეთნი // ეზატ-გუნალეთი. შიდა ქართლი

ეზატ-გუდალეთნი 1488 – იხ. თელოვანი

ეზატ-გუნალეთი 1741-1747 – იხ. ახალქალაქი

ეზატი. შიდა ქართლი

ეზატი 1392 – იხ. ტფილისი

ეზატის წყალი. შიდა ქართლი

ეზატის წყალი 1635 – იხ. ენაგეთი

ეზმი. კახეთი (?)

ეზმი 1743 – [ოქმი თეიმურაზ II-ისა ყიასასადმი]: ... სადაც ეზმშიც ყმა ჩამოსულიყოს, ახლავე აყარე და ცელშიგ მიაბარე... (დსსი, I, გვ. 408).

ეზრაშვილის მამული. შიდა ქართლი

ეზრაშვილის მამული 1488 – იხ. თელოვანი

ეთვალისი. შიდა ქართლი

ეთვალისი 1669 – იხ. წილკანი

ეთვალისი 1781 – იხ. პავლეური

ეთვალისი XVIII ს. II ნახ. – იხ. კისისხევი

ეივაზლუ – იხ. აივაზალუ

ეკალაური ხოდაბუნი. შიდა ქართლი

ეკალაური ხოდაბუნი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ეკალი. ოდიში

ეკალი 1616-1639 – იხ. ხაუჟელი

ეკალი 1628 – იხ. ღალიძგა

ეკი. ოდიში

ეკი 1616-1639 – იხ. ხაუჟელი

ეკი 1629 – შენ ... ბიჭვინტისა ღთისმშობელო, ჩუენ ... ჭილაძემან ... ლომკაც ... მოგახსენეთ ... საკანონოდ ეკას ორი კუამლი კაცი ხელშეუალად... (დსსს, I, გვ. 47).

ეკი XVII ს. – იხ. სენაკი

ეკი 1707 – ... ჩვენ ... ლიპარტიანმან ... გიორგი ... შემოგწირეთ შენ ... ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვის ეკს ნათლისმცემელის საყდარი მისის სამკუიდროთ სამწყსოთა ... რაც ამ საყდარს შესავალ-გამოსავალი აქვს... (დსსს, I, გვ. 96-97).

ეკი 1733 – იხ. ბარისთავი

ეკლესია. ქვემო ქართლი

ეკლესია 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

ელაზნაური. იმერეთი

ელაზნაური 1550-1570 – იხ. ღვერე

ელაზნაური 1754 – იხ. ხარაგაულის ციხე

ელი. სვანეთი

ელი XV ს. – იხ. ლატალი

ელი XV-XVI სს – იხ. წურემი

ელიას გორა. კახეთი

ელიას გორა 1790 – იხ. ხოდაშენი

ელიას ქვა // ელის ქვა. ქვემო ქართლი

ელიას ქვა 1661 – იხ. ვერხვნალა

ელიას ქვა 1689 – იხ. კრეფა

ელისნელი // ენისელი. კახეთი (საინგილო)

ელისნელი 1579 – იხ. მცხეთა

ელისნელი 1710 – იხ. კაწარეთი

ელისნელი 1744-1762 – იხ. კახეთი

ელისნელი 1770 – იხ. ტფილისი

ელის ჯვარი. სვანეთი

ელის ჯვარი XV-XVI სს – იხ. წურმი

ელფია. ქვემო ქართლი

ელფია 1591 – იხ. ამლევი

ელფია 1642 – იხ. ბუჯღულეთი

ელფია 1657 – იხ. აკურისი

ელფია 1713 – იხ. გუნანეთი

ელფია 1713 – იხ. ღოლოვნა

ელფია 1733 – ესე წიგნი მოგეცი მე, ერასტიმ თაქალათოიანმა შენ, ქაიხოსრო თაყაშვილსა, ასე რომე **ელფიას** გედავებოდი და იმისი სამუქფო სხვა მამული გამოგართვი... (სს, I, 1920, გვ. 88).

ელფია XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ელფია 1785 – [ნასყიდობის წიგნი ბარათა ზაზუნასშვილისა ერასტი გოსტაშაბისშვილისადმი]: ... **ელფიას** სამი საკომლო მქონდა: ერთი საკომლო ნამანგლელავისშვილს მივყიდე და ორი საკომლო ... შენ მოგყიდე... (სს, I, 1899, გვ. 463).

ელფია 1792 – იხ. ირაგა

ენაგეთი. კახეთი (?)

ენაგეთი 1690-1696 – იხ. გარეჯა

ენაგეთი. ქვემო ქართლი

ენაგეთი 1523 – იხ. მძოვრეთი

ენაგეთი 1543 – იხ. სხალნარი

ენაგეთი 1630 – ... ჩუნ, მეფემან ... სუიმონ ... თქუენ ... ბარათაშვილს ... ქაიხოსროს ... გიბოძეთ **ენაგეთს** მემშვილდის-შუილისეული მამული და საკუთამლო ... ყოელისა მისის სამართლიანის სამძღვრითა... **ენაგეთის** მოურავო, მერმე თქვენცა ასრე გაუთავეთ... (ქსს, გვ. 81-82).

ენაგეთი 1633 – იხ. ზემო ოძისი

ენაგეთი 1635 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... თქუენ ... ყორღანაშვილთა იარალის ... საბოლოდ დაგიმკვიდრეთ ... თქვენი მამისა და პაპის მამული, **ენაგეთს** რისაც მქონებელ იყუნეთ სახასოსა ანუ გლეხებისა და ანუ საკომლოსა და ანუ ნასყიდებისა. აგრეცე–**არდასუბანს**, აგრეცე **ციხისს**. კიდეცე ერთი საგლეხო სოფლის მეოთხედი თქუენისავ განაყოფის ამოვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნილის შერმაზანის კერძი ბარათაშვილის გერმანოზისა ... მოსყიდული... იქვე **ენაგეთს** თქუენი მამული მერაბისაგან ერთგულობითა და ნამსახურობით ყაენის კარიდამ ნაშოვნი მთელი მამული ... მთითა ბარამდე უნაკლოდ; **დურნუკის** ბოლოს ნაოხარი ნასოფლარი ჯიგრაშენი და მისი სამძღვარი ერთგნით ქვემოთ მხარი, **ქალაქური შარა** რომ **ღოლოვნის** თავს გაიარის, იმის ზედა არის; და მეორე–ღუინჭრობიდამე შარა შემოივლის, ბრინჯის ხეს ზედა არს მისი მზღუარი, ზედათ **დურნუკისა** და **ჯიგრაშენის** სამძღვრი **მეფის სარბევის** თავს რომ პატარა ღელე ჩამოიარს, იგი არის კიდევე **ლისის** ჯავახიანთაგან სააკაძეს მოურავზედ მოსყიდული სოფელი **წოდორეთი** დაგიმკვიდრეთ და ... აგრევე **ქციის** გაღმა ამოვარდნილის ბარათაშვილი იოპას კერძი სოფელი **შოშილეთის** საკუამლო ორი... **წოდორეთი** ჯავახიანთაგან ეყიდათ. ორი იმაზე მსახლობელი გლეხი–მირიანაშვილი პაატა, მეორე ბობაშვილი ქემაროზა; მთაში ნაოხრის **შინდაკრავითა**; კიდევე თავითგან ჩუენი სახასო ყოფილიყო, და მერე არდაზიანდისშვილებისა ნაქონი; **ვერისხევში** სოფელი **ვანანი**, ერთი გლეხი და ერთი ნაოხარი საკუამლო; ჩვენივ სახასო ნაოხარი ნასოფლარი **მოქრისი**; ნაოხარი **ფიცხისი**; კიდევ მერაბ ძმათაგან რომე ცალკე ყოფილიყო და ცალკე ყოფაში ჩუენს ძმისწულს მეფე სუიმონს ნაოხარი **ზემო შავნი** ებოძებინა, მერმე ბარათაშვილი გოშტაშან შემოსცილებოდა, გოშტაშაბისაგანაც ეყიდა ... [და] მონასყიდობის წიგნიც გუიჩუენა. ჩუენცა ხელახლა სამკვიდროდ ... დაუმკვიდრეთ და დაუმტკიცეთ **ვილოვნის ხევს**[102] მისის მონასტრითა, რასაც ის ხევი შეიტანს, **დიდგორზე სადიღმო შარამდისინ, სხალხარიდამდე** რომ **დიდგორის** შარა შემოივლის, **ქუეშეთი** ბოლს სამძღვარი სარწის **ხევი** შარამდი; და რასაც ის შარა შეიტანს, **მოქრისის** სამძღვრამდისინ. კიდევ მერაბის ცალკე ყოფაში დიდს შიმშილობაში **ვანაელის** მემკვიდრის გლეხის იორდანასაგან იორდანასივე ნასყიდი ერთი სასახლე მერაბისათვის მოეყიდათ მისის ყოვლის გარეშემოთა, უკლებელივ ოთხის დღის მიწა, ორი დღის სასახლის კარში და ორის დღისა–შარას ზედით **გრძელს მიწებში**. კიდევ ... გიბოძეთ ამოვარდნილის მიწობლობის სამკუიდრო მამული სოფელი **გუდალეთი**, მისის მონასტრითა, სასახლითა და სასახლის ხოდაბუნებით და მეფეთაგან მინდორში ხატისათვის შეწირულის მიწებითა... **წინარეხის** ბოლოს საკაძის მოურავის ნაქონი სასახლე და ზუარი. ესე ამრიგად ერთობით და ხელშეუალებლად, **ეზატის წყალს** გამოღმართი დაგიმკუიდრეთ... (ქსის, გვ. 120-122).

ენაგეთი 1643 – ... ჩუენ მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშვილს ფარსადანს ... **ენაგეთს** ხუცისშვილი და ფირუაშვილი მათის მამულითა და ნასყიდითა... (ქსის, გვ. 175)[103].

ენაგეთი 1647 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... თქუენ ... ჩუენსა დისწულს ასან-ბეგს ... გიბოძეთ **ენაგეთს** [ყმა-მამული]... (ქსის, გვ. 200).

---

[102] ღოლოვნის ხევს?

[103] სპარსულ ტექსტშია: „... ვუბოძეთ [ბარათაშვილს] ... საბარათიანოს სოფელ დიღომს მცხოვრები ორი კომლი...“ (ქსის, გვ. 176).

ენაგეთი 1658 – ... მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... თქუენ ... ბარათაშვილს... პაპუნასა ... გიბოძეთ **ენაგეთს** [თქუენი სამკუიდრო ყმა-მამული] ... და თქუენი სახახლე ამლივიც ... გითარხნეთ (სს, I, 1899, გვ. 424).

ენაგეთი 1661 – ... ჩვენ, გოსტაშაბის-შვილმა პაპუნამ ... თქვენ ასანბეგის-შვილს თაყას ... რომე ... მოგიცვალეთ **ენაგეთს** ჯანიკას-შვილები სამთავ კომლი მისის მამულითა... **პაპისგორში** ხუთის დღის მიწა: კიდევ ვალი გემარითათ და ვალი გარდაგიწყვიტე ამის სანუქოფო გამოგართვი **ტაბისში** რისაც მქონებელი იყავ (დსსი, I, გვ. 39).

ენაგეთი 1664 – [მეფე გიორგიმ] თქუენ ... ყორღანაშუილს ... შაველის ... გიბოძეთ წინასვე თქუენგან ნაქონი **ენაგეთს** ვახტანგიშვილი დათია და მისი განაყოფი სარქისა... (სს, III, გვ. 203).

ენაგეთი 1671 – იხ. **ტბისი**

ენაგეთი 1679 – ... მე, ბარათაშვილმა ქაიხოსრო თქვენ ... გოსტაშაბის-შვილს პაპუნას ... გირაოთ დაგიდევით [ყმა-მამული]: **ენაგეთს** ... [და] **ტბისს**... [აგრეთვე] **ენაგეთს**, რაც შენი წილი მამული იყო და ჩვენ გვეჭირა, სრულ ყველა გირაოთ დაგვიდებია... **ტბისს** დოლენჯიშვილები ... **ხვინთას** გარდაის, **ტბისს** რომ ხოდაბუნის ნაჭერია, იმას გარდაის, რისაც მამულის მქონებელი იყვნენ... (ქსძ, VIII, გვ. 855).

ენაგეთი 1680 – ... ჩვენ ... ბარათაშვილმან ... ქაიხოსრომ ... მოგყიდეთ შენისავ მამა-პაპათა და შენი სამკუიდრო მამული და გლეხები თქუენ, ბარათაშვილს გოსტაშაბიშვილს პაპუნასა... როდისაც მამაშენი გოსტაშაბ ურუშთ მოეკლა ... მაშინ შენი სამკუიდრო მამული და გლეხები მამაჩემს დაეჭირა... ჰელაჰლა მოგყიდეთ ... [ყმა-მამული] **ენაგეთს** ... [და] **ტბისს** რომ ხოდაბუნის ნაჭერია, იმას გარდაის... არიან ამისნი მოწამენი ... **ბლორძელი** ოტია... (დსსი, I, გვ. 67).

ენაგეთი 1689 – ... მეფეთ-მეფემან ... ნაზარალიხან ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქვენ ... ჩვენს სახასო აზნაურშვილთ ყორღანაშვილებს... დღეს რისაც მამულის მქონებელი ან **ენაგეთს**, ან სხვაგან იყუნეთ, არ დაგამცირო... (სს, III, გვ. 4).

ენაგეთი 1696 – ... ჩვენ, გოსტაშაბისშვილმან პაპუნამან ... თქვენ, ... სადუნიშვილს პეტრე შვილებსა გიორგის ... მოგეცით **ენაგეთს** შენს წილს გარეთ შენის განაყოფის აბრამის კერძი მამული... მე **ახალციხელს** კოპიანთ ოჰანას დამიწერია და მიწამეცა ვარ.. (სს, I, 1899, გვ. 433).

ენაგეთი 1699 – იხ. **მჭედლური ტყემლის მიწა**

ენაგეთი 1701 – ... მეფეს, პატრონს ნაზარალიხანს ... ბარათაშვილმან თამაზამ ... მოგყიდეთ ... ერთი საკომლო მამული **ენაგეთს** სურმაშვილის სახლკარი ... [და] მიწა ოცდათორმეტი დღისა: ორის დღისა **თავწვერის** გვერდში, ორის დღისა **კაჭკაჭის ხევში**, ორის დღისა **კვესიას მიწასთან** ძეძვნარში, ორი დღისა **ახალშნურს მინდორში**, შარაზედ საქცევში მისდევს, სამის დღისა **არდასუბნური შარა** რომ გაივლის, ორის დღისა კიდევ **ახალშნურს** მიწაში ნასოფლარში, ოთხის დღისა **პაპისგორში** გვერდში, ექვსი დღისა ...

მარილობის ხევის პირში, ოთხის დღისა **დამპალაში** კუნელს ზედათ ძეძვნარი და მიწა, ორის დღისა ბოჭოლაურში, სამის დღისა **მოკლე მიწაში ჭაბუკაშვილის წისქვილის** გზა რომ გაივლის ზედა საქცევში, ერთი დღის მიწა დამპალაში როსტომაშვილის მიწის მიდგმამდინ, ერთის დღის **ენაგურს ხევში** გზა რომ ჩავა პირშედმა (სს, I, 1899, გვ. 439-440).

ენაგეთი 1701 – იხ. **აკურისხევი**

ენაგეთი 1707 – იხ. **მეღრევი**

ენაგეთი 1708 – იხ. **გარეთუბანი**

ენაგეთი 1710 – მეფის ვახტანგის ბრძანებით მოვედით ჩვენ, ერისთვის ძე ... ზურაბ, **წინწყაროს** მამასახლისი ავთანდილა, ჩვენ მოვაყვანინეთ ... ბატონი ბარათაშვილების ყმანი **ენაგელნი** მემკვიდრენი და ყორღანაანი და ... ასე გავარიგეთ: **ენაგეთი** გავჰყავით ხუთ ჩარექათა... სახასო ყმანი **ენაგეთს**: დავრეშაშვილი გიორგი... **ახალშენს** მჭედელი (დსსი, I, გვ. 143-144).

ენაგეთი 1710 – იხ. **დურნუკი**

ენაგეთი 1710 – იხ. **საძელის უდაბნო**

ენაგეთი 1712 – ... ჩვენ, საქართველოს მჭონებელმან ... ბატონიშვილმან ... ვახტანგ ... შე, გაბაშვილს წინამძღვარს იოსებს ... **ენაგეთს** აბულაშვილის საკომლო ... გაგითარხნეთ... (დსსი, I, გვ. 153).

ენაგეთი 1713 – იხ. **ღოლოვნა**

ენაგეთი 1714 – [წყალობის წიგნი რუსუდან დედოფლისა იესე გერმანოზისშვილისადმი]: ... **ენაგეთს** ექვსი კვამლი კაცი გასამყრელოთ აგარ თვით... [შემდეგ] გიბოძეთ **ენაგეთს** თქვენი ბარათში გამოყოლილი [სამი კომლი]... (დსსი, I, გვ. 161).

ენაგეთი 1733 – ... ჩვენ **ენაგეთის** ბატონი მუსტოფა-ბეგ შენ ჩვენსა გლეხსა ხატისა ... გიბოძეთ პარნუმეკასშვილის მამული თავისი ვენახითა, მიწითა, წყლითა... (სს, I, 1899, გვ. 393-394).

ენაგეთი 1738 – [თავდახსნილობის წიგნი ზაზა სოლაღაშვილისა ბადღუა ზურაბაშვილისადმი]: ... **კახეთს** დაობლებულიყავით, იქ ლეკის შიში შემოვარდნილიყო და ზაალ ყორღანაშვილს გამოესხით და **ენაგეთს** დაზდილიყავით... (დსსი, I, გვ. 281).

ენაგეთი 1740 – იხ. **ციხია**

ენაგეთი 1749 – ... მეფის ვახტანგის ბატონობაში გერმანოზისშვილი იესე და მისი ძმისწული დათუნა გაყრილიყვნენ და ბატონს გასამყრელო აეღო. ამ გასამყრელოსი ნახევარი. იესესათვის ებოძა **ენაგეთს**... ოსმალოს დროს რომ საქმე გასჭირებოდა, ოთარი **საათაბაგოში** გადავარდნილიყო და გერმანოზ ... ეს **ენაგეთს** სამი გლეხი ყორღანაშვილის ხალიასთვის ... მიეყიდნა... (ქსძ, IV, გვ. 378-379)

ენაგეთი 1750 – ... ესე წიგნი მოგეც მე, ზაზუნაშვილმა ზაზამ შენ, გოსტაშაბისშვილს დავითს, ასე რომე, შენ ჩემი მამული გეჭირა, სხვა სულ დავიხსენ შენგან. **ენაგეთს** ერთი კომლი კაცი ყორღანაშვილისათვის მიგეყიდა, იმაზედ ჩივილს ვაპირებ... (დსსი, I, გვ. 48).

ენაგეთი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ენაგეთი 1751 – იხ. ახალშენი

ენაგეთი 1753 – იხ. ალგეთი

ენაგეთი 1756 – იხ. ცხეკვი

ენაგეთი 1762 – ... ჩვენ, გერმანოზისშვილმა ომან ... თქვენ, თავქალაშვილს, ერისთვის ნაზირს, გიორგის ... მოგყიდე ჩემი ალალი ყმა ... უსტაშვილი ენაგელი ბეჭანა... მოწმე და დამსწრე ... **კარალელი** მამასახლისი გიორგი, და **რეხელი** მამასახლისი სულიაშვილი პაპუნა ... და მე, **უფლისციხელს** ხუცისშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი... (სს, I, 1920, გვ. 95).

ენაგეთი 1769 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... **ენაგელს** ... ყორღანაშვილს თარხანას მოსცეს... მამულზედ ნაკლებათ გახლავარ ... [და] იმ ჩვენს ხარაბას სოფელში **ენაგეთში** ერთის ჩემის მეზობლის თქვენის სახასოს ამოვარდნილის კაცის დაყრეშაშვილის ბეითალმანის მამულის წყალობა მიყავით... (ქსძ, VII, გვ. 151).

ენაგეთი 1784 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ერთობლივ ყორღანაშვილებს მოსცეს. **ენაგეთს** ორიოდ ნასოფლარი გვაქვს სათივეთ და ცხენებს ჩაბმულ ხოლმე, გვიხდენენ; ნიგვზები და ხეხილი გვიდგას სოფელში და **ალგეთზე**, გარეშე კაცნი ჰკრეფენ, გვიბერტყენ; მიწებსა და ნავენახობებს გვიხნევენ, არც გვეკითხებიან და არც დალას გვაძლევენ... (ქსძ, VII, გვ. 622-623).

ენაგეთი 1796 – იხ. გოგისოფელი

ენაგეთი 1797 – ... ბატონს ყორღანოვს მირიშქარი იოსებ ... მოვახსენებ... სამკვიდრო ენაგეთი დიდი ხანია მგლების ჭელშია და **ტფილისში** მოხეტიალ. ისიც ამ ყოფაში ჩავარდა (სს, III, გვ. 363).

ენაგეთი XVIII ს. – იხ. დმანისი

ენაგეთის არხი. ქვემო ქართლი

ენაგეთის არხი 1751 – იხ. ახალშენი

ენაგური გზა. ქვემო ქართლი

ენაგური გზა 1751 – იხ. ახალშენი

ენაგურის ხევი. ქვემო ქართლი

ენაგურის ხევი 1701 – იხ. ენაგეთი

ენეში – იხ. იონაში

ენისელი // ენისელები. კახეთი

ენისელი 1392 – იხ. ტფილისი

ენისელი 1504 – იხ. ვეძისხევი

ენისელი 1584 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... ალექსანდრე ... თქუენ ... ჯანდიერიშვილს ასლანს ... გიბოძეთ თქუენთუის სამკუიდროდ **ენისელთათ** ჭავჭავასძის გარსევანისეული კაცი კუამლი ექუსი და ყუორყუი ერთი, სკანს დანიელაშვილი... **გორამიყარს** გოგოლასეული კაცი კუამლი ორი, ბარაუნთათ ჭალალდასეული კაცი კუამლი ერთი, კიდევე **ბარაუნში** ჯანაა-

ნი კაცი კუამლი თქუსმეტი... **ახმეტას** ვენაკი ერთი ჯოთენურისეული... (დსხი, I, გვ. 360-361).

ენისელი 1662 – იხ. **სუხნანი**

ენისელი 1678 – იხ. **ალავერდი**

ენისელი 1688-1694 – ჩვენ, ერისთავმა გიორგიმ, ჩვენი მემკვიდრე ყმა ... მოგართვით, თქვენ, ბიძა ჩვენს **ენისელთ** მოურავს სულხანს ... **არღუნელი** თამზა... ამ დროს აბაზყული-ხან რომ ჩვენი გლეხი, ვინც **კახეთში** იყო, აყარა და ჩვენ მოგცა და წამოვასხით (დსხი, I, გვ. 371).

ენისელი 1698 – ჩვენ ... ყარაბაღის ბეგლარბეგმან, კახეთის ჰაქიმ ქალბალიხან, ესე ... წიგნი გიბოძეთ შენ ... **ენისელის** მოურავის შვილს მერაბს, ასე რომე, სადამდინ ჩვენ ბედნიარი ხელმწიფე **კახეთის** წყალობას გვიზამდა, უწინავე თქვენი აშლა მომხდარიყო, **ენისელთ** მოურაობა წაერთმევინათ და ნოდარისათვის მიეცათ. ახლა ისრევე თქვენთვის წყალობა გვიქნია და ... რაგვარადაც **ენისელი** ან მამასა და ან პაპასა ჰქონებოდეს, ან სახელო ან ყმა ან ზავთი, ისევ თქვენთვის გვიბოძებია... (ქსის, გვ. 388).

ენისელი 1701 – იხ. **ნაპაჭკისევი**

ენისელი 1703-1716 – [ბრძანება იმამყული-ხანისა]: ... **ენისელთ** მოურავს ... ასე მოახსენეთ: აწე, **ენისელში** ჩვენს სახასოს, თუ საბატონოს კაცის შვილს ყმას აბრეშუმი დაეჭიროს, მანამდის ჩვენს კარზედ ნიხრი არ გაგაკვეთინოთ, ან სოფელში სომეხს არ მიყიდონ და ან სხვაგან არ წაიღონ გასასყიდლად (მსეი, II, გვ. 275).

ენისელი 1710 – იხ. **კაწარეთი**

ენისელი 1722 – იხ. **მარტყოფი**

ენისელი 1722 – იხ. **სარუსთველო**

ენისელი 1735 ახლო – ჩვენი [თეიმურაზ II-ის] ბრძანება არის **ენისელთ** მოურავო და თარხანო ... ვინც **ენისელის** მოხელენი იყვნეთ... ბატონის ალავერდელის სამწყსო ხართ, რაცა უნდა ხიზნათ იყვნეთ, ამისი მამათმთავრობა ისაქმოს... ძველთაგან ასე ყოფილა (ქკმეის, გვ. 234-235).

ენისელი 1756 – იხ. **ალვანი**

ენისელი 1784 – იხ. **ნაფარეული**

ენისელი 1796 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... რომელნიც ჩვენი მოსაქმენი და მოასილნი **ენისელში** მიხვიდოდეთ, **ენისლის** ნაცვლის შვილებს სანატრელის პაპის ჩვენის მეფის თეიმურაზის წიგნი აქვთ, ყოველისფრით გააზატებულნი არიან. ამათი ხარჯში გარევა არ იქნება და ნურც გარევეთ (ქსძ, VIII, გვ. 381).

ენისელი 1798 – [არზა ერეკლე II-ის დისწულის მარიამისა გიორგი XII-ისადმი]: ... თქვენის ხელმწიფის მამისაგან განწესებული **ენისლიდამ** ორი მსახური მყვანდა... აქამდისინ იმათ ხარჯი არ გამორთმევიათ... (ქსძ, VII, გვ. 496-497).

ენისელი 1799 – იხ. **აღდგომის სოფელი**

ენისელი – იხ. ელისნელი

ენჩო. კახეთი

ენჩო 1670 – იხ. შაბადინი

ეჟუანთა ქედი. კლარჯეთი

ეჟუანთა ქედი 1054-1072 – იხ. ქუთაისი

ერგნეთი // ერკნეთი. შიდა ქართლი

ერგნეთი 1451 – იხ. ცხინვალი

ერგნეთი 1736-1744 – იხ. მოხისი

ერგნეთი 1756 – იხ. ზემო ქართლი

ერგნეთი 1772 – იხ. ხეობა

ერგნეთი 1774 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ხერხეულიძე იოანეს. ერგნეთს წყალი ქორდულის რუდამ ჰქონდა. ახლა იმ წყალს დიცელები აღარ მანებებენ... (ქსძ, VII, გვ. 251).

ერგნეთი 1779 – იხ. ცხინვალი

ერგნეთი 1789 – იხ. უფლისციხე

ერგნეთი 1793 – [განაჩენი თაქთაქიშვილთა დავაზე] ... ერგნეთს ცინცალაძის ვენახი ... თუ ნასყიდი არავის ექნება, დარჩება იესეს ის ვენახი... კუსურეთის სასახლეც დავანებეთ ... (ქსძ, V, გვ. 594-597).

ერგნეთი 1795 – იხ. ერედვი

ერგნეთი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ერგნეთი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. გორი

ერგულანი. კახეთი

ერგულანი 1722 – იხ. მარტყოფი

ერდო // ერდონი. ქვემო ქართლი

ერდო 1591 – იხ. ამლივი

ერდო 1628 – იხ. ამლივი

ერდო 1711-1714 – იხ. წერაქვი

ერდო 1713 – იხ. გუნანეთი

ერდო XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ერედა. შიდა ქართლი

ერედა 1690-1696 – იხ. გარეჯა

ერედა 1788 – ... მე, ფიცხელაურმა ... ბერმა შენ, ფიცხელაურს არჯევანს ... მოგყიდე ჩემი წილი, რაც ერედას და საკირის ხევს რაც მიწის წილი მერგებოდა საწილოსშია... (სს, II, გვ. 474).

ერედა 1789 – მე ... ბერმან ... მოგყიდე ერედას მამის და პაპის ალალი მამული ... შენ, ჩემს ბიძაშვილს არჯევანს სალთხუცეს... (სს, II, გვ. 474).

ერედვი // ერედი // ერეთი. შიდა ქართლი

ერედვი 1392 – იხ. ტფილისი

ერედვი 1529-1530 – იხ. **ვეძისი**

ერედვი 1559 – იხ. **სხალდიდი**

ერედვი 1574 – იხ. **ყურისუბანი**

ერედვი 1610 – ... კათალიკოზმა ... ზებედე ... გიბოძეთ ... ელიოზისძეთა გედვონის შვილთა ... **ერედვს** გელაშვილი გიორგი, დათუა, მისის მამულითა... კიდევ გიბოძეთ **სათიჭარი** მისის მთითა, ბარითა... (ქსძ, III, გვ. 389-391).

ერედვი 1720 ახლო – იხ. **თრიალეთი**

ერედვი 1768 – იხ. **ზემო ქართლი**

ერედვი 1772 – იხ. **ხეობა**

ერედვი 1773 – [არზა იოსებ გლურჯიძისა] ... ელისბარ მოლარეთუხეცესს ხიზანი თავის მოყვრისას **ერედვსა** ჰყუანდა. მიბრძანა: თან მეახელი, **ერედვიდამ** ხიზანი **გორს** მინდა მოვასხაო... (ქსძ, VII, გვ. 229).

ერედვი 1774 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთაო)**

ერედვი 1776 – ფანველიშვილი გლახა თავის სახლისკაცს ქაიხოსრო ფანველიშვილს **ერედვის** კვირიკაშვილის მამულზე უჩიოდა. ეს კვირიკაშვილი გლახას წილი იყო (ქსძ, V, გვ. 14).

ერედვი 1781 – იხ. **ისროლისხევი**

ერედვი 1783 – იხ. **ფავნისი**

ერედვი 1783 – იხ. **ნიქოზი**

ერედვი 1789 – იხ. **გორი**

ერედვი 1793 – [წერილი სოლომონ მეითრისა დავით თარხნიშვილისადმი]: ... ბატონს ... ვაძლევ მთლად რაც **ერედვში** წილი მაქვს და ამას სამაგიეროთ **ხიდისთავსა** ვთხოვ... მეორეს ამას ვეუბნები: ... ორას თუმანს მოგარდმევ და ხიდისთავი მიბოძე-მეთქი... იულონ ბატონიშვილიც მელაპარაკება, ასე შემოთვალა: **თელეთგორს** და **გომიჯვარს ოხერას სამებას** მოგცემ... ერთი კიდემ ასე: აქაც აქვს მამულები ბატონს. თუ მოვინდომებთ, მოვიცვლით, ერთი **ნაზარქანთი** და **სამაჩვეთი** თხუთმეტის კომლის კაცით. ერთი ნაჯბადინი, ერთი **ხიდისთავი** ... სარდალმაც და, ვინც ჩვენში არიან, იმათაც ასე ამჯობინეს, **ხიდისთავი** რომ გამოვიცვალოთ... (მსეი, III, გვ. 249-251).

ერედვი 1795 ახლო – [ჩამოთვლილია რუსებისათვის მისასყიდად შეწერილი ფქვილის გადამხდელი სოფლები]: **ერედვი, ქორდი, დიცი, ტირძნისი, ბროწლეთი, მეღვრეკისი, ერგნეთი, საბაწმინდა, ხეითი, ძერწემი, ქემერტი, კუხვი, ქურთა, აჩაბეთი, თამარაშენი, დგვრისი, ქცხინვალი, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, ყელქცეულა, ფხვენისი, შინდისი, ვარიანი, საქაშეთი, არაშენდა, დედისთავი, ახალდაბა, თედოწმინდა** (მსეი, III, გვ. 104-105).

ერედვი XVIII ს. მიწ. – იხ. **სურამი**

ერევნის მთები. ქვემო ქართლი

ერევნის მთები 1783 – [ერეკლე II-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი] ეს ლეკის ჯარები ... გაბაფხულზე, მთის გზები რომ გაიხსნება, **ერევნის მთის**

ალაგების გზებზე გაივლიან და ახალციხის ფაშა რადგან კაცს უგზავნიდა და იბარებდა, იმასთან მივლენ. ... **ახალციხეში** მყოფს ჭურდს ლეკებს ჩუენის ქვეყნდამ ცხენები დაეპარათ, იმ ცხენების პატრონი ჩვენი კაცი ახალციხის ფაშასთან მისულიყო და ცხენების ლეკებისგან დაპარვა შეეჩივლა (მიიტსგ, I, გვ. 130).

ერეთი – იხ. **ერედვი**

ერეკლეს ციხე // ირაკლის ციხე. თბილისი

ერეკლეს ციხე 1781 – ... ბატონის ბრძანებით **ერეკლეს ციხე** ავწერეთ მე, ომან ლაშქარნივისმა და ყორიასაულბაშის ნაიბმა ფავლენის შვილმა გლახამ. **ერეკლეს ციხიდამ** აზატი ყოველისფერში, სალეკოშიც და საქვეყნოშიაც, თოფჩი ბერუა... აქავ მოყალნე ბატონის ყმა გალუსტაშვილი გოგია... აქავ **კარისა მღთისმშობლის** ყმა მჭედელი მამაჯანა... აქავ ხიზანი კათალიკოზის ყმა ხალათა... აქავ ხიზანი თბილელის ყმა აბრამა... **კუკიას** სახასო მამასახლისი ანდრია... სახასო **კუკიელი, ქალაქში** მდგომი, მჩითავი გიქუა... აქავ **კუკიას** მდგომნი სახასო **დიდუბელნი,** ბერელას შვილი მიქელა... აქავ სახასო **დიდუბელი, ქალაქში** მდგომი ელიას შვილი პავლე... აქავ **კუკიას** კათალიკოზის ყმა ზაზანას შვილი ბერუა... აქავ ამისი ყმა **ხრამელი** ბაბანას შვილი გოგი... აქავ **კუკიას** ამბარდნის ქიტესას ყმა ოსეფა... აქავ ხიზანი, დემეტრე ეშიკაღას ბაშის ყმა არუთინა... **დიღომს** აზატი თეთრაძე მამასახლისი გაბრიელი... აქავ **დიღომს** მოყალნე ხელას ბიჭი ივანე... აქავ მოყალნე **საერისთოდამ** მოყვანილი თეთრა... აქავ კათალიკოზის ყმა ზანდარაშვილი დავითა... აქავ მუხრანის ბატონის ყმა კოლოტაური იესე... აქავ **დიღომს** ხიზანი **ბოგველის** ყმა მირუაშვილი ნასყიდა... **მწყნეთს** მელიქ ავეტიქას ყმა... **წავკის** ციციშვილის გივი ფარეშბაშის ყმა: **წავკის** ასლამაზაშვილი მემკვიდრე აზნაურშვილი ფარსადანი... აქავ ამისი ყმა ბოგანო **ყინცველი** კანდელაკიშვილი ბერუა... აქავ ბოგანო **ნიჩბელი** კვერცხიშვილი ბერუა... აქავ ბოგანო **ქვენაფლაზელი** იმაშაშვილი ბერუა... აქავ ბოგანო **ქვემო წერაქველი** გრიქორა... **წავკის** თეიმურაზ მდივანბეგის ყმა: მემკვიდრე აზნაურშვილი ალიყულაშვილი რევაზა... **შინდის** მდივანბეგის იოანეს ყმა ხაჭარია... **ტაბახმელას** დავით სარდალ-სალთხუცის ყმა მამასახლისი ფარსადან... აქავ **გუდალელი** ოსფა... აქავ **საღორელი** პაპა... **ტაბახმელას** ტეტია ყაფლანიშვილის ყმა... **ვაშლოვანს** დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმა... **ერტის** დავით სარდლის ყმა მაკარიშვილი ქიტესა... აქავ თბილელის ყმა ყორღლიძე ზაზა.... აქავ თურქისტანიშვილის თამაზის ობლების ყმა ზაზიაშვილი დათუნა... აქავ **ერტის** ხიზანი ტეტია გოსტაშაბიშვილის ყმა მოლოდინაშვილი ელისბარა... **ბორბალოს** იორამ სოლაღაშვილი ასლანაშვილი აკოფა... აქავ **ბორბალოს** იესე მდივნის ყმა ვარსიმაშვილი თევდორე... აქავ **ბორბალოს** სამ საგინაშვილის ყმა დავითა... **დურნუკს** ბატონიშვილის ყმა მემკვიდრე ბექაძე ბასილა... აქავ საბატონიშვილო **სამშვილდელი** ელისაშვილი მამასახლისი ხარება... აქავ კათალიკოზის ყმა პაპუნა ხიზანი .... აქავ აბაშიშვილის ლუარსამის ყმა ხიზანი შერგილაშვილი გოგია... აქავ **დურნუკს** საბატონიშვილო **ყაზახელი** პეტროზა... **მარაბდას** გერმანოზიშვილის სულხანის ყმა მატიაშვილი გაბრიელ... **მარაბდას** გერმანოზიშვილის გოგი-

ას ყმა რაზმაძე ელიკაშვილი... ამისივე ყმა **კოიელი** ვარდუშვილი ნინია... აქავ გერმანოზიშვილის დავითის ყმა შავერდაშვილი მიკირტუმა... აქავ ნიკოლაოზის ყმა გულივარდი... აქავ ამისთანავე ხიზანი ზურაბიშვილის ყმა თევდორე... აქავ ნიკოლოზ ქავთარიშვილის ყმა ბასილაშვილი კაცია... აქავ ქავთარიშვილი იოთამის ყმა ქურციკაშვილი ბასილა... აქავ ქავთარიშვილი ედიშერის ყმა ხუციშვილი ზურაბა... აქავ **მარაბდას** გოსტაშაბიშვილების ყმა ცხადიაშვილი გლახა... აქავ საამშვილების ყმა აზნაურშვილი ლამაზაშვილი ბეცია... აქავ **მარაბდას** თაყაშვილი დავითის ყმა ოძელაშვილი ბასილა... აქავ **მარაბდას** სულხან მდივნის ყმა ხუციშვილი დავითა... აქავ ხიზანი როსტომ საგინაშვილის ყმა ელიაშვილი გოგია... **ეკლესიას** ბატონის სახასო აიდარბეგელი მარქარაშვილი ალიხანა მამასახლისი... აქავ აიდარბეგელი ოჰანაშვილი ზაქუა დოლბანდლუელია **ოფრეთს** წასული, აყრილა... აქავ **ეკლესიას** ლუარსამ აბაშიშვილის ყმა მექვაბიშვილი ზურაბა... აქავ ხიზანი როჭიკაშვილის ყმა ქიტუა. აქავ ხიზანი თურქისტანიშვილის იოსების ყმა **უკან-გორელი** ბადრაღაშვილი ნიკოლაოზ... აქავ ხიზანი ზურაბაშვილის ყმა გრიქორა... აქავ ბატონიშვილის ლეონის ყმა ხიზანი საააკა... აქავ ამილახვრიანთ ყმა ხიზანი ავეტიქა. აქავ ყაფლანიშვილის ტეტიას ობლის ყმა კირაკოზა. აქავ **ეკლესიას** ხიზანი **შულავრელი** გოგია. აქავ ხიზანი იოანე მდივანბეგის ყმა ისმეილა. აქავ შანშიაშვილის ყმა არუთინა. აქავ ხიზანი იარალიშვილის ყმა მათოზა... **მარნეულს** მამასახლისი თუმანა... აქავ **ეკლესიელი** ფარემუზა... აქავ ხიზანი მესროფაშვილი კირაკოზა ჩობანაშვილი ჭარუას ყმა... აქავ ხიზანი შანშიაშვილის გოგიას ყმა ასლამაზა... აქავ ხიზანი ბაშბეუქაშვილის ავთანდილის ყმა ფარემუზა... აქავ ხიზანი იეგულაშვილის ისაიას ყმა მოსიაშვილი ბეუანა... **ნაზარქანთს** იოსებ შუშრიბის ყმა ჯანუაშვილი თამაზა... აქავ როჭიკაშვილის ყმა ყაზარა... აქავ მისკარბაშის ყმა ავაქა. აქავ ეჩმიაძინის ყმა ტერმარტიროზა. **კოდაზედ** ბარათაშვილის დავითის ყმა... აქავ კოდაზე ერასტის შვილის გოგიას ყმა დავითას შვილი ღარიბა... აქავ რევაზ იოთამის შვილის ყმა შევერდაშვილი პაპა... აქავ საგინაშვილის კიკოლას ყმა **ხოპელი** კიკოლა... აქავ საგინაშვილის ბეუანისა **ბოგველი** შერმახან... აქავ **კოდაზედ** ტერფილიპეს ყმა დოლდაშვილი მატია... აქავ ამისვე ყმა **ნახიდურელი** ლამაზა... აქავ **კოდაზედ** ზურაბ ყაფლანის შვილის ყმა ხაქარას შვილი ნასყიდა... აქავ **კოდაზედ** ხალ ყაფლანის შვილის ყმა მესრეფას შვილი გრიქოლა... **კოდაზედ** სარდალ-სალთხუცის ყმა **ეგრისელი** მამასახლისი იორდანე... აქავ დიდი ეგრისელი სარდლის ყმა მამასახლისი ბეჟუა... აქავ **კოდაზედ** სარდალ-სალთხუცის დავითის ყმა **ბევრელი** ძამანას შვილი... აქავ **კოდაზედ** სარდლის ყმა **ტნუსელი** მამასახლისი ასატურა... აქავ **კოდაზედ** სარდლის ყმა **ჯიმშირული** მამასახლისი გრიგოლ... აქავ **კოდაზედ** სარდლის ყმა **ძველქვეშის** მამასახლისი საკა... აქავ **კოდაზედ** სარდალ-სალთხუცის ყმა **საკარელი** მამასახლისი ოქრუა... აქავ **კოდაზედ** სარდალ-სალთხუცის ყმა **წიფორელი** ერაპეტა... აქავ სარდალ-სალთხუცის ყმა **ანდრიელი** მამასახლისი ოქრუა... **მუხათს** სარდალ-სალთხუცის ყმა მამასახლისი მანთაშა... აქავ მუხათს იაგულას შვილის ყმა ჯილავდარის შვილი სარქისა, ამისი შვილი

ვართანა დედოფლისა შეიქნა... აქავ **კოდაზედ** სარდალ-სალთხუცის ყმა **ქვეშელი** მამასახლისი არუთინა... აქავ **კოდაზედ** სარდალ-სალთხუცის ყმა დოუბნელი პეტრე მამასახლისი... აქავ **კოდას** სარდალ-სალთხუცის დავითის ყმა **საღორისელი** ფინაჩის შვილი ბერუა... აქავ **კოდაზედ** სარდლის ყმა **ანდიკელი** მამასახლისი ყაზარა... აქავ **ერტელი** ჭვინტიაშვილი ბასილა... აქავ **კოდაზედ** თემურის ყმა ჯოეშვილი ბერუა... აქავ საგინაშვილის აღათანგის ყმა ივანე... აქავ **კოდაზედ** ჩაჩიკაშვილის ზურაბის ყმა ზურაბა... აქავ **კოდაზედ** ჯანიას შვილის გურგენასი არუთინა. აქავ მკევლის შვილის გოდერძის ყმა ოჯანა... აქავ მდივან ბეგის ყმა დოლმიზას შვილები გოგია... აქავ ტეტია გოსტაშაბის შვილის ყმა პეტრე გელიტას შვილი... **კუმისიდამ** შემკვიდრე სარდალ-სალთხუცის ყმა მამასახლისი... აქავ **კუმის** ნაზირისშვილის ზურაბის ყმა ყაზარა ხიზანი... აქავ **კუმისს** ნახუცრის შვილის ყმა წამალას შვილი გლახა... **კუმისს** ერისთვის როსტომის ყმა შრეშასშვილი სტეფანე... **წალასყურს** ტარიელ ჯორაშვილის ყმა ოთიაშვილი რამაზა... **წალასყურს** დავით გარჯის უდაბნოს ყმა ბუდაღას შვილი თამაზა... აქავ **წალასყურს** გლახა თურმანიძის ყმა ხიზანი მანძულა... აქავ წალასყურს როჭიკაშვილის გლახას ყმა ქიტატას შვილი დათუნა... თელეთს ამილახვრის ყმა **კატაველი** ჯანიაშვილი საკა... აქავ **თელეთს** აღალუას ყმა სარქისა... **ხატს** თელეთს თეიმურაზ მდივანბეგის ყმა ბაღდასარაშვილი კაკალუა... აქავ ბოგანო **ნიჩბელი** გოჩიაშვილი იესე... აქავ ბოგანო **წერაქველი** ახვერდა... **სონღალუღში** სახასო იეღიგარასშვილი ქევხა აზატი ავაქა... აქავ **სოღალუღში** სახასო ამირგულას შვილი გრიქოლა... აქავ სახასო **ყაზახიდამ** მოსული პაპა... აქავ კიკოლა საგინაშვილის ყმა არუთინა... აქავ ამილახვრის ყმა ამისივე ყმა ტაშდემურა (სეიძ, I, გვ. 158-182).

ერეკლეს ციხე 1791 – იხ. **დიღომი**

ერეკლეს ციხე 1797 – იხ. **დიღომი**

ერთაწმიდის გზა. შიდა ქართლი

ერთაწმიდის გზა 1613 – ... ჩვენ, ამილბარაშვილმა ამილბარმა შენ, ხახანაშვილს ესტატეს ... მოგყიდე გორას უკან ორის დღის მიწა, ზევით თავში ჩვენის მიწის მიდგმამდინ, საქვენაქროთ **ერთაწმიდის** გზამდინ, ქვევით ბოლოს გორამდინ... (ქსძ, VIII, გვ. 834-835).

ერთაწმიდის ჰვევი. შიდა ქართლი

ერთაწმიდის ჰვევი 1588 – იხ. **ერთაწმიდა**

ერთაწმინდა // ერთაწმიდა // ევსტატეწმინდა. შიდა ქართლი

ერთაწმინდა 1588 – ჩუენ ... მეფეთა-მეფემან სვიმეონ ... თქუენ ... სააკაძეს მუსაჰიბს სიაუშს ... გიბოძეთ გარასპისა და რობამისა კერძი **ერთაწმიდა** სრულად და ხელშეუვალად, აგრეთვე **ნოსტეს** ამათივე კერძი ორი კუამლი და საკუამლო... **კავთისა** და **ერთაწმიდის ჰვევის** ტარუღანო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ რარიგადაც ამ ფარავანში ეწეროს... (ქსის, გვ. 32).

ერთაწმინდა 1624 – ... ჩვენ, პატრონმან მარეხ ... ჩვენი მკვიდრი მამული **ერთაწმინდას** ერთი კვამლი გლეხი ელისაბედაშვილი ... მათისა მამულითა

... თქვენისა საყდრისათვის შემოგვიწირავს ... წმიდაო ევსტათი... (დსსი, I, გვ. 19).

ერთაწმინდა 1654 – ... ჩუენ, ქართლისა და კახეთის ორსავე მპყრობელმა მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... ესე წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... სააკაძეს მოურავიშვილს ... იორამს... ამოვარდნილის ფავნელიშვილის-შალვაშვილის ბახუტას ნაქონს მამულს დაგუეპყენით. ჩუენ ... გობოძეთ **ერთაწმინდას, ფავნისს** და **ნოსტეს** გლეხები, ზუარი და სააზნაურიშვილო... (ქსის, გვ. 252).

ერთაწმინდა 1714 – იხ. **ჩოჩეთი**

ერთაწმინდა 1722 – ავიღე მე, თარხნისშვილმა ზაალ ... შენ, გერმანეს ძმისწულის შოსაგან ცამეტი თუმანი ახალი თეთრი... არის ამისი გირაო: **ერთაწმიდას** ჩემი ყმა მჭედელი თევდორე... **ნოსტეს** ... ზიაშვილი ნიკოლო... **ახალქალაქს** საბუაშვილი ტერტერა... ესენი თავიანთ მამულითა ... არიან (მსეი, II, გვ. 15).

ერთაწმინდა 1741-1747 – იხ. **ახალქალაქი**

ერთაწმინდა 1751 – ღმერთმან ... მდივანბეგის ჭირი ... **ერთაწმინდელს** წმიდის ევსტატის ყმას, ხახანაშვილს ივანეს მისცეს. ამას მოვახსენებთ: მამაჩემმა ფარეშიშვილის თევდორასაგან ნახევარი საწისქვილო იყიდა. მამაჩემი ლეკებმა მოკლეს, სახლით და კარით აიკლეს, წიგნებიც იქ დაიკარგა. ის ნასყიდობის წიგნი ურბნელი ფილიპესაგან არის დაწერილი. მე პატარა დავრჩი, არას შემეპოვა, ის ჩემი ნასყიდი წისქვილი, კბილა გიორგი ქვიან, მეორეთ იმას მიყიდა... (ქსძ, VII, გვ. 28).

ერთაწმინდა 1753 – ღმერთმან ... ხელმწიფის ... მოქალაქეს ბეჟანას მოსცეს. **ერთაწმინდას** ვიყავ შარშან, ათი კოდი პური ვასესხე ნიკოლოზას გურამიშვილს, რომ **აჭალას** უნდა მოეცა. ჩამოვედი და ჩემი პური არ მომცა... (ქსძ, VII, გვ. 31).

ერთაწმინდა 1780 – თარხნისშვილი მამუკა უჩიოდა ხახანაშვილს თევდორეს ... კარგარეთლის სვიმონ დეკანოზის ყმა იყავითო და ის დეკანოზი ჩემი ბარათში გამოყოლილი ყმა იყოო. ხახანაშვილები უპასუხებდნენ: ჩვენ ციციშვილის ფარსადანისაგან შეწირული წმიდის მრავალმოღვაწის **ევსტატის ეკლესიის** ყმანი ვართ... [განჩინება]: რაც ამ ხახანაშვილებს ნასყიდი მამულები აქვსთ [მათ] დარჩებათ. და რაც სათარხნო მამულები უჭირავსთ, რომ არ ეყიდოსთ, ის მამუკას და ზურაბს უნდა დაუგდონ (ქსძ, V, გვ. 102-104).

ერთაწმინდა 1781-1782 – იხ. **ქალაქი**

ერთაწმინდა 1788 – ... გლურჯიძე რამაზ თავის სახლისკაცს იოსებს ვენახზე ... ედავებოდა... მსაჯულთ მიეცა სამართალი, რომ უნდა დაეფიცა იოსებს **წმინდის ევსტათიში**... (ქსძ, V, გვ. 414-416).

ერთაწმინდა 1793 – იხ. **ოძისი**

ერთაწმინდა 1795 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი თარხანს გიორგის მოსცეს. რაც ან ჯორასშვილს ან **კარგალეთელს** დეკანოზს ... წმინდის ევსტათის მამული უყიდიათ, ის ძირს დადვან; ეკლესიის მამულს სყიდვა არ იქნება... [ერეკლეს ოქმი]: ... მაღალასშვილო იაკობ ... ახლავ უნდა **ერთაწმინ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დას მიხვიდე; ვისაც **ერთაწმინდის** მამული უყიდნიათ ... ახლავ ჭელი უნდა აუმართო და წმინდა ევსტატისთვის დასდვა (ქსძ, VIII, გვ. 341-342).

ერთაწმინდა 1796 – [ერეკლე II-ის ოქმი]: ... ნაიბო გოგიავ ... **ერთაწმინდის** ... ეკლესიის მამული [ვისაც] უყიდნია ... ჭელი აუმართე და ეკლესიისათვის მოაბარე (ქსძ, VIII, გვ. 399).

ერთგულანი. კახეთი

ერთგულანი 1722 – იხ. **მარტყოფი**

ერთკარი. კლარჯეთი

ერთკარი 1054-1072 – იხ. **ქუთაისი**

ერკეთი. გურია

ერკეთი 1764 – ... ჩვენ ... გურიელმან ... მამიამ ... შენ ... ერისთავს ზაალს ... გიბოძეთ **ერკეთი** და მისი შემავალი მთლათ, **ოქროს ქედა**, ვანის **ქედიანათ** და რაც საწინამძღრო და ეკლესიას რამ იყოს... (სს, II, გვ. 519).

ერკეთი 1777 – იხ. **უდაბნო**

ერკნეთი – იხ. **ერგნეთი**

ერკუატა. ჯავახეთი

ერკუატა XV ს. – იხ. **ვანისქვაბები**

ეროტი. ქართლი

ეროტი XVIII ს-ის II ნახ. – გოსტაშაბისშვილმა ზაზამ **ეროტელს** გაკრაისშვილს უღელი ხარის ნახნავი უჩივლა (სამდ, გვ. 53).

ერტელი. შიდა ქართლი

ერტელი 1780 – იხ. **მერეთი**

ერტისი // ერტიზი. ქვემო ქართლი

ერტისი 1523 – იხ. **მძოვრეთი**

ერტისი 1543 – იხ. **სხალნარი**

ერტისი 1591 – იხ. **ამლივი**

ერტისი 1633 – იხ. **ზემო ოძისი**

ერტისი 1640 – [წყალობის წიგნი როსტომ მეფის თურქისტანიშვილებისადმი]: ... გიბოძეთ: **ერტისს** გოსტაშაბიშვილის ნაქონი სუიმონაშვილი... აგრეთვე **ჩხიქუთას** ერთი კომლი გლეხი აღათანგისშვილისა - მჭედლიშვილი ხეცია; და ერთი კომლი დემეტრესშვილის პაპუნას კერძი ბალიხოვაშვილი... და კიდევ: **ერტისს** ერთი კომლი ვარაზას კერძი გლეხი და ერთი კომლი ალიყულიბეგის ნაქონი, რომე თქვენვე გქონდა, ისი გვიბოძებია და წიგნი გაგვიახლებია... (ქსოის, გვ. 17).

ერტისი 1672 – [წყალობის წიგნი შაჰნავაზისა პაპუნა გოსტაშაბისშვილისადმი]: ... **ერტისს** თქვენს სამკვიდროს ერთს კუამლს გლეხს მეხრისშვილს ... დაგვეპყრნით... თქვენი სამკვიდრო იყო, და ჟამთა ვითარებისაგან ცოტას ხანს გამოგრთმევოდათ, და თურქისტანისშვილს მისცემოდა. აწე, ისრეგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ... გიბოძეთ... აგრეეე **ენაგეთს**, ჩვენი სახასო ზვარი თქვენის ეროგუ-ლობის და სამსახურის სამუქფოდ გიბოძეთ... (სს, I, 1899, გვ. 415).

ერტისი 1688 – იხ. ბუჟღულეთი

ერტისი 1698–1999 – იხ. ბუჟღულეთი

ერტისი 1708 – ტფილისის ქალაქს სიონთა მღვთისმშობელსა და ეკლესიი-სა და დიდებულისა მონასტრისა თქვენისა საჯეთმპყრობელსა ... ტფილენ მიტრაპოლიტს ... პაეელს ჩვენ, ბარათასშვილმან ... ქაიხოსრომ ... მოგყი-დეთ ჩვენის განაყოფისაგან ბარათით გამოტანილი მკვიდრი მამული **ერ-ტის** საკომლო მთელი ერთი და ზედ მსახლობელი გლეხი ჯოესშვილი... (დსსი, I, გვ. 135).

ერტისი 1713 – იხ. გუნანეთი

ერტისი 1713 – იხ. ღოლოვნა

ერტისი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ერტისი 1761 – იხ. ტაჭნაგეთი

ერტისი 1778 – იხ. საბეგაანო

ერტისი 1780 – იხ. მერეთი

ერტისი 1780 – ღმერთმან ... ხელწმიფის ჭირი მოგვცეს სიონის დეკანოზს ნიკოლაოსს და იოანეს. სიონის ეკლესიას ნასყიდი მამულები აქვს **ერ-ტის**, თურქისტანიშვილებისაგან მოსყიდული. ბეცია თურქისტანიშვილი ამ ნასყიდობას ეკლესიას ეცილება და იმ მიწების ღალას არ გვანებებს (ქსძ, VII, გვ. 484).

ერტისი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

ერტისი 1791 – იხ. შინდისი

ერტისი 1792 – [არზა იოანე დეკანოზისა ერეკლე II-ისადმი]: ... სიონთა ღვთისმშობელს მამული აქვს ნასყიდი **ერტისს** თურქისტანისშვილისაგან მოსყიდული... ახლა ამ ნასყიდობაში სასახლის ადგილს თურქისტანიშვი-ლი ტეტია ... გვეცილება ... (ქსძ, VIII, გვ. 174).

ერტისი 1799 – იხ. ვაშლოვანი

ერუფაელი. შიდა ქართლი

ერუფაელი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

ერუშნელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ერწო. კახეთი

ერწო 1392 – იხ. ტფილისი

ერწო 1429 – იხ. თაბორი

ერწო 1438 – იხ. მცხეთა

ერწო 1441 – იხ. მოსაქციელი

ერწო 1447 – იხ. მცხეთა

ერწო 1503 – იხ. მცხეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერწო 1511 – იხ. **კუნელნი**

ერწო 1532 – იხ. **მცხეთა**

ერწო 1579 – იხ. **მცხეთა**

ერწო 1722 – ... ჩვენ ... **კახეთის, შამშადილუს** და **ყაზახის** მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან, პატრონმან კონსტანტინე ... თქვენ... ალიყულიბეგს გარაყანიძეს ... გიბოძეთ **ერწოს** [თქვენი სამკვიდრო] სოფელი **თოლეჯი** და გორანს ოთხი კვამლი... (დსხი, I, გვ. 390).

ერწო 1722 – იხ. **მარტყოფი**

ერწო 1722 – იხ. **სარუსთველო**

ერწო XVIII ს. I მეოთხ – იხ. **თვალი**

ერწო 1736 ახლო – იხ. **თიანეთი**

ერწო 1784 – იხ. **ნაფარეული**

ერწო 1785 – იხ. **ფაშაანი**

ერწო 1788 – იხ. **ახმეტა**

ერწო 1789 – იხ. **სამცხეთო**

ერწო 1791 – იხ. **საბალიანო**

ერწო // ეწო. ქვემო ქართლი

ერწო 1523 – იხ. **მძოვრეთი**

ერწო 1591 – იხ. **ამლივი**

ერწო 1688 – მეფეთ-მეფემა გიორგი ... თქვენ ... გოსტაშაბისშვილს პაპუნასა ... გიბოძეთ დურმიშხანის კერძის მამულისაგან ერთ კომლათ **ერწოს** ზუბიასშვილი მამუკა... **მოლავს** ყიფიანი... **ბეთენიას** მამისიმედი... **ცხნარს** ჭაბუაშვილი თამაზა... **ქვათეთრისს** მამუკა... **ჭანდარს** და **ხვინთქმას** იმის კერძის მიწისა და ნასოფლარისაგან, რაც მიქელაძისათვის არ გვიბოძებია, მისის მესამედისაგან მესამედი მიწა და ნასოფლარი თქვენთვის გვიბოძებია... (სს, I, 1899, გვ. 416).

ერწო 1707 – იხ. **მელრევი**

ერწო 1713 – იხ. **გუნანეთი**

ერწო 1713 – იხ. **ღოლოვნა**

ერწო 1720 – იხ. **ნიაწარი**

ერწო 1747 – ჩვენ, მეფე არჩილთან, გოსტაშაბისშვილმა დავით და ბეჟან, **ერწოს** ამრუმელიშვილებზე ილაპარაკეს... (ქსძ, IV, გვ. 370).

ერწო XVIII ს. I ნახ. – იხ. **ბეთანია**

ერწო. შიდა ქართლი

ერწო 1544 – იხ. **ნიკორწმინდის მონასტერი**

ერწოს სამთავრო. კახეთი

ერწოს სამთავრო 1728 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან მაჰმად-ფაშამ ... გიბოძეთ თქვენ ... ჯანდიერისშვილს ზაალს ... **ერწოს სამთავროს** მოურაობა ძვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადგან თქვენი სამკვიდრო... ამისი წიგნი ცოტას ხანს ტუსისშვილს ბე-ჟანს მივეცით; და თუ ის წიგნი გამოაჩინა, ამ ჩვენმა ბრძანებამ და წიგნმა გამტყუვნოს... (სს, III, გვ. 156-157).

ესაიასშვილის ნავენაჭობი. კახეთი

ესაიასშვილის ნავენაჭობი 1752 – ... ესე... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ... ჩვენ, ამბა ალავერდელმა ... ნიკოლაოზ შენ ... მასურასშვილს ... გიორგის... ასე რომე, **ესაიასშვილის ნავენაჭობი** სამის დღის მიწა თავისის ნიგვზებითა, სხლითა და ფურცლითა მამაშენს ეყიდა. ახლა ის მიწა ... გამოგართვით, ამიტომ რომ შენზედ უმჭროდ იყო და იმის მაგიერად გიბოძეთ ჩვენი ბეითალმანი მეგრელისშვილის მამული... (ქსძ, III, გვ. 826).

ესტატური ვენაჴი. შიდა ქართლი

ესტატური ვენაჴი 1260 – იხ. ხოვლე

ექეთს ოკამი. შიდა ქართლი

ექეთს ოკამი XVII ს. – იხ. ციხისძირი

ეშვისწყარო // ეშუისწყარო. ქვემო ქართლი

ეშვისწყარო 1523 – იხ. მძოვრეთი

ეშვისწყარო 1681 – ... ჩვენ, ბარათაშვილმა თაყამა ... თქვენ, ყორღანასშვილს როსტომასა ... მოგყიდეთ ჩვენი ... ყმა... არის ამის მოწამე ... ჩვენი ყმა **ეშვისწყაროს** ბუდახაშვილი პაპუა... (დსსი, I, გვ. 68).

ეშვისწყარო 1751 – იხ. ახალშენი

ეშმაკის წყარო. შიდა ქართლი

ეშმაკის წყარო 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

ეშხიანისშვილის მამული. კახეთი

ეშხიანისშვილის მამული 1637 – ... [მეფემ] თეიმურაზ შევსწირე ვენაჴი და მიწა **ეშხიანისა შვილის მამული** წმიდასა ღვთისმშობელსა სამეუფოსა მას ქალაქსა **ტბილისსა**... განმაახლებელმან ტაძრისა ... **თბილელ** მთავარ ეპისკოპოზმან ელისე საგინას ძემან ... მაწვივა ... რათა ზვარი ერთი ვენაჴი **მარტყოფით** მოვანიჭო... შევსწირე ასრე, რომე რაც სარუსთველო რამ იმ მამულსა დასდებოდეს აღარცრა ჴელი რუსთველმა დაიდვას... (ის, IV, გვ. 27-28).

ეჩილაური. შიდა ქართლი

ეჩილაური 1391 – იხ. ქვათახევი

ეცერი. სვანეთი

ეცერი XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

ეცერი 1503 – იხ. რაჭა

ეძანი. ქვემო ქართლი

ეძანი 1392 – იხ. ტფილისი

ეძანი 1559 – იხ. სხალდიდი

ეწერი. იმერეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწერი 1616-1639 – ... ჩვენ, ჭილაძემ მამუკამ ... თქვენ ... მიჭვინტისა ღთისმშობელსა და თქვენ, აფხაზეთის კათალიკოზს ... მოგეცით **ეწერშიდ** ერთი გლეხი ნასხიდაი კალანდაძე და ჭანგას უმცროსაი რუხვაძე... (დსსს, I, გვ. 50-51).

ეწერი. კახეთი

ეწერი 1785 – იხ. **მარილისი**

ეწერი. რაჭა

ეწერი 1786 – ... ჩვენ ... რაჭის ერისთავმან გიორგიმ ... შენ ... გამყრელიძეს ქველს ... გიბოძეთ **ეწერს** ბუჭულა მეტრეველის ჯავრონაშვილის პარტახი სამოსახლო მისის საყანით, ვენახით... (მსკი, 31, გვ. 183).

ეწო – იხ. **ერწო (ქვემო ქართლი)**

-ვ-

ვაგრანეთი. კახეთი

ვაგრანეთი XII ს. მიწ. – იხ. **რაბუნი**

ვაგრანეთი 1722 – იხ. **მარტყოფი**

ვაგრანეთი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. **თვალი**

ვაკე. იმერეთი

ვაკე 1659 – იხ. **რველი**

ვაკე. კახეთი

ვაკე 1794 – იხ. **წიჩო**

ვაკე. ქვემო ქართლი

ვაკე 1591 – იხ. **ამლივი**

ვაკე 1627 – ... ჩუენ, მეფემან ... სვიმონ ... თქუენ ... ბარათაშვილს ... ყაფარბეგს ... გიბოძეთ [სამკვიდროდ] რაც **ვაკეს** საჩინოს ჰქონებია მთითა, ბარითა... (ქსის, გვ. 60).

ვაკე 1628 – იხ. **ამლივი**

ვაკე 1633 – იხ. **ზემო ოძისი**

ვაკე 1699 – იხ. **მანგლისი**

ვაკე XVIII ს. დამდ. – იხ. **ტბისი**

ვაკე 1703 – ... ჩვენ, უსუბეგის შვილმან პატამ ... თქვენ, გოსტაშაბისშვილს პაპუნას ... მოგყიდე ჩვენი მამა-პაპათ ნასყიდი სამკვიდრო და უსყიდი ვენახი... არის ამის მოწამე ... ჩემი ყმა **ვაკელი** ხუცესი, **თაკველი** მამაგულაშვილი ებალა... (სს, I, 1899, გვ. 132-133).

ვაკე 1711-1719 – [ბრძანება ვახტანგ VI-ისა]: ... იასაულო! მერმე, **ვაკეს** ამოვარდნილის უსუფაშვილის პაატას ნაქონს ხუციშვილზე, **თაკვს** ებალას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედაზე, იქივ, **ვაკეს**, პატარას თაყას ნაქონს ანისშვილის ერთს საკვამლოს, ანისშვილის მამულზე ხელი უმართე, გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს მოაბარე... (სს, I, 1899, გვ. 446)

ვაკე 1713 – იხ. გუნანეთი

ვაკე 1713 – იხ. დოლოენა

ვაკე 1740 – ბატონის მეფის ვახტანგისა, ბაქარისა და აბდულაბეგის წიგნებით ჰქონდა დავით გოსტაშაბისშვილსა, თეითონ უსუფბეგის შვილის წიგნიცა ჰქონდა, ასლამაზ-ხანმაც რაყამი უბოძა. **ვაკე** და **თაკეი** დავითსვე მისცეს... უსუფბეგისშვილს ამ სოფლებში საქმე არა აქვს რა (ქსძ, IV, გვ. 351-352).

ვაკე 1749 – იხ. ვანქი

ვაკე XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ვაკე 1768 – იხ. ღორისთავი

ვაკე. შიდა ქართლი

ვაკე 1771 – იხ. ახალგორი

ვაკე 1772 – იხ. მუხრანი

ვაკე 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

ვაკე 1778 – იხ. წიფორის მთა

ვაკე 1781 – იხ. ისროლისხევი

ვაკე 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

ვაკისუბანი. იმერეთი

ვაკისუბანი 1773 – იხ. ქუთაისი

ვაკისუბანი 1776 – იხ. ბარი

ვაკურა. კახეთი

ვაკურა 1428 – იხ. საგარეჯო

ვალაშკერტელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ვალაშკერტი. ბასიანი (?)

ვალაშკერტი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ვალე // ვალე ნაოჭრებნი // ვალე ნაუჭრებოლი. სამცხე

ვალე XIII ს. II ნახ. – ამა ქუეყანათა **ვალე ნაოჭრები** უფრო იყო, და ამისთოის შუიდი აღაპი შევაგდე... ამა **უპიზისა** მიწასა **ოპიზისაი** გამოვიდოდა და ამად არაი შევაგდე კაბალაი და ამა შოიდსა მიწასა, **ნაოჭრებს** ოხოდბონოდ, თოითო მიწასა ურ-ორი გრივი იფქლი შევაგდე... და **წალკოტისა** თივაი, რაიც მოვიდოდეს, ტრაპეზისათოის წაიგებოდეს და მესამედი მონასტერს მოიღებოდეს და ორ ნაწილსა მე მომცემდეთ... ესე, მომიხსენებია მე, ბოცოს, **ჰალისა** მთავარმოწამეო... (სსიძ, II, გვ. 30-31).

ვალე XIII ს. II ნახ. – ... შენ, **ალისა** მთავარმოწამესა გიორგის მე, ბოცო ... ვალე **ნაოჭრებნი** ... შემოგწირენ და თეთრიცა მათი მე დაგითვალე... აღაპი გაუკუეთე მუნ და **ნაოჭარები** თით ქედასძესა ალისა მთოვარმოწამი-

საოუისა და **ვალე** ბექასა კი მივეც. ხუთი მიწაჲ იყო **ვალური** და ერთი მიწა – გაბლუცური... (სსიმ, II, გვ. 33).

ვალე XIII ს. II ნახ. – იხ. **ალი**

ვალე XIII ს. II ნახ. – იხ. **ქვემო ტიკანი**

ვალის ზადების სასაფლაო. თბილისი

ვალის ზადების სასაფლაო 1786 – იხ. **მეითრიანთ აბანო**

ვალური მიწა. სამცხე

ვალური მიწა XIII ს. II ნახ. – იხ. **ვალე**

ვანათი. შიდა ქართლი

ვანათი 1392 – იხ. **ტფილისი**

ვანათი 1688 – იხ. **ტინისხიდი**

ვანათი 1771 – იხ. **იმერეთი**

ვანათი 1781 – იხ. **პავლეური**

ვანათი 1795 ახლო – იხ. **გორი**

ვანათი XVIII ს. მიწ. – იხ. **სურამი**

ვანათი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. **გორი**

ვანანი. შიდა ქართლი

ვანანი 1289 – იხ. **ვერე**

ვანანი 1635 – იხ. **ენაგეთი**

ვანეთი. ქვემო ქართლი

ვანეთი 1700 – რევაზ ზურაბის შვილი თავისი ძმისწულებით, სულხან ყაფლანის შვილი **ვანეთისა ხალდამას**[104] სამძღვრებზედ ცილობდენ... ამათი სამძღვრები ... ასე გაურიგეთ რომ: **ნასახლარი სერი** რომ დასდევს, ის სერი შუა გაეყვეთო, რომ ნახევარი რევაზს დავანებეთ და ნახევარი სულხანს დავანებეთ. და კიდევ ამებს გარდა წყალს გაღმა **ღორისთული** და **ვანური** სამძღურები ვნახეთ და კიდევ სამართლიანის საქმით ესეც ასე გაუსამძღვრეთ: სერ-სერი ჩამოიტანს სახნავამდინ **ძუძუნური**, იმას ჩამოსწორ წყლის პირამდინ და საწყლის პირ დარჩა სულხანს. და სერს იქიდამ და სახნავით წყლის პირამდინ დარჩა რევაზს (ქსძ, IV, გვ. 180-181).

ვანეთი 1792 – იხ. **ბალიჭი**

ვანთა. კახეთი

ვანთა 1392 – იხ. **ტფილისი**

ვანთა 1428 – იხ. **საგარეჯო**

ვანთა 1438 – იხ. **მცხეთა**

ვანთა 1654 – იხ. **საგარეჯო**

---

[104] ... კიანეთისა ჯალდამას სამძღვრებზედ ცილობდენ (ქრონ, III, გვ. 4); ... კახეთისა ჯალდამას სამძღვრებზედ ცილობდნენ (სს, I, 1899, გვ. 429).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანთა. XVIII ს. დას. – ... ვანთას **დავით-გარეჯის** მამულები იყო. ჯანდიერისშვილი მდივანბეგი ... ედავებოდა. მოურაობით საქმე არა ქონდა. **აკურა** რომ ჯანდიერის შვილს გაეყო, ის ვანთის მამულებიც მაშინ დაეყოთ, შეიტყობდა. როგორც **აკურა დავით-გარეჯისა** იყო, ისე რომელიც **ვანთას** მამულები დაეჭირათ, ისიც **დავით-გარეჯისა** იყო. ბატონსაც უწონივე მოხსენებული და გასინჯული ქონდა **თუთაშხისშვილისა** და **ქოქიაური, ჭონიაური** ზვარი სამეზვრეოთ. **დევდარაული** ეს მამულები **აკურასთან** ბატონმა ოხიაყორჩიანთ გამოართო და **დავით-გარეჯისათვის** დაიდვა და აწ წინამძღვარს მიეცა... (ქსძ, IV, გვ. 190)[105].

ვანთა 1712 – იხ. პატარძეული

ვანთა 1722 [იმამყული-ხანის ბრძანება თარხან ასლანისადმი]: ... მერმე **ვანთას** მიდი და რაც სახლხუცის ედიშერის და სამებლის განაჩენში ეწეროს, ის მამულები გაარჩიე. ყველა **დავით გარეჯის** წინამძღვარს დაანებეთ... (ქმეის, გვ. 78).

ვანთა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ვანთა 1733 – [შეტყობინება მდივანბეგისა]: ... რაც **წმინდის** დავითის მამულები იყო, იმის სასამართლოდ მოვედი **ვანთას**, სახლთუხუცესის ედიშერისა და სამებელი ნიკოლოზის განაჩენის სამართლის წიგნიც იყო, რომ **დავით გარეჯის** წინამძღვრისათვის დაენებებინათ ის მამულები... ასლან მდივანბეგის სახლისკაცებმა ლაპარაკი შექმნეს, გოგია ნაცვალს ბატონის ბრძანებით ფიცი მოუდევით ... და ვერ შეიძლო... სულ **აკურელნი** მოვიდნენ და ისე დააფიცა... (ქმეის, გვ. 93).

ვანთა 1786 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს **დავითგარეჯის** წინამძღვარს თეოდოსის. **ვანთას** რაც მონასტრის შეწირულობა გახლავსთ, ან ძველ მეფეთაგან და ან ახალი განაჩენები არის ... ისინი დამნებდეს, რომ კაცნი ... იქ დავასახლო... (ქსძ, VII, გვ. 679).

ვანთა 1786 – ყოვლისა საქართველოს პატრიარხი ... ანტონი ... მოგიკითხავ თარხანს ლუარსაბს... მეფესაც ოქმი უბოძებია ... **დავით გარეჯის** წინამძღვრისათვის და ჩვენც ამა გწერთ, რომ, რომელიც **ვანთას** იმ მონასტრის შეწირულობა იყოს, სამართლიანის საქმის გაურჩიეთ და მიაბარეთ წინამძღვარს თეოდოსის. და **აკურის** ქევხამ და ჩეკურმა, რადგან მახსოვარნი არიან და იციან, ისინი მიიყვანეთ; და რაც სამართლიანის საქმით იმახსოვრონ, დაანებეთ და სვეტიცხოვლის მამული არ შეგაცილდნესთ (ქმეის, გვ. 153-154).

ვანთა 1786 – იხ. ქართლი

ვანთა 1794 – ღმერთმან ხელწმიფის ჭირი მომცეს ... **დავით გარეჯის** არქიმანდრიტს თეოდოსის. **ვანთის** საქმეზედ წინაზედაც ოქმი გვებოძა... ერთი მაგარი ოქმი მიბოძეთ მდივანბეგებზედ ... რომ რაც მონასტრის მამული იყოს, გაგვირჩიონ და მოგვაბარონ... (ქსძ, VIII, გვ. 308-309).

---

[105] ამავეს იმეორებს 1710 წლის საბუთიც (ქსძ, IV, გვ. 231).

ვანთა 1795 – ... **დავითგარეჯის** წინამძღვარს მოეხსენებინა ... მეფისწულის და კათოლიკოზისათვის: ... **ვანთას წმიდის დავითის** მამული არის ... და მამული კი არ მიჭირავსო... ჩვენ [მოსამართლენი] ... მოვედით ვანთას, წინამძღურიც მობრძანდა, განაჩენები მოიტანა ... ბატონის თეიმურაზისა და დედოფლის ანნასი. ამ განაჩენში სწერია: ბატონიშვილი კათალიკოზი დომენტი თავისის მამულების გასამძღვრავად წაბრძანდა და ... **ვანთას წმიდის დავითის** მამული **ქოქიაური, ჭონაური, დევდარაული, თუთახ'შის'შვილის მამული,** ნაზვრევი და სამეზვრეო ენახათ და ... **დავით გარესჯის მონასტრისათვის** დაიენებებინათ... **ახურელნი** უფროსნი კაცნი გაგვიძღვნენ [მოსამართლეებს], აბანოს ქვემოთ შარა რომ გარდაივლის გარდიგარდმო **ბუშატის ჭვამდის** ... ამაში არის ეს მამულები... თუთახ'შის'შვილის მამული გზას ქვემოთ დანიშნეს... (ქსძ, V, გვ. 663-664).

ვანთა 1795 – ღმერთმან მეფის ძის ანტონის ჭირი მოსცეს ... **დავით გარეჯის** წინამძღვარს თეოდოსის... [მეფეს] არზი მივართვი, **ვანთას** რაც მამული არის, იმისი გარჩევისა; და იმისმა სიმაღლემ ოქმი მიბოძა **კახეთის** მდივანბეგებზე, **კალაურისა** და **შაშიანის** მოურავზე... (ქსძ, VIII, გვ. 335).

ვანთა 1797 – [ბებურიშვილი აიდემურ] **ვანთას** უნდა მივსულიყავ, წმინდის დავითის მამულები უნდა გაგვერჩია... მოვიდნენ ორი ... **ახურელნი** კაცნი ... და ასე დაიფიცეს: „... ამ **აბანოს** დასწერივ **ვანთის ხევამდინ** და გარდასწერივ **ბუშატამდისინ** ... ამას ზევით **წმინდის დავითის** არისო". ჩვენ გაუარეთ, ერთი მიჯნა **აბანოსთან** ჩავსვით, აბანო ქვევით დარჩა; ამის გასწერივ **ბუშატის ხევამდინ** შვიდი მიჯნა ჩავსვით. ერთი მიჯნა **ბუშატის ხევიდამ** რომ გზა ამოვა, ამ გზას ქვემოდამ ჩავსვით, რომ შეიქმნა რვა მიჯნა. ამ მიჯნებს ზემოდამ სამართლით მონასტერს დარჩა. კიდე გზას ქვით **თუთახ'ის'შვილის მამულიც წმინდას დავითს** დარჩა. მაგრამ ის მამული გამიჯნული იყო. ჯაფარიძე ედავებოდა... ჭინამძღვარს თეოდოსის ახლდა ... **ახურის** მოურავი თარხანი ლუარსაბ (ქსძ, VI, გვ. 22-23).

ვანთა 1798 – ღმერთმან საქართველოს ხელმწიფის ჭირი მომცეს **ვანთას** მყოფ მახარებელს. **იმერეთიდამ** გადმოვარდი, შვიდი წელიწადი **ფხოველში** გახლდი და შვიდი წელიწადია რომ აქ **ვანთას** გახლავარ... (ქსძ, VIII, გვ. 479).

ვანთა 1798 – ... მეფის ოქმი გვებოძა ჩვენ, **ვანთის** მოურავს ფრიდონს. ასე რომ, წინამძღვარს მოეხსენებინა: მინდორში სახნავს არ გვანებებენ და არ გვიშვებენ და არც საბალახეს გვაძლევენ არც მთისასა და არც ბარისასა... ჩვენ ბრძანებისაებრ მოვიკითხეთ და **ახურის** ქვეხა ბეცია და ხატიაშვილი გაბრიელ მოვიდნენ. და საცა იმათ თქვეს ეს მიწები მონასტრისაა და ეს სახასოო, რაც მონასტრისა თქვეს, მონასტრისათვის დავდევით... (ქსძ, VI, გვ. 75-76).

ვანთა. *ქვემო ქართლი*

ვანთა 1537-1538 – იხ. **დმანისის ციხე**

ვანთის ხევი. *კახეთი*

ვანთის ხევი 1797 – იხ. **ვანთა**

ვანთაური. ქართლი

ვანთაური 1790 – ... უმეკაშვილი გივი ... ასე ჩიოდა: მამაჩემს ხმალაძისაგან **ვანთაურში** ვენაკი ჰქონდა ნასყიდი და ეჭირა. მამა მომიკვდა, დავრჩი ობოლი. ამ ლუარსაბის [ლოლაძის] მამამ ბებიაჩემს გამოართო ის ვენახი და ერთი უბრალო მიწა მოგვცა... იქაც **ვანთაურში** ჟურულისაგან ერთი ვენაკი გვქონდა ნასყიდი ... [და] იარალაშვილისაგან ... ნასყიდი ვენაკი მქონდა, ისიც ამ ლუარსაბს უჭირავსო... (ქსძ, V, გვ. 501-502).

ვანი. იმერეთი

ვანი XV-XVI სს. – ... წმიდისა გიორგის **ვანისა** თავსდებობითა ... მე, ქველმა ცოტნიამა ... მოგყიდე ვენაკი ერთისა საპალნისა თქვენ, ჩემსა განაყოფს... (სძ, II, 1924, გვ. 256).

ვანი XV-XVI სს. – იხ. **ზედვაკე**

ვანი 1762 – ... ჩვენ, მეფემან სრულიად იმერეთისამან სოლომონ, ესე თავისუფლების წიგნი გიბოძეთ თქვენ ... **ვანს** მცხოვრებელს გლუნჩაძეს... (იდ, I, გვ. 104).

ვანი. ქვემო ქართლი

ვანი 1738 – იხ. **გორუნჯუკი**

ვანი XVIII ს. შუაწლ. – იხ. **გარეჯვარი**

ვანი. შიდა ქართლი

ვანი XV ს. I ნახ. – იხ. **სამთავისი**

ვანი XVI ს. მიწ. – იხ. **სურამი**

ვანის ქედი. გურია

ვანის ქედი 1764 – იხ. **ერკეთი**

ვანის ქედი 1767 – იხ. **გურია**

ვანისქვაბები. ჯავახეთი

ვანისქვაბები XIII ს. – ... **ვანის ქუაბთა** ბატონმა როსტევან, და ჩემთა ძმათა, თაყაღ და შანშე ... შევსწირეთ ... წმიდის გიორგის **გულაშარშინისა ქუშეთ აბჯარეული ზუარი** და რაღცა პარტახი არის მას შინა... (ისშმმ, გვ. 45).

ვანისქვაბები XIII-XIV სს. – ... **ვანის ქუაბთასა** შემოგწირე ... ჩუენგან აღშენებულდი ჴევის ბოლოსა **ახალშენი** მისითა ვენაკითა ჩუენ, რჩეულასძემან როსტევან... (ისშმმ, გვ. 48).

ვანისქვაბები 1393 – ... მე, მურვან ღარიბასძე ... [შემოგწირე] **ვანის ქუაბთა** ... ჩემითა ... საფასითა ნასყიდი ერთი მამული **ორხოფიას – როტაშაული** მისითა მთითა... ერთი ვენაკი **ტოლოშს** ახალშენი; **მაღნარს** – იგიცა ნასყიდი და მოუდევარი, ორნი ყანანი **ფიურნი,** იგიცა ნასყიდი... (ისშმმ, გვ. 45).

ვანისქვაბები XIV ს. – ... ოგიძღუანე ... **[ვანის ქუაბთა]** ჩემი მკუდრი მამული ნასყიდი **ხარაკია,** მისითა მზღვრითა... შევსწირე და მოვაკსენე მე, მურვან ღარიბაასძემან **ტოლოშს** ორნი ვენაკნი, **მაღმარაშიგან** ჩემი ნასყიდი... (ისშმმ, გვ. 44).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანისქვაბები 1391-1444 – ... გკადრე და მოგაკვსენე მე, ათაბაგ-ამირსპასალარმან პატრონმან ივანე, **ვანის ქუაბთა** მაცხოვარს ხატსა ... საუფლო ჭაჭკრული სათაორო მალი (ისშმმ, გვ. 48).

ვანისქვაბები XIV-XV სს. – ... ჩუენისა ხატისა მაცხოვრისასა **ვანის ქუაბთა** ... მოგიძღუანე და მოვაკსენე, მე, ღარიბასძემან მურვან ჩემისა ნასყიდისაგან მესამედი **კუნელეთით**, მესამედი **დიდკლდით**, მესამედი **ციხეკნელით**, მესამედი **კუარბით**... (ისშმმ, გვ. 45).

ვანისქვაბები XIV-XV სს. – ... თქუენ ... ხატსა მაცხოვრისა ვანის ქუაბთა ... მე, თმოგუელისა ჩაისარისა ასულმან გულშარ [შემოგწირე] ... **ზედა ვარძიას** მესამედი ჩემი ნასყიდი მისითა სამართლიანითა მზღვარითა... ერთი ვენაკი **მილახს** გუარამთ მიწისა... **ლუკაური** ვენაკი, იგიცა ჩემი ნასყიდი... (ისშმმ, გვ. 47).

ვანისქვაბები XIV-XV სს. – ... შემოგწირე შენ, ჩემსა მონასტერსა [**ვანის ქუაბთა**] და სამკვიდრებელსა ჩუენსა ეკუდერსა **ფიას** მე, თმოგველთა ასულმან გულშარ... ამისი მოწამენი სრულად **ფიელნი** მამასახლისნი არიან... საგუბარი, **მირაშხანს** ნაწალკოტევი ყანაჲ... ჭალა **გულაური**. სამივე მამისა და დედისა ჩემისაგან ნასყიდი... (ისშმმ, გვ. 48).

ვანისქვაბები XV ს. – ... მე, პატრონმან ივანე, ... შემოგწირე ... **ვანის ქუაბთა** წინაშე ხატსა ღთაებისასა ჩემისა სულისათვის ათას ხუთასი თეორი... **თმოგუს** მეტამღენი მოახსენებდნენ თქუენ, წინამდგომთა მნათეთა... (ისშმმ, გვ. 46).

ვანისქვაბები XV ს. – ... შევსწირეთ ... წმიდასა მონასტერსა **ვანის ქუაბთა** ... ჩუენ, მირძამან და ზახამან, მკიდრი ჩუენი მამული... **ერკუატას** ორნივე კვირიკასძენი... **აგარას** რკალოსძისა მამული, სამი გრივი პური... შევსწირეთ თხუთმეტი ლიტრა ზეთი – არდაკით მოხდებოდეს მნათესა... (ისშმმ, გვ. 46).

ვანისქვაბები XV ს. – ... მოგაკვსენეთ თქუენ, მონასტერსა ... **ვანის ქუაბთა** ... ჩუენ ... ღარიბასძისა სძალთა, მამადგამა და დუნიაჲ და **მჭედლის უბანს** ერთი ყანაჲ და **ტოლოშს** ვენაკი... (ისშმმ, გვ. 44).

ვანისქვაბები XV ს. – ... ხატსა მაცხოვრისასა **ვანის ქუაბთა** გკადრეთ და მოგაკვსენეთ ... მე, პატრონმან ყუარყუარე... **ჭაჭკრული** ვენაკის სათავე და კალოს კაბიწი, პატრონს ყუარყუარეს გაეშუა და შემოეწირა... ჩუენცა მოგიკვსენებია... (ისშმმ, გვ. 49).

ვანისქვაბები XV ს. – ... გკადრე და მოგაკვსენეთ მე, პატრონმან ყუარყუარე [**ვანის ქუაბებს** და ხატსა ღმრთაებისასა]... როგორაცა ძუელთა სიგელთა შინა სწერია, **ჭაჭკრული** მალი, ჩუენცა ისრე მოგვიხსენებია... (ისშმმ, გვ. 48).

ვანის ქუაბები XV ს. – იხ. **განძასკვეი**

ვანისქვაბები XVI ს. – [**ვანის ქუაბების**] ხატო ღმრთაებისაო, შეიწირე მცირე ესე ძღვენი მე, ათაბაგისა ყუარყუარესათვის და მანუჩარისათვის... საღღეგრძელოდ... **ჭაჭკრური** ვენაკის თავი და მალი... (ისშმმ, გვ. 48).

ვანკოდა – იხ. მანკოდა

ვანჭი. ქვემო ქართლი

ვანჭი 1543 – იხ. სხალნარი

ვანჭი 1633 – იხ. ზემო ოძისი

ვანჭი 1638 – იხ. ცოვრეთი

ვანჭი 1641 – იხ. აკანათერი

ვანჭი 1653 – იხ. აბელია

ვანჭი 1676 – [წყალობის სიგელი გიორგი XI-ისა ბარათაშვილისადმი]: ... გიბოძეთ მკვდრად და მოუშელელად **ვანჭს** შაყულაშვილს რაც შენი სამკუდრო ჰქონდეს, ძუელითგან შენის მამა-პაპათა სამკუდრო და ნაქონი იყო... ახალქალაქი და პატარა ტამალია საჭელოდ გვიბოძებია... (სს, I, 1899, გვ. 123).

ვანჭი 1698-1699 – იხ. ბუჟღულეთი

ვანჭი 1713 – იხ. გუნანეთი

ვანჭი 1713 – იხ. ღოლოვნა

ვანჭი 1721 – იხ. ბოლნისის ხევი

ვანჭი 1723 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... ბაქარ ... თქვენ ... გოსტაშაბიშვილს ამილღამბარს ... გიბოძეთ **ვანჭს** ალიხანაშვილის ხალიას წილი მამული... თრიალეთზედ ზეულისტანი ავთანდილ კორკოტის კერძი და ასურეთს რაც სოლაღაშვილის იესეს და ელიზბარის კერძი მამული იყოს... (სს, I, 1920, გვ. 83)[106].

ვანჭი 1723 – იხ. ზეულისტანი

ვანჭი 1743 – იხ. გარეთუბანი

ვანჭი 1749 – ესე წიგნი მოგეც მე, ვახუშტიმ გოშტაშაბისშვილმა შენ, ჩემს ძმას პაპუნასა... **ვანჭსა** და **ვაკეს** რაც ჩვენი წილი მამული იყო გაუყოფარი ქვონდა. **ვანჭი** გაყვიდეთ და, რაც **ვანჭის** ფასი ავიღეთით, თქვენი წილიც მე, ვახუშტიმ, დავხარჯე და შენ, პაპუნას ... ამის სანაცვლოდ **ვაკეს** მახარასშვილები ... მოგეც... (სს, I, 1920, გვ. 141).

ვანჭი 1750 – იხ. გარეთუბანი

ვანჭი 1781-1782 – იხ. ქალაქი

ვანჭი 1782 – ... ავის დროს მიზეზით ეს **ვანჭის** მამული დიდხანს გახარაბებული იყო, ერთიმეორის [გიორგი შანშიაშვილის და ზაალ იაგულაშვილის] მამული არ გაირჩეოდა... ამისთვის ჩვენ, შუაკაცებმა, ასე ურჩიეთ და თითონაც ასე ამჯობინეს ... რაც **ვანჭში** მამული იყოს [შუაში გაიყონ]... (ქსძ, V, გვ. 174-175).

ვანჭი 1787 – იხ. გარეთუბანი

ვანჭი 1796 – ... პენტელანთ გიორგის შვილებს ... **ვანჭის** ტერ-პეტრუზასი ორმოცდა ექვსი თუმანი გვმართებს. ის ტერ-პეტრუზა თავის ცოლშვილით

[106] ვახტანგ VI-ის შუამდგომლობა აღნიშნული მამულების წყალობის შესახებ იხ. სს, I, 1920, გვ. 83.

დაიკარგა... იმ ტერტერას ხუთას თუმნამდინ რუსეთში აქვს, აქ კარგი ვაჭრები აქვს დაუწვავი, კარგი ქარვასლა აქვს... (მსეი, II, გვ. 118).

ვაჟთაჭვეი. ქვემო ქართლი

ვაჟთაჭვეი 1692-1703 – იხ. მარაბდა

ვარაზისჭვეი. შიდა ქართლი

ვარაზისჭვეი 1774 – ... ბატონისშვილს გიორგის ოქმი ებოძა ... მდივანბეგის თეიმურაზისათვის – იესა მდივანს რაც ნასყიდი მიწა აქვს, გაბაშვილის რევაზისაგან მოსყიდული თავისი წილი, რაც სიგელში უწერია, გაუყავ... ჩვენ მოვაყვანინეთ გაბაანი, იმათისავ გამორჩევით გავგზავნეთ **ქაშეთის** დეკანოზი ფილიპე, **წვერის წმიდის** გიორგის დეკანოზი თეოდორე, **დიდმის** მამასახლისი დავითა, გილაური გიორგი, **დიდმელი** აბრამა და ამ მამულების ბელადი და მჭვნელ-მთესველი თანდილაშვილი შერმაზანა... გაზომეს რასაც ჭკუა მიუწვდებოდათ, დათვალეს. სულ, **ვარაზის ჭევს აქათ**, ასორმოცდასამ დღედ გაზომეს, **სააგურის მიწას** გარდა... **მონასტრის წყაროზედ** რომ ბილიკი გაივლის, გვერდა მიწა ერთის დღისა გუთნით საჭნავი იქ მივეცით... მონასტერს გაღმა **გოდაკაანთ ბაღს** ამოსწერივა, **გოდაკაანთ წისქვილის შარიდამ** მოკიდებული, წისქვილის სერამდინ, იქით ლელეებამდი.. იესეს მდივანს მივეცით. კიდევ **ვერის შარა** რომ გაივლის და ზეით **წყნეთის შარა** რომ გაივლი... იესე მდივანი დასჯერდა... **სააგურის მიწა** რომ არის ორის დღისა... საერთო არის. და ამავ **ქაშეთის** [მღვდელს] ფილიპეს დამიწერია, მოწამეცა ვარ... (სმ, II, 1924, გვ. 187-188).

ვარაპეტის სოფელი. ქვემო ქართლი

ვარაპეტის სოფელი 1623 – არღუთაშვილი ბაინდურბეგ ედაეებოდა ... რევაზებეგს **ვარაპეტის სოფელსა** და **ახპატის ბაღების** ნახევარსა... **ბორჩალოს** მეპატრონემ თამაზყული-ხანმა გამოაცხადა ჩვენთან: როდისაც იმათგან ჩამორთმევიათ, რევაზბეგს და მის მამისათვის მიუციათ, **ახპატის მამულად** ყოფილა, და აწ რევაზბეგის ხელში არის. და ესეც გვიანბო და უმოწმა, რომ არას დროს არღუთაშვილებისა არ ყოფილიყოს ის მამული... რადგანაც ამისთვის **ლორეს** მეპატრონემ ასე იმოწმა ... **დასტუბანს** ქვეით არღუთაშვილებს საქმე არა აქვსთ რა... (სს, I, 1899, გვ. 334).

ვარბაგარა – იხ. ვარძაგარა

ვარდანას ჭალა. ქვემო ქართლი

ვარდანას ჭალა 1756 – იხ. კრწანისი

ვარდანი. კახეთი

ვარდანი 1579 – იხ. მცხეთა

ვარდანი. შიდა ქართლი

ვარდანი 1574 – იხ. ყურისუბანი

ვარდანი 1782 – იხ. ავნევი

ვარდისგორა. რაჭა

ვარდისგორა 1696-1742 – იხ. ბარისთავი

ვარდისგორა 1732 ახლო – იხ. ბარისთავი

ვარდისგორა 1733 – იხ. ბარისთავი

ვარდისგორა. შიდა ქართლი

ვარდისგორა 1639 – იხ. ზერტი

ვარდისუბანი. კახეთი

ვარდისუბანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ვარდისუბანი 1796 – ... რომელსაც სოფელში ბატონის ყმა ხიზანათა დგანან, სახელდობრივ ამას ქვევით დაიწერა: ... **ვარდისუბანს** ესტატესშვილი.... თელავს, **კურდღელაურში**, ამბარდინისშვილი ზურაბა... **რუისპირს** ყარდაშა... იყალთოს ჯაბადრისშვილი გლახა... თაღლაურს **პატარძეულელი** გოგია... ხოდაშენს ბღინძი ნინია... **აწყურს** შალვასშვილი, ახშანს გოგია... **ხორხელს** დალაქი მიკირტუმა.. **ოყიოს** ფუჩულაშვილი ნინია... კოლოთოდამ გიორგი ხიზანი, ჯანანიდამ პატარა არუთინა... ობოლიძის ნალეკარი გიორგი... **ქისტაურს** ოჭანა მჭედელი... გლახა ფეიქარი **თელავს**... [ერეკლე II-ის ოქმი]: ამ სიით სადაც სოფლებში ჩვენი ყმანი იდგნენ ... გადმა სანადიროში უნდა დავასახლოთ... (დსსი, II, გვ. 180).

ვარდისუბანი 1798 – იხ. ველისციხე

ვარდისუბანი 1800 – სრულიად საქართველოჲსა კათალიკოზ-პატრიარხის და ამბა-ალავერდელ მიტროპოლიტის ანტონის წინაშე ეჩივლათ **ვარდისუბნელთ მერელებისაგან** თავიანთ მამულების მიმძლავრებაზედ... მგალობლიანნი და მერელნი ვარდისუბნელებს ეუბნებოდნენ: დიდი ხანია გვიჭირავს და არავინ გუდავებიაო... [მოსამართლეებმა] მოვატანინეთ **მერის** გუჯარი, რომელშიაც ჰსწერს და შეუწირავს სანატრელს მეფეს ალექსანდრეს **ალავერდის** წმიდის დიდის მთავარმოწამის გიორგისათჳს **მერის** სოფელი საწინამძღვრო და სამი კომლი ბაქრაძე აზნაურიშვილები **რაჭიდან** ეულნი, ქორონიკონს სი; და აგრეთვე დიდს მეფეს ირაკლის შეუწირავს სოფელი **ვარდისუბანი** კახაბრისავე ნებით და მოჰხსენებით, ქორონიკონს ტჲგ... თუმცა ახლა ორივ წმიდის ... გიორგის ყმანი არიან, მაგრამ ამათი მამულები კი გარჩეული ყოფილა ... ამისთჳს რომ **მერე** სახახო საწინამძღურო ყოფილა და **ვარდისუბანი** სათავადისშჳლო კახაბრისა... მგალობლიანთ უნდა იშოვნონ [მოწმედ] **საყდრიონიდამ** ორი აზნაურშვილნი... და აგრეთვე **მერელებმა** უნდა იშოვნონ [მოწმენი] ამ ოთხის სოფლიდამ: **არტოზნიდამ, რუისპირიდამ,** გულგულიდამ და **თელავს კურდღელაურიდამ**... (ქსძ, VI, გვ. 204-206).

ვარდისუბანი. ქვემო ქართლი

ვარდისუბანი 1392 – იხ. ტფილისი

ვარდისუბანი 1586 – იხ. ჩინჩხორი

ვარდისუბანი 1619 – იხ. ნახიდური

ვარდისუბანი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ვარდისუბანი 1707 – იხ. წრაუთი

ვარდისუბანი 1727 – იხ. ეგრისი

ვარდისუბანი. შიდა ქართლი

ვარდისუბანი 1660 – იხ. ქალაქი

ვარდისუბანი 1691 – [თარხნიშვილებს და მაღალაძეებს] მთასა და მთის საძოვარზედ ლაპარაკი შეჰქმნოდათ. მოკითხული ვქენით და სამძღვრით ასრე გავარიგეთ: **ობოლს კლდეს** აქათ **სასთლოს ღელემდინ** გაბრიელის სადღომი, ისეები მაღალაანთ დანებდა. ამას და გარდაისად სხვა სულ მოურავის შვილისა არის... **ნასოფლარს ვარდისუბანს** და **მუბათზედ** ლაპარაკობდნენ, მაღალაშვილებს დარჩა. **ოჩლაურზედ** ლაპარაკი შეექნათ, მაღალაშვილებს დარჩა... ორბეთს ქვემოთ წინამძღვარი და მაღალაძენი საწისქვილოზედ ცილობდენ. თუ კავთაშვილმან თავკაცად იფიცოს, რომე **საქვათაჭეო** იყოს, დარჩეს წინამძღვარს; და ნაშენის ფასი კი მაღალაანთ მიეცეს... **ქვათაჭევს** სასაფლაო, ბაღი, ბოსტანი როგორც გიორგი მეფის სიტყვით თბილელის გარიგებულს წიგნში ეწეროს, ისრეც უნდა იქნას. მაღალაძეებისა და თარხნის აზნაურშვილებს ცალქალმანიძეებსა და გოგიბეშვილს **ზერბში**, კიდევ სხვებში ჩხუბი მომჭდარიყო... (ქსძ, IV, გვ. 155-156).

ვარდისუბანი 1698 – იხ. ძალისი

ვარდისუბანი 1720 – იხ. მუხრანი

ვარდისწყარო. ქვემო ქართლი

ვარდისწყარო 1792 – იხ. ბალიჭი

ვარდოვანა. კახეთი

ვარდოვანა 1420 – იხ. ბიწმენი

ვარდოვანა 1505 – იხ. ოროტა

ვარდოვანა // ვარდუანი. შიდა ქართლი

ვარდოვანა 1717 – ... ესე წიგნი ... მოგეც მე, შენმა ბიძაშვილმა ქაიხოსრომ, შენ, ჩემს ბიძაშვილს ალხაზსა, შენი **ვარდოვანას** მიწა მე გამიცვალე და მოგეც პირდაპირ ზომით ჩემი წილი **გრძელა**. რაც იმაში დამაკლდა, **სობისის** გზაზე შემითავებია და ორი მხარი ნამეტნავიც მამიცია... (ქსძ, VIII, გვ. 874).

ვარდოვანა 1758 – [წერილი ედიშერ თუმანიშვილისა თავის ძმისწულისადმი]: ... მერმე-მერმე ბეჟანს, **ვარდუანს**, რაც თავისი წილი იყოს, დალა მიეც, რას ალაპარაკებ? (სს, III, გვ. 427-428).

ვარზმარი. ქვემო ქართლი

ვარზმარი 1707 – იხ. წრაუთი

ვართაშენი. ჭარ-ბელაქანი (აღმოსავლეთი კახეთი)

ვართაშენი 1785 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი **ვართაშენში** მყოფს იოსებ მღუდლის ძმას აბრამს მომცეს. ამას წინათ მოვალეებმა შემაწუხეს... ამ მოწყალებას ვითხოვ ... [გადახდა] დამაცალონ... (ქსძ, VII, გვ. 675).

ვარიანი. შიდა ქართლი

ვარიანი 1656 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემა ... როსტომ ... თქუენ ... მაჩაბელს სეხნიაშვილს თამაზს ... გიბოძეთ თქუენივ სამკუიდრო მამული, რაც ვაშა-

ყაშვილის პაპუნას ჰქონდა: ამოწყვეტილის მაჩაბლის კერძი **ვარიანთ, ძარწემს** და **ძარს** და **ზემთხუისს**... (ქსოის, გვ. 25)

ვარიანი 1701-1703 – [განჩინება ერეკლე I-ისა]: ... მივეცით [ნასისხლად ბიძინასა და დუშიას] **ვარიანს** უჯარმელაშვილი ხუცესი მისის ძმებით ... [და] **ძარს** ტრამაკიძე მამუკა მისის ძმებითა; და ამას გარდა ოცი დღის მიწა ვარიანს ამილდამბარის წილიდამ... (ქსძ, IV, გვ. 208)

ვარიანი 1712 – იხ. **ურბანისი**

ვარიანი 1754 – მაჩაბელი იესე ... ასე მოგვახსენებდა: ამოწყვეტილი ქობულიშვილის ... მამული რომ ჩვენ გვიბოძეთ **ვარიანს**, ბარძიმ და ზაზა არ გვანებებსო ... (ქსძ, IV, გვ. 430)

ვარიანი 1766 – იხ. **გორი**

ვარიანი 1767 – იხ. **ზემო ქართლი**

ვარიანი 1772 – პეტრე ღდელი დიმიტრის [გარსევანისშვილს] **ვარიანში** ერთს კომლს კაცს ვანიასშვილს და **ქალაქის** სასახლეს უჩიოდა... ასე გაშველდნენ: ვანიასშვილი დიმიტრის დარჩა ... და ორის დღის მიწა **რუისში** პეტრე ღდელს დარჩა... და კიდევ გორში ორი თვალი წისქვილის წყალი პეტრეს მამას და ბიძას საკუთრივ გაეყიდნათ, რომ არც დიმიტრი და არც იმისი ძმები რეულიყვნენ, რომ ორთავესი ყოფილიყო... (ქსძ, IV, გვ. 636).

ვარიანი 1772 – იხ. **ხეობა**

ვარიანი 1774 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ბაადურის შვილს ზაზა მაჩაბელს. **ვარიანს** ურჯომელასშვილის მამული რომ ჩემს ბარათში ნარგებია, აღაბაბას უჭირავს უსამართლობით... **ვარიანში** თქვენი ყმაც ბევრია და სხვისაც; მოკითხეთ და სამართალი მაღირსეთ... (ქსძ, VII, გვ. 250).

ვარიანი 1774-1783 – [თუშანიშვილების პურისა და ქერის ხარჯის ანგარიში]: ... **ვარიანიდამ** ზაზა მაჩაბლის გაცემული პური... **რუისიდამ** ნაშოენი პური... **ვარიანიდამ** ამილახვრის მარიფათით პური... **ცხინვალიდამ** შოშია საყვარელიძისა ქერი... **ქალაქს** ურმებით პურები წამოვიღე სურსათისა და სამასპინძლოსი მაშინ ურმების შესასრულებლად გამოვართვი პური კოდი... ამ ზამთარ ჩერქეზული იაბო **ხელთუბანს** ებაა... მე, მანუჩარსა ჩემს **ქართლს** ყოფნაში დამიხარჯამს ქერი ... [და] პური კოდი... **ხელთუბანს, რეხას, გარეჯვარს** და **ახალდაბას** ჩვენის მამულიდამ ჩვენს წილათ ღალა გვერო პური კოდი... **დირბიდამ** მიბარებია პური... გოგია **ბერდიკელმა** მოიტანა პური... (სეიძ, II, გვ. 115-118).

ვარიანი 1776 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ფალავანდიშვილს ერეკლეს... ერთი ჩემი მემკვიდრე კაცი მყვანდა **ვარიანს**. წელს თებერვალში აყრილა და **ფხვენისს** დამდგარა სხვის მამულზედ... ერთის იასაულის წყალობა მიყოთ, რომ იქიდამ აიყაროს და **ქცხინვალს** თქვენს სახასოში მამასახლის მიაბაროს... (ქსძ, VII, გვ. 338).

ვარიანი 1781 – [განჩინება]: რასაც **ვარიანში** მაჩაბელი ბარძიმ და ზაზა როსტომ ერისთვისშვილს ურჯუმელასშვილის მამულს ეცილებიან, სრულად მაჩაბელის ბარძიმს და ზაზას დარჩებათ (ქსძ, V, გვ. 167-168).

ვარიანი 1785 – იხ. მეჯვრისხევი

ვარიანი 1788 – [მანუჩარ ლაშქარნივისის არზა ერეკლე II-ისადმი]: ... ამას წინათ ზემო ქართლიდამ არზის მორთმევით ... ჩვენის სამკვიდროს ვარიანის მამულისა ბოძება მოგახსენე... ამა ჟამამდინ სხვათაგან ჭერა და მოხმარება საკმარებელია... (სს, III, გვ. 526).

ვარიანი 1789 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს მეთოდი მდივანბეგს... ერთი წელიწადი არის, რომ თქვენი წყალობა ხოდაბუნი წამართვა ვარიანს მაჩაბელმა ფარსადან... ერთი კომლი კაცი ჩემი სართისჭალას ჩავიდა და გივმა ფარეშთხუცესმა არ დამანება... [ერეკლე II-ის ოქმი]: ამილახვარიშვილის წილი მამული ეჭირა, ჩვენ ის ხოდაბუნიცა და კაცნიც მეთოდის მივეცით... (ქსძ, VII, გვ. 818-819).

ვარიანი 1789 – ... ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობით ვარიანელებს... მეტად სიღარიბემ შეგვაწუხა, თორემ თავს კი არ გაწყენდით... დავით ბატონიშვილი ... ცხინვალს რომ ბძანდებოდა, ორი ხარვალი პური იქ გამოგვართვა და ორი ძროხა... ამაზე შებრალება გვაღირსეთ... (ქსძ, VIII, გვ. 24).

ვარიანი 1795 – იხ. ერედვი

ვარიანი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ვარიანი 1798 – ... ჩვენ ... მეფემან გიორგიმ ... თქვენ ... მაჩაბელს ელიზბარს ... გაბოძეთ ვარიანს ჩვენი სახასო ყმა და მამული, დემეტრეს ნაქონი, რომელიც მდივანბეგს მეთოდის ეჭირა... (სს, III, გვ. 210).

ვარსიმაშვილის ვენაჯი. ქვემო ქართლი

ვარსიმაშვილის ვენაჯი 1705 – ... შემოგწირეთ ჩვენ, აბაშიშვილმა სუფრაჯიმა დავით ... პატიოსანს ხატსა მაცხოვრისასა ქვემო ვარსიმაშვილის ვენაჯი, ესიტაშვილს რომ უჭირვს... არის ამისი მოწამე სვეტისცხოველის წინამძღვარი გაბაშვილი იოსებ, ჩვენი აზნაურშვილი ბლორძელი... კიდევ ჩვენი მსახური დურნუკელი რევაზაშვილი გიორგი... ანდრიელი ჩვენი მსახური დონდარაშვილი პაპუა... მე მცხეთის კანდელაკიშვილს ათანასეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი (სს, I, 1920, გვ. 126-127).

ვარცა. კახეთი

ვარცა 1438 – იხ. მცხეთა

ვარცა 1579 – იხ. მცხეთა

ვარცანის მონასტერი. კახეთი

ვარცანის მონასტერი 1464 – იხ. ვეძისხევი

ვარცანის მონასტერი 1504 – იხ. ვეძისხევი

ვარცანის მონასტერი 1585 – იხ. ვეძისხევი

ვარცლასთავი. ქვემო ქართლი

ვარცლასთავი 1714 – იხ. კოდა

ვარძაგარა. ქვემო ქართლი

ვარძაგარა XVII II ნახ. – იხ. წრაუთი

ვარძაგარა XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

ვარძია. იმერეთი

ვარძია XIII ს. II ნახ.* – [ვარძიის მონასტრის დეკანოზის წერილი]: უფალო ჩემო ქორდა... ამა **ვარძიისა** ღმრთისმშობლისა მსახუებელნი ხართ. ვარძელი მძღოარი და ძმანი ... გამომიგზავნია და **ვარძიისა** ღმრთისმშობლისა ნამთხოვევი დასათალელი მიკადრებია. ვითა ამა ჟამსა ასათობო ... აღარაისით მოსრულა... (ქწ, IX, გვ. 85).

ვარძია 1325* – [ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა მეფეთ-მეფემ გიორგიმ] მიქაბაძეთა ... დაუმტკიცეთ სრული სისხლი ასი ათასი ძუელი თეორი... ახლა კიდე მიბოებია ვარძიას რაბიძისოული წყალობათ (სმ, II, 1924, გვ. 7-8).

ვარძია XVIII I ნახ. – იხ. კვალითი

ვარძია // ვარძიის მონასტერი. ჯავახეთი

ვარძია 1260 – იხ. ხოვლე

ვარძია 1414-1426 – იხ. აწყური

ვარძია 1453 – იხ. საფარა

ვარძია XVI ს. დას. – სამცხე

ვარძია 1500-1503 – იხ. კუმურდო

ვარძია 1518 – იხ. სამცხე

კაბენი 1698 – ესე გულანი დამეკარგა. არაგვის ერისათვის შვილმან გრიგოლ იშოვნა. კაბენს გეთსამანიის ღვთისმშობლის შეწირული იყო. მე ... მთავარეპისკოპოზმან ევდემოს ფეშკაში მივართვი და ისრევ ... შევსწირე საძვალესა ჩემსა კაბენს მონასტერსა გესამანიისა ღვთისმშობელსა... (ქრონ, II, გვ. 517).

კაბენი 1703 – [ერეკლე მუხრანბატონი] მოვედით ჭსორისს რატიშვილების გასაყრელად ჩვენ და ჩვენი მამა მთავარეფისკოპოსი ქრისტეფორე... ჩვენთვის ავიღეთ ამათი გასამყრელო ახალგორს ოთხი კვამლი კაცი... ერთი კვამლი კაცი ... თავისის მამულითა ... შემოგწირეთ თქვენ ... კაბენს გესმანისა ღვთისმშობელსა... (ქრონ, III, გვ. 10-11).

კაბერის მონასტერი. შიდა ქართლი

კაბერის მონასტერი 1580 – იხ. ღოლოვნა

კაბერეთის მონასტერი. ქვემო ქართლი

კაბერეთის მონასტერი 1637 – იხ. საბარათაშვილო

კაგიყოსო. ქართლი

კაგიყოსო 1345 – იხ. სარიჯნა

კაპადსარი. ქართლი (?)

კადაპარი 1711 – იხ. ლისი

კაელი (?). არტაანი (?)

კაელი XIII ს. I ნახ. – იხ. ზემო ხანახნი

კაველათი. შიდა ქართლი (?)

კაველათი 1686 – იხ. მოხისი

კავთა. შიდა ქართლი

კავთა 1247-1260 – იხ. ნაესძის მიწა

კავთა 1260 – იხ. ხოვლე

კავთა 1519 – იხ. კავთისხევი

კავთა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

კავთისხევი // კავთისჴევი // კავთიხევი // კავთისხეობა. შიდა ქართლი

კავთისხევი 1391 – ჩუენ, მეფემან ალექსანდრემ ესე წიგნი ... გიბოძეთ ... თქუენ ჩუენის საყდრის შვილთა ქადაგს მახარებელთა და თქუენთა შვილთა... რაცა **კავთისხევს** და **მცხეთისა** საყდარს საქადაგო მამული, შესავალი და სახელი იყო ... აწ ჩუნცა ... დაგიმტკიცეთ. გიბეჭდნიეროს ღმერთმან თქუენ ... **კავთისხეობა** ივანის ძეთა ნაქონები... (ქრონ, II, გვ. 192-193).

კავთისხევი 1447 – იხ. **მცხეთა**

კავთისხევი 1412 (1482) ... ჩუენ, დედოფალმან გულშარა თქუენა, სააკაძეთა **კავთისჴევისა** მოურავსა ივანეს ... გაგიცვალეთ ნოსტჳსა რომალისშვილისა გულიასეული სასახლე მისითა მიდამოთა, რასაცა **ბერიას კალო** გაიტანსა **ბენდიანურის სახლამდისა**... არა გზა დეგვეჭიროს **ბედნიერის** კარშიგან საურმო, არა **მოხანსა კალოზედა**, არა **აბარაში კალოზედა**... ჩემსა მეზერესა **კავთისჴევსა** სანაცლო სახლკარი მიეცა. მისი სანაცლო მიწაც დაგაგდებინე ჭანჭახშიგან ერთისა დღისა ბეცლელაური... (სკ, IV, გვ. 69).

კავთისხევი 1452 – იხ. **ქვათახევი**

კავთისხევი 1470 – **მცხეთა**

კავთისხევი 1472 – იხ. **მცხეთა**

კავთისხევი 1504-1516 – იხ. **მცხეთა**

კავთისხევი 1519 – ... მე ... სოლაღასშვილისა შალვას ძემან ივანე ... შემოვსწირე ... **მონასტერსა ქვათა ჴევისასა** ... **კავთისჴევს** ორი გლეხი... საკაკის ძემან **ტურიაული** ვენაჴი მომყიდა და ... ვენაჴი შუა გავყავ ... და მასხედა დავასახლე [გლეხები] ... რომე დიდსა ხუთშაბათსა მიიღებდეს **ქვათაჴევს** მრავალსა პურსა, ღუინოსა და სამარხოსა... კიდე კულა შემოვსწირე იქვე **კავთის ჴევს** ერთი ვენაჴი, ყაყიაშვილისაგან ვიყიდე, მისგანცა ნასყიდი იყო და იმა ვენაჴისა გამოსავლად დავსდევ ცუილი და საკმელი... მევე, სოლაღაშვილმან ... ივანე, ესე **ყაყიაური ვენაჴი** მევე დავიჭირე და ამისდა სანაცვლოდ ოთხისა დღისა მიწა **ქურციკაული ნაფუძარი** დავსდევ და მიეც მოსეშვილსა **კავთის მთავარ მოწამისა** დეკანოზსა ლონგინოზს... ამა ბეგარსა ოთხსა ლიტრასა ცუილსა **ტფილის ქალაქურითა** ლიტრითა ... **ქვათაჴევის მონასტერსა** ... ვერაოდეს დააკლებდეს ყოველთა წელიწადთა... (ის, III, გვ. 47-50).

კავთისხევი 1520 – მე ... ძემან დიდისა ფანასკერტელისა ციცის შვილისა, პატრონისა ზაზას ძემან ... მერაბ ... შემოვსწირე ... **მონასტერსა ქვათაჴევისასა** ... **კავთისჴევს** ერთი კუამლი გლეხი ცხადიასშვილი გიორგი... მეფეთმეფისა პატრონისა დავითისა ... ბრძანებითა, ჩარგაზაშვილისაგან ვენაჴი და სახლ-კარი ვიყიდე და აგრეჳე ათისა დღისა მიწა და მიეც ... ამა ცხადიაშვილსა... მიიღებდეს **ქვათაჴევს** ოთხასსა პურსა ... [და] თორმეტსა კოკასა ღუინოსა... (ის, II, გვ. 29-31).

კავთისხევი 1524 – იხ. **მოხისი**

კავთისხევი 1559 – იხ. **სხალდიდი**

კავთისხევი 1565 – ... მე, ელიზბარ სოლაღაშვილმან შენ ... პაპუნას მაღალაძესა ... მოგყიდე **კავთისხევს** გლეხი დემეტრე თავისის მამულითა ... და ჩემი ზვარი და ორი ხვადაბუნი, ერთი დამპალაში, ერთი **თვალათუბნის** ბოლოს... და **ქოთახევს** რაც ჩემი წილი იყოს... (ქსძ, VIII, გვ. 829-830).

კავთისხევი 1568 – იხ. **სურამი**

კავთისხევი 1581 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან სუიმეონ, ესე ... სათარხნო წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... **კავთისხეველთა** ჯილავის მეთოფეთა ბერაძეს დავითს... (ქსის, გვ. 13).

კავთისხევი 1588 – იხ. **ერთაწმინდა**

კავთისხევი 1618 – ... ჩუენ, მეფემან ... ბაგრატ, ესე წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, **კავთისჴეველს** იმნაძეს ციხოველსა... გათარხნეთ და განგათავისუფლეთ... **კავთისხევის** მოურაო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ... (დსსი, I, გვ. 17).

კავთისხევი 1620 – იხ. **ნოსტე**

კავთისხევი 1630 – ... ჩუენ, მეფემან ... სუიმონ ... გიბოძეთ თქუენ, **კავთისჴეველს** შეშაბერიძეს ... **კავთისჴევს** ფოციაური დიასახლისის ნაოჭარი მამული... **კავთისჴევის** მოურავნო, თქუენცა ... ნურას მოუშლით ... (დსსი, I, გვ. 21-22).

კავთისხევი 1633 – ... ჩუნ, მეფემან ... როსტომ, ესე წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქუნ, **კავთისჴეველს** ჩუენს მეჯინიბეს ინაძეს იმედასა... **პეტრაული** მიწა თქუენი სამკვიდრო ყოფილიყო და მოგშლოდა. ახლა ... გიბოძეთ მისის შესავლითა და გამოსავლითა... (ქსის, გვ. 99).

კავთისხევი 1695 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... გიორგიმ ... თქვენ ... ჩივაძე ბეჟანს ... მამული შემოგიმატეთ და გიბოძეთ **კავთისჴევს თელათუბანს** ჯავახი მექანარიშვილი და დათუნასშვილები ... და კურთხეულის მამის ჩვენისაგან ნაწყალობევი **ღვარის ხოდაბუნი**... (დსსი, I, გვ. 95).

კავთისხევი 1710 – ... საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან ... ვახტანგ ესე ... წიგნი ... გიბოძეთ თქვენ ... მოურავს ავთანდილს... მეფემან ... გიორგიმ **ქალაქის** მოურაობა გიბოძა და გქონდა. მოჭდა საქმე და არაგვის ერისთავისათვინ მისაცემლად მოვინდომეთ... [სანაცვლოდ] გიბოძეთ **კავთისხევს** სასახლე რომ მდგარა, ის ადგილი, ზვარი და ხოდაბუნები, გლეხნი ... დღეს რასაც მამულის მჭონებელნი იყუნენ... აგრევე **კავთისხევში** რომელნიც აზნაურიშვილი და მსახური ჩვენთვის სახასო დარჩა, იმისი მოურაობა როგორც გჭონებიათ, ისევ მოურავი იყვენით და თუ რამე სამოურაო სდებოდეს ისევ იმსახურებდეთ... (ქსძ, II, გვ. 328-330).

კავთისხევი 1720 ახლო – იხ. **თრიალეთი**

კავთისხევი 1722 – ... ჩვენ, თარხნისშვილმა ზაალ ... თქვენ, მაღალაძეს ... ამილბარს ... მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე და ბარათში გამოყოლილი ყმა – **კავთისჴევს თვალაზედ** ნაცვლიშვილი ქურციკა... არიან ამისნი მოწამენი ... **კავთისჴევს** მამასახლისი... (დსსი, I, გვ. 198).

კათოისხევი 1722 – ... ჩვენ, თარხნისშვილმა ზაალ ... თქვენ ... მაღალაძეს ... ამილბარს ... მოგკიდეთ ჩვენი მემკვიდრე ... ყმა **კათოისჴევს თვალაზედ** ნაცვლიშვილი ქურციკა ... მათის მამულებითა... არიან ამისნი მოწამენი ... **კათოისჴევის** მამასახლისი... (დსსი, I, გვ. 198).

კათოისხევი 1736-1744 – იხ. **მოხისი**

კათოისხევი 1749 – [ბრძანება თეიმურაზ II-ისა]: ... **კათოისხევის** მოღალევ და მოხელებო! ეს იმნაძე ბერი აქ ჩვენს სამსახურში ზინდრათ არის. ჩვენი სითარხნის წიგნიც აქვს და ამას ღალა-კულუხს ნუ სთხოვთ... (დსსი, I, გვ. 342).

კათოისხევი 1756 – [არზა ტერ-მელიქსეთასი თეიმურაზ II-ისადმი]: ... **კათოისხეველი** ჭანასშვილი ბეროსაგან ურუმობას დროს ერთი გოგო ვიყიდე ოთხის წლისა... ახლა გამაპარეს და წაიღეს **კათოისხევს**. არ მანებებენ... (ქსძ, VII, გვ. 33).

კათოისხევი 1779 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს **კათოისხეველს** შაყულაშვილს თევდორეს... ცალქალამნიძე კიკოლა და საბა ... მეჯიდებიან... ოქმი მიბოძეთ, ჩემთან ჴელი არა ჰქონდეთ. თქვენს ყმად გახლდე **ახალდაბას** (ქსძ, VII, გვ. 453-454).

კათოისხევი 1780 – [არზა ზურაბ ნახუცრიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... **კათოისხევს** ამოწყვეტილი მიქელაძის მამული ძველათგანაც ჩვენი იყო. მასუკან ნეტარხსენებულმა მეფე ბაქარ ბიძა თქვენმა მე მიბოძა... თქვენს დროშიაც მე მეჭირა... ერთი წელიწადი არის ... ბეცია თარხნისშვილმა არ დამანება. შარშადელი ღალა იმან აიღო... წრეულაც იმან აიღო... (ქსძ, VII, გვ. 488).

კათოისხევი 1784 – იხ. **ხიდისთავი**

კათოისხევი 1785 – იხ. **ბახტრიონი**

კათოისხევი 1786 – იხ. **თიანეთი**

კათოისხევი 1786 – იხ. **ქვათახევი**

კათოისხევი 1793 – [ოქმი ანტონ კათალიკოსისა]: ... ეს სვიმონ მაღალაშვილი და ამის ძმები ასე გარიგდნენ: რაც **კათოისხევში** ან **წითელ საყდართან** მამულები აქვსთ საერთო, სვიმონს მისცეს, ამან უნდა იხმაროს; და რაც ბიძინაშვილის სამაგიეროს მისცემენ, შუა უნდა გაიყონ (ქსძ, VIII, გვ. 238).

კათოისხევი 1793 – იხ. **ოძისი**

კათოისხევი 1795 ახლო – იხ. **ქვახვრელი**

კათოისხევი 1796 – თარხნიშვილი სოლომონ მეითრის ყმა **კათოისჴეველი** დავალიძე ჩიოდა: მემკვიდრე **კათოისჴეველი** ვარო და ჩემთვის მეფეს კოსტანტინეს **კათოისჴეველში** თავისის ხოდაბუნებიდამ ასის დღის მიწა უბოძებიათ. და ახლა თარხნიშვილს ბეციას ბატონმა რომ თავისი სახასო **კათოისჴეველი** უბოძაო, ეს ჩემი მამულებიც იმან მიიმძლავრაო... დავალიძემ წიგნი წამოაყენა მეფის კოსტანტინესი, რომელიც ქორონიკონს რნბ ამდენს დაწერილი იყო. დავალიძისათვის უბძანებია: შენ ჩემს სახასოს გლეხად დაგახლეთო და მოგეცით **ახაშმში** ჩვენის ზვრის ნახევარიო, **საბათორში**

ჩვენის ხოდაბუნის ნახევარ, **ღვართწყაროს** ბოლოს ჩვენის ხოდაბუნის ნახევარიო და ღვანძის ხოდაბუნის ნახევარიო და **ზვართკარს** ნაფუზრის ნახევარიო. ასე რომ ასი დღის მიწა შეგისრულეთო... (ქსძ, V, გვ. 676).

კავთისხევი 1796 – იხ. ჭალი

კავთისხევი 1799 – იხ. გამოღმა მხარი

კავთისხევი 1800 – [წყალობის წიგნი გიორგი XII-ისა თეიმურაზისაგან წყალობათ გქონდათ ნაბოძები **კავთისჴევს** სადეკანოზო მამული... როდესაც მოვიდა უსჯულო აღამაჰმად-ხან და ქალაქი წაახდინა და დაწო, ის წყალობის წიგნი იქ დაგკარგოდათ... წყალობის წიგნითა ამით გაგვიახლებია [სამამულო მფლობელობა]... ჩვენ ქვათახევის არხიმანდრიტი თარხნისშვილი ანტონი ... ვამტკიცებ... (სს, III, გვ. 183-184).

კავთისხევი 1800 – იხ. სათარხნო

კავთისხევი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

კავკანი. კახეთი

კავკანი 1792 – ვაჩნაძიანი უჩიოდენ დავით აფხაზს, **კავკანში** სამი საკომლო მამული გვაქვსო და შენ გაქვს მიმძლავრებულიო. აფხაზი უპასუხებდა: **კავკანი** ფიცით გამიტანიაო, თქვენ იქ თოთხმეტის დღის მიწის მეტი არა გაქვსთ რაო და ოცდაერთის დღის მიწა ედიშასშვილის არისო (ქსძ, V, გვ. 568).

კავკასიის მთა // კავკაზის მთა

კავკასიის მთა 1784 – იხ. ნარა

კავკასიის მთა 1769 – იხ. ხევის გზა

კავკასიის მთა 1783 იხ. თუშეთი

კაზრეთი. ქვემო ქართლი

კაზრეთი 1741 – იხ. ისპიანი

კაზრეთი 1792 – იხ. ბალიჭი

კაიშაური // კაიშაურთკარი. არაგვის ხეობა

კაიშაური 1781 – იხ. ისროლისხევი

კაიშაური 1781 – იხ. წკერე

კაიშაური 1784 – იხ. ტფილისი

კაიშაური 1793 – იხ. სტეფანწმინდა

კაკაბეთი. კახეთი

კაკაბეთი 1678 – იხ. ალავერდი

კაკაბეთი 1681 – [წყალობის წიგნი ერეკლე ბატონიშვილისა ლევან ავალიშვილისადმი]: ... გიბოძეთ **კაკაბეთი** მისის სამართლიანის საქმითა... კიდევე - გიბოძეთ საბალახე **დემურჩასალისა** ამასალად... (სს, III, გვ. 566-567).

კაკაბეთი 1693 – ჩვენ, კახეთის ბატონმან, ყარაბახის ბეგლარბეგმან ბატონმან აბაზყული-ხან გიბოძეთ თქვენ ... ჩოლოყაშვილს მამუკას ... **კაკაბ**

თი, რამაზიანი, ალვანი... რაგვარათ გორჯასპისა და ერისთვისშვილს დათუნას ჰქონდა... (ქრონ, II, გვ. 513).

კაკაბეთი 1700 – ... კაკაბელი და შიბლიანელნი მიწა-წყალზედ შუღლობდნენ... მთა და ბარი გაუსინჯეთ და ისე გაუყავით და შეგარიგეთ: **ორზედ** სახლთხუცის ობა რომ არის, **ყოჯას** პირდაპირ გზა რომ გამოვა, ის ჭალა **შიბლიანელთ** საწისქვილოთ დავანებეთ და წისქვილებს გარდა ჭალა სამჭმოთ **კაკაბელთ** დავანებეთ; იმას ქვემოთ **ზარგრის** ობას პირდაპირ პატარა თუთა არის, ერთი სამძღვარი ის არის; იმის სწორათ პირდაპირ დიდი გორა არის, იმაში ერთი პატარა თუთა არის, ერთი სამძღვარი ის არის; იმის სწორათ **სამზირლის წვერის** სწორათ რომ შავის **ტყის** მაღალი წვერი რომ წარმოადგება, ერთი სამძღვარი ის არის; **ყანდაურიანი** წყლითვე **კაკაბელთ** დარჩა. თუ **შიბლიანელთ** ბოლოს საძოვარი ბალახი **კაკაბელთ** არ დაუშალონ, **კაკაბელთ შიბლიანელთ** წყალი არ დაუჭირონ ... არის ამისი მოწამე ... კაცთაგან ... **კაკაბეთის** მოურავი ... შიბლიანში კიდევ ქემხა მგელიტა ... და ... კიდემ **ალაკას** ჯანგირა და ეშმაკურა... (ქსძ, IV, გვ. 181-182).

კაკაბეთი 1704-1714 ჩვენ, ალავერდელმა ნიკოლოზ ... გაგიჩინეთ თქვენ, დღეს წინამძღვარს ზაქარიას, ერთობილთ კრებული: **კაკაბეთიდამ** კოდი პური ათი და **კონდოლიდამ** უწინ ხუთი საპალნე ღვინო გაგიჩინეთ და ახლა იქიდამ შვიდი საპალნე უნდა მოგვცეთ... (ქსძ, III, გვ. 696).

კაკაბეთი 1724 – ... ჩუენ ... **ქართლისა** და **კახეთის** მპყრობელმან, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგმან, **შამშადილუსა** და **ყაზახის** ხანმა, მეფეთ-მეფემან ... კონსტანტინე ... თქუენ ... ჩოლოყაშვილს, კახეთის სახლთხუცესს და თუშთ მოურავს საზღვრელს ... **კაკაბეთის** მოურაობა დაგიმტკიცეთ, ასე რომე ... პატრონს მამა ჩუენს **კაკაბეთის** მოურაობა ასე გაერიგებინა... ძველთაგან **კაკაბეთი** შაჰ-აბას ყეენის დროს მოოხრებულ, უდაბ და უშენ ყოფილიყო. მეფეს არჩილს და მამიდაჩუენს, დედოფალს ქეთევანს კახაბრისშვილის გორჯასპისთუის ებოძა, ძველად მოოხრებული იმას ეშენებინა... მამა ჩუენის ისპაანს ყოფნაში გორჯასპის ეს თავისაგან აშენებული **კაკაბეთი** ჩუენის სასაფლაოს წმინდის გიორგისათუის... მამის ჩუენის ყეენთან ყოფნაში **კახეთი** აბაზ-ყული-ხანს მისცემოდა და გორჯასპის ისევ გამოეწირა... მასუკან ერისთავისშვილს დათუნას მისცემოდა ... [მაგრამ] მასცა ანაზდი სიკვდილი სწეოდა და აბაზ-ყული-ხანს მამის თქუენის დურმიშხან სახლთხუცისათუს ებოძა; მამა ჩუენი რომ საქართუელოში მობრძანებულიყო საბატონოთ და სიგლით თქუენთუს დაემტკიცებინა საყმოდ... ჩუენც სიგლითა ამით ხელახლა დაგიმტკიცეთ ... **კაკაბეთის** მოურაობა ... თავისის სამძღურით ... აქეთ **ჩალაურის** სამძღურამდის, იქით **შიბლიანის** სამძღურამდის, ბოლო რისაც მქონებელი არის **კაკაბეთი**, ქართუელი, თათარი თუ სომეხი... ვითაც საგარეჯოს მოურავს აქვ სამოურაო ... ჯურუმისა ორი წილი ალავერდელს მიერთმეოდეს და მესამედი თქუენ მოგეცემოდეს... (ქსძ, II, გვ. 389-391).

კაკაბეთი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკაბეთი 1740-1742 – ჩვენ მეფეთ-მეფემან ... თეიმურაზ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ შენ, ჩერქეზიშვილს **მარტყოფის** მოურავს ქაიხოსროს... **კაკაბეთი** ძველთაგან შენი სამკვიდრო მამული ყოფილიყო და ორიანობასა და ჯამთა შლილობაშიც ბევრი ჩხუბი გარდაგხდომოდა თქვენ და ჩოლოყაშვილს ამ **კაკაბეთის** გულისათვინ... ახლა ამდგარიყვნენ ჩვენის სახლის მებატონები, **კაკაბეთი** წმიდის გიორგისათვინ შეეწირათ... თქვენ და ჩოლოყაშვილი გივი ერთმანეთს შეგარიგეთ ... [და] რადგან რომ **კაკაბეთში** შიგ მომკვდარიყვეს, ძველთაგან შენი სამკვიდრო მამული ყოფილიყო სამოურაოდ **კაკაბეთი** შენ გიბოძეთ... შევიტყევით, რომე **კაკაბეთი** არც იყო ჭიზიყისა მაჰასალი, არც საგარეჯოსი, საჩერქეზო ყოფილიყო... (ქსს, გვ. 447).

კაკაბეთი 1779 – **კაკაბელი** კაცი ასაყრელი მოვიდა გორაშვილი, იქავ ამისი სახლის კაცი **ლალისყურას**. **ოთხთავალში კაკაბელი** ბერო. **რუისპირს** ქემხიშვილი ზურაბა. **მერეს** ახალკაციშვილი. **ახატელში** ქემხიშვილი. **თელავს** მენაბდიშვილი... **კონდოლს** მეკრიშვილი. **შილდას** მენოგნე დავითა... **ყვარელში** ციქუბაძე... **კუჭატანში** ფერდელაშვილი **კაკაბეთელთაგან** ფიცით გამოტანილი. **ჭიკანში** ოქრომჭედლიშვილი. **გძელმანდორს** ტაბლის ჭირი. **გურჯანში** იადანაშვილი. **ვაქირში** ბერიძიშვილი ოთარა. **მირზანში** ალუდიშვილი. **საგარეჯოს** იოსებ. **ქალაქს** სტეფანე მჭედელი... [ბრძანება]: გიო ავალიშვილო! მერმე ამ **კაკაბეთის** კაცების ასაყრელად შენ დაგვიყენებიხარ იასაულად. ახლაც უნდა წახვიდე ამ სით, რომელსაც სოფელში ამ სის კაცნი **კახეთში** ესახლოს ახლავე უნდა აყარო და **კაკაბეთს** უნდა მოიყვანო... ალავერდლის ყმანი არიან და **კაკაბელნი** არიან, უნდა აიყარნენ ახლავ და **კაკაბეთს** თავისავ მეზობლებთან მოვიდნენ (სს, III, გვ. 504-506).

კაკაბეთი 1797 – ბატონს მილახვარაშს იოსებს მეფის ძე გიორგი მრავალს მოკითხვას მოვახსენებ. მერე, მაგათს უმაღლესობას **კაკაბეთიდამ** მოკიდებული **მარტყოფამდის** აყრა და **ქალაქში** მოსვლა ებძანებინა... **საგარეჯოელთ** მაგათის უმაღლესობისათვის არზა მოურთმევიათ, რომ ჩვენ **ქალაქში** ვერ ჩავალთო და თუ გვიბძანებთ ან **თელავში**, ან **ქიზიყში** გვახლებითო... ასე ამბობენ თურმე, რომ ავიყრებითო და სულ რუსებთან ვლაგრში **საფურცლეში** ავალთო... ახლავ ... ოთხი, ან ხუთი კარგი ბეჯითნი თავადისშვილები გამოისტუმრონ და როგორც პირველი ბძანება არის, ისე **კაკაბეთიდამ** მოკიდებული აყარონ და **ქალაქში** ჩამოიყვანონ, რომ არავინ დააკლონ, და ისინი რომ **ქალაქს** ჩამოვლენ, მაშინ **ქალაქიც** კარგა დადგეს... (სს, III, გვ. 304).

კაკაბეთი 1800 – იხ. **გურჯაანი**

კაკას ხიდი. იმერეთი

კაკას ხიდი 1648 – იხ. **ქართლი**

კაკელათი. ქვემო ქართლი (?)

კაკელათი 1732 – იხ. **პატივანი**

კაკი. ქვემო ქართლი (?)

კაკი 1732 – იხ. **პატივანი**

კაკი. ჰერეთი

კაკი 1031-1033 – იხ. მცხეთა

კალა // კალისა ჭევი. სვანეთი

კალა XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

კალა XIV II ნახ. – იხ. სვანეთის ჭევი

კალა XIV–XV სს. – წმიდისა კვირიკეს პირობითა, კალა გაურისხდეს, რომელმანცა კაცმან სამართალი დაუჭიროს... ამისნი მოწმენი არიან – წმიდაი კვირიკე კალისა (სწძ, I, გვ. 222).

კალა XIV-XV სს. – იხ. ჭალდე

კალა XV ს. – წმიდისა კვირიკეს კალისა თაუსდებობითა ... დავდევით დაწერილი ... ამა პირსა ზედა: რაც ჩუენისა მთისა საქმესა მოყევს ... პირი და პასუხის გამცემი წმინდა კვირიკე კალისა და კალისა ჭევი ერთობილი ვართ (სწძ, I, გვ. 220).

კალა XV ს. – იხ. ლატალი

კალამა // კალამთა. არტაანი

კალამა XIII ს. II ნახ. – იხ. ქვემო ტიკაანი

კალაური // კალაურნი. კახეთი

კალაური 1392 – იხ. ტფილისი

კალაური 1428 – იხ. საგარეჯო

კალაური 1455 – იხ. ვეჯინი

კალაური 1642 – [ბრძანება თეიმურაზ I-ისა]: ... კალაურში ხალდასტინისეული მამული, შენი და უშენი, მთითა და ბარით, რისაც მჭონებელი ყოფილიყოს, ყუელა უკლებლად ხაქარიასა და ავალისათვის ... გუიბოძებია... (სს, III, გვ. 546).

კალაური 1711 – ... ჩუენ, ვაჩნაძეს რამაზის შვილმან ქაიხოსროვ ... თქუენ, ჯანდიერისშვილს მდივანბეგს პაატას ... მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული კალაურში... ამ ბიკიისშვილებს გავაზს რაც მამული აქუს, ის არ მამიყიდია... მოწამე ამისი ... ქისიყის მოურავი რევაზ... ჩოლაყაშვილი თიანეთის მოურავი გარსევან... (დსსი, I, გვ. 381-382).

კალაური 1720 – [იმამყული-ხანის წერილი უსეინყული-ხანისადმი]: ... ჩვენ თქუენის ჯარის დასახედავად ... წამოვედით, ორშაბათს რომ კალაურში მოვედით, ჩვენმა ყარაულმა ამბავი მოიტანა: ალაზანს ლეკის ჯარი გამოვედაო... დილას იმათთან ჩაშველება გვინდოდა. ქარხანა რომ დააყრიეს, იმ დროს კიდევ სხვა ყარაული მოვიდა: – ლეკის ჯარი იორზე მოვიდაო და რადგან იორზე მოვიდაო, ლაშქარს და მის გარეშემო ალაგებს ვეღარ მოხვდებაო... ყველამ ეს მოგვახსენა: ეს ჯარი ან საგარეჯოს, ან მარტყოფს და ან უჯარმას და უფრო საგარეჯოს მიუჯდებაო. ჩვენ შევსხედით ... გიორგწმინდას მივედით, ჯარს აქ მოველით და ეგების მარტყოფს ან უჯარმას მოვიდეს ... ჯერ არ შემოგვყრიან ... პირველ რომ ლეკის ჯარის ამბავი მოგვივიდა, მაშინვე საგარეჯოს ნაცვალი გაახლევით და ჯერ არ

მოსულა. ახლა თქვენი ამბავი აქ, **საგარეჯოს** გვიბძანეთ ... აქ **საგარეჯოს** მოლოდინი გვქონდა ... (ქეწ, გვ. 45-46).

კალაური 1722 – იხ. **მარტყოფი**

კალაური 1722 – იხ. **სარუსთველო**

კალაური XVIII ს. I მეოთხ. – იხ. **თვალი**

კალაური 1749 – ... [ბეჟანამ მარცვალაშვილი] სვეტიცხოველს რომე მოვედით და ... გეყმევით ... თქვენს მამულზე, ზვარზე დაგვაყენეთ **კალაურში**... მე, კალაურის მდღელს პავლეს დამიწერია ეს წიგნი... (დსსი, I, გვ. 337-338).

კალაური 1757 – იხ. **კონდოლი**

კალაური 1772 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს ... კალაურის მოურავს ქვრივსა... მოგეხსენებათ, **საგარეჯოს** თავისი მემკვიდრე და გამბეჭრავი მოურავი არა ყოლია და ჩვენი ამ სახელოს მოცემის მახსოვარი არავინ კია... [ოქმი]: ჩვენი ბძანება არის **კალაურელნო**. მერე კალაურის მოურავს ... სამი მსახური უნდა მისცეთ... აგრეევ წინსაგარეჯოს მოურავს, რაც განწესება ქონდეს ჯარიმიდან, აგრეევ უკანა საგარეჯო ეს არის, აქედამ უნდა მიეცეს ამ მოურავს ჯარიმის წილი... (ქსძ, VII, გვ. 223-224).

კალაური 1773 – იხ. **სკრა**

კალაური 1785 – იხ. **ფაშაანი**

კალაური 1786 – იხ. **ქართლი**

კალაური 1787 – იხ. **ველისციხე**

კალაური 1792 – იხ. **აკურის ბოლო**

კალაური 1793 – იხ. **ახალქალაქი**

კალაური 1798 – **კალაურის** მოურავის ომანისა და ამათის ძმებისა და ამათის სახლისკაცისა – **შაშიანის** მოურავისა და ამისის ძმების სარჩელის მისაცემად თუმანიშვილი მდივანი სულხან, **ჯიმითის** მოურავი იოსებ და მდივანი თუმანიშვილი დიმიტრი ... წარივლინენ... **ბეჟანაურის ვენახი** ფრიდონისა და ამისის ძმების ბარათში წილად ნარეგები არის; ეს ვენახი ომანის მამას გაუკაფია და სასახლეთ აუშენებია, რომ დღესაც შიგ დგანან და მას აქეთ იმ ვენახის გამოსავალი ფრიდონსა და ამის ძმებს აკლიათ. და ამ **ბეჟანაურის ვენახის** საფარდოთ ზემოხსენებულთ მოსამართლეთ, ორსავ მხრის ნებით, **ბრატიაულის ვენახი** მოუზომიათ და ფრიდონისა და ამისის ძმებისათვის მიუციათ... (ქსძ, VI, გვ. 78-79).

კალაური 1799 – ... ბატონიშვილს ბაგრატს ებძანა ... კალაურის მოურავს ომანისთვის, თარხნის ლუარსაბისათვის და **შაშიანის** მოურავის ფრიდონისათვის: ფარსადან რომ დავითას უჩივის, ამათი საქმე თქვენ გაურჩევეთო. ჩვენ ასე გავარჩევეთ: დავით და ფარსადან რომ დაობდნენ, **ახმეტას** ორი კომბლი კაცი ყვანდათ დავითას, პეპინას და ფარსადანს გაუყოფელი... დავითს წიგნი მიეცა: აქ ეს ორი კაცი მე დამანებე და **კალაურში** რომ ჯამაპიშვილის ნავენახობი გვაქვს ... ის მამული მომიცია... (ქსძ, VI, გვ. 102-103).

კალაური 1799 – ... ბატონიშვილს ბაგრატს ებძანა: **კალაურის** მოურაო ომან, თარხანო ლუარსაბ და **შაშიანის** მოურავო ფრიდონ! ბარამიშვილს ფარსადანს და ამის სახლის კაცებს რაც სადაო მამულები ეჭონდეს, თქვენ გაურჩივეთ და გაუყავითო. ამ იოვანეს, ფარსადანს და პეპინაშვილს ზაალს ასე გაუყავით: ზევით სასახლები რომ პეპინას **გრდანელისათვის** რომ გარდიგარდმო მიწა მიეყიდნა, ის გავზომეთ და ორი იმისი ტოლი იოვანეს და ფარსადანს მიეცით და პეპინაშვილი იმ სასახლიდამ უწილო გამოვიდა. სილოვანეს მიჯნას აქათ იოვანეს და ფარსადანს მივეცით. ამ ორთ შუა უნდა გაიყონ... და სილუანეს რო **კვირაცხოვლის მიწებში** რომ გარდიგარდმო არის, ის მიწა აიღო და ქვევით შუნიას მიწა მისცა იოვანეს ... **აფხაზიანთეული ხოდაბუნი** შუა უნდა გაიყონ... (ქსძ, VI, გვ. 104-105).

კალაური 1800 – ... ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... ერთობლივ ჯანდიერიანთა... **კალაურნი** შეყრილან ჩვენზედ, აღარც მინდორში გაგვატარეს, აღარც ტყეში, ჩვენს სამკვიდრო მამულში... [გიორგი მეფის ოქმის]: ის მამული ორთავა ხნან, მადამდის ჩვენ **კახეთში** მოვიდოდეთ და ... მოვარიგებთ... (სს, III, გვ. 182-183).

კალაში. სვანეთი

კალაში XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

კალერი. ქვემო ქართლი

კალერი 1751 – იხ. ახალშენი

კალთუბანი. კახეთი

კალთუბანი 1585 – იხ. ვეძისხევი

კალობანი. თბილისი

კალობანი 1560 – იხ. ტფილისი

კალობანი 1562 – იხ. ჩოჩეთი

კალობანი 1718 – იხ. ზენადრისი

კალოთხევი // კალოთხევნი. ქვემო ქართლი (?)

კალოთხევი 1619 – ... ჩუენ, ბაბუჩამა ... სოლოღაშვილსა ... შეოსა ... მოგყიდეთა ჩუენი მკუიდრი მამული **კალოთა ხევანი საქუდაში** – შუიდისა დღისა მიწა, ერთი მხარი ღელე, ერთი მხარი ალიყულას მიწამდინა... არიან ამისნი მოწამენი: მამასახლისი ჰმაზა, ხუცესი ტერ-სარქისა ... სრულად **კუმელნი** ... (სს, II, გვ. 405-406).

კალოთხევი 1697 – იხ. კლდის თავი

კალუათა. იმერეთი

კალუათა 1727 ახლო – ... ჩვენ, აბაშიძემ ლუარსაბ თქვენ, ბატონს წერეთელს პაპუნას ... მოგყიდე **კალუათას** გიგია მგელაშვილი მისის ... მამულით (დსსი, I, გვ. 458).

კალუათა 1727 ახლო – ... ჩვენ, წერეთელმან გოშაძემ ... თქვენ, წერეთელს ბატონს ქველს ... მოგყიდეთ **კალუათას** იაკობიძე შოშიტა... (დსსი, I, გვ. 459-460).

კამარეთი. ქვემო ქართლი

კამარეთი 1792 – იხ. ბალიჭი

კამკამაების წყალი. შიდა ქართლი

კამკამაების წყალი 1799 – იხ. ურბნისი

კანჭიყარა. ქვემო ქართლი

კანჭიყარა 1733 – იხ. ჩხიკვთა

კაჟის სამანი. იმერეთი

კაჟის სამანი 1515-1535 – იხ. კაცხი

კაჟის სამანი 1615 – იხ. კაცხი

კაჟის სამანი 1680-1696 – ჯაფარიძე ხოსია და თაყა იძლევიან წიგნს **კაჟის სამანსა** და **რკინის ჯვარს** იქით **რგანისკენ** საცილობელ მიწის **კაცხის** მაცხოვრის სასარგებლოდ დარჩენის შესახებ (სკ, III, გვ. 61).

კარალეთი. შიდა ქართლი

კარალეთი 1467 – იხ. შავშეთი

კარალეთი 1651 – იხ. ბიბლიანთუბანი

კარალეთი 1703-1711 – ქსნის ერისთავი, თუმანიშვილები და **გორელები კარალეთის** ჭალის საქმეზედ ლაპარაკობდნენ... **ნაკოშკარსა** და წყაროს ზევით **კარალეთისა** ყოფილიყო და ერისთავს დავანებეთ... და ამავე **ნაკოშკარსა** და ნეფის წყაროს ქვევით, როგორათაც უწინ თუმანიშვილებსა და გორელებს ჰქონდათ, იმათთვის დავანებებია... (ქსძ, IV, გვ. 270).

კარალეთი 1716-1724 – იხ. ხევთუბანი

კარალეთი 1717 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... შაჰნავაზ ... თქვენ ... ციციშვილს ქაიხოსროს ... გიბოძეთ თქვენი სამკვიდრო სოფელი **კარალეთი** ყოჯრის მისის ... სამძღვრითა, მთითა, ბარითა... (ქსის, გვ. 426-427).

კარალეთი 1746 – ჩვენ, ერისთავმა დავით ესე წიგნი მოგეცით შენ, ესტაშვილს პაატას, ასე რომ **კარალელი** ჩვენი ყმა შავშიშვილი მამადყულიხანის დროს ცარიელი კაცი ყმათ მოგსლოდა, მერე ისევ თავის მამულზედ წამოსვლა მოინდომეს... თუ როდისმე ამით ვისმე **კახეთს** ისევ წამოსვლა მოუხდესთ, თქვენს მეტს საქმე არავისა ჰქონდეს... (სს, I, 1920, გვ. 91).

კარალეთი 1754 – იხ. ჭალა

კარალეთი 1756 – ერისთვის ნაზირს, **კარალეთის** მოურავს, თაქალაშვილს გიორგის, მიუცია აზატობა გერმანოზისშვილის ომანის ყმის **ენაგეს**ლის უსატაშვილის ბეჟანისთვის... (სს, I, 1920, გვ. 95).

კარალეთი 1762 – იხ. ენაგეთი

კარალეთი 1771 – იხ. ახალგორი

კარალეთი 1774 – იხ. ქსანი

კარალეთი 1781 – იხ. გორი

კარალეთი 1789 – დმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს ... ერთობლივ **კარალელო**... ბატონისაგან შემოწერილი პური გამოგვერთვა **კალაურის** მოურა-

ვის ხელით... ერთი ძროხაც **გორს** ბატონიშვილისათვინ გამოგვართვეს. კი... დევ ოცდასამი კოდი პური აქ **გორს** მივაბარეთ... (ქსძ, VIII, გვ. 22-23).

კარალეთი 1795 ახლო – იხ. აღაიანი

კარალეთი 1797 – ... მისკარბაშის ჯალაბს, ჩემს საყვარელს დას, მეფის ასული ქეთევან მრავალს მოკითხვას მოგახსენებ... პური გეთხოვნათ და მომირთმევია, დიაღ, ბევრი ხარჯი მომივიდა წელს და აღარც მქონდა, თორემ ასე ცოტას კი არ მოგართმევდი... ეს ბარათი **კარალეთს** გაგზავნეთ მამასახლისთან და იქიდამ მოატანინეთ... (სს, III, გვ. 70-71).

კარალეთი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

კარანეხი – იხ. კარდანეხი

კარასპუორი. ქვემო ქართლი

კარასპუორი 1661 – იხ. სომხითი

კარაქაები. ქვემო ქართლი

კარაქაები 1636 – იხ. საბარათაშვილო

კარბი // კარბაი. შიდა ქართლი

კარბი 1348 – იხ. ქართლი

კარბი 1433 – იხ. ქვეში

კარბი 1646 – ... ჩუენ მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ ... თქუენ ... ზეკდგინძეს გივსა ... გიბოძეთ **კარბს**, რისაც მქონებელი [თქვენი ბიძაშვილი] თამაზ ყოფილიყოს ... ვიდრე მთით ბარამდე უნაკლოდ... (ქსის, გვ. 198).

კარბი 1754 – იხ. დიღომი

კარბი 1766 – იხ. გორი

კარბი 1771 – იხ. ტინისხიდი

კარბი 1771 – იხ. ქვემო ქართლი

კარბი 1774 – [მორიგეთა სია კარბიდან]: ... უნდა იყოს მორიგედ: **კარბიდამ გორიჯვრის** ყმა მახარაშვილი... ზაალ დავითიშვილის ყმა კოკლაშვილი... **ახპატის** მონასტრის ყმა ასლანიშვილი... **ბეშოელი** ტარშაიჭაშვილი დათუა... ანანიაშვილის სახელო გოგნაშვილი... ამილახორიანთა ყმა გულისადებაშვილი... იოანე მდივანბეგის ყმა ზანზალაშვილი... იულონ ბატონიშვილის ყმა კოშორიძე... სარდლის დავითის ყმა ავაზა... მდივანბეგის იესეს ყმა დავითიშვილი... **სამცხეთო** კველიაშვილი... ფალავანდიშვილის ერეკლეს ყმა რიკაძე... შერმაზან გნოლის-ძის ნასყიდი ივანე რაჭველი... ბუჭყიაშვილის ყმა შანაზარაშვილი... ნიკოლაოზ აბაშიძის ყმა კაკიაშვილი... პეტრე ავალიშვილის ყმა მამულაშვილი... მთავარეპისკოპოზის ყმა ანანიაშვილი... ბასილაშვილის ყმა ხატიაშვილი... ჩელიტას ყმა ბიზინაშვილი... უთნელიშვილის ყმა დვალიშვილი (სეიძ, II, გვ. 126-128).

კარბი 1776 – იხ. აწყური

კარბი 1777 – ... ამილახორის ნაზირს ბასილისშვილს შერმაზანს ... ორი კვამლი კაცი მყავს ... **კარბს**... ბეჟან ამილახორისშვილი მოსულა და იმ ჩე-

მის კაცებისათვის სახლები თავს დაექცია ... და ჩემი ცოლ-შვილიც გაშორ-ჟარა. ჩემი ერთი კაცი ნადირაძე აყრილა, **კახეთს** ჩასულა; და ერთი სა-რისთოს გასულა... (ქსძ, VII, გვ. 369-370).

კარბი 1778 – დმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს **პარტელს** დავითის-შვილის ჩელტია იასეს ხიზანს ვარძელაშვილს თევდორეს. **კარბს** ჩელტიას ... ხიზნად გახლავარ. ჩელტიას ძმისწულს გოგიას ხომ ოსების ტყვის დას-ყიდვა შაარნდა. იმ ოსების პატრონები მომიხდნენ, ამიკლეს... ამ ჩელტიას ძმისწულს ცოლ-შვილი **იმერეთში** ჰყავს, თითონაც **იმერეთს** იპარება... (ქსძ, VII, გვ. 397).

კარბი 1784 – იხ. **დგვრისი**

კარბი 1795 – იხ. **გორი**

კარბი 1785 ახლო – იხ. **ქარელი**

კარბი XVIII ს. მიწ. – იხ. **ნიქოზი**

კარბი XVIII ს. მიწ. – იხ. **სურამი**

კარგარეთი. შიდა ქართლი

კარგარეთი 1795 – იხ. **ერთაწმინდა**

კარდანეხი // კარდანეჭი // კარდანახი // კარანეხი. კახეთი

კარდანეხი 1455 – იხ. **ვეჯინი**

კარდანეხი 1696 – ... ჩვენ ყარაბაღის ბეგლარ-ბეგმან, **კახეთის** აქიმმან სარ-დალმან ქალბალი-ხან ... გიბოძეთ შენ ... მილახვარს გურგენს და დემეტ-რეს ბეგს ათი კვამლი კაცი **კარდანეხს**, აფხაზისშვილის ნაქონი მამული ზურაბისა, დანაშაულზედ და ძმის დაჭრაზედ ჩვენგან წართმეული... (ქსის, გვ. 379).

კარდანეხი 1710 – ვაჩნაძე ბებურიშვილები ზურაბ და დურმიშხან და და-თუნა აფხაზიშვილი **კარდანეჭის** ბოლოს საჭავს მიწაზე შეცილებულიყ-ვნენ... ჩვენ **ჭიხიჭის** მოურავიშვილი ეშიკაღასბაში პაატა ამ საქმეზე **კარ-დანეჭს** მოვედით და ორივე ვალაპარაკეთ... ზურაბსა და დურმიშხანსა და მის ძმებს ეს მიწა ხოდაბუნათ დარჩა... არის ამისი დამხუდომი ... **ანაგის ქვეხა შერმაზან... ვაქირით**: ნანობაშვილი ბერო... **მაჩხაანით**: მანთეშაში-ლები ჭელმიწიფის იასაულები... (ქსძ, IV, გვ. 230).

კარდანეხი 1716 – [წყალობის წიგნი იმამყული-ხანისა დემეტრესა და მღი-ვან გურგენისადმი]: ... ქაიხოსრო ვაჩნაძე ... ლეკში წავიდა ... და ქუეყნის სისხლშიც გაერივა... [მისი] მამულის წყალობა თქუნთვის გვიქნია: **კარდა-ნეჭს, ბაკურციხეს, გავაზს**... (ქსოის, გვ. 42).

კარდანეხი 1737 – ... ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ვაჩნაძემ ბებურიშვილებმა ... თქვენ, ვაჩნაძეს ასლანს... **კარდანეხს** ჩვენი სახლი ვამჯობინეთ საცი-ხედ, ჩვენც ყაბული ვქენით, დავდევით საგვარეულოთ, არას ჩვენის სახ-ლისკაცს საქმე არ ჰქონდეს... (სს, III, გვ. 447).

კარდანეხი 1737 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან ... თეიმურაზ ... ესე ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ... ერთობლივ **კარდანეჭელთ**... ჩვენი სახასო ყოფილიყვე-

ნით და ჟამთა ვითარებისაგან თავადიშვილებს მისცემოდა... ახლა ჩვენც ... სახასოდ დაგდევით... ჴიზიყზედ დაგვიდვია... (დსხი, I, გვ. 398-399).

კარდანეხი 1764 – იხ. გავაზი

კარდანეხი 1768 – იხ. ალაზანი

კარდანეხი 1772 – ჩვენ ორთავე საქართველოს მეფემ ირაკლიმ ... გიბოძეთ [პაპა ვაჩნაძეს] საჯილდოთ კარდანეხს სამი კომლი კაცი ვაჭებდაშვილი ... თავისის მამულითა (სს, III, გვ. 16).

კარდანეხი 1773 – იხ. სავაჩნაძო

კარდანეხი 1778 – ... [ყმა-მამულს] რომ დაობს ზაქარია მოურავის შვილი, ის კარდანეჴში მოიკითხონ. თუ ის ასეთი სამოსახლოა, რომ კოშკი არის და სახლის ადგილი და ბოსლისა და სამი ოთახის სახლის ადგილი, ისიც უნდა შუა გაიყონ. და თუ მარტო ბოსელია და ვენახის სახლი, რადგანაც ის ვენახი გაფარდებულია, იმ ვენახისა იქნება და არ გაიყოფა... (ქსძ, V, გვ. 47).

კარდანეხი 1779 – იხ. გავაზი

კარდანეხი 1780 – [ოქმი ერეკლე II-ისა]: უფალნო კახეთის მსაჯულნო... ჩადით კარდანახს, ამ ბებურიანთ ... სადაო მამულები ყველა გაშინჯეთ... და რაც თქვენ ვერ გადასწყვიტოთ, ის ჩვენზედ მოაგდევით. ქალაქს ჩამოვიდნენ და იმის სამართალს ჩვენ უსჯით. (ქსძ, VIII, გვ. 69).

კარდანეხი 1784 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ლუარსაბ ონანაშვილის დედას შირინას... კარდანეხს რომ თქვენი წყალობა მამული გვაქვს, ის ცოტას ხანს მეფემ მამადყული-ხანმა ჩამოგვართვა... მერე ადგა ჩემი მამამთილი, და ერთი საბეური ... და ერთი კარგათ გაწყობილი ხმალი ... ბატონს მიართო ... და ეს მამული ისევ გვებოძა. დღეს ამ მამულს ჩემი შვილი და ჩემი მაზლის წული იყოფენ (ქსძ, VII, გვ. 625).

კარდანეხი 1785 – კარდანეჴის გლეხები ... გაიყვეს ონანაშვილმა ლუარსაბ და ზაქარიამ... (ქსძ, V, გვ. 306).

კარდანეხი 1787 – ბებურიშვილი ომანის შვილი ზურაბ თავის ყმას, სესიას, ბატონყმობაზედ უჩიოდა. ასე რომ: ... აიყარა კარდანეხიდამ და ვაქირში დადგაო (ქსძ, V, გვ. 356).

კარდანეხი 1787 – მოურავმა და თოფჩიბაშამან იჩივლეს კარდანეხს ხოლოშვილის სასახლეზე. ამ ხოლოშვილს სამი სასახლე ჰქონია და ეს სასახლეები მოურავისა და თოფჩიბაშისა შუა გასაყოფი ყოფილა... (ქსძ, V, გვ. 385).

კარდანეხი 1788 – ზაქარია ქიზიყის მოურავი და ამის სახლისკაცნი დავით აფხაზს მამულზე ... ედავებოდენ... წამოაყენეს ენდრონიკაანთ ... წყალობის წიგნები: ერთი, მეფის შაჰნავაზისაგან ბოძებული ... [და] მეორე, ბიძის ჩვენის კონსტანტინესი, რომლითაც დათუნა აფხაზის კერძ მამულს უწერს და სახელდობით კაცებს, კარდანეჴს სასახლეს და ბაკურციხეს რაც წილი ჰქონდესო, აძლევს... მესამე წიგნი ისევ მეფის კონსტანტინესი, რომელშიც

სწერს: გიბოძეთ ნახევარი დათუნა აფხაზის წილი, რაც გამოეტანოს მამული სავაჭნაძოს... (ქსძ, V, გვ. 421).

კარდანეხი 1790 – ... ჩვენ [მდივანბეგები] **კარდანეხს** გიახელით ბებურისა და ომანის შვილის მამულის გასარჩევლათ. თქვენის [მეფის] ბძანებით ვაჩნაძიანი სულ ერთად შემოვკრიბეთ... არ იქნა ჩვენგან ამათი გარიგება... (ქსძ, VIII, გვ. 78).

კარდანეხი 1798 – ბებურიშვილები ეშიკაღასბაში აიდემურ და იმის ძმისწული ზაქარია თავეთის ყმისა და მამულის გაყოფას ითხოვდნენ... ზაქარიას თავისგან გამორჩეული საუფროსოთ მიეცა ორი გლეხი – ერთი **კარდანეხს** ... და მეორე **ბაკურციხეს** ... დღესაც რისაც მამულის მქონებელნი არიან. და საუარესოთ აიდემურმა მისცა **კალაურს** ... და **კარდანეხს** [ყმამამული]... და **კარდანეხს** რომ სასახლე აქვსთ, ის სასახლე საუმცროსოთ სრულად ერგო აიდემურს... (ქსძ, VI, გვ. 49-50).

კარდანუცი. კახეთი

კარდანუცი 1455 – იხ. ვეჯინი

კარელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

კართუბანი. კახეთი

კართუბანი 1786 – იხ. კახეთი

კარი (ყარსის ქვეყანა)

კარი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

კარი 1638 – იხ. მცხეთა

კარიანი. შიდა ქართლი

კარიანი 1796 – იხ. სამთავისი

კარიჭაული ვენაკი. შიდა ქართლი (?)

კარიჭაული ვენაკი 1719 – იხ. უმეკაური ვენაკი

კარკუჩა. ხევი

კარკუჩა 1781 – იხ წკერე

კარმეჯახელი. ქვემო ქართლი

კარმეჯახელი 1741 – იხ. ისპიანი

კარპეტისხევი. ქვემო ქართლი

კარპეტისხევი 1792 – იხ. ბალიჭი

კარსანი. შიდა ქართლი

კარსანი 1392 – იხ. ტფილისი

კარსანი 1442 – იხ. მცხეთა

კარსანი 1447 – იხ. მცხეთა

კარსანი 1504-1511 – იხ. მცხეთა

კარსანი 1559 – იხ. სხალდიდი

კარსანი 1675 – ჩვენ ... ქართლის კათალიკოზი ... დომენტი და ერთობილნი მცხეთელნი ... დავსხედით და ჭარმაული იასეს შვილები და ზაქარია გავყარეთ... ზაქარიას თავის წილად ერგო და ჩვენც უბოძეთ: **მცხეთის** სასახლის ნახევარი; სამკვიდრო **კარსანს** სოლომონ შვილი რისაც მამულის ღღეს მქონებელი იყუნეს; **ფონთხელაზედ** რაც მიწები აქვსთ, იმისი ნახევარი; **თელის მიწის** სანაცვლოდ პაატასა და ონანას კერძსა ორის ღღის მიწა იქივ **ფონთხელაზედ** ზაქარიას მიეცით; ვენახის სანაცვლოდ ერთის ღღის მიწა **ფონთხელაზედ** ზაქარიას მიეცით; ზაქარიას ნაშოვნი ძველი სვეტისცხოვლის ზვარი, ზერის ბოლოს ხოდაბუნი, **ნიგოზათ მიწა** ჭაობში... **ბოროწლეთს** ქათიაშვილები ზაქარიას ნაშოვნი ივანა და გიორგი, რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ იმითა; ადაიანის მოურაობა... (ქსძ, IV, გვ. 136).

კარსანი 1692 – იხ. ციხედიდი

კარსანი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

კარსანი 1774 – იხ. აკნალი

კარსანი 1781 – იხ. პავლეური

კარსანი 1782 – იხ. მცხეთა

კარუკუდმართი. ქვემო ქართლი

კარუკუდმართი 1707 – იხ. უზნარიანი

კარუკუდმართი 1708 – იხ. უზნარიანი

კარუკუდმართი 1719 – იხ. კარწახი

კარუშეთი. შიდა ქართლი

კარუშეთი 1783 – იხ. ბობნავი

კარშაგარი // კარშაგირი. ქვემო ქართლი

კარშაგარი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

კარწახი. ქვემო ქართლი

კარწახი 1719 – ... **უდაბნოს ნათლისმცემელო**, ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... ბაქარ ... შემოგწირეთ **თრიალეთზედ** ჩვენი სახასო სოფელი **კარწახი**. მას ჟამს, ოდეს მამას ჩვენს, მეფეს პატრონს ვახტანგს თავის გამეფებაში პირველად **უზნარიანი** და **კარუკუდმართი** აეშენებინა ... შენ, **გარესჯის უდაბნოს მრავალმთის** მონასტრის[თვის] შემოგწირა; და **კარწახი**, ჩვენი სახასო, ძველად აშენებული იყო და მათში მრავალი შფოთი და ცილება იყო სამძღვრებზედა... აწ ის სოფელი **კარწახიც** ჩვენ შემოგწირეთ ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა და ის სამი სოფელი გავაერთეთ და ეს შფოთებაც დავაწყნარეთ... რარიგადაც ძველს მამის ჩვენის სიგელში **უზნარიანის** სითარხნე გიწერიათ, ესეც ისე გვითარხნებია.. (ის, V, გვ. 30-32).

კარჭაული. კახეთი

კარჭაული 1749 – იხ. შილდა

კასპი. შიდა ქართლი

კასპი 1392 – იხ. ტფილისი

კასპი 1429 – [წყალობის წიგნი ალექსანდრე I-ისა]: ... ქონდეს თქუენ, ზევდგინისძეთა: ეზოს ჩუხჩარეხსა და **გორის** მოურავსა ავთანდილს ... **კასპი** და იგოეთი ... ნასისხლად, ციხითა, მონასტრითა, აზნაურითა, გლეხებითა... გიბოძეთ **ნადარბაზევი** სასახლითა, გლეხებითა... და თუ ვის რა ამა ნასისხლისა **კასპ-იგოეთისა** და ანუ ჩუენგან წყალობად ბოძებულისა გოშთა და **ნადარბაზევისა** სიგელი ჰქონდეს, იგი ყუალა ... გაგვიცუდებია... ვინცა ნახოთ ... სიგელი ესე ჩუენი ... **გორისა** და **ატენის** მოურავთა და ცხოანთა ... ნუცა-ვინ რას დააკლებთ... (ქსძ, II, გვ. 120-121).

კასპი 1508 – ... მე ... დამან მეფისა ბაგრატისმან გაიანე ... ვიყიდე **კასპს** ვენაჭი სამიასშვილის დეკანოზისეული წარწარიკაშვილის გოგნიასაგან. შემოვჰწირე ... **უდაბნოსა წმიდის შიოსსა**... (ის, II, გვ. 25).

კასპი 1513 – იხ. **სამთავისი**

კასპი 1523 – ... თქუენ ... **უდაბნოსა** მღუიმისასა ... მე ... ზევდგინისძემან, ამილახორმან თაყაშან [შემოგწირეთ] ... ჩუენი მკუიდრი ... მამული **კასპს, ვენაჭი ბედიანური** – ქუეშესა მჭარსა მოურავის ვენაჭი უც, და ზედათს მჭარსა სპანდარიანისა ვენაჭი უც. ამისა საშუალ რაცა **ბედიანური ვენაჭი** არის... კიდევე შემოგუიწირავს **ჯეჯიკურული** გუთნისთავი პური ... და იმა პურსა ისივე **ჯეჯიკურელნი**, მათითა ულაყებითა **მღუიმეს** მიიტანდნენ... კიდევე შემოგუიწირავს **ტფილისს ქალაქსა** ვაჭარი ახუსებაშვილი გულისადები, მისითა მამულითა, სახლ-კარითა, ჭულბაკითა... (ის, III, გვ. 53-55).

კასპი 1559 – იხ. **სხალდიდი**

კასპი 1665 – წერილი, რომლითაც დაუყენებიათ [ამილახვრებს] ნასყიდაშვილი **წმიდის შიოს** დეკანოზათ და მიუციათ **კასპს ზურად გუგულაური** თვისითა სამძღვრითა, **კასპს ბედიანური ვენახი** ... [და] **ფურანაგის** ორი **ვენახი ანტონაური** თვისითა სახნავითა... ეგრეთვე **სამთავისიდამ** სამოცი კოდი – ნახევარი პური და ნახევარი ქერი მისაცემელად სამთავნელისადმი და ვინც მათი ქალაქის მებაჟე იქმნება, დეკანოზი უნდა სთხოვდეს... (დსსი, I, გვ. 42).

კასპი 1740 – [წერილი დემეტრე ქარუმიძისა გივი ამილახორისადმი]: ... ჩვენთვის წიგნი გებოძათ და გებძანებინათ: **კასპს** შენობას ვაპირობთო ... [და] აქ ჩამოდიო მოურავი ხარო... ჩემი ჩამოსვლა მანდ არ იქნება... ვისაც გინდოდეს, იმას უბოძეთ **კასპის** მოურაობა... **კასპელი** კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილია. თითო ბიჭი სადღაც გარდარჩომილია, იმათი პოვნა ვის შეუძლია? ვერც იმათ ცოდოში ჩავდგები ბატონო... (სს, III, გვ. 456).

კასპი 1754 – იხ. **დიღომი**

კასპი 1759 – იხ. **ძევერა**

კასპი 1766 – იხ. **გორი**

კასპი 1770 – იხ. **გრაკალი**

კასპი 1787 – [ამილახვრების შეწირულობის წიგნი]: ... თაყა ამილახვარს ... ზვარი შიოსთვის შეეწირა **კასპს**... მერე ... დაჰკარგოდა... პაპათა ჩვენთა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხსნათ ... და ისევ დაკარგულიყო... ამას ჟამსა ... სამთავნელ ეპისკოპოსმან და მღუიმის წინამძღვარმან პაისიოს იჩივლა ... და ხელახლა დაგიმტკიცეთო (ისშმმ, გვ.83-84).

კასპი 1788 – მეტეხი

კასპი 1789 – იხ. **უფლისციხე**

კასპი 1790 – [ბრძანება ირაკლი II-ისა]: ... გერმანოზისშვილო გოგიავ! მერმე დავით ბატონისშვილს იახელ, მიიყვანე და **კასპს** დააყენე რამდენსამე დღეს... ულუფა აქედამ გამოგვიგზავნია... ოცდაოთხი ლიტრა ქერი **კასპელებს** მიაცემიე... (სს, I, 1899, გვ. 353).

კასპი 1795 ახლო – იხ. **ადაიანი**

კასპი 1796 – [არზა ბეჟან ამილახვრისშვილისა ერეკლე II-ისადმი] ... მე ხომ განჯას გახლდი. ჩემი შვილი ჩამოსულა, თავისი წილი გუთნები უთხოვნია. მერე ქაიხოსროს ერასტის შვილები მოუსევია... აღარც **კასპში** შეუშვიათ (ქსძ, VIII, გვ. 374).

კასპი 1796 – იხ. **სამთავისი**

კასპი XVIII ს. მიწ. – იხ. **სურამი**

კასპის ციხე. შიდა ქართლი

კასპის ციხე 1766 – იხ. **გორი**

კასპური ვენაკი. შიდა ქართლი

კასპური ვენაკი 1756 – იხ. **ორჭოშანი**

კატავეთი. ქვემო ქართლი

კატავეთი 1707 – იხ. **წრაუთი**

კატავეთი 1766 – იხ. **გორი**

კატავეთი 1781 – იხ. **ერეკლეს ციხე**

კატავეთი 1782 – იხ. **ქალაქი**

კატეხი. ჰერეთი

კატეხი 1031-1033 – იხ. **მცხეთა**

კაღზევანი // ყაღზევან. სომხეთიი

კაღზევანი XVI ს. დას. – იხ. **ყვიბისი**

კაშაში. სვანეთი

კაშაში XV ს. – იხ. **ლალვარი**

კაჩაეთი. რაჭა

კაჩაეთი 1071-1080 – იხ. **ზნაკვა**

კაციეთი. იმერეთი

კაციეთი 1492 – იხ. **სახადი**

კაციეთი 1548 – იხ. **ნიკორწმინდა**

კაციეთი 1795 – ... ნიკოლაოსწმინდელი სოფრომ [მობრძანდა] ... და მთას წმიდის გიორგის დავთარიც მოგვიტანა... [მარიამ დედოფალმა] დავამტკი-

ცეთ და გიბოძეთ სიგელი **კაციეთის** ადგილი სრულიად **სომყეთის ჭალას** აქეთ და ზემოკერძო საზღვრავს **ქვაყუნტა** წოდებული ადგილი ზენათ შუა **ველიეთის მინდორს** აქეთ და **სომყეთის** ჭალას აქეთ. ამ საზღვრებს შუა საბატონო საქებარი ადგილი რაც იყო, ყოველსავე ზედან ჭელი ავიღეთ და სრულებით შემოგწირეთ (დსსს, II, გვ. 107-108).

კაცხი. იმერეთი

კაცხი 1392 – იხ. **ტფილისი**

კაცხი 1515-1535 – ... მე, ამირეჯიბის შვილმან აბულახსარ ... შემოგწირეთ ... მაცხოარო **კაცხისაო**, კუპატაძე მახარობელი მისითა მამულითა... შემოგწირეთ **საკურწეს** შვიდი კუამლი კაცი... (სკ, III, გვ. 46-47).

კაცხი 1515-1535 – [შეწირულბის წიგნი აბულახსარ ამირაჯიბისშვილისა]: ... შემოგწირე შენ ... მაცხოარო **კაცხისაო** ... საბატონო ბეგარა **ყაენაურისა მამულისა**... ამას ზედან შემომიწირავს ჩემგან აშენებული ერთი სოფელი **რგანი** იქით, **ხრეთისაკენ კაჟის სამანს რკინის ჯუართამდინ**, სხუა – **ავაზნისა** იქით, **ვაჭევი** ნასოფლარი **თელაწმინდიდგან ღვითორისკენ**, აქეთ **კაჟის სამანს რკინის ჯუარამდე**, სხუა, სრულიად მისითა ტყითა და ველითა, ნავარძეთისაკენ, კლდეს ზედათ, სრულად სამაცხოვრო არის. აწე, **შაშვის** წყაროს აქეთ **ურბევისა** მიგვიბარებია ტყითა, წყლითა და ველითა... მიგვიცემია ერთი ზუარი **კაცხს ფარეული**... კუამლის თავს თუთოს კაცს შეუშვებით **კაცხელთა, საკურწელთა, ჯოყოელთა და საყდრელთა**... **საყდრელთა** და **რგანელთა** დაისწრებდით სულისა ჩუენისა საოხად და სავედრებელად... პირველად ეს **ჯოყოეთი** მაცხოვრის შეწირული იყო, აწ ჩუენცა შეგუიწირავს... (სკ, III, გვ. 42-44).

კაცხი 1529 – იხ. **გელათი**

კაცხი 1580-1590 – ჩვენ, ჩაისელმან დავით, **ფარეული ზუარი** და მაზედ მოსახლე კუპატაძე მახარებელი აბულახსარ ამირეჯიბისგან ... შეწირული ... დიდის მაცხოვრის **კაცხისათვის** ... ისრევე გავაახლეთ... (სკ, III, გვ. 48).

კაცხი 1604-1620 – ... მაცხოარო **კაცხისაო** ... მეფემან ... გიორგი შემოგწირე **რკვიას** მუშლაძე იმედა... (სკ, III, გვ. 50).

კაცხი 1610-1630 – ... ჩვენ, ჩხეტიძის ქალმან ... გულბუდახ და ძეთა ჩუენთა აბაშიძემან პატრონმან პაატამ, შემოგწირეთ ... მაცხოვარო **კაცხისაო** ... თავსას ცოჩოძე ხუცესი მისი ძმებით, ქაქბაძე კუირიაი და ერთი ვაჭარი ქუთათისს ალხაზისშვილი ზურაბაი, და ჭალატყეს ურია იოსებაი მათის ცოლ-შვილითა და სახლ-კარითა... ხახუტას მოადგილე იყუნენ **რკუიას** ეს ორი კუამლი კაცი... (სკ, III, გვ. 51-52).

კაცხი 1615 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან გიორგი ... შემოგწირეთ ... მონასტერსა ... **კაცხსა** სოფელი **ვაჭევი**. ასრე რომე, ადგილი იგი ცარიელი იყო, ძველთაგანცა თქუენი ყოფილიყო და კაცი აღარ ესახლა. აწ ჩუენ ჩუენის სახასოს სოფლიდამ **ხრეთიდამ** ოთხი კუამლი ცერცუაძეები ავყარეთ და **ვაჭევში** გარდმოვასახლეთ... **ხრეთს** მათი სამკვიდრო მამული და სასაფლაო არ მოუშალეთ... იქით **რგანის** სოფლისაკენ **კაჟის სამანი** და **თელაწ-**

მინდამდინ, აქეთ ღვთოორისკენ წიფელას ჯვარამდინ ... თქვუნოჯს შემოგვიწირავს... (სკ, III, გვ. 49).

კაცხი 1627 – იხ. ნავარძეთი

კაცხი 1678 – იხ. წირქვალი

კაცხი 1680-1696 – იხ. კაჟის სამანი

კაცხი 1684 – [შეწირულების წიგნი პაატა აბაშიძისა]: ... შენ მაცხოვრისა და ტაძრისა შენისა **კაცხისა** ... შემოგწირე ... ბაგრატ მეფის წყალობა **სახანოს სამაჭავარიანო სასახლე**, და ოთხი გლეხი... არის საზღუარი ამ ადგილებისა: ალავიძე გარდმოღმა **დათვის ბოლო ბარდნალიანათ, ივანეული მკათაური ნასასახლევი** საყდრიანათ, სასაფლაოიანად, მისის სამჭმელოიანად, ეს საკუთარია. **ტყლაპი რუსაბუჯის შესაყარს** აქეთ, **კლდის წყარომდის**... სანადირო და საყანე **სამაჭავარიანო** არის, ხატისთვის შეგვიწირავს. ნახევარი **საამირეჯიბო** და **საქადაგიძეო** არის, ჭელი არა გუაქვს-რა. ამ **ტყლაპ**შიდ არის კიდევ ჩვენი საკუთარი ერთი საყანე მეგრელიშვილის გამოღმა, **ნამარნსა** და **ნასაკირეულს** დაღმა წყლამდის... კიდევ **საჭიმკე** სამცივარიანად **კლდის წყარომდის**. ამ საჩვენოს და **საამირეჯიბოს** და საქადაგიძეოს ერთმანეთში გზა არ ეჭირვის, ამისოჯს რომ სამჭმელო ერთმანეთშიდ არის... (სკ, III, გვ. 54-56).

კაცხი 1702-1720 – იხ. შუქრუთი

კაცხი 1730 – აბაშიძე ზურაბ, თანამეცხედრე მისი ხორამზე და ძენი მისნი ... სწირავან **კაცხს** თავის ნაყმევს სეხნია მუშლაძეს და **ჭალატყეში** სომეხს მამუკა საფარაშვილს და ურია ბერი ჩლიქიშვილს... (სკ, III, გვ. 62).

კაცხი 1730-1740 – [ნასყიდობის წიგნი შედანიშვილის გიორგი წერეთლისა]: მონასტერს **კაცხს** და „ზედამდეგსა თქვენთა ბესარიონს“ მიყიდა **მორძგვეთს** ორი საგლეხო პარტახი და ერთი სასახლის ადგილი; ყიდის **კაცხის** წინამძღვარს სვიმონზე **პაპიაშვილისეულს პარტახს**... (სკ, III, გვ. 62-63).

კაცხი 1742-1743 – იხ. მორძგვეთი

კაცხი 1759 – იხ. მორძგვეთი

კაცხი 1775 – სოლომონ პირველი, დედოფალი მარიამ და ძე მათი ალექსანდრე სწირავენ **კაცხის** მონასტერს **საზანოს** ... შიდ კომლ... (სკ, III, გვ. 63).

კაცხი 1775 – სოლომონ პირველი, დედოფალი მარიამ და შვილი მათი ალექსანდრე სწირავენ **კაცხს** სოფელ **ვაჭევეს** (სკ, III, გვ. 63).

კაცხი 1794 – სოლომონ მეორე ცოლით მისით მარიამით სწირავს **კაცხს** სახასო მიწას **სკანდროულს**... (სკ, III, გვ. 64).

კაცხი XVIII-XIX სს. მიჯნა – თავადი აბაშიძე დავით და ჯაფარიძე საჩინო ... დაობდნენ **კაცხის** მაცხოვრის ეკლესიის მამულზედ და გავაბჭვეთ. დავით აბაშიძემ მეფე გიორგისაგან შეწირულობის დავთარი წამოაყენა, რომელიც აცხადებდა **ვაჭევის** სამნათ **რკინის ჯვარს**... საჩინომ და მისმა სახლისკაცებმა უპასუხეს: მეფეს გიორგის თავისი სახასო კაცები აუყრია **ხრეითს** – ცეცვაძეები, ჩვენი კაცების სახლისკაცი და **ვაჭევეს** დაუსახლებია. და **ხრეითს** რომელიც სამკვიდრო მიწა-წყალი ქონია, იმიანათ **კაცხის** მაც-

ხოვრისათვის შეუწირავს... ამ სამგლიათას ეგ თქვენი კაცები ხრეთითგან წამოყვანილი ცერცვაძეები და ეს ჩვენი ცერცვაძეები ერთობის სამკეიდრობით ხმარობდენ, თვარამ მიწა ხრეითის არის... (ქსძ, VI, გვ. 273-274).

კაცხის ციხე. იმერეთი

კაცხის ციხე 1742-1743 – იხ. მორძგეთი

კაცხის ციხე 1755 – [სოლომონ I-ის მიერ სვიმონ წერეთლისათვის ბოძებულ წყალობის წიგნს ემოწმებიან]: ... **სვერის** მოურავი მაჭავარიანი ქაიხოსრო... ჩვენი ციხის კაცხის მოურავი კლდიაშვილი ხოსია (იდ, I, გვ. 98-99).

კაწარეთი // კაწარი. კახეთი

კაწარეთი 1447 – იხ. მცხეთა

კაწარეთი 1579 – იხ. მცხეთა

კაწარეთი 1710 – ... მეფეთ-მეფემან დავით ... ვიგულსმოდგინეთ სამართლიანად შესაწირავად **კაწარეთს** წმიდის სამების ტაძრის მისართმევლად... მოკითხული ვქენით და გამოვიძიეთ, რომელიც ჩნდა და იცოდენ და დაჰკარგოდა, ისიც შეუმატეთ... **სამების სოფელს** ზიარი არავინ ყუანდა და სხვას ჭელი არავის ედვა, მთა და ბარი დაჰკარგოდა, საცილობელი შექმნოდა... რომელიც სოფელს ახლო მთა ჰქონდა, **პატარძეულით** გაუფიცავს და დაუჭერია საჭვაი მამულები. და მიწები უპატრონობით **გარეჯელთ** წაეთვით სამებელთათვინ... **სვეტიცხოველის** გუჯრები ვნახეთ, ძველსა და ახალში, ორშივ ასე ეწერა: **საგარეჯოსკენ** რომ სამების მამულიაო, **კოტმანის** დაბლა ღელე გაჰყოფს თავის ბოლომდი. დაბლა ღელედამ რომ გზა ამოვა.., შარა-შარა რომ გზა გადმოვლის, **მწარეს წყალს** გადმოადგება, მაღლა ბექი აქუს, დაბლა – ცოტა გორა შუაში ჩაივლის, **მწარე წყლის** ღელეს ჩაჰყვების, **ივრამდის** ჩავა. ის ღელე ივრამდი, გამოღმა სამების საყდრისა და გაღმა – **პატარძეულთა**... **ხაშმი** ჭელშეუვალად წმიდის სამების ყოფილიყო, ზოგი რომელიმე წართმეული ქონება, ზოგი დაედვათ... ჟამიერშეილი ერთი კვამლი **ქართლიდამ საგარეჯოს** ჩამოსულიყო ჩვენს სახასოში. ბიძინა სუფრაჯს მოეყვანა და **ხაშმზე** საყდრის მამულზე დაესახლებინა და თავისთვის დაეჭირა... ისევ საყდარს მივართვით... **ორჭევს ბათანი** და ჯორაანი, მის გარშემო ალაგები რომელიც ქონდეს, **იორს** გაღმა-გამოღმა... **ახმეტას** მეფის ლეონისაგან შეწირული ზვარი... ისიც და რაც **ახმეტას** და უტოს, ორველს გაღმა-გამოღმა სამების ყოფლიყოს... **ენისელში** მჭედლური მის სამძღვრამდი; ალიაბათას – რისაც მჭონებელი ყოფილიყოს, **თასმალურში**, საკანს, ენისელში ან სხვაგან... არ მოეგშალოს... (ქკმეის, გვ. 32-36).

კაწარეთი 1739 – ... შენ, წმიდას **სამებას**, **კაწარეთს** ყმა ლეკისაგან ამოგიწყდა... ჩვენ [ენდრონიკეშვილმან დავით] შემოგწირეთ შენ, წმიდას სამებას ერთი კომლი კოჭობაშვილი... არიან ამისნი მოწამენი ... სულ **საენდრონიკო**... [ბეჭედი წარწერით]: სალთხუცესი **კახეთისა**, გივი, მოურავი **ფშაველებისა**... (ის, V, გვ. 54-55).

კაწარეთი 1765 – ჩვენ, ირაკლი მეორემან მეფემან ... და ... ანტონი პატრიარქმან ... განვსაჯეთ **წმიდის სამების კაწარის** ეპარხია, რომ ერთის ეპის-

კოპოსისათვის სარჩოდ საკმაო აღარც სამწყსო და აღარც ყმა და მამული იყო: ამისთვის ვბრძანეთ, რომ წმიდის სამების ეკლესიის სამწყსო ყმა თუ მამული, სადაც იყოს, რუსთველისა და ნინოწმიდის ეკლესიას გაეყოს დრომდის... (გუჯრ. გე. 37).

კაწარეთი 1778 – იხ. **ხაშმი**

კაწარეთი 1791 – იხ. **სასამებლო მამული**

კაჭაჭკუტი. ქვემო ქართლი

კაჭაჭკუტი 1717 – იხ. **ოფრეთი**

კაჭკაჭის ხევი. ქვემო ქართლი

კაჭკაჭის ხევი 1701 – იხ. **ენაგეთი**

კაჭრეთი. კახეთი

კაჭრეთი XVIII ს. I ნახ.– იხ. **თვალი**

კაჭრეთი 1762 – მუხრანბატონს რომ ავანასშვილი აუყრია, ერასტიშვილებიდამ ... კაცი შეაფიცეს მუხრან ბატონს, რომ: ერასტის **კაჭრეთს** სახლებოდეს, მას უკან ოსმალობას წასულიყოს, ქალაქს ყოფილიყოს, იქიდამ მუხრან ბატონს წაეყვანოს... (ქსძ, IV, გე. 486)

კაჭრეთი 1784 – ჩვენ, ქეშიჭიბაში აბაშიძე იოანე, ენდრონიკაშვილი ზაალ და ერასტიშვილები მამულებზედ ვლაპარაკობდით. მისს უმაღლესობას მეფის სამართალში შევედით... [მოსამართლეები] დაგვისხდნენ და ასე შეგვარიგეს... **ბეჟანბაღი** და **კაჭრეთი** ქვემოთ, **საქიზიყოს შარამდის** – ეს სამთ უნდა გაიყოს... ამას გარდა, **ზიარის** ბოლო რაც გაუყოფელი არის, ის საერთო არის... **ზიარს** ტყე რაც არის, აქედამ თვითო სახოდაბუნე თანასწორე ამ ზემოხსენებულთ სამთავ ძმათ უნდა აიღონ... **წინამხარში** რაც მოურავიანთან საერთო მამული გვაქვს ... ისიც ამ ზემოხსენებულისათვის საეროთო უნდა ვხნათ. როდესაც გავიყოთ, სამთავ საძმოთ უნდა გავიყოთ (ქსძ, V, გე. 255-256).

კაჭრეთი 1792 – იხ. **გურჯაანი**

კაჭრეთი 1794 – ქეშიჭიბაში აბაშიძე იოანე ანდრონიკაშვილს ზაალ **მარტყოფის** მოურავს უჩიოდა: ჩემის მიწის გასადევარი – **კაჭრეთის** გვერდა, ზაალ მოურავს უჭირავს და არ გვანებებსო... ზაალ მოურავმა თავისის პირით აღიარა ... **კაჭრეთის** გვერდა იოანე ქეჩიჭიბაშისა არის, მე იმაში ჭელი არა მაქვსო... (ქსძ, V, გე. 650).

კახეთა. შიდა ქართლი (?)

კახეთა 1531 – იხ. **მალეთა საკონე**

კახეთი

კახეთი 1031-1033 – იხ. **მცხეთა**

კახეთი 1392 – იხ. **ტფილისი**

კახეთი 1401-1415 – იხ. **ულუმბა**

კახეთი 1656 – მას ჟამსა ოდეს, კათაკლიოზი ბატონი ქრისტეფორე **კახეთს** სვეტიცხოველის მამულის საქმეს დაგუელაპარაკა ... [ჩვენც, მეფე როსტომს]

რარიგადაც ამას წინათ გარიგებული ყოფილა, ისევე გაგუირიგებდა, როდე-
საც თქუენს საყდრის მამულში ან თათრისა და ან ქართველის კაცის
ცხუარმა იყიშლაღოს, ფარისთავს თუითოს ცხუარს უკლებლივ თქუენს
მებალახეთ მიაბარებდნენ... (ქსის, გვ. 261).

კახეთი 1664 – ეს წიგნი მოგეცით ჩვენ, თუმანიშვილმა მდივანმა გიორგიმ
... შენ, რაზმაძეს პაატას... ასრე რომე, ჩვენ წამოგვიხვეს და **კახეთს** ჩა-
მოხველ. მასუკან შემოგვეხვეწე ... და აზატიც ასრე გიყავით... (ქსძ, VIII,
გვ. 844-845).

კახეთი 1689 – [ბრძანება აბაზყული-ხანისა]: ვითაცა ძუელთაგან ხელმწი-
ფეთაგან **სვეტსცხოველს კახეთში** სოფლები [ყოფილა] შეწირული ... ახ-
ლაც ბედნიერს ყუენს წყალობა ექნა და კათალიკოზისათვის რაყაში ებო-
ძებინა. ჩუენც რასაც ალაგს **კახეთში** ან აშენებული და ან ნაოხარი საკა-
თალიკოზო სოფელი არი, ან **შიგნით კახეთში**, ან **ალაზანს** გაღმა, ან ნა-
პირის ალაგს **მტკვარს** გამოღმა, ქონდეს იმავ წესით და სამართლით... და
კახეთის ვახმიათის მოსავალს რაც გამოსაღები იყოს, ეს აიღებდეს (ქსის,
გვ. 338).

კახეთი 1695-1746 – ... ოდეს ჯამთა ვითარებისაგან **კახეთი** ლეკთ დაიპყრეს,
ლილო 1735-1738 – ღმერთმან ... ვექილის ჭირი ... თბილელის **ლილოელებს** დავითახა და ბეჟანას მოსცეს... რაც ჩვენი გამოსაღები ყოფილა, თბილელისათვის მიგვიცია. ახლა **ქალაქის** მალში და სატარუღოში დაუწერიგართ... (ქსძ, VII, გვ. 16-17).

ლილო XVIII ს. შუაწლ. – იხ. **გარეჯვარი**

ლილო 1786 – ღმრთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს **ლილოზე** მსახლობელს მოსეს და ხოსროს. **ოსეთში** ჩვენ ბიძაშვილები გვყავს და ჭაჭიშვილმა ელიზბარმა ამოგვიწყვიტა – შვიდი მოკლა და ოთხი დაატყვევა; და ჩვენი ციხეც ხელთ უჭირავს. ამ დავაზე ჩვენ და ჩემი სახლისკაცნი მოუხდით იმათ, ერთი კაცი მოუკალით და ერთი სხვა ციხე წავართვით. და ის იმათი ციხე ჩვენ გვიჭირავს და ჩვენი ოთხმოცი კაცი დღეს შიგ არიან... ჩვენი მოხსენება ეს არის: ბორტიშვილი იმისი ბატონია, იმან სამართალი გვიყოს და გადაგვიწყვიტოს, ჩვენ ყაბული გვაქვს... მოუხსენებია, **ქცხილვანში** გემტროსო. ჩვენ **კახს** ქვეით არცარა გვიმტერებია და არცარას უმტერებთ. ახლა თუ სამართალი არა მოგვცა-რა, **კახს** ზეით კიდეც უმტერებთ და არც მოვეშვებით... (ქსძ, VII, გვ. 686-687).

ლილო 1787 [ვალების ნუსხა ეგნატე თუმანიშვილისა]: ... შვიდი მინალთუნი ... **გორელს** იობანთ მოახლეს უნდა მივცე... **ლილოზე** მსახლობელს ოსს პურის ფასი უნდა მივცე... (მსეი, II, გვ. 75).

ლილო 1789 – [წერილი ერეკლე II-ისა]: ჩვენო ... შვილო ბატონო იულონ! მერე შენ **ლილოზედ** უნდა ახვიდე და იქ დასდგე. რომელიც ჩვენ აქ კაცი გვინდა, იმას აქ ჩვენ დავიჭერთ და ყაბზსაც მივსცემთ. და სხვანი სულ შენ უნდა გიახლნენ უკლებლად... (სს, III, გვ. 52).

ლილო 1792 – იხ. **ზემო ქართლი**

ლილოსგვერდი. კახეთი

ლილოსგვერდი 1579 – იხ. **მცხეთა**

ლილოს მთა. კახეთი

ლილოს მთა 1800 – იხ. ნორიო

ლიპი // ლიპნი // ლიპები. ქვემო ქართლი

ლიპი 1523 – იხ. მძოვრეთი

ლიპი 1699 – იხ. მანგლისი

ლიპი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ლიპი 1774 – ... თქვენ, სარდალს სახლთუხუცეს დავითს ... მე, დედოფლის ეშიკაღათბაშმან იარალიმ ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული **ლიპი** ... თავის სამძღვრამდინ; **ნაპალატევი** თავის ... სამძღვრამდინ; **ჰორმესშენი**[132] სოფელი თავის მთითა და სათიბითა... (სს, I, 1899, გვ. 101).

ლისი. შიდა ქართლი

ლისი 1392 – იხ. ტფილისი

ლისი 1523 – იხ. მძოვრეთი

ლისი 1559 – იხ. მცხეთა

ლისი 1594 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან სუიმონ ... გიბოძეთ ... სააკაძეს გიორგის ... ესე სოფელი **ლისი**... ძველი წიგნები წავიკითხეთ, შევიტყევნით, რომ შენის გვარის კაცის ყოფილა და ჩუენც იმ წესით და იმ საქმით გუიბძანებია... (სკ, IV, გვ. 73).

ლისი 1633 – იხ. ზემო ოძისი

ლისი 1635 – იხ. ენაგეთი

ლისი 1635 – იხ. ფიცხისი

ლისი 1683 – იხ. წოდორეთი

ლისი 1711 – ... მოგეციო ჩვენ, ბეჟან და ლვარსაბმა, შენ, ბიძის ჩემის შვილს ზაალს ... ვალის გირავოთ ... ჩვენი წილი **ლისის** მამული თავის გლეხებითა ... [და] **წინარეხს** ჩვენი წილი გლეხი თავის მამულითა. ახლა ამა ვალებისათვინ ჩივაძე პატა გავგზავნეთ **კადაპარს** ჩვენს ძმას დემეტრესთანა... (მსეი, II გვ. 11-12).

ლისი 1785 – [არზა თარხანა ყორღანაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... **ლისის** მინდორში ორი ჩემი მეცხვარენი დაიკარგნენ, ლეკებმა წაასხეს; და ახლა ერთი მეცხვარე ბიჭი კი დაუხსნიათ, ოც თუმანს მთხოვენ... (ქსძ, VII, გვ. 671).

ლისი 1793 – იხ. ოძისი

ლიქოკი. ხევსურეთი

ლიქოკი 1750 – იხ. ფშავი

ლიყურეთი // ლიყორი. ქვემო ქართლი

ლიყურეთი 1632-1658 – იხ. ფიტარეთი

ლიყურეთი 1646-1658 – იხ. ჭრეში

ლიყურეთი 1661 – იხ. მშავნი

---

[132] ორომაშენი

ლიყურეთი 1690 – იხ. ისპიანი

ლიყურეთი 1792 – იხ. ბალიჭი

ლიშო. კახეთი

ლიშო XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ლიჩი. იმერეთი

ლიჩი 1401-1415 – იხ. ულუმბა

ლიჩი 1691 ახლო – ჩვენ ... მეფეთ-მეფემა ალექსანდრემ ... შენ, წერეთელს ქაიხოსროს ... მოგეცით ლიჩი სამოურაოთ... (იდ, I, გვ. 26).

ლიჩი 1691 – იხ. ხეფინისხევი

ლიჩი 1746 – იხ. სვერის ციხე

ლიჩი 1760 – დაბძანდა ... ბატონისშვილი ... არჩილი, თან იახლა ... მოსამართლენი. დავით ამირეჯიბი შეხვეწნოდა ბატონს მეფეს: **ლიჩელებმა** ხვთისშმობელს ბეგარა არ მამცესო. მეფეს თავისი ძმისთვის ებძანებინა, კარგათ გამოეძიებინა... დიახ, ხვთისმშობლის შეწირული ყოფილა **ლიჩი**, ღოდორა, გოლისი ფიცრის ხიდსა და **ხეფინის ხევს** შუა. მაგრამ მტრისათვის რომ შემოგვივლიანო მტრისაგანო, ისევ ჩვენი ხელი დაუდევსთ... (ქსძ, IV, გვ. 476)

ლიხთამერი // ლიხთამერეთი // ლიხთამერეთი

ლიხთამერი 1325 – იხ. ვარძია

ლიხთამერი 1447 – იხ. მცხეთა

ლიხთამერი 1627 – იხ. ნავარძეთი

ლიხთამერი 1777 – იხ. ქუტირი

ლიხთიმერი // ლიხთიმერეთი // ლიხთიმერეთი

ლიხთიმერი IX ს. მიწ – იხ. ცხევერეთი

ლიხთიმერი XIII ს. II ნახ. – იხ. ბნავისი

ლიხთიმერი 1325 – იხ. ვარძია

ლიხთიმერი 1463 – იხ. იმერეთი

ლიხთიმერი 1633 – იხ. აბისი

ლიხთიმერი და ამერი 1731-1743 – იხ. ღები

ლიხთიმერეთის სამეფო 1740-1750 – იხ. გელათი

ლიხის მთა

ლიხის მთა 1661 ახლო – იხ. ბუჯისწყალი

ლოგობეთი. შიდა ქართლი

ლოგობეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

ლოგრიე. სვანეთი

ლოგრიე XIII-XIV სს. – იხ. კვრხილის ყანა

ლოზგორუა. იმერეთი

ლოზგორუა 1570 – იხ. ხონი

ლომაშვილისეული მიწა. შიდა ქართლი

ლომაშვილისეული მიწა 1738 მოგყიდეთ [საამ მაღალაძემ გიორგი მაღალაძეს] ჩვენი სამკვიდრო ... ვენახაშვილი მარტია და ... ამასდა გარდა ლომაშვილისეული ზედა რუზე სამის დღის მიწა ზედა დაგვიდგია. არიან ამისი მოწამე ... მეტეხის ნაცვალი ივანე ... და სულ ერთობილნი მეტეხელნი, გომის ნაცვალი ივანე ... და სულ ერთობილნი გომელნი, ნიაბის მამასახლისი ... ბეჟანა, ... ნაბახტეველი სულხანა (დსსი, I, გვ. 280).

ლომისა. შიდა ქართლი

ლომისა XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

ლომისეული ვენაჯი. შიდა ქართლი

ლომისეული ვენაჯი 1260 – იხ. ხოვლე

ლომისციხე. კახეთი

ლომისციხე 1767 – ესე წიგნი მოგართვი მე, მკითხავ მარიამამ თქვენ, ბატონს ნეკრესელს... ამას იქით თუ ჩემი მკითხაობა კიდევ მოგხსენდეს, ცეცხლში დამწვით. არის ამისი მოწამე სულ ერთობლივ ლომისციხელნი... (გუჯრ, გვ. 80).

ლომისციხე 1776 – [არზა ბებურისშვილებისა ერეკლე II-ისადმი]: ... ორი სომეხი კაცი გვყვანდა ყაზახელი, არბობას უწინ ჩამოსული... ლომისციხე რომ ააშენეთ, ერთი ძმა აჰყარეთ და იქ დაასახლეთ და მეორეს ძმისა ჩვენ წყალობა დაგვემართება. ახლა კუშჭატანს რომ აშენებდით, იქ აპირობენ დასახლებას. ყვარელს ბძანდებოდით. ჩვენ იქ გახლდით, მოგახსენეთ. ლუარსაბ ონანაშვილი იასაულად გვიბოძეთ. დაჭერილი მოგვაბარა ის კაცნი. ახლა ეს მორიგობა და სიდნაღის მუშაობა და ხარჯი რომ გაჩნდა, საქონელი სულ დაეყიდათ და ღამით გამოპარულიყვნენ. ის ერთი ძმა ყაზახში ჩასულიყო, ერთი აქ, ქალაქს, დამდგარიყო... (ქსძ, VII, გვ. 323).

ლომსათუბანი. შიდა ქართლი

ლომსათუბანი 1712 – იხ. ურბნისი

ლომსაურთ რუ. შიდა ქართლი

ლომსაურთ რუ 1580-იანი – იხ. ავჭალა

ლოპოტა. კახეთი

ლოპოტა 1718 – იხ. ართანა

ლოპოტა 1746-1749 – იხ. გრემი

ლოპოტა 1756 – იხ. ალვანი

ლოპოტის მდინარე. კახეთი

ლოპოტის მდინარე 1797 – იხ. ნაფარეული

ლოპოტის ჭევნი. კახეთი

ლოპოტის ჭევნი 1722 – იხ. მარტყოფი

ლორაშენი. ქვემო ქართლი

ლორაშენი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ლორაშენი 1746 – იხ. ქვემო ვარდისუბანი

ლორე // ლორი. ქვემო ქართლი

ლორე 1392 – იხ. ტფილისი

ლორე 1425 – ... მეფემან [ალექსანდრე] ... მოძღუარსა კათალიკოზს თეოდორეს მოგახსენეთ **ლორეს** სოფელი **ამუჭი** (წინეთ შეწირული და აგრეთვე სოფელი **დირსი**, ძველად შეწირული, **წყარომრავალი მარმაშენს** ახლო, **ასფარავანი** და **ფოკა ფარავნის ტბათან**)... თარხნად... (ქრონ, II, გვ. 229).

ლორე 1433 – ... მიტაცებული აგარიანთაგან ჩუენი - - - **ლორე** და მისი შესავალნი... და გავიგონეთ, რომე ამა **ლორისა ციხისა** შოვნასა შიგან და მისთა შესავალთს შოვნასა შიგან დიდად და უსაზომოდ მოიჭირვეს ... ესრეთ ვითარმედ ამა უშჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან... და მოგუიცემია [მეფე ალექსანდრეს] თქუენ ... **მცხეთისა** დედაქალაქისა საყდრისა მპყრობელისა ... კათალიკოზისა თეოდორესთუის **ამუჭი** სოფელი ... ვენაკითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა... (წშ, გვ. 13-14).

ლორე 1435 – ... **ლორეს** ციხე მიტაცებული აგარიანთაგან ... და მისი შესავალნი[133] ერთობილნი ჩუენ [მეფე ალექსანდრემ] ვიშოვნეთ და დავიჭირვნით და როგორცა – ვის ქართველთა დარბაზისერთა ზემოთა და ანუ ქუემოთა ... ჰქონებოდა ... ეგრეთ განუჭავით და უბოძეთ... და მოგუიცემია ... და კათალიკოზს თეოდორეს **ამუჭი** სოფელი ეკლესიითა, სახახლითა, გლეხებითა, ყანითა... (ქსძ, II, გვ. 123-124).

ლორე 1623 – იხ. ვარაპეტის სოფელი

ლორე 1646-1658 – იხ. ჭრეში

ლორე 1651 – იხ. სომხითი

ლორე 1654 – იხ. ჯავახეთი

ლორე 1657 – იხ. ტაშირი

ლორე 1691 – უდიდებულესის ჴელმწიფის ... ფარვნისამებრ **ლორის ახპატის** სოფელი თავისის საძღვრებითა და ასევე ეკკლესიითა, რომელიც არის იმ სოფელში, ბოძებია თავადს პაპუნა-ბეგს. **ახპატის** ეკკლესიის წინამძღვარს თავისი რაც სახელმწიფო სათხოვარი და მალი იქნებოდეს, უნდა ყოველწლივ პაპუნა-ბეგს მოსცეს და ყაბზს გამოართმევდეს. და **ლორეს** მებატონეს **ახპატთან** საქმე არა აქუს... (სს, I, 1899, გვ. 433-434).

ლორე 1693 – იხ. **ვარაპეტის სოფელი**

ლორე XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ლორე 1739 – იხ. აღაიანი

---

[133] ლორის ციხე მიტაცებული აგარიანთაგან ჩუენი... ლორე და მისი შესავალნი... (წშ, გვ. 16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლორე 1769 – ... ეს კაცი ოსმალობას გივს გურამისვილს მისვლია. სამართლით ეს **ლორელი** ტერნაკაშვილი ავეტიქა ზაალ გურამიშვილს დარჩა (სს, III, გვ. 473).

ლორე 1781 – **ლორელები** ბარათაშვილს სესიას უჩიოდნენ, რომ სარქისასშვილი ნიაზა და ამისი შვილები, სარქისა და ზაქარა, **ლორელები** არიანო, ჩვენი მეზობლები არიანო... სესიამ სამი მოწმე წამოაყენა სამართალში... ამათ ... ასე იმოწმეს: ამ ნიაზის მამა სარქისა ... მეფის ვახტანგის დროს მოვიდაო, გილაქისშვილს ეყმო და **ორთაშუას** ესახლაო. ოსმალოს დროს აყარესო და **ლორეს** წაიყვანესო. ცოტა ხანს იქ იყვნენ. მერმე ყიზილბაშობაში იმამყული-ხანის დროს ისევ მოვიდნენ, აქათ **ორთაშუას** დასახლდნენო. მას აქეთაც გილაქისშვილის ყმანი იყვნენო და მას აქეთ ჩვენთან ხარჯი და ბეგარა უღიათო და არც **ლორელები** იმამყული-ხანის დროს აქეთ ამ ნიაზას ჩვენ გვედავებიან... (ქსძ, V, გვ. 147-148).

ლორე 1788 – [ერეკლე II-ის ბრძანება]: ვინცა-ვინ ერევანში ჩვენი მოქალაქენი ქარავნის კაცნი იმყოფებით, მერე, ჩვენი ნასახჩიბაშის ნაიბი გოგია გამოგვიგზავნია და ყაჰრამან-სულთნისათვისაც მოგვიწერია, რომ თავისის ჯარით გამოგიძღვესთ და **ლორემდისინ** მშვიდობით მოგიყვანოსთ... საპალნეზედ ხუთი აბაზი უნდა მისცეთ სულთანსა და იმის კაცთა. და **ლორეს** აქეთ **ლორელებისათვის** გვიბძანებია, რომ წამოგიყვანონ (МПТСВГ, II, გვ. 114).

ლორე 1798 – იხ. **ბანბაკი**

ლორეთი. ქვემო ქართლი

ლორეთი 1543 – იხ. **სხალნარი**

ლორე-ფამბაკი // **ლორე-ფანბაკი**

ლორე-ფამბაკი 1781 – იხ. **ავლაბარი**

ლორე-ფამბაკი 1790 – იხ. **ახალგორი**

ლორეს ციხე // **ლორის ციხე.** ქვემო ქართლი

ლორეს ციხე 1433 – იხ. **ლორე**

ლორეს ციხე 1435 – იხ. **ლორე**

ლორეს ციხე 1739 – იხ. **აღაიანი**

ლორის ციხე 1747 – [თეიმურაზ II-ის მიწერილობა ყაფლანისადმი]: რაც ლორის ციხიდამ ან ზარბაზანი, ან ტყვია-წამალი გამოგეტანოს, ყველა უკლებლათ იქივ მიიტანე და ციხეში დასდევი და, ჩვენ რომ მანდეთ მოვალთ, ვინც ბორჩალოს ციხეში მდგარა, ისევ დავაყენებთ (ქეწ, გვ. 85).

ლორული. შიდა ქართლი

ლორული 1718 – იხ. **ზენადრისი**

ლოქი // **ლაქი.** ქვემო ქართლი

ლოქი 1620 – იხ. **დმანისისხევი**

ლოქის მთა. ქვემო ქართლი

ლოქის მთა 1537-1538 – იხ. **დმანისის ციხე**

ლოჭინი. კახეთი

ლოჭინი 1738 ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, თულაშვილმა იოსებ თქვენ, ბატონს სალთხუცეს ... გიას, თქვენს ძმას თიანეთის მოურავს ბატონს გრიგოლს... თქვენგანითა ხუთი თუმანი თეთრი ავიღე და წაველ **ქალაქს** სავაჭროთა. დამხდენ **ლოჭინზედა**, დამიჭირეს, თეთრიც ლეკებმა წაიღეს და მეც ... წამიყვანეს ... **ბელაქანში**... ორი კვირა **ბელაქანში** ვყვანდი, მასუკან დღისტანში წამიყვანეს, იალაღიდამ გამოვეპარე... (დსსი, I, გვ. 401).

ლუცლაშის ქედი. სვანეთი

ლუცლაშის ქედი XVII ს. I მეს. – იხ. მულახი

ლუბრმა // ლუბარმა // ლუბრუმი. შიდა ქართლი

ლუბრმა 1584 – იხ. იტრია

ლუბრმა 1700 – იხ. ნატბევი

ლუბრმა 1737 – იხ. იტრია

ლუკაური ვენახი. ჯავახეთი

ლუკაური ვენახი XIV-XV სს. – იხ. ვანისქვაბები

ლუკენის საყდარი. ქვემო ქართლი

ლუკენის საყდარი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ლუკუფხანა. რაჭა (?)

ლუკუფხანა XVI – იხ. ნატარალევი სასახლე

ლულაური მამული. შიდა ქართლი

ლულაური მამული 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე

ლული 1722 – იხ. ზენადრისი

ლული 1771 – ნინიაშვილს თავის ბატონის ჯავახიშვილისაგან ლულს მამული ეყიდნა. იმ ნასყიდობის წიგნში ასე ეწერა: **ლულს** მამული მოგყიდე ზაქარაშვილითაო. ნინიაშვილმა მღვდელმა ოტიამ ... ზაქარაშვილს ივანეს ... სამართალში ელაპარაკნენ. ჩვენ, მოსამართლეებმა ... მოწმებისაგან მოვიკითხეთ და ასე გვარწმუნეს: როცა ჯავახიშვილს ის მამული გაუყიდნია, მაშინ ეს გლეხი კაცი [ზაქარაშვილი] აყრილი ყოფილა და **ჯავახეთს** სახლებულა, კარგა ხანი გამოსულა, რომ ეს გლეხი კაცი მასუკან **ჯავახეთიდამ** გარდმოსულა, **ლულს** აღარც შენობა ყოფილა და აღარც მისულა, ჯავახიშვილის მამულში მდგარა და ჯავახიშვილს მსახურად ხლებია... (ქსძ, IV, გვ. 614-615).

ლურჯვანქი. ქვემო ქართლი

ლურჯვანქი 1697 – იხ. სომხითი

ლურჯი კლდე. თბილისი

ლურჯი კლდე 1751 – იხ. გარეთუბანი

ლურჯი კლდე // ლურჯი ფლატო. კახეთი

ლურჯი კლდე 1447 – იხ. მცხეთა

ლურჯი კლდე 1579 – იხ. მცხეთა

ლყოიში. იმერეთი
ლყოიში 1578 –იხ. ქუთაისი
ლჰა. სვანეთი
ლჰა XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

-მ-

მადანი // მადნები. ქვემო ქართლი

მადანი 1788 [წერილი ერეკლე II-ისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... რაც ანბები მოგწერა **ახალციხური**, თუ **ქვემოური**, ყველა ვცანით... ერთიც ეს, მადნებში ისი კაცი რომ ამას წინათ გავგზავნთ, ისინი წამოსულან და მადნები უკაცოთ დაუგდიათ... ისი კაცი ახლა სხვა უნდა გაურიგო ოცის დღის ნუზლით... ეგ ელები გამოიყვანე, თავ-თავის ალაგს დაყენე, სოფლებს წახდენენ. ეგ ელები **ხრამის** თავისაკენ და **დურნუკისაკენ** ამოსწიევ, **ბედნისაკენ** და იმ მხრისაკენ ყარაულები დაყენე (სს, III, გვ. 44-45).

მადანი 1788 [წიგნი ერეკლე II-ისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... მადანში ასი კაცის გაგზავნა მოგწერეთ და ახლაც ამას გწერთ, რომ ან ორი უზბაში და ან ორი მაგვარი კაცი უთაო და ასი კაცი გაგზავნაო. ოცის დღის სურსათიც უნდა გაატანო... და ფაშის ამბავი ასე შევიტყევით, რომ **ხერთვისს** მოსულიყოს და **ახალქალაქს** მოსვლა ეთქვას, და ჩვენს სიძეს მოურავს დავითს შერიგებასა და ჩვენს ერთობას ელაპარაკება... შენ ხომ იცი, რომ ჩემი ჭელის გამმართავი ეგ მადნები არის და ბერძნების სარჩოც ეგ არის... (სს, III, გვ. 45-46).

მადანი 1799 [სპილენძის ხარჯის ნუსხა] ... ამას წინა თვეებში ლეკის ჯბერების მისაცემათ მადნიდამ ჩქ თილანი ბათმანი სპილენძი **ქალაქს** მოუტანიათ... ბატონის ოქმით მადნის ათი ყარაულისათვის ე ყარაული მომატებია. ამ იე ყარაულს მისცემია ნახევარი ჯამაგირი მადანჯი ბერძნებიდან და ნახევარი სარქარიდან... ნისახჩიბაშ **ჯიმითის** მოურავ როსებს ბოძებია სპილენძი ბათმანი ი; ღვინობის ე. **მისხანის მადნის** მენახშირეებისათვის ბერძენ მადანჯებს სპილენძი გამოურთმევიათ და სარქარში გამოუგზავნიათ.... **ჰახთალის** მადნის საბერვლისათვის მისცემია სპილენძი ბათმანი ა; კბ. დაღბაშ **იმერელ** ივანეს სახსრათ ბოძებია სპილენძი ბათმანი ი.... ქრისტეშობის ზ. **ბახჩალო** მადანჯ ქრისტეფორეს ბოძებია ძველ ვალში სპილენძი ბათმანი ებ... (მსეი, III, გვ. 130-131).

მადნის გზა. ქვემო ქართლი

მადნის გზა 1800 – ... ზარიძე იმერელი ივანე ტყვეობიდამ მოსულა, მადნის გზაზე ქართველ იოსებთან რომ დაიკარგა, იმას ბოძებია ბათმანი... თეთრ წყალზე მსახლობელი ბიდარა ოსისა, ახლა რომ ... ჭელმწიფის ჯარი გად-

მოვიდა, ასოცი ძირი თივა დაეჭმიათ ... [და] სამაგიეროთ ბოძებიათ ... ბათმანი (მსეი, III, გვ. 133).

მავდისთავი. შიდა ქართლი

მავდისთავი 1783 – ... ესე ნასისხლობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ჩიბირასშვილმა ჩობამ ... თქვენ, ფალავანდისშვილს უზბაშს გოგიას... ასე რომ, ჩვენ ქართველების სამტეროდ ყაზახად დავდიოდით. პირველად **მავდისთავს** შენს **ცხილვანს** გაეზავნილს კაცს პეტრეს დავხვდით და თოფიც დავაცდინეთ; მეორეთ შენს კაცს აბრამიშვილს ბიძინასა და **ატოცელს** პაატას დავხვდით **მავდის წყალზე** და დავიჭირეთ, ბიძინა აბრამიშვილი კი მოვკალ. მესამედ **არკნეთისა** და **ღვერთეთის ხევს** შუაზედ ვისხვდით და დაგვიხვდით; შენ კი სიკვდილს მოგვირჩი და ერთი ქვეითი კაცი გახლდა, ის მოვკალით და შენ თოფები დაგაცდინეთ. გამოხდა ამაში მცირე ჟამი და ჭელში დაგვინარჩუნე. შენ სისხლი გვთხოვე. ... ჩვენ ამდენის შენის სისხლის გარდახდა არ შეგეძლო და ჩვენი თავი გაყმევით... [თავმდებთა ვალდებულება]: თუ ეს ჩიბირისშვილები ... წაგიყიდეს სადმე, ჩვენ მოგგვაროთ, სამაჩაბლოსა და რუსთავს იქით, თუ ან ოსებში და ან სხვას ადგილს თქვენს უდასტუროდ ხიზნად წავიდნენ, ჩვენ მოგაბაროთ (მიეცвг, I, გვ. 105).

მავდისწყალი. შიდა ქართლი

მავდისწყალი – იხ. **მავდისთავი 1783**

მაზიტას ჭევი. შიდა ქართლი

მაზიტას ჭევი 1695 – იხ. **ჭვირო**

მათხოჯი // მანთხოჯი. **იმერეთი**

მათხოჯი 1525-1550 – იხ. **ბიჭვინტა**

მათხოჯი 1570 – იხ. **ხონი**

მათხოჯი 1616-1639 – იხ. **ხაუჭელი**

მათხოჯი 1673-1696 – იხ. **გელათი**

მათხოჯი 1696-1742 – იხ. **ბარისთავი**

მათხოჯი XVII ს. – [მათხოჯის დავთარი]: ... არის **მათხოჯს** მეზროხე კაცი... მესფე კაცი... მეურმულე... [არის] **მათხოჯს** ჩვენ ხელშესავალი კაცი. არის მეთევზე... (დსსი, I, გვ. 437-439).

მათხოჯი 1706 – იხ. **ხორგა**

მათხოჯი 1712 – იხ. **ხორგა**

მათხოჯი 1776 – იხ. **ბარი**

მათხოჯი 1782 – ... ესე წიგნი და პირობა მოგართვი თქვენ ... მთავარეპისკოპოსს იოანეს, ჩვენ, **მათხონჯის** წმიდის ბასილის ეკლესიის **მათხოჯელმა** თემის კაცმა ... ასე რომე, ძველათაც შენის ეკლესიის სამწყსო ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა და ახლა ბატონმა მეფე სოლომონ დავთრით ისევ თქვენს ეკლესიას მიართვა სამწყსოთ... და რომელიც თქვენის ეკლესიის მახლობელს სოფელებს **საწულუკიძოს, ნახახულევერს** და **კონტოეთს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემართა ... ისე იმ გვართა ჩამომწყასს შემოგხვეწეთ და ... რომელიც შეგვეძლოს შენის ეკლესიის სამსახური ... არ ვიუაროთ რამე... არის ამისი მოწამე და ... ერთობით ხონის თემის კაცი... (დსხს, II, გვ. 77).

მათხოჯი 1782 – იხ. დიდი ჯიხაში

მათხოჯი 1792 – იხ. სადადიანო

მაი // მაის ხევი. სვანეთი

მაი XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

მაი XIV ს. – ... ვინე ... მაისი მბრი... მაილელთა სუფისა მთავარმოწამისა და ყოველთა... (სწძ, I, გვ. 237).

მაი XIV-XV სს. – ... რომელმანცა ესე ... პირი გაუუჭეხოთ ერთმანერთსა, წმიდისა მთავარმოწამისა სუფისა და ერთობილის მაის ხევისაგან გამოსრული ვიყოთ (სწძ, I, გვ. 236).

მაი XIV-XV სს. – ... მთავარმოწამე გორისა ... ამისა გათავებისა თავსდებად მოგვიხსენებია მაისა... (სწძ, I, გვ. 237).

მაკვანეთი. გურია

მაკვანეთი 1660 – იხ. აჭი

მაკვანეთი 1689-1717 – ... გიორგი მამულაიშვილმა უთხრა ბიძაჩემს გიორგის: ... ლევანს [ნაკაშიძეს] ახლავხარ, წაუძღევთ წინ და მაკვანეთს მიუხდეთ, მამუკაი [ნაკაშიძე] ... ან მოვკლათ, ან დავიჭიროთ და მამული მოუხაროთ. თვითან მაკვანეთსაც დაიკავებ, რაღა იმას ხელს მოიკიდებ, თვარა გურიანთას რაც ყავს, ყველა შეგრჩება... მამულაიშვილი ციხის თავიც იყო და გურიანთა მისი სახელო იყო. უმისოთ გურიანთას ბატონი მისი ვერაფერს იქმოდა... (დსხი, I, გვ. 474-475).

მაკუა. ქვემო ქართლი

მაკუა 1718 – იხ. საორბელისშვილო

მაკუჭაძეთკარი. კახეთი

მაკუჭაძეთკარი 1722 – იხ. მარტყოფი

მალამხსუდი. ქვემო ქართლი

მალამხსუდი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მალეთა საკონე. შიდა ქართლი

მალეთა საკონე 1531[134] – ... ესე ... წიგნი ... მოგიბოძეთ ჩუენ ... ქართლისა კათალიკოზმან ბასილ ... თქუენ ჭალრმაულსა გიორგის ... მას უამსა, ოდეს... ჩუენითა კითხვითა მამულები იყიდე გეშაშვილისა ქერობინისგან, მალეთა საკონე და ფონთხელაზედა თქუენის მიწისა ბოლოსა ჭალა და საგუდეს მიწა... კიდევ იყიდეთ კახეთას დედაბრიანთაგან მიწა სავენაჭე, კიდევე იყიდეთ ვარდიაშვილისაგან აღაიანთა ვენაჯი... და ჩუენსავე კათალიკოზობაშიგან მეჯამეობით წამოგეჭედა გარეჯანისძე და სოფელი ხატისწობენი წაგართუა. გაიბრჭვენით და დმრთისა სამართალმან შენი მკუიდრი

[134] გამოცემაში შეცდომით 1537 წელია მითითებული.

მამული თქუნეგე მოგცა. და ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და მოგეცით სოფელი **ხატისწობენი** მისითა შესავლითა, და რიგადცა პატრონმან მეფემან ლეონ დაგიმტკიცა და გიბოძა. გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან კათოლიკე საყდრისა **მცხეთისა** და ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა სოფელი **ხატისწობენა** და რაცა ამაშიგან თქუენგან ნასყიდი მამულები სწერია... (ქსძ, III, გვ. 252-253).

მალემწის მონასტერი. შიდა ქართლი (?)

მალემწის მონასტერი 1392 – იხ. **ტფილისი**

მამადის გორა – იხ. **მაჰმადის გორა**

მამათი. გურია

მამათი 1739 – ... ჩვენ ... გურიელმა ბატონმა მამია, ესე ... წიგნი ... მოგარ-თვით თქუენ, ბატონს იერუსალიმის მონასტრის ... **ჯვარის მამას** პატრონს გერასიმეს... სადაც **გურიას საჯვარისმამო** მამულები სამძე არის – **მამათს**, თუ **ბაილეთს, ჩოჩხათს** და **ჩაიხედნას** და ან **კონჭკათს**, ან **ჩაქვის** თავს ... რაც საჩვენო მართებული სამსახური რა სძენს, იმის მეტი არა ვსთხოვოთ რა... (იდ, I, გვ. 143).

მამათი XVIII ს. I ნახ. – ... გურიელთა ქრისტეს საფლავისათვის სოფელი და ადგილი და გლეხნი შეეწირათ **გურიას: მამათი** და **ბაილეთს**, და **ჩოხედნას, ჩოხჩათი** და ჯვარის მამების საყმოდ და საბეგროდ გაერიგებინათ... ჩვენცა [მამია გურიელმა] ... შეწირულობა ახლად განვაახლეთ... (იდ, I, გვ. 145).

მამისდაბა. ქვემო ქართლი

მამისდაბა 1740 – ... ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ყაფლანის შვილის დიმტრის შვილმან უზბაშმა ყაფლან... შენ სიონის დეკანოზის შვილს ოსეს... ასე რომე **მამისდაბა** ჩვენი ნასყიდი იყო... ახლა დაგეჭირა და შენ მოგყიდეთ... ერთი მიდგმა **ღოლოვნამდის**, ბოლოს მიდგმა **გარყლოას**[135] და ზეით მიდგმა **წვერულას** სამზღვრამდის... (სძ, II, 1924, გვ. 177).

მამისდაბა. შიდა ქართლი (?)

მამისდაბა 1581 – იხ. **ჭალაქის პირი**

მამხუტი. ქვემო ქართლი

მამხუტი 1636 – იხ. **საბარათაშვილო**

მამხუტი 1643 – ... ჩუენ მეფეთ-მეფემან როსტომ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, ხმალაძეს მოლარეთუხუცეს შიოშს... მუხრანისბატონისა და ბატონიშვილის გიორგის სოფელი ამას წინათ თქუენ წყალობად გიბოძეთ და ვითაც იმათი სამკუიდრო იყო, **მამხუტი** გამოგართვით და იმათ უბოძეთ და, კიდევ ამის გარდაისად, ჭალაქს თქუენი აშენებული სასახლე ჩუენთვის დაგიჭირეთ და ბატონიშვილს ლუარსაბს მიეცით და ამისად სამუქაროდ მოგუიდეგით კარსა და **სამშვილდეს** აგანაშვილის ჰამზასა და თევ-

[135] უნდა იყოს **გარყლოპი**, იგივე **გარყლუპი** // **ღარღლუპი** (ვახუშტი ბატონიშვილი, იოანე ბაგრატიონი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორესა და **ქუემო ბოლნისს** ყუზანა ბანდურაშვილს და ამირანასა და მის სახლს გუეაჯენით. ჩუენც ვისმინეთ აჯა და ... გიბოძეთ... (ქსის, გვ. 180).

მამხუტი 1651 – იხ. სომხითი

მამხუტი 1782 – იხ. ქალაქი

მანავერი. ქვემო ქართლი

მანავერი XVII ს. II ნახ.– იხ. წრაუთი

მანავი. კახეთი

მანავი 1707 – ... ესე [ყმობის] წიგნი მოგართვით მე, ქადისგულმა დათუნამა თქუენ, გამდლიშვილს ქაიხოსროს... ასე რომე ქურდობა შემარნდა და ხევისთავებმა დამიჭირეს... **მანავს** ჩამიყვანეს, მოურავის სახლუოუხუცესს მავაჭრებდნენ... და შენ დამიხსენ... (ქსძ, VIII, გვ. 869).

მანავი XVIII ს-ის I მეოთხ. – იხ. თვალი

მანავი 1776 – [არზა ეფთვიმი წინამძღვრისაა გიორგი ბატონიშვილისადმი]: ... ვალი მაქუს, რომ ამ მონასტრისათვის თქუენის წყალობით უნდა ვიზრუნო. **მანავს** თქვენი წყალობა ზვარი რომ აქვს ამ მონასტერსა, იქა, ზვარს გარდა, რამოვენიმე კომლი კაციც ჰპოძებია ამ მონასტერსა... ხაჩიურის მიწა არის ... და იმაზე ერთის დღის მიწას გვიჭრიან მოურავი და თანგუაშვილი... **ნათლისმცემლის** მტერმა თანგუაშვილმან ამოყარა [მიწის] მიჯნები და თვითონ მოჭნა და თვითონ დათესა... (ქსძ, VII, გვ. 334).

მანავი 1783 – ჩერქეზისშვილებს **მანველნი** მამულს ედავებოდნენ ამ სიტყვით, რომ ეს მამული ჩვენი **შავქედის** ბოლო არისო, ჩერქეზიანი ამათ გვეცილება და ჩვენ საბუთებით გვაქვს, რომ რომელსაც ვედავებით ამ მამულს, ჩვენს მამულად და **მანავის** ბოლოთ აცხადებსო... ჩერქეზიშვილებმა ასე დაიფიცონ, რომ მეფის იმამყული-ხანის დავთარში გოცირიძე და მედინგიშვილი **შავქედს** ჩერქეზიანთ ყმათ რომ უწერიათ, ეს კაცნი მეფის იმამყული-ხანს დროსაც ამ სადაო მამულში სახლობდეს, **შავქედის** ბოლოც იყოს და არც გამორთმეოდესთ. თუ ასე იფიცეს, ეს მამული დარჩებათ ჩერქეზიანთ. თუ ვერ დაიფიცეს, ის სახასოდ დაიდება... (ქსძ, V, გვ. 198-200).

მანავი 1796 – იხ. საგარეჯო

მანაკერტი. ქვემო ქართლი

მანაკერტი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მანაკერტი 1707 – იხ. წრაუთი

მანაკერტი 1746 – იხ. წრაუთი

მანაკერტი 1749 – იხ. საორბელიშვილო

მანგელელაურის ჯვარი. შიდა ქართლი (?)

მანგელელაურის ჯვარი 1453 – იხ. ჯვარწურილი

მანგლისი. ქვემო ქართლი

მანგლისი 1047 – დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მანგლისს, ბრძანებითა ჩემითა [ლიპარიტ ბაღვაშისა], საყოფელსა ძლევაშემოსილისა ძელისა ცხოვრებისა-

სა, მღდელთმოძღურობასა ანტონი ეპისკოპოზისა თულაისა ძისასა, და შეიმოსა ჭელითა ნიკოლაოზისითა, მცხეთელისა დიაკონისადთა (ბაღ., გვ. 265).

მანგლისი 1595 – იხ. რკონი

მანგლისი 1653 – იხ. ბედენი

მანგლისი 1678-1682 – იხ. თრიალეთი

მანგლისი 1689 – ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... ნაზარალიხან ... თქვენ, წმინდის მონასტრის მანგლისის გამგედ დადგინებულს ჯავახიშვილს მანგლელს ... გაბრიელს ... გითარხნეთ სოფელი მანგლისი და თრიალეთზედ სოფელი მეთრევანა და, საჯავახიანოში, რაც შემოწირული მამულები გაქვთ, ისიც ასრე გითარხნეთ... (დსსი, I, გვ. 83).

მანგლისი 1699 – ... ჩვენ ... ქართლისა კათალიკოზმან ... იოანე ... თქვენ ... მანგლისისა დმრთისმშობელსა და ... მანგლელ ეფისკოპოზს ... გაბრიელს ... მოგეცით სამწყსოდ, რაც პატრონის აბაშისა და დავითის კერძი მამული არის... კიდევე მას ზედა მოგიმატეთ ალგეთს გაღმართი, გაგისამძღვრეთ ჟაკე, ღორისთავი, გუდარეხი, ცოფეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უგუჯეთი, გოგასგვერდი და ახალდაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა მიტანებით მანგლისს გარშემო ორი ოძისი და კელეთა... (ქსძ, III, გვ. 620).

მანგლისი 1702 – იხ. ზაკვი

მანგლისი 1713 – ... ჩვენ ... მანგლელ მთავარეპისკოპოზმა დოლენჯიშვილმა ბატონმა არსენ ... სითარხნის წიგნი გიბოძე თქვენ, მანგლისელებს მოყალნეებს... ეს ღალა ამ მანგლისის გარშემო ამოგვიკვეთია, თვინიერ არაოუ ნასოფლარში ვინც ჭნევდენ, აქაური კაცი იმის ღალასა მოსცემდეთ... (ქსძ, III, გვ. 693-694).

მანგლისი 1718 – იხ. აბანო

მანგლისი 1736 – ... ესე წიგნი ... გიბოძეთ ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ქართლ-კახეთისა ხელმწიფემ, მეფე ალექსანდრემ თქვენ, მუხრანის ბატონიშვილს ქრისტეფორესა, ასე რომე, მოხველ კარსა დარბაზისა ჩვენისა, გვეაჯენით მანგლისის[136] მაგალეობასა. ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება, შეგიწყალეთ და გიბოძეთ... (ქკმეის, გვ. 263).

მანგლისი 1794 – მანგლელი ასე ჩიოდა: ჯამთა ვითარებისაგან მანგლისის ეკლესიის ყმა ფიცხისელი მამისხარაშვილი ამ აბრამის მამას აქა-იქ უგლია. ბოლო ჯამს ამ გაბრიელის [მაღალაშვილის] მამას მოჰკედლებია. აბრამს მამა რომ მოჰკდომია, ეს ობოლი და უპატრონო ყოფილა. ამ გაბრიელს თავის ყმად დაუსახლებია და არ გვანებებს... (ქსძ, V, გვ. 633-635).

მანგლისი 1799 – იხ. გამოღმა მხარი

მანგლისის საეპისკოპოსო. ქვემო ქართლი

მანგლისის საეპისკოპოსო 1770 – იხ. ქიზიყი

მანგლისის ჭევი // მანგლის ჭევი. ქვემო ქართლი

---

[136] მაგალისის (გუჯრ, გვ. 67-68).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანგლისის ჴევი 1057-1058 – იხ. შიომღვიმე

მანგლისის ჴევი 1073 – იხ. თრიალეთი

მანგლისის ჴევი 1170 – იხ. სხალტბა

მანდენაანთ უბანი. თბილისი

მანდენაანთ უბანი XVIII ს. I ნახ. – იხ. ქვემო უბანი

მანდიკორი. იმერეთი

მანდიკორი 1650 ახლო – ...ებისა პარტახტები გეენათის. მანდიკორს ჩუჩხუნაძისა და კახიძის პარტახტები გვაკლია. ჯონიას ოთხი გლეხი... დიდებულსა აქვს. ჭოლევს ტყის ქათამაძისეული სამი პარტახტები გოშქოთელიანის კაცებს ... აქვან. სამი პარტახტი ქუთათის ... ჭაშლეთს ხურციძე ერთი კუამლი კაცი დათუასა ასათიანსა აქვს. საჩხეურისა ერთი პარტახტი ლეონტი ინასარიძესა აქვს. ერთი სასახლე ადგილი გელათს საყდრის გვერდზედან ... ბაკურაძისეული არა გვაქვს. საჩხეური ლეონტამან ინასარიძემ დაგვიჭირა ... ოფჩას ორი კვამლის კაცისეული პარტახტები ნეფხაძისეული გვაკლია. წუნას ერთი კვამლი კაცი კენჭაძე გოგნიასა ინასარიძესა ჰყავს. გეგუთს ერთი კვამლი კაცი ხმელიძენი ხოსიასა წულუკიძესა ჰყავს. ერთი კვამლი კაცი ბატონმა ყურაიშიდან დაასახლა ბიბაძე. ნასყიდაი ხმელიძე გეგუთს ბატონსა მოსახლეთ უსახლობს ... ერთი კვამლი კაცი ბრეგაძე აჯამეთს პაპუნა ბარამისშვილსა ჰყავს ... ხოშტიბელა ხატის შეწირულია, მაგრა სრულად დაკარგულ ... რომელიც ოდიშს არის, ჩუენ მოვიკითხავთ და მოვიყვან... (დსსს, I, გვ. 53-55).

მანდიკორი 1673-1696 – იხ. გელათი

მანდიკორი 1781 – ... მეფე იმერთა სოლომონ ... ვიგულსმოდგან, მცირედისა მსახურებისა მოძღვანებად ... გელათს მაცხოვრის ეკვდერს ესრეთ... რომ პირველად პაპასა ჩემსა მეფეს გიორგის ... შეეწირა მაცხოვრის კარის შემოსავალს გვერდზედ ერთი ქვიტკირის სახლი... კუალად გელათს შადრევანზედ მოსახლე ერთი კუპულაშვილი გიორგი... მანდიკორს ასანბეგ კაკუშაძის სული სასახლეთ და ოთხის სხვა ამის კაკუშაძის სული... სხვანი გლეხნი და მამულნი. რომელიც ვინმეს მძლავრებით შეეკრიბნეს და ამ ეკვდრისათვის გამოეხვნეს, ამოვიღეთ ... და თავთავისის სიგელი ისევ ამ ეკვდერს შევსწირეთ... ჩვენ ყოვლისა საიმერეთოისა მეფე დავით დავითიანი ესრეთვე ვამტკიცებთ (დსსს, II, გვ. 72-73).

მანდიკორი 1797 – [სოლომონ II-ის შეწირულობის წიგნი გელათისადმი]: - პირველათ თქვენს შეწირულს ადგილზედ მანდივარს დათუა მხეიძე დასახლებულიყო... და ახლა იმ მხეიძიანთ შამოგვიწირავს ... და თქვენს ეკლესიაზედ მდგომს გაენათელს გმსახურობდენ (გუჯრ, 109-110).

მანვაზეთი. შიდა ქართლი

მანვაზეთი 1446 – იხ. იკორთა

მანთხოჯი – იხ. მათხოჯი

მანკოდა // ვანკოდა. კახეთი

მანკოდა 1722 – იხ. მარტყოფი

მანძილის ციხე. ქვემო ქართლი

მანძილის ციხე 1737 – ამებარა მე სეითა უსინას თუმანისშვილი ყარდაშას და გიორგისგანა ფეშაქშას მანძილის ციხის მუშის თეორი მინალთუნი თხუთმეტი... (სს, III, გვ. 445).

მანხუტი. ქვემო ქართლი

მანხუტი 1800 – იხ. ბოლნისი

მაღ – იხ. მაი // მაის ხევი

მარაბდა. ქვემო ქართლი

მარაბდა 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მარაბდა 1543 – იხ. სხალნარი

მარაბდა 1558 – იხ. მუხანი

მარაბდა 1688-1703 – ... [გერმანოზისშვილები] მარაბდას გაუყოფარს მინდორსა და ხოდაბუნებზედ ირჩოდეს... ხოდაბუნი, რომელიც სახასოდ ყოფილიყოს, ორი წილი პაპუასა და გურგენასა და ერთი წილი ვარაზასა... რომ ნათხოვები ყოფილა ჯალაქს სასახლე, ვარაზამ ერთი მსახური ასრე შაფიცოს პაპუასა, რომ საერთოს ფასით ვიყიდეთო... ტბის მანგლელის ზვარზე სარჩლობდეს... მარაბდას ერთი წყლით სამი საწისქვილო ილაპარაკეს, ორი პაპუასა და ერთი ვარაზასა... გლინიას ერთი გოგო რომ ფიტარეთს შეხვეწილა, ვარაზასი ყოფილა, და პაპუამ და გუგუნამ დაუხსნას... ვერხვნალას პაპუნას ახოების ფარდი მესამედი ტყე ვარაზამ გააყენოს... რევაშენს ზაქარული მამული თუ ბარათში არ ეწეროს, სამათ გაიყონ... სხალნარს გოგიტაშვილის საკვამლო დარბაისელმა ვარაზას ცოდვა თუ ასრე აიკიდოს, რომ გაყრაში მამუკაშვილს გაჰყვაო, თუ ასრე იფიცოს, ვარაზას ჭელი არა აქვს და თუ ვერ აიკიდოს, სამათ გაიყონ. აკურის თამაზას საკვამლო სამათ გაიყონ. კოხტას ფაზაშვილების საკვამლო სამათ გაიყონ... ანდრიას ადგილ-მამული სამათ გაიყონ... მარაბდას, ვაჟთა-ჭევსა და ქატაბანს გარდა გავყავით სარწყავითა. წისქვილის მესამედი უნდა მისცეს (ქსძ, IV, გვ. 204).

მარაბდა 1727 – ... მამებარა მე, შერმაზანს, ოთარისგან ათის მარჩილის თამასუქი, ექვსი კოდი და ნახევარი პური. მარაბდული პურიც მამცა, რომ გლეხებზედ იყო. ოთარმა თამასუქი მამცა. ამ ათის მარჩილის პური და მარაბდული პური ტბის უნდა მომიტანონ... (მსეი, II, გვ. 22).

მარაბდა 1737 – ... მე, გერმანოზისშვილმან პაატამ ... შენ, იბრეიმ ბეგს ... მოგყიდე, ჩემის ბიძაშვილის ოთარისაგან რომ მე და ყარაბუდაღისშვილმა გიორგიმ მარაბდას თავისი წილი მამული ვიყიდეთ საერთოთ, ჩემი წილი ეს მარაბდის მამულისა ოთარისაგან ნასყიდი... (სს, II, გვ. 390).

მარაბდა 1738 – იხ. აბრამეთი

მარაბდა 1741 – ... ჩვენ, ყარაბუდახისშვილმა გიორგიმ ... თქვენ, ბატონისშვილს უსეინბეგს ... ჩვენ და პაატამ ოთარისგან რომ მარაბდას თავისი წილი ვიყიდეთ, იმისგან ჩემი წილი ნასყიდი თქვენთვის მამიყიდნია... ყარაბუდაღისშვილის გიორგის რომ გერმანოზისშვილი ოთარისაგან მარაბდას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამული ეყიდა და ჩვენ, ბატონისშვილმა ჰუსეინ-ბეგმა ვიყიდე, რაც გვეყიდა გერმანოზისშვილს გუგუნასა და ძმასა შენსა პაპუას მოგყიდე... (დსსი, I, გვ. 301).

მარაბდა 1752 – ... ამას წინად ოთარ გერმანოზიშვილს თავისი წილი მამული **მარაბდას** პაატა გერმანოზისშვილისათვის და ყარაბუდახისშვილისათვის მიეყიდნა, მერმე ოსმალობას მამული წაერთმიათ. და პაატა მისულიყო, ოთარისათვის ისევ თავისი თეთრის თხოვნა დაეწყო. ოთარს იმ ხელათ თეთრი ვერ უშოვნია და თამასუქით გაუცია პაატასათვის, და ნასყიდობის სიგელიც ისევ პაატას ქონდა... ოთარ სხვაგან წასულიყო, პაატას ის მამული უსეინბეგისათვის მიეყიდნა, მერმე უსეინბეგს გუგუნასათვის მიეყიდნა, მერმე მოვიდა ოთარ და ... მეფეთ-მეფეს პატრონს თეიმურაზს მოგვახსენა, რომ ჩემი მამული პაატას უსამართლობით სხვაზედ გაუყიდნიაო, ჩვენ გავშინჯეთ... ოთარის თეთრი გამოვართვით, პაპუასა და გუგუნას მიეცით და ის მამული ოთარს დარჩა (სს, I, 1899, გვ. 394).

მარაბდა 1756 – იხ. **ცხეკვი**

მარაბდა 1770 – [არზა გიორგი გერმანოზიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ჩემს გამდელს ორი საკომლო მამული **მარაბდიდამ** თუშმალ იბრეიმისათვის მიუყიდია... **კახეთს** წასულა. მე ორის-სამის წლისა ვყოფილვარ... **ქართლში** არ მომხდარა, რომ მოახლეს მამული გაეყიდოს (ქსძ, VII, გვ. 160-161).

მარაბდა 1778-1787 – იხ. **სამშვილდე**

მარაბდა 1781 – იხ. **ერეკლეს ციხე**

მარაბდა 1784 – ... **მარაბდას** ერთი კომლი კაცი გახლავთ ცხადიასშვილი, ის კაცი ჩემი [ერასტი გოსტაშაბიშვილის] ყმა არის. ის ცხადიაშვილები ორნი ძმანი არიან. ახლა ის ძმები გაყრილან; ახლა ჩემს ბიძაშვილს წამოუღია ზაზას, გასამყრელოთ ერთი ხარი გამოურთმევია, თქვენ ჩემი ყმანი ხართო, ერასტის თქვენთან ხელი არა აქვსო... (ქსძ, VII, გვ. 640).

მარაბდა 1791 – იხ. **დიღომი**

მარაბდა 1791 – იხ. **შინდისი**

მარაბდა 1798 ახლო – [ხუხის ნუხსა მანუჩარ და სულხან თუმანიშვილებისა]: ... ოცდახუთმეტი თუშანი ... ქსნის ერისთვის-შვილის გიორგი ყულარ-აღასის შვილის ელისბარისაგან მინდა... ერთი თუშანი ... გერმანოზისშვილი სულხან მოსაცემს არის ... [და] **მარაბდას** წისქვილი გირაოთ მიწერია... მთავარეპისკოპოზის ბესარიონის თეორიდამ **ახალციხელი** ღუგაზას თამასუქიდამ მიბოძა (ოცდაათი თუმანი)... **აჭყალელი** ვარდანანთ ზურაბაშვილი ივანე თამასუქით მოსაცემს არის... **არაგველი** ბაბანას შვილი მილახვარი გლახა ... მოსაცემს არის [ვალს]... [მესანთლე ასლანას] თამასუქი **ქალაქის** წახდენაში **დუშეთს** რომ ბარგი აიკლეს ჩვენი, იქ დაიკარგა... **სამცხეთო დარბაზელმა** ასატურას შვილმა ხალათამ თამასუქის თავის დანარჩომი უნდა მამცეს... თარხან-აღას შვილმა მინასამ უნდა მამცეს, რომ თავიანთ **ორთაჭალის** ბაღი გირაოთ მიწერიან... **სიონის** ყმა დურგალმა პაპამ უნდა მამცეს თამასუქით, რომ სახლის სიგელი გირაოთ მაქვს... გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელმა ხითარიშვილმა გოგიმ უნდა თამასუქით მამცეს თუმანი თვეში... თიანეთის მოურავმა დიმიტრიმ უნდა მამცეს თამასუქით ერთის წლის ვადით... (მსეი, II, გვ. 124-133).

მარაბდული შარა. ქვემო ქართლი

მარაბდული შარა 1751 – იხ. ახალშენი

მარანა. შიდა ქართლი

მარანა 1678 – ... ჩუენ, ქსნის ერისთავმან დავით წიგნი და ნიშანი მოგეცით თქვენ, თუმანიშვილს გიორგის... მას ჯამსა, ოდეს ამასწინაო კურთხეულის ბატონის ბიძის ჩუენის იასეს ერისთავის ჯამში, პატარა ლიახვის რუვის სათავე და წყალი მოგენდომებინაო და კიდეც მოეცა და დაენებებინა და რუ გამოგეღოთ... ელიზბარ ერისთავის ჯამშია წყალობა ექნაო მარანის გვერდზედ ლიახვისაკენ რუვი დაენებებინა. და თქვენც იმის სამუქბოდ ჩვენი სოფელი გაგეთარხნებინაო, მარანა, ხელმწიფისაგან. აწე მარანას ქვეით სოფლები გაჯავრებდეს და წყალს გიხეთქდეს. მოხვედით და შემოგვეხვეწნენ, ქიწნისისაკენ მოინდომეთ და იქივ მარანის თავს რუს სათავე აგართვით, ჩვენი სათემოს თავი გაგაჭრევინეთ და ქიწნური ხოგ-ხოგი მიწები და იმაზედ გაგატარებინეთ... სამი მერუე მარანიდამდა გვიჩენია გარეჯური თავამდინ უნდა რომ წყალს გიდენდნენ, და რომელიც ჯამაგირი თქვენგან მერუეთ ჰქონებოდეს, ნუ მოუშლითო... (ქსძ, VIII, გვ. 853-854).

მარანა 1795 – იხ. გორი

მარანა XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

მარე. შიდა ქართლი (?)

მარე 1771 – ... მე, ფალავანდიშვილმა ერეკლემა ... შენ, მამისთვალიშვილის ძაგიასა ... მოგყიდე ჩემი მემკვიდრე ყმის შვილი მასელაძე მარელი გოგია (იქსვშ, გვ. 181).

მარიამი // მარიამნი. ქვემო ქართლი

მარიამი 1591 – იხ. ამლივი

მარიამი 1693 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან გიორგიმ ... თქუჱნ, ბარათაშვილს პაპუნას ... თრიალეთს მარიამ ნასოფლარი გითარხნეთ, ამ წესით რომე, რაც კაცი იქ დაასახლოთ არა ეთხოვებოდეს რა... (სს, I, 1899, გვ. 431-432).

მარიამი 1713 – იხ. გუნაანეთი

მარიამი 1719 – გოსტაშაბიშვილის ამალღაბარისა და მისს სახლისკაცთ სოფელი მარიამელნი და იქით ოთარ მდივნის ყმანი, და ბეგაშვილის ყმანი ლომკაცისა ჩრდილის უბნელნი მიწებსა და სათიბზედ ცილობდნენ, და ჩრდილის უბნელთ ესარჩლებოდნენ ჩვენი არის, უბრალოდ გიჭირავსთო... (სს, I, 1920, გვ. 81).

მარიამი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

მარიამჯვარი. კახეთი

მარიამჯვარი 1579 – იხ. მცხეთა

მარიამჯვარი XVIII საუკუნე I მეოთხ. – იხ. თვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამჯვარი 1766 ღმერთმან ... ჭემწიფის ჭირი მოსცეს ... **გარეჯელს** მკერვალისშვილს სამნას... ჩემი და მაყასშვილის ლუარსაბის დავა არ გარდასწყდა... ერთი ბიძა **ქართლში** მყავს მამის ჩემის განაყარი და სხვა კი არავინ მეგულება ამ დავაში მოწმედ რომ გამომყევს... [განჩინება]: ეს სამანას შვილი სამანა ძველთაგან **მარიამჯვრელი** მაყასშვილის ყმა ყოფილიყო. და მერე ჟამთა ვითარებისაგან **საბარათაშვილოში** გამოსულიყო. მას უკან იქიდამ აყრილიყო და **კახეთს** გასულიყო, მაყაშვილი ლუარსაბისათვის ეთქვა: მე შენი მემკვიდრე ყმა **მარიამჯვრელი** ვარო... სამართლით მაყაშვილს ლუარსაბს დარჩა... (ქსძ, IV, გვ. 693-694).[137]

მარიამჯვარი 1789 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... ერთობლივ მაყაშვილებს მომცეს. თქვენი წყალობა მამული გვაქვს **მარიამჯვარი**, იმისი მიჯნები და სამძღვრები ჩვენმა მამათ და პაპათ იცოდნენ და ჩერქეზიანთაც სცოდნიათ... ახლა ჩვენი მამები დაიხოცნენ და ჩვენ თქვენს წყალობას მამულს გვართმევენ ჩერქეზიანი... არიან მცოდნე კაცნი **საგარეჯოში** და **გიორგიწმინდაში**... [ოქმი]: ჩვენ მაგიერათ **საგარეჯოს** მოურავს ჯამასპის ასე უამბეთ. მერმე ამ არზის პატრონები რომ ასე ჩივიან, შენ უნდა მოიკითხო თვალზედ და გიორგიწმინდელთაში ფიცით სარწმუნოს კაცთაგან... ამათ ასე იმოწმეს: **ქალბის წისქვილს** ქვემოთ და **გაწყვეტილის ჩიხის** თავამდინ, დათვფას ზემოთ, ამ მაყაანთ უღიათ ღალა და იმას ქვემოთ – ჩერქეზიანთ... (ქსძ, VII, გვ. 822-824).

მარიამჯვარი 1790 – [არზა მაყაშვილებისა]: ... თქვენი წყალობა ... **მარიამჯვარი** გვიჭირავს და რა თქვენგანა გვბოძებია, სულ შემოგვარგვლით გვიჭირას და ღალასაც ნიადაგ ვიღებთ. და შარშან გხლებიან **გიორგიწმინდელები** და მოუხსენებიათ: აქამდის მაყაანთი არ არისო; და ჩვენგან აღებული ღალა აუღიათ და სულ წაუღიათ თორმეტი ხარვარი... (ქსძ, VIII, გვ. 56).

მარიამჯვარი 1791 – იხ. **გიორგიწმინდა**

მარილისი. კახეთი

მარილისი 1724 – ... ჩვენ ... **ქართლისა** და **კახეთის** მეფემან, განჯისა და ყარაბაღის ბეგლარბეგმან და მჭირავმან **შამშადილოს** და **ყაზახის** მქონებელმა ... კოსტანტინე ესე ... შესაწირავი მოგართვით ... თქვენ ... მოძმესა ჩვენსა წმიდა გიორგის **ლაშარის ჯვარსა** ... და სრულიად ფშაველთა... მეფის ერეკლესათჳს მრავალი სამსახური დაგვდვაო და ჭირნახულობა მოძმისა ჩვენისა ლაშქართა ფშველთ **ქართლის** დაჭერაში და მრავალჯერ ომი გექნათ... ხოლო ოდეს მოვიწიენით ... **საქართველოში**, ჩვენ და შანაოზ მეფის შვილები ერთმანეთზედ ელაშქრობდით, თქვენ თან გვახლდით მუდამ გაუყრელად... კუალად ოდეს მოვიდნენ ურუმნი **საქართველოში** ... დროშა სრულ ფშაველნი თან გვახლდით... ხოლო ოდეს არღა იყო დგომა ჩვენი **საქართველოში**, არცა ერისთავების ალაგებში (იქნებოდა) ჩვენი დგომა, რამეთუ ურუმთა დაიჭირეს იგი ალაგები ... მოგვიძღვით ... **ფშავს**... შევსწირეთ **ლაშარის ჯვარსა** ... და გიბოძეთ თქვენცა მისთა მოყმეთა

[137] იხ., აგრეთვე, ქსძ, VII, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულად ფშაველთა ნახევარი **მარილისი** ოთარის კერძი, გარდა გარსევან მოურავისა და **ალავერდის** კერძისა... რადგან გარსევან მოურავის ყმად იყო ის ალაგი და გამოვართვით და თქვენ მოგეცით, მოურავად ისევ გარსევან მოურავი იყოს იმ ქვეყნის წილის ალაგისა... (ქრონ, III, 94-95).

მარილისი XVIII საუკუნის I მეოთხ. – იხ. თვალი

მარილისი 1735 – [გივი სახლთუხუცესის მიწერილობა გრიგოლისადმი]: **მარილელნი** მოვიდნენ აქა და ბატონს წყალობის წიგნი მოართვეს მამულისა. მანდ უტოს შენ უნდა გახვიდე. **უტოს გილდაშვილის ნაზრვი** თავის მეზრით ოთარს რომ ბატონის წყალობა გასამყრელო ზვარი ეჭირა, მეზრე ბულალა თავისის მიჯნებით მიაბარე... (ქვწ, გვ. 77).

მარილისი 1741 – იხ. ლაშარი

მარილისი 1773 – იხ. ლაშარი

მარილისი 1785 – მისს უმაღლესობას ჴემწიფესთან სახლთუხუცესს ქაიხოსროს [ეჩივლა]: ჩემის დაყენებულის მეღორის ღორის საბალახე აუღიათო **პანკისის** მამულობის ბარობაზედაო... ამ სამართლის განსასჯელად **მატანს** მივედით. **მატანდან მარილისის** მამული დავიარეთ. აქ კობიაშვილები ომან და ტეტია ჩვენთან იყვნენ. პირველად სასახლე ვნახეთ და ციხე კარგი შენობა ქვითკირის მარნითა და აგრეთვე საჯინიბოთი. ამ ციხის გვერდზედ აღმოსავლეთის მხრისაკენ ჩამოუდის **მდინარე კურტანაძეული**, აქედამ შეყვება ვიწრო ხეობა, აღმოსავლეთის მხრიდამ ჰყვება სიგძეზედ **პანკისის** მხარეს მაღალი მთა, აგრეთვე დასავლეთის მხრიდან ასდევს **მატნის ციხიდამ** მოკიდებული მაღალამდის რომ ამ მთებს მაღლა თავი ერთად აქვს შეკრული, ამის საშუალო **მარილისის** მიწა-წყალი ძეს, რომელსაცა აქვს ჩრდილო ამ მთებს კალთები **მარილისში** შიგ ჩამოტანილი. ამ ქვემო სასახლეს ზემო ერთი საათის სავალი არის, იქ ერთი მომაღლო გორა არის. ამ გორაზედ ციხე ავლია, ერთი კარგად ნაგები საყდარი დგას ნახატი ციხეში და ამ ციხის გარეშემო სოფლსა და ამ ციხეს **ქაჩალაური სოფელი** ქვიან. რომ ამ ციხისა გკითხეთ კობიაშვილებსა ვისი არისო. და ამათა თქვეს: ჩოლაყაანთი არისო, **ქაჩალაური სოფელი** ქვიანო და მახსოვართაგანაც წერილიც ასე აცხადებს: ეს **მარილისის** მიწა-წყალი მთა და თავისავე ჩრდილო ნეტარად ხსენებულთ მეფეთ ნახევარი ამ **მარილისის** მამული **ლაშარის ჯვრისათვის** შეუწირავთ და ნახევარი ჩოლოყაშვილის გრიგოლის წილობისათვის უბოძებიათ... **მარილისი** ძველადგანაც ბატონიშვილის გიორგისგანაც ნაბოძები ქონიათ, რომე პირველ **მარილისი** საბატონიშვილო ყოფილა და უმაღლესობას მეფეთა სიგლით უბოძებიათ ჩოლოყაშვილის გრიგოლისათვის, ზოსიმე ხარჭაშნელისათვის... ამ სიგლებისა და წიგნების გასინჯვის გარდა ჩვენ აქ **მატანს** ამ **მარილისის** მამულის მახსოვარნი მოვიკითხეთ. და წარმოდგა სამართალში სახასო ჯუბაშვილის ოთ მღუდლის ძმა ნაცვალი ეესე, რომელიც **ეწერს** მოწმობს ესრეთ: **სამარილო მთა** ასე გაუფიცნიათ პაპაჩემს ჯუბაშვილს ჯუბასა, სუმბიაშვილს აზნაურშვილს ონანასა და ბაიურიშვილს ბაიურასა. ამ სამთა ეს უფიცავთ: ხატები აუღიათ და სოფელი თან მიყოლიან, დროშებაღებული **სატ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედო გორაზედ შემხდარან, იქიდამ კუწახტის თავი გადუვლიათ, მჭინდამ დედისფერულის თავი გაუვლიათ, იქიდამ გაბმულს გასულან, გაბმულიდამ გამოუვლიათ და მთაწმინდაზედ ჩამოუვლიათ, და მთაწმინდიდამ საჭვრეტლაზედ გადმოუვლიათ. და ილის ქედის წყაროზედ მოსულან. ეს სამძღვრები ესრეთ შემოუფიცავთ, რომ ამ მიჯნებს საშუალ ჩრდილო და ვაკე მარილისისა არის. ქაჩალაური ნასოფლარიც ამ მთებს შუა შერთული არისო. ეს გაფიცული მამული ნახევარი ბატონისა არის და ნახევარი ჩოლოყაშვილისა. ამისი საბალახე ნახევარი უწინაც ბატონის სარქარში მისულა და ახლაც ბატონიშვილის გიორგისათვის მოგვირთმევიაო. მეორე მოხსენება გარშაულიშვილის სახასო პეტრესი, მოხუცებული კაცია: მე პანკისის შენობას მოვსწრებივარ, ალაზანს გაღმა და გამოღმა შენობა იყო. მაშინ ჩოლოყაშვილები ოთარ, ქაიხოსრო, გუნა, შარმაზან, ფილიპე ხარჭაშნელი და სხვანი მარილისს თავის სასახლეში ესახლნენ. იმ ჟამში ჩოლოყაანთ იქ საბალახე აიღეს ქაჩალაურშია და ხევის ჭალაშია... ბახტრიონს მახსოვარნი და მოწამენი მოვიკითხეთ... გუჯარი ამ მიჯნებს ასე აცხადებს: მარილისის სასახლე ზემოთ საზაფხულედ წმინდის მარინის კარი და ქვემოდ ილის ქედის ეკლესია ომანის წყარომდის და ქვემოდ ფშამდის ზვარი და მარანი და საყარაულო ქვიანი და სათევზე ზემოთ მთა თუშთ ნასადგომრამდის სახასო მარილისი კურტანაძეული... დღეს რომ კობიაშვილებს პანკისის მამულობის მიზეზად რომ ღორები აუღიათ ქაჩალაურს გარშემო ნასოფლარში, ეს მარილისის მიწა-წყალი არის, რაც ღორი ამაში აუღიათ კობიანთ, სრულებით სალთხუცესს ქაიხოსროს უნდა მიეცეს... (ქსძ, V, გვ. 288-292).

მარილისი 1792 – იხ. მატანი

მარილისი 1800 – [არზა ფშაველების გიორგი XII-ისადმი]: ... თქვენს მომძეს თქვენის მამა-პაპისაგან მარილისი შეწირული ჰყავს და ამდენი ხანია, იმთგან მისართმელი სამსახური აკლია. ამას გეგვედრებით, როგორც ალავერდისა ანუ სხვათ ეკლესიის ყმათ თავეთი ბეგარა უკლებრათ ედოთ და ემსახურებოდნენ ... იმათაც ისე მოაცემინოთ. იქაე მარილისში მოსახლე ალავერდის ყმანი გახლიან, როგორც ისინი იმ მონასტერს მსახურობდენ, ისე ის მარილისში მდგომნი თქვენს მომძეს ამსახურონ... (ქსძ, VIII, გვ. 607).

მარილობის ხევი. ქვემო ქართლი

მარილობის ხევი 1701 – იხ. ენაგეთი

მარილობის ხევი 1751 – იხ. ახალშენი

მარმარაშენი // მარმაშენი. სომხეთი

მარმარაშენი 1392 – იხ. ტფილისი

მარმარაშენი 1425 – იხ. ლორე

მარმარისკარი. ოდიში

მარმარისკარი 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

მარმაროვანი // მარმაროვა. კახეთი

მარმაროვანი 1579 – იხ. მცხეთა

მარმაროვანი 1654 – იხ. წინსაგარეკჯო

მარმაშენი – იხ. მარმარაშენი

მარნეული. ქვემო ქართლი

მარნეული 1706 – ... მეფის ... შაჰნავაზის ჟამში, მარნეულელნი გოსტაშაბიშვილს პაპუნას დოლოვნის ბოლოს მიწებს წამოსცილებოდნენ... ჩვენ, საქართველოს ჯანიშინმან ... ვახტანგ, ამას გასასინჯავად მდივანი გივი უჩინეთ... სამნები ჩაესხა, გაესამძღვრა... პაპუნას ... რუსთან და წყალთან მარნეულელთ ჭელი არა აქვსთ... (სს, I, 1920, გვ. 127).

მარნეული 1742 – ...ავიღე მარნეულელი აფრიამამ ... არუთინას შვილი გიორგისგან, ხუთი მინალთუნი ახალი თეთრი... (მსეი, II, გვ. 28).

მარნეული XVIII ს. II ნახ. – მელიქის კაცმან საკამ მარნეულელს მამაჯანას თავის გატეხა და ერთი თალრი ფეტვი უჩივლა (სამდ. გვ. 64).

მარნეული 1778 – მარნეულელი ყაზარაშვილები თავეთს მეზობლის გულქანაშვილებს მარნეულში საწისქვილოებს ედავებოდნენ... სამართალმა ყაზარაშვილები გაამტყუნა (ქსძ, V, გვ. 45-46).

მარნეული 1779 – [უცნობი პირის საქორწილო დანახარჯის ნუსხა]: ... თერთმეტ აბაზ უზალთუნი მარნეულიდამ პურის მოსატანი ქირა და დასაფქვავის ხარჯი... (მსეი, I, გვ. 71).

მარნეული 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

მარნეული 1791 – იხ. შინდისი

მარტაცი. შიდა ქართლი

მარტაცი 1392– იხ. ტფილისი

მარტაცი 1516-1535 – იხ. კუნელი

მარტყვათუბანი. იმერეთი

მარტყვათუბანი XVIII ს. I ნახ. – იხ. კვალითი

მარტვილთ მონასტერი. კახეთი

მარტვილთ მონასტერი 1579 – იხ. მცხეთა

მარტვილი // მარტვილის მონასტერი

მარტვილი 1714 – იხ. საჭყონდიდლო

მარტვილი 1753 – იხ. გულუხეთი

მარტვილი 1760 – ... ჩვენ ... ოდიშის შავის ზღვის აქეთ მპყრობელმან და ხოლო სრულიად ლეჩხუმ ვიდრე სვანეთითურთ ... მქონებელმან ბატონმან დადიანმან კაციამ ... მარტვილის მონასტრის საყდრისა შენისა შემავალი საჭყონდიდლო კაცები ... წმინდისა ეკლესიისა შენისა მოსამსახურე, თვინიერ დაბლა საჭყონდიდლოს გარდა [ათარხნეთ]... არას ჭყონდიდლისაგან, არც ვინმე ... მეპატრონისაგან აქ, მარტვილს, შენს შემავალს საჭყონდიდლოს კაცს საური აღარ ეთხოვებოდეს (დსსს, II, გვ. 14-15).

მარტვილი 1761 – იხ. ფარცხანაყანევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტვილი 1764 – ... მეფემან ... სოლომონ ... ჩვენის ყმის, იოსელიანის ბუჭუას შვილი მთავარდიაკონი სვიმონ ... შევსწირეთ პირველთა მამათ ჩვენთა სამარხოსა დიდებულსა ეკლესიასა **მარტვილს**... (დსსს, II, გვ. 20).

მარტვილი 1767 – ... განმგებელმან **ოდიშ-აფხაზთა-ლეჩხუმთა** და **სვანთამან** ... დადიანმან ბატონმან კაცია ... წიგნი გიბოძეთ შენ, **მარტვილის** ეკლესიის დეკანოზს არქიმანდრიტს ელიავას გერმანეს, ასე რომ ფადავას *კაცს ერთს სარჯულო და საკანონო საქმე დასდებოდა და ის ... კაცი შენ გყოლოდა*... (დსსს, II, გვ. 34).

მარტყოფი // **მარტყობი. კახეთი**

მარტყოფი 1560 – იხ. **ოროტა**

მარტყოფი 1637 – იხ. **ეშხიანიშვილის მამული**

მარტყოფი 1648 – იხ. **ქართლი**

მარტყოფი 1698 – იხ. **ნათლისმცემელი**

მარტყოფი 1703 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... იმამყულიხა ... თქუენ **მარტყოფის** მოურავს ყორჩიბაშს ზაალს ... გიბოძეთ **მარტყოფის** მოურაობა... (ქსის, გვ. 410).

მარტყოფი 1720 – იხ. **კალაური**

მარტყოფი 1722 – ... მეფესა ვახტანგს ეწყო შემკობად ტაძრისა მღრთებისა და აღეშენა ... ზედან თავსა **მარტყოფისასა**. და განეჩინა საეპისკოპოზოდ... მეფეს ვახტანგ გორგასლანს, ეპისკოპოზი იგი გაედიდა და რუსთველადაც ამად სახელ-ედვა, რომელ ქალაქიცა, რომელი იგი აღშენებულ და ბოსტან **ქალაქად** სახელდებულ და **რუსთავად** ნაწოდები ყოფილარს. და თუით ქალაქი იგი და **მარტყოფიცა** სამწყსოდ და მრავალნი დაბანი და აგარაკნი ... იმა საყდრისათუის შენაწირნი მისისა ეპისკოპოზისა რუსთველისათუის მიებოძნეს... ვნახეთ რაოდენცა შეწირულება იყვნეს **მარტყოფსა** შინა, რომელი სრულიად **მარტყოფის** მოურაობა რუსთველისა ყოფილან სამკვიდროდ, და დროშაც მისთვის მიუციათ, რომე ვითა **ქიზიჴის** მოურავს აქუს დროშა **ქიზიჴის** მოურაობით, აგრევე **რუსთველთათვის** განუწესებია **მარტყოფის** მოურაობა... ჩვენცა ესრეთ განვაჩინეთ და ვბრძანეთ: წარვიდოდენ მათთა მებალახენი **მარტყოფის** მოათა შინა ჩვენნი და რუსთველთა მებალახენი, წავიდენ რაოდენ რიგი იყოს, ეგრეთ აიღებდენ... ხოლო სამწყსოთათვის და სამრეველოთათვის რაოდენიცა ქონან ესე არიან: **მარტყოფნი** და **ბოსტან-ქალაქელნი, ნასომხარნი, ვანკოდა** და **ლილონი, გლდანი** და ჯაჭვნი და **ლელუბანნი** და გადადმა კახეთთა შინა უტონი, ბულანი, **ჩოფჩაური** და **ხოვა**. ესენი ზოგი რომელიმე ყმა და ზოგი რომელიმე სამწყსონი, გარჩევით ქვემორვე დაგვიწერია. ამა სამწყსოთა შინა მესამეთა წელთა **მარტყოფთა** და **ნასომხართა** დრამი ერგებიან... ხოლო **ჭოპარტელთა, ვანკოდთა, ლელუბანთა** დრამი არ აიღებიან... **უტოთა, ჩოფჩაურთა, ხოვათა** და **ბულაანთა** ორნივე აძენ-საწირავიცა კარი და მესამედ წელთა დრამნი... **მარტყოფის** ხუცესთა და **მანკოდისთა**, ყოველთა აღვსებათა სამნი აბაზნი აძეს და სხვა არარა. **ლილონი, გლდანი** და ჯაჭვნი ანგარებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მძლავრებით მიეტაცათ ქართლისა კათალიკოზს და თბილელთა... **ბოს-ტან-ქალაქი** ოჴერ არიან და ოდესცა ნებითა ღმრთისათა შენობად იწყოს, სამწყსონი რუსთველისანი არიან. ვანკოდა სრულად რუსთველისა და საჟდრისა არის... აგრევე სოფელი **მძორეთი** პირველადვე სამკვიდროდ მფფეთა-გან შენაწირნი არიან საყმოდ... ესე **მძორეთის** წინანი ჩასდგამს **არაგვამ-დე**, წინათ **ბიწმენთა** თანა აქუს სამძღვარი მინდვრისა და გამოღმართ **სა-გურაძოთა** ზეით **ზაქარამდე** და უკანით **არძევამდის. მთანი ლელუბანთა** და მთათა მათთა ერთ არიან, ვიდრე **აძეის** შესწორებამდინ... ხოლო ამისა შემ-დგომად არიან **ჭევნი ხერგისანი** გრძელნი, მთიანი, ტყიანი და წყლიანი, მრავალნი ნასოფლარნი და სოფელნიცა – **თეზმანი**, ნაწილებნი ჩრდილოა-ნი: **ბაკუტაძეი** და **ერგულანი** და სხუანი, შემდგომნი ნაოჴარნი ჩაიარს ვიდრე **იორადმდე; ხოლო მთანი იკულიენი ერწოდმდე,** ბოლო სახნავი მინ-დორი **მარტყოფთა** შინა, **ყარაის** თავად შთასჭრის ამა **თეზამისა ჭევნი**... ესრეთ ვბრძანეთ, რათა ამათ **ხერგის ჭევთათვის** ათავისუფლებდენ ჩვენნი მოსაქმენი... ბაუისა, ანუ სამეკობროსა ყოველნივე ხატისა ღვთაებისა არს და რუსთველისა... ორთა ქორთა, ერთსა მთავარსა და მეორესა გეზელსა, ჩვენთა მფრინველთაუხუცესსა მოაბარებდენ **თეზმის** მოჭელნი. და უკეთუ ვინმე მთათა, ანუ ბართა ეცილნენ, ვბრძანებთ, რათა **თეზმანისა** კაცთა იფიცონ ხატითა თვისითა... ხოლო **ერწოსა** განაგება ესრეთ ყოფილიყვნენ, რომე **ვაგრანეთი,** სამთავროთა ყმათა გარდა, ფილაანთ და იმერლიანთ მა-მულთ გარეწარად, ესე ვაგრძენით: თვისით შესავალ გამოსავალით... აგ-რევე **ჯიღაური**ნი, ყოველით მისით განწესებით, ვითა **ვაგრანეთი,** ყურეთვე ესე **ჯიღაური** არს... იქით **ამტანამდი** და აქათ **თრანამდი,** აგრევე **ერწოთა** შინა **დევნაანთ კარი** მეკვამლენი დევნა შვილნი თავიანთ სამძღვრით, იქით **ნადირაანთ კართა** თანა მიაწევს სამძღვარი მთიან ბარიანად, აქათ გამოყ-ვება **ბერაკანთ კარი** ეწოდებიან, გამოიარს ესე მეკომლენი და მაკუჯაძეი ქისტაურნი სახლობენ და **მაკუჭაძეთ კარი** ეწოდებიან; იქით საერთონი მთანი და ბარნი აქუთ **დევნაანთ კარით** ვიდრე **ჯოთენაურამდე** ამათნი ბარნი ერთნი არიან, აგრეთვე **ონეთის ქედი** საკუთრად საყდრისანი არიან ბოლოდ წიაბეთამდის მიაწევს, აგრევე **ახალკალოთა** შიგან ათორმეტი საკომლონი არიან ხატისა ღმთაებისანი: ჭავჭავაძეს მამულს გარეთ სარუს-ტლონი არიან, ვიდრე **იორამდე**... ოდეს საბალახენი აიღებოდენ, ნახევარს ჭავჭავაძენი წაიღებდენ და ნახევარს რუსთველი; აგრევე **თილთუბანი** არს საკვამლონი ბევრნი, უცილებლად ხატისა ღვთაებისა არს, ბოლო მიაწევს საყდრამდე წმიდისა ნიკოლოზისა **ძუძამდე.** ხოლო მთანი ვიდრე **ბათქამ-დენ** კუალად **ჩეკურთაცა** შინა სამნი საკვამლონი ბზიკაურნი, თავისი მთითა და ბარითა აღსავსენი... **წობენას** მ[არან]ნი მესამძღვრენი ხიმშიანი უსხენან და აქეთ სვიმონელნი ყვანან, აწცა მარანნი და ქვევრნი თვალითა იხილვებიან, ამისნი ზვარნი შიგან წობენთასა ყოფილან. აწე რაოდენიცა ესე სოფელნი **ერწოთა** შინა შესწირავიან ღვთაებისა ხატსა, ამა სოფელთა შინა არავის ძალუც რაოდენისაცა ნივთისა აღება... არცა დიდთა, არცა მცირეთა კარისა ჩვენისა მოჭელეთა ამა **სარუსთველოთა ერწოთა** შინა ჭე-ლი ანუ აქვთ... აწე, ამათ **ერწოთა** წელ ყოველ აძეს ახმეტისა ზვრისა მუ-

შაობა.... ხოლო ამათ სოფელთა, დაბათა და აგარაკთა, რომელნი ნაირთა ალაგთა უპყრიან და ხატისათვის ღმრთაებისა შეწირულან, და სხვანი შინაგან **კახეთისა** ქონან ადგილნი ... მამა ანტონი... გამოვლო ესე ქვეყანა... გარდავლნა **იალონ** და შთავიდა **შინა კახეთად**, სადა იყოფოდა არსენი **იყალთოდ** და წმიდა და ნეტარი შიო **არტოზნად**... ხოლო მუნითცა წარვიდა და ჩავლნა **ალავერდად**... ჩავლნა **ალაზანნი** და შევლნა **ჭევნი ლოპტასნი**... კუალად გამოვლნა **ალაზანნი** და შემოვიდა უვალთა ტყეთა და უკაცურთა ალაგთა **ახმეტასათა** და პოვა ადგილნი გონებისა თვისისაებრი... და დაადგრა მთასა ამას, რომელსა ცხოვრება ამის ნეტარისა **მთად აკრიანად** უწოდს... ესე წმიდა დადგრა სრულიად მთასა ამას **აკრიანად** ჰმელსა და აქავე შეევდრა ყოვლად წმინდა სული თვისი... მას წმიდასა ანტონი მარტომყოფელი, ეწოდნენ მარტოდ ცხოვრებისათვის, ვინაცა სახელად ამის წმიდისა მარტო ყოფასა, **მარტყოფი** ქვიან ამის ნეტარისა სახელსა ძლით... შეწევნითა მეფეთათა, აგრევე სრულიად **უტო** სრულიად განწყესათ რუსთველისათვის და სამნი სოფელნი, რომელნი აწ ოვერ არიან: **ბულაანი** და **ჩოფჩაური** და სხვა, ესენიც შეწირულნი არიან ღთაებისა... არიან სხვანიცა... შენაწირნი... მეფეთანი ენისელთა შინა გოგანი სოფელი, კვამლი სამიცი... შემდგომად **ზემოთა კახეთთა**, ახალშენსა და გურჯაანთა შუა, სოფელი დიდი და კეთილ მარგებელი სრულიად ჩუმლაყნი... რომელ მესამძღვრენი ახალშენნი არიან ზემოთ და აქათ – **საენდრონიკონი**, ბოლოდ **ალაზანი**... ამის **ჩუმლაყის მთანი ჯიმითთა** მოსამძღვრედ არიან... უკეთუ ვინმე შემოეცილონ ალაგთა რათამე... მათ ერთობილთა **ჩუმლაყელთა** იფიცონ... აგრევე ამოვლონ **იორთა** გამოღმართ, **უჯარმით** გარდმართ და მუნცა არს სოფელი ერთი, რომელსა **საცხენედ** უწოდეს, ესე **საცხენე** ყოველითურთ შემოსაელით... ღმრთაებისა საყდრისანი არიან უცილობელად, აგრევე **ნასომხარნი**, შენნი და უშენნი **იალონთა** ჩამოღმართ არიან საკუამლონი არა მცირენი, ამას **ნასომხართა მთანი** ნახევაი იალონსა და **ხორაუჩ**თა მესამძღვრედ ქონან მთანი და ბოლო **ჭოტორთა** წინა აქვნ მიწეულნი ამა **ნასომხართათვის**... **მარტყოფთა** შიგან საკვამლონი მრავალნი და კომლნი კაცნი ბევრ არიან შეწირულნი ამის საყდრისა და ხატისა ღვთაებისა: მეფეთა ზვარნი, აქეთ ჯვრეველანთ შიგან რომე, ეს ზვარი სრულიად **მარტყოფთა** უნდა შეიმუშაონ და რუსთველი პურით და ღვინო ჯეროვნად ემასპინძლებოდნენ; აგრევე ზვარი **ნორიისა ჭევზე**, იცა ჩვენი, **ნორიელთ** შეიმუშაონ... აგრევე **ლილო**, სრულიად სამწყსოდ რუსთველისა ყოფილან და ერთი სოფელი **ქვითკირისა ლილო** ძველად, ჩვენთა ტომთაგანცა და აწცა მეფეს თეიმურაზს წაართვა ქმად და მიეიდგან, ოდეს მეფეს **როსტომს კახეთი** დაეჭირათ, არცა მათ მოეშალათ... ჩვენ შეგვიწირავს და მოგვიხსენეყია ამიერიდგან მახლობელად მღ~თებისა საყდრისა პირისპირ არიან სოფელნი **ჭოპორტა**, ზოგნი მსახლობელნი და უმეტესად უშენნი, ნაჯარნი. ესე **ჭოპორტა** არს სამძღვრით ვანკოდამდე და აქეთ **ხორიოს** თავამდე... ხოლო **ვანკოდის** საზღვარნი და რიგნი ზემოცა დაგვიწერიან და აქაცა ამის **ვანკოდის** გარიგება იუწყეთ... ბოლო **ვანკოდისა** და მინდორი არს ვიდრე **მტკვრამდინ, ავჭალას** ჩამოღმა **ლეღვი**

ხევამდე, ამოიარს ღელენი და მოვა საყდრამდინ, რომელ **ლილოზედ** დგანან და გამოიარს სერსა **ნორიოს** საჭავამდე, ვიდრე **ჭოპარტას** თავამდე, ესე მინდორნი ამა საზღვართა შუა ვანკოდისანი არიან... ხოლო ამისნი მთანი შეიარს; **ვეჭნელა** დაიდებს წილსა და მცირედ **გლდანი**; ესე მთა იქით, **მძორეთ** სამძღვრამდი გარდიარს და მათი სამძღვარი გაყოფს **ლეღუბანის თავამდი**. ამა მთათა შინა ოდეს საბალახე აიღებიან... ორნი წილნი ღვთაებისა არიან და ერთი წილი ჯანდერიანთ, რომე **გლდანი** და ჯაჭვნი მათნი არიან... **ბოსტან-ქალაქი** ოდესცა აშენებულნი ყოფილან და ქალაქნი შენებულან, იგი **ბოსტან-ქალაქი** სამწყსოდ და სამრევლოდ მღთაებისა საყდრისა ყოფილან შეწირული... მეფის თამარის მიერ, რომე რუსთველად ამის მიზეზისათვის უწოდებიან რუსთველისათვის, რომე **რუსთავს** ამას ალაგს უჭმობენ. ამა **ბოსტან- ქალაქსა** შინა მამულნი და საყდარნი მეტოქნი მღრთაებისა სახელსა ზედა აღშენებული ქონიან... **მტკვართა** შინა დიდისა ბადისა სმა, რათა რუსთველისა მებადენი თევზსა იპყრობდენ და მონასტრის კრებულსა მოართმიდენ... (ქსძ, II, გვ. 361-374).

მარტყოფი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. **თვალი**

მარტყოფი 1736 – ... მეფემან კახთამან თეიმურაზ ... მოგახსენეთ შენ ... **ტფილისის ქალაქსა** ... აღშენებულსა სიონთა ღვთისმშობელსა... ველინამად გვიჭმო კარსა თუსსა, შეგვიპყრეს და შეგვიყვანეს **ციხეს ტფილისისასა** ყიზილბაშთა, და პატიმარ გვყვეს და მერმეღა წარგვგზავნეს კარსა მისსა... აწცა მოქუნე ვიქმენითო თქუენ მიერსა გამოჴსნისა ... და შემოგწირეთ **მარტყოფს ტევალის ჴევზე** ორი საკომლო ზუბიტაშვილის მამული... (ის, V, გვ. 50).

მარტყოფი 1746 [ნუსხა კახეთს მყოფი თარხნიანთ ყმებისა]: არიან კახეთს ჩვენი კაცნი: ... **მარტყოფს**, ... **პატარძეულს**, ... **ბერთუბანს**, ... **ჯიმითს**, ... **მაღაროს**, ... **თელავს**, ... **კონდოლს**, ... **გულგულას**; ... **რუისპირს**, ... **ლალისყულს**, ... **მაღრანს**, ... **ყვარელში**. თარხნის-შვილის გიორგის ბეჭედი დაკარგა **გუდალის**... არიან ამისი მოწამენი ... ერთობილნი **გუდალელები** (დსსი, I, გვ. 331-332).

მარტყოფი 1756 – ... შენ, ბეჟიტაშვილს სეხნიას ... ჩემი [გიორგი გლურჯიძის] რვა მინალთუნი გემართა. **მარტყობს** კაცსზე ბარათი მომეც და ბარათი იმ კაცს მოვეც (მსეი, II, გვ. 39).

მარტყოფი 1756 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი ... **მარტყოფელს** სომხიაშვილის მგელიას მოსცეს. მერმე დაკარგული ვიყავ და **ხელთუბნელმა** თუმანისშვილმა პაპუამ დამიხსნა, თორმეტი წელიწადი შინ მიმსახურნია... თქვენის ყმა ვარ, ნუ დამკარგავთ... (ქსძ, VII, გვ. 34-35).

მარტყოფი 1756 – იხ. **ყვარლის ციხე**

მარტყოფი 1764 – ... იოვანე მღვდელს ... **მარტყოფს** თქვენი [მეფის] წყალობა მამული მაქვს... იმ მამულზე ვალი დამდო... ჩემი წილი მამული, თუ თქვენი ნება იყოს, ჩემს ბიძასშვილს გვრიტუას მივცემ... (ქსძ, VII, გვ. 73).

მარტყოფი 1786 – იხ. **ადმაში**

მარტყოფი 1790 – მისის უმაღლესობის ... მეფისათვის ნუსხით მოწვენე-ბინა ... რუსთუელს არხიეპისკოპოსს სტეფანეს ესრეთ: „როდისაც ... რუსთუელს კირილეს ბოდბლობა მიეღო თქუენის ბრძანებით, მაშინ ღმრთაების ეკლესიისა მრავალი რამ წაეღო ამ მიზეზით, რომ ორის წლის მოცდის პირობით წასულიყო, თუ იქ ვერ გავსძელ, აქაც მოვალო და ბოდბელ-რუსთველობით იქსენიებოდა... იმ დროებში რუსთველი არავინ იჯდა და რაც მე მბოძებოდა და როდისაც მებოძა და **მარტყოფს** მიველ და აღარა დამხუდა რა...“ (ქსძ, V, გვ. 504).

მარტყოფი 1791 – [ბძანება ერეკლე II-ისა]: ... **თელავის** ნაცვალო, მერმე ქართველაშვილს ქურთები რომ ჰყვანდა ამ ოქმით მიცემული, ისინი გამოურთმევიათ და შენთვის მოუბარებიათ, ახლავ უკანვე მიეც... **მარტყოფის** მოურავის ზალის კეთილად სახსენებელო, ძმაო იასე ნაცვალო, მერე ამ ქართველიშვილს სვიმონ მეჯურუმეს ბატონის ბძანება და ოქმი ქონდეს. მანდ **საგარეჯოს** ბატონს ქურთები არიან, მანდედამ ერთი კომლი ქურთი მიეც... (სს, III, გვ. 219).

მარტყოფი 1795 – [წერილი დარეჯან დედოფლისა სტეფანე ყორღანაშვილისადმი]: ... ღვინო ორი ტიკჭორა არის, ერთი ჩვენს ქალს მარიამს მიართვი, ერთი თქვენით... განა აქამდინ არ გამოგიგზავნიდი? მარამ ხევსურები გზაზედ ხვდებოდნენ და სცარცავდნენ. ახლაც ალმასხან მოვიდოდა და იმის იმედით გამოვგზავნე, გოგია **მარტყოფელის** მეჯინიბის ჭელით, მე ასე მგონია, რომ სოლომონ მდივანი და ბეგთაბეგ აქამდინ **გორს** წავიდოდნენ, მანდ ჩემს ყოფნაში ასე მითხრეს... (სს, III, გვ. 246).

მარტყოფი 1795 ახლო – [ვალის ანგარიშის ნუსხა უცნობი პირისა]: მომცა ორი ალთუნი და ერთი აბაზი **მარტყოფს** რომ მივდიოდი... მომცა **მარტყოფს** რომ მივდიოდი (ხუთი მინალთუნი)... ჭარი ჩემს მეწისქვილეს მივე კიკოლასი **მარტყოფიდამ** (შვიდი მინალთუნი)... (მსეი, II, გვ. 117-118).

მარტყოფი 1797 ახლო – [თელავში მეფის ოჯახში გაწეული ხარჯის ნუსხა]: ... **მარტყოფელ** იასაულებს ხიზილალის ფასი – უზალთუნი... **ახმეტას** გასაგზავნის კაცისათვის ფეხის ქირათ – ორი მინალთუნი... ბატონიშვილს ალმასხანს **თელავის** ბაზრიდამ ა ლიტრა სპილენძეული დაეხარჯა, ამის ფასად მექვაბე ოსეფას მისცემია თვრამეტი აბაზი... **კურდღელაურელს** კაცს თავის ... [და] ქილების ფასად ექვსაბაზ-უზალთუნი... **თელავს** იასაულებს ხორაგის ფასად... **ხოდაშნის** ზვრის საკრეფ მუშებისათვის ერთი საკლავი ძროხის ფასად... თუშის დიაკვნის ნაბდის შესათაებლად... **ვეზლისციხის** კულუხის წამოსაღებად გაგზავნილს ჭრელაშვილს ... ჭედა ნალის ფასად... სამთლის ქონის ფასი **ახმეტას**... კოდი ოსპის პასი **თიანეთს**... თუნგი ღვინის ფასი ... რომ ეს ღვინო **ანანურს** მეღვინეს მიჰპარდა... (მსეი, I, გვ. 139-153).

მარტყოფი 1797 – იხ. **კაკაბეთი**

მარტყოფი 1798 – იხ. **პატარძეული**

მარტყოფი 1798-1800 – იხ. **პატარძეული**

მარტყოფი 1799 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი სიონის ყმა გოგიასი. მარტყოფს გახლავარ ერთი მთის ძირში; წელიწადია, რაც დასახლებულვარ. გეგედრებით, მოწყალება მოიღეთ, რომ არაფერზედ უბრალოთ არ შემაწუხონ და არც მე ორავიკარგო (ქსძ, VIII, გვ. 584-585).

მარტყოფი 1800 – იხ. ნორიო

მარცხეული. ოდიში

მარცხეული 1628 – იხ. ღალიძგა

მარჯანიძენი. შიდა ქართლი

მარჯანიძენი 1392 – იხ. ტფილისი

მასრუტი. ქართლი

მასრუტი 1654 – [წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ბიძინა სოლაღაშვილისადმი]: ... მასრუტს ორსავ ხევს შუა, მისის ნასოფლარითა, ზემო ბეგის ძირს რომ გზა გავა, მის დატანებით – ამაების წყალობას დაგუიაჯენით, ვითაც ძველთაგან მამა-პაპათქუენს ჰქონებოდათ, ჩვენცა ... შეგიწყალეთ და გიბოძეთ (ქსის, გე. 254).

მატანი. კახეთი

მატანი 1590 – იხ. ჟატი

მატანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

მატანი 1775 – იხ. კვეტერა

მატანი 1785 – იხ. მარილისი

მატანი 1792 – [არზა მატნელებისა]: ეს ორი სამი წელიწადია, რომ მარილელნი და ნამეტნავათ ჯუგაშვილი და მისი შვილი – ესენი მივიდნენ ქაიხოსრო სალოუხუცესთან, ისიც მოებირებინათ, ფშავლებს გამოსძღომოდნენ და ნახევარი მატნის მამული ეჩვენებინათ, რომ ეს მამულები ხატის შეწირული არისო და თქვენს მამულს ნუ დაანებებთო... მას აქეთ ... ფშაველები ... მოგვხდომიან და გვაწიოკებენ... ახლა თუ ერთი გზა და მიჯნა არ გვებოძა, იქ ვერ დავსდგებით; და სხვაგან კახეთში ყველგან თქვენი მამული არის, იქ ვიცხოვრებთ (ქსძ, VIII, გვ. 175).

მატანი 1795 – [არზა ერასტი ჩოლაყაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... მოწყალებას ვითხოვთ, რომ მატანიდამ ორი მსახური მიბოძოთ, მანამდინ ვილაპარაკებთ და გავშველდებით. ხუთი წელიწადი არის, რომ მე მატანიდამ არაფერი არა ვიცი რა. ვეფხის ციხეს გახლავარ. და ეს მსახურები მაინც მებოძოს ტერტერაშვილი და იმისი სახლისკაცი (ქსძ, VIII, გვ. 343).

მატანი 1800 – [არზა გიორგი სალთხუცისა გიორგი XII-ისადმი]: მატანს ჩვენ და თიანეთის მოურავს მამულზე დავა გვაქვს... თქვენს შვილს ბაგრატზედ ოქმი გვიბოძეთ, სამართლით მოგვაშველოს (ქსძ, VIII, გვ. 642).

მატნის ციხე. კახეთი

მატნის ციხე 1773 – იხ. ლაშარი

მატნის ციხე 1785 – იხ. მარილისი

მატნის ჭევი. კახეთი

მატნის ჴევი 1773 – იხ. ლაშარი

მაღალაურის თავი. კახეთი

მაღალაურის თავი 1790 – იხ. ხოდაშენი

მაღალგორი. კახეთი

მაღალგორი 1790 – იხ. ხოდაშენი

მაღარას ჭალა. სამცხე (?)

მაღარას ჭალა XIII-XIV სს. – იხ. ნაკასრეველი

მაღარო. კახეთი

მაღარო 1441 – იხ. მისაქციელი

მაღარო 1746 – იხ. მარტყოფი

მაღარო 1767 – [განკარგულება ერეკლე II]: Монах **Портаитского монастыря**, если пожелает, то крестьян, которые живут на землях сего монастыря, в селениях **Магаро** и **Сакобо**, может оставить там-же... (ГКГ, გვ. 18).

მაღარო 1768 – იხ. ჩალაუბანი

მაღარო 1774 – იხ. აკვხალი

მაღარო 1799 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის **ჩალაუბნიდამ** იაკოფისა და გელასი... სხვაგან ვეღარ წავიდეთ. **მაღაროს** დავდუქით, იქც დაგვიჭირა [აფხაზიშვილმა ნინიამ]. ორთა ძმათ ბორკილითა და ხუნდით შეგვინახა. მე კი გიახელ, ჩემი ძმა ბორკილში ჰყავს... (ქსძ, VIII, გვ. 562).

მაღლაკი. იმერეთი

მაღლაკი 1259-1293 – ... მე დიდის მონასტრისა დეკანოზმან იაკობ გავაჩინე ესე: ... მამული ჩემი მკუდრი, პატრონთაგან ბოძებული, **მაღლაკს** აბანოისა სახლი პირველცა სადეკანოზოდ შემექნა ... [და] ხახულისა ღმრთისმშობლისათუს შემწირა... **ფარსმანაყანევს** – ხაკოსძე ა, მათითა მიწა-წყლითა... სამნი პარტახტნი რომელთაგან გამოსავალნია: **გუჯაბაური, დერუცული, ქორაული, ჯისალიური. ზარათს** – ღმრთისა სწორთაგან ჩოქითა ბოძებული ნასყიდი ხელისძისეული მამული... **არგუეთს: ზენა სკანდეს** ნასყიდსა მამულსა ზედა მემშუილდე დავასახლე კუამლად ა. **ტყირბულს** – ბოგუერაისძე ხუცესი, აღბუღაისგან ... მოცემული... **რაჭას: ქორთას** – ღაჯთუსძე, მიქაისძე და დათუისძე; ორნი **მუხურას... ზარათელთა** გლეხთა გამოჰვალს, მონასტრულთა დიდითა კოკითა, თურამტი კოკაი ღუინო და ა გრივი ქურომი. **მაღლაკელთა** და **ფარსმანყანეველთა** გლეხთაგან გამოვალს სამი ურემი ღუინოი ... და ტყისაგან მოდი რაიცდა მოვალს: იფქლი, ფეტვი და ღომი (ქისკ, I, გვ. 142-143).

მაღლაკი 1545 – იხ. გელათი

მაღლაკი 1570 – იხ. ხონი

მაღლაკი 1578 – იხ. ქუთაისი

მაღლაკი 1766 [სოლომონ I] ესე ... წიგნი ... მოგართვით **ქუთათის** ღთისმშობელს და ... ქუთათელ მიტრაპოლიტს მაქსიმეს... ასე რომ, ვინადგან ქუ

თათისი აგარანთ ეპყრა, შენ მცირე ეკლესია აღაშენე **მაღლაკს ჟოჟოლიანების ადგილში,**[138] **ქუთათისის ღთისმშობელი** იქ დასვენე. გეუბედრე მისი შემავალის კაცის განავისუფლებას, ვისმინეთ მოხსენება თქვენი. საური ამოუკეთეთ, რაც მაგ ეკლესიას ყმა ჰყავს, მაგ ეკლესის შემავალი ზედა მაღლაკს და ქვედას მაღლაკს არსოდეს საური არ ეთხოსთ... (რეფ, გვ. 9).

მაღლაკი 1773 – იხ. **ქუთაისი**

მაღლანდორი.[139] **შიდა ქართლი**

მაღლანდორი 1799 – იხ. **ღრომი**

მაღმარა. ჯავახეთი

მაღმარა XIV ს. – იხ. **ვანისქვაბები**

მაღნარი. ქვემო ქართლი

მაღნარი 1727 – იხ. **ახალშენი**

მაღნარი. ჯავახეთი

მაღნარი 1393 – იხ. **ვანისქვაბები**

მაღრანი. კახეთი

მაღრანი 1626 – ... [თეიმურაზ I-მა] თქუენ, გედაონისშვილთა დავითს ... გიბოძეთ **მაღრანი,** რაც ჩვენი სახასო არის მსახლობელი და ნაოჭარი და ზვარი – ყუელა ჭელშეუვალად და უკლებლად გუბოძებია სახლისშვილების მამულს გარდაის, და საყდრის ყმებს გარდაის... (სს, I, 1899, გვ. 249-250).

მაღრანი 1701 – იხ. **ნაპანკისევი**

მაღრანი 1704 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან იმამყული-ხან ... თქვენ, ჩვენს ფარეშთხუცესს პაპუას ... გიბოძეთ **მაღრანს** ოთხი კომლი გლეხი... ამას გარდა ჩარჩიშვილი **პანკისს** თავის მამულით... (ქსის, გვ. 417).

მაღრანი 1722 – იხ. **სარუსთველო**

მაღრანი 1746 – იხ. **მარტყოფი**

მაღრანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. **თვალი**

მაღრანი 1791 – ... მეფის ძეს ვახტანგს ოქმით ებძანა: პეტრიაშვილი იასე პაპუას ნაცვლიშვილს მამულზედ უჩივისო, სამართალი უყავითო, დედოფლის ელენეს წყალობის სიგელი აქვსო... იასემ სიგელი წარმოაყენა, როცა **თორღის ციხეში** ბრძანებულა და იმ გაჭირვებაში უმსახურნიათ ამ იასეს პაპას მამუკას და გიორგის; და ამ სამსახურის სანუქფოთ **მაღრანს** ხუთი საკომლო უბოძებია მელიწკაურისა და ჩირიკაშვილისა... (ქსძ, V, გვ. 518-519).

მაღრანი 1791 ... მეფის ძეს ვახტანგს ებძანა ... პეტრიაშვილს იასეს და ნაცვლიშვილს პაპუას სამართალი მოეცითო. ჩვენ [მოსამართლეთ] **მაღრანელნი** დავიბარეთ... ამათ ფიცით გვარწმუნეს: ამ პაპუას პაპას მოუკიდნია ხელი და უჭირამს, მაგრამ არ ვიცით ვისიაო. ამათის მოწმობით და ფიცით ბეითალმანი აღმოჩნდა... (ქსძ, V, გვ. 535).

---

138 Магалжопколанеби (ГЦГ, стр. 139).

139 მაღრანდვალეთი?

მაღრანი 1795 – იხ. ოთხთვალი

მაღრანი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

მაშავერა // მოშვერი, მდინარე. ქვემო ქართლი

მაშავერა 1738 – იხ. გორუნჯუკი

მაშავერა 1800 – იხ. ბოლნისი

მაშავრის პირი. ქვემო ქართლი

მაშავრის პირი 1681 ... ჩვენ, ბარათაშვილმან გუგუნამა ... თქვენ ... მდივანბეგს ვახტანგს ... მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული მაშავრის პირს, ღორისთავსა და ჯალდამში ჩვენი კერძი მამული... (სს, I, 1920, გვ. 76).

მაშავრის პირი 1718 – ... ჩვენ, ბარათაშვილის ხოსიას შვილთა საამ და ედი'შერ თქვენ, ორბელიშვილს ... ერასტის ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ალალი, უცილებელი მაშავრის პირს ჩვენი წილი სატრედო, რაც ჩვენი კერძი არის... არიან ამისნი ... მოწამენი: ... ბოლნისის მამასახლისი ეჯუბა და სულა ბოლნელნი... (სს, II, გვ. 508-509).

მაშრანი. კახეთი

მაშრანი 1752 – ... ძველთაგან მაშრანი სოფელი პატმონ-ჭალის შეწირული არის. ახლა ამ დოდოს წინამძღვრის სვიმონისათვის მიგვებარებია მაშრანი; რაც გამოვიდოდეს იმ სოფლიდამ, ამას მოებარებოდეს. რაც პატმონ-ჭალისა ძველიდგან მაშრანის წინამძღვარს დებოდეს – ვინც იქიდამ ბერი მოვიდოდეს, იმას ეს წინამძღვარი მიაბარებდეს ყოველს წელს (ქმჭ-ის, გვ. 104).

მაშტარაშენი – იხ. მიშტარაშენი

მაჩუთა. ქვემო ქართლი

მაჩუთა 1393 – იხ. ტფილისი

მაჩხაანი. კახეთი

მაჩხაანი 1788 – ხალდასტანიშვილი ასისთავი პატარკაცი და ამისი ძმები ჩიოდნენ: ჩვენი მეზობელი ყოჩიაშვილი ... ჭალაჭს იყოო... აქ ქურდობა ექნო, გამოპარულიყო, აქ მაჩხაანში მოვიდაო, ჩემის ნასყიდის ყმის შვილები შეეგულიანებინაო... მიხდომოდნენ ჩვენს სასახლეში ცოლთან ჩვენს ძმას იოსებს... ის ბიჭები მაშინვე გადაცვივდნენ, ჭარში გასვლის პირობა ჰქონდათ, ჩვენ კაცები შეუყენეთოო... სამნივ ჭელში ჩავიყარეთო, გაგვაპარესო, ერთი წმიდას ნინოში შეიყვანესო და ორნი ნათლისმცემლის უდაბნოში შეიყვანესო... [განჩინება]: ხალდასტანიშვილი ქისიყში ახნაურშვილად არის აღრიცხული და ამისი სისხლი არის ორმოცდარვა თუმანი... (ქსძ, V, გვ. 439-441).

მაწევნური ხევი. ქვემო ქართლი

მაწევნური ხევი 1669 – ... ჩვენ, თაყაშა ასნბეგისშვილმა ... თქუენ, გერმანოზისშვილს პატას ... მოგყიდეთ ჩვენი ალალი მიწა ხუთის დღისა მაწევნურს ხევის პირში, ხოდაბუნში, ორის დღის დამპალ წყაროს... (სს, I, 1899 გვ. 385).

მაწლეთი. შიდა ქართლი

მაწლეთი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

მაჭიხელი // მიჭიხია

მაჭიხელი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

მაჭიხელი 1559 – ... სუეტსა ცხოველსა ... და კათალიკოზ-პატრიარქსა დომენტის, ჩუენ, გოჳიბასშვილმან იოსფათ ... [შემოგწირეთ] მაჭიხელს ოცდაათი კუამლი კარგი გლეხი, უკლებად ბეგრის გამომღები... (ის, II, გვ. 44).

მაჭუტოური. იმერეთი

მაჭუტოური 1664 – ... შევსწირე ... ხახულისა და გენათისა ღმრთისმშობელსა ესე ... კნინი შესაწირავი ... ლორთქიფანიძემან გაენათელ-ნიკოლოზწმიდელმან გედეონ საკუთარ ქმნილ მამული შენი და წილხდომილი... ბრძანებითა მეფეთ-მეფისა პატრონისა ბაგრატისითა ... კუჭაიძისაგან მაჭუტოური ვიყიდეთ არგუეთს; ძუელი ციხე იყო და აშენება დაუწყეთ და გლეხებს დასახლება; და საზღვარი ამისა: მუხურის მთამდის სკანდურს დაღმა. სკანდის შარას შემოღმა აქათ თხილთა წყაროს ღელემდის და იქით სკანდის ღელემდის... და გაენათისა ღმრთისმშობელს შეუსწირე... (ქსძ, III, გვ. 537).

მახათაური. იმერეთი

მახათაური 1736 – ... მე, აბაშიძემ ლევან ... თქვენ, ქართველის ჴემწიფის შვილს ანუკას ... მოგყიდეთ ფოფხაძისეული მამული მახათაურზე, მეოთხედი, რისიც მჭონებელი ის ყოფილიყოს... არიან ამის მოწამენი: ... სულ ერთობილნი შალვაურელნი... (იდ, I, გვ. 62).

მახარანი. კახეთი

მახარანი 1793 – იხ. ქვემო ხოდაშენი

მახარაღაჯი – იხ. მახრაჯი

მახარონი. ჯავახეთი

მახარონი 1031-1033 – იხ. მცხეთა

მახატელი. შიდა ქართლი

მახატელი 1795 – იხ. გორი

მახიარეთი // მახიერეთი

მახიარეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

მახიარეთი 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

მახიარეთი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

მახისი. შიდა ქართლი

მახისი 1766 – იხ. გორი

მახრაჯი // მახრაღაჯი // მახარაღაჯი. შიდა ქართლი

მახრაჯი 1392 – იხ. ტფილისი

მახრაჯი 1630 – ... [სეიმონ II-მ ქაიხოსრო ბარათაშვილს] გიბოძეთ მახრაღაჯი ზემოთის სახნავითა და ნაოხრითა... როგოდარაც ამილახორს ჰქონე-

ბოდეს, **მახრაძაჯი**[140] უკლებლით თქუენთჳის გვიბოძებია... **სომხითის** ტ- რუღავ და მელიქო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ... (ქსის, გვ. 80).

მახრაჯი 1692 – ... მეფეთ-მეფემან ... ნაზარალიხან და ჩუენი ძმა იმერეთის მეფე ... ალექსანდრეც ... ამილახორის გივის და მისის ძმისწულის ... სარჩელი ... გავშინჯეთ... რომელიც **საქართველოში** გაყრის წესი და რიგი იყო, ისე გაუჩინეთ... **მახრაძაჯი** სოფელი ბატონს ანახანუმს უწინაც ეჭირათ და ახლაც დავანებეთ. სანამდინ ცოცხალი ბძანდებოდეს, ეჭიროს, სჭამოს და საქორწილოს მეტს ამილახორი ნურას გამოართმევს... (მსკი, 33, გვ. 111).

მახრაჯი 1754 – იხ. დიღომი

მაჰმადის გორა // მამადის გორა. კახეთი

მაჰმადის გორა 1447 – იხ. მცხეთა

მაჰმადის გორა 1579 – იხ. მცხეთა

მგურგლის ტყე. ქვემო ქართლი

მგურგლის ტყე 1714 – იხ. კოდა

მდევის კარი. გურია

მდევის კარი 1614 – იხ. აჭი

მეზერი. სვანეთი

მეზერი XV ს. – იხ. ლალვერი

მეთრევანა. ქვემო ქართლი

მეთრევანა 1678-1682 – იხ. თრიალეთი

მეთრევანა 1689 – იხ. მანგლისი

მეიდანი. თბილისი

მეიდანი 1701 – ... ჩვენ, ივანგულაა ფარეუზათას შვილის რამაზას შვილი ბეჟუამა ... შენ, მანდენათ ურჭმაზაშვილს გასპარას ... მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული **მეიდანის** პირზე ერთი ქულბაქი... (დთი, I, გვ. 61).

მეიდანი 1710 – ... ჩვენ, მანველასშვილმა ისაიამა ... შენ, მოლა გიორგისა ... მოგყიდე მამის ჩვენისაგან ნასყიდი **მეიდნის** პირად ძველი ზარაფხანის გვერდათა ზენალანთ მელიქის სახლის ბოლოსა **ნორაშნის** ხუცისაგან მონასყიდი სამი სახლი და ერთი სახლის ალაგი ეზოთი... (დთი, I, გვ. 79).

მეიდანი 1742 – ... ნასყიდობის წიგნი ... მოგეცი მე, ატენელმა დონდარასველმა ოთარამა ... შენ, ქარფურაანთ მეწვრილმანე საახჯასშვილს ხატინას... დამიჭირეს და **მეიდანზედ** დამკიდეს, დიაღ ბევრი მცემეს და არამ კაცმა არ შემომხედა... [შენი დახმარების სანაცვლოდ] მოგყიდე ჩემი შვილი... არის ამისი მოწამე ... **მუხათელი** ... სასიკასშვილი... (დსხი, I, გვ. 303).

მეიდანი 1745 – [ბაღრაბეგ მუსტოფის შვილის ჭაზუმას ნასყიდობის წიგნი თეიმურაზ II-ისადმი]: მოგყიდეთ ჩემი სამკვიდრო სახლ-კარი, ნაშენი და

---

[140] საბუთის სპარსული ვერსია აზუსტებს: „... ქართლის გურჯისტანს დამოკიდებული სომხითის სანახების ...“ (ქსის, გვ. 81).

უშენი: წინა კედელი მეიდნის დუქნებისაკენ ჩემს კედელს აკრავს, რომ მეიდანს უყურებს და კარიც იქით აქვს... (ქსოის, გვ. 49).

მეიდანი XVIII ს. I ნახ. – იხ. ქვემო უბანი

მეიდანი 1751 – იხ. გარეთუბანი

მეიდანი 1758 – ... [თეიმურაზ II-მ ოქრომჭედელ გიორგის] გიბოძეთ მეიდნის პირთან, შესავალზედ, რასტაბაზრის თავს, ერთი თაღბანდი დუქანი... (დთი, I, გვ. 280).

მეიდანი 1779 – იხ. ახპატი

მეიდნის უბანი. თბილისი

მეიდნის უბანი XVIII ს. I ნახ. – იხ. ქვემო უბანი

მეიედნის წყლის კარი. თბილისი

მეიედნის წყლის კარი 1751 – ... იოთამისშვილმა ერასტიმ ... თქვენ, თაქთაქიძესა ელისბარს ... მოგყიდეთ ჩვენი ალალი ნასყიდი ქალაქს სახახლე, მაედნის წყლის კარი რომ შეივლის – ცალი გვერდი დიდი ქუჩა რომ ჩაივლის, იქამდი, მეორე გვერდი აქეთ, გალავნისკენ ქუჩა რომ შეივლის, კედლმდის... (დთი, I, გვ. 233).

მეითრის აბანო // მეითრიანთ აბანო. თბილისი

მეითრის აბანო 1751 – ... მერმე მირზა მამუდ ლაშქარნივისი მოვიდა [თეიმურაზ II-თან] და მოგვახსენა, რომ ამას წინათ იმამვერდის ვარისობით, მეითრის აბანოში წილი მქონდაო და ორს-სამს წელიწადს წინ ყეენის ყული აბდულა-ბეგ მოვიდა ქალაქს და თქვენს შვილს მეფეს ერეკლეს მოახსენაო: მეითრის აბანო მთლად ჩემი არისო და თქვენმა შვილმა ... აბანო აბდულა-ბეგს მისცაო (ქსოის, გვ. 55).

მეითრის აბანო 1786 – თუშმალის ქაზუმბეგის შვილი მაჰმადბეგ უჩიოდა თავის განაყოფს ქიჩიკ აღას: მეითრიანთ აბანოს გვერდზე ჯილავხანის ადგილი ყიასა ვეზირისაგან მაქვს ნასყიდი. ამ ჩემის ნასყიდობის ნახევარი აშენებული მაქვს და ნახევარი დღევანდლამდის ხარაბათ იყო. დღეს რომ იმ ადგილის შენობას მოვყევ, ქიჩიკ აღა წამომედავა... [განჩინება]: ერთი მხარე ფარუხას სახლის კედელი; მეორე მხარეს ვალისხადების სასაფლაო; მესამე მხარე ყიასა ვეზირის ხარაბა ბაღი; მეოთხე მხარე ხანდაკისაკენ რომ თუ არის. დარჩათ ამ მიჯნებით ეს სადაო ადგილი მაჰმადბეგს სამართლით... (ქსძ, V, გვ. 347-348).

მეკვდური. კახეთი

მეკვდური 1786 – იხ. ახალდაბა

მელა. ქართლი (?)

მელა 1705 – ... ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე, ბასილაშვილმა დეკანოზმა იოთ ... შენ, ქერიკასა და ძმასა შენსა მოშიასა... ასე რომე მამაჩვენმა სამის დღისა მიწა მოგყიდა მელაშია (იდსეშ, გვ. 165).

მელაანი. კახეთი

მელაანი 1724-1734 – იხ. ვეჯინ-გურჯაანი

მელაანი 1757 – იხ. კონდოლი

მელაანი 1765 – ... ავიღე, ყარაბუდახიშვილმა ლოარსაბმა სერგია ქევხისაგან ორი თუმანი და რვა მინალთუნი ახალი თეთრი... თუ ... შენი თეთრი ვერ მოგცე, მელაანში რომ ჩემი ყმა არის როინაშვილი პაპუნა, თავის ცოლ-შვილით მამიცია... (ქსძ, VII, გვ. 85-86).

მელაანი 1778 – ... როინაშვილი პაპუნა ყარაბუდახისშვილის ლუარსაბისა და ბეციას ყმა ვიყავი. ორთავე ძმათაგან თავი დავიხსენი... ოთხი ვაჟიშვილი მყავს და მელაანში მოურავისშვილის პაატას ადგილში ვდგევარ. იმისი მამული არ მიჭირავს... თქუენს ყმად საცა თქუენი ნება იყოს, იქ დამაყენოთ... (ქსძ, VII, გვ. 396-397).

მელაანი 1779 – იხ. ნავთლუღი

მელე. შიდა ქართლი

მელე 1793 – იხ. საჯავახიანო

მელია. ჯავახეთი

მელია XV ს. – იხ. განძასკევი

მელის სორები. შიდა ქართლი

მელის სორები 1789 – იხ. გორი

მელისის გზა. შიდა ქართლი

მელისის გზა 1718 – იხ. ზენადრისი

მელის სორების მიწა. შიდა ქართლი

მელის სორების მიწა 1789 – იხ. ოხპნჯანაანთ შარა

მელიჭის ძველი უბანი. თბილისი

მელიჭის ძველი უბანი XVIII ს. I ნახ. – იხ. ქვემო უბანი

მეორე ბიწმენი. კახეთი

მეორე ბიწმენი 1579 – იხ. მცხეთა

მეორე წავკისი. შიდა ქართლი

მეორე წავკისი 1392 – იხ. ტფილისი

მერე. კახეთი

მერე XVIII ს-ის I მეოთხ. – იხ. თვალი

მერე 1775 – იხ. გულგულა

მერე 1776 – ... ანბა ალავერდელმან ... ზენონ ბაქრაძესა თამაზას ... გიბოძეთ მერეს ხატის ვენახი ... თავისის ქვევრ-მარნით ... და ოთხის დღის მიწითა. ორის დღისა ეს მიწა **მერის** ბოლოსა აქეს და ორის დღისა **ამზეურაშარის**... (ქსძ, III, გვ. 905).

მერე 1779 – იხ. კაკაბეთი

მერე 1781 – ... ეს დაოუაშვილები აუყრია ევდემორეს [საგინაშვილს] და თავის სოფელ **მერეში** დაუსახლებია და დღევანდლამდის ამათ მსახურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია..., რომ ამისიც მოწმობაც ჰქონდათ: **კახთი** წმიდის გიორგის ეკლესიის დეკანოზის შვილის დავითისა... (ქსძ, V, გვ. 137-138).

მერე 1784 – [წყალობის წიგნი ნიკოლოზ ალავერდელისა დავით მგალობლიშვილისადმი]: ... **მერეს** სოფლის მოურაობა და მისის მთის მებალეხობა სამკვიდროდ შენი ყოფილიყო და შენს მამა-პაპათ სჭეროდათ. და ჩვენგან ... ჩამოგეროვა და სხვას მიეცა. ჩვენ როდესაც ... რუსეთით მოვიწიენით და საყდარსავე ჩვენსა დავიდგინენით, ვისთვისაც მიგვეცა, იმას ისევ ჩამოვართვით და შენი მკვიდრი სახელო შენვე გიბოძებთ... (ქსძ, III, გვ. 948).

მერე 1792 – დმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ხახულის ღმრთისმშობლის ყმათა **არტვაზნელთა** და გულგულელთა. ხახულის ღვთისმსობლის ეკლესიაც თქვენია, მთაცა და ბარიც თქვენის მამა-პაპის ნასყიდი და შეწირული არის და ჩვენი თავიც თქვენგან შეწირული და ნასყიდი არის... მაყაანთ დაგვიხოცეს კაცები და ეკლესიის მამულს თავისას ეზახიან... შვიდი საკომლო მამული **მერეში** არის, სიგელი ამისი ცალკე არის. ამისი მთა და ბარი **მერელებს** უჭირავს, დაიკარგება და ახლა ეკლესიის ძირამდინ გვედავებიან... (ქსძ, VIII, გვ. 138).

მერე 1800 – იხ. ჯარდისუბანი

მერე. სამცხე

მერე XIII ს. II ნახ. – იხ. ქვემო ტიკაანნი

მერეთი // მერედი. შიდა ქართლი

მერეთი 1771 – იხ. ქვემო ქართლი

მერეთი 1780 – [არზა ზაალ დავითაშვილისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... ბატონის მამის თქვენისაგან და თქვენგან წყალობა დამემართა, ჩემის გასამყრელოს აღებული აზნაურშვილის ტატიშვილის ბადათარას შვილებისა და იმისის ძმისწულების ყმისა და მამულისა. იმათი კაცნი თქვენს საბძანებელს მამულში **მერეთს** და **ერტელში** გახლავან... (ქსძ, VII, გვ. 467).

მერეთი 1791 – ... ტატიშვილ იოთამს ... **მერეთს** ერთი კომლი კაცი მყვანდა. ის კაცი ამამიწყდა და იმისი ქვრივი და ობოლი დარჩა... (ქსძ, VIII, გვ. 125).

მერეთი 1794 – იხ. ატენი

მერეთი 1795 – იხ. გორი

მერეთი 1796 – იხ. ხვითი

მერეთი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

მერეთი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

მერია. შიდა ქართლი

მერია 1260 – იხ. ხოვლე

მერჯევი. იმერეთი

მერჯევი 1722-1738 – ... ქაიხოსრომ ხაალისშვილმა ... პაპუნა წერეთელს ... მოგართვით ამ ასორმოცის მარჩილის გირაოთ წლამდი **მერჯევს** [ყმა-მამული] (დსსი, I გვ. 454).

მერჯევი 1722-1738 – [ყმის ნასყიდობის წიგნი დავით წერეთლისა თავის ძმის პაპუნასადმი]: ... ბატონიშვილმა ოთხმოც მარჩილათ თავდებათ დამაყენა და მამტყუნა. ახლა მერჯევს ჩემი კერძი გოგალაძე მომიცემია მისის ცოლ-შვილით, მამულით... (დსსი, I გვ. 455).

მესტეჲა // მესტეისა სოფელი // მესტეისა ჴევი. სვანეთი

მესტეჲა XIV ს. II ნახ. ... მთავარმოწამისა სტეისა ... და ყოველთა სტეისა საყდართა და ეკლესიათა თაუსდებობითა ... დავდევით დაწერილი ესე ... ჩუენ ჴეუმან ერთობილმან მესტეისამან ... მას უამსა, ოდეს ჴიდსა ზედა ეკლესია ავაშენეთ. იმა ეკლესიასა, და ჴიდსა, და მთასა ვინცა რაცა შესცოდოს, ანუ სტეის შესაჯალსა შიგა ვინცა რაცა ვინ შესცოდოს ... სისხლად ვერჩოდეთ. აწ, თუ ვინ ჩუენსა ოუსეთისა გზასა, და ანუ ჩუენსა ჭალასა, გარეგანმან კაცმან რა სადა აწყინოს, და ჩუენვენბურიმან კაცმან, რაცა ვინ ჰავი უყვის, იმისი პირი თავად მთავარმოწამე სეტისა, მერმე ჩუენ, ერთობილი მესტეისა ჴევი ვართ... ჩუენ მესტეისა სოფელი საქმითაცა გავათავებთ ამა დაწერილსა (სწძ, I, გვ. 163-164).

მესტეჲა XVI-XVII სს. – იხ. უშგული

მესხეთი. იმერეთი

მესხეთი 1260-1293 – იხ. კვახჭირი

მესხეთი 1545 – იხ. გელათი

მესხეთი 1562 – იხ. ქუტირი

მესხეთი 1578 – იხ. ქუთაისი

მესხეთი 1673-1696 – იხ. გელათი

მესხეთი 1733 – იხ. ბარისთავი

მესხეთი 1773 – იხ. ქუთაისი

მესხეთი 1776 – იხ. ბარი

მესხეთი 1784-1788 – იხ. უკანეთი

მესხიური მამული. შიდა ქართლი

მესხიური XVI ს. მიწ. – იხ. სურამი

მესხური მიწა. შიდა ქართლი (?)

მესხური მიწა 1230-1235 იხ. აგარა

მეტათუბანი. შიდა ქართლი

მეტათუბანი 1590 – იხ. ზემო ცხირეთი

მეტეხარა // მეტახარა. რაჭა

მეტეხარა 1071-1080 – იხ. ზნაკვა

მეტეხარა 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

მეტეხარა 1591 – იხ. ნიკორწმინდა

მეტეხი. თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი 1546 – ... ჩუენ ... მეფეთ მეფემან ლუარსაბ ... ესე ... წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ შენ, **ქალაქს მეტეხთა** ღმრთისმშობლისა ყმათა ავანიშვილთა... გათავისუფლეთ ასრე, რომე [ქალაქურს ოც ლიტრა ზეთს გარდა] ... სხუა ... არა გეთხოვებოდეს ... **ქალაქისა** წურილმანი შესაწირი... (ის, III, გვ. 61).

მეტეხი 1558 – იხ. შინდისი

მეტეხი 1559 – იხ. მცხეთა

მეტეხი 1781-1782 – იხ. ქალაქი

მეტეხი 1798 – იხ. ქალაქი

მეტეხი // მეტეხნი. შიდა ქართლი

მეტეხი 1392 – იხ. ტფილისი

მეტეხი 1393 – [შეწირულობის წიგნი გიორგი მეფისა]: ... პაპათა და მამათა ჩუენთა ძუელთაგან ... შეწირული ქუეყანა **მეტეხნი** ... ხარაოდენმე შესცუდლოდა და აღარა ჰქონდა [სვეტიცხოვლის ტაძარს]... აწ ახლად ... დაგიმტკიცეთ ... ქუეყანა **მეტეხნი** მისითა მიმდგომითა მთითა, ბარითა ... თქუენ ... ახალსა იერუსალემსა და სამკუიდრებელსა ჩუენსა მცხეთას დედაქალაქსა... აწ თქუენ, წმინდანო და პატიოსანნო მღდელთმოძღუარნო **საქართველოისა, სამცხისა** და **შავშეთ-კლარჯეთისანო,** დაკრულეთ, შეაჩუენეთ კაცი იგი [ვინც მეტეხი გამოწიროს]. და თქუენ, წმინდანო ... მეუდაბნოენო **საქართველოისა** და **სამცხისანო,** თქუენცა დაკრულეთ, შეაჩუენეთ კაცი იგი (გდამ, გვ. 13-16).

მეტეხი 1447 – იხ. მცხეთა

მეტეხი 1470 – იხ. მცხეთა

მეტეხი 1492 – იხ. **მეტეხის მონასტერი**

მეტეხი 1504-1511 – იხ. მცხეთა

მეტეხი 1504-1516 – იხ. მცხეთა

მეტეხი 1559 – იხ. სხალდიდი

მეტეხი 1687 – იხ. მცხეთა

მეტეხი 1714 – ... ჩვენ, ელიოზისშვილმა ზაალ ... თქუენ ... მადალაძეს ამილბარს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო და საბოლო და ბარათში გამოყოლილი **მეტეხს** ჩვენი ყმა, მებურისშვილი ოქროა... არიან ამისი მოწამენი ... სულერთობილნი **მეტეხელნი** ... [და] **მეტეხის** მოურავი... (დსსი, I, გვ. 162-163).

მეტეხი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

მეტეხი 1721 – ... **მეტეხს** ტყაპუნაშვილი ბერია ჩვენი [ზაზა აბაშიძის] ყმა იყო და იმას ვენაჰი გაუყიდეთ. მერმე ბატონმან კათალიკოზმან სხვა ვენაჰი გამოგვართო და იმას უბოძა... (დსსი, I გვ. 192).

მეტეხი 1724 – საქართველოსა ... კათალიკოზ პატრიარქმან ... დომენტიმ ესე წიგნი გიბოძეთ ... მადალაძეს ამილბარს... ასე რომ ... **მეტეხს** გელიაშვილები ... გეყიდნათ... აწუ **მეტეხის** მოურავმა და მოჯელებმა სხვარიგად

გაგვაშინჯეს... ჩვენც მოკითხული ვქენით... და აგრევე იქავ **მეტეხს** ნახვიდობა, რაც რამ გქონდეს, ისიც დაგვიმტკიცებია... (ქსძ, III, გვ. 706).

მეტეხი 1736-1744 – იხ. **მოხისი**

მეტეხი 1760 – [ერეკლე II-ის წერილი ზაზა თარხნიშვილისადმი]: ... რადგან **მეტეხს** მოსულხართ, მუხრანისბატონისათვის და ამილახვრისათვის მიგვიწერია, ეგენი მოვლენ თქვენთან, **მუხრანს** გამოდით და ჩვენს აქედამ ჯარს გამოეგზავნით... (ქვწ, გვ. 106).

მეტეხი 1770 – იხ. **გომი**

მეტეხი 1771 – იხ. **სამცხეთო**

მეტეხი 1774 – იხ. **ბარალეთი**

მეტეხი 1778 – ელიოზიშვილი დავით ჩიოდა: **მეტეხის** ნაცვლის ივანეს შვილს ქაიხოსროს ჩემი მამული უჭირავს... [განჩინება]: რადგანაც ძველი საქმე იყო, **მეტეხს** ეს ტატიშვილის საკომლო, რომელიც დღეს ნაცვლიშვილს უჭირავს, მიწაცა და ვენახიცა, შუა გაუყავით... (ქსძ, V, გვ. 65).

მეტეხი 1780 – ... ყოვლისა საქართველოს პატრიარხმან ... ანტონი ... შენ ... დოქიძეს გლახას ... გიბოძეთ **მეტეხს** რომლისაც მამულის მქონებელი [იმერლიშვილი] ყოფილიყოს ვენახისა თუ მიწებისა... თუ მოვიდეს [ტყვეობიდან] ... თავისი მამული ხელშეუვალად უნდა მისცე... (ქსძ, III, გვ. 930).

მეტეხი 1780 – [წყალობის წიგნი ანტონ კათალიკოსისა ნიკოლოზ თუხარლისადმი]: ... **მეტეხს** ამოწყვეტილის მამუკაშვილის მიქელას ნაქონის მამულის წყალობას დაგვეაჯე, ის მამული გაბინასშვილს პეტრეს ჩვენგან წყალობად ბოძებული ჰქონდა. იმისს სანაცვლოდ **მეტეხის** მეღალობა და მეკულუხობა უბოძეთ პეტრეს და თქვენ – ის მამული... (სს, III, გვ. 115-116).

მეტეხი 1782 – იხ. **ხელთუბანი**

მეტეხი 1788 – ... [გლახა თარხნიშვილი] **იმერეთს** გახლდი სამსახურზედ... გლეხი-კაცი ... ორნი ძმანი ცოლ-შვილით აყრილიყვნენ და **მეტეხელ** კაცთან ჩასულიყვნენ. ორი დღე იქ შეენახათ და მესამეს დღეს ტივი შეეკრათ და იმაზე შეესვათ... **კასპის** ბოლოს გაეყვანათ და გაეშვათ... მოგახსენებენ, რომ **თელავს** ჩასულიყოს (ქსძ, VII, გვ. 757).

მეტეხი 1788 – იხ. **ახალქალაქი**

მეტეხი 1789 – იხ. **უფლისციხე**

მეტეხი 1795 – იხ. **ქვახვრელი**

მეტეხი 1800 – იხ. **სასირეთი**

მეტეხის მონასტერი // მეტეხის ღმრთისმშობელი. თვილისი

მეტეხის მონასტერი 1392 – იხ. **ტფილისი**

მეტეხის მონასტერი 1532-1549 – იხ. **ტფილისი**

მეტეხის მონასტერი 1558 – იხ. **შინდისი**

მეტეხის მონასტერი 1658* – ... **მეტეხისა** ღმრთისმშობელი მეტოქად და მისი შეწირული სოფელი **კრწანისი** სვეტს ცხოველს შემოსწიროდა და ცოტა ხანს ჯამთა ვითარებისაგან მოშლოდა... ჩვენც [როსტომ მეფემ] ხელახ-

ლად ... შემოგწირეთ... [კათალიკოსის მინაწერი]: ამის მოურაობა და **შინ**დის ჯანყელაშვილი თავის მამულით ... მაღალაძის სახლთხუცეს პაპუასთვის გვიბოძებია... (ქრონ, II, გვ. 472-473).

მეტეხის მონასტერი // მეტეხის ღმრთისმშობელი // მეტეხი. შიდა ქართლი

მეტეხის მონასტერი 1260 – იხ. **ხოვლე**

მეტეხის მონასტერი 1397 ... ჩუენ მეფეთ-მეფემან ალექსანდრე... ესე წიგნი მოგვიხსენებია და შემოგვიწირავს თქუენ სვეტი ცხოველს **მონასტერი** და საყდარი **მეტეხთა** ღვთის მშობლისა თავისის მამულითა... [იმეორებს 1392 წლის საბუთს; მისგან განსხვავებით შეწირულ სოფლებს შორის ახსენებს **ბრეთის ჴევს**] (ქრონ, II, გვ. 202).

მეტეხის მონასტერი 1492 – ... [მეფე კონსტანტინემ] დაუმტკიცეთ წმიდასა **მონასტერსა მეტეხთასა** და მას შინა ღვთისმშობელსა, რაცა თქუენ წმიდასა მეუფესა კათალიკოზსა აბრაჰამს თქუენი ნაღუაწი და ნასყიდი შეგეწირა: წისქუილი ორი საზეთედ, მისითა გამოსავლითა და იქივე **მეტეხთა** ვენაჯი ერთი, რომელი თომაიაშვილისაგან გეყიდა... (ის, III, გვ. 41-42).

მეტეხის მონასტერი 1527-1532 – იხ. **გარეჯა**

მეტეხის მონასტერი 1548 – ... ესე წიგნი მოგახსენეთ ჩუენ მეტეხის ... შვილთა ... თქუენ ყოფლისა **საქართველოსა** ... კათალიკოზსა ... მალაქიას მას ჟამსა, ოდეს **მეტეხთა** [საყდარსა მამა ჩუენი] დავასაფლავეთ თქუენ უკითხავად და თქუენ გაგვიწყეროთ... (ახლა პირობას გაძლევთო, რომე) ჩუენისა გუარისა კაცი (მეტეხს) არ დავასაფლაოთ... (ქრონ, II, გვ. 389).

მეტეხის მონასტერი 1608 – იხ. **ატენი**

მეტეხის მონასტერი 1675 – ... დომენტი კათალიკოზმან ... ანჩისხატის საყდარში ... განვაახლე ტახტი კათალიკოზთ სადგომი ოლილის ქვითა და ქვის სვეტებითა... **მეტეხს** გავაკეთე სალხინებელი. რაც **სუეტის ცხოველის** მამული და ყმა დაკარგული იყო **კახეთს**, სამასი თუმანი გავიღე, დავხარჯე და ვიშოვნე ისევ... (ქრონ, II, გვ. 490).

მეტეხის მონასტერი 1687 – იხ. **მცხეთა**

მეტეხის მონასტერი 1799 – იხ. **თეძამი**

მეტეხის ციხე. თბილისი

ტფილისი 1773 – Царь пожаловал Микиртуму Такашвили место в **Тифлисе**, около **Метехской крепости**, по направлению к нескам... Такашвили дозволялось постройть ... лавки и ... обработатывать порох и продовать его... (ГКГ, გვ. 26).

მეტეხის ციხე 1782 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს მეფურის-შვილს დავითს. მათმა სიმაღლემ ციხეები რომ უსჯულო წარმართთაგან დაიხსნა, იმ ჟამთ ნეტარად ხსენებულმა მეფემ თეიმურაზმა რაც **აკლაბრელი** კაცნი გახლდათ, მოგვიკითხა და **მეტეხის ციხეში** დგომა გვიბძანა – მაღლა თუ დაბლა. მე **დაბლა ციხეში** ციხის კართან დავიჭირე ადგილი, ცარიელი სანახვე იყო, რომ მიწაც არ მომხმარებია, ის ადგილი გაჭერ; ქალაქს სახლები მჭონდა, გავყიდე; ის ცარიელი ადგილი ავაშენე. ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოპარ მდივანი გამოვიდა, ხელი ამიმართა... ამ სახლების საბაბით **ქალაქის** სახლებით დავკარგე... (ქსძ, VI, გვ. 555).

მეტეხის ციხე. შიდა ქართლი

მეტეხის ციხე 1789 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... **მეტეხში** მახლობელთა... ახლა ოქმი გიბძანებია, რომ **მეტეხის ციხის** კარს ზეით კედელია გადაქცეული, **მეტეხელებმა** უნდა ააგონო. ჩემო ხელმწიფევ, იმას ორმოც-სამოცი თუმანი ვერ ააგებს და ჩუენ სულ დავიყიდნეთ, ორმოც თუმანსს არავინ მოგვცემს... (ქსძ, VII, გვ. 803).

მეტეხის ჭალა. შიდა ქართლი

მეტეხის ჭალა 1447 – იხ. მცხეთა

მეფის სარბევი. ქვემო ქართლი

მეფის სარბევი 1635 – იხ. ენაგეთი

მეღვრევი. შიდა ქართლი

მეღვრევი 1736-1744 – იხ. მოხისი

მეღვრევი 1768 – იხ. ზემო ქართლი

მეღვრეკისი // მეღუკერისი // მეღვრიკისი. შიდა ქართლი

მეღვრეკისი 1559 – იხ. სხალდიდი

მეღვრეკისი 1574 – იხ. ყურისუბანი

მეღვრეკისი 1666 – ... ესე წიგნი მოგართვით ჩუენ, სინის მთავარეპისკოპოსმან ანანია და სინის მონასტრის კრებულმან ბერმან, თქუენ, ქართლის ხელმწიფეს, პატრონს შაჰნავაზს... ასე რომე, სინის მონასტრის მამული **მეღურეკის** ცოტას ხანს კახაბრიშვილს გორჯასპის ჰქონებოდა. და იმ მონასტრის მამულისგან იქ მიწები მიეყიდა ფავლენიშვილის რევაზასა და პაპუნასათვის. იმათ ზოგი ვენახად აუშენებიათ, ზოგი სახლები და ქვევრები ჩაედგა და ზოგი ისევ მიწად იყო... თქუენ იყიდეთ და ისევ ჩუენს მონასტერს შემოსწირეთ (ქრონ, II, გვ. 483).

მეღვრეკისი 1720 **ახლო** – იხ. **თრიალეთი**

მეღვრეკისი 1760 – იხ. ალაიანი

მეღვრეკისი 1767 – [ჯარში გამსვლელთა ნუსხის ფრაგმენტი]: **მეღვრეკისიდან** ერთი აზნაური და ერთი გლეხი... **რუისიდან** სახასო აზნაურიშვილი ორი და გლეხი ა... **სურამიდან** აბაზაძე ივანეს შვილი დავით ერთის კაცით... **სვენეთიდან** აზნაურიშვილი ერთი და გლეხი კაცი ორი... **ცხინვალიდან** საბატონიშვილო კაცი... **დირბიდან** კაცი გლეხი (სეიძ, II, გვ. 153).

მეღვრეკისი 1772 – იხ. ხეობა

მეღვრეკისი 1787 **ახლო** – [ჯარში გამსვლელთა ნუსხის ნაწყვეტი]: ... **მეღვრიკისიდან** ერთი აზნაური და ერთი გლეხი... **რუისიდან** სახასო აზნაურიშვილი ორი და გლეხი ა... **სურამიდან** აბაზაძე ივანეს შვილი დავით ერთის კაცით... **სვენეთიდან** აზნაურიშვილი ერთი და გლეხი კაცი ორი. **ცხინვალიდან** თარხანი კაცი... **სამთავრო** კაცი... **დირბიდან** კაცი გლეხი (სეიძ, II, გვ. 153-154).

მეღვრეკისი 1789 – იხ. გორი
მეღვრეკისი 1795 წ. ახლო – იხ. ერედვი
მეღვრეკისი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი
მეღვრეკის თაწმინდა. შიდა ქართლი
მეღვრეკის თაწმინდა 1720 – იხ. თრიალეთი
მეღვრეკისის მონასტერი // მეღვრეკის მონასტერი. შიდა ქართლი
მეღვრეკისის მონასტერი 1784 – იხ. ზემო ქართლი
მეღვრეკისის მონასტერი 1787 – იხ. ზემო ქართლი
მეღვრეკისის მონასტერი 1787 – იხ. საამილახვრო
მეღვრეკისის მონასტერი 1797 – იხ. გორი
მეღრევი. ქვემო ქართლი (?)
მეღრევი 1707 – [ვახუშტი ორბელიანის დაკრძალვის ხარჯის ნუსხა]: მეღრეველს ბერს-აბაზი გ. ალვაბრელს ბერძენს აბაზი ე. იმერელს ლეჟს ხუცეს – აბაზი გ... წინწყაროს ტერტებს – აბაზი... დიღმელს მავარს – შაური ბ. ავლაბრელს – აბაზი ა... ქალაქს გლახაზედ – თუმანი ა... ქალაქს გავაგზავნეთ საორმოცედ ხუცებისათვის – თუმანი ბ... თბილის კაცს აბაზი გ... ჩხიკვთელს თომას – შაური ბ... ერწოელს ნიკოლოზს – შაური ბ. გომარელ ბარნაბეს – შაური ბ. ენაგელ ბასილი – შაური ბ... ფიტარეთის კანდელაკს – შაური ბ... ქვათაჭვეის ხუცეს – აბაზი ა... წობელს ბარნაბეს – აბაზი ა. კრწანელს მარკოზს – აბაზი ა. ცხნარელს იორდანე – აბაზი ა... მუსეფრიანელს თევდორეს – აბაზი ა. მონასტრელს იოვანეს – აბაზი ა. ღორისთველს ბასილს აბაზი ა.... სავანელს იოსებს – აბაზი ა. დალელს შიოს – აბაზი ა. გუდაბრეჭელს რომანოზს აბაზი ა. ბოვნელს სვიმონს – აბაზი ე... დარბაზელს იასონს – აბაზი ა.... ხეკორძელს თევდორეს – აბაზი ა... მანგლელს ბერს ნიკოლოზს – აბაზი დ. ფიტარელს აბრამს – შაური ბ... ფიტარეთის დეკანოზს – შაური ბ... (სს, II, გვ. 279-283).
მეღურეკისი – იხ. მეღვრეკისი
მეშვე რუ. შიდა ქართლი
მეშვე რუ 1782 – იხ. ახალსოფელი
მეშველაანი // მეშუელანი // მეშუელაანნი. შიდა ქართლი
მეშველაანი 1600/1603 – იხ. ოკამი
მეშველიანის ციხე. ლეჩხუმი
მეშველიანის ციხე 1656 – იხ. უსახელო
მეძლეთი // მძლთი. ქვემო ქართლი
მეძლეთი 1447 – იხ. მცხეთა
მეძლეთი 1552 – იხ. ახოტა
მეძლეთი 1657 – იხ. ახოტა
მეწია. გურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეწია 1770 ... შენ, ... ნათლისმცემელო იოვანე, **გურიის უდაბნოს** შინა დამჯარებულო! მე, ... ბატონმა გურიელმა მამია შამოგწირეთ ... საკათოლიკოზოში ჩვენი დიდი მარანი **მეწიეს** და ჩვენი მემარნე ორი მოსახლე ... სახლ-კარით, ჭურ-მამულით, ტყით, წყლით, ეკლესიის კარით... სხვა საჭვენო ტყე და წყალი, **მეწიის** გამოსავალი, სათებზო და სანადირო უკლებლად ისიც შემოგვიწირავს... რამანც ძმან კაცისამან ... **ნათლისმცემლის უდაბნოს** მოუშალოს ... ცეცხლსა დაედვას... (ქსძ, VI, გვ. 718-719).

მეჯეთი.[141] **სამეგრელო**

მეჯეთი 1696-1742 – იხ. **ბარისთავი**

მეჯეთი 1733 – იხ. **ბარისთავი**

მეჯვრისხევი // მეჯვრისჴევი. შიდა ქართლი

მეჯვრისხევი 1723-1735 – [შანშე ერისთავის წერილი ასანა თუმანიშვილისადმი]: ... რაც მანდ ჩემი **მეჯვრის ჴეველი** კაცები იყოს, მაგათ ეგ თეთრი მალე გამოართვი და გამამიგზავნე... (დსსი, I გვ. 208).

მეჯვრისხევი 1754 – იხ. **დიღომი**

მეჯვრისხევი 1766 – იხ. **გორი**

მეჯვრისხევი 1768 – იხ. **დელცნუტი**

მეჯვრისხევი 1766 – იხ. **ქიწნისი**

მეჯვრისხევი 1770 – [არზა საამ ხმალაძისა ერეკლე II-ისადმი]: ... **მეჯვრისხევს** ერთი ნასყიდი წისქვილი მაქვს, სიგელიცა მაქვს. ახლა ამ წისქვილს ერისთავი მართმევს... **მეჯვრისხევს** საკომლოებიცა მაქვს, თუ ის წისქვილი წამერთვა, იმაებს რა ვუყო... (ქსძ, VII, გვ. 159).

მეჯვრისხევი 1771 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ერისთავს დავითს... რაც **მეჯვრისხევს** ზეით კაცი მოსახლობს, ვერას თავის მეზობელს ვერც მამულითა სჯობიან და ვერც სარჩოთი. მთელს **ქართლში** რაც კაცი სახლობს, განწესებული არის, რომ კომლზე სამ-სამი კოდი პური და ქერი უნდა მოგართვან. მაგრამ ჩემს კაცს დაბალი რომელიც არის, ხუთი კოდი შეხვდება ხოლმე და იქიდამ წავა; და რომელიც პირველი კაცია, თვრამეტი კოდი შეხვდება ხოლმე თითოს კომლსა... ზოგნი აყრილნი **კახეთს** არიან, ხომ არ შეუძლიანთ... ღმერთმან თქვენს ორგულს გაუჭირვოს საქმე, როგორც იმ **გვერდისძირს** კაცს საქმე უჭირდეს **მეჯვრისხევიდამ** მოკიდებული იმას ზეით სულა და ნამეტნავად წლეულობითა... **სრესელებმაც** ასე დაკარგეს, რომ არაფერი არა შერჩომიათ რა არცერთს განაყოფს; **არცცი** აიყარა და საქონელი დაკარგეს; ვინც **იკორთას** იდგა, საქონელი იმათაც დაკარგეს; **ფურცელაძესაც** დაეკარგა საქონელი; და **კულბითელთაც** დაეკარგათ საქონელი. და ამათ გარდა **ფურცელაძე, ზარდიაშვილი, ქსუისი, კულბითი** და ნახევარი **დიციც** ასე დასეტყვა, რომ აღარაფერი არა მოსვლიათ რა. და მთისა სოფლებში რაც დაიკარგა ან **ქალოთებში** და ან ოსებში, იმაზე რაცა თავი გაწყინო. ჩემი მოხსენება და საეყდრებელა ეს

[141] გეჯეთი

არის, რომ ჩემი მოხელეები წამოაყენონ თქვენმა მოხელეებმა ... და ვისაც ხარჯის მიცემა შეეძლოს ... სამ-სამი კოდი გამოართვათ; როგორც სხვას ზემო **ქართელს** კაცს ერთმევა, ისე იმათ გაშოერთვათ... მე სხუას თავდებთან არ უნდა გამომართვათ, ამისთვის რომ მე და ჩემს ბიძაშვილს დღეში შვიდი კოდი პური გვინდება, ყოველწლივ პურსა ვყიდულობთ; და წელს რა თქვენ **გორიდამ** წამობძანდით არმითა, მასუკან ოცდაათის თუმნის პური მიყიდნია. მე სხვა სამსახური უფრო შემიძლიან პურისა და ღვინის მორთმევისაგან... [ოქმი]: ბატონო სახლთუხუცესო დავით და მდივნებო! მერე ჭსნის ერისთვის მთის კაცი, რომელთაც პური წინაპართ ჩვენის პაპების დროს არ ზდებიათ, უდებს არც ახლა ჩვენა ვთხოვთ. და რომელთაც ვაკის კაცთ კოდისპური ზდებიათ, იმათ უნდა მოგვცენ. მთის კაცს გარდა რაც დღეს ყმა ჰყავთ, რომელსაც ალაგს კოდისპური ზდებია, ეს გლეხი კაცი აღრიცხეთ და კომლზე კოდისპური, როგორც **ქართლში** სხვას შეაწერეთ, ისე ამათ ყმას შეაწერეთ (ქსძ, VII, გვ. 191-193).

მეჯვრისხევი 1771 – იხ. **ტინისხიდი**

მეჯვრისხევი 1772 – ავიღე... ციცისშვილმა ზაზამ ... მკერვალი ლაზარეს შვილის ქიტესასაგან ორმოცი ოსმალოს საღი ყურუში... დვითი **ახალციხიდამ** ჩამოხვიდე, ჩემი ძმა ... ჩამოიყვანო, ეს თეთრი ულაპარაკოთ მაშინვე მოგაბარო, ამის გირაოდ მოგეცი **მეჯვრისხევს** ტერტერასშვილი გოგია ჩვენი ყმა... (დსეი, გვ. 65).

მეჯვრისხევი 1772 – იხ. **მუხრანი**

მეჯვირსხევი 1778 – [არზა ხაალ დავითაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ერთი ჩემი კაცი ჭავჭავაძე გლახა **მეჯვრისხევს ახალუბანს** გახლდა, ის დაიკარგა, ქვრივი და ობლები გახლავან. რამდენჯერ მივალ, ხან დამემალნენ, ხან საერისთოულის მძლავრობით ვერ ჩავიგდე... (ქსძ, VII, გვ. 391).

მეჯვირსხევი 1781 – იხ. **ქსანი (ქსნის საერისთაო)**

მეჯვირსხევი 1784 – მეფის ძის ვახტანგისათვის მოეხსენებინა ზაბულონს... **მეჯვრისხევს** სამის დღის მიწა მქონდაო, ბერო ხომასურიძე დამევაჭრაო, ნახევარი მივჰყიდეო იმ მიწისაო, ამაში მთლივ სამის დღისა ჩაუწერიაო მწერალსაო... ბერო უპასუხებდა: შენ წახველ, **ქსნისჭეველს** კაცს მეტი ფასი გამოართვი, ბატონიშვილს მოახსენე, ოქში მოიტანე, ისევ დაახსნევინეო.

მეჯვირსხევი 1785 – [არზა კობახიძე ვასილისა ერეკლე II-ისადმი]: ... მთელი **მეჯვრისხევის** სიღნაღი და გალავანი ჩემს ვენახებში დგას, ორი ძველი კოშკი ჩემი არის, ჩემის მამის გარემოშიც დაჰყვა, რომე აღარა მომრჩომია რა, ორასის კოკის ვენახი წამიხდა, რომე სიღნაღი არის... სისხლდაღვრილი კაცის შვილი ვიყავ და მეც ამათთან სისხლი დამიღვრია. ამისის სამაგიეროთ ჯერ **ვარიანს** ორი კომლი კაცი მებოძა... (ქსძ, V, გვ. 309-310).

მეჯვრისხევი 1786 – ტუსისშვილი ქაიხოსრო და ლოლაძე ლუარსაბ **ერთს** კომლს **მეჯვრისხეველს** ციხელაშვილს ნინიასა და თომაზედ სამართალში ლაპარაკობდნენ... ლოლაძე ლუარსაბ ამას ეპასუხებოდა: ციხელაშვილი ნინია და თომა ჩემი მკვიდრი ყმანი არიანო და შანშე ერისთავს რომ ბატონმა ოქმი უბოძა, და რომელიც გლეხი **კახეთის** მამულში **ქსნისხეველი**

ესახლა, აჰყარა, ეს ციხელაშვილი მაშინ აჰყარა და წამოიყვანა... ოცდაათს წელიწადზე მეტი არის, მეჯვრისხევს მისახლობს და ამის მეტად არ გადავნიაო... (ქსძ, V, გვ. 344-345).

მეჯვრისხევი 1787 – იხ. ავნევი

მეჯვრისხევი 1791 – [არზა მღებრიშვილებისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ჩვენი მამა-პაპა რომ მეჯვრისხევს მოსულა, თვისის თეორით მამულები უყიდია და იმაზედა დასახლებულა. შანშე ერისთავს რომ ციხის გაკეთება მოუნდომებია, ჩვენს მამულში გაუკეთებია. ამ ჩვენი მამულის მაგიერად სხვა მამული მოუცია. როგორც ჩვენს ნასყიდს მამულს ღალა და კულუხი არ სდებია, ისე იმის ნაბოძებს მამულს ღალა და კულუხი არ დაუდვია და ისე უბოძებია. ახლა თქვენი მოხელეები კულუხს გვთხოვენ... (ქსძ, VIII, გვ. 127).

მეჯვრისხევი 1793 – [არზა კობახიძეებისა ერეკლე II-ისადმი]: ... ჩუენი მკუდრი წართმეული მამული გვებოძა მეჯვრისხევს ქედისუბანს ამოწყვეტილის ახნაურის – მოლოზნისშვილის ბეითალმანი მამული... (ქსძ, VIII, გვ. 249).

მეჯვრისხევი 1795 – იხ. გორი

მეჯვრისხევი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

მეჯუდა // მეჯუდის წყალი // მეჯუდის ჭევი. შიდა ქართლი

მეჯუდა 1470 – იხ. ლარგვისი

მეჯუდა 1540 – იხ. ზერტი

მეჯუდა 1716-1724 – იხ. ხევთუბანი

მეჯუდა 1796 – ესე წიგნი მოგეც მე, მამუკელაშვილმა გრიქოლამ შენ, თუმანისშვილს ნიკოლოზს... ჩემი წისქვილის სათავე წამხდარიყო მეჯუდისგან... მეწისქვილეს მუშები მივეც, შენი მარანი გაეჭრათ... ერთი საქცევი იყო გაჭრილი, მთელმა რეხელებმა ნახეს შენი მოხსენებული სწორე იყო... (დსსი, II, გვ. 183).

მეხაშეების რიგი. თბილისი

